როლანდ თოფჩიშვილი

ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი

როლანდ თოფჩიშვილი
ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი 2013

ROLAND A. TOPCHISHVILI
Introduction to Ethnology 2013

ეძღვნება თანამედროვე ქართული
ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის,
აკადემიკოს *გიორგი ჩიტაიას* ნათელ ხსოვნას

ეთნოლოგი აკვირდება,
აფიქსირებს, აანალიზებს.
პოლ რიკერი

ეთნოლოგია არის ადამიანის შესახებ არსებული
ცოდნის თავმოყრის ადგილი; ეს არის უზარმზარი
შენობის დამაგვირგვინებელი თაღი, რომელიც
სხვა
მეცნიერებებს, ვითარცა სვეტებს, ემყარება.
ადოლფ ბასტიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

როლანდ თოფჩიშვილი

ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2013

UDC(უდკ) 39(075.8)
თ-778

ეთნოლოგია ხალხების (საზოგადოებების), ეთნიკური კულტურის, აგრეთვე ეთნიკური ისტორიის, შემსწავლელი მეცნიერებაა. ის დაკავშირებულია როგორც წარსულთან, ისე აწყმოსა და მომავალთან. სახელმძღვანელო – *„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“* – განკუთვნილია უნივერსიტეტის **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის**. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დიდი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. სახელმძღვანელოში საუბარია ამ კავშირების შესახებ. ამავე დროს ის სტუდენტებს გზას გაუკვალავს ეთნოლოგიის სამყაროში; მისცემს ცოდნას ეთნოლოგიის საგნის, ფუნქციების, მეთოდებისა და თანამედროვე საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის შესახებ.

სამეცნიერო
რედაქტორები: ელდერ ნადირაძე
ინგა ღუტიძე
ნოდარ შოშიტაშვილი

რეცენზენტები: სალომე ბახია-ოქრუაშვილი
თამაზ ფუტკარაძე

© რ. თოფჩიშვილი, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-143-9

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------7
ნაწილი I
ეთნოლოგიის ზოგადი პრობლემები

I.1. ეთნოლოგიის საგანი და მიზანი----------10
I.2. ეთნოლოგიური მეცნიერების ფუნქციების შესახებ----------16
I.3. ეთნოლოგიური ცოდნის წყაროები----------20
I.4. ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები----------30
I.4-1. დანართი: ამონარიდები *გიორგი ჩიტაიას* ნაშრომიდან „საველე ეთნოგრაფიული მუშაობის პრინციპები და მეთოდები“---38
I.5. ეთნოლოგის პროფესიული საქმიანობის სფეროები----------41
I.6. ეთნოლოგიური მეცნიერების ძირითადი ცნებები----------43
I.7. გამოყენებითი ეთნოლოგიის პრობლემები----------55
I.8. ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია----------63
I.9 ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია საქართველოში--------77
1.10. ვახუშტი ბაგრატიონი და ქართული ეთნოლოგიური მეცნიერება----------96
I.11. ეთნოლოგია და თანამედროვეობა: საზოგადოების მოდერნიზაციის პრობლემა----------101
I.12. ეთნოლოგიის მეცნიერული მიმართულებები----------112
I.13. საკაცობრიო კულტურული მიღწევები და ეთნოლოგია-----125
I.14. ეთნოლოგია და სოციალური რეალობა----------154
I.15. ეთნიკური კულტურა. ეთნიკური კულტურების კლასიფიკაცია----------166

ნაწილი II
ეთნოლოგია და სხვა მეცნიერებები

II.1. ეთნოლოგია და ეთნოგრაფია----------178
II.2. ეთნოლოგია და ანთროპოლოგია: ეთნოლოგიისა და სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ურთიერთმიმართება----------181
II.3. ეთნოლოგია და ისტორია: ეთნოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერება თუ ისტორიის შემადგენელი ნაწილი?----------197
II.4. ეთნოლოგია და არქეოლოგია----------202
II.5. ეთნოლოგია და გეოგრაფია----------205
II.6. გეოგრაფიული გარემო და კავკასიის ხალხთა ეთნიკური კულტურა----------214
II.7. ეთნოლოგია და ფოლკლორი----------230

II.8. ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ერთობლივად შესწავლის ნიმუში ქართულ მეცნიერებაში----------238
II.9. ეთნოლოგია და სოციოლოგია----------244
II.10. ეთნოლოგია და ენათმეცნიერება----------247
II.11. ეთნოლოგია და ფიზიკური ანთროპოლოგია----------257
II.12.ეთნოლოგია და ფსიქოლოგია. ეთნოფსიქოლოგია – ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერების დარგი----------261

ნაწილი III
მსოფლიოს ხალხები

III. 1. მსოფლიოს ხალხთა ტრადიციები (ზოგადი მიმოხილვა)-268
III. 2. მსოფლიოს ხალხები: ეთნიკური, კულტურული და სოციალური მახასიათებლები (ზოგადი მიმოხილვა)
III. 2-1 ავსტრალიის აბორიგენები და ანგლო-ავსტრალიელები305
III. 2-2 ოკეანიის ხალხები და კულტურები----------310
III. 2-3 დასავლეთ აზიის ხალხები----------314
III. 2-4 სამხრეთ აზიის ხალხები და კულტურები----------323
III. 2-5 სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები----------325
III. 2-6 აღმოსავლეთ აზიის ხალხები----------328
III. 2-7 შუა აზიის ხალხები----------333
III. 2-8 საჰარის სამხრეთით მცხოვრები აფრიკის ხალხები-----341
III. 2-9 ჩრდილოეთ აფრიკისა და აფრიკის რქის ხალხები-------347
III. 2-10 ამერიკის ხალხები----------352
III. 2-11 ევროპის ხალხები----------361
III. 2-12 კავკასიის ხალხები----------369
III. 3. ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ადგილი მსოფლიოს ხალხთა და მსოფლიოს კულტურულ სივრცეში---377
ბოლოთქმა----------391

შესავალი

წინამდებარე *„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“* ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. სახელმძღვანელოს სტრუქტურა ორიგინალურია, ანალოგიური სახელმძღვანელო არ არსებობს, რადგან რეფორმამდე ჩვენს უნივერსიტეტებში ეთნოლოგიური მეცნიერების (და სხვა მეცნიერებათა) შესავლის კურსები არ იკითხებოდა. ადრე ამა თუ იმ პროფესიას სტუდენტი უნივერსიტეტში შესვლამდე ირჩევდა. დღეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემოსულთ არჩევანის გაკეთება ძირითადად სხვადასხვა მეცნიერებათა შესავლის სალექციო კურსების მოსმენის შემდეგ უხდებათ. მეცნიერების ამ თუ იმ დარგის „შესავლის“ ძირითადი მიზანია გასაგები ენით, მარტივად გააგებინოს სკოლის მერხიდან უნივერსიტეტში შემოსულ სტუდენტს: რას იკვლევს მეცნიერების შემოთავაზებული დარგი.

ეთნოლოგია ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია (თუმცა წარმოქმნისას, საწყის ეტაპზე ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, კერძოდ კი, გეოგრაფიასთან. შემდეგ კი დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ანთროპოლოგიის სახელით ის სოციალური მეცნიერებების ქოლგის ქვეშ მოექცა). შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ჰუმანიტარული მეცნიერება ისე არაა დაკავშირებული სხვა ჰუმანიტარულ და არაჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, როგორც ეთნოლოგია. რატომ? – ამ კითხვას *„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალში“* პასუხს შეძლებისამებრ გავცემთ. მთავარი, რაც ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, ის გახლავთ, რომ ეთნოლოგია ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერებაა და ის ხალხებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას იკვლევს. ასევე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნოლოგიას მხოლოდ წარსული არ აინტერესებს, მისი ინტერესების სფეროში აწმყო და მომავალიცაა. ამდენად, მეცნიერების ამ დარგს პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს.

XXI საუკუნეში ეთნოლოგიურ მეცნიერებას დიდი პერსპექტივები გააჩნია, პირველ რიგში, თანამედროვე ეთნოსთაშორისი და კონფესიათაშორისი კრიზისების მოგვარება ამ მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია. ეთნოლოგიური მეცნიერების სათავეებთან მდგომნი ვერც კი იფიქრებდნენ, ასე თუ გაფართოვდებოდა კვლევის სფერო და არეალი, რადგან ხალხების შემსწავლელ მეცნიერებას თავდაპირველად მხოლოდ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების კულტურა და ყოფა აინტერესებდა. მიიჩნევენ, რომ მომავალში მას კვლევის ახალი ასპექტებიც გამოუჩნდება.

თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა მოდერნიზაციის პრობლემაა. აღიარებენ, რომ მოდერნიზმს დღეს თუ ხვალ ვერავინ დააღწევს თავს. ყველა ხალხი ცდილობს, რომ მოდერნიზაციამ არ წაშალოს საუკუნეების განმავლობაში წინაპართა მიერ შექმნილი თავისთავადობა და ეთნიკური კულტურა. არცერთ ეთნოსს არ უნდა თვითმყოფადობის დაკარგვა. კაცობრიობას სჭირდება არა მხოლოდ ბუნების ეკოლოგია, არამედ კულტურის ეკოლოგიაც. ადამიანთა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ისედაც ბევრი ეთნოსი და ეთნიკური კულტურა გაქრა. ჩვენამდე მოღწეულ ყველა კულტურას გაფრთხილება, გადარჩენა უნდა, თითოეული მათგანი კაცობრიობის მონაპოვარია. კულტურათა შენარჩუნება კი ეთნოლოგიური ცოდნის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ქართველ ხალხსაც აწუხებს ეს პრობლემა. ამ შემთხვევაში კი ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, რათა გლობალურ და მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართვა უმტკივნეულოდ მოხდეს. საქართველოში ეთნოლოგია ყოველთვის ქართველი ერის სამსახურში იდგა. დღეს მას ამ სამსახურის გაასმაგება მართებს. ***ეთნოლოგიის განვითარების აუცილებლობა მთელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შეგნებული და ამ დარგის შესახებ ცოდნა მის ძირითად ნაწილს უნდა გააჩნდეს. ეს იმ მხრივაცაა საჭირო, რომ აქა-იქ არსებული არასაკაცობრიო იდეები, არაპრულარისტული შეხედულებები რაც შეიძლება სწრაფად განიდევნოს ხალხების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების ცნობიერებიდან.***

ეთნოლოგიას ერთი დიდი ხიბლიც აქვს – ***ეთნოლოგს მუშაობა უხდება არა მხოლოდ კაბინეტში, არამედ „ველზე“, ცოცხალ გარემოში, სადაც ის ადამიანებისაგან საკვლევ-საძიებელ მასალას მოიპოვებს.*** წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორს არასდროს დაავიწყდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ხანში შესულ თუ შედარებით ახალგაზრდა მთხრობელებთან / ინფორმატორებთან ურთიერთობა, რომელთაც წინაპართაგან გადმოცემული ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ შემონახული ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ. ბოლო წლებში ეს ურთიერთობა თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთობით გამდიდრდა. უფრო მეტიც, დღეს თურქეთის ეთნიკურ ქართველებთან ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას სხვა დანიშნულებაც გააჩნია. ეს ერთგვარი მისიაა მინავლებული ქართული ცნობიერების აღსადგენად. მერწმუნეთ, დიდია ბედნიერება, როდესაც შენ ამ პროცესის ერთგვარი მონაწილე ხდები.

ზემოთ აღინიშნა, რომ წინამდებარე წიგნი *„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავლის“* შექმნის პირველი ცდაა. ამდენად, მას სრულყოფილი სახელმძღვანელოს პრეტენზია არც გააჩნია. ავტორი მიზანს მიღწეულად იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუ სტუდენტები ეთნოლოგიის მიმართ გარკვეულ ინტერესს გამოიჩენენ.

ნაწილი I

ეთნოლოგიის ზოგადი პრობლემები

I.1. ეთნოლოგიის საგანი და მიზანი

მეცნიერების სახელწოდება **ეთნოლოგია** ორი ძველი ბერძნული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. პირველი მათგანი – **ეთნოს** ხალხს აღნიშნავს, ხოლო მეორე – **ლოგოს** კი მოძღვრებას, ე. ი. ეთნოლოგიის ობიექტი ეთნოსებია. ამრიგად, „ეთნოლოგია“ მეცნიერებაა ხალხებისა და მათი ეთნიკური მახასიათებლების შესახებ (პირდაპირ ის *ხალხთმცოდნეობად* ითარგმნება. ტერმინი „ხალხი“ ქართულ ენაში საკმაოდ გვიანდელი პერიოდიდან – XVIII საუკუნიდან იჩენს თავს. უფრო ადრე, შუა საუკუნეებში ქართული წყაროები ტერმინს – „ერი“ იყენებდა). მაგრამ ეს ძალიან მარტივი განსაზღვრებაა. ცნობილია, რომ ყველა მეცნიერებას კვლევის თავისი საგანი გააჩნია. ბუნებრივია, არც ეთნოლოგიური მეცნიერებაა ამ მხრივ გამონაკლისი. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგიის საგანი და კვლევის არე მუდმივად ფართოვდებოდა. ამით ის მეცნიერების სხვა დარგებისაგან ერთგვარად განსხვავდება. ეთნოლოგია სხვა მეცნიერებებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას შეხების წერტილები აქვს სხვა მეცნიერებებთან. ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გადაჯაჭვით, შერწყმით არაერთი მიმართულება გაჩნდა ეთნოლოგიაში. მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის წარმოქმნიდან დღემდე მისი კვლევის უპირველეს თემას ეთნოსი, ეთნიკური კულტურა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობები წარმოადგენს. ამიტომაა, რომ ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არც კი არსებობს. ეთნოლოგიის სხვადასხვა განმარტება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებითაცაა განპირობებული. ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. ის, **ეთნოლოგიის** გარდა, სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ ის საქართველოში **ეთნოგრაფიის** სახელწოდებას ატარებდა. ანგლოსაქსურ ქვეყნებში მას **კულტურულ ანთროპოლოგიას, სოციალურ ანთროპოლოგიას** უწოდებენ. ამავე დროს ის სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდა. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან – სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების (ხალხების) კვლევამ წამოიწია, მეორე შემთხვევაში

მისთვის ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა (სოციუმი) იყო. ამდენად, ეთნოლოგიის კვლევის საგანი რთული და არაერთგვაროვანია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგია მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარულ ინსტიტუციურ გარემოში არსებობდა, ხოლო სოციოკულტურული ანთროპოლოგია – სოციალურ ინსტიტუციურ გარემოში. **უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში როგორც კულტურულ ანთროპოლოგიას, ისე სოციალურ ანთროპოლოგიას ჰუმანიტარულ სფეროსაკენ გადახრის აშკარა ტენდენცია გააჩნია.**

ეთნოლოგია ჩაისახა როგორც „პრიმიტიული“ ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერება. თავდაპირველად ეთნოლოგიას მხოლოდ ის ხალხები და იმ ხალხების კულტურა აინტერესებდა, რომლებიც ევროპელებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. დროთა განმავლობაში ეს მიდგომა შეიცვალა და ეთნოლოგიის კვლევის სფეროში განვითარების თვალსაზრისით დაწინაურებული ხალხებიც მოექცნენ. ამრიგად, ეთნოლოგთა ინტერესის სფეროში ყველა ხალხი (ეთნოსი) შედის. მას ხალხები აინტერესებს, როგორც კულტურების შემქნელი ერთობები, რომელთა კულტურაც თაობიდან თაობას ტრადიციით გადაეცემოდა და რომელსაც სხვადასხვა თაობები შემოქმედებითად ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ძირითადი ეთნოლოგიური ცნებები თითქმის უცვლელი იყო: **ეთნოსი, ტომი, ერი (ნაცია), ტრადიცია, წეს-ჩვეულება, კულტურა (მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა), ასიმილაცია, ეთნიკური ერთობა, ეთნიკური პროცესები, ეთნიკური ისტორია, ეთნოგენეზი, საზოგადოება, გვარი (კლანი, ლინიჯი), თემი და სხვა.**

XX საუკუნის დასაწყისიდან ეთნოლოგიის კვლევის საგანი ეთნოსთა შორის ურთიერთობები გახდა. ეს ურთიერთობები ეთნოსთა წარმოქმნის დღიდან მუდმივად არსებობდა და ეთნოლოგიას სხვადასხვა ხალხების ურთიერთობა (მშვიდობიანი თუ მტრული), ამ ხალხების კულტურათა ურთიერთშეღწევა აინტერესებს როგორც ისტორიის სიღრმეში, ისე დღევანდელ ეტაპზე. ეთნოლოგიის კვლევის სფეროში ეთნოსთა ისტორიულად არსებული ფორმებიც შედის. თანამედროვე გაგებით ეთნოლოგია სწავლობს არა მხოლოდ ეთნოსთა წარმოშობას, მათ ძირითად თავისებურებებსა და მახასიათებლებს, ეთნიკური პროცესებით განპირობებულ ეთნოსთა ურთიერთობებსა და მათ ცვლილებებს, არამედ ეთნოსოციალურ (ნაციონალურ), ეთნოპოლიტიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ, ეთნოლინგვისტურ და საზოგადოებრივი სფეროს ეთნონაციონალურ ურთიერთობებსა და სხვა პროცესებს. თავდაპირველად კი ეთნოლოგიის კვლევის სფერო

მხოლოდ ხალხური კულტურის შესწავლა, ამა თუ იმ ხალხის სოციალურ ურთიერთობათა კვლევა იყო.

დღეისათვის ეთნოლოგიური მეცნიერება ცოდნის საკმაოდ რთულ და განტოტებულ სისტემას წარმოადგენს, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ: **ეთნიკური ანთროპოლოგია** (სწავლობს ეთნოგენეზისა და სხვადასხვა ხალხების ანთროპოფიზიკურ განვითარებას); **ეთნიკური სოციოლოგია** (სწავლობს ეთნიკური ჯგუფების განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებს, თვითორგანიზაციის ფორმებს, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობათა ტიპებს); **ეთნიკური ფსიქოლოგია** (განიხილავს ეთნიკური სტერეოტიპების ფორმირებას, ეთნიკურ თვითშეგნებასა და იდენტიფიკაციას); **ეკონომიკური ეთნოლოგია** (აანალიზებს ეთნოსების სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის პრობლემებს); **ეთნოდემოგრაფია** (მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესებისა და ხალხთა რიცხოვნობის დინამიკის კვლევა); **ეთნიკური გეოგრაფია** (სწავლობს ხალხთა გეოგრაფიული განსახლების საკითხებს, მათი ამა თუ ადგილზე განვითარების თავისებურებებს, ეთნიკურ ტერიტორიებსა და ეთნიკურ საზღვრებს); **ეთნიკური ეკოლოგია** (აანალიზებს ეთნიკური საზოგადოების ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან ურთიერთობის პრობლემებს); **ეთნოპედაგოგიკა** (სხვადასხვა ეთნოსების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესების თავისებურებების შესწავლა). ყველა ამ პრობლემას ეთნოლოგიის / ხალხთმცოდნეობის ჩამოთვლილი მიმართულებები სწავლობს როგორც წარსულში, ისე აწმყოში. მას აინტერესებს ხალხების, ხალხთა ჯგუფების (ეთნოგრაფიული ჯგუფის, ტერიტორიული / ლოკალური ერთეულების) თანამედროვე ცხოვრებაც. რაც დრო გადის, ეთნოლოგიური მეცნიერების წიაღში თანამედროვეობის შესწავლა უფრო მეტ ადგილს იჭერს. ეს ტენდეცია მომავალში უფრო გაიზრდება. ***თანამედროვე ქართული ეთნოლოგიისათვის უფრო უპრიანია ძველისა და ახლის ურთიერთმიმართების კვლევა.*** მაგალითად, ქართული სოფლის წარსულისა და დღევანდელობის ერთობლიობაში შესწავლა უფრო ნათლად წარმოაჩენს არსებულ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებსაც ნათლად დაგვანახებს – მეცნიერ-ეთნოლოგებს პროგნოზირების მეტ საშუალებას მისცემს.

ეთნოლოგიური მეცნიერების დიფერენციაციის ეს პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული და როგორც ფიქრობენ, უახლოეს მომავალში ახალი მიმართულებების წარმოქმნაც არ იქნება მოულოდნელი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ ეს გარემოება და სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომები აბრკო-

ლებს და ხელს უშლის ეთნოლოგიის საყოველთაოდ გაზიარებული დეფინიციის ფორმულირებას.

ამრიგად, **ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენს ეთნოსები – ხალხები და ეთნოლოგია შეისწავლის:**

– ეთნოსების წარმოქმნას (ეთნოგენეზს);

– ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას (ეთნიკურ ისტორიას);

– ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას;

– მომავალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს;

თანამედროვე ეთნოლოგიის კონკრეტული კვლევითი გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებებიდან გამომდინარე ეთნოლოგიის საგანს მიეკუთვნება შემდეგი პრობლემები:

– ხალხთა მატერიალური კულტურა;

– ხალხების ტრადიციული სამეურნეო ყოფა, მეურნეობისა და ეკონომიკის ზემოქმედება ეთნოსების განვითარებაზე;

– სხვადასხვა ხალხების სულიერი კულტურა, რიტუალები, რწმენაწარმოდგენები;

– ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები, ხალხების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები;

– სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აღზრდისა და ქცევის სისტემები;

– ხალხების უზრუნველყოფის სისტემები;

– ეთნოსთა ფასეულობითი სისტემების შედარება;

– კულტურათშორისი კონტაქტების თავისებურებები;

– ხალხთა განსახლებები;

– ეთნოსებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები;

– ეთნიკური ცნობიერება და თვითშეგნება;

– ხალხების სახელწოდებები და თვითსახელწოდებები (ეთნონიმიკა) და ხალხთა ტერიტორიული დანაყოფების, ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები;

– ენობრივი ქცევა და მისი ეთნოსებზე გავლენა;

– ეთნიკურ ინტერესებთან, ეთნოსთა შორის კავშირებთან და კონფლიქტურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები;

– ეთნიკური სისტემების დინამიკა.

ამრიგად, ეთნოლოგიური მეცნიერება შეისწავლის ეთნოსთა ცხოვრების სხვადასხვაგვარ, მრავალფეროვან ასპექტებს, ტრადიციულ (ეთნიკურ) კულტურას, მათ შორის ადამიანთა მიერ ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის შეცვლას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეთნოლოგია შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: **ეთნოლოგია – ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ეთნიკური სისტემების (ჯგუ-**

ფების) წარმოქმნის, ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების კანონზონმიერებებს (პროცესებს), მათ იდენტობას, კულტურული თვითორგანიზაციის ფორმებს, კოლექტიური ქცევისა და ურთიერთქმედების თავისებურებებს, პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირს, მსოფლიოს ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს, ეთნიკურ და ეთნოსთა შორის არსებულ პროცესებს. სხვათა შორის, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ეთნოლოგიის (მაშინდელი – ეთნოგრაფიის) ის განმარტება, რომელიც 1970-იან წლებში არსებობდა: **„ხალხის ყოფისა და კულტურის, წარმოშობის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი მეცნიერება. ეთნოლოგია იკვლევს ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს, მათი განვითარების კანონზომიერებებს, იმას, თუ რა წვლილი შეუტანია კაცობრიობის კულტურის საგანძურში ამა თუ იმ ხალხს. ეთნოლოგია იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევის ნორმებს“.** *ა. ლობჟანიძის, ს. გოროხოვისა* და *დ. ზაიაცის განმარტება* ასეთია: **ეთნოლოგია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ხალხთა მსგავსებას და განსხვავებას, აგრეთვე ეთნიკურ პროცესებს, ეთნოსთა ცხოველქმედების სხვადასხვაგვარ ასპექტებს, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე უძველესი დროიდან დღემდე მასში მიმდინარე ცვლილებებს.** *ს. ლურიეს* მარტივი განმარტება კი ასეთია: **„ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას“.** *ს. არუთინოვი* და *ს. რიჟაკოვა* შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: **ეთნოლოგია ანალიტიკური მეცნიერებაა, რომელიც ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვა მონაცემების საფუძველზე იკვლევს ეთნოსებს როგორც მთლიან ჯგუფებს და ასევე მათ შორის ურთიერთობას.**

თანამედროვე ეთნოლოგიის საგნობრივი ველი (არე) საკმაოდ ფართოა და მისი სხვადასხვა მიმართულებები გადაიკვეთება მონათესავე, ახლოს მდგომ მეცნიერებებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მეცნიერებებზე, როგორებიცაა ისტორია, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტოლოგია. ყველაზე ახლოს ის ეთნოგრაფიასთანაა. ამიტომ ეთნოლოგია და ეთნოგრაფია ხშირად სინონიმურ სახელწოდებებადაც იხმარება. მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერების ეს ორი სფერო (დარგი) მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. **ეთნოგრაფია აღწერილობითი მეცნიერებაა, ეთნოლოგია კი – თეორიული ხალხთმცოდნეობა.**

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ეთნოლოგიური კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო უადრესად ფართოა. მისი ინტერესების სფეროში შედის როგორც წარსული (პირველყოფილი საზოგადოების ისტორია), ისე თანამედროვეობა. ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩოსა და იმის გამო, რომ ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე პროცესებთან (სწავლობს ეთნოსთაშორის ურთიერთობებს, ეთნიკურ კონფლიქტებს, ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, გამოიმუშავებს ნაციონალური პოლიტიკის კონცეფციებს), მეცნიერების ამ დარგს შემეცნებით და თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც გააჩნია.

I.2. ეთნოლოგიური მეცნიერების ფუნქციების შესახებ

XIX საუკუნის შუა ხანებში ანგლოსაქსურ ქვეყნებში ეთნოლოგიის სოციალურ მეცნიერებათა შორის გამოჩენა ბევრად იყო იმ გარემოებით ნაკარნახევი, რომ მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება არსებობდა. დღეისათვის ეთნოლოგიის სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სხვა მეცნიერებების ანალოგიურად ეთნოლოგია არსებობს და ფუნქციონირებს არა მხოლოდ თეორიის, იდეების, მეთოდების, ფაქტობრივი მონაცემების სახით, არამედ სამეცნიერო გამოკვლევების განმახორციელებელ სამეცნიერო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების სახით, რომელთა მიერ მიღებული შედეგები ამა თუ იმ საშუალებით ვრცელდება საზოგადოებაში. ერთი სიტყვით, ეთნოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან. ამრიგად, ეთნოლოგიას სოციალური ფუნქცია გააჩნია; მას სოციალურ მიმართულებასთან ერთად იდეოლოგიური მიზანიც ჰქონდა და აქვს.

თანამედროვე ეთნოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: *თეორიულ-შემეცნებითი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, კულტურულ-აღმზრდელობითი, პროგნოზული.*

პირველი და მთავარი ფუნქცია **თეორიულ-შემეცნებითია,** რომელიც ყველა დანარჩენი ფუნქციის საფუძველია. თეორიულ-შემეცნებითი, ანუ **სამეცნიერო-შემეცნებითი** ფუნქცია შიდაეთნიკური და ეთნოსთა შორის კავშირების, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების გამოვლინებაა. თეორიულ-შემეცნებით ფუნქციებს მიეკუთვნება სამეცნიერო ჰიპოთეზებისა და თეორიების ფორმირებაც. მონაცემთა ბაზაზე ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე ან ადრე მიღებულ სპეციალურ თეორიებსა და ჰიპოთეზებს განამტკიცებენ, ან კიდევ ახალს ქმნიან.

შემდეგი ფუნქცია **პრაქტიკულ-გამოყენებითია.** ეთნოლოგიის ბევრ პრობლემას თეორიულ-შემეცნებითთან ერთად ეს ფუნქცია ნამდვილად გააჩნია. მიღებული კვლევის შედეგებს ძალიან ხშირად მმართველობით, მარეგულირებელ საქმიანობაში გამოიყენებენ. თეორიული კვლევა-ძიება მხოლოდ მაშინ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, როდესაც მას იყენებენ ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებისას, მმართველობითი საქმიანობის კორექტირებისას. ამასთან ერთად პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს საქმიანობის, მოქმედების პერსპექტიულ მიმართულე-

ბებს, ან შეიძლება მისი დანიშნულება მომავალი პერსპექტივის კონკრეტული ცვლილებებისათვის იყოს განკუთვნილი. ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია ისიცაა, რომ ეთნოლოგია ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ სფეროს შეისწავლის. ამ სფეროში კი ადამიანს და ადამიანთა დიდსა თუ პატარა ჯგუფს არაერთი პოზიტიური ცოდნა დაუგროვდა; ეთნოსებმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა თანამედროვეობისათვის მისაღები ეთნიკური ტრადიციები შექმნეს, რომელთა გაცოცხლებასა და აღორძინებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. მატერიალური და სულიერი კულტურის შემორჩენილი ბევრი ტრადიცია კულტურის ბევრი თანამედროვე ფორმის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური და ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად სასარგებლოა. მაგალითად, პოლარული ვითარებისათვის საჭირო ტანსაცმლის დასახვეწად გამოიყენეს პოლარისპირეთში მცხოვრები ხალხების (*საამები, ნენცების, ესკიმოსების*) სამოსი. ხალხური სახლმშენებლობის, კვების, მიწათმოქმედების (მაგალითად, მთის ტერასული და სარწყავი მიწათმოქმედების) ტრადიციები შეიძლება ასევე სასიკეთოდ გამოვიყენოთ ჩვენს დროშიც. ეთნოლოგიური რეალიის გაცოცხლება შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთანაც იყოს დაკავშირებული.

ეთნოლოგიის მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლება **კულტურულ-აღმზრდელობითი** ფუნქცია. ეს ფუნქცია ადამიანებს ეხმარება გაერკვნენ ეთნიკურობის რთულ მოვლენებში, ეთნიკური თავისებურებებისა და მსოფლიოს მრავალფეროვანი საზოგადოების რთულ მოვლენებში. ეთნოლოგია, ფაქტობრივად, გასაღებს წარმოადგენს ადამიანის ეთნიკური ქცევის სწორად გასაგებად, ეთნოსისა და საზოგადოების ცხოველქმედების აღსანიშნავად. ამ თვალსაზრისით ეთნოსთა შორის ურთიერთობის კულტურის ფორმირებაში ეთნოლოგიის როლი შეუფასებელია.

ეთნოლოგიას თანამედროვეობის სამსახურში აყენებს მისი კიდევ ერთი ფუნქცია. ესაა **პროგნოზული** ფუნქცია. ეთნოლოგიური გამოკვლევების ღირებულება არ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რამდენად ადეკვატურად ასახავს ამა თუ იმ ტენდენციასა და პროცესს, არამედ მხოლოდ იმით, გვაძლევს თუ არა მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნოსთა შორის ურთიერთობებში, კონფლიქტებში დღეს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარი განსაზღვრა. საერთოდ, პროგნოზული ფუნქცია მიმართულია ახლო და შორეულ მომავალში კონკრეტული ქვეყნის ეთნიკური და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივების განსასაზღვრად.

ეთნოლოგიის მნიშვნელოვანი ფუნქცია ყოველი ცალკეული ეთნოსის / ხალხის **თვითშემეცნებაც** არის. ეთნოსების შესახებ

სამეცნიერო ცოდნა ხშირად უპირისპირდება ობივატელურ წარმოდგენებსა და ნაციონალურ ცრურწმენებს. ეთნოსის თვითშემეცნებას საზოგადოების ისტორიულ და თანამედროვე ცნობიერებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ თემებისადმი, ჩვეულებრივ, განსაკუთრებილ ინტერესს იჩენს ჰუმანიტარული განათლების მქონე ინტელიგენცია. ხალხები და მათი წარმომადგენლები ამ ინტელიგენციის სახით მიისწრაფვიან ნათლად წარმოიდგინონ არა მხოლოდ თავიანთი წარმოშობის ისტორია, არამედ თავიანთი თვითმყოფადი კულტურის ხასიათი, მასში ტრადიციული და ახალი კომპონენტების თანაფარდობა. ეთნოლოგები ცდილობენ ამ კითხვებს უპასუხონ და ამასთანავე იმ ფაქტსაც აღნიშნავენ, რომ ყველა ხალხი სხვადასხვა ეთნოსებისა (ზოგჯერ სხვადასხვა რასებისაც) და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხების შერევის შედეგად წარმოიქმნა, რომ ჩვენს პლანეტაზე „სუფთა“ ხალხები და „სუფთა“ კულტურები არ არსებობენ. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ეთნოლოგის (და ყველა ჰუმანიტარის) ვალდებულებაა ქართველთა ეთნიკური ისტორიისა და ქართული კულტურის შესახებ რეალური ცოდნა გაავრცელონ მოსახლეობაში. ქართველებიც არ არიან მხოლოდ ერთი – *ქართლოსის* შთამომავალნი. ქართული კულტურაც არასდროს არ ყოფილა იზოლირებული, თავისთავში ჩაკეტილი და რომ ქართველები ყოველთვის ეზიარებოდნენ სხვათა კულტურულ მიღწევებს და შემოქმედებითად ამუშავებდნენ მათ. ქართული ეთნოსის ისტორიისა და ქართული კულტურის რეალური ცოდნა კი საწინდარი იქნება როგორც პატრიოტი, სამშობლოს მოყვარე ადამიანის აღზრდისა, ისე სხვათა დამფასებელი თანამედროვე სამოქალაქო აზროვნების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებისა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ პოლიეთნიკური საქართველოს ბოლოდროინდელი ბევრი პრობლემა, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტების სახელით ცნობილი დაპირისპირებები, არის ეთნოლოგიური ცოდნის დაბალი დონის შედეგი. ცხოვრებამ დიდი ხანია დაადასტურა, რომ თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ეთნონაციონალური პროცესების მართვა ხელის შეხებით, რომელიც თეორიული ცოდნის გარეშე მხოლოდ ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამავე დროს არ განისაზღვრება ეთნოკულტურული კონტაქტებისა და ეთნოსთა შორის არსებული კომუნიკაციები. ეთნოლოგიის ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ თანამედროვე ეთნიკური პროცესების მექანიზმები. ნათელია, რომ ეთნოლოგია სერიოზულ და სისტემაურ მოპყრობასა და შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ავხსნათ ეთნიკური ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს ბევრი „საიდუმლო.“

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში არის ისეთი შეხედულებები, რომლებიც უარყოფენ ეთნოსების რეალურად არსებობას, რომ ის თითქოს მხოლოდ მეცნიერთა წარმოდგენებში არსებობს. მაგრამ ფაქტია, რომ ეთნოსები, ისევე როგორც ისტორიულად, დღესაც არსებობენ. თანამედროვე ეთნოსები ცოცხალი ბუნებრივი და სოციალური რეალობებია. კაცობრიობის ისტორიაში ხალხებს ერთ-ერთი მნიშნელოვანი – მამოძრავებელი ფუნქციაც ჰქონდათ. ძალიან რთულია ეთნიკურობისა და ეთნიკური კულტურების რეალურობის უარყოფა, უგულებელყოფა. დიდი პოლიტიკური გაერთიანებები – სახელმწიფოები ძირითადად ეთნიკური (ან რელიგიური) ნიშნით იქმნებოდა. მაგრამ მონოეთნიკური სახელმწიფოების არსებობა მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურმა ისტორიამ არ იცის (ასეთი სახელმწიფო დღეს მხოლოდ რამდენიმეა). ამ საკითხს თანამედროვეობასთანაც დიდი კავშირი აქვს. ეთნოლოგმა თანამედროვეებს ეს მოვლენა ნათლად და გასაგებად უნდა აუხსნას – საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ერთობები ყოველთვის ცხოვრობდნენ და ქართველ ხალხს მათთან რაიმე დაპირისპირება და კონფლიქტი არასდროს არ ჰქონია. ამიტომაც ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზებზე როდესაც ვსაუბრობთ, თანამედროვეთ ფაქტებით უნდა დავანახოთ, რომ გადარჩენის მიზეზი არა ეთნიკური დაპირისპირება, არამედ მშვიდობიანი ეთნიკური თანაცხოვრება იყო. ეთნოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სოციალური მეხსიერების ეთნიკური ასპექტების, თაობათა შორის ისტორიული კავშირების, კულტურული მემკვიდრეობის გადაცემისა (ტრანსმისიის) და ბუნებასთან ადამიანთა ჰარმონიაში ყოფნის სამეცნიერო დამუშავებაა.

I.3. ეთნოლოგიური ცოდნის წყაროები

მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ახალი ცოდნის მიღება. ეთნოლოგიაში ესაა ცოდნა ეთნოსების ან მისი ცალკეული ჯგუფების აღნაგობის, ისტორიული ევოლუციის, თანამედროვე ვითარებისა და მომავალი განვითარების შესახებ; აგრეთვე ყველა იმ კულტურული და სოციალური პრობლემის შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ ხალხთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ეთნოლოგიურ კვლევათა განხორციელებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა შესასწავლი ობიექტის შესახებ აუცილებელი და საჭირო მონაცემების ფლობა. ამგვარი ცნობები (მასალები, მონაცემები, ინფორმაციები) თავმოყრილია სხვადასხვაგვარ და მრავალფეროვან წყაროებში, საიდანაც ყოველთვის საჭიროა მათი მოპოვება ანალიზისა და შემდგომი სამეცნიერო მიზნებისთვის. ეს წყაროები მრავალფეროვანია, ისინი შეიძლება სხვადასხვა წარმოშობისა და ფორმის და, რა თქმა უნდა, ართანაბარი სამეცნიერო ღირებულებისა იყოს.

საყოველთაო მოსაზრებით ეთნოლოგიურ (ეთნოგრაფიულ) წყაროს უწოდებენ ყოველგვარ მოვლენას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეთნიკური ობიექტების (ეთნიკური ერთობების, ეთნოგრაფიული ჯგუფების, მათი თვისებებისა თუ ხასიათების) შესახებ ცოდნის მისაღებად (ამოსაკრებად). ეთნოლოგიის სფეროში პრაქტიკული კვლევებისათვის მეცნიერი უნდა ფლობდეს ეთნოლოგიური წყაროების ნამდვილ და დაწვრილებით ცოდნას.

ეთნოლოგიური წყაროებით შეიძლება იყოს შესასწავლი ხალხის მატერიალური (ნივთიერი) კულტურის საგნები – *არტეფაქტები* (ლათინური arte – ხელოვნება და factus – არაბუნებრივი, გაკეთებული); მათ აღწერენ, იკვლევენ და გვაწვდიან ნაშრომის სახით, რომელშიც ამ ხალხის თვისებებია აღწერილი. საუბარი თუ ეხება ეთნოკულტურული ისტორიის შესწავლას, მაშინ ასეთი წყაროები გააზრებული / განხილული უნდა იქნას როგორც წარსული ეთნოისტორიული რეალობის *გადმონაშთები.* მაშასადამე, თვით წყარო წარმოგვიდგება როგორც ნარჩენი, შესასწავლი ფაქტის ან ობიექტის ფრაგმენტი. ასეთ ნარჩენ-არტეფაქტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ეთნოგრაფიული მუზეუმების კოლექციები, საზოგადოების მიერ შემონახული კულტურის ისტორიის ძეგლები, აგრეთვე რეალურ ყოფაში არსებული ტრადიციული მატერიალური ძეგლები (ტრადიციული ხალხური სამოსი, ნაციონალური კვების მახასიათებლები და ა. შ.).

არტეფაქტებთან ერთად გამოარჩევენ ისეთ წყაროებს, რომლებიც შეიცავს ეთნიკური ობიექტის ამა თუ იმ მხარეს. მათ

ხშირად უწოდებენ გადმოცემებს, ან მემორატებს (ლათ. memoria – მეხსიერება, ხსოვნა). ეთნოლოგიური წყაროების ამ ფართო კატეგორიას მიეკუთვნება წერილობითი წყაროების ბევრი სახე, სხვადასხვაგვარი ჩანწერები და მონაცემები, ნახატები, ზეპირი მონათხრობები და სხვა დოკუმენტური მასალები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს *პოლინეზიელთა* თქმულებები წყნარი ოკეანის კუნძულებზე დასახლების შესახებ, *ჰეროდოტეს* „ისტორია“, რომელიც ძველი ევროპელი, აზიელი და აფრიკელი ხალხების შესახებ შეიცავს უხვ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მასალებს, გაზეთების კომპლექტებიდან ამოკრეფილი ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ამსახველი მონაცემები. ეს დასახელებული ეთნოლოგიური წყაროების არასრულყოფილი ჩამონათვალია.

ეთნოლოგისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პირდაპირი დაკვირვება და ზეპირი გადმოცემებია. თუმცა საჭირო არაპირდაპირი მონაცემები მან შეიძლება მხატვრულ ლიტერატურაშიც კი მოიპოვოს. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არაპირდაპირი მონაცემები ყოველთვის საგულდაგულო წყაროთმცოდნეობით დამუშავებას საჭიროებს.

წყაროები თავისი ხასიათით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. ისინი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ყველაზე საგულისხმო მაინც წერილობითი ძეგლებია. მაგრამ ზოგჯერ მეცნიერებს წერილობითი ძეგლების წაკითხვა უჭირთ (მაგალითად, *მაიას* ხალხის წერილობითი ძეგლები). წერილობითი წყაროები შეიძლება სხვადასხვა საგნებზე იყოს დაფიქსირებული – თიხის ფირფიტებზე (*შუმერების, ხეთების*ა და სხვა ძველი ხალხების წერილობითი დოკუმენტები), პაპირუსებზე (*ძველი ეგვიპტე*), ქვის სტელებზე (ძვ. წ.-ის VI საუკუნის *ბეხისტუნის* სამენოვანი წარწერები ირანში), პერგამენტზე (განსაკუთრებული წესით დამუშავებული ტყავი) და, ბოლოს, ქაღალდზე. ბევრი წერილობითი წყარო არქივებშია თავმოყრილი, ბევრიც უკვე გამოქვეყნებულია. წყაროებისადმი მკვლევარის დამოკიდებულება არსებითად დამოკიდებულია იმაზე, შეიცავს თუ არა წყარო რაიმე ახალსა და ჯერ კიდევ აქამდე უცნობ ამბებს. ამიტომ წყაროები, რომლებსაც მიაკვლიეს არქივებში ან შეკრებილია ექსპედიციის დროს ველზე, ჩვეულებრივ, უფრო ფასდება, ვიდრე უკვე გამოქვეყნებული და არაერთხელ ანალიზირებული წყაროები. თუმცა პირიქითაც ხდება: ახალი თეორიისა და მეთოდოლოგიის გამოყენებისას სხვა წყაროებთან შეპირისპირებით უკვე ცნობილი ძეგლები შესაძლებელია აქამდე უცნობი თვალსაზრისით „გადაგვეშალოს“ და მათმა განმეორებითმა შესწავლამ ახალ აღმოჩენამდეც კი მიგვიყვანოს.

ეთნოლოგიურ / ეთნოგრაფიულ წყაროებზე მუშაობა იწყება მისი კრიტიკული განხილვით (ე. წ. წყაროების კრიტიკა). ყოველგვარ გამოკვლევას, პირველ რიგში, წინ უნდა უძღოდეს მკაცრი და გულმოდგინე წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. წყაროს კრიტიკის მთავარი ამოცანაა დადგიდეს, შეიცავს თუ არა ის ეთნოლოგიურ ინფორმაციას და თუ შეიცავს რანაირად შეიძლება ის გამოყენებულ იქნას სამეცნიერო კვლევაში. აუცილებელია წყაროს წარმომოშობის, ავტორის ვინაობის გარკვევა, როგორ პირობებში შეიქმნა წყარო და რა რამდენად იმსახურებს ის ყურადღებას. მაგალითად, შესანიშნავ ეთნოლოგიურ წყაროდ მიიჩნევენ *ნ. ხარუზინის* წიგნს „რუსეთის ლოპარები“ (1890), რომელიც მოიცავს მასალებს ლოპარების დასახლების ფორმების, საცხოვრებელი ნაგებობების, რწმენა-წარმოდგენებისა და ფოლკლორის შესახებ, რადგან ის დაწერილია პროფესიონალის მიერ ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. ხოლო ამის საპირისპიროდ ნაკლებად სანდოა ბევრი მოგზაურის, ვაჭრისა და სხვა დამკვირვებლის დილეტანტური ჩანაწერები, თუმცა ისინიც ხშირად შეიცავენ ღირებულ მონაცემებს. ეთნოგრაფიული მასალების სამაგალითოდ დაფიქსირების მშვენიერი ნიმუშები გვაქვს ქართულ ეთნოლოგიაში. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ *ალექსი ოჩიაურის* ფშავ-ხევსურული მასალები, რომელიც ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივშია მოთავსებული. ამ ეთნოგრაფიული წყაროს ნაწილი დაბეჭდილიცაა. *ალ. ოჩიაურის* მასალების სანდოობის ხარისხს ისიც ზრდის, რომ ის თვითმხილველიც გახლდათ ბევრი ეთნოგრაფიული ფაქტისა და მოვლენისა. ამავე დროს ის ეთნოგრაფიულ მასალებს კრებდა *ვერა ბარდაველიძის* მიერ შედგენილი კითხვარებით. შესანიშნავ პირველწყაროს წარმოადგენს აგრეთვე *ნათელა ბალიაურის* „სწორფრობა ხევსურეთში“. ესაა პირველხარისხოვანი წყარო, რადგან, გარკვეული მიზეზების გამო, აქამდე ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართ მხოლოდ არასრულყოფილი და ფრაგმენტული მონაცემები გააჩნდათ. სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა *რუსუდან ხარაძის* ხევსურული ეთნოგრაფიული მასალებიც, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა რამდენიმე ნაწილად. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს წვრილი ხელოსნობისა და შინამრეწველობის ხუთტოეულის შესახებ. ამ მასალების შეკრების ინიციატორი გახლდათ *ივანე ჯავახიშვილი*, რომლის შედგენილი პროგრამით სპეციალურად მომზადებული პირებისაგან ხდებოდა ამ მონაცემების შეგროვება. პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს ასევე *აკაკი შანიძის* მიერ XX საუკუნის 10-იან წლებში შეგროვებულ ხევსურული პოეზიის ნიმუშებს, რომელიც გამოცემულია. ხევსურული პოეტური ქმნილებების სანდოობა იმითაც განისა-

ზღვრება, რომ ისინი რეალურ ვითარებას ასახავდა და თაობების განმავლობაში არ იცვლებოდა.

ამა თუ იმ წყაროს ყურადღება უნდა მიექცეს საკვლევი თემის ამოცანებიდან გამომდინარე. მაგალითად, *თათრებისა* და *ჩუვაშების* ეთნოგენეზის კვლევისას აუცილებელია იმ წყაროების მოძიება, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს ძველი თურქების, მათგან ბულგარული ტომების გამოყოფის, ა. წ.-ის I ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედში *ბულგარების* შუა ვოლგაზე გადასახლების, მათ მიერ ფინური ტომების დაქვემდებარების, მათზე XII-XIV საუკუნეებში ყივჩაღების ზემოქმედების შესახებ.

ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების კვლევისას მეცნიერები მიმართავენ კლასიკურ წერილობით, ნარატიულ (თხრობით) წყაროებს. ამ მხრივ, მეცნიერები სანიმუშოდ ხშირად მიუთითებენ I-II საუკუნეების მწერლისა და ისტორიკოსის *ტაციტის* თხზულებებს, რომლებშიც თავმოყრილია პალეოეთნოგრაფიული ხასიათის ფასეული მონაცემები. რამდენადაც მისი ნაშრომები გაჯერებულია ეთნიკური ინფორმაციებით, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტზე, რომ წყაროში ხალხთა 150-ზე მეტი ეთნიკური სახელწოდებაა (ეთნონიმი) მოხსენიებული, რომლებიც იმ პერიოდის ოიკუმენში იყვნენ ცნობილი. უფრო „ეთნოლოგიურად“ მიიჩნევენ *ტაციტის* ტრაქტატს „გერმანია“, რომელშიც იმდროინდელი ცენტრალური და ნაწილობრივ სამხრეთი და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის ნამდვილი ეთნიკური „პორტრეტია“ დახატული. ავტორი აღწერს გერმანული და სხვა ტომების განსახლებას, მათ სამეურნეო საქმიანობას, სამხედრო პოტენციალს, აგრეთვე ზნეობრივ იერს. *ტაციტი* საუბრობს გერმანელების ქორწინების შესახებ და აღნიშნავს, რომ ისინი ერთი ცოლით კმაყოფილდებიან. მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ ფაქტს წარმოადგენს მისივე მონათხრობი გერმანელთა სტუმართმოყვარეობის შესახებ.

ეთნოლოგიური მონაცემები დაუნჯებულია ქართულ წერილობით ძეგლებშიც. პირველივე ლიტერატურულ ნაწარმოებში – „შუშანიკის წამება“ – არაერთი ეთნოგრაფიული რეალიაა დაცული. *ვახუშტის* თხზულება კი ასეთი მონაცემებით დახუნძლულია არა მხოლოდ ქართველთა შესახებ, არამედ ჩრდილოეთ-კავკასიური ეთნოსების შესახებაც.

ფეოდალიზმის ეპოქაში ბევრი სხვადასხვაგვარი წყარო შეიქმნა, რომლებიც შეიცავენ მაშინდელი ეთნოსების ცხოვრების სხვადასხვა მხარეს: ქრონიკები (მატიანეები), მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები, სამართლებრივი დოკუმენტები და სხვა ძეგლები.

ეთნოლოგიურ წყაროებს შორის არსებითია ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში შეკრებილი მასალები და მონაცემები. ექსპედი-

ციებში შეკრებილ მონაცემებს, ჩვეულებრივ, საველე მასალებს უწოდებენ. ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომში საველე მასალების გამოყენება (განსაკუთრებით ავტორის მიერ შეკრებილი) ამაღლებს ასეთი ნაშრომის ღირებულებას. როდესაც ეთნოგრაფიულ ექსპედიციებზე საუბრობენ, ჩვეულებრივ, წარმოიდგენენ შორეულ მოგზაურობას, სხვა კულტურის მატარებელ ადამიანებთან შეხვედრებს და მოგზაურობაში სხვა მიმზიდველი მხარეების გაცნობას. ბუნებრივია, ეს ყველაფერი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეთნოლოგიური ექსპედიცია – ეს უპირველეს ყოვლისა რთული და ხშირად დამღლელი შრომაა რეგიონის მოსახლეობის, მისი ტრადიციული კულტურის შესახებ, რომელსაც ექსპედიცია იკვლევს. ექსპედიციაში მუშაობა ითვალისწინებს ინფორმატორებთან (რესპოდენტებთან) საუბრებს, მატერიალური კულტურის (დასახლება, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სამოსი და მორთულობა, ავეჯი და საკვები და ა. შ.) საგნების ფიქსაციას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყოფაქცევითი ელემენტების, ოჯახის და საოჯახო ცხოვრების (წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რიტუალები და ა. შ.) აღწერას, ფოლკლორული ნიმუშების ჩაწერას, ენობრივი მონაცემების, მოსახლეობის ფსიქოლოგიური თავისებურებების აღრიცხვას და ა. შ. მაგრამ „ველზე“ მეცნიერი ეთნოლოგი ნაუცბათევად არ გადის – მას წინ უძღვის საგულდაგულო სამზადისი. უპირველ ყოვლისა, ეთნოლოგები ცდილობენ მათ მიერ შესასწავლი ხალხის შესახებ არსებული მასალების შეგროვებას (დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები) და ეთნოლოგიური კოლექციების გაცნობას. შემდეგ ისინი ადგენენ საკვლევ პროგრამებს, კითხვარებს, რომელთა საფუძველზედაც მეცნიერები ინფორმატორთაგან საჭირო მასალებს მოიპოვებენ. (ქართველი ეთნოლოგები ინფორმატორს *მთხრობელს* უწოდებენ, ფოლკლორისტები – *მთქმელს*).

ეთნოლოგს / ეთნოგრაფს, რომელიც ველზე მასალებს აგროვებს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო მომზადება. საველე, საკვლევი სამუშაოები პირდაპირ დაკვირვებასა და მთხრობელებთან კითხვარებით საჭირო თემაზე მონაცემების შეკრებას ითვალისწინებს. უპრიანია მთხრობელთან იმ დროს მუშაობა, როდესაც ის ისვენებს ან ისეთ სამუშაოს ასრულებს, რაც მას თხრობაში ხელს არ შეუშლის (მაგალითად, ქსოვა, კალათისა თუ გოდრის კეთება და ა.შ.). საველე სამუშაოები შეიძლება მიმდინარეობდეს ერთ ადგილზე (სტაციონარული), ან იყოს სამარშრუტო ექსპედიცია. ქართველი ეთნოლოგები უფრო ხშირად შერეული ტიპის ექსპედიციებს ანიჭებდნენ უპირატესობას. სტაციონარში გაჩერების შემდეგ წინასწარ შედგენილი მარშრუტით სოფლებში სათანადო მასალებს აგროვებდნენ. პირველი ეთნოლოგიური სტა-

ციონარი ხევსურეთის სოფელ ბარისახოში *გიორგი ჩიტაიამ* შ-ქმნა. ხანგრძლივად არსებობდა ეთნოლოგიური სტაციონარი თი-ანეთის რაიონის დაბა სიონში. ის *ჯ. სონღულაშვილის* ინიცი-ატივით შეიქმნა და ადგილზე დიდძალი ეთნოგარაფიული მასა-ლა შეგროვდა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მასალა ისტორიის ინს-ტიტუტის არქივში არ ინახება. პირველყოფილ ხალხებთან მუ-შაობისას კოლონიური ქვეყნების ეთნოლოგები / ანთროპოლო-გები უპირატესად სტაციონარულ მუშაობას ანიჭებდნენ უპირა-ტესობას. ასეთი სახის სტაციონარულ სამუშაოები ხანგრძლი-ვად, რამდენიმე თვის ან ერთი წლის განმავლობაში მიმდინა-რეობდა, რადგან ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებასთან ერთად მკვლევარებს მათვის უცხო, ადგილობრივი ხალხის ენაც უნდა შეესწავლათ (დასაკვირვებელ, შესასწავლ ჯგუფში ხანგ-რძლივი მუშაობით და ადგილობრივთა ენის შესწავლით მკვ-ლევარი უფრო ღრმად იხედებოდა ხალხის კულტურაში). ქართ-ველი ეთნოლოგები ძირითადად ქართულ ეთნოლოგიურ რეალი-ებს იკვლევდნენ და მათ ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივი საველე სამუშაო თითქმის არც დაუგეგმავთ. თუმცა თანამედროვე ქარ-თული ეთნოლოგიის ფუძემდებელი *გიორგი ჩიტაია* ეთნოლო-გებისაგან ველზე მუშაობას წლის სხვადასხვა დროს მოით-ხოვდა; განსაკუთრებით ნაყოფიერად მიიჩნევდა მასალების ზამ-თარში შეკრებას, რადგან სოფელში ამ დროს ინფორმატორები / მთხრობელები ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა-გან თავისუფლები იყვნენ.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ საექსპედიციო და-კვირვების გზით მიღებულ წყაროებს მნიშვნელოვანი სპეციფი-კური თვისება აქვს: ისინი იქმნება მკვლევართა მიერ საექსპე-დიციო სამუშაოების დროს. ეთნოლოგები რამდენადაც უფრო გულმოდგინედ შრომობენ, უფრო ყურდღებით აკვირდებიან და ზუსტად აფიქსირებენ ექსპედიციაში დაკვირვების ობიექტებს, მით უფრო შინაარსიან და ფასეულ წყაროებს ქმნიან. რა თქმა უნდა, ყველა ეთნოლოგიური (ეთნოგრაფიული) წყარო ასე თუ ისე შექმნილი ან შეკრებილია ადამიანის მიერ – წერილობითი დოკუმენტები, მუზეუმებში მოთავსებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციები, ფოლკლორული ნაწარმოებები ან მოსახლეობის აღწერისას გამოკითხულთა შევსებული ფურცლე-ბი. თანამედროვე მკვლევარებს წარსულში შექმნილი წყაროების შეცვლა არ ძალუძთ. სულ სხვა ვითარება გვაქვს, როდესაც მე-ცნიერი საექსპედიციო (საველე) წყაროს თავად ქმნის, თვითონ ამზადებს და ატარებს ექსპედიციას. ასეთ შემთხვევაში მკვ-ლევარს შესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს საველე წყა-როს შექმნის პროცესზე. ამდენად, დიდია ექსპედიციის ორგანი-ზატორისა და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა მოპოვებული

მასალის / წყაროს ხარისხზე. საველე საექსპედიციო საქმიანობა ითვალისწინებს აგრეთვე ველზე ტექნიკური საშუალებების გამოყენებას – ფოტოგრაფირებას, კინოფილმების გადაღებას, ხმის ჩაწერას, ვიდეოფილმების გადაღებასა და ა. შ. ექსპედიცია ითვალისწინებს მხატვრის მონაწილეობას. ისინი ასრულებენ ეთნოგრაფიული ნივთების ჩანახატებს. საქართველოს ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მხატვრები თითქმის ყოველთვის იყვნენ ჩართული, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია *გ. ჩიტაიასა* და *ვ. ბარდაველიძის* მიერ ორგანიზებულ ექსპედიციებში მხატვარ *ნ. ბრაილაშვილის* მონაწილეობა, რომლის ნახატები ალბომის სახით დაბეჭდილია და ამ ალბომს ქართველთა მატერიალური კულტურის ისტორიის შესასწავლად პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობას იღებდა ცნობილი მხატვარი *ზურაბ წერეთელი.* შესანიშნავი ალბომი შექმნა ერწო-თიანეთის ექსპედიციაში *ნ. თენეიშვილმა.*

საველე-საექსპედიციო და ინდივიდუალური საველე მივლინება გარკვეულწილად მეცნიერისა თუ კორესპონდენტის სპეციალურ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც გულისხმობს. ქართველი ეთნოლოგები საველე-საექსპედიციო სამუშაოებს ძირითადად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესა და ჩრდილოეთ კავკასიაში ატარებდნენ. *გიორგი ჩიტაია* ხშირად აღნიშნავდა, რომ არქეოლოგს ურთიერთობა აქვს მკვდარი კულტურის ძეგლებთან, ხოლო ეთნოლოგს ამა თუ იმ კულტურის მატარებელ ცოცხალ ადამიანთან (ამერიკელი *კ. კლაკხონიც* აღნიშნავდა: „ისინი, ვინც ნანგრევებს თხრიან, „არქეოლოგებად“ იწოდებიან, ისინი, ვინც ინდიელთა თავებში იქექებიან – „ეთნოლოგებად“ ან „სოციალურ ანთროპოლოგებად“, ისინი, ვინც თავის ქალებს ზომავენ – „ფიზიკურ ანთროპოლოგებად“). ადამიანებთან ურთიერთობას კი გარკვეული გამოცდილება, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა სჭირდება. ძველი ამბების, ტრადიციების მცოდნე ადამიანის მოძებნის შემდეგ, შესაძლებელია მთხრობელი იმ დროს სხვა საქმიანობით იყოს დაკავებული, ან მას მეცნიერისათვის ინფორმაციის მიწოდების სურვილი არ ჰქონდეს. ექსპედიციაში მეცნიერი მთხრობელის, ინფორმატორის საკარმიდამო სამუშაოებსაც არ უნდა მოერიდოს; ამგვარი მოქმედება რესპოდენტის ნდობას მეცნიერისადმი მნიშვნელოვნად აამაღლებს.

მეცნიერის მიერ მასალის მოპოვების ტექნიკა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს: მკვლევარის მუშაობა მთხრობელთან პირისპირ, ერთი ერთთან და ჯგუფთან ერთად მუშაობა. ჯგუფთან მუშაობისას ინფორმატორები ხშირად ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ ამა თუ ფაქტსა თუ გადმოცემას, წინაპართაგან გადმოცემულ ინფორმაციას. კიდევ ერთი გარემოებაა გა-

სათვალისწინებელი: ქართველ ეთნოლოგს უშუალო კავშირი, ურთიერთობა თავის თანამემამულეებთან, წინაპართა მიერ შექმნილ ეთნიკურ კულტურასთან აქვს; ის ყოველთვის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დამფასებელია და ამავე დროს განსაკუთრებული ეთნიკური ცნობიერება გააჩნია. არ შეიძლება არ გავიხსენო თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებში – *ტაო-კლარჯეთში* მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციები. ამ ექსპედიციებმა, სამშობლოს მოწყვეტილ ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთობამ ეთნოლოგის კიდევ ერთი ფუნქცია დაგვანახა – ადგილობრივი ყოფითა და კულტურით ქართველი მეცნიერების დაინტერესება მათში ეთნიკურ ცნობიერებას აღვიძებს.

ქართული ეთნოლოგიის მესვეურნი სრულიად სამართლიანად მკაცრად მოითხოვდნენ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებსა და ველზე ინდივიდუალური სამეცნიერო მივლინებებში მოპოვებული მასალების იმავე საღამოს გადათეთრებას. კანონით ეს გადათეთრებული ეთნოგრაფიული მასალები ექსპედიციის დამფინანსებელი ორგანიზაციის არქივს უნდა ჩაბარებოდა, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, მოსკოვის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში. მაგრამ იმ მოტივით, რომ საველე მასალაზე თავად მომპოვებელი მუშაობდა, სამეცნიერო ორგანიზაციის არქივს მას არ აბარებდნენ. შედეგად XX საუკუნის მთელ მანძილზე შეკრებილი უნიკალური ინფორმაციის შემცველი ეთნოგრაფიული მასალები შთამომავლობას დაეკარგა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი მხოლოდ ცნობილი ეთნოლოგი *ჯულიეტა რუხაძე* გახლდათ.

ეთნოლოგიური გამოკვლევები ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიულ წყაროებს არ ეყრდნობა – მეცნიერი ეთნოლოგები სხვა ტიპის წყაროებსას იყენებენ დამხმარე წყაროებად. ამ მიზნით ეთნოლოგის თვალთახედვის არეში სხვა დისციპლინები – ფიზიკური ანთროპოლოგია, გეოგრაფია (მისი თითქმის ყველა მიმართულება), არქეოლოგია, ისტორია, ლინგვისტიკა (მაგალითად, დიალექტოლოგია, ონომასტიკა), ფოლკლორის მონაცემები – ექცევა. ჩამოთვლილი დარგების მასალები ხშირად ძვირფასი წყაროა ეთნოლოგიური კვლების განხორციელებისას. მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული / ეთნოლოგიური მონაცემებია დაცული შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო დოკუმენტებში, სამართლის ძეგლებში, აღწერის დავთრებში.

ეთნიკური ინფორმაციების შემცველია აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა და სხვა შემოქმედი ადამიანებისა თუ შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შექმნილი ნაწარმოებები. ეს ყველაფერი შეიძლება ეთნოლოგიური თვალსაზრისით იქნას შესწავლილი. ეთნოგრაფიული ფაქტებით გაჯერებულად მიიჩნევენ *პროსპერ მერიმეს* შემოქმედებას. ქართველ მწერალთაგან ამ

თვალსაზრისით ფრიად ნიშანდობლივია *ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლომოურის, გოდერძი ჩოხელისა* და სხვათა შემოქმედება. ეთნოლოგთათვის მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ძველი მხატვრობის, სკულპტურული ნამუშევრების, საფლავის ძეგლების შესწავლა. მაგალითად, ანტიკური პერიოდის ქანდაკებები სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ადამიანის სამოსის შესახებ – აშკარაა, რომ ევროპელი მამაკაცებისათვის მაშინ შარვალი უცნობი იყო. არც შუა საუკუნეების ქართველი მამაკაცის სამოსი იყო შარვალი. ამ დასკვნის საფუძველს კი უამრავი ფრესკა გვაძლევს, რომლებზედაც საერო პირები (ხშირად ქტიტორები) არიან გამოხატული. მამაკაცის ძირითადი სამოსი კაბა იყო, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდათ ან მუხლების ქვემოთაც გრძელდებოდა. ფეხებზე სითბოს შესანარჩუნებლად კი გრძელ წინდებს იცვამდნენ. მოგვიანებით მამაკაცის ჩაღილულ კაბაზე მკერდის არეში მასრების ჩასაწყობის მიკერებამ ქართული ჩოხის შექმნამდე მიგვიყვანა, რაც, თავის მხრივ, ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ განაპირობა. სამოსი და შრომის იარაღები გამოსახულია საფლავის ქვებზეც. ასევე შეიძლება თვალყური გავადევნოთ ბავშვის საწოლის განვითარებას. დგინდება, რომ აკვანში არტახი და შიბაქი გვიანდელი მოვლენაა და ქართველი ბავშვები თავდაპირველად უფრო თავისუფლად იზრდებოდნენ. ზემოთ საფლავის ქვები ვახსენეთ. გარდა იმისა, რომ საფლავის ქვებზე ხშირად გამოხატულია მთელი რიგი პროფესიებისათვის დამახასიათებელი იარაღები, მასზე მოთავსებული წარწერებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. მაგალითად, სოფელ *დიღმის თეთრი გიორგის* სასაფლაოს ერთ-ერთ საფლავზე, რომელშიც განისვენებს *მტრედაძის* გვარის ადამიანი, 1905 წელს შესრულებული ასეთი წარწერაა: „ღმერთო, *სამშობლო კარგათ მიმყოფე.*“ ეს ჩვეულებრივი გლეხის საფლავის ქვაა. წარწერიდან აშკარად ჩანს იმდროინდელი ადამიანის სამშობლოსადმი დამოკიდებულება, თანამედროვე მეცნიერებაში მენტალობას რომ უწოდებენ.

ეთნოლოგთათვის მნიშვნელოვანი წყაროა ენა, უფრო სწორედ ენის ეთნოლოგიური შესწავლა. ენა ხალხის კულტურული ავლადიდების ცოცხალი მაჩვენებელია. გრამატიკა ლინგვისტიკის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ენა ხალხის ცხოვრების ნათელი გამოხატულებაა, მისი კულტურული ნასესხობები, მისი მეზობლური ურთიერთობები – ეთნოლოგისათვის ფასდაუდებელი მასალაა. მაგალითად, -მა-თი დაბოლოვებული კერძების სახელები სხვადასხვა ხალხში თურქული ენიდანაა გავრცელებული: *ყაურმა, ჩიხირთმა, შაურმა, ხაშლამა, ტოლმა...* არადა ქართველებიც, სომხებიც და ბალკანეთის ხალხებიც ჩინებულ *ტო-*

ლმას აკეთებენ და ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ის (და ზემოთ დასახელებული სხვა კერძებიც) ამ ხალხებში თურქთაგან გავრცელდა. ეთნოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახელების შესწავლას. როდესაც სახელებზე ვსაუბრობთ, მასში პიროვნული სახელებიც იგულისხმება და მემკვიდრეობითი სახელებიც (გვარსახელები). ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მიმართულებაც კი გაჩნდა, რომელსაც *სახელების ეთნოლოგიას* უწოდებენ. ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით – სომხური და ქართული ანთროპონიმების შესწავლით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებიდან როგორც ერთ, ისე მეორე ენაში დიდი რაოდენობით იყო შესული სპარსული საკუთარი სახელები, რაც პირდაპირ მიუთითებს ამ ხალხებზე სპარსული კულტურის გავლენაზე. საყურადღებოა, რომ სახელებით, როგორც ენობრივ-ლექსიკური მოვლენებით, ძველ ხალხთა ეთნიკურობისა და ეთნოგენეზის საკითხებსაც არკვევენ. უმეტეს შემთხვევაში სახელითა და გვარსახელით, საერთოდ ანთროპონიმიული მოდელით, ადამიანთა ეთნიკურობა და რელიგიური მიკუთვნებულობაც ირკვევა.

ფილოლოგიური მეთოდი ბევრი ეთნოლოგიური მოვლენის ახსნის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში ეთნოლოგებს ის ხალხთა ჯგუფების ნათესაობისა და ურთიერთქმედების გამოვლენის საშუალებას აძლევს. ენაში ასახულია ხალხების კულტურული სიმდიდრე, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის. ადგილების სახელწოდებათა ლინგვისტური შესწავლაც ეთნოლოგთათვის დიდმნიშვნელოვანია. მაგალითად, რუსეთში -ვა-ზე დაბოლოვებული ტოპონიმები ოდესღაც აქ ფინელების მკვიდრობაზე მიუთითებს, ხოლო გერმანიაში -ც სუფიქსი – სლავური ტომების ბინადრობაზე.

არაპირდაპირი (ინსტრუმენტული) დაკვირვების კიდევ ერთ ხერხია მასობრივი ეთნოლოგიური გამოკვლევა, რომლის დახმარებითაც იქმნება მასობრივი, სტატისტიკის ნიშნადი წყარო. ეთნოლოგები ყოველთვის ინტუიციურად ასკვნიდნენ, რომ მრავალი ერთგვარი ფაქტის გამოვლენა კანონზომიერი ემპირიული ტენდეციის გამომხატველია. ამიტომ ეთნოლოგიასა და ეთნოსოციოლოგიაში ეთნოლოგიური მასლის შეკრებისა თუ ანალიზისას ფართოდ გამოიყენებენ მათემატიკური და სოციალური სტატისტიკის მეთოდებს. ამიტომ წყაროებად იყენებენ ისეთ საკვლევ საშუალებებს, როგორებიცაა ანკეტები, „გამოკითხვის ფურცლები“, კითხვარები, რომლებსაც მასობრივი გამოკვლევების ჩატარებისას ავსებენ. ანკეტირებას უფრო ხშირად დიდი ჯგუფების შესწავლის დროს იყენებენ. ბუნებრივია, ეს მეთოდი შედარებით ახალია, რადგან წერა-კითხვის უცოდინარ საზოგადოებაში ანკეტირების მეთოდის გამოყენება შეუძლებელია.

I.4. ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები

ყველა მეცნიერებას კვლევის თავისი მეთოდი გააჩნია და ამა თუ იმ მეცნიერების საფუძვლების გაცნობა მისი მეთოდების გაცნობასაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას გარკვეული სიძნელეები ახასიათებს, რადგან ის მხოლოდ კაბინეტურ მუშობით არ შემოიფარგლება – ეთნოლოგს ხანგრძლივად საკუთარი კერისაგან შორს, „ველზე" უხდება საჭირო მასალების / მონაცემების მოპოვება. ამასთანავე ის მოიპოვებს სხვადასხვა ტიპის წყაროებს. როგორც უკვე აღინიშნა, ველზე გასვლის წინ კი ეთნოლოგი საგულდაგულოდ ემზადება, კითხვარებს ქმნის; კარგი კითხვარით მოპოვებული მასალა კი ნახევრად გაკეთებული საქმის ფარდია. საინტერესო საველე მასალა, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არ არის ეთნოლოგიური მეცნიერება. მეცნიერება იწყება იქ და იწყება მაშინ, როდესაც წყაროთა შესწავლისა და გამოყენების მეთოდები ნათლადაა ფორმულირებული, სათანადოდაა გამოყენებული და მათ საფუძველზე თეორიული დასკვნების მიღებაა შესაძლებელი. ამასთანავე მიღებული თეორიული დასკვნები ეთნოლოგიაში ეთნოსებისა და მისი ცალკეული ჯგუფების არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ თანამედროვე ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს. მეთოდების მთავარი ფუნქცია უტყუარი ცოდნის მიღებაა. ამრიგად, დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგიური კვლევის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიას. *მეთოდი* ბერძნული სიტყვაა და *კვლევას, შემეცნების გზას* ნიშნავს.

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში რამდენიმე მეთოდს გამოიყენებენ. ისინი განსხვავდება ახალი ინფორმაციის, ცოდნის მოსაპოვებლად საკითხის დასმის დონითა და ხასიათით. რადგანაც ეთნოლოგიური კვლევა-ძიება ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეტაპს გულისხმობს (საველე, ანუ ცოცხალ ყოფაში მასალების შეგროვება და კამერალური, ანუ შეგროვებული მასალების საფუძველზე განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნა). ამდენად, მეცნიერების ამ დარგში ცალ-ცალკე გვაქვს საველე მუშაობის, ანუ წყაროების მოძიების მეთოდი და საკვლევაძიებო მეთოდი. კვლევის თემატიკის შესაბამისად, ეთნოლოგები იყენებენ აგრეთვე ინტერდისციპლინარულ მეთოდებს, მაგალითად, სოციოლოგიურ მეთოდებს და სხვ.

მანამ, სანამ უშუალოდ შევეხებით ეთნოლოგიური კვლევის მეთოდებს, მოკლედ უნდა შევეხოთ ქართველი ეთნოლოგიაში გამოყენებულ მეთოდს, რომლის ავტორიც თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი *გიორგი ჩიტაია.* მის მიერ შემუშავებული **კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის** მეთო-

დით უკვე 90 წელია ქართველი ეთნოლოგები სამეცნიერო გამოკვლევებს ქმნიან. *გ. ჩიტაიას* განმარტებით, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენება გულისხმობს ეთნოლოგიური მოვლენების შესწავლას ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის გამოყენებისას ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე ტერიტორიის მქონე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით დაფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა თუ დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი და სხვ.) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიც ბრძოლაა გაჩაღებული ძველსა ახალ მოვლენებს შორის. ამასთანავე მოვლენების ფიქსაციის დროს, მათი სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობის ნაცვლად, აუცილებელია ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა.

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ყველაზე ფართოდ ორი მეთოდი – *შედარებით-ისტორიული* და *სტრუქტურულ-ფუნქციური* – გამოიყენება. *შედარებით-ისტორიული (კომპარატივისტული) მეთოდი* შემუშავებულია ევოლუციონისტური სკოლის ფუძემდებელთა მიერ. ამ მეთოდის არსი ის არის, რომ წარსულ ეპოქათა რეკონსტრუქციისათვის გამოიყენება თანამედროვეობისა და უახლოესი წარსულის მასალები. ეს მასალები მეცნიერთა მიერ განიხილებოდა როგორც შორეული წარსულის გადმონაშთები, რელიქტები. ადამიანთა საზოგადოების მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციური განვითარების ზოგადი სურათის აღდგენისას შეიძლება დავეყრდნოთ განსხვავებული ხალხების ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს. შედარებით-ისტორიული მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური იყო პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის, რელიგიის ისტორიისა და სხვა პრობლემების რეკონსტრუქციისას. შედარებით-ისტორიული მეთოდით, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილი იყო ხალხთა კულტურების განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ადგილობრივი სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა კი, გეოგრაფიული ფაქტორი. სადავოა ხალხებისათვის სისხლხორცეულად დამახასიათებელი ამა თუ იმ მოვლენის ცალსახად გადმონაშთად მიჩნევა. გაურკვეველია, რა აცოცხლებდა ამ „გადმონაშთებს“ საუკუნეთა განმავლობაში. შედარებით-ისტორიული მეთოდი დროთა განმავლობაში დაიხვეწა, ამ მეთოდის ბაზაზე წარმოიქმნა სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის, *მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის* მეთოდი.

შედარებით-ისტორიული მეთოდით მეცნიერები გამოავლენდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების განვითარების პროცესებში არსებულ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს და ადგენდნენ ამ მსგავსების ან განსხვავების მიზეზებს. ძირითადად გამოიყენებოდა სამი სახის ისტორიული შედარება: ა) *ისტორიულ-ტიპოლოგიური* (იკვლევს კონკრეტული მოვლენების მსგავსებას და სხვადასხვა წარმოშობის მოვლენების მსგავსებას გენეზისისა და განვითარების მსგავსი პირობებით ხსნის); ბ) *ისტორიულ-გენეტიკური* (მოვლენების გენეტიკურ კავშირებს მათ განვითარებაში, ე. ი. დიაქრონიულად სწავლობს) და გ) *ისტორიულ-დიფუზიური* (იკვლევს ნასესხობის გზით გავრცელებულ მოვლენებს). ამ მეთოდით სწავლობენ ერთი ხალხის კულტურულ გავლენას მეორეზე, ცდილობენ დაადგინონ მათი ნათესაობა და გამოავლინონ ისტორიულ პროცესთა საერთო კანონები. შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდი დღესაც ფართოდ გამოიყენება ეთნოლოგიაში, რადგან ეთნოლოგია თავისი არსით შედარებითი მეცნიერებაა. ჯერ ტარდება კულტურის სხვადასხვა ელემენტების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა, ასევე სხვა კულტურებთან ტიპოლოგიურად მსგავსი კომპონენტების კარტოგრაფირება და გავრცელების არეალის დადგენა (როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეებზე). შემდეგი ეტაპია ტიპოლოგიურად განსხვავებული, მაგრამ გენეტიკურად დაკავშირებული კომპონენტების კვლევა უძველეს ფორმებამდე (არქეტიპებამდე). დღეს შედარებით-ისტორიული მეთოდი გამოიყენება როგორც კულტურული ტიპოლოგიის მეთოდი, რომელიც უარყოფს ისტორიული განვითარების ერთიანი კანონზომიერების არსებობას და ყურადღება მახვილდება მსოფლიო ხალხთა კულტურების არა საერთო, არამედ განმასხვავებელ მახასიათებლებზე. ისტორიული მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი არსი ისიც გახლავთ, რომ შესასწავლი ობიექტი განხილულ იქნას მისი ჩასახვის, ჩამოყალიბების, განვითარების პროცესში და მომავალში პერსპექტიული ცვლილების ან გაქრობის თვალსაზრისით.

შედარებით-ისტორიულ მეთოდთან მჭიდროდაა დაკავშირებული *გადმონაშთების მეთოდი* და *ტიპოლოგიური მეთოდი. ტიპოლოგიური მეთოდი* თანამედროვე ეთნოლოგიაში ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. იგი აანალიზებს ეთნიკური მოვლენების ემპირიული მრავალფეროვნების თავისებურებებსა და საერთო მახასიათებლებს. ამ მეთოდის ცენტრალური ცნებაა *ტიპი*, როგორც იდეალური მოდელი, რომელიც მოვლენათა გარკვეული სიმრავლის ზოგიერთ მახასიათებელს ასახავს, მაგრამ წინასწარვე უარყოფს სხვა მახასიათებლებს, როგორც არაარსებითს. ტიპოლოგიური მეთოდი საშუალებას იძლევა ერთგვარი მოვლე-

ნების მთელი ერთობა განხილულ იქნას, როგორც ერთიანი, დახურული სისტემა.

გადმონაშთების მეთოდი ედუარდ ტეილორმა შეიმუშავა. მისი არსი ის გახლავთ, რომ ყველა ხალხის კულტურაში შემორჩენილია წარსულის გადმონაშთები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნები განვითარების უფრო ადრეული საფეხურების შესახებ. გადმონაშთები მიიჩნევა წარსულის ძეგლად ან ცოცხალ მოწმედ. ამ მეთოდით, გადმონაშთების მიხედვით, საკვლევი მოვლენის რეკონსტრუქცია და ჰიპოთეტურად მთელი კულტურული ეპოქების ან სოციო-კულტურული სტადიების აღდგენაა შესაძლებელი. მეთოდი ძალიან პოპულარული იყო ევოლუციონისტთა შორის. დღეს ეთნოლოგთა ძირითადი ნაწილი უარყოფს ამ მეთოდის სამეცნიერო მნიშვნელობას. ისინი თვით გადმონაშთების არსებობას უარყოფენ, რადგან კულტურის ყველა კომპონენტს აზრი მხოლოდ თანამედროვე კონტექსტში აქვს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება უფუნქციო რელიქტად (ასეთია ფუნქციონალისტთა მიდგომა) იქნას აღქმული.

XIX საუკუნის ეთნოლოგიურ (ანთროპოლოგიურ) გამოკვლევებში პოპულარულობით სარგებლობდა ***ფუნქციური,*** ანუ ***სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი.*** მისი არსი ამა თუ იმ კულტურული ელემენტის ან სოციალური ინსტიტუტის მნიშვნელობის (როლის, გავლენის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, *ფუნქციის*) გამოვლენაა ხალხის (ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულის ან სხვა ერთობის) ცხოვრებაში. მისი ამოსავალი იდეა დაკვირვების ობიექტის ელემენტარული სტრუქტურების მიერ გარკვეულ ფუნქციის შესრულებაა სისტემის შიგნით ან უფრო დიდი სტრუქტურებისთვის. ამ მეთოდის მიხედვით, საზოგადოება განიხილება როგორც ფუნქციური სისტემა, რომელიც ხასიათდება ნებისმიერი სისტემის ისეთი ფუნქციით, როგორიცაა სიმყარე. ამას სტრუქტურულმა მიდგომამ შესასწავლი ობიექტის აღნაგობის, აგებულების, მოგვიანებით კი – მასთან და მასში არსებული სოციალურ ურთიერთობათა სისტემების (ქსელების) გამოვლენის აუცილებლობა დაამატა. სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა დადგინდეს სისტემის ფუნქციონირების საერთო, უნივერსალური კანონზომიერებები. სისტემად განიხილება ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი და ორგანიზაცია. სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის ყურადღების ცენტრში სოციალური სტრუქტურის ფუნქციონირებისა და კვლავწარმოების პრობლემებია მოქცეული. სტრუქტურა აღქმულია როგორც ყოველმხრივ ინტეგრირებული და ჰარმონიული სისტემა. სტრუქტურულ-ფუნქციურ მეთოდის მომხრეები თავდაპირველად უარყოფდნენ შესასწავლი ობიექტის ისტორიულ ასპექტს და ყურადღებას მხოლოდ თანამედროვე საკითხებს მიაპყრობ-

დნენ და წინა პლანზე აგრეთვე გამოყენებით, პრაქტიკული თემებსა და საკვლევაძიებო შედეგებს წამოსწევდნენ; მაგრამ გვიან სტრუქტურულ-ფუნქციურ ანალიზში ორგანული შემადგენელი ელემენტი ტიპის ისტორიული შტუდიებიც ჩართეს.

სტრუქტურულ-ფუნქციურ მეთოდს დაუპირისპირდა *სისტემური მიდგომა*, რომლის მიხედვითაც სისტემაში სხვადასხვა ცვლადების არსებობის აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ გარკვეული სტრუქტურის ფუნქცია შეიძლება ამ ცვლადების ზემოქმედებით შეიცვალოს. თანამედროვე სისტემური ანალიზი ორიენტირებულია შედარებით მსხვილი ობიექტების – ეთნოსების, რეგიონებისა და მისი მოსახლეობისა და კულტურის შესწავლაზე, მათი კომპონენტებისგან ელემენტების გამოყოფაზე, მათ შორის ჰიპოთეტური და ნამდვილი კავშირების, ისტორიული და ფუნქციური კავშირების ძიებაზე. სისტემურ მეთოდში ორგანულად აკუმულირებულია ბევრი ფილოსოფიური და საერთო-სამეცნიერო მეთოდოლოგიური და თერიული პრინციპი და იდეა.

ცალკე უნდა აღინიშნოს *ვიზუალური ეთნოლოგიის / ანთროპოლოგიის მეთოდი.* ვიზუალური ეთნოლოგია / ანთროპოლოგია ინტერდისციპლინარული დარგია, რომელიც დოკუმენტური კინემატოგრაფიისა და ჰუმანიტარული დარგების გასაყარზე დგას. ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანია ეთნოგრაფიული ფოტოების, ჩანახატების, ეთნოგრაფიული ფილმების შექმნა და ანალიზი, რასაც დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვიზუალური ანთროპოლოგიის საველე მეთოდები იგივე ეთნოგრაფიული საველე მეთოდებია. ძირითადი განსხვავება ვიზუალურ ანთროპოლოგიასა და „ნარატიულ“ ეთნოლოგიას შორის ის არის, რომ ვიზუალური ანთროპოლოგია კვლევის შედეგს ვიზუალურად წარმოადგენს. ვიზუალური ეთნოლოგიის მეთოდით შექმნილი ნაშრომები ქართულ ეთნოლოგიაშიცაა შექმნილი. მაგალითად შეიძლება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციებზე *მირიან ხუციშვილის* შექმნილი ფილმები დავასახელოთ, რომლებიც ძირითადად სქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს ეძღვნება: „ფშავი“, „თუშეთი“, „საინგილო“, „მთიულეთ-გუდამაყარი“, „ხევსურეთი“, „სვანეთი“, „აფხაზეთი“, „თიანეთი“, „სამცხე-ჯავახეთი“, „კახეთი“, „ქართლი“, „რაჭა-ლეჩხუმი“. ამის გარდა, *მ. ხუციშვილმა* თემატური ფილმებიც შექმნა: „ბერიკაობა საქართველოში“, „ლაშარის სალოცავი თიანეთში“. მანვე შექმნა ფილმი დაღესტანსა და ოსეთზე. აღსანიშნავია ცნობილი დოკუმენტალისტი რეჟისორის *სოსო სტურუას* მრავალრიცხოვანი (40-ზე მეტი) ეთნოგრაფიული ფილმი, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენისა და ტრადიციისადმი ან ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხა-

რისადმია მიძღვნილი. შეიძლება დავასახელოთ: „მაჭახელი“, „იალაღობა აჭარაში“, „სარფი მოლენი“, „საახალწლო ჩვეულებანი“, „შორ ვართ“, „მარიობა არ დაგვიშლია“, „მეცხვარის ნაბადი“, „სვანური ქუდი“, „ჭუნირი“, „გუდის ყველი“, „აჩაჩა ურემი“, „შავშეთურები“, „კაკ-ენისელი“, „მექვევრეები“, „მარანი“, „ქალამანი“, „მეთუნეობა“, „დამბალხაჭო, „ჭიბონი“, „ტენილი ყველი“, „კალო“ და მრავალი სხვ. დასახელებული ეთნოლოგიური ფილმები, ფაქტობრივად, ფილმ-სახელმძღვანელოებია საქართველოს ეთნოლოგიის შესახებ. ამ ფილმებში ბევრი ეთნოგრაფიული რეალიაა წარმოდგენილი და მთელი სიზუსტითაა ნაჩვენები დღეს უკვე ყოფიდან გასული და მივიწყებული ესა თუ ის კულტურული მოვლენა. მაგალითად, დღეს *ქალამნს* უკვე აღარავინ ამოასხამს, ფილმში კი მისი დამზადების პროცესი სრულყოფილდაა ნაჩვენები. რაც მთავარია, *სოსო სტურუამ* ეთნოგრაფიული ფილმები შექმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზეც და მათ მკვიდრებზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის ეთნოლოგიაშიც, ფართოდ დანერგა *მათემატიკური მოდელირების მეთოდი.* მათემატიკურ მოდელირებას ხშირად მიმართავენ ეთნოსოციოლოგიური საკითხების კვლევისას.

ეთნოლოგები იყენებენ *სტატისტიკურ მეთოდს.* ეს არის შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და მისი სამეცნიერო ანალიზის გზით საზოგადოებრივი კანონზომიერებების გამოვლენის მეთოდი.

ჩამოთვლილი მეთოდებიდან მხოლოდ რომელიმე ერთზე დაყრდნობით ეთნოლოგიური კვლევა პრაქტიკულად არ ხორციელდება. უმეტესწილად, საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, მკვლევარი რამდენიმე მეთოდს ირჩევს ხოლმე და სისტემურად მიმართავს როგორც მასალის შეკრების, ისე მისი შემდგომი დამუშავების გზას. კულტურისა და ყოფის შესწავლა მხოლოდ ფაქტების სიმრავლეზე დაყრდნობით შეუძლებელია, რადგან რთულ და მრავლისმომცველ მოცემულობასთან გვაქვს საქმე. მათი გააზრებისათვის აუცილებელია ლოგიკური ასპექტის გამოყენება. *შემოქმედებითი მეთოდი,* რომელიც სინამდვილის შემეცნებისადმი მკვლევარის შემოქმედებით დამოკიდებულებას გულისხმობს, საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას მოვლენათა ურთიერთკავშირები, მოხდეს კვლევის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა, გააანალიზდეს საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ახალი ტენდენციები. მარტო საერთო ფაქტებისა და მოსაზრებების განხილვა ნათელს არ ჰფენს მოვლენებისა და ურთიერთობების არსს, ეს მხოლოდ ისტორიული და

ლოგიკური მიდგომების ერთიანობის საშუალებითაა შესაძლებელი.

მეცნიერება, მათ შორის, ეთნოლოგიაც, მუდმივად იცვლება, აახლებს საკვლევაძიებო საშუალებებს. მეთოდები მდიდრდება, ფართოვდება, იხვეწება. მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურებზე გამოყენებულ მეთოდებს ტრადიციულ, ზოგჯერ კი არქაულსა და მოძველებულს უწოდებენ. ხოლო გვიან ჩამოყალიბებულ მეთოდებს ახალს, თანამედროვეს, არატრადიციულს. ზოჯერ კი მეთოდთა ამ ჯგუფებს კლასიკურ და არაკლასიკურ მეთოდებადაც მოიხსენიებენ. თუმცა მათ შორის ურთიერთობა ცვალებადია: ახალი მეთოდები თანდათანობით ტრადიციულ მეთოდებად იქცევა. ამის გამო მკვეთრი დაპირისპირება ტრადიციული (კლასიკური) და ახალი (არაკლასიკური) მეთოდებისა ერთგვარად გაუმართლებელიცაა. ერთ კონკრეტულ მეთოდს ცალსახა შემეცნებითი შესაძლებლობა არ გააჩნია და მხოლოდ მეთოდთა რაციონალური გამოყენებაა საკვლევაძიებო ამოცანების კორექტული გადაწყვეტის ერთგარი წინაპირობა. უფრო მეტიც, მეცნიერებისათვის ეფექტური და შედეგების მომტანია სხვადასხვა მეთოდის კომპლექსური გამოყენება.

კლასიკური მეთოდებით დამუშავებული ნაშრომი საკვლევი ასპექტების შედარებით უფრო მეტი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას იძლევა. ფორმალიზაცია აქ ძალიან მკაცრი ხასიათის არაა. ინფორმაციის შეკრების ტრადიციულ ხერხებს მიეკუთვნება პირდაპირი დაკვირვება, ინფორმატორთაგან (მთხრობელებისაგან) მასალების ჩაწერა (ინტერვიუ), სამუზეუმო კოლექციების შეგროვება, პრესიდან და სხვა ნარატიული (თხრობითი) წყაროებიდან ამონაწერების გაკეთება.

თანამედროვე (არაკლასიკური) მეთოდები უფრო მეტი სიმკაცრით, ფორმალურობით ხასიათდება, რაც გამოწვეულია სტატისტიკური კვლევების უფრო ფართო გამოყენებით. არაკლასიკურ მეთოდებს შორის პირველ რიგში მოიხსენიებენ მასობრივ ეთნოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებიც ეფუძნება შესასწავლი ობიექტიდან თუ გარკვეული, შერჩეული//ამოკრებილი მასალის წარმოდგენას (რეპრეზენტატულობას). არაკლასიკურ მეთოდად მიიჩნევა, მაგალითად, პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების *სტატისტიკური ანალიზის მეთოდი* (ე. წ. *კონტენტ-ანალიზი*), *ექსპერტული შეფასების მეთოდი* და სხვ.

საერთო სამეცნიერო მეთოდად ითვლება *ინდუქციურ-დედუქციური მეთოდი. ინდუქცია* სპეციფიკური კვლევიდან განმაზოგადებელი თეორიისაკენ სვლას გულისხმობს, *დედუქცია* კი თეორიიდან ფაქტებისკენ სვლაა. თუ პირველ შემთხვევაში ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვებისა და საკვლევი ჰიპოთეზის დადასტურების შემდეგ ხდება თეორიის ჩამოყალიბება, მეორე

შემთხვევაში ჯერ განმაზოგადებელი იდეა ჩნდება, შემდეგ ხდება მისი საკვლევ ჰიპოთეზად ჩამოყალიბება, მეთოდის შერჩევა და კვლევის ჩატარება და თუ საკვლევი ჰიპოთეზა დადასტურდა, თეორიას მართებულად აღიარებენ. თეორიის ჩამოსაყალიბებლად ასევე გამოიყენება *შედარებითი, მიზეზობრივი, სტრუქტურულ-ფუნქციური, გენეტიკური, იდეოგრაფიული, ნომოთეტიკური* და სხვა მეთოდები.

I.4-1. დანართი: ამონარიდები *გიორგი ჩიტაიას* ნაშრომიდან *„საველე ეთნოგრაფიული მუშაობის პრინციპები და მეთოდები“*

„საველე ეთნოგრაფიული სამუშაო არ წარმოადგენს ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების უბრალო თავმოყრას. იგი, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოა, რომელიც მეტად რთულ პირობებში ტარდება. ეს სირთულე ღრმავდება იმითაც, რომ მეველე ეთნოგრაფის საგანს წარმოადგენს ცოცხალი ადამიანის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის გარკვეულ ასპექტში განხილვა. მეორეს მხრივ, რამდენადაც მეველე ეთნოგრაფი ერთსა და იმავე დროს მკვლევარიცაა და შემკრებიც ეთნოგრაფიული ფაქტებისა, ეს უკანასკნელნი კი საჭიროებენ ობიექტურ მიდგომას, რათა ფაქტები არ დამახინჯდეს და მოხდეს მათი ყოველმხრივი და ზუსტი ფიქსირება.

საველე მუშაობის პირობებში მკვლევარს შესაძლებლობა აქვს ჩაინიშნოს და შეისწავლოს უშუალო მწარმოებელთა საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები მათი არსებობის პროცესში, შეისწავლოს ძველი, მომაკვდავისა და ახლის, განვითარებადის და პროგრესულის ურთიერთმებრძოლი ელემენტების ერთობლიობა. მაგრამ ამასთანავე მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე მეტისმეტად რთული, ორმაგად გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნოგრაფიული მოვლენაა, რომლის ზოგიერთი ელემენტი ადვილად მისაწვდომია ჩასანიშნად, მაშინ, როცა მეორენი ოდნავ შესამჩნევი და ძნელად დასაჯერია.

ეს ნიშნავს, რომ მუშაობის საველე მეთოდი, იმის გარდა, რომ იგი მოწოდებულია უზრუნველყოს ფიქსირებული ფაქტების უტყუარობა, იგი უნდა იყოს ისეთიც, რომ დიდი თუ მცირე ეთნოგრაფიული ფაქტი არ გამორჩეს ეთნოგრაფის მხედველობის არეს და რომ ადეკვატურად იქნეს ისინი ასახული.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. სწორედ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტების ჩანიშვნის მხოლოდ ისეთი მეთოდი, როცა არის მოვლენათა მეტნაკლებად სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერიდან, მათ ობიექტურ ხარისხთან აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობა. ამის გარდა, არ არის საკმარისი მოვლენათა სტატისტიკურ მდგომარეობაში ჩანიშვნა, არამედ საჭიროა, მათი მოძრაობის, დინამიკის, განვითარებისა და ისტორიულ ჭრილში განხილვა. ეთნოგრაფიისათვის დამახასიათებელი თანმიმდევრული ისტორიზმი, რომელიც ბრწყინვალე შედეგებს იძლევა სამეცნიერო კვლევით თემათა დამუშავებისას, ფართოდ გამოიყენება საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროსაც. ნებისმიერი

ხალხის კულტურის განხილვისას, მისი ნაციონალური და ეთნიკური სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ეთნოგრაფი ავლენს მასში ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდთა დანაშრევებს, კითხულობს მის წარსულ ისტორიულ და ბედთა მთელი სირთულის გამოხატულებას.

შემდეგ ეთნოგრაფიული მოვლენები და ფაქტები შესწავლილ უნდა იქნეს არა იზოლირებულად, გარემო მოვლენებთან კავშირის გარეშე, არამედ პირიქით, მათთან მჭიდრო კავშირსა და გარემო მოვლენათა განპირობებულობაში. საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მოითხოვს, რომ აღწერილობა არ იყოს ზედაპირული, ფრაგმენტული, არამედ იგი უნდა ასახავდეს საგანსა და მოვლენებს სრულყოფილად, რათა აღწერა შეეხებოდეს არა მარტო მის გარეგან მხარეს, არამედ შინაგან შემადგენლობასაც. ეს ნიშნავს, რომ აღწერილობამ უნდა გამოავლინოს საგნის სტრუქტურა, მისი ტექნიკა და ფუნქცია.

საველე ეთნოგრაფიის ზემოთ დასახელებული მოთხოვნები – მოგვცეს ადეკვატური, უტყუარი, ყოველმხრივი აღწერილობა და გამოავლინოს საგნისა და მოვლენის ისტორიზმი, გარემო, სტრუქტურა, ტექნიკა და ფუნქცია, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოვლენათა კომპლექსური შესწავლისას...

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ამ მეთოდის თვალთახედვით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სიფართოვე. უფრო საყურადღებოა ვიწრო რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ფართო რაიონების და ოლქების გავლით აღწერა.

ამ მეთოდით შეიარაღებული ეთნოგრაფი უდავოდ შეძლებს ველად ძვირფასი მასალის შეკრებას, რომელიც შემდგომში სამეცნიერო კვლევითი მუშაობისას ეთნოგრაფის პრინციპული საკვანძო საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტის საქმეში საუკეთესო ობიექტად იქცევა. რაც უფრო მეტია უტყუარი, სრულფასოვანი დინამიკური, ადეკვატური ფაქტების რაოდენობა მით უფრო ადვილია მათი შემდგომი დამუშავება, განზოგადოება და კანონზომიერებათა გამოვლინება.

კარგადაა ცნობილი, რომ შიშველი ფაქტები გენეტიკური ახსნის გარეშე დასკვნებს არ წარმოადგენს.

მკვლევარი ეთნოგრაფი მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, როცა მოვლენათა შორის კორელაციური დამოკიდებულების დადგენის შემდეგ ავლენს მოვლენათა განსაზღვრულ კანონზომიერებებსა და კანონებს.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ რამდენად პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდს. ამ სამუშაოს სწორად დაყენებაზე არსებითად დამოკიდებულია ეთნოგრაფის მთელი შემდგომი სამეცნიერო-კვლე-

ვითი მუშაობა. უფრო მეტიც, სწორედ დაყენებული საველე მუშაობა, როგორც აღვნიშნეთ, თვით უკვე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს წარმოადგენს. საველე მუშაობის მხოლოდ ამგვარი დაყენება იძლევა ზოგად-თეორიული მნიშვნელობის პრობლემათა წამოყენებისა და გადაჭრის ფართო შესაძლებლობას. ფაქტების მშრალი შეგროვება არა მარტო არ არის საკმარისი, არამედ ჩვეულებრივ ეს ფაქტები არაფერს იძლევა, თუ მკვლევარი მათ არ განიხილავს შეგროვების მომენტში, როგორც თანაარსებულ მოვლენებს, როგორც მოცემული ხალხის ისტორიის ძეგლებს, რომლებიც ცხოვრების დინამიკას ასახავს. მაგრამ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის ამგვარ დაყენებას არ შეუძლია სათანადო შედეგების მოცემა, თუ მკვლევარი არ არის აღჭურვილი ეთნოგრაფიის სფეროში ფართო ცოდნით, რომელიც მუშაობის პროცესში კონკრეტული ამოცანების დასახვის შესაძლებლობას მისცემს მას.

მაგრამ პრინციპიალურ მხარეთა გარდა საველე ეთნოგრაფიის მეთოდს თავისი ტექნიკური ხერხებიც აქვს. მათ განეკუთვნება, პირველ რიგში ველზე ხანგრძლივი ყოფნა, შრომითი პროცესებისა და კულტურული კომპლექსების (ეთნოგრაფიული წელი) ციკლურობის გათვალისწინება; შესასწავლი ხალხის ენის ცოდნა, ფოტო-კინო გადაღება, მაგნიტოფონზე ჩაწერა, აერო-ფოტო გადაღება და სხვა.

საველე მუშაობის დახასიათებული მეთოდი ერთნაირად გამოდგება როგორც ძველი, ისე ახალი ყოფისა და კულტურის შესასწავლად. ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რამდენადაც ნაციონალური კულტურის გაგებაში შედის არა მარტო სულიერი მხარე, მოცემული ნაციის ფსიქიკური წყობა, არამედ მატერიალური კულტურის თვითმყოფი ნიშნებიც და ხალხის შრომითი ჩვევები თუ საწარმოო ყოფა.“

[გადმობეჭდილია წიგნიდან: *გ. ჩიტაია,* შრომები ხუთ ტომად. ტომი III, თბილისი, 2001, გვ. 77-82].

I.5. ეთნოლოგის პროფესიული საქმიანობის სფეროები

ეთნოლოგიის ფუნქციების შესახებ საუბრისას ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მეცნიერების ამ დამოუკიდებელი და ამავე დროს სხვადასხვა მეცნიერებებთან ყველაზე მეტად დაკავშირებული დარგის არსებობა თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის. ბუნებრივია, საზოგადოებისათვის ასეთი აუცილებელი დარგის სპეციალისტებს – ეთნოლოგებს დასაქმების სათანადო სფეროებიც უნდა გააჩნდეს. საქართველოსათვის, სადაც ქართველების გარდა სხვა ეთნიკური ჯგუფებიც ცხოვრობენ, ეთნოლოგიის შესწავლას, ეთნოლოგიური ცოდნის პროპაგანდასა და დასაქმების სფეროების გაფართოვებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების წარმოქმნა კოლონიური ქვეყნების ინტერესებთან იყო დაკავშირებული. საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურში ყოფნა არც დღევანდელი ეთნოლოგიისათვისაა უცხო. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს მესვეურებს ეთნოლოგი თანაშემწეები, ან მრჩევლები ჰყავთ. მაგალითად შეიძლება ისრაელის სახელმწიფო დავასახელოთ. რუსეთში კი ხშირად სახელმწიფო მოღვაწეებსა თუ უშიშროების სამსახურებს ეთნოლოგი კონსულტანტები არაოფიციალურად ჰყავთ. მართალია, თანამედროვე საქართველოს ჯერჯერობით სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე ეთნოლოგები არ ჰყავს, მაგრამ ქვეყნის ნორმალური განვითარება ამ საკითხს დღის წესრიგში აუცილებლად დააყენებს.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისა და არსებული ან ლატენტური კონფლიქტების კვლევა დღის წესრიგში დააყენებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც მხოლოდ აღნიშნული პრობლემების კვლევაზე იქნება ორიენტირებული.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ დღეს, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებს, ეთნოლოგიას არ ულხინს. საბჭოთა პერიოდში საქართველოში პროფესიონალი ეთნოლოგები დასაქმებული იყვნენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში *ივანე ჯავახიშვილის* სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დიდი ხნის განმავლობაში ეთნოლოგიის ორი განყოფილება არსებობდა: *საქართველოს ეთნოლოგიისა* და *კავკასიის ეთნოლოგიის* განყოფილებები. 1981 წელს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ბაზაზე სამი პროფილური განყოფილება შეიქმნა, სადაც ცალ-ცალკე შეისწავლიდნენ საქართველოს მატერიალურ კულტურას, სულიერ

კულტურას და სოციალურ ურთიერთობებს. მართალია, შემცირებული საშტატო ერთეულებით, მაგრამ ეთნოლოგიის ორი განყოფილება (საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის) ისტორიის ინსტიტუტში კვლავ ფუნქციონირებს. მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედიოდა *სიმონ ჯანაშიას* სახელმწიფო მუზეუმი, რომელშიც ეთნოლოგია ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო. აქ ეთნოლოგებმა საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებზე არაერთი საყურადღებო ნაშრომი შექმნეს. მუზეუმში ეთნოლოგიური საქმიანობა დღესაც გრძელდება და პროფესიონალ ეთნოლოგებს დასაქმების სფერო აქაც გააჩნიათ. ეთნოლოგიური პროფილის დაწესებულებაა *გიორგი ჩიტაიას* სახელობის ღია ცისქვეშ მუზეუმი. ეთნოლოგები საქმიანობდნენ და საქმიანობენ იმ მრავალრიცხოვან მუზეუმებში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონებშია. მომავალში საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის სფეროს გაფართოვებას და მუზეუმებში ეთნოლოგიური კადრების დასაქმებას დიდი პერსპექტივა გაჩნია, რადგან ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

თბილისის *ივანე ჯავახიშვილის* სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კათედრა ყველაზე ადრე (1939 წ.) გახსნილი ერთ-ერთი სამეცნიერო უჯრედი იყო. ამ კათედრამ ეთნოლოგთა თაობები გაზარდა. დღეს *ივანე ჯავახიშვილის* სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

პროფესიონალი ეთნოლოგები დასაქმებული იყვნენ ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის სამეცნიერო ცენტრებში. აქ ეთნოლოგთა სამეცნიერო სფეროს ძირითადად რეგიონული ეთნოლოგია წარმოადგენდა.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ეთნოლოგები / კულტურული და სოციალური ანთროპოლოგები სპეციალურ და პოპულარულ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ბეჭდავენ სტატიებს, იღებენ კინოდა ვიდეოფილმებს, კითხულობენ ლექციებს სკოლებში, გამოდიან სხვადასხვა აუდიტორიებში. მსახურობენ სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგალითად, თავდაცვის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. საქართველოშიც ქვეყნის განვითარების კვალობაზე ეთნოლოგებს ამ სფეროებშიც აქვთ დასაქმების პერსპექტივა.

I.6.ეთნოლოგიური მეცნიერების ძირითადი ცნებები*

ეთნოსი. ტერმინი **ეთნოსი** სამეცნიერო ლიტერატურაში მეცხრამეტე საუკუნიდან არსებობს. ეთნოსის რამდენიმე განმარტება არსებობს: ა) ეთნოსი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზე, აღიარებს ერთიან წარმომავლობას, ხასიათდება ცხოვრების საერთო წესითა და ჩვეულებებით, რითაც გამოირჩევა სხვა ეთნოსებისაგან (*ს. შიროკოგოროვი*); ბ) ეთნოსი ბიოლოგიური ერთეულია – პოპულაციაა, ბიოფიზიკური რეალობაა, რომელიც მოქცეულია სოციალურ გარსში (*ლ. გუმილიევი*); გ) ეთნოსი სოციალური მოვლენაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული განსაზღვრულ ბიოლოგიურ პოპულაციასთან, მაგრამ ცხოვრობს სოციალური, საზოგადოებრივი კანონებით. ეთნოსი სოციალურ-კულტურული მოვლენაა. ეს არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც აქვს თავისი ენა, კულტურა, ფსიქიკა, ერთიანი თვითშეგნება და სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებულობის შეგრძნება (*ი. ბრომლეი*).

ეთნოსის პარალელურად გამოიყენება ტერმინი *ეთნიკურობა*. იგი აღნიშნავს ეთნიკური ჯგუფის კულტურულ ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებს, ანუ ეთნიკურობა არის კულტურული განსხვავებულობისა და თავისებურებების აღმნიშვნელი სოციალური ორგანიზაციის ფორმა.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევის რამდენიმე მიმართულება: 1. *ბუნებრივი მიმართულება* – ამ დროს ეთნოსს განიხილავენ, როგორც პირველად წარმონაქმნს, მომდინარეს საერთო წინაპრებისგან. ამას სხვაგვარად *სოციობიოლოგიურ მიმართულებასაც* უწოდებენ.

2. *ევოლუციურ-ისტორიული მიმართულება* – ეთნოსი უფრო მეტად სოციალური ხასიათის წარმონაქმნია, ვიდრე ბიოლოგიური. ამ მიმართულების თანახმად, ეთნოსი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფი, რომელიც შეკავშირებულია საერთო ტერიტორიით, ენითა და კულტურით. სოციალური ჯგუფის – ეთნოსის წარმოქმნა და განვითარება განიხილება ისტორიულ ჭრილში.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დასავლურ ეთნოლოგიაში გამოიკვეთა ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევა *ინსტრუმენტალიზმის* თეორიით. ამ მიდგომით ეთნოსი და ეთნიკურობა მიჩნეულია ისეთ საკვლევ პრობლემად, რომელსაც პოლი-

---

* ამ მონაკვეთის პირველი ნახევარი გადმობეჭდილია წიგნიდან: *რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი.* თეორიული ეთნოლოგია, თსუ გამომცემლობა, 2010, გვ. 37-42 (ავტორი *რ. გუჯეჯიანი*).

ტიკოსები იყენებენ როგორც ინსტრუმენტს თავიანთი, პრაგმატული მიზნების მისაღწევად. ინსტრუმენტალისტთა აზრით, ეთნიკურობა განიხილება პოლიტიკური ელიტის მიერ მასების მობილიზაციისათვის შექმნილ იდეოლოგიად, რასაც ისინი იყენებენ ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ინსტრუმენტალიზმის პარალელურად არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის საკვლევი პრობლემის სხვაგვარი გააზრებაც. კვლევის ამ მიმართულებას *კონსტრუქტიულს* უწოდებენ. *კონსტრუქტიული მიმართულების* თანახმად, ეთნიკურობის ჩამოსაყალიბებელ მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევა არა პოლიტიკური ელიტა, არამედ ეთნიკური საზღვარი. ეთნიკურ საზღვარს თავად იქმნის ყოველი ეთნოსი და ეთნიკური საზღვარი ის მთავარი ფაქტორია, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით წარმართავს ეთნოსის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

ეთნოსის განვითარებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევა ეთნიკური ტერიტორია – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი თანდათანობით ყალიბდება ეთნოსად და აქ ხდება მისი ეთნიკური თვითშეგნების, იდენტურობის შეგრძნების ფორმირება. ასევე დიდი მნიშვნელობა ეთნიკური კულტურის მდგრადობისათვის ენიჭება ეთნიკურ ენას. ენა ეთნიკური მიკუთვნებულობის მთავარი ნიშანია / მარკერია. ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სპეციფიკური მატერიალური და კულტურული მახასიათებლები, რომელთათვისაც განსაკუთრებით ნიშნეულია ტრადიციულობა და მდგრადობა. ასეთი მახასიათებლებია: რელიგია, რიტუალები, ქცევის ნორმები, მატერიალური კულტურის ძეგლები (საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, საკვები...) და სხვა.

დასავლურ მეცნიერებაში ეთნოსის შესახებ განსხვავებული შეხედულებებიცაა გამოთქმული. მაგალითად, ცნობილი გერმანელი ეთნოსოციოლოგი *ვილჰელმ მიულმანი* მიიჩნევდა, რომ ეთნოსი ყოველთვის წარმოადგენს პოლიტიკურ ცნებას. როდესაც ის ამას წერდა მხედველობაში ჰქონდა აზიური საზოგადოებები, მაგალითად, ჩინური, სადაც აზროვნებისა და ქცევისათვის გადამწყვეტ ერთეულს წარმოადგენდა არა მთლიანად ხალხი, არამედ კულტურით თავისუფლად დაკავშირებული გვარების საზოგადოება. ინდუსთა საზოგადოებაში, რომელსაც ჩვეულებრივ „ხალხებს“ უწოდებენ, ავტორიტეტულ ცნებას წარმოადგენს *კასტა*. მართალია ძალიან ხშირ შემთხვევაში აზიელი ხალხების შინაგანი სტრუქტურა ფრიად განსხვავდება დასავლური / ევროპული ეთნოსების სტრუქტურისაგან, მაგრამ ძალიან ძნელია *ვ. მიულმანს* დავეთანხმოთ იმაში, რომ „ეთნოსი ყოველთვის წარმოადგენს პოლიტიკურ ცნებას“. ეთნოსები ხომ პოლიტიკური სისტემების წარმოქმნამდე ძალიან ბევრად ადრე ჩამოყალიბდ-

ნენ და ისტორიიდან რამდენი ეთნოსი ვიცით, რომლებსაც პოლიტიკური ორგანიზაცია სრულიადაც არ გააჩნდათ (საამისოდ მრავალმილიონიანი ქურთების დასახელებაც კი საკმარისია) და, რომლებიც ყოველთვის სხვა დიდი ეთნოსების პოლიტიკური დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდნენ. გერმანელი ავტორის ეს შეცდომა განპირობებულია იმით, რომ ის ტოლობის ნიშანს სვამს და ერთმანეთთან აიგივებს ეთნოსსა და ნაციას. მისი სიტყვებით, ეროვნულობა / ნაციონალურობა ყოველთვის წარმოადგენს არა ბუნებრივ ფაქტს, არამედ პოლიტიკიდან წარმოებულს, ე. ი. – ნებელობითი ქმედების შედეგს. ნაციის პოლიტიკასთან დაკავშირება არახალია. მთელი რიგი მეცნიერები ნაციას სახელმწიფოს პროდუქტად მიიჩნევდნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თუ შეიძლება ეთნოსაა და ნაციას შორის ტოლობის ნიშნის დასმა, უმეტეს შემთხვევაში – არა. მაგალითად, ნაციის ერთერთი ცნობილი მკვლევარი *ერნესტ გელნერი* არასდროს არ აიგივებდა ნაციასა და ეთნოსს ერთმანეთთან. ის ნაციონალურობის თეორიას ორ ყველაზე რეალურ ფაქტორზე აფუძნებდა; ესაა – კეთილი ნება და კულტურა. ზოგიერთი თანამედროვე ნაციის დასახასიათებლად ეს შეხედულება თუ გასაზიარებელია, ზოგიერთვისათვის მას ვერ გავიზიარებთ და მთელი რიგი სხვა ნიშნებიც შეიძლება დასახელდეს. ასე რომ, არ შეიძლება ყოველთვის და ყველასთვის ერთნაირად მისაღები განმარტებები არსებობდეს. მეცნიერება მომავალში ალბათ კიდევ სხვა თეორიებსაც შემოგვთავაზებს. ეთნოსებისა და ნაციების განსაზღვრების მრავალფეროვნების ძირითადი მიზეზი მაინც ისაა, რომ თანამედროვე დასავლური მეცნიერება ამ პრობლემას სოციალური მეცნიერებების პრობლემიდან უყურებს, სხვები კი ამ პრობლემას ჰუმანიტერული მეცნიერების პოზიციებიდან იკვლევენ.

ტრადიცია. ტრადიცია მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ტერმინია. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა მდგრადი ნორმებისა და პრინციპების სახით. ტრადიცია სარგებლობს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით და არეგულირებს ინდივიდის ურთიერთობას სოციუმთან.

ტრადიცია შეიძლება იყოს უნივერსალური, ახასიათებდეს მსოფლიოს ბევრ ხალხს ან გააჩნდეს გავრცელების უფრო შეზღუდული არეალი. ასეთია ეთნიკური ტრადიცია. ხშირად ტერმინებს – ტრადიციასა და ჩვეულებას – იდენტურ ცნებებად განიხილავენ, მაგრამ ტრადიცია უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია და ჩვეულება მისი შემადგენელი ნაწილია. ეთნიკურ ტრადიციებს აყალიბებს ეთნოსის ცხოვრების ისტორიული პირობები, მისი სოციალური, სულიერი, ეკონომიკური ყოფის თავისებურებები.

ყოველ ტრადიციულ სოციუმში დროთა განმავლობაში ჩნდება *ინოვაციები,* რომელთა ნაწილი თანდათანობით გადაიქცევა ტრადიციად, ნაწილი კი ქრება. ნებისმიერი ტრადიცია ოდესღაც ინოვაცია იყო და ნებისმიერი ინოვაცია მომავალი, პოტენციური ტრადიციაა. ეთნოსის მიერ სხვათაგან ნასესხები კულტურის ესა თუ ის ელემენტი საწყის სტადიაზე ინოვაციაა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ტრადიციად იქცევა. უფრო ხშირად კულტურის ელემენტებს ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ეთნოსები სესხულობდნენ. ამიტომაც ხშირად ერთმანეთის მეზობლად მკვიდრ არამონათესავე ეთნოსებს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე თავის, ენობრივად მონათესავე ეთნოსთან. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ შვედებს კულტურული თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო აქვთ ფინელებთან, ვიდრე ენობრივად მონათესავე გერმანელებთან. მეორე ფაქტიც შეიძლება გავიხსენოთ: უზბეკებსა და ტაჯიკებს უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე უზბეკებსა და ყირგიზებს. თუმცა ხშირად არამონათესავე მეზობელ ეთნოსებში მსგავსი ტრადიციების არსებობა განპირობებულია არა სესხებით, არამედ ერთნაირ ლანდშაფტსა და კლიმატურ პირობებში ცხოვრებით.

თავის დროზე ინოვაცია დიდი მონოთეისტური რელიგიების გავრცელების თანმდევი იყო; ისინი სხვადასხვა კულტურების მოდერნიზაციის საშუალებასაც წარმოადგენდა. მაგალითად, ისლამის, ისლამური კულტურისა და ტრადიციების გავრცელება შეიძლება დავასახელოთ, რამაც არაბული კულტურისა და ტრადიციების სწრაფი გავრცელება გამოიწვია სხვადასხვა ხალხებში, რომელთათვისაც არაბული ტრადიციები და მთელი რიგი კულტურული მოვლენები თავდაპირველად უცნობი, ინოვაცია იყო. ისინი შემდეგ მათი ტრადიციული კულტურის ელემენტებად იქცა. უფრო მეტიც, ისლამისა და არაბული კულტურის, ტრადიციების მიღებამ არაერთი სხვადასხვა ეთნოსის ეთნიკური თავისთავადობის დაკარგვა, გაარაბება გამოიწვია.

ტრადიცია დაუწერელი კანონის სახით, საზოგადოებრივი აზრის ძალით მოქმედებს. ტრადიციის დარღვევა იწვევს კონფლიქტს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გადაცემაში უმნიშვნელოვანესია ტრადიციის როლი. ტრადიციის მეშვეობით მყარდება კავშირი თაობებს შორის, რაც მემკვიდრეობითობის გარანტიას ქმნის.

ტრადიცია მჭიდრო კავშირშია ეთნიკურ კულტურასთან, ეთნიკურ ცნობიერებასა და იდენტობასთან. მაგალითად, ტრადიციულია ქართული მენტალობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა უფროსისადმი პატივისცემა, ქალისადმი პატივისცემა, სტუმარმასპინძლობის წესები, ურთიერთდახმარების ტრადიცია და სხვა. ტრადიცია დიდწილად აპირობებს პიროვნების ჩამოყალიბებას ადრე-

ული სოციალიზაციის საფეხურზევე. ცხადია, ტრადიციულობა უფრო ზოგადი, კოლექტიური ცნობიერების შედეგია. შესაბამისად, ყოველ ეთნოსს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტრადიციები, რომლებიც ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ხშირად ზოგიერთი განსხვავებული ტრადიციის მატარებელი არიან ერთი ეთნოსის ლოკალური / ტერიტორიული ერთეულებიც (ეთნოგრაფიული ჯგუფები), რაც ერთი ეთნოსის მრავალფეროვან ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ხანგრძლივად ცხოვრების შედეგად არის ჩამოყალიბებული.

კულტურა. კულტურა უაღრესად ფართო მნიშვნელობის მქონე ყოვლისმომცველი ტერმინია. იგი აღნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ მონაპოვარს. კულტურის ცნებას ერთგვარად უპირისპირებენ ბუნებასა და ბუნებრივს, როგორც თავისთავად არსებულს, ადამიანთა მოდგმის მიერ შექმნილი კულტურისაგან განსასხვავებლად.

კულტურა რამდენიმე ნაწილად იყოფა: 1. ადამიანთა საზოგადო თვითშეგნებასთან დაკავშირებული კულტურა. 2. ადამიანთა ქცევასა და მოქმედებაში გამოხატული კულტურა. 3. ადამიანთა ხელით შექმნილი კულტურული მონაპოვარი.

კულტურის ცნების ქვეშ ერთიანდება მთელი ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარი: რელიგიები, ენები, დამწერლობები, მეცნიერება, ხელოვნება, მეურნეობის დარგები, საცხოვრებელი, თავდაცვითი, სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, საკვები და სხვა. ე. ი. კულტურა რთული შედგენილობის ცნებაა და აერთიანებს როგორც სულიერსა და მატერიალურ, ასევე სოციალურ ყოფას. სამართლიანად შენიშნავს ერთ-ერთი უცხოელი ეთნოლოგი, რომ სამზარეულოს უბრალო ქოთანი ისევე წარმოადგენს კულტურის პროდუქტს, როგორც *ბეთჰოვენის* სონატა.

არსებობს ეთნიკური კულტურა. ეთნიკური კულტურა, დამახასიათებელი ეთნოსისათვის, არის ერთობლიობა იმ ელემენტებისა (სულიერი, მატერიალური და სოციალური), რომლებიც განასხვავებენ ერთ ეთნოსს მეორისაგან. ეთნიკური კულტურა შეიცავს ისეთ ნიშნებს, რომლებიც ზოგადსაკაცობრიოა, აგრეთვე ისეთ მარკერებსაც, რომლებიც მხოლოდ ამ ეთნოსის კუთვნილება, მათი მონაპოვარია და ისტორიის სხვადასხვა ეტაპზეა შექმნილი.

ეთნიკური კულტურა, ფართო მნიშვნელობით, არის ერთობლიობა ეთნოსისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნისა და საშუალებისა, რომელიც აუცილებელია ეთნოსის არსებობისა და განვითარებისათვის. უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი ეთნიკური კულტურის ცნება მოიცავს მატერიალური, სულიერი და სოციალური კულტურის იმ ელემენტებს, რომლებიც ეთნოსის მთავარ მახასიათებლებად გვევლინება.

ეთნიკურ კულტურაზე უძველესი დროიდანვე შეიძლება საუბარი. ეთნიკურ კულტურას ორი თვისება აქვს: სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იგი შეიცავს მხოლოდ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა დიდი ნაწილიც იმ დროის მრავალი ხალხის კულტურის ნაწილია და აგრეთვე მოიცავს ლოკალურ-ეთნიკურ მახასიათებლებსაც.

ეთნიკურ კულტურას სამ ნაწილად ყოფენ: მატერიალურ, სულიერ და სოციალურ კულტურად.

მატერიალური კულტურა გულისხმობს ყველა იმ ელემენტს, რომელიც რეალურად, მატერიალურად, ხელშესახებად არსებობს ამა თუ იმ ეპოქაში (საცხოვრებელი ნაგებობები, შრომის იარაღები, ტრანსპორტი, სამოსი, საკვები...). სულიერი კულტურა მოიცავს იმ ცოდნას, რომელიც გონების მეშვეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. მას ახასიათებს ტრადიციულობა და მდგრადობა (რელიგია, წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი...). სოციალური კულტურა არეგულირებს ეთნოსის სოციალურ ურთიერთობებს, სამართალს, ქცევის ნორმებს და სხვა.

ეთნიკური ცნობიერება. ეთნიკური ცნობიერება ყალიბდება ეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით. ყოველ ეთნოსს მისთვის მახასიათებელი კულტურა, ტრადიცია და თვითშეგნება გააჩნია, რასაც თან ერთვის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარიც და ამ კრებითი სახით ყალიბდება ეთნოსის თვითშეგნება, მისი ეთნიკური ცნობიერება.

პიროვნების სოციალიზაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ტრადიციულ გარემოს, რომელშიც ადამიანი პიროვნებად ყალიბდება. ტრადიციების სტრუქტურა და მოქმედების მექანიზმი ადამიანს უყალიბებს თავის ტრადიციულ კულტურასთან იდენტობის შეგრძნებას, ბიძგს აძლევს ეთნიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას. ტრადიციულ-კულტურული მემკვიდრეობითობა, როგორც საერთოდ ისტორიული პროცესების დამახასიათებელი თვისება, ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა. ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანი ეთნოსის საკუთარი სახელი – ეთნონიმიცაა. ეთნონიმი ეთნოსის ეთნიკური თვითშეგნების, ეთნიკური ცნობიერების, სხვებისაგან განსხვავებულობის გამოხატულებაა.

ეთნიკური პროცესები. ეთნიკური პროცესები ეთნოსის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებია. ეთნიკური პროცესების დროს იცვლება ეთნოსის სულიერი, მატერიალური თუ სოციალური ყოფის ესა თუ ის ელემენტი; მაგალითად, ყოფითი კულტურის ზოგიერთი მახასიათებელი: ენა, სოციალური სტრუქტურა, რელიგია და ა. შ. ეთნიკური კულტურის (ფართო მნიშვნელობით) ცვლილებებს იწვევს საერთო, ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, აგრეთვე თვით

ეთნიკური ყოფის თავისებურებები და ამ ორი პროცესის ურთიერთგავლენა.

ეთნიკური პროცესები სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობისაა. ეთნიკურ პროცესთა შორის განსაკუთრებით გამოკვეთენ ორი სახის პროცესს: საზოგადოებრივ-ისტორიული ფორმაციის ცვლილებასა და სოციალურ-კულტურული ყოფის ცვლილებას.

პროცესები, რომლებიც ცვლის ეთნიკური კულტურის კონკრეტულ ელემენტებს, მაგრამ არ იწვევს ეთნოსის შეცვლა-დანგრევას, ეთნოევოლუციურ ან ეთნოკულტურულ ევოლუციურ პროცესებად იწოდება. ამ პროცესების საპირისპიროდ არსებობს ე. წ. ეთნოტრანსფორმაციული პროცესები. ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს ცალკეული ეთნოსები ეთნიკური მიკუთვნებულობის ცვლილებამდე მიჰყავთ. ეთნოტრანსფორმაციული პროცესის მთავარი შედეგი ეთნოსის ძირითადი ნიშნის – ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური ცნობიერების შეცვლაა. შესაბამისად, ეთნიკური პროცესები იყოფა ორ ძირითად ტიპოლოგიურ ჯგუფად: პირველს უწოდებენ ეთნიკურ გაერთიანება-კონსოლიდაციას, ხოლო მეორეს კი – ეთნიკურ დაყოფას.

ეთნიკური შეერთება (გაერთიანება) რამდენიმე სახისაა: ეთნიკური ასიმილაცია, ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია, შიდაეთნიკური კონსოლიდაცია, ეთნოგენეტიკური მიქსაცია და ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია. *ეთნიკური ასიმილაცია* ჰქვია ისეთ ეთნიკურ პროცესს, რომლის დროსაც ცალკეული ჯგუფები თანდათანობით ერწყმიან სხვა ეთნოსს, იცვლიან ენას, თვითშეგნებას, კულტურას. ეთნიკური ასიმილაციის ორი ფორმა არსებობს: იძულებითი და ბუნებრივი. *ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია* აღნიშნავს ისეთ ეთნიკურ პროცესს, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის რამდენიმე ენითა და კულტურით მონათესავე ეთნიკური ერთეული და თანდათანობით იქმნება უფრო მსხვილი ეთნიკური ერთობა. ასეთ ეთნიკურ პროცესს ეთნოგენეტიკურ კონსოლიდაციასაც უწოდებენ. *შიდაეთნიკური კონსოლიდაცია* გულისხმობს ერთი ეთნოსის ფარგლებში მცირე განსხვავების მქონე სუბეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფების თანდათანობით გაქრობისა და ეთნოსის მჭიდროდ შეკავშირების პროცესს. *ეთნოგენეტიკური მიქსაცია (შერევა)* არამონათესავე ეთნიკურ ჯგუფთა გაერთიანებისა და ახალი ეთნოსის წარმოქმნის პროცესია. *ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია* ასახავს სხვადასხვა ეთნოსთა დაახლოების პროცესს, როდესაც ისინი ერთ ეთნოსად არ გარდაიქმნება. ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია დამახასიათებელია ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს ან მსხვილი რეგიონებისათვის.

არსებობს ეთნიკური დაყოფის ამსახველი პროცესებიც, რომელთა შორისაც გამოყოფენ ორ ფორმას: ეთნიკურ პარციაციასა და ეთნიკურ სეპარაციას. *ეთნიკური პარციაციის* დროს ერთი ეთნოსი იშლება რამდენიმე, მეტ-ნაკლებად ტოლ ნაწილად, ახალ ეთნოსებად. *ეთნიკური სეპარაცია* ნიშნავს ერთი ეთნოსისაგან რომელიმე ნაწილის გამოყოფას. ეს ნაწილი დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ახალ ეთნიკურ წარმონაქმნად.

ეთნიკურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის მიგრაციები. ეთნომიგრაციული პროცესი შეიძლება იყოს შიდა და გარე. *შიდამიგრაცია* აღნიშნავს ისეთ პროცესს, როდესაც ეთნოსის ესა თუ ის ნაწილი ამავე ეთნოსის ეთნიკურ საზღვრებში გადაადგილდება და ახალ ადგილზე განსახლდება. *გარემიგრაცია* ნიშნავს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ანუ სხვა ეთნიკურ ტერიტორიაზე გადასახლებას.

მსოფლიოს ეთნიკური სურათი მრავალჯერ შეიცვალა. ცვლილებებს იწვევდა გეოგრაფიული გარემოს შეცვლა, ომები, ეპიდემიები, ხალხთა დიდი გადასახლებები. სწორედ ე.წ. ხალხთა დიდმა გადასახლებებმა ძირეულად შეცვალა დედამიწის ეთნიკური რუკა.

ეთნოგენეზი. ეთნოგენეზი ეს ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესია პრიმიტიული მდგომარეობიდან თვითშეგნების ჩამოყალიბებამდე. ეთნოგენეზის დროს ყალიბდება აგრეთვე კულტურა და ენა. პრაქტიკულად ყველა არსებულმა ეთნოსმა ჩამოყალიბების რთული, სხვადასხვა ნაწილისაგან, ფაზებისაგან შემდგარი გზა გაიარა, რომელიც ბოლო სტადიაზე თავის ერთ ერთობად გაცნობიერებით სრულდებოდა. ეთნოგენეზის ორიგინალური თეორიის ავტორია *ლევ გუმილიოვი.* მისი აზრით, ეთნოსები იბადებიან, ცხოვრობენ (ვითარდებიან) და კვდებიან არა იმდენად სოციალური, რამდენადაც ბუნებრივი კანონებით. მრავალრიცხოვანი საისტორიო მასალის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ეთნოგენეზის მთელი პროცესი მიმდინარეობს ერთგვაროვნად, ე. ი. საერთო მკაფიო კანონზომიერების შესაბამისად. *ლ. გუმილიოვის* აზრით, ეთნოგენეზის მამოძრავებელი ძალა ბუნებრივი, ბიოსფერული ფაქტორებია. ეს ფაქტორები კი უშუალოდ განაპირობებს ცხოვრების სოციალურ ფორმებს, რომელთაც სხვადასხვა ეთნოსები ქმნიან.

ეკზოგამია – ქორწინების აკრძალვის წესი განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის (სოციუმის) შიგნით. ეკზოგამიის ისტორიულად ჩამოყალიბებული პირველი ფორმა გვაროვნული იყო, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების დროს ჩამოყალიბდა – ქორწინება იკრძალებოდა პირდაპირ ნათესავებს შორის დედის ან მამის ხაზით. ეთნოლოგიაში ეკზოგამიის წარმოქმნის სამი ძირითადი ჰიპოთეზა არსებობს: 1. სისხლნათესაუ-

რი ქორწინებების ნეგატიური შედეგებისაგან თავდაღწევა; 2. სხვა ჯგუფებსა და საზოგადოებებთან სოციალური კონტაქტის გაღრმავებისაკენ მისწრაფება და განმტკიცება; 3. გვარსა და ტომში სოციალური მშვიდობის დამყარებისაკენ მისწრაფება. ეკზოგამიისას სექსუალური ურთიერთობები და მისი თანამდევი კონფლიქტები გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობების ფარგლებს სცილდება. ეკზოგამიის წეს-ჩვეულება ერთთგვარად შეცვლილი სახით დღესაც ბევრ ხალხში გვხვდება. მაგალითად, ერთი გვარის ქალები და კაცები ჩინეთში ერთმანეთზე არ ქორწინდებიან, რაც პატრილინეური ნათესაობის ნიშნად ითვლება. გვარი დღესაც ეკზოგამიურია საქართველოში, კავკასიის მთელ როგ ხალხებში (დაღესტნელებისა და აზერბაიჯანელების გამოკლებით).

ენდოგამია – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ხდება გარკვეული საზოგადოებრივი ერთეულის, სოციუმის ან ეთნიკური ჯგუფის (ტომის, კასტის, რელიგიური თემის, ნაციის) შიგნით, შესაბამისი ჯგუფის წევრებს შორის. ეთნიკური ენდოგამია პირველყოფილ ტომებში წარმოიქმნა, სადაც იკრძალებოდა ქორწინება უცხო ტომელებზე. ეთნოლოგიაში განასხვავებენ ნორმატიულ ენდოგამიასა და ფაქტიურ ენდოგამიას. პირველი განპირობებულია წეს-ჩვეულებით, მეორე კი სტიქიურად წარმოიქმნება რომელიმე ერთ გარემოში ერთგვაროვანი ქორწინებების სიჭარბის გამო. ენდოგამიის ყველაზე მკაცრი ფორმა რელიგიური (კონფესიური) ენდოგამიაა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღემდე აქვს შენარჩუნებული. ეთნიკური ენდოგამია ეთნოსის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობაა, მისი მნიშვნელოვნად დარღვევა, ე. ი. ეთნოსთა შორის ქორწინებების დიდი ხვედრითი წილი, იწვევს მეტისაციასა და ასიმილაციას. ენდოგამიის დარღვევის მნიშვნელოვანი მიზეზი არის ეთნიკური კონტაქტები და მიგრაციები, განსაკუთრებით გადმოსახლებულებს შორის სქესობრივი და ასაკობრივი დისპროპორციისას. საკუთარი ეთნიკური გარემოს გარეთ დაქორწინებას ხალისით არ ხვდებოდნენ კავკასიის ხალხები. საქართველოში ისტორიულად უფრო მკაცრად იცავდნენ რელიგიურ ენდოგამიას.

ეთნოგრაფიული ჯგუფი – ეთნოსის ტერიტორიული ნაწილი, რომელიც გამოირჩევა ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებებით (განსაკუთრებული მეტყველება და კილო-კავი, თავისებური მატერიალური და სულიერი კულტურა, ზოგჯერ რელიგიური და კონფესიური განსხვავება და ა. შ.). ეთნოგრაფიულ ჯგუფებს აქვთ გარკვეული სახელწოდებებიც, თუმცა ეს სახელწოდებანი ეთნონიმები არ არის. ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ყოფის, კულტურის, მეტყველების სპეციფიკა ძირითადად განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრებამ

ჩამოუყალიბა. ზოგიერთი ხალხის ესა თუ ის ეთნოგრაფიული ჯგუფი სხვა ხალხების, ან მათი ნაწილის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა. ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფები მხოლოდ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს შედეგად ჩამოყალიბდა. *ლევ გუმილიოვი* შენიშნავს, რომ **მრავალფეროვან გარემოში მცხოვრები ეთნოსი უფრო მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩევა, ვიდრე ერთნაირ გარემოში მცხოვრები.** ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ეთნოგრაფიულ ჯგუფებს რაიმე განსაკუთრებული თვითშეგნება არ გააჩნიათ. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში ეთნოგრაფიული ჯგუფის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს ტერიტორიული ერთეული / ლოკალური ერთეული.

ინიციაცია – კურთხევითი (ხელდასხმითი) წესების სისტემა, რომელთანაც დაკავშირებულია ვაჟისა და გოგონას მამაკაცებისა და ქალების კატეგორიაში გადაყვანა. ინიციაციის მიზანი იყო მოემზადებინა ახალგაზრდობა თანამეტომელთა საწარმოო, საზოგადოებრივ, საქორწინო და სულიერ ცხოვრებაში ჩასართავად. როგორც წესი, ინიციაციას თან ახლდა სხვადასხვა მტანჯველი გამოცდა და ოპერაცია (წინადაცვეთა, კბილების ამოგლეჯა, ჭრილობის შეხორცება, ტატუირება), რომლებიც დაკავშირებული იყო გვარისა და ტომის საიდუმლოებებსა და მითებთან.

ინკულტურაცია – ადამიანის ზიარება გარკვეულ ეთნიკურ კულტურასთან ბავშვობის ასაკიდან, მის მიერ ცხოვრებისათვის აუცილებელი კულტურული ჩვევების შეძენის პროცესი. ინკულტურაციის პროცესში ინდივიდი ითვისებს აზროვნებისა და მოქმედების ტრადიციულ წესებს, რომელიც იმ კულტურისათვის არის დამახასითებელი, რომელსაც მიეკუთვნება. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნულ ტერმინს იყენებენ იმიგრანტების მიმართ, რომლებიც ახალ კულტურულ პირობებთან ადაპტირდებიან.

ინოვაცია (კულტურული) – ეთნიკური კულტურის ახალი მოვლენა, რომელიც ეთნოსის განვითარების წინა სტადიაზე არ არსებობდა, მაგრამ გაჩნდა შემდეგ და მისი ორგანულ ნაწილად იქცა. კულტურული ინოვაცია შეიძლება ორი გზით გაჩნდეს: კულტურის შინაგანი განვითარებითა და გარეგანი ზემოქმედებით. კულტურული ინოვაციის ყველაზე გავრცელებული სახეა სესხება, რომელიც სტიმულს აძლევს კულტურის ტრანსფორმაციას. ინოვაცია გარკვეული პერიოდის შემდეგ ტრადიციად გარდაიქმნება.

ინცესტი – საქორწინო-სქესობრივი ურთიერთობა სისხლით ნათესავებს შორის. ინცესტი, ფაქტობრივად, სისხლის აღრევაა. სისხლის ნათესავთა ქორწინება ეთნოლოგიაში უფრო ენდოგა-

მიის სახელით არის ცნობილი. მიაჩნიათ, რომ ინცესტი გვარტომობრივი ურთიერთობის დროს ეკზოგამიის წესებმა განდევნა. ინცესტი შთამომავლობის დასუსტებისა და გადაგვარების მიზეზია, ამიტომ მისმა აკრძალვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანთა კულტურის ჩამოყალიბებაში. ინცესტის აკრძალვა პირველი სოციოკულტურული ნორმა იყო. სისხლაღრევითი ქორწინებები კანონით აკრძალულია მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში.

მენტალობა – ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის ფსიქოლოგიური, ქცევითი განწყობილებების ერთობლიობა, რაც გამოიხატება მათ მსოფლაღქმაში, აზროვნებისა და ცხოვრების წესში და ა. შ. სხვადასხვა მეცნიერებაში ტერმინი „მენტალობა“ გამოიყენება ხალხთა ნაციონალური თავისებურებებისა და მათი კულტურების დახასიათებისათვის. მენტალობა ფორმირდება ეთნოგენეზის პროცესში ტრადიციების გავლენით და ეთნიკური კონტაქტების დროს.

სოციუმი – ადამიანთა მდგრადი, დიდი სოციალური ერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხოველქმედების პირობების ერთიანობა და კულტურის ერთობა. სოციუმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური სისტემა. სოციუმის სხვა სახესხვაობაა გვაროვნული და საოჯახო-ნათესაური, სოციალურ-კლასობრივი, ნაციონალურ-ეთნიკური, ტერიტორიული ერთობები. ნებისმიერი სოციუმი წარმოადგენს მთლიანობას და ერთგვარ ავტონომიურ წარმონაქმნს, რომელიც დაკავშირებულია სხვა სოციალურ ერთობებთან. სოციუმის ეთნონაციონალურ ფორმებს მიეკუთვნება: გვარი, ტომი, ხალხი, ნაცია. უმაღლეს სოციალურ-ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს ნაცია.

ცივილიზაცია – ადამიანთა ლოკალური სოციო-კულტურული ერთობა, რომელმაც თავისი განვითარებისას მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ცივილიზაციის ნიშნებად მიაჩნიათ: *სახელმწიფო, სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება, მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება, გადასახადების სისტემა, პროფესიონალ ხელოსანთა არსებობა, ქალაქები, მონეტა, ვაჭრობა, დამწერლობა, მონუმენტური ნაგებობები, რელიგია, მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახები* და სხვა. ფართო მნიშვნელობით ცივილიზაცია მოიცავს ხალხთა ჯგუფებს, აგრეთვე ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეებს ან მთელ კონტინენტებს და ვარაუდობს ისეთი ცივლიზაციების არსებობას, როგორებიცაა ევროპული, აზიური, არაბული და ა. შ. მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი *ჰანტინგტონი* ამტკიცებს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ისეთი სა-

ზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერები კაცობრიობას რამდენიმე ცივილიზაციად ყოფენ (მათი რაოდენობა ოთხიდან რვამდე მერყეობს). ცივილიზაციები, როგორებიცაა დასავლური, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული, კონფუციური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური და აფრიკული, რომლებიც ხალხთა ნაციონალურ-რელიგიურ თავისებურებებს ეყრდნობა. რუსები ცალკე გამოყოფენ რუსულ ცივილიზაციას, მას სხვანაირად ევრაზიულ ცივილიზაციასაც უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მასში ორი საწყისია შერწყმული. თითოეული ცივილიზაციისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ისტორიული პირობების, ნაციონალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ნიშნების ერთობა, რომელშიც სხვადასხვა ეთნოსები გლობალურ ერთობებად არის გაერთიანებული.

აკულტურაცია – სხვადასხვა ეთნოსთა კულტურების ურთიერთგავლენის, ურთიერთშეღწევის პროცესი; რომელიმე კულტურის მიერ სხვა კულტურის აღქმა, რის შედეგადაც მიმდინარეობს შეცვლის პროცესი. აკულტურაციას ხშირად ეთნიკური ასიმილაციის წინა საფეხურადაც განიხილავენ. აკულტურაციის დროს ხდება ნაკლებ განვითარებული კულტურის მქონე ეთნოსის მიერ უფრო განვითარებული კულტურის სრული ან ნაწილობრივი მიღება. ეთნოლოგიაში აკულტურაციის ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ: იძულებითსა და ძალმომრეობითს. აკულტურაციული პროცესები დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვისაა დამახასიათებელი.

I.7. გამოყენებითი ეთნოლოგის პრობლემები

ეთნოლოგიის ფუნქციებზე საუბრისას აღნიშნა, რომ მეცნიერების ამ დარგის ერთ-ერთი ფუნქცია *პრაქტიკულ-გამოყენებითია.* ეთნოლოგიის ამ ფუნქციაზე უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ. დავიწყოთ ისტორიის სიღრმიდან. უძველესი დროიდანვე მონაცემებს მეზობელი ხალხების შესახებ ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისთვის იყენებდნენ. ისიც ცნობილია, რომ XIX საუკუნის შუა ხანებიდან – ეთნოლოგიური მეცნიერების წარმოქმნისთანავე – ამ დისციპლინის მონაცემებს დრო და დრო პოლიტიკური და სხვა პრაქტიკული საკითხების გადაწყეტისას მიმართავდნენ. ინგლისის, პორტუგალიის, ესპანეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, მექსიკისა და სხვა ქვეყნების მთავრობები ანთროპოლოგებს ფართოდ იყენებდნენ დაქვემდებარებული ხალხების სამართავად. იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე სახელმწიფოებში ეთნიკურ უმციროსობებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოწესრიგების შესახებ. ანთროპოლოგთა ცოდნას იყენებდნენ ამერიკელები იაპონიასთან ომში.

ეთნოლოგიური მეცნიერების გამოყენების საკითხი (დაგეგმილი საკვლევაძიებო სამუშაოს შედეგად მიღებული პრაქტიკული დასკვნების, შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით) პირველად ფუნქციონალური მიმართულების მიმდევრებმა დასვეს XX საუკუნის პირველ მეოთხედში. ცოტა მოგვიანებით – XX საუკუნის 20-30-იან წლებში – ნაწილობრივ ფუნქციონალისტებთან სინქრონულად პრაქტიკულ საკითხებს სვამდნენ საბჭოთა ეთნოლოგებიც. გვიან გამოყენებითი ეთნოლოგიური გამოკვლევები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მსოფლიო მეცნიერებაში.

მართალია, პრაქტიკა ნათლად გვიდასტურებს, რომ გამოყენებით ეთნოლოგიას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა საზოგადოებამ არსებითად რაიმე ზემოქმედება მოახდინოს ეთნიკურ (ან ეთნოსთაშორის) პროცესებზე, შეუძლია კი მას ეს და თუ შეუძლია, რა დოზით? ამ კითხვაზე მეცნიერებს პასუხი არ გააჩნიათ.

არსებობს სხვა სიძნელეებიც, მათ შორის სამეცნიერო ხასიათისაც. ცნობილია, რომ, რაც უფრო განვითარებულია მეცნიერება, იმდენად უფრო დამუშავებულია მისი თეორია, მეთოდოლოგია, მეთოდიკა და საკვლევაძიებო ტექნიკა, უფრო ფართოა მისი გამოყენების შესაძლებლობები და უფრო მზადაა კონსტრუქციული პრაქტიკული იდეების წამოსაყენებლად. რაც უფრო ღრმად იქნება შესწავლილი ეთნოსი და მისი ცალკეული კომპონენტები, მით უფრო შინაარსიანი შეიძლება გახდეს გამოყენებითი კვლევები, რჩევები და რეკომენდაციები კი უფრო ეფე-

ქტური. პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად უმეტეს შემთხვევაში ეთნოლოგს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს, უკიდურეს შემთხვევაში აიცდინოს არსებითი შეცდომები. ეთნოლოგს ასეთი საკითხების შესწავლისას შესაძლებელია გარკვეული დაბრკოლებები შეხვდეს, მაგრამ პრაქტიკული განხორციელებისას შედეგი უდაოდ დადებითი იქნება.

გამოყენებითი ეთნოლოგიის ერთ-ერთი ხერხი, საშუალება *პროფესიული ექსპერტიზის* მეთოდია. თუმცა ასეთი ექსპერტიზის კეთილსინდისიერება შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული ექსპერტთა სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ამის ნათელ მაგალითად მეცნიერები ასახელებენ *მულთანის* საქმეს (1892-1896 წწ.), რომლითაც *უდმურტ* გლეხებს ადამიანთა მსხვერპლშეწირვაში სდებდნენ ბრალს. ექსპერტად თავდაპირველად მოწვეული იყო კონსერვატული შეხედულებების *ყაზანელი* პროფესორი *ი. სმირნოვი,* რომელიც აღნიშნავდა, რომ უდმურტთა ფოლკლორში შეიმჩნევა ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ნიშნები და რომ არ შეიძლება გამოვრიცხოთ ამ გადმონაშთის გაცოცხლება. ეს წინასწარაკვიატებული დასკვნა იყო და შეიცავდა არა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოლოგიურსა და ლოგიკურ შეცდომებს, არამედ, როგორც შენიშნავენ, სახელმწიფო მბრალმდებლის წინაშე პირდაპირი ლაქიობის ნიმუშიც იყო. მხოლოდ რუსეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ჩარევით გადახედეს საქმეს და შემდეგ საქმეში ჩაებნენ ობიექტურად და დემოკრატიულად განწყობილი ექსპერტი-ეთნოლოგები (*ვ. კოროლენკო, ა. კონი* და სხვ.). ამის შემდეგ მოხერხდა უდანაშაულო ადამიანების გამართლება.

1896 წელს ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებას დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრებ *აშანტის* ხალხთან ომი ჰქონდა. კოლონიური ხელისუფლებისათვის პრობლემის არსი უცნობი იყო. 1921 წელს ანალოგიური აფეთქება თავიდან იქნა აცილებული, როდესაც ეთნოლოგმა კოლონიურ ხელისუფლებას აუხსნა, თუ რაოდენ განუსაზღვრელი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა *აშანტის* ხალხისათვის ოქროს სამეფო ტახტს (იგულისხმება ფიზიკური ნივთი), რომელსაც ინგლისელები უბრალოდ მეფის სავარძლად მიიჩნევდნენ. ეთნოლოგთა ცოდნას ომების დროსაც იყენებდნენ. 1942 წელს ერთ-ერთი ანთროპოლოგი ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც ოდესღაც გარკვეული პერიოდი გაატარა წყნარი ოკეანის ერთ-ერთ გაუჩინარებულ კუნძულზე. შეკითხვების სიმრავლის გამო ანთროპოლოგს ძილის საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. შეკითხვები ეხებოდა კუნძულის პლაჟებს, წყაროებს, მოსახლეობას... ეთნოლოგები წერდნენ „(თავის) გადარჩენის სახელმძღვანელოებს“, რომლებშიც ხსნიდნენ კვებასთან, ტანსაცმელთან, საშიშ მწერებსა და ცხო-

ველებთან, წყლის მომარაგებასთან, ადილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და თავის დაჭერასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. ჩამოთვლილი საკითხების ცოდნა მმართველ ორგანოებს ჭირდებოდათ. სხვებზე უკეთ ეს პრობლემები მხოლოდ ანთროლოლოგებმა იცოდნენ. ვერსალის საზავო (1919 წელი) კონფერენციას ეთნოლოგები ევროპის კულტურული საზღვრების შესახებ ექსპერტ-მრჩევლების რანგში ესწრებოდნენ.

როგორც უკვე ითქვა, XX საუკუნის 20–30-იან წლებში ეთნოლოგიური (სოციალურ-კულტურული ანთროპოლოგიური) ცოდნის დონე შესამჩნევად ამაღლდა. ცნობილი მეცნიერი, ამ მეცნიერების ფუნქციონალური მიმდინარეობის ერთ-ერთი საფუძველჩამყრელი *ბ. მალინოვსკი* ლექციით წარსდგა ბრიტანეთის კოლონიის ჩინოვნიკ-ადმინისტრატორების წინაშე; *ბ. მალინოვსკისა* და *ა. რედკლიფ-ბრაუნის* ზოგიერთი მიმდევარი თანამშრომლობდა კოლონიურ ადმინისტრაციასთან, რომელთაგანაც ზოგირთი მათგანი საუბრობდა კოლონიური ქვეყნების ხალხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რუსეთის ეთნოლოგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩრდილოეთისა და ციმბირის ხალხების კულტურის თანამედროვე ფორმებთან ზიარებისათვის; აქტიურად მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მესისხლეობის ტრადიციის დაძლევის რთულ და ხანგრძლივ კამპანიაში; იღებდნენ მონაწილეობას ხალხთა განსახლების ამსახველი რუკების შედგენაში და ა. შ. საფრანგეთის მაგალითიც უნდა მოვიყვანოთ: დიდი რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ახალ ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ფრანგული საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნება. რევოლუციონერთა მიზანს კი მისი უნიფიცირება წარმოადგენდა, კერძოდ, ერთადერთი ენის – ფრანგული ენის საშუალებით. ხელისუფლებამ ადგილობრივი კულტურული თავისებურებების, ენებისა და დიალექტების შესწავლის ინიცირება მოახდინა, მაგრამ ერთადერთი მიზნით – ამ უნიფიკაციის, ჰომოგენიზაციის წარმატება უზრუნველეყოთ უნივერსალური ფასეულობებისა და ადამიანის უფლებების სახელით (სხვათა შორის, სხვათა ენებისა და კულტურების გაქრობის ამ მეთოდით მოქმედებდნენ რუსი ბოლშევიკებიც).

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა ეთნოლოგიაში არა მხოლოდ გამოყენებითი კვლევები შეწყდა, არამედ თვით მეცნიერება ისტორიის დამხმარე დისციპლინის დონეზე ჩამოქვეითდა. დღეის საქართველოში გამოყენებით ეთნოლოგიას გარკვეული პერსპექტივები გააჩნია, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი გამოკვლევების შემკვეთი არც სახელმწიფო ორგანიზაცია და არც რომელიმე ფონდი ჩანს.

გამოყენებითი ეთნოლოგიის ამოცანები და საშუალებები ფართო და მრავალმხრივია. ეთნოსთან მიმართებით ეს ამოცანები შემდეგია: ა) ეთნოსთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების დასაძლევად თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა; ბ) ეთნოსთაშორისი პოტენციური კონფრონტაციის გამოვლენა და მათი თავიდან აცილება (პროგნოზირება); გ) სხვადასხვა სამეურნეო პროექტებისა და კანონპროექტების ექსპერტიზაში მონაწილეობა; დ) კულტურულ პროგრამებში მონაწილეობა; ე) ეკონომიკური პროგრამების ეთნიკური ასპექტების შესწავლა (მაგალითად, ხალხური რეწვის ნივთების წარმოებაში დანერგვის შესახებ რეკომენდაციების მიცემა); ვ) ეთნოლოგიური ცოდნის გავრცელება ხალხის ყველაზე ფართო ფენებში, პირველ რიგში, მისი სკოლებში სწავლების გზით.

ამრიგად, გამოყენებითი ეთნოლოგიის სფეროში შედის ეთნოსთაშორისი დაძაბულობისა და კონფლიქტების პროგნოზირება და ექსპერტიზა. ეთნოლოგი უნდა ემსახუროს საზოგადოების ფუნდამენტური და კონსტრუქციული თანამშრომლობის ინტერესებს. ***კ. კლაკხონი*** **ხაზს უსვამდა, რომ ამერიკელები სხვა ხალხებთან ურთიერთობას ხშირად კულტურულ იმპერიალიზმზე აფუძნებდნენ და ადგილობრივი ინსტიტუტების ამერიკულით შეცვლას სთავაზობდნენ. ანთროპოლოგები კი კულტურული იმპერიალიზმის წინააღმდეგი იყვნენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ სფეროში მეცნიერთა რეკომენდაციებს ამერიკელები ყოველთვის ითვალისწინებენ. ამერიკული ჰუმანიზმი მისიონერულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული: მიისწრაფვიან დაეხმარონ სხვებს, რათა მთელი სამყარო ამერიკული მოდელით შეცვალონ.**

ეთნოლოგთა ცოდნას იყენებენ მთელი რიგი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო სამინისტროები, რომლებიც ცდილობენ ნიადაგების შენარჩუნებას, ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ტრადიციულ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. სოფლის მეურნეობის თანამედროვე სპეციალისტმა ბუნების შესახებ რაციონალური ცოდნა სწორედ გლეხებისაგან შეიძლება მიიღოს, რომელთაც თაობების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა წინაპართაგან გადმოეცათ (საყოველთაოდ ცნობილია, საბჭოთა პრიოდში წიგნიერი აგრონომები ხშირ შემთხვევაში რაოდენ უსუსურნი იყვნენ ტრადიციული ცოდნის მქონე გლეხებთან და ბევრჯერ პროფესიონალებად მათი ჩამოყალიბება მხოლოდ ამ ცოდნის შეძენის შემდეგ ხდებოდა). დასავლეთის ქვეყნებში დღეს საკმაოდ პოპულარულია და სწრაფად ვითარდება სამედიცინო ეთნოლოგია / ანთროპოლოგია. ეს პოპულარულობა პირდაპირ კავშირშია ადამიანების ჯანმრთელობის პრობლემებთან. სამედიცინო ეთნოლოგების მთელი რიგი

მიღწევები პრაქტიკაში ინერგება. საქართველოში ეთნოლოგიური ცოდნის ამ მიმართულებამ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია (*ნ. მინდაძე* და მისი მოწაფეები). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით კვლევის განვითარებას საკმაოდ დიდი პერსპექტივები გააჩნია.

მოკლედ უნდა შევეხოთ ქართული ეთნოლოგიის სახელმწიფოებრივი მიზნებით გამოყენების საკითხს. საქართველოში ქართველთა გვერდით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიც მკვიდრობენ. ხელისუფლება მათი ინტეგრაციის მიზნით ეთნოლოგ-ექსპერტთა რეკომენდაციებს უნდა ეყრდნობოდეს. მათ რეკომენდაციებს უნდა ითვალისწინებდეს ისეთ სფეროშიც, როგორიცაა ეთნიკური ეკოლოგია, რათა თავიდან იქნას აცილებული ბუნებრივი კატასტროფები. ეთნოლოგებს გარკვეული ცოდნა გააჩნიათ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ამა თუ იმ ეთნოგრაფიულ მხარეში დანერგვისა და მრავალი სხვა ანალოგიური პრობლემის შესახებ. ისტორიულად საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის ეყრდნობოდა ეთნოლოგიურ ცოდნას. მაგალითად შეიძლება *გიორგი ბრწყინვალე* და *ერეკლე მეორე* დავასახელოთ. პირველმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს მიაქცია ყურადღება იმ თვალზასრისით, რომ აქ სახელმწიფო სამართალი არ ფუნქციონირებდა და სამართლებრივი ურთირთობების მოწესრიგება ჩვეულებითი სამართლით ხდებოდა. *გიორგი ბრწყინვალემ* ფეხით შემოიარა აღნიშნული მხარეები, ადგილზე შეისწავლა ვითარება და მთიელებს კი არ უბრძანა, რომ სამართლებრივი ურთიერთობები სახელმწიფო სამართლით მოეწესრიგებინათ, არამედ მათთვის სამართლის სპეციალური კრებული შეადგინა, რომელშიც ადგილობრივი – ჩვეულებითი სამართალიც იყო გათვალისწინებული. მეფე *ერეკლეს* მოხელეს ფშაველებმა „თოფი დაჰკრეს“ და მეფემ დამნაშავეები დასაჯა არა სახელმწიფო სამართლით, არამედ ჩვეულებითი სამართლით. რატომ? იმიტომ, რომ მთის რეგიონები ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ; მთაში არსებულ რეალობასთან სახელმწიფო კომპრომისზე მიდიოდა. ქვეყნის მთლიანობისათვის ამ რეალობის – ეთნოგრაფიული თავისებურების გათვალისწინება აუცილებელი იყო. როგორც *გიორგი ბრწყინვალე*, ისე *ერეკლე მეორე* თავისი დროისათვის *გამოყენებითი ეთნოლოგები*, ანუ, როგორც თანამედროვე დასავლურ ანთროპოლოგიაში უწოდებენ, „სოციალური ექიმები“ იყვნენ.

კიდევ რა სფეროებში შეიძლება ქართველ ეთნოლოგთა გამოყენება და დასაქმება? არჩევნების წინ ბევრ სოციოლოგიურ

გამოკითხვას ატარებენ ხოლმე. ჩვენს პირობებში ასეთი გამოკითხვები, უმეტეს შემთხვევაში, მოსახლეობაში არსებულ რეალურ განწყობილებებს არ გამოხატავს. სასურველია, ხალხში ამ დროს არსებული ვითარება ეთნოლოგებმა შეისწავლონ. უშუალოდ ხალხისგან მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, ხალხში არსებული განწყობილებები და მისი ეთნოლოგიური ანალიზი კი უდავოდ რეალური სურათის მომცემი იქნება. ეთნოლოგები ხომ ადამიანებს ყოველთვის ამ ტიპის კითხვებს უსვამენ: „როგორია თქვენი თვალსაზრისი?“

ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის სამშვიდობო მისიაში არიან ჩართული. ჯარისკაცები მისიის შესრულების წინ ხანგრძილვ მომზადებას გადიან, მაგრამ მათ კიდევ სხვაგვარი მომზადება სჭირდებათ. აუცილებელია ჯარისკაცებისათვის ეთნოლოგიური ცოდნის გადაცემა. ჯარისკაცებს, ბუნებრივია, სამსახური გაუადვილდებათ, მათ თუ ექნებათ ცოდნა ავღანელთა ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეთნიკური ფსიქოლოგიის, ქვეყანაში არსებული ეთნიკური ვითარების შესახებ. ასეთივე ცოდნით უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი ერაყში მოსამსახურე ქართველი ჯარისკაცებიც, რომლებსაც გააცნობდნენ ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და კონფესიურ ვითარებას.

საქართველო ეთნიკური და ეთნოგრაფიული თვალსზარისით ერთგვაროვანი არაა. ქვეყნის უკეთ მართვის მიზნით სახელმწიფოს მესვეურებისათვის უკეთესია ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში არსებული ეთნიკური და ეთნოგრაფიული ვითარების ცოდნა, მაგალითად, როდის და რა ვითარებაში დასახლდნენ აქ მეზობელი სომხები, იყვნენ თუ არა საქართველოში ქართველთა შორის სომეხთა ეროვნული კონფესიის – მონოფიზიტობის – მიმდევრები, თუ იყვნენ, სად ცხოვრობდნენ და როდიდან და ა. შ. რა ეთნოგრაფიული თავისებურებები ახასიათებდა საქართველოს თითოეულ ეთნოგრაფიულ რეგიონს? მეურნეობის რა ტრადიციული დარგები იყო აქ განვითარებული? და ა. შ. ეთნოგრაფიას / ეთნოლოგიას ბოლო დროს რეკლამაშიც იყენებენ, მაგრამ მეცნიერების ამ დარგის უცოდინრობა ზოგჯერ ანტირეკლამას იწვევს. ამის დასტურად შემდეგი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ღვინის მაღაზიის წინ საახალწლოდ საფირმო ღვინოს რეკლამას უკეთებენ არა ტრადიციულ, მევენახის სამოსში გამოწყობილი ადამიანები, არამედ ადამიანები, რომელთაც მთიელი მეცხვარის ტანსაცმელი აცვიათ – ტანზე ნაბადი და თავზე კი ფაფახი. ეს უკვე ანტირეკლამაა. საქართველოს ბარში ასეთ სამოსს გლეხი არასდროს იცვამდა. გამართლებული იქნებოდა, აღნიშნული სამოსით რეკლამა *თუშური გუდის ყველისათვის* გაეკეთებინათ. ამდენად, ეთნოლოგიის ცოდნა კომერციაში

მოღვაწე ადამიანებსაც სჭირდებათ და გამოყენებითი ეთნოლოგიის სფეროებს, შეიძლება ითქვას, საზღვრები არა აქვს.

დიპლომატების საქმიანობა უფრო წარმატებული იქნება, თუ მას იმ ქვეყნის ეთნოლოგიაც ეცოდინება, სადაც ის საქმიანობს. არ შეიძლება ტურიზმის კარგი სპეციალისტი იყოს ადამიანი, თუ მას ეთნოლოგიური ცოდნა არ გააჩნია. ამიტომაა, რომ ბევრი ქვეყანის უმაღლეს სასწავლებლებში ეთნოლოგიური / ანთროპოლოგიური ცოდნის შეძენას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. *კ. კლაკხონიც* ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ანთროპოლოგიას (ეთნოლოგიას) ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი არ ენიჭება უმაღლეს განათლებაში, რადგანადაც ის დიდ როლს თამაშობს ბევრი ქვეყნის მთელი რიგი პროგრამების ორგანიზაციასა და სწავლებაში. საქართველოში კი ჯერჯერობით ეს პრობლემა გააზრებული არა აქვთ. მაგალითად, საქართველოს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ახალ პროფესიას – ტურიზმს ასწავლიან, მაგრამ აღნიშნული პროგრამების შემდგენელთ წარმოდგენა არა აქვთ, რომ სასწავლო დისციპლინებს შორის აუცილებლად უნდა იყოს ეთნოლოგია. ტურიზმის სპეციალისტმა, რომელიც საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს ემსახურება, აუცილებლად უნდა იცოდეს საქართველოს ეთნოლოგია.

თანამედროვე საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყანა (სახელმწიფო) პრობლემების მოგვარებას მეცნიერთა დახმარებით, მათი რეკომენდაციებით უნდა ცდილობდეს. ასეთ მეცნიერებას კი, უპირველ ყოვლისა, ეთნოლოგია წარმოადგენს. მხოლოდ რამდენიმე საკითხი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რომელთა გადაწყვეტაში ეთნოლოგები უნდა მონაწილეობდნენ: ა) უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში და დღეს ფრიად აქტუალურია ქვეყანაში ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობების შესწავლა (ეთნოლოგმა უშუალოდ „ველზე“, ხალხში შეკრებილი მასალების ანალიზი უნდა გააკეთოს და გამოავლინოს არსებული დადებითი თუ უარყოფითი ტენდეციები); ბ) თანამედროვე ქართული სოფელი დაიცალა, ნასოფლარები დღითი-დღე მრავლდება (რატომ მიდის ქართული სოფლებიდან ახალგაზრდობა, რატომ ისპობა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნა? – ამ კითხვას მეცნიერული პასუხი ეთნოლოგმა უნდა გასცეს). არანაკლებ მტკივნეული საკითხია საქართველოს ქალაქებში მიმდინარე სოციალური და კულტურული პროცესები და შექმნილი პრობლემები; გ) ეთნოლოგიის აქტუალური პრობლემა ყოველთვის იყო მიგრაციები; მას არა მხოლოდ ისტორიულად მიმდინარე მიგრაციული პროცესები აინტერესებს, არამედ დღეს მიმდინარეც. მიგრაციებს სახელმწიფოს მიერ მართვა სჭირდება (ეთნოლოგიური თვალსაზრისით შესასწავლია შიდა და გარე

მიგრაციული პროცესები. საქართველოში პრადოქსული ვითარებაა შექმნილი, ქართველები უცხოეთში მიგრირდებიან, უცხოელები – საქართველოში. კულტურული და სოციალური განვითარების რა ტენდეციებია დამახასიათებელი უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის? საქართველოში დასახლებული და ქონების შემძენი უცხოელი მუდმივად აპირებს აქ ცხოვრებას თუ დროებით არის ჩამოსული? – ეს პრობლემები ეთნოლოგიის კვლევის არეალში შემოდის და მათ კვლევას პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობა გააჩნია. თანამედროვე გერმანიაში რამდენიმე მილიონიანი თურქული დიასპორაა. თურქული დიასპორები გერმანელ მეცნიერთა კვლევის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა); დ) ქართველ ხალხს მოსაწესრიგებელი აქვს ურთიერთობა ოსებთან და აფხაზებთან (ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პრობლემების პრაქტიკული მოგვარება ეთნოლოგთა ჩარევის გარეშე შეუძლებელია). გამოყენებითი ეთნოლოგიის სფეროები უფრო ფართო პრობლემების მომცველია და მათი დამუშავება მხოლოდ დროის კარნახითა და აქტუალურობის მიხედვით უნდა ხდებოდეს.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ზოგიერთი მასშტაბური პროექტის ათვისება ჩერდება, თუ მას არ ახლავს ეთნოლოგის / ანთროპოლოგის დადებითი დასკვნა. ასევე კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ბევრი ქვეყანის მმართველობითი სფეროს კანონშემოქმედება წარმოუდგენელია ეთნოლოგების / ანთროპოლოგების მონაწილეობის გარეშე. ჯერჯერობით კი თამამად უნდა ითქვას, რომ ქართულ ინტელექტუალურ ლანდშაფტში ეთნოლოგიას მოკრძალებული ადგილი უკავია, რაც მეცნიერების (არა მხოლოდ ეთნოლოგიური მეცნიერების) კრიზისითაა გამოწვეული; კრიზისი კი მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. საქართველოს მოქალაქეების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცის რა მეცნიერებაა ეთნოლოგია (ეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემოსული სტუდენტების ცოდნითაც კარგად ჩანს), ან ცუდადაა გარკვეული იმის შესახებ, თუ რას სწავლობს იგი, ან თუ იცის, ეთნოლოგთა საქმიანობას სოციალურად აუცილებელ და სასარგებლო საქმედ არ მიიჩნევს. თუ რა მეცნიერებაა ეთნოლოგია, ამ კითხვას საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერის *ედვარდ ევანს-პრიჩარდის* ფორმულით უნდა დავამთავროთ: „ჩვენ უნდა დავინახოთ ჩვენი თავი პერსპექტივაში.“ დიახ, ეთნოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არა მხოლოდ აწმყოს კარგად შეცნობაა, არამედ მომავლის განჭვრეტაც.

I.8. ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია

ყოველგვარი მეცნიერების შესწავლა მისი ისტორიის გაცნობით იწყება. ეთნოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა, მაგრამ ირგვლივ მცხოვრები ხალხების კულტურების, სოციალური და ფიზიკური თავისებურებების, ენების შესახებ ადამიანთა საზოგადოებას ინტერესი ყოველთვის გააჩნდა. წარსულის ეთნოლოგიური წარმოდგენები უძველეს სახელმწიფოთა – *ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, ძველი ირანის, ანტიკური საბერძნეთისა და რომის* შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში გვხვდება. ძვ. წ.-ის XX და XIV საუკუნეებით დათარიღებულ ეგვიპტურ ძეგლებში გვხვდება სხვადასხვა სახის მონაცემები *ლიბიის, სირიის, პალესტინის, არაბეთის, ბაბილონის* ქვეყნების ხალხთა შესახებ. ძვ. წ.-ის VII საუკუნის *ასირიის* მეფის სამხედრო ქრონიკაში მოხსენიებული არიან მის მიერ ათეულობით დამარცხებული ხალხები: *არაბები, არამეელები, ქალდეველები... სპარსეთის* მეფის *დარიოს I-ის* (ძვ. წ.-ის V ს.) წარწერაში ასევე ჩამოთვლილია დაპყრობილი ხალხები: *მიდიელები, პართიელები, სოგდიელები, ბაქტრიელები* და სხვა.

ძველი მსოფლიოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ დეტალური სურათი გვაქვს მოცემული ბიბლიაში (ძვ. წ.-ის XIII-V სს.), რომელშიც დასახელებული არიან: *ქანაანელები, ფილისტიმელები, ბაბილონელები, ელამელები, ეგვიპტელები, ეთიოპიელები, სირიელები, ხეთები, ასირიელები* და სხვ. ბიბლია ერთ-ერთი პირველი ძეგლია, რომელშიც, ხალხთა ჩამონათვალთან ერთად, საუბარია მათ მახასიათებლებზე, წარმომავლობასა და ისტორიული ურთიერთკავშირებზე.

ძველბერძნული წერილობითი ტრადიცია მდიდარ მასალას შეიცავს მაშინდელი ოიკუმენის ხალხების შესახებ; წყაროებში არცთუ იშვიათად არის განზოგადების ცდებიც, რასაც ეთნოლოგიური მეცნიერების სათავედაც მიჩნევენ. უძველეს ლიტერატურულ ძეგლებშიც, პოემებში – „ილიადა“ და „ოდისეა“ (ძვ. წ.-ის IX-VIII სს.) – ბევრი ხალხია მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა ყველა *ბერძენის* აღმნიშვნელი საერთო სახელწოდება – „ელინი“. *ელინი* მაშინ მხოლოდ პელაზგური არგოსის ერთი თემის სახელწოდება იყო. *ჰეროდოტეს* (ძვ. წ.-ის V ს.) სახელგანთქმულ „ისტორიაში“ ფართოდაა წარმოდგენილი ანტიკური პერიოდის ეთნიკური სამყარო, რადგან იმ დროის ბერძნული კოლონიები განფენილი იყო ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებსა და კუნძულებზე ესპანეთიდან და იტალიიდან მოყოლებული ტავრიდასა და კავკასიამდე. *ჰეროდოტე* არა მხოლოდ აღწერს ხალხებს,

არამედ ახასიათებს კიდევაც. ესენი იყვნენ *ეგვიპტის, არაბეთის, ფინიკიის, სირიის, მცირე აზიის, ბაბილონის, ასირიის, იტალიის, მაკედონიის, თრაკიის* ქვეყნებში მცხოვრები ხალხები. ეთნოგრაფიული მასალებით მდიდარია ათენელი *ქსენოფონტის* „ანაბაზისი“ (ძვ. წ.-ის IV ს.), რომელშიც ასახულია ბერძენთა ლაშქრობები *ტიგრისა* და *ევფრატის* შუამდინარეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მცირეაზიურ თრაკიაში. *ქსენოფონტე* ისეთ ხალხებზე გვაწვდის ცნობებს, როგორებიც იყვნენ: *კარდუხები, არმენები, კოლხები, თრაკიელები, ქალდელები, ტაოხები, ხალიბები* და სხვა. ძვ. წ.-ის II საუკუნის ავტორი *პოლიბიოსი* პირველი იყო, რომელიც იმდროინდელი ხალხების: *ელინების, რომაელების, ეტრუსკების, კელტების, ვენედების* ბედითაც დაინტერესდა. ახ. წ.-ის I საუკუნის ბერძენი ავტორის, *სტრაბონის* თხზულებას მეცნიერები თავისებურ ეთნოლოგიურ ენციკლოპედიადაც მიიჩნევენ. მასში მოხსენიებულია 820-ზე მეტი ეთნოსი და ბევრი მათგანი გარკვეული გეგმის მიხედვითაა აღწერილი. გეგმა მოიცავს განსახლების, სამეურნეო წყობის, საზოგადოებრივი მოწყობის, მართლმსაჯულების, სამხედრო საქმის, საოჯახო და საქორწინო წეს-ჩვეულებათა საკითხებს.

ძველი რომის წერილობით ტრადიციაში ფასეული ეთნოგრაფიული მასალების შემცველი ბევრი თხზულება გაგვაჩნია. შეიძლება დავასახელოთ *ცეზარის, პლინიუს უფროსის, ტაციტის* ნაწარმოებები. *ცეზარი* გვაცნობს დაპყრობილი გალიის სხვადასხვა ტომებს: *აკვიტანელებს, გალებს, ბელგებს, გელვეტებს, ედუიებს, სეკვენებს* და სხვ., აგრეთვე კელტების მოსაზღვრე გერმანულ ტომებსა და რომაელთა მიერ დაპყრობილ ბრიტანეთის ტომებს. ხოლო გერმანელთა შესახებ დაწერილ *ტაციტის* თხზულებას მეცნიერები სამეცნიერო ეთნოლოგიურ მონოგრაფიას უწოდებენ.

რომის იმპერიის ტრადიციები გაგრძელდა შუა საუკუნეების ბიზანტიის იმპერიაში. ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლია *პროკოპი კესარიელის* (543-554 წწ.) „იუსტინიანეს ომების ისტორია სპარსელებთან, ვანდალებთან და გუთებთან“.

ჩინგის-ხანის მიერ მონღოლთა იმპერიის შექმნამ და მონღოლთა დასავლეთისაკენ მოძრაობამ და დაპყრობითმა ომებმა აზიელი ხალხების მიმართ ევროპელთა ინტერსი გააცხოველა, რომლებიც ადრე ევროპელთათვის სრულიად უცნობი იყვნენ. XIII საუკუნეში აღმოსავლეთისაკენ არაერთი ელჩი თუ დესპანი გაიგზავნა. აზიის ხალხების შესახებ საინტერესო ინფორმაციებია თავმოყრილი უნგრელი დომინიკანელი ბერის *იულიანის,* იტალიელი *პლანო კარპინის,* ფლამანდიელი *ვილემ რუბრუკის* თხზულებებში. აღსანიშნავია აგრეთვე ვენეციელი *მარკო პო-*

ლოს მოგზაურობის ამსახველი ნაწარმოები. ამ მოგზაურთა თხზულებებიდან ირკვევა, რომ განათლებული ევროპელებისათვის ცენტრალური აზიისა და მიმდებარე ტერიტორიების ეთნიკური ვითარება ერთგვარი აღმოჩენა იყო.

ევროპელების ცოდნა ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებით გამდიდრდა ამერიკის კონტინენტის აღმოჩენისა და კოლონიალიზმის ეპოქაში (XV-XIX სს.). მეზღვაურები დაწვრილებით აღწერდნენ ახლად აღმოჩენილ ხალხებს. ამერიკის ავტოქტონი ეთნოსებისადმი მიძღვნილ XVIII საუკუნეში დაბეჭდილ ნაშრომთაგან შეიძლება დავასახელოთ *ჯ. კუკის, ლ.-ა. ბუგენვილის, გ. ფოსტერის* წიგნები. იმდროინდელი საზოგადოების ფართო ფენებში ეს თხზულებები ძალიან პოპულარული იყო, რაც ეთნოლოგიის როგორც მეცნიერების წარმოქმნის ერთ-ერთი წინაპირობადაც იქცა. XVIII საუკუნეში ამერიკელი „ველურებისადმი" (1724 წ.) მიძღვნილ წიგნში, რომლის ავტორია ფრანგი მისიონერი იეზუიტი *ჟოზეფ ფრანსუა ლაფიტო*, პირველადაა გამოყენებული შედარებითი ანალიზის მეთოდი. შედარებით-ეთნოგრაფიული ანალიზი თავდაპირველად არა სამეცნიერო, არამედ იდეოლოგიურ და მორალურ-ზნეობრივ მიზნებს ემსახურებოდა. არაერთი ფრანგი ავტორი პირველყოფილი ხალხების იდეალიზებულ სურათს წარმოგვიდგენდა, რომლებიც „ბუნებრივ მდგომარეობაში" იმყოფებოდნენ.

განათლების ეპოქამ მეცნიერებაში ადამიანთა მოდგმის ერთობისა და კაცობრიობის პროგრესული განვითარების იდეას ჩაუყარა საფუძველი. ამ იდეის განსამტკიცებლად მაშინ ფართოდ გამოიყენებდნენ „ეგზოტიკურ" ხალხებში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს. ამ ნაშრომების იდეები და მათში გამოყენებული ცნებები – „ველურობა", „ბარბაროსობა", „ცივილიზაცია" – ეთნოლოგიური მეცნიერების მსოფლმხედველობრივ არეალში დამკვიდრდა და დიდი ხნის განმავლობაში მის კვლევით აზრთწყობასაც განსაზღვრავდა.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წრეები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, რომ კოლონიებში მცხოვრები ხალხების შესახებ აუცილებლად უნდა ჰქონოდათ სპეციალური ცოდნა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა სამეცნიერო ეთნოლოგიური საზოგადოებები: 1839 წელს – *„პარიზის ეთნოლოგიური საზოგადოება"*, 1842 წელს – *„ამერიკის (ნიუ-იორკის) ეთნოლოგიური საზოგადოება"*, 1843 წელს – *„ლონდონის ეთნოლოგიური საზოგადოება"*; 1869 წელს – *„გერმანიის ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და წინარეისტორიული საზოგადოება"*; 1871 წელს – *„ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის იტალიური საზოგადოება"*. ამგვარი სამეცნიერო გაერთიანებები

საფუძველს უყრიდა მეცნიერების ახალი დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას. ეს საზოგადოებები გამოსცემდნენ სამეცნიერო ჟურნალებსაც. შედარებით მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში ეთნოლოგია საუნივერსიტეტო განათლების სისტემაშიც დამკვიდრდა. იქმნებოდა კათედრები და ფაკულტეტები.

ახალი მეცნიერება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელით გაფორმდა. ადრეულ ეტაპზე ხალხების შესახებ შედარებითი და თეორიული გამოკვლევები მომრავლდა. გერმანიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიაში უცხო ხალხების შემსწავლელ მეცნირებას უპირატესად *ეთნოლოგიას* უწოდებდნენ. ემპირიული მასალების შეკრება, მისი პუბლიკაცია *ეთნოგრაფიის* (როგორც დამხმარე სამეცნიერო მიმართულების) სფეროს განეკუთვნებოდა. გარდა ამისა, გერმანიაში მას *ხალხთმცოდნეობა* უწოდეს. გერმანელი ხალხის შემსწავლელ მეცნიერებას „ფოლკსკუნდეს“ უწოდებდნენ, ხოლო ამ ტერმინის მრავლობით ფორმას („ფოლკერკუნდე“) დანარჩენი მსოფლიოს ხალხების შესწავლის დროს იყენებდნენ. შემდეგ კი ინგლისში ხალხების შემსწავლელმა მეცნიერებამ *სოციალური ანთროპოლოგიის* სახელწოდება მიიღო, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – *კულტურული ანთროპოლოგიისა.*

ყველა ქვეყანაში ეთნოლოგიის მსოფლმხედველობრივმა მიმართულებამ **„ევოლუციონიზმის“** საერთო სახელწოდება მიიღო. **სამეცნიერო ცოდნის მთავარ ამოცანად იქცა შესასწავლი რეალობის ობიექტური ევოლუციური განვითარების კანონების გამოვლენა.** ეთნოლოგიური მეცნიერების საწყის ეტაპზე ევოლუციონიზმის თეორიის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ბუნებრივ-სამეცნიერო ევოლუციონიზმმა. ევოლუციონიზმის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლია *ედუარდ ტეილორი* (1832-1917 წწ.). *ედუარდ ტეილორი* ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ეთნოლოგიური ანალიზის მეთოდები შეიმუშავა: *შედარებით-ევოლუციური მეთოდი* (ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლეოდა კულტურის მოვლენები ევოლუციური განვითარების სტადიების მიხედვით დაჯგუფებულიყო); *გადმონაშთების მეთოდი* (თანამედროვე მოვლენებში წარსული მოვლენების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა). შემოქმედების მოგვიანო ეტაპზე ნათესაობის სისტემის შესწავლისას ედუარდ ტეილორმა გამოიყენა *სტატისტიკური ანალიზის მეთოდიც.* აშშ-ის ეთნოლოგიაში ევოლუციონიზმი ძირითადად *ლუის ჰენრი მორგანის* (1818-1882 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული. მასთანაა დაკავშირებული *ანკეტირების მეთოდი.* ევოლუციონიზმის სკოლის აღიარებულ წარმომადგენლად მიიჩნევა ფრანგი *არნოლდ ვან გენეპი,* რომელმაც აღიარება მოიპოვა 1909 წელს დაბეჭდილი წიგნით „გარდამავლობის წეს-ჩვეულებები“. მას ეკუთვნის ადამიანთა სტატუსის

შეცვლასთან დაკავშირებული რიტუალური პროცესების უნივერსალური მოდელი (ინიციაცია, მორიგ ასაკობრივ ჯგუფში გადასვლა, კორონაცია და სხვ.). გერმანიაში ევოლუციონიზმის სკოლის აღიარებული წარმომადგენელი იყო *ადოლფ ბასტიანი* (1826-1905 წწ.). *ადოლფ ბასტიანის* მოძღვრების მიხედვით, ყველა ხალხში თავდაპირველად გარკვეული ერთობლიობისაგან შემდგარი *ელემენტარული იდეის* გარკვეული ჯამი, ხოლო უფრო მაღალ დონეზე – *სახალხო იდეა* არსებობდა. ეს იდეები ხალხებს შორის კონტაქტების შედეგად განვითარდა, რაც კულტურის გამდიდრებას (ევოლუციას) განაპირობებდა. მანვე შეიმუშავა კონცეფცია გეოგრაფიული პროვინციების შესახებ და შემოგვთავაზა ეთნოგრაფიული კარტოგრაფირების მეთოდი. *ადოლფ ბასტიანი* ეთნოლოგიაში მთელი რიგი მიმართულებების საფუძველჩამყრელი გახდა: მან მიუთითა ისტორიაში ეთნიკური ფაქტორების კვლევის მნიშვნელობაზე. *ა. ბასტიანის* აზრით, ეთნოლოგიის ამოცანას წარმოადგენს ძირითადი კანონების შესწავლა, რომლითაც ადამიანთა საზოგადოება შეიქმნა. ევოლუციონიზმის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე შვეიცარიელი *იოჰან იაკობ ბაჰოფენი* (მატრიარქატს პირველყოფილი ისტორიის განსაკუთრებულ ეტაპად მიიჩნევდა), გერმანელი *ჰენრიჰ შურცი* (1863-1903 წწ.) (თავის ნაშრომებში კულტურის არსებით ასპექტებსა და ევოლუციას იკვლევდა პირველყოფილი ეპოქიდან დაწყებული სახელმწიფოს წარმოქმნამდე), *იულიუს ლიპერტი* (1839-1909 წწ.). ეთნოლოგიაში ევოლუციონიზმის იდეების ერთ-ერთი პირველი და აქტიური ქომაგი იყო *ჯონ ფერგიუსონ მაკ-ლენანი* (1827-1881 წწ.). სწავლობდა ქორწინების, ოჯახისა და რელიგიის პრობლემებს. მას ეკუთვნის *ეკოგამიის* აღმოჩენა და ტერმინები „ეკზოგამია“ და „ენდოგამია“ მეცნიერებაში *ჯ. ფ. მაკ-ლენანის* შემოტანილია. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ევოლუციონისტები ძირითადად ისტორიზმის პოზიციების გამზიარებელნი იყვნენ. ყველა მათგანი ეთნოლოგიას / ანთროპოლოგიას პირველყოფილი ხალხების კულტურის შემსწავლელ მეცნიერებად მიიჩნევდა, აგრეთვე განვითარებულ ხალხებში ეძებდნენ ამ კულტურის გადმონაშთებს. **ევოლუციონიზმის იდეებს დაეყრდნო მარქსიზმი.** *ფრიდრიხ ენგელსი* საზოგადოების განვითარების შესახებ დაწერილ ნაშრომებში ძირითადად *ლ. მორგანის* გამოკვლევებს ეყრდნობოდა, რომელიც ეთნოლოგიაში ევოლუციონიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი იყო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის რიგ ქვეყნებში ევოლუციონიზმი ახალმა კონცეფციამ შეცვალა. ის ***დიფუზიონიზმის*** სახელითაა ცნობილი. **ამ მოძღვრების წარმომადგენლები კულტურის ცვლილებათა მიზეზებს დიფუზიაში – კულტურების**

ურთიერთშეღწევაში ეძებდნენ. მაგრამ „დიფუზიონისტ“ მკვლევართა უმეტესობა პრობლემას უფრო ფართოდ განიხილავდა. მათი თეორიული შეხედულებების არსი კულტურის მოვლენების ცვლილებათა მიზეზების ახსნისას ძირითადად მექანიკურ, არაისტორიულ მიდგომაში მდგომარეობდა. რაც შეეხება საკუთრივ *კულტურის დიფუზიას*, მას თანამედროვე ეთნოლოგიურ და კულტუროლოგიურ თეორიულ აზრთწყობაშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. დიფუზიონიზმის წინამორბედად ხშირად ასახელებენ კულტურულ-გეოგრაფიული მიმართულების საფუძველჩამყრელს, გერმანელ გეოგრაფს *ფრიდრიხ რატცელს* (1844-1904 წწ.). *ფრიდრიხ რატცელის* იდეებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა არა მხოლოდ გერმანულ, არამედ მთელი რიგი ევროპული ქვეყნების ეთნოლოგიაზეც. *ფ. რატცელმა* ვრცელი ფაქტობრივი მასალა შეკრიბა, მოახდინა ამ მასალების სისტემატიზაცია და განზოგადება წიგნში „ხალხთმცოდნეობა“ (1885-1888 წწ.). ამ წიგნის ძირითად იდეას ადამიანთა კულტურისა და ბუნებრივი გარემოს კავშირი წარმოადგენს, მაგრამ ის კულტურის განვითარებაში გეოგრაფიული ფაქტორის აბსოლუტიზებას არ ახდენდა. კულტურის ზონების შესახებ *ფრიდრიხ რატცელის* მოძღვრებამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა შემდეგდროინდელი ეთნოლოგიის განვითარებაზე და ის, გარკვეულწილად, სამეურნეო-კულტურული ტიპებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების თეორიის წინამორბედად იქცა, რომელიც საბჭოთა ეთნოლოგიურ მეცნიერებაში შემუშავდა.

XIX საუკუნის გერმანულენოვანი ეთნოლოგიის ერთ-ერთი ნათელი ფიგურა გახლდათ ეთნოლოგი, არქეოლოგი და ფოლკლორისტი *ლეო ფრობენიუსი* (1873-1938 წწ.), რომელმაც *კულტურულ-მორფოლოგიური მოძღვრება* შექმნა. ის აფრიკის ეთნლოგიის სპეციალისტი გახლდათ; შეადგინა აფრიკის ეთნოგრაფიული რუკები და შექმნა მოძღვრება *კულტურული არეების* შესახებ. *კულტურული არეების* მოძღვრების მიმდევარი იყო გერმანელი ისტორიკოსი და ეთნოლოგი *ფრიტც გრებნერი* (1877-1934 წწ.). ისაა ეთნოლოგიაში **კულტურულ-ისტორიული (დიფუზიონიზმის) სკოლის** ფუძემდებელი. *ფრიტც გრებნერის* თეორიის მიხედვით, ისტორიისათვის არავითარი საერთო კანონზომიერებანი არაა დამახასიათებელი და მას მხოლოდ ცალკეულ განუმეორებელ ფაქტებთან აქვს საქმე. *კულტურული არეების* დროსა და სივრცეში ცვლილება ხდებოდა კულტურული დიფუზიის გამო – კულტურის ელემენტების სივრცობრივი გადაადგილებითა და სესხებით. *ფრიტც გრებნერის* კალამს ეკუთვნის წიგნი „ეთნოლოგიის მეთოდი“ (1909 წ.). *ანთროპოგეოგრაფიისა* და *დიფუზიონიზმის* იდეები ფართოდ გავრცელდა სლავურ ქვეყნებში. კერძოდ, სერბმა ეთნოლოგმა *იოვან ცვიიჩმა*

შექმნა ანთროპოგეოგრაფიის ორიგინალური ვერსია. მან ბალკანელი ხალხების ისტორიულ პროცესსა და ეთნიკური კულტურის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიული გარემოს, ლანდშაფტის მნიშვნელობის შესახებ მიუთითა და ნახევარკუნძულის ეთნოტერიტორიული ზონების კულტურულ-გეოგრაფიული კლასიფიკაციაც შემოგვთავაზა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეთნოლოგიაში **სოციოლოგიზმის** იდეები დამკვიდრდა. ამ მიმართულებამ პირველ რიგში ასახვა ჰპოვა *ემილ დიურკჰეიმის* (1858-1917 წწ.) ნაშრომებში. *დიურკჰეიმის* სოციოლოგიზმმა მსოფლიო ეთნოლოგიის რიგი თეორიული მიმართულების ფორმირებაზე, კერძოდ, ბრიტანულ *ფუნქციონალიზმზე* მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მეცნიერები ხაზს უსვამენ *ემილ დიურკჰეიმის* კონცეფციის შეზღუდულობასაც, განსაკუთრებით კი იმაში, რომ მისი გააზრებით საზოგადოება რაღაც მისტიკური თვისების არსია. ემილ დიურკჰეიმის ირგვლივ XX საუკუნის დასაწყისში თავი მოიყარა მისი მოწაფეების ჯგუფმა, რომლებმაც შექმნეს ე. წ. „სოციოლოგიური სკოლა“ ეთნოლოგიაში. ერთ-ერთი, ვინც მისი დიდი გავლენა განიცადა, *ლიუსენ ლევი-ბრიული* (1857-1939 წწ.) იყო. მან თავისი შრომები ძირითადად პირველყოფილ ცნობიერებას მიუძღვნა, რომლის მიხედვითაც პირველყოფილი აზროვნება განიმარტება როგორც კოლექტიური წარმოდგენების სრული ბატონობა, რომელიც განსახიერებულია მითებში. *ემილ დიურკჰეიმის* სიკვდილის შემდეგ სოციოლოგიური სკოლის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელი იყო *მარსელ მოსი* (1872-1950 წწ.). მან საფრანგეთში ეთნოლოგიას ცალკე სამეცნიერო დისციპლინის სტატუსი მოუპოვა – *დიურკჰეიმის* შეწევნით 1925 წელს პარიზის უნივერსიტეტთან გაიხსნა ეთნოლოგიის ინსტიტუტი. *მ. მოსის* ინტერესების სფეროში შედიოდა ეთნიკური ფსიქოლოგიის პრობლემებიც.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში ევოლუციონიზმის კრიტიკით გამოირჩეოდნენ *ალფრედ რეჯინალდ რედკლიფ-ბრაუნი* (1881-1955 წწ.) და *ბორისლავ კასპერ მალინოვსკი* (1884-1942 წწ.). სწორედ ამ მეცნიერთა სახელებთანაა დაკავშირებული გავლენიანი მეთოდოლოგიური მიმართულების ჩამოყალიბება, რომელმაც *ფუნქციონალიზმის*, ან *სრუქტურულ-ფუნქციონალური* მეთოდის სახელი მიიღო. მათ შემდეგი პრინციპები ჩამოაყალიბეს: ა) ხალხთა კულტურების შესწავლა უნდა ეყრდნობოდეს არა მეორე ხელიდან მიღებული ფაქტების გონებაჭვრეტით კაბინეტურ ანალიზს, არამედ ამ ხალხების ხანგრძლივ და უშუალო დაკვირვებას. სხვანაირად მათი კულტურების აღქმას ისინი გამორიცხავდნენ. საამისოდ კი აუცილებლად მიიჩნევდნენ ადგილობრივი ენების ცოდნას; ბ) შესწავლის საგნად უნდა იქცეს

არა კულტურის ცალკეული მოვლენა, არამედ მთლიანად მოცემული კულტურა, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციონალური ერთობლიობა; გ) სოციალური მოვლენის არსის სამეცნიერო ახსნა არ უნდა დაიყვანებოდეს მისი წარმოშობის ვარაუდებამდე, არამედ მთავარია ამა თუ იმ მოვლენის ფუნქციის (როლის, მნიშვნელობის) ჩვენება; დ) ეთნოლოგიური კვლევების მიზანია კულტურისა და საზოგადოების ფუნქციონირებასა და წყობაში საერთო კანონზომიერების ახსნა. ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გამოყენებით კვლევებზე აქცენტირება იყო, რასაც ასრულებდნენ კიდევაც ბრიტანეთის კოლონიური ხელისუფლების დაკვეთით. ასეთი გამოკვლევების შექმნის ერთ-ერთი მიზანი კოლონიური ხალხების არაპირდაპირი მართვის პოლიტიკის სამეცნიერო უზრუნველყოფა იყო. ამ პოლიტიკის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ა) ხელისუფლების ადგილობრივი ინსტიტუტების (ადგილობრივი მეფეები, ბელადები, უხუცესები) და გასაკონტროლებელი ხალხების სამართალწარმოებისა და გადასახდის დაბეგვრის შენარჩუნება და ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნური რესტავრაცია. სოციალური ანთროპოლოგების (ეთნოლოგების) როლი კოლონიური ხალხების „არაპირდაპირ მართვაში“ (indirect rule) ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ისინი თავად წარუდგენდნენ ხელისუფლებას ხანგრძლივი ექსპედიციების დროს მოპოვებულ ინფორმაციას, ან კიდევ ხშირად შედიოდნენ კოლონიური ადმინისტრაციის შემადგენლობაში, რისთვისაც **ბევრ კოლონიაში შექმნილი იყო *სამთავრობო ანთროპლოგის* (government anthropologist) სპეციალური თანამდებობა.** მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეთნოლოგთა / ანთროპოლოგთა დიდი ნაწილი სამეცნიერო ნაშრომებში მკვეთრად აკრიტიკებდა თავისი ქვეყნის კოლონიური ადმინისტრაცის ზოგიერთ ქმედებას. დღესაც, მუშობენ რა ე. წ. ფერადი ხალხების ეთნოლოგიის პრობლემებზე, მეცნიერები ამ ხალხების მიმართ განსაკუთრებული ჰუმანურობით გამოირჩევიან.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამერიკულ კულტურულ ანთროლოლოგიაში ევოლუციონიზმის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა და მეცნიერთა ჯგუფი *ფრანც ბოასის* (1858-1942 წწ.) მეთაურობით *ლ. მორგანის* მოძღვრების მომხრეებს გაემიჯნა. გერმანიიდან მოსულმა *ფ. ბოასმა* ამერიკულ ანთროპოლოგიაში თან მოიყოლა გერმანული სოციალური აზრები. **მისმა შექმნილმა სამეცნიერო მიმართულებამ *ისტორიული სკოლის* სახელწოდება მიიღო.** მიმართულება ითვალისწინებდა პირველყოფილი საზოგადოების სავალდებულო მრავალწლიან შესწავლას, რის მიხედვითაც უნდა შესწავლილიყო კულტურის ყველა ასპექტი (ენა, მატერიალური საგნები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რწმენა-წარმოდგენები და სხვ.), საგულდაგუ-

ლოდ აღწერილიყო ადამიანთა ფიზიკური იერ-სახე და მომხდარიყო ფსიქოლოგიური დახასიათება. ყველაფერი ეს გეოგრაფიულ გარემოსთან მჭიდრო კავშირში უნდა განხილულიყო. ისტორიული სკოლა სავალდებულოდ მიიჩნევდა სკრუპულოზურ კარტოგრაფირებასაც. *ფ. ბოასი* და მისი მიმდევრები უარყოფდნენ ლ. *მორგანის* გვაროვნულ თეორიას, *ფრეზერის* ტოტემიზმისა და მაგიის კონცეფციას, აგრეთვე ევოლუციური ეთნოლოგიის კლასიკოსთა უნივერსალურობას. ევროპიდან ამერიკაში გადასული გახლდათ *ფრანც ბოასის* მოწაფე *ალექსანდრ გოლდენვეიზერიც* (1880-1940 წწ.), რომელიც უკუდურესი *ანტიევოლუციონისტი* გახლდათ; თავის თეორიულ ნაშრომებში ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის განვითარებაში არ არსებობს საერთო კანონები და განვითარების საერთო მიმართულებები და რომ კაცობრიობის ერთიანობა არ გამორიცხავს კულტურათა სიმრავლეს, კულტურის სიახლეების ქმნიან ინდივიდები, მაგრამ მათი შენახვა და გადაცემა თაობიდან თაობაზე კოლექტივების საქმეა.

XX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიასა და სხვა გერმანულენოვან ქვეყნებში განვითარდა *სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური* და *ფუნქციონალური* მიმართულებები. ეს მიმართულებები მეცნიერთა ერთ წრეში დამუშავდა და ისინი დაკავშირებულია ცნობილი ეთნოლოგისა და სოციოლოგის *რიჰარდ ტურნვალდის* (1869-1954 წწ.) სახელთან. *რ. ტურნვალდმა* ჩამოაყალიბა *ფუნქციონალური სოციოლოგიის* თეორია, აგრეთვე ახალი სამეცნიერო მიმართულება – *ეთნოსოციოლოგია*. მანვე შექმნა მოძღვრება *აკულტურაციის* (ერთი ხალხის მიერ მეორეზე კულტურული ზემოქმედება) შესახებ, დაამუშავა *ხალხური* და *სოციალური* ფსიქოლოგიის პრობლემები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ *რ. ტურნვალდი* ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ამერიკაში და უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ევოლუციური და კულტურულ-ისტორიული მიმართულებების მიმართ და ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ამის შედეგად მან გერმანული ეთნოლოგიის მკვეთრი „სოციოლოგიზაცია“ და „ფსიქოლოგიზაცია“ მოახდინა. დაახლოებით იმავე პერიოდში გერმანულენოვან ქვეყნებში ხალხთმცოდნეობაც ჩამოყალიბდა. დღეისათვის ხალხთმცოდნეობის პარალელურად განვითარდა ევროპული ეთნოლოგია, რომელიც იმავე პრობლემებს სწავლობს, რომლებსაც ხალხთმცოდნეობა, მაგრამ არა მხოლოდ გერმანულენოვანი, არამედ მთლიანად ევროპული მოსახლეობის მასშტაბით.

სკანდინავიის ქვეყნებში ეთნოლოგია ჩამოყალიბდა როგორც უპირატესად ხალხთმცოდნეობა, სადაც უპირატესობა სა-

მუზეუმო საქმიანობასა და ფოლკლორის შეკრებას ენიჭებოდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ეთნოლოგი გახლდათ შვედი *სიგურდ ერიქსონი*, რომელიც 1937 წლიდან გამოსცემდა ეთნოგრაფიულ ჟურნალს „ხალხური ცხოვრება“, რომელშიც უპირატესად „რეგიონული ეთნოლოგიის“ ტიპის ნაშრომები იბეჭდებოდა. ევროპის სლავურ ქვეყნებში (პოლონეთი, ბულგარეთი, სერბეთი და სხვ.) ეთნოლოგია ჩამოყალიბდა როგორც საკუთარი ხალხების შემსწავლელი მეცნიერება. იბეჭდებოდა უფრო განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომებიც. სამაგალითოდ შეიძლება დასახელდეს ჩეხი მეცნიერის *ლიუბორ ნედერლეს* წიგნი „სლავური სიძველეები“, რომელიც დღემდე სლავური მოდგმის ხალხების ეთნოგენეზისა და კულტურის ისტორიის შესახებ სანიმუშო ნაშრომს წარმოადგენს.

XX საუკუნის 60-იან წლებში დიდი ბრიტანეთის სოციალურ ანთროპოლოგიაში ახალი მიმართულებები - *სოციალური ველი* და *სოციალური ქსელი* გაჩნდა. ამ მიმართულებების წარმომადგენელთა სამეცნიერო მოღვაწეობა მიმართული იყო არა მხოლოდ „მესამე სამყაროს“ ტომობრივი და სათემო ჯგუფების შესწავლისკენ, არამედ თანამედროვეობის ყველა ძირითადი საზოგადოებრივი სტრუქტურის, მათ შორის ქალაქის, საკვლევად. „სოციალური ველის“ ცნება ორიენტირებულია არა მხოლოდ ადგილობრივი ტრადიციების სოციალური წარმონაქმნების კვლევებზე (ოჯახი, გვარი, ტომი, ბელადობა, ნათესაობის სისტემა, მაგიური პრაქტიკა და ა. შ.), არამედ კოლონიური საზოგადოების ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის, კოლონიის ჩინოვნიკების, ევროპელი და ადგილობრივი მეწარმეების, ვაჭრების, მღვდელმსახურების, ექიმების, მასწავლებლებისა და ა. შ. კვლევებზე. აღნიშნული მიმართულების გამოკვეთილი წარმომადგენელი გახლდათ *ე. ევანს-პრიჩარდი* (1902-1973 წწ.). ის *კოგნიტიური ანთროპოლოგიის* ფუძემდებლადაა მიჩნეული, ხოლო *ვიქტორ თერნერი* კი – სიმბოლური ანთროპოლოგიისა. ეს მკვლევარები იყენებდნენ *სტრუქტურულ-ფუნქციონალური* ანალი-ზის მეთოდს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის კულტურულ ანთროპოლოგიაში *ნეოევოლუციონიზმი* გაბატონდა, რომლის ყველაზე აღიარებული და ცნობილი წარმომადგენელი გახლდათ *ლესლი აგნიუს უაიტი* (1900-1975 წწ.).

მსოფლიო ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ფიგურა გახლდათ ფრანგი *კლოდ ლევი-სტროსი* (1908-2009 წწ.). ის იყო *ე. დიურკჰეიმისა* და *მ. მოსის* სამეცნიერო ტრადიციების გამგრძელებელი. საყოველთაოდ ცნობილია მისი წიგნი „სტუქტურული ანთროპოლოგია“. *კ. ლევი-სტროსის* ***სტრუქტურალიზმი*** დაფუძნებული იყო ენის შეუცნობელ ბუნებასა და

კულტურას შორის არსებულ ანალოგიებზე. მისი მეთოდი მიმართულია ცნობიერებისაგან დაფარული კულტურის სხვადასხვა ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთობათა გამოვლენაზე. ებრაული წარმოშობის ფრანგი მეცნიერი პირველყოფილი ხალხების მითების შესახებ გამოკვლევებით გახდა განსაკუთრებით ცნობილი. ის მიიჩნევდა, რომ მითოლოგიური აზროვნება კაცობრიობის ცივილიზაციის საფუძველია, რომელიც კოლექტიურ შეუცნობელ სფეროში (მენტალობა) არსებობდა და ექვემდებარებოდა გარკვეულ ლოგიკას, რაც, თავის მხრივ, ე. წ. „ბინარული ოპოზიციით“ (ბუნება–კულტურა, დღე–ღამე, მარჯვენა–მარცხენა, მამაკაცური–ქალური და ა. შ.) მოქმედებდა.

ომის შემდგომ გერმანიაში დიდი აღიარება მოიპოვა *რ. ტურნვალდის* მოწაფის, *ვილჰელმ მიულმანის* (1904-1988 წწ.) ნაშრომებმა, რომელმაც ფუნქციონალური ეთნოლოგიის მეთოდები გადაამუშავა, რასაც მიუძღვნა წიგნი „ეთნოლოგიის მეთოდიკა“. თანამედროვე გერმანულენოვან ეთნოლოგიაში ემპირიული გამოკვლევები ჭარბობს და მეცნიერთა ერთი ნაწილი „ისტორიული ეთნოლოგიის“ პოზიციებზე დგას, მეორე კი – ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის სულისკვეთებითაა შეპყრობილი.

ცნობილია, რომ საბჭოთა და სხვა კომუნისტურ ქვეყნებში ეთნოლოგია მარქსიზმის იდეებით საზრდოობდა. ამ ქვეყნების გარდა, მარქსისტული ეთნოლოგიის მიმდევრები სხვა ქვეყნებშიც მოღვაწეობდნენ. თუმცა ხშირად მარქსისტული იდეების მხოლოდ დეკლარირება ხდებოდა და გამოკვლევები, ჩვეულებრივ, ოდითგავე ჩამოყალიბებული ტრადიციებით გრძელდებოდა (ფაქტობრივად, ანალოგიური ვითარება გვქონდა საქართველოშიც). დასავლეთის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში XX საუკუნის 60-70-იანი წლების პერიოდს ზოგჯერ „მარქსისტული რენესანსის“ პერიოდსაც უწოდებენ. ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში არცთუ ისე ბევრი თეორეტიკოსიდან, რომლებმაც მარქსიზმის ცალკეული დებულებები აითვისეს, ასახელებენ *ლ. უაიტს.* ინგლისელ მეცნიერთაგან კი შეიძლება *მორის ბლოხის* დასახელება, რომლის იდეებიც გადმოცემულია წიგნში „მარქსიზმი და ანთროპოლოგია“ (1983 წ.). *მ. ბლოხი* იმ სამეცნიერო მიმართულების პიონერი გახლავთ, რომელმაც *„აკულტურაციის შესწავლის“* სახელწოდება მიიღო, რაც გულისხმობდა არაევროპული საზოგადოებების კულტურული ტრანსფორმაციის პროცესს, რასაც იწვევდა კოლონიალიზმი და ინდუსტრიულ ცივილიზაციებთან კონტაქტები. *ლ. უაიტის* მიმდევართაგან ფართო აღიარება მოიპოვა *მარვინ ჰარისმა,* რომელმაც განსაკუთრებული მოძღვრება – *კულტურული მატერიალიზმი* – შექმნა.

დასავლეთ ევროპაში მარქსისტული კატეგორიებიით გატაცება ხანგრძლივი არ იყო. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ის ერთგვარად შესუსტდა და ადგილი დაუთმო მეცნიერულ მიმართულებას, რომელიც პირობითად *პოსტმოდერნიზმად* იწოდება. *პოსტმოდერნისტული* იდეები განსაკუთრებით პოპულარულია ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში, ამასთანავე თვით მკვლევარები ამჯობინებენ ამ მიმართულებას *კრიტიკული ანთროპოლოგია* უწოდონ. *პოსტმოდერნიზმისათვის* დამახასიათებელია მეცნიერების წარსულის ტოტალური უარყოფა, გაუმართლებელი ირონია და სკეფსისი. მიუხედავად ამისა, პოსტმოდერნისტულ ეთნოლოგიაში ორიგინალური ნაშრომებიც შეიქმნა, რომელთა ავტორები დედამიწის ხალხთა კულტურების ეფექტიურ შესწავლას გვთავაზობენ. ამ სკოლის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარია *კლიფორდ გირცი* (1926-2006 წწ.). მას ხშირად *ინტერპრეტატიული ანთროპოლოგიის* საფუძველჩამყრელად მოიხსენიებენ.

მსოფლიო ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ეთნიკურობის, ნაციებისა და ნაციონალიზმის კვლევა გარკვეულ დრომდე პოპულარული არ იყო. მაგრამ 1960-იანი წლებიდან ეთნიკური მოძრაობების გააქტიურებასთან ერთად ეს პრობლემა აქტუალური გახდა და მისი შესწავლა ეთნოლოგებმაც დაიწყეს. ამ პრობლემის შესწავლაში ეთნოლოგებზე უფრო აქტიურები სოციოლოგები, პოლიტოლოგები და ფილოსოფოსები იყვნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ თემაზე დაწერილ აურაცხელ ნაშრომებს შორის დისციპლინარული საზღვრების გავლება შეუძლებელია. ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის შესახებ არსებულ თეორიულ შეხედულებებს ორ ჯგუფად ყოფენ: *პრიმორდიალიზმად* (ლათ. primordium – თავდაპირველი, პირველადი, ძველთაძველი, პირველყოფილობა) და *კონსტრუქტივიზმად* (ლათ. constuctio – აგებულება, მოწყობილობა, გარკვეული გეგმის მიხედვით შეგნებულად შექმნილი). ტერმინი *პრიმორდიალიზმი* პირველად *კ. გირცმა* გამოიყენა. ეს კონცეფცია ეფუძნება ეთნიკური ერთობებისა და ეთნიკური გრძნობების თავდაპირველ ბუნებას. გარკვეულწილად ეს აისახა ინგლისელი ანთროპოლოგის *ენტონი სმიტისა* და სოციოლოგის *უეკერ კონორის* ნაშრომებში. უფრო **მრავალრიცხოვანია *კონსტრუქტივიზმის* მიმდევართა წრე, რომლებიც იმ პოსტულატს ეყრდნობიან, რომ ეთნიკური ერთობები, ეთნიკური ცნობიერება, ეთნიკური და ნაციონალური გრძნობები განზრახ არის შექმნილი იმისათვის, რომ მასების მობილიზება მოახდინონ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზნებისათვის.** ამ პოზიციას იზიარებენ ნორვეგიელი *ფრედერიკ ბარტი,* ინგლისელი *ერნსტ გელნერი, ერიკ ჰობსბაუმი* და სხვა მეცნიერები.

ამრიგად, ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. მსოფლიო ხალხების შესახებ დაგროვილია ინფორმაციის დიდი რაოდენობა, აგრეთვე ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციები. საუკუნენახევრის განმავლობაში დაგროვილი ეთნოგრაფიული ფაქტები განცალკევებულად არ არსებობს, ისინი ცნობიერების, ადამიანთა ნება-სურვილისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ანაბეჭდების მატარებელია. ამიტომ ეთნოლოგიის ნებისმიერი სფეროს მასალა ისტორიოგრაფიული კრიტიკის ელმენტებსაც უნდა შეიცავდეს.

დასასრულს არ შეიძლება არ ითქვას, რომ ახალი თეორიების, კონცეფციებისა და სამეცნიერო მიმართულებების წარმოქმნა არც მომავალშია გამორიცხული. **მრავალრიცხოვანი მიმართულებების ფორმირება კი ეთნოლოგიის ფილოსოფიური გააზრებით იყო გამოწვეული. ეთნოლოგიის ფილოსოფიური გააზრება კი ანთროპოლოგიის (სოციალური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროლოლოგია) უშუალო საგანს წარმოადგენდა.** ანთროპოლოგია კი მხოლოდ კოლონიური / პირველყოფილი / ეგზოტიკური ხალხების (საზოგადოებების) შესწავლით იყო დაინტერესებული. მისი კვლევის სფეროში ევროპის ცივილიზებული ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლა არ შედიოდა. ***კლოდ ლევი-სტროსიც*** **მიჯნავდა ერთმანეთისაგან ეთნოგრაფიას, ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას. ეთნოგრაფიას აღწერით მეცნიერებად მიიჩნევდა, ეთნოლოგიას კი იმ დარგად, რომელიც ეთნოგრაფიულ მონაცემებს აანალიზებდა, ხოლო ანთროპოლოგიას ეთნოლოგთა გაანალიზებული მასალის ფილოსოფიურ გააზრებასთან აკავშირებდა.**

ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორიაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ევროპელი მეცნიერები საკმაოდ ადრე თავიანთი ხალხების ტრადიციული კულტურითაც დაინტერესდნენ. ამ სფეროშიც გერმანელები, ფაქტობრივად, პირველები იყვნენ. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისსა და შუა ხანებში ევროპაში მოხდა ნაციონალური იდეების განვითარება. გერმანიის ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ეს მიმართულება განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა ძმების – *იაკობ* და *ვილჰელმ გრიმების* შემოქმედებაში. *გრიმები* განუსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავისი ხალხის ყოფის, რწმენა-წარმოდგენების, გადმოცემების, წეს-ჩვეულებების შესწავლას. ისინი მიუთითებდნენ, რომ ასეთი შესწავლა გამოააშკარავებს ხალხის თვითმყოფადობას, როგორც მაშინ ამბობდნენ: „ხალხის სულს“ – რითაც ისინი განსხვავდებიან ყველა დანარჩენი ხალხისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ *გრიმებმა* იშვიათი შრომისმოყვარეობის შედეგად შექმნეს

შესანიშნავი ნაწარმოებები: „ზღაპრები“ (1812-1815 წწ.), „გერმანელი ხალხის გადმოცემები“ (1816-1818 წწ.), „გერმანელი ხალხის იურიდიული სიძველეები“ (1828 წ.), „გერმანელი ხალხის მითოლოგია“ (1835 წ.). *გრიმების* იდეები სწრაფად გავრცელდა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთში (*ბუსლაევი, აფანასიევი* და სხვ.). ევროპის ქვეყნებში მათი მიბაძვით დაიწყო გადმოცემების, ზღაპრების, წეს-ჩვეულებების ინტენსიური შეგროვება, დღესასწაულების აღწერა, ხალხური სიმღერების ჩაწერა.

I.9.ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია საქართველოში

თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში იღებს სათავეს, როდესაც *გიორგი ჩიტაია* გამოჩნდა სამეცნიერო ასპარეზზე. *გიორგი ჩიტაიას* სახელთანაა დაკავშირებული სისტემატური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების დაწყება, სამეცნიერო კადრების აღზრდა. ქართული სამეცნიერო ეთნოლოგია კი უფრო ხნოვანია – ის XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. ქართველთა შესახებ ეთნოლოგიური მონაცემები უძველეს წერილობით ძეგლებშია დაფიქსირებული.

ქართველთა ეთნიკური კულტურის არაერთი საგულისხმო ფაქტია დადასტურებული ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ლიტერატურულ ძეგლში – „შუშანიკის წამება“. ამ ძეგლში ყველაზე მნიშვნელოვანია საოჯახო ყოფის, სუფრის ეტიკეტის საკითხი. ყოფისა და კულტურის არაერთი საკითხია დაფიქსირებული აგიოგრაფიული ლიტერატურის სხვა ძეგლებშიც – *გიორგი მერჩულისა* და *ბასილ ზარზმელის* თხზულებებში სამონასტრო მშენებლობის აღწერის გვერდით მოცემულია ცნობები ქართველთა სამეურნეო საქმიანობისა და სოციალური ურთიერთობების, სტუმარ-მასპინძლობის შესახებ.

მართალია, ქართულ საისტორიო წყაროში – „ქართლის ცხოვრებაში“ ძირითადად ქართველთა პოლიტიკური ისტორიაა გადმოცემული, მაგრამ მასში ეთნოლოგიური მონაცემებიცაა დაფიქსირებული. რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების“ პირველი ავტორი – *ლეონტი მროველი* გვთავაზობს მწყობრ კონცეფციას ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხების წარმომავლობის / ეთნოგენეზის შესახებ. ქართველები და კავკასიის ხალხები, ქართული წყაროს მიხედვით, ბიბლიური *ნოეს* შთამომავლებად არიან გამოცხადებული. ეს თვალსაზრისი ასახავს შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების წარმოდგენას კავკასიის ხალხთა ერთიანობის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად, ქართველები ადგილობრივი წარმოშობის, ისტორიული საქართველოს უძველესი მკვიდრნი არიან. ბუნებრივია, თანამედროვე მეცნიერების გადასახედიდან *ლეონტი მროველის* კონცეფცია არ მართლდება, თუნდაც სომეხთა და ქართველთა საერთო წარმომავლობის შესახებ. ლეონტის დროს კავკასიაში დომინანტი ეთნოსი ქართველები იყვნენ, მათ ხელში იყო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოთავეობა, ის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში კავკასიის სხვა ეთნოსთა შემოსვლას, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, ინტეგრაციას უყრიდა საფუძველს.

ქართულ ეთნოლოგიაში ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ *ვახუშტი ბაგრატიონის* შემოქმედება. მას ჩვეულებრივ ისტორიკოსად და გეოგრაფად მიიჩნევენ, მაგრამ ვახუშტი არანაკლები ეთნოლოგიც იყო. **[ვახუშტი ბაგრატიონის ეთნოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ შემდეგი მონაკვეთი].**

ქართული ეთნოლოგიის ისტორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით *იოანე ბაგრატიონის* შემოქმედებას. *იოანე ბაგრატიონს* ეკუთვნის ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა". ამ ნაშრომიდან ირკვევა, საქართველოს რომელ სოფელში იყო მოსახლეობა და რომელი წარმოადგენდა ნასოფლარს. ავტორი არაქართველების შესახებაც გვაწვდის ცნობებს. „კალმასობაში" *იოანე ბაგრატიონი* საფუძვლიანად აღწერს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის ყოფა-ცხოვრებას.

1849 წელსაა გამოცემული *დავით ციციშვილის* „ქცევები და ზნეობა საქართველოში". ამ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არსებულ საქორწინო ტრადიციებს. ირკვევა, რომ ქართულ ტრადიციებში ნოვაციები XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც ჩნდებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეთნოლოგია საქართველოში დამოუკიდებელ მეცნიერებად ყალიბდება. 1850 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება. როგორც სხვაგან, აქაც, საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან ერთად, საზოგადოებრივ მეცნიერებებსაც ჩაეყარა საფუძველი. განყოფილება გამოსცემდა პერიოდულ გამოცემებს. ამ გამოცემებში, რუს ავტორებთან ერთად, ქართველ ავტორთა ეთნოლოგიური ხასიათის ნაშრომებიც იბეჭდებოდა. ესენი იყვნენ: *დ. ბაქრაძე, დ. ჭონქაძე, გ. ყაზბეგი, ნ. ხიზანაშვილი, მ. ჯანაშვილი* და სხვ. ეთნოლოგიური სტატიები თვით ავტორთა მიერ მოპოვებულ საველე მონაცემებს ემყარებოდა. ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში გამომავალ რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებში ფოლკლორის ნიმუშებიც იბეჭდებოდა. განსაკუთრებული აქცენტი კი ხალხურ დღესასწაულებზე, რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებზე კეთდებოდა. ქართველ ავტორებთან ერთად ძალიან აქტიურობდნენ რუსი და იმპერიის მიერ დაქირავებული უცხოელი ავტორები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1887-1895 წლებში დაბეჭდილ ხუთტომეულს, რომლის სახელწოდება გახლდათ: „მასალების კრებული ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის". ამ გამოცემაში დაბეჭდილი ნაშრომები სხვადასხვა მაზრის ვითარებას ეხებოდა. არაქართველ ავტორებთან ერთად „მასალების" მომზადებაში ქართველი ავტორებიც იყვნენ ჩაბმული (*მ.*

და *ს. მაჩაბლები, ი. ანდრონიკოვი, ი. ბახტაძე, ა. ნატროევი*). გამოცემაში თავმოყრილი ნაშრომები განსაკუთრებით ფასეულია იმ ინფორმაციით, რომელიც ქართველი და სხვა ხალხების სამეურნეო ყოფას ეხება; მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მონაცემებიც. ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები ქვეყნდებოდა აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში გამომავალ სხვა რუსულენოვან ჟურნალებსა და გაზეთებში: „ამიერკავკასიის მოამბე“, „კავკასიის კალენდარი“, „კავკაზი“, „კავკასიის სიძველეები“, „კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები“... გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდებოდნენ ისეთი ქართველი ავტორები, როგორებიც იყვნენ *დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი* და სხვ.

XIX საუკუნის შუა ხანების მოღვაწე გახლდათ *პლატონ იოსელიანი.* ის, უპირველეს ყოვლისა, ისტორიკოსი გახლდათ, მაგრამ მის შემოქმედებაში ეთნოლოგიასაც დიდი ადგილი ეკავა, რადგან ქართველთა ისტორიის შესწავლის საქმეში ეთნოგრაფიულ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებდა. *პ. იოსელიანს* მოეპოვება ჩანაწერები კახეთსა და ფშავზე; მასვე ეკუთვნის დუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა. მან აღწერა ხალხური სპორტული თამაშობანი, ყველიერთან დაკავშირებული გართობა-თამაშობანი, ყეენობა, ჭონა და სხვა მრავალი. ქართული ეთნოლოგიური ყოფის ზოგიერთ მოვლენას სხვა ხალხების ყოფით მოვლენებს ადარებდა. პლატონ იოსელიანს, ყოფისა და კულტურის მოვლენებთან ერთად, მხედველობის არედან არც ტოპონიმები და მიგრაციული პროცესები რჩებოდა. ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას *პ. იოსელიანი* ქართველთა წარმოშობის „ქართლის ცხოვრებისეულ“ კონცეფციას კრიტიკული თვალით უყურებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს *დიმიტრი ბაქრაძის* მოღვაწეობა. ის სამართლიანადაა მიჩნეული ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. აღნიშნული დროის პერიოდულ გამოცემებში *დ. ბაქრაძის* არაერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილია გამოქვეყნებული. ***დ. ბაქრაძე* მიიჩნევდა, რომ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის გარეშე ქართველთა სრულყოფილი ისტორია ვერ დაიწერებოდა**. თუმცა ის ამ მასალების ხელაღებით გამოყენების წინააღმდეგი იყო და მათ კრიტიკულ შესწავლას მოითხოვდა. *დ. ბაქრაძე* მხოლოდ კაბინეტის მეცნიერი არ ყოფილა. ის ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და მისი დაკვირვებანი საექსპედიციო საქმიანობის შედეგად მოპოვებულ მასალებსა და უშუალო დაკვირვებას ემყარებოდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს *დ. ბაქრაძის* მოგზაურობის შესახებ *გურიაში, აჭარაში, შავშეთში, არტაანსა*

და *კლარჯეთში.* ამ მოგზაურობის შედეგად იმრიონდელი ქართველებისათვის საცნაური გახდა საქართველოს მოწყვეტილი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. მასვე ეკუთვნის წერილები *ფშავზე, სვანეთზე,* საქართველოში მცხოვრებ ოსებზე... თამამად შეიძლება ითქვას, რომ *დ. ბაქრაძის* სამეცნიერო მემკვიდრეობა იმდროინდელი ევროპული მეცნიერების დონეზე იდგა.

ეთნოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დაკავშირებულია *რაფიელ ერისთავისა* და *ნიკო ხიზანიშვილის* სახელებთან. *რ. ერისთავი* პირველი იყო, რომელმაც ეთნოლოგიური მოღვაწეობა წინასწარ შედგენილი პროგრამით დაიწყო. ის ინტენსიურ საველე მუშაობას ეწეოდა და, ამავე დროს, შესადარებელ მასალას სხვა მხარეებში ეძებდა. *რ. ერისთავი* მეთოდოლოგიურადაც შეიარაღებული მკვლევარი გახლდათ; ის შესანიშნავად იყენებდა იმდროინდელ დასავლურ მეცნიერებაში გავრცელებულ შედარებით-ისტორიულ მეთოდს. *რ. ერისთავის* სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ფართო სამუზეუმო საქმიანობა, სამუზეუმო კოლექციების შეკრება და სისტემაში მოყვანა. განსაკუთრებული ამაგი დასდო *რ. ერისთავმა* საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების – *თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის* – ეთნოგრაფიულ შესწავლას. მის სამეცნიერო ინტერესებში დასავლეთ საქართველოს – სამეგრელოსა და იმერეთის ქართველთა ყოფა და კულტურაც შედიოდა. აქ ის ძირითადად ადგილობრივი გლეხების სამეურნეო საქმიანობის, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების აღწერით იყო დაინტერესებული. აკადემიკოსი *გიორგი ჩიტაია* 1926 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „ქართული ეთნოლოგია“ მაღალ შეფასებას აძლევდა *რ. ერისთავის* საველე-სტაციონარულ და სამუზეუმო ფუძემდებლურ საქმიანობას. *გ. ჩიტაიას* შეფასებით *რ. ერისთავი* სპეციალური ეთნოლოგიური წერილების ერთ-ერთ პირველ ავტორადაცაა მოხსენიებული. *რ. ერისთავის* ბევრი პუბლიკაცია რუსულ ენაზე იყო დაწერილი. ამით ის არაქართველ მკითხველებს წარმოდგენას უქმნიდა ქართველი ხალხის ტრადიციების შესახებ. აგრეთვე მეცნიერი არა მხოლოდ აღწერდა ქართულ ეთნოგრაფიულ ფაქტებს, არამედ ისტორიული და სოციალური ხასიათის ანალიზსაც გვთავაზობდა. *რ. ერისთავის* მოღვაწეობას დიდად აფასებდა *ივ. ჯავახიშვილი.* „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში, სადაც *ივანე ჯავახიშვილი* „ქართველთა წარმართობაზე“ საუბრობს, არაერთხელ მიმართავს *რ. ერისთავის* მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალას, ზოგჯერ კი მთლიანად იმოწმებს მას. *რ. ერისთავმა* სამეცნიერო

მიმოქცევაში ზოგიერთი ისეთი ეთნოგრაფიული რეალიაც შემოიტანა, რომელიც მხოლოდ მასთანაა ფიქსირებული, რადგან ყოფიდან ისინი მალევე გაქრა. *რ. ერისთავის* ეთნოგრაფიული ცოდნა მის მხატვრულ ნაწარმოებებშიც აისახა, რომლებშიც სიზუსტითაა აღწერილი მევენახეობა, კალოობა, რთველი, გუთანი, ურემი, გლეხის კარ-მიდამო, დღესასწაულები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეთნოლოგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია *ნიკო ხიზანაშვილი* (*ურბნელი*). აკად. *გ. ჩიტაია* მის შესახებ წერდა: „*ნ. ხიზანაშვილი* ქართველი ეთნოგრაფების იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც *ი. ჭავჭავაძის* ხელკურთხევით დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს ღრმა კვალი გაავლო. ...მის ეთნოგრაფიულ ნაწერებს, რაც დრო გადის, უფრო მეტი შეფასება ეძლევა“. *ნ. ურბნელი* ეროვნული კულტურის აღორძინებას ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაცვასა და შენარჩუნებას უკავშირდება. ის, როგორც განათლებით იურისტი, ძირითადად ხალხური სამართლის პრობლემებით იყო დაინტერესებული. აღსანიშნავია *ნ. ხიზანაშვილის* გამოკვლევები: „ფშავ-ხევსურეთი“ და „ძველი ქართული ოჯახი.“ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა მის დაკვირვებას ქართველ მთიელთა სოციალური ყოფის, რწმენა-წარმოდგენების, ხევისბერის ინსტიტუტისა და მიცვალებულთან დაკავშირებულ ტრადიციებზე. ამ და სხვა პრობლემებზე მსჯელობისას *ნ. ხიზანაშვილი* ფართოდ იყენებს ქართულ წერილობით ძეგლებს; იყენებდა იმ პერიოდის დასავლურ მეცნიერებაში გავრცელებულ შედარებით-ისტორიულსა და სოციოლოგიურ მეთოდებს. ტრადიციების ფორმირებაში *ნ. ურბნელი* ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს დიდ როლზეც მიუთითებდა. ხშირად ეყრდნობოდა ევოლუციონიზმის სკოლის წარმომადგენელთა – *ჯ. ლებოკის, გ. სპენსერის, ე. ტაილორის, ლ. მორგანისა და მ. კოვალევსკის* ნაშრომებს.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX სუკუნის დასაწყისში *რ. ერისთავსა* და *ნ. ხიზანაშვილს* გვერდში ედგა არაერთი მოღვაწე, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად ეთნოლოგიის სფეროშიც მოღვაწეობდნენ; ესენი იყვნენ: *პეტრე უმიკაშვილი, ბესარიონ ნიჟარაძე, იონა მეუნარგია, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო ჯანაშია* და სხვ. ყველა მათგანი ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის შესწავლის გარდა, ეროვნული ცნობიერების გაღვივების საქმესაც ემსახურებოდა.

პ. უმიკაშვილი ძირითადად ფოლკლორული მასალების შეკრებით იყო დაკავებული, თუმცა ის საგულისხმო ეთნოგრაფიულ მასალებსაც მოიპოვებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია *პ. უმიკაშვილის* მიერ აჭარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის

პრობლემების კვლევა. მისი ინტერესების სფერო მოიცავდა ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის დემოგრაფიულ, მოსახლეობის განსახლების, მუჰაჯირობისა და ეთნიკური შემადგენლობის პრობლემებს.

სვანეთის ეთნოგრაფიულ პრობლემებს იკვლევდა *ბესარიონ ნიჟარაძე*, რომელიც წერილებს ძირითადად „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. *თავისუფალი სვანი* სვანეთის ეთნოლოგიის თითქმის ყველა პრობლემას შეეხო, მაგრამ უფრო აღსანიშავია მისი სტატიები ჩვეულებით სამართალზე, საოჯახო ყოფაზე, ქორწინებასა და მიწათმფლობელობა-მესაქონლეობაზე. ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად *ბ. ნიჟარაძე* ფოლკლორულ მასალებსაც აგროვებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე გახლდათ *იონა მეუნარგია*, რომელსაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. ისტორიული ხასიათის ნაშრომებში ის ფართოდ შეეხო სამეგრელოს ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხს.

ლინგვისტიკის, ფოლკლორისა და ეთნოლოგიის სფეროებში მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა *მოსე ჯანაშვილმა*, განსაკუთრებით საინგილოსა და აფხაზეთის შესახებ. მან ყურადღება მიაქცია საქართველოს სხვადასხვა მხარეების ეთნოლოგიური თავისებურებების კვლევას. *მ. ჯანაშვილს* კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური საკითხებიც აინტერესებდა. დიდი წვლილი შეიტანა საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებისათვის ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში.

ფილოლოგი და ისტორიკოსი *ალექსანდრე ხახანაშვილი* ეთნოლოგიურ პრობლემებსაც დიდ დროს უთმობდა. ის დაინტერესებული იყო ქართველი ხალხის წარმოშობისა და თავდაპირველი განსახლების პრობლემებით, იკვლევდა ჩვეულებით სამართალს, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების თავისებურებებს, გამოსცა ქართული ზღაპრები.

ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მკვიდრი *დიმიტრი ჯანაშვილი* უპირატესად ამ მხარის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემებით იყო დაიტერესებული, აინტერესებდა ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების საკითხებიც.

ფართო და მრავალმხრივი იყო *ზაქარია ჭიჭინაძის* შემოქმედება. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი ნაშრომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველთა შორის ისლამის გავრცელების შესახებ, აქაური ქართველების ყოფასა და კულტურაზე. საყურადღებოა *ზ. ჭიჭინაძის* ნაშრომი საქართველოში ოსთა ჩამოსახლების შესახებ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთის ეთნოგრაფიის კვლევაში *ნიკო ჯანაშიას.* მისი ნაშრომები თანაბრად ეხება როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის შეს-

წავლას. *ნ. ჯანაშია* სწავლობდა როგორც სულიერი კულტურის, ისე სოციალური ურთიერთობების სხვადასხვა მხარეებს. *ნ. ჯანაშიას* შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა *ივანე ჯავახიშვილი.*

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართველი მწერლები *ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი* და *ვაჟა-ფშაველა* დიდ დროს უთმობდნენ ქართული ეთნოლოგიის პრობლემებსაც. მათ მხატვრულ შემოქმედებაშიც არა ერთსა და ორ ეთნოგრაფიულ რეალიას იპოვის დაიტერესებული მკითხველი. საერთოდ ამ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები ეთნოლოგთა მიერ შესასწავლია. აქ ძირითადად მხოლოდ *ვაჟა-ფშაველას* ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს შევეხებით, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ძირითადად ფშაველებისა და ხევსურების) ყოფისა და კულტურის საკითხებს ეხება. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ *ვაჟას* ეთნოლოგიური მემკვიდრეობა იმდროინდელი მეცნიერების მაღალ დონეზე დგას. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა: ეროვნული საკითხი, პიროვნებისა და ერის, ერისა და კაცობრიობის, პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ურთიერთმიმართება. ის ხაზს უსვამდა: „ნათელია, რომ ჩვენ, ქართველები ერი ვართ“. *ვაჟა*, სრულიად სამართლიანად, მთისა და ბარის ერთიანობის, მთაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზურ ხასიათზე მსჯელობდა. პოეტი დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც ნიჰილიზმს, ქართველი ერის სიბერისა და განწირულობის შესახებ ქადაგებდა. *ვაჟა-ფშაველამ* ფშავის, ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის შესახებ არა მხოლოდ უნკალური ეთნოგრაფიულ მასალა შემოუნახა შთამომავლობას, არამედ ამ მონაცემთა გააზრებით დღევანდელი მეცნიერების დონესაც აკმაყოფილებს. ეს შეიძლება ითქვას მთიელთა ჯვარ-ხატების, სათემო და ცენტრალური სალოცავების, ხევისბერის ინსტიტუტის, რწმენა-წარმოდგენების, ჩვეულებითი სამართლის, სტუმარმასპინძლობის, საოჯახო ყოფის, წაწლობის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამოსელის, ქალისა და კაცის ურთიერთობის, მეცხვარეობის, ქართულ-კავკასიური ურთიერთობების, მთიელთა ბარში მიგრაციის და სხვა არერთი საკითხის შესახებ. მეცნიერი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) იმდროინდელ მოწინავე ევროპელ მეცნიერ-ეთნოლოგთა ნაღვაწსაც კარგად იცნობდა. ქართველ მთიელთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ეთნოლოგიის ცნობილ სპეციალისტს *მაქსიმე კოვალევსკის* დიდად აფასებდა და, ამავე დროს, არც მის კრიტიკას ერიდებოდა. *ვაჟას* მხატვრული შემოქმედებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ის მეზობელი ჩაჩნებისა და ინგუშების ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების შესანიშნავი მცოდნე იყო. იგივე შეიძლება ითქვას *ალექსანდრე ყაზბეგის* შე-

სახებაც, რომელიც არა მხოლოდ ქართველ მთიელთა, არამედ ჩაჩან-ინგუშთა ეთნოგრაფიის კარგი მცოდნეც იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეკრებილმა ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა, დაბეჭდილმა ნაშრომებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა ეთნოლოგიური მეცნიერების დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბებას. დამოუკიდებელი ეთნოლოგიური მეცნიერების სათავეებთან XX საუკუნის პირველ მეოთხედში იდგნენ *ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია.* ამ ავტორთაგან მხოლოდ *თ. სახოკიას* ეკუთვნოდა წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. ის სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული პირველ ქართველ პროფესიონალ ეთნოლოგად. ეთნოლოგიის საფუძვლებს *თ. სახოკია ჟენევისა* და *სორბონის* უნივერსიტეტებში ეუფლებოდა. *თ. სახოკიამ* მოღვაწეობა პარიზში 1902 წელს დაიწყო, სადაც ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის წერილებს ფრანგულად და ინგლისურად ბეჭდავდა. მან დიდი წვლილი შეტანა ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში – ეს ნივთები კი მრავლადაა დაცული თბილისის, პეტერბურგისა და პარიზის მუზეუმებში; მონაწილეობდა საერთაშორისო ეთნოლოგიურ ყრილობებში. *თ. სახოკია* მუდმივად მოგზაურობდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში და აქ მოპოვებული მასალების საფუძველზე წერილებს ბეჭდავდა თბილისში გამომავალ ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში. მისი საველე და სამეცნიერო მოღვაწეობა იმდროინდელი მეცნიერული მეთოდებით ხდებოდა. როგორც *გ. ჩიტაია* აღნიშნავდა, *თ. სახოკიას* მეთოდი თითქმის ისეთი იყო, როგორიცაა კომპლესურ-ინტენსიური მეთოდი. კლასიკური ეთნოლოგიური მეთოდებით შესრულებულ მის ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. მეცნიერს თანაბრად აინტერესებდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურა, მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობები. სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა მიცვალებულის კულტს სამეგრელოში. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამავე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მითოლოგიური პრობლემებისა და საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ. ფრიად ღირებულია მისი „მოგზაურობანის“ სახელით გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას შეეხება. წიგნში ის აღწერს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების სამიწათმოქმედო ყოფას, მესაქონლეობას, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, ხალხურ სიტყვიერებას, არამედ აფხაზებისასაც. აჭარელთა შესახებ კი ხაზს უსვამს მათი ქართული ხასიათის მნიშვნელოვან თვისებებს, ქართული ენის

შემონახვას. მნიშვნელოვანია *თ. სახოკიას* ჩანაწერები სამურზაყანოსა და აფხაზეთის შესახებ. აღსანიშნავია მისი ინტერესი სულუგუნის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ***თ. სახოკია ევროპულ სამეცნიერო ტრადიციებზე აღზრდილი პირველი ქართველი მკვლევარი ეთნოლოგი იყო, რომელიც მასალებს სპეციალურად შედგენილი კითხვარებისა და ასევე სპეციალურად შერჩეული მთხრობელის საშუალებით მოიპოვებდა.***

ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს *ექვთიმე თაყაიშვილის* ინიციატივით დაარსდა და რომლის პირველი თავმჯდომარეც თვითონ იყო. საზოგადოების წესდებაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს ეთნოგრაფიული მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებასაც ისახავდა მიზნად, არამედ კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისაც. წესდების, რომელიც საქართველოში საისტორიო საქმიანობის აღორძინების გარდა, ეთნოლოგიური მეცნიერების მაღალ მეცნიერულ დონეზე აყვანას ითვალისწინებდა, ავტორი *ე. თაყაიშვილი* იყო. ის ეთნოლოგიას საქართველოს ისტორიასთან ერთად ერთ კონტექსტში განიხილავდა და **ეთნოლოგია ისტორიის შეწავლის ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნდა.** *ე. თაყაიშვილმა* თითქმის საქართველოს მთელი მოსახლეობა დარაზმა ეთნოგრაფიული ნივთების შესაგროვებლად. მანვე შემოიკრიბა ეთნოლოგიაში დაქსაქსულად მომუშავე ადამინები და მათ წერილებს საზოგადოების გამოცემებში ბეჭდავდა. *ექვთიმე თაყაიშვილმა* დაგეგმა საქართველოში საექსპედიციო საქმიანობაც, რასაც მაშინ „მოგზაურობას“ უწოდებდნენ. პირველ ასეთ კომპლექსურ ექსპედიციას *ლეჩხუმსა* და *სვანეთში* თავად *ე. თაყაიშვილი* ხელმძღვანელობდა. ამ ექსპედიციის დროს მიწისზედა უამრავ მატერიალურ კულტურის ძეგლთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ეთნოგრაფიულ სიძველეებსაც. განსაკუთრებით ფასეულია მეცნიერის მოღვაწეობა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მუსლიმ ქართველებს შორის. ტაოს პარხლის ხეობის შესახებ აღნიშნავს, რომ „მცხოვრებნი მისდევენ მებაღეობასა და მესაქონლეობას. წინათ პარხალი ცნობილი იყო შალეულის წარმოებით. ახლაც ყოველ პარასკევს მეჩეთის ეზოში იმართება ბაზრობა, რომელზედაც უღელტეხილის გადმოვლით მრავლად მოდიან ლაზები, რომლებიც ვაჭრობენ ხის ნაკეთობით და კონსტანტინეპოლის იაფფასიანი მანუფაქტურით. აქვე მუშობენ თერძები, დებენ გარიგებას, ყიდიან სიმინდს, არჩევენ საჩივრებს და ა. შ. მუსლიმამდელი კულტურის გადმონაშთს წარმოადგენს ყურძნის აღების დღესასწაული: გაშიშვლებული ახალგაზრდები იკიდებენ ყურძნის მტევნებს, აწყობენ

ფერხულს და ცეკვავენ. ეს დღესასწაული შემორჩენილია პარხლის ქვემო სოფლებში. თვით პარხალში კი მოლები ნებას არ რთავენ ახალგაზრდებს გაშიშვლდნენ, რომლებიც გვაგონებენ კლასიკური ბახუსის (ვაკხის) თანამგზავრებს". ამ ერთ ამონარიდში რამდენი ეთნოგრაფიული ფაქტია დაფიქსირებული: მეურნეობის ფორმები, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის და, რაც მთავარია, საუკუნეების სიღრმიდან შემორჩენილი ქრისტიანობამდელი რიტუალი. ე. თაყაიშვილი შეეხო ისეთ ეთნოგრაფიულ ფაქტებს, როგორებიცაა: *აგუნას* დღესასწაული ახალი წლის საღამოს, *ჩიტბადობა, თევზაობა, მიმინოთი ნადირობა...* განუზომელია *ე. თაყაიშვილის* როლი ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის შესწავლაში.

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში ეპოქა შექმნა *ივანე ჯავახიშვილმა.* ის ძირითადად ისტორიკოსადაა ცნობილი, მაგრამ მისი აზრი ქართველოლოგიის ყველა სფეროს მიწვდა და, მათ შორის, ეთნოლოგიასაც. **მეცნიერი წარმოუდგენლად მიიჩნევდა ქართველთა ისტორიის სრულყოფილ შესწავლას ხალხის მიერ შექმნილი მდიდარი კულტურის შესწავლის გარეშე.** *ივ. ჯავახიშვილი* ქართველთა ეთნოგენეზის, სოციალური ურთიერთობების, მატერიალური და სულიერი კულტურის კვლევისას დიდ მნიშნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიულ მონაცემებს. საისტორიო კვლევებში ხალხური კულტურის გამოყენების შესანიშნავ ნიმუშად კი *ვახუშტი ბაგრატიონის* სამეცნიერო მემკვიდრეობა მიაჩნდა. მან თავის დროზე აურაცხელი ეთნოგრაფიული ფაქტი გადაარჩინა გაქრობას. მაგალითად შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის დარგების შესახებ მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეკრებილი მასალები შეიძლება გავიხსენოთ. ამ საქმეში მან თავისი მოწაფეები ჩართო და ისინი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დაგზავნა მის მიერ შედგენილი კითხვარებით. მეცნიერმა მასალების შეგროვების წესიც მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშავა. შინამრეწველობის მასალების შეგროვებასთან ერთად ქართული ენის ლექსიკურ ერთეულთა შეგროვების, ჩაწერის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა – 1930-იან წლებში შეგროვებულ ტერმინთა დაფიქსირება დღეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია – ეთნოლოგიურ ფაქტებთან ერთად ლექსიკური ერთეულებიც გაქრა. ივანე ჯავახიშვილი არის ავტორი „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის" (ორი ტომი). ეს მონოგრაფია, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის შესწავლის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. დიდი წვლილი შეიტანა სამუზეუმო საქმიანობაშიც; ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სამუზეუმო საქმიანობის ეთნოგრაფიულ მხარეს ვგულის-

ხმობთ. ივ. ჯავახიშვილისათვის, როდესაც ის ქართველთა ქრისტიანობამდელ რელიგიურ სისტემებზე მუშაობდა, ძირითადი წყარო ეთნოგრაფიული მონაცემები იყო. დღესაც ღირებულია მის მიერ გამოთქმული მეცნიერული შეხედულებები და კონცეფციები ქართველთა ეთნიკური კულტურის შესახებ, მაგალითად, მეცნიერი საქართველოს, სხვადასხვა მხარეში შემორჩენილი სამიწათმოქმედო იარაღების ტრადიციულ ფორმათა კონსტრუქციული მრავალფეროვანების გამო, სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდა. *ი. ჯავახიშვილმა* დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესწავლის საქმეში. მან საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით დაადგინა, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ქართველ გლეხს 500-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდა გამოყვანილი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის არსებულ სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს. დიდი ქართველი მეცნიერის წვლილზე ეთნოლოგიური მეცნიერების სფეროში ხანგრძლივად შეიძლება საუბარი, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა დარგის სამეცნიერო-ორგანიზაციული, თეორიული და მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მხარეების ფორმირება-ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე ქართული ეთნოლოგიის საფუძველჩამყრელი *გიორგი ჩიტაიაა.* მან შექმნა და ჩამოაყალიბა თანამედროვე ქართული მეცნიერული ეთნოლოგია, შეიმუშავა მეცნიერების მეთოდოლოგიური და თეორიული პრინციპები, განსაზღვრა საქართველოს ეთნოლოგიის ძირითადი მეცნიერული პრობლემები და მიმართულებები, აღზარდა ეთნოლოგთა თაობები. *გ. ჩიტაიას* საუნივერსიტეტო განათლება *პეტერბურგსა* და *კენინსბერგში* ჰქონდა მიღებული. 1922 წელს ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით მან მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოლოგიის განყოფილებაში ჯერ რიგით მეცნიერ-მუშაკად და, ბოლოს, განყოფილების გამგედ. ამავე დროს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტში – იყო ეთნოლოგიის კათედრის გამგე და მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებისა და ეთნოლოგიის სექტორის ხელმძრვანელი. *გ. ჩიტაიას* ხელმძღვანელობით საბჭოთა პერიოდში ჩატარდა ფართომასშტაბიანი საველე და კამერალური კვლევა-ძიებითი სამუშაოები. ის არა მხოლოდ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებით, არამედ კავკასიის ეთნოლოგიისა და ზოგადეთნოლოგიური პრობლემებითაც იყო დაინტერესებული. *გ. ჩიტაიას* მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამუზეუმო საქმიანობასაც, მხედვე-

ლობაში გვაქვს სამუზეუმო კოლექციების შეგროვება და საველე-შემკრებლობითი საქმიანობა. სამუზეუმო საქმიანობას ხელმძღვანელობდა საქართველოს მთელი მასშტაბით, ბოლოს კი მისი უშუალო ძალისხმევით შეიქმნა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი (მუზეუმი ღია ცის ქვეშ), რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ დამაარსებლის – *გ. ჩიტაიას* სახელი მიეკუთვნა. მეცნიერმა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად რთული და საპასუხისმგებლო მისიაც იკისრა – საკუთარი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები შეიმუშავა, შექმნა საველე და სამეცნიერო მუშაობის მეთოდი, რომელიც ეთნოლოგიურ მეცნიერებაში *კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის* სახელითაა ცნობილი. არ დარჩა ეთნოლოგიური მეცნიერების არც ერთი პრობლემა, რომელსაც *გ. ჩიტაია* არ შეეხებია: ეთნოგენეზის პრობლემა, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობები, რწმენა-წარმოდგენები. *გ. ჩიტაიას* მიერ შექმნილმა ქართულმა მეცნიერულმა ეთნოლოგიამ თავის დროზე სათანადო წარმატებებს მიაღწია და დღეს მისი მოწაფეების, მოწაფეთა მოწაფეების ვალია მიღწეულის შენარჩუნება, განვითარება და ეთნოლოგიური მეცნიერების საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ეთნოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ხომ თანამედროვე პრობლემების კვლევაა. და ბოლოს, *გ. ჩიტაიას* გარდაცვალების შემდეგ დღის სინათლე იხილა მისი ნაშრომების ხუთტომეულმა, რომლის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის დასტურად, თუ რაოდენ დიდია მისი ღვაწლი ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში.

ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: *სერგი მაკალათია, ვერა ბარდაველიძე, ლუბა ბოჭორიშვილი, ალექსი რობაქიძე, რუსუდან ხარაძე, მიხეილ გეგეშიძე, გიორგი ჯალაბაძე, თინათინ ოჩიური, ჯულიეტა რუხაძე, ნელი ბრეგაძე, ვახტანგ შამილაძე, ირაკლი სურგულაძე, მარინა კანდელაკი, სოსო ჭანტურიშვილი...* განსაკუთრებით უნდა გამოიყოს *ს. მაკალათიას* ღვაწლი, რომელმაც თავისი ეთნოლოგიური კვლევა-ძიება ძირითადად სხვა მიმართულებით წარმართა – ესაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება წინ წავიდა და *ს. მაკალათიას* ბევრი მეცნიერული შეხედულება მოძველდა, მისი ნაშრომები ეთნოლოგთათვის კვლავ სამაგიდო წიგნებად რჩება, რადგან ფასეულია ის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელსაც უკიდურესად არაკომფორტულ პირობებში წლების განმავლობაში თავად მოიპოვებდა. აქ შეიძლება *ს.*

მაკალათიას მხოლოდ ზოგიერთი წიგნის დასახელებით შემოვიფარგლოთ: „მთიანი რაჭა“, „მთიულეთი“, „თუშეთი“, „ფშავი“, „ხევი“, „ხევსურეთი“, „მესხეთ-ჯავახეთი“, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, „ატენის ხეობა“, „ბორჯომის ხეობა“, „თეძმის ხეობა“, „ქსნის ხეობა“, „ლიახვის ხეობა“...

ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში სათანადო წვლილი შეიტანეს *ალექსი რობაქიძემ* და *რუსუდან ხარაძემ.* მათი უშუალო ძალისხმევით 1961 წელს *ივანე ჯავახიშვილის* სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაიხსნა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება. მათ და მათმა მოწაფეებმა დიდი წვლილი შეიტანეს მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ეთნოლოგიურ შესწავლასა და პოპულარიზაციაში. ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებას კი ხელმძღვანელობდნენ *მიხეილ გეგეშიძე* და *ვერა ბარდაველიძე,* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა კი *გ. ჩიტაიას* შემდეგ წილად ხვდათ *ანდრია ლეკიაშვილსა* და *ვახტანგ შამილაძეს.* 2006-2012 წლებში თსუ-ის ეთნოლოგიის მიმართულებას ხელმძღვანელობდა *ქეთევან ხუციშვილი.* ამ მიმართულების ხელმძღვანელი 2012 წლიდან არის *რ. თოფჩიშვილი. ს. ჯანაშიას* სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ეთნოლოგიის განყოფილების გამგე დიდი ხნის განმავლობაში იყო *გიორგი ჯალაბაძე,* შემდეგ კი მისი საქმიანობა *ელდარ ნადირაძემ* გააგრძელა. მუზეუმის ეთნოლოგები, სამუზეუმო-საექსპოზიციო სამუშაოების გარდა, შესანიშნავად ართმევდნენ თავს სამეცნიერო საქმიანობას. მათი საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო სამუშაოები აისახებოდა კრებულებში, რომლებიც საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისადმი იყო მიძღვნილი: „იმერეთი“, „სამეგრელო“, „ქვემო ქართლი“, „შიდა ქართლი“, „ლეჩხუმი“, „ქსნის ხეობა“... ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების სახელწოდებანი კი გახლდათ: „მასალები საქართველოს ეთნოლოგიისათვის“ და „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“.

საბჭოთა პერიოდში ქართული ეთნოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მატერიალური კულტურის კვლევა იყო. ამ მიმართულებით იკვლევდნენ საცხოვრებელ ნაგებობებსა და დასახლების ფორმებს (*გ. ჩიტაია, თ. ჩიქოვანი, ს. მაკალათია, ალ. რობაქიძე, მ. ჩართოლანი, ვ. ჩიქოვანი, ა. ქალდანი, კ. კახიანი, გ. დავითაშვილი, ნ. შოშიტაშვილი, გ. გეგეჭკორი*), სამეურნეო ნაგებობებს (*ჯ. რუხაძე, ვ. ბარდაველიძე, ს. ბედუკაძე, ნ. შოშიტაშვილი*), ხალხურ სატრანსპორტო საშუალებებს (*მ. გეგეშიძე, ალ. დავითაძე, ზ. კუტალეიშვილი*), ქართულ კოსტიუმს (*ნ.*

ჩოფიკაშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, ნ. გვათუა, თ. ოჩიაური, ც. ბეზარაშვილი, გ. ჩაჩაშვილი, აკ. სოხაძე).

აქტუალური იყო სამეურნეო ყოფის შესწავლა. დაწვრილებითაა შესწავლილი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახვნელი იარაღი (*გ. ჩიტაია, გ. ჯალაბაძე, ნ. რეხვიაშვილი*). ქართველთა ძირითადი საქმიანობის – სამიწათმოქმედო ყოფის შესახებ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები (*გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, გ. ჯალაბაძე, ჯ. რუხაძე, ნ. ბრეგაძე, ლ. ბერიაშვილი, ნ. ჩიჯავაძე*). მებოსტნეობასა და მეხილეობაზე მონოგრაფიები შექმნეს *ჯ. სონღულაშვილმა* და *დ. პავლიაშვილმა.* ხალხური ეკოლოგიის პრობლემების კვლევას საფუძველი ჩაუყარა *მ. გეგეშიძემ.* ამ პრობლემაზე არსებობს *თ. ცაგარეიშვილისა* და *რ. გუჯეჯიანის* გამოკვლევები. მესაქონლეობასა და მეცხვარეობაზე მუშაობდნენ *აკ. კაცაძე, ვ. შამილაძე, მ. მაკალათია, ნ. თოფურია, თ. ცაგარეიშვილი, ნ. აზიკური, ბ. გამყრელიძე, ნ. ბრეგაძე, ს. კვიციანი*). ქართველ ხალხს მევენახეობა-მეღვინეობის უაღრესად მაღალი კულტურა ჰქონდა. რეგიონების მიხედვით ეს პრობლემა მონოგრაფიულად შეისწავლეს *ჯ. სონღულაშვილმა, ა. ლეკიაშვილმა, ლ. ფრუიძემ, ლ. გაბუნიამ, ი. ნანობაშვილმა, ნ. თოფურიამ, გ. ჯალაბაძემ.* ეთნოლოგიის ამ სფეროში სამაგალითოდ დაწერილი სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორია *ა. ლეკიაშვილი* (შესანიშნავი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების ავტორია *თ. ოჩიაური* – „სტუმრად თუშეთში“, „ხევსურეთი და ხევსურები“. ამ სფეროში წიგნის ავტორია აგრეთვე *ო. მიმინოშვილი.* ქართული ლუდის შესახებ პოპულარული წიგნი შექმნა *ე. ნადირაძემ*). არც მეთევზეობა, მონადირეობა და მეფუტკრეობა დარჩენილა ეთნოლოგთა ყურადღების მიღმა (*ალ. რობაქიძე, ქ. მირიანაშვილი, ლ. ლევიძე). ლ. ბოჭორიშვილის* ინტერესების სფეროში ქართული ეთნოლოგიის არაერთი პრობლემა შედიოდა. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად მისი ნაშრომები ქართული ეთნოლოგიის კლასიკას მიეკუთვნება. მჭედლობასა და ოქრომჭედლობას ეხება *ლ. ბოჭორიშვილის, ლ. სოსელიას, გ. კვირკველიას, ნ. რეხვიაშვილის, ნ. კახიძის, ც. კაკაბაძის, გ. ჯალაბაძის, ნ. ჯიქიას* ნაშრომები. ეთნოლოგიური თვალსაზრისით ზეთსახდელები შეისწავლა *ლ. მოლოდინმა.* მასვე ეკუთვნის ნაშრომები ფეიქრობა-ქსოვისა და ღებვის ხალხური ტრადიციების შესახებ. ამავე პრობლემაზე მუშაობდა *ც. ყარაულაშვილი, გ. ჩაჩაშვილი.* ქართულ იარაღ-საჭურველებზე სამეცნიერო ნაშრომები შექმნა *კ. ჩოლოყაშვილმა,* მეაბრეშუმეობაზე – *ნ. აბესაძემ,* ტყავის დამუშავებაზე – *ი. ნანობაშვილმა.* მეთუნეობისა და კერამიკის პრობლემები შეისწალეს *ფ. გარდაფხაძემ, ლ. ბოჭორიშვილმა, მ. ზანდუკელმა, ც. კაკაბაძემ, რ. თოდუამ.* ქვითხუროობას, ქართულ

წისქვილებს მიეძღვნა *ს. ბედუკაძეს* გამოკვლევები. ქვითხუროობის, მემორიალური ძეგლების პრობლემაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორია *ე. ნადირაძე.* ხის დამუშავების ხალხურ ტრადიციებზე ნაშრომები შექმნეს *გ. გასიტაშვილმა, ლ. ბედუკიძემ. მ. ხაზარაძემ, და ჯ. ვარშალომიძემ.* ქალაქის ეთნოლოგიაზე მუშაობდნენ *ნ. აბესაძე* და *გ. გოცირიძე, თ. ბერიძე.*

სოციალური ურთიერთობების შესახებ ქართველმა ეთნოლოგებმა საყურადღებო ნაშრომები შექმნეს. პირველ რიგში *რ. ხარაძისა* და *ალ. რობაქიძის* ნაშრომები უნდა დავასახელოთ. საქართველოში დიდი ოჯახის შესწავლას *რ. ხარაძემ* ორტომიანი ნაშრომი მიუძღვნა. საოჯახო ყოფასა და საქორწინო ტრადიციებზე მონოგრაფიების ავტორები არიან: *ი. ჭყონია, ვ. ითონიშვილი, ნ. მაჩაბელი, თ. იველაშვილი, ბ. ნანობაშვილი, ლ. მელიქიშვილი, თ. მისკალიშვილი-შარაბიძე, გ. ცეცხლაძე, ნ. ანთელავა.* ნათესაობის სისტემაზე გამოკვლევები აქვთ: *ნ. მგელაძეს, ნ. ჯავახაძეს, ი. გოგინაშვილს,* ურთიერთდახმარების საკითხებზე – *თ. გელაძესა* და *ბ. გძელიძეს.* მთაში ტერიტორიული თემის საკითხებს ნაშრომები მიუძღვნეს: *ალ. რობაქიძემ, რ. ხარაძემ, ვ. ბარდაველიძემ, მ. კანდელაკმა.* ხევსურული სწორფრობა და ფშაური წაწლობა ეთნოლოგთაგან შეისწავლეს *ს. მაკალათიამ, მ. კანდელაკმა, ნ. მინდაძემ* და *რ. თოფჩიშვილმა.* ხალხურ სპორტულ თამაშებსა და საბავშვო თამაშებზე ნაშრომები შექმნეს: *ალ. რობაქიძემ, ზ. შერაზადიშვილმა, ვ. ელაშვილმა, ნ. ღოღობერიძემ.* სოციალური ურთიერთობების პრობლემაზე ნაყოფიერად მუშაობს *ხ. იოსელიანი. ხ. იოსელიანი* ავტორია წიგნისა, რომელიც სვანური სტუმართმასპინძლობის საკითხებს ეხება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანალოგიურ პრობლემას ეხება *მ. მოწერელიას* წიგნი.

ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებს იკვლევს *რ. თოფჩიშვილი.* სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურ ისტორიას მიეძღვნა ცალკე წიგნი. მანვე წიგნი უძღვნა წოვათუშებს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები შეისწავლეს: *რ. თოფჩიშვილმა, თ. ფუტკარაძემ* და *აკ. კაცაძემ.* მონოგრაფიულად შესწავლილია ოსთა საქართველოში მიგრაციისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიული პრობლემები, ოსთა ეთნოგენეზი და ალან-ოსების თავდაპირველი განსახლების არეალი (*რ. თოფჩიშვილი*). დვალთა ეთნიკური ვინაობის პრობლემას მიეძღვნა *რ. თოფჩიშვილის, ბ. გამყრელიძის, ვ. ითონიშვილის, გ. ავთანდილაშვილის* ნაშრომები. პირველად ქართულ ეთნოლოგიაში საქართველოში მცხოვრებ *ლაიჯთა* და *ჰემშილთა* ეთნიკურ ერთობას შეეხო *გ. ავთანდილაშვილი.* ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის შესახებ წიგნის ავტორია *რ. თოფჩიშვილი.*

ფერეიდნელი ქართველები ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტით შეისწავლეს *გ. გოცირიძემ* და *თ. ცაგარეიშვილმა.* ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული ამაგი დასდო აკადემიკოს *გიორგი ჩიტაიას* სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოცემას, რაშიც, გ. ჩიტაიასთან ერთად, სახელმწიფო პრემიაც მიიღო მეცნიერების დარგში.

სულიერი კულტურის კვლევას საფუძველი ჩაუყარა *ვ. ბარდაველიძემ* – ის ძირითადად ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებს იკვლევდა. ამავე პრობლემაზე მუშაობდნენ: *ლ. ბოჭორიშვილი, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, ი. სურგულაძე, მ. მაკალათია, მ. კანდელაკი, ნ. ბრეგაძე, აკ. სოხაძე, ნ. მინდაძე, ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი. ნ. ღამბაშიძე, ნ. ჯალაბაძე, გ. კოპალეიშვილი* და სხვ. გამორჩეულია *ჯ. რუხაძისა* და *ნ. ბრეგაძის* გამოკვლევები ქართული ხალხური აგრარული დღესასწაულების (*ბერიკაობა-ყვენობა*) შესახებ. *თ. ოჩიაურის* შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მითოლოგიურ გადმოცემებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სოციალური ურთიერთობის საკითხებზე მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა *მ. კანდელაკმა.* სამწუხაროდ, *მ. კანდელაკის* სადოქტორო დისერტაცია წიგნად ჯერჯერობით დაბეჭდილი არაა. ამავე სფეროს იკვლევდა *ჟ. ერიაშვილი.* მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები შეისწავლა *დ. გიორგაძემ.* ქართველთა კვებითი კულტურისა და სუფრის ტრადიციების შესახებ ნაშრომები შექმნეს *გ. გოცირიძემ, თ. იველაშვილმა ნ. კახიძემ, ხ. იოსელიანმა.* ბავშვის აღზრდის ხალხური წესები შეისწავლა *ნ. კაპანაძემ.*

ჩვეულებით სამართალს, მართალია, ეთნოლოგებიც არაერხელ შეეხნენ, მაგრამ ძირითადად ამ სფეროში ნაშრომები მაინც იურისტებმა შექმნეს (*მ. კეკელია, გ. დავითაშვილი*).

ქართული და მსოფლიო ხალხების სახელების და გვარსახელების პრობლემას რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა *რ. თოფჩიშვილმა. მ. გეგეშეიძემ* ტოპონიმები ეთნოლოგიის სამსახურში ჩააყენა.

ქართული ხალხური მუსიკა და საკრავები შეისწავლეს: *გრ. ჩხიკვაძემ, თ. მამალაძემ, ნ. მაისურაძემ, ს. ჭანტურიშვილმა, მ. შილაკაძემ და ქ. ნაკაშიძემ.* მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის ხალხური მედიცინის სფეროში *ნ. მინდაძეს.* ამავე სფეროში მუშაობენ *მ. ბურდული და ნ. ჩირგაძე.*

საქართველოს ისტორიულ ეთნოლოგიას საფუძველი ჩაუყარა ს. ჭანტურიშვილმა. ამჟამად ამ პრობლემაზე ინტესიურად მუშაობს *რ. გუჯეჯიანი. მ. კანდელაკმა* ისტორიული ეთნოლოგიის თვალთახედვით შეისწავლა გაზეთი „კავკაზი“.

ახალ ყოფაზე მუშაობდა *გ. ჯავახიშვილი.*

ქართველი ეთნოლოგები ბათუმშიც მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ; მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის განვითარებაში: *ჯ. ნოღაიდელი, ნ. კახიძე, ალ. დავითაძე, ვ. მგელაძე, ნ. ჩიჯავაძე, ვ. შამილაძე, ი. სამსონია, ჯ. ვარშალომიძე, მ. ბექაია, თ. აჩუგბა, თ. ფუტკარაძე, ნ. მგელაძე, რ. მალაყმაძე, ნ. ჩელებაძე, ი. სამსონია, თ. ტუნაძე, მ. ლორია... ნ. კახიძე* აჭარის ეთნოლოგიის თითქმის ყველა პრობლემას იკვლევს. სანიმუშოა მისი მონოგრაფია „მაჭახლის ხეობა“.

ისტორიის ინსტიტუტში 1961 წელს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების შექმნის შემდეგ კავკასიის ეთნოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე მუშაობდნენ: *ალ. რობაქიძე, რ. ხარაძე, თ. ჩიქოვანი, მ. ქანთარია, გ. გეგეჭკორი, ბ. გამყრელიძე, ვ. ითონიშვილი, ნ. ჯავახაძე, ს. ბახია-ოქრუაშვილი, გ. ჩიქოვანი, ვ. ჩიქოვანი, ლ. ფაშაევა, ლ. მარგოშვილი* (ნაშრომები აქვს პანკისელი ქისტების შესახებ), *ა. ქალდანი, ლ. ხუციშვილი, ნ. ომარაშვილი, ლ. ლევიძე...* ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებს მიუძღვნეს მონოგრაფიები *ს. რეხვიაშვილმა* და *ნ. ჯალაბაძემ.* დღეს კავკასიის ეთნოლოგიის საკითხებს იკვლევენ *რ. თოფჩიშვილი, ს. ბახია-ოქრუაშვილი, ქ. ხუციშვილი, ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ი. კვაშილავა, გ. მეურმიშვილი...* საქართველოსი *მცხოვრებ* აზერბაიჯანელთა ეთნოლოგიის საკითხებზე მუშაობდნენ *მ. ქანთარია, ლ. ბერიაშვილი* და *გ. გოცირიძე.* ეს უკანასკნელი დღესაც აგრძელებს ამ პრობლემაზე მუშაობას. აზერბაიჯანელთა ეთნოლოგიაზე და ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის საკითხებზე ნაშრომების ავტორია *ლ. ჯანიაშვილი.* ბასკების ეთნოლოგიაზე ნაშრომების ავტორია *ს. გაბუნია.*

ქართველმა ეთნოლოგებმა ლატენტურ კონფლიქტებსაც მიაქციეს ყურადღება. ამ პრობლემაზე ძირითადად კავკასიის ეთნოლოგიის სპეციალისტები მუშაობდნენ (ხელმძღვანელი *ლ. მელიქიშვილი*). ეთნოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც. აფხაზეთში ეთნოლოგთა მოთავე გახლდათ *შ. ინალ-იფა.* სხვადასხვა პრობლემას იკვლევდნენ: *ლ. აკაბა, ი. აჯინჯალი, ც. ბჟანია, ი. ქორთუა, ი. ხაშბა, ე. მალია, მ. ხაშბა ვ. ბიგვავა, გ. კოპეშავიძე (ამჟამად თარჯიმან-ოღლი).* ქართველ ეთნოლოგთაგან აფხაზთა ეთნოლოგიის პრობლემაზე მუშაობენ *ს. ბახია-ოქრუაშვილი ნ. ანთელავა.* ქ. ცხინვალში ოსთა ეთნოლოგიის შესახებ მონოგრაფიები შექმნეს *ზ. გაგლოევამ* და *ლ. ჩიბიროვმა.* ქართველ ეთნოლოგთაგან ოსთა ეთნოლოგიის საკითხებზე მუშაობდნენ *ნ. ჯავახაძე* და *გ. ჩიქოვანი, რ. თოფჩიშვილი.* აფხაზი და ოსი ეთნოლოგების უმეტესობა ქართველ ეთნოლოგთა მოწაფეები იყვნენ. ისინი ძირითადად *გ. ჩიტა-*

იასა და *ალ. რობაქიძის* მოწაფეები იყვნენ. რეგიონალური (სამეგრელოს) ეთნოლოგიის საკითხებს იკვლევდა *გ. ელიავა.*

საქართველოში ეთნოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ეტაპი საბჭოთა იმპერიის დაშლისას დამთავრდა. მეცნიერების დაუფინანსებლობის გამო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მეცნიერების კრიზისი დაიწყო. ეს კრიზისი ეთნოლოგიასაც შეეხო. ფაქტობრივად, შეწყდა მომავალი თაობის აღზრდა. 2006 წლის განათლებისა და მეცნიერების რეფორმას თითქოს კრიზისის დაძლევის წინაპირობა უნდა შეექმნა, მაგრამ ჯერჯერობით ამის კონტურები არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის მიმართულების შექმნას (ამჟამად – ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა ორი განყოფილება: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება (გამგე *ქ. ხუციშვილი*) და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება (გამგე *რ. თოფჩიშვილი*). ინსტიტუტში ეთნოლოგიურ მუშაობას მრავალი ფაქტორი აბრკოლებს, რომელთაგან მთავარი მაინც დაუფინანსებლობაა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის ბოლო 20 წლისა და XXI საუკუნის პირველი ათი წლის განმავლობაში საყურადღებო ნაშრომები შეიქმნა. 2010 წელს დაიბეჭდა სქელტანიანი წიგნი „საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია“ *რ. თოფჩიშვილის* საერთო რედაქციით, აგრეთვე სახელმძღვანელოები: „საქართველოს ეთნოლოგია“, „კავკასიის ეთნოლოგია“, „ევროპის ეთნოლოგია“, „ამერიკის ეთნოლოგია“, „სახელების ეთნოლოგია და ისტორია“ (*რ. თოფჩიშვილი*), „თეორიული ეთნოლოგია“ (*რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი*), „კავკასიის ეთნოლოგიის“ სახელმძღვანელო შექმნა *ქ. ხუციშვილმაც.* „აფხაზთა ეთნოლოგიის“ სახელმძღვანელოს ავტორია *ს. ბახია-ოქრუაშვილი.*

ცნობილია, რომ ეთნოლოგია თანამედროვეობის პრობლემებსაც სწავლობს. ამ თვალსაზრისით შეიძლება *ქ. ხუციშვილის* წიგნი – „რელიგიური ვითარება საქართველოში“ – დავასახელოთ. მსოფლიო ხალხთა რელიგიებზე სახელმძღვანელოს ავტორია *ე. ნადირაძე. ეთნოსთა ურთიერთობების პრობლემაზე მუშაობდნენ ნ. ჯალაბაძე (ქართულ-ვაინახური ურთიერთობები)* და *ლ. ჯანიაშვილი (ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები, მაჰმადიანი ქართველების კულტურული და სოციალური საკითხები).* ქართველ მთიელთა მენტალობის პრობლემაზე წიგნი გამოაქვეყნა *რ. გუჯეჯიანმა. რ. გუჯეჯიანი* აქტიურად მუშაობს თურქეთში მცხოვრები ქართველების ეთნიკური კულტურის საკითხებზე. ამავე პრობლემებზე ნაშრომების ავტორები არიან *რ. თოფჩიშვილი, თ. ფუტკარაძე, რ. მალაყმაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი, გ. ავთანდილაშვილი.* ბათუმელმა ეთნოლოგებმა

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შესწავლაში (ნ. *კახიძე, თ. ფუტკარაძე, ნ. ჩელებაძე...*).

საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის პრობლემებზე მოსკოვის *მიკლუხო-მაკლაის* სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა *გ. წულაია. გ. წულაია* საქართველოს ეთნოლოგიის სხვადასხვა საკითხს შუა საუკუნეების ქართულ წყაროებთან მიმართებაშიც სწავლობდა. მის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან შეიძლება გამოვყოთ „ოსები საქართველოს ისტორიის კონტექსტში (მონღოლებამდელი პერიოდი)". საქართველოში ოსთა მიგრაციას ეხება ამავე ინსტიტუტში ცოტა ხნით მოღვაწე *გ. ლაზარაშვილის* ნაშრომი. მოსკოვშივე ქართული ეთნოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე მუშაობს *ლ. სოლოვიოვა.* მისი საკანდიდატო დისერტაცია ბავშვის აღზრდის ტრადიციებს შეეხება.

1.10.ვახუშტი ბაგრატიონი და ქართული ეთნოლოგიური მეცნიერება*

ქართულ ეთნოლოგიაში ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის *ვახუშტი ბაგრატიონის* შემოქმედება. მას ჩვეულებრივ ისტორიკოსად და გეოგრაფად მიიჩნევენ, მაგრამ ვახუშტი არანაკლები ეთნოლოგიც იყო, რადგანაც ქვეყნისა და ხალხის ისტორიის სრულყოფილი შესწავლა მას ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის / ისტორიული გეოგრაფიის გარეშე ვერ წარმოედგინა. ის ეთნოლოგიის თითქმის ყველა სფეროს შეეხო. *ვახუშტი* არა მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებს გვაწვდიდა, არამედ ის იმდროინდელი მეცნიერების მაღალ დონეზეც იდგა – საქართველოში პირველმა გამოიყენა შედარებით-ისტორიული მეთოდი. ტრადიციული ყოფითი კულტურის კლასიფიკაციის პირველი ცდა, სამეურნეო ზონების ვერტიკალურ ჭრილში განიხილვა *ვახუშტი ბაგრატიონის* სახელთანაა დაკავშირებული. მეცნიერი არა მხოლოდ ქართველთა, არამედ კავკასიელი ხალხების კულტურულ-ყოფით რეალიებზედაც წერდა. ის საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით აღწერს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, მეურნეობის ფორმებს, სამოსს, შრომის იარაღებს...

ვახუშტის მიერ მოცემული და აღწერილი მეურნეობის ფორმები, მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემები, ზნეობრივი თავისებურებები წარმოდგენილი და გააზრებულია ქვეყნის ბუნებრივ გარემოსთან კავშირში, ანუ განხილულია არა მხოლოდ საკვლევი არეალის მხარეთა, არამედ რეგიონთა თუ მიკრორეგიონთა და ცალკეულ ხეობათა შესატყვისი ჰავის, ოროგრაფიის, ჰიდროგრაფიის, ფლორისა (ველური და კულტურული მცენარეები) მონაცემების ფონზე, რაც მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. ის იძლევა ცალკეულ რეგიონთა ფარგლებშიც კი ეთნოგრაფიული სურათისათვის თვალის გადევნების, ანუ მოსახლეობის საქმიანობაზე, მეურნეობის ადგილობრივ გავრცელებულ დარგებზე მსჯელობის საშუალებას. ამასთანავე, აღნიშნული მონაცემების კომპლექსურად განხილვამ ვახუშტი მიიყვანა კიდევ ერთ სიახლემდე მეცნიერებაში: მან სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ხუთ ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ დაყო საქართველო. ესენია: *1. თურინჯ-ნარინჯ-ზეთის ხილიანი,*

---

* სახელმძღვანელოს ეს თავი ეყრდნობა ცნობილი ქართველი ეთნოლოგის *ნელი ბრეგაძის* ნაშრომს: *„ვახუშტი ბაგრატიონი* და ეთნოლოგიური მეცნიერება“ – კრ.: ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი, თბ., 1997, გვ. 5-27. ამავე კრებულში იხ. აგრეთვე (გვ.28-38): *მანანა ლელაშვილი.* ვახუშტი ბაგრატიონი – ფენოლოგიის ფუძემდებელი.

უაღრესად ნაყოფიერი ზოლი; 2. *ბრინჯ-ბამბიანი კულტურის ფრიად ნაყოფიერი ზონა;* 3. *ვენახოვან-ხილიანი ნაყოფიერი არე;* 4. *შედარებით მწირი, ხილიანი, მაგრამ უვენახო* და 5. *სულ მწირი – უვენახ-ხილო ზოლი,* სადაც მთის ხილისა და განსაზღვრულ მარცვლეულს გარდა არაფერი ხარობს. ხუთივეში მოჰყავთ სხვადასხვა გვარის მარცვლეული. ძირითადად კი მაინც, გეობოტანიკური და სასოფლო-სამეურნეო ზონები, საქართველოში მიწა-წყლის ორ გეოგრაფიულ არეალად დანაწილების ტრადიციის შესაბამისად, მთასა და ბარს მიუსადაგა, რითაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა გავრცელების მოძღვრებას, რომლის მიხედვით, საქართველოში მთასა და ბარს შორის ზღვარი გაავლო ვაზის (ანუ მცენარის, რომელიც მთაში ვერ გვარობს) ვერტიკალური გავრცელების მიჯნაზე, რითაც საცნაურყო და დააზუსტა საქართველოსათვის მიწათმოქმედების ტრადიციული დარგის – მევენახეობის არეებიცა და მისი გავრცელების სიმაღლეც ზღვის დონიდან. მაგრამ მის მახვილ თვალს არ გამოეპარა ის ფაქტიც, რომ უვენახობის მიუხედავად, მთის მოსახლეობამაც ხელი მიჰყო მეღვინეობას, აითვისა ბარელთა ტრადიციული საქმიანობა – მიჰქონდათ მთაში ტკბილი და აქ, ადგილზე აყენებდა ღვინოს.

ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომიდან ჩანს, რომ მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც წარმატებით ემსახურებოდა მეურნეობისა და შინამრეწველობის განვითარებას – ნედლეულს აწვდიდა როგორც კვების პროდუქტების წარმოებას, ისე ხელოსნობის დარგებს, დაკავშირებულს ტყავის, შალის, აბრეშუმის, ბამბის, სელისა და კანაფის ნაწარმის დამზადებასთან. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხელს უწყობდა არა მხოლოდ მეფუტკრეობას, არამედ ე. წ. ტყიური, მაღალხარისხოვანი თაფლის მოპოვებასაც, მეთევზეობასაც და მონადირეობასაც, აგრეთვე ხალხური მედიცინის (სამკურნალო წყლები, „მიწა სასუნებელი“, „ჭია მკურნალი“) და ჰიგიენის (საპნის დამზადება მცენარისაგან) თუ ხელოსნობის სხვადასხვა დარგის (მჭედლობა, დურგლობა, ხით და ქვით ხუროობა) განვითარებას.

ვახუშტის ნაშრომში მოყვანილი ჩამოთვლა-აღწერილობანი, თანადართული ქრონოლოგიური ხასიათის განმარტებებით, საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ გარკვეული დროისათვის გავრცელებული საერო თუ საეკლესიო ნაგებობათა ტიპებისა და მათი სამშენებლო მასალის შესახებ. ვახუშტი, იხსენიებს რა ქართული არქიტექტურის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ძეგლს, იმავდროულად საუბრობს სამშენებლო საქმიანობაში სხვათა გავლენაზე. ქართული ტიპის ნაგებობების გვერდით აღმოსავლეთ საქართველოში უშენებიათ სახლებიცა და სასახლეებიც

„ყიზილბაშთა რიგისა და არღარა ქართული თჳნიერ დარბაზისა“ და „ურუმთა რიგისა“ ანუ თურქულ ყაიდაზე.

ქართულ მეცნიერებაში პირველად *ვახუშტი ბაგრატიონმა* მიაქცია ყურადღება სამოს-სამკაულს და მოგვაწოდა აღწერილობა როგორც მისი თანამედროვე, ისე ძველი დროის სამოსელისა. ამ უკანასკნელისათვის წყაროდ გამოიყენა საისტორიო მხატვრობა – ძველ ფრესკებსა და ხელნაწერებში შემონახული სურათები – საუცხოო და თითქმის ერთადერთი მეთოდოლოგიური საშუალება. მაგრამ არა მხოლოდ ქრონოლოგიურ ჭრილში, ანუ ძველისა და ახლის შედარების გზით გვაწვდის ცნობებს ქართველთა სამოსის და მათი მასალის შესახებ; იგი სხვადასხვა მხარის მცხოვრებთა, აგრეთვე ქალისა და კაცის თუ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ტანსაცმლის აღწერისა და ურთიერთშედარების გზით იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებას, მიგვითითებს სამოსის ცალკეული ელემენტების უცხოურ წარმოშობაზე. მაგალითად, ქართლისა და კახეთის მცხოვრებთა ურთიერთმსგავსი სამოსისაგან იმერლებისა განსხვავდება, ძირითადად, ფაფანაკითა და ზამთარში ოსმალური ტოლომის ტარებით. ოსმალური სამოსი გავრცელებული იყო მესხ წარჩინებულთა და გამაჰმადიანებულთა შორის, ქრისტიან გლეხთაგან კი ზოგნი ბერძნების მსგავსად იმოსებოდნენ; აღმოსავლეთ საქართველოში სპარსულ მაშიებსაც იცვამდნენ. სამკაულთაგან ქართულთან ერთად სპარსულიც უტარებიათ. საკაულთანვე დაკავშირებით ვახუშტის ყურდღება მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ ზოგი მათგანი მხოლოდ გათხოვილი ქალის ატრიბუტია.

ვახუშტი არა მხოლოდ გვაწვდის ცნობებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა განსახლების ადგილთა შესახებ, არამედ ცდილობს დააზუსტოს დრო და გვამცნოს მიზეზი საქართველოში უცხო ეთნოსთა ჩამოსახლებისა, მეორე მხრივ, იძლევა მთიელთა ჩამოსახლებისა და ბარელთა მთაში თავშეფარების მიზეზების ახსნას.

სხვადასხვა მხარის მცხოვრებთა გარეგნობის აღწერისას, ზნეობისა და თვისებათა დახასიათებისა თუ თავისებურებათა ჩამოთვლისას *ვახუშტი ბაგრატიონი* გვამცნობს, რომ ქართლელების მსგავსნი არიან კახეთის, სამცხე-საათაბაგოსა და ეგრისის მცხოვრებნი. ამგვარი გზით იგი საცნაურყოფდა ამ ხალხის ერთსადაიმავე ეთნოსისადმი კუთვნიელებას. ამასვე ემსახურება ვახუშტის ცნობები ენისა, დამწერლობისა და სარწმუნოების ანუ რჯულის შესახებ. ნაშრომის სათანადაო ადგილებში ნათქვამია, რომ საქართველოსათვის ენა და დამწერლობა ერთია – ქართული: „ხოლო რაოდენნი ქვეყანანი და ადგილნი

დავსწერენით – მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი – საქართველოსანი, გარნა თუ აქუთ ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“.

გვიხასიათებს ქართველთა ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფს. ეთნოგრაფიული თავისთავადობის მიუხედავად, *ვახუშტი ბაგრატიონი* მაინც ქართველთა ერთიან ეთნიკურ ცნობიერებაზე საუბრობს: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (ქართლელს – რ. თ.) ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა – რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: ქართველი“. მხედველობიდან არ რჩება ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები: ქართველი მაჰმადიანები, ქართველი გრიგორიანები. ამ უკანასკნელთა შესახებ აღნიშნავს, რომ ენით, კულტურით ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველია, მაგრამ სარწმუნოებით ისინი სომხები არიანო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველებზე კი წერს, რომ ზოგიერთ მათგანს მაჰმადიანური წესები შემოეპარათო.

ვახუშტი გვამცნობს, რომ ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და უცხო ტომებთან ურთიერთობანი გავლენას ახდენდნენ ქართველთა არა მხოლოდ რელიგიაზე, ენასა და მატერიალურ კულტურაზე, არამედ წეს-ჩვეულებებსა, ზნეობასა და სულიერ მოთხოვნილებებზეც, რაც იწვევდა, რიგ შემთხვევაში, ზნის შეცვლას თუ ე. წ. შერეულ წესთა გაჩენას.

ვახუშტი ბატონიშვილს მხედველობის არედან არც სხვადასხვა დღესასწაულები (ახალი წელი, აღდგომა) და ყოფითი მოვლენა (ქორწილი, დაკრძალვა) გამორჩა. ვრცლად ჩერდება ქართველთა ზნეობრივ ანუ ეთიკურ-მორალურ თვისებებზე, ხასიათზე: „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათჳს მÃნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთჳის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა... არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თჳს-თჳსად, გარნა მარადის გარე მტერთა თჳსთა ზედა ერთობდნენ... და შეერთბამებულნი, თჳსთა ქუეყნისათჳს მÃნედ იბრძოდიან...“

ვახუშტის მხედველობის არედან არ რჩება სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი ისეთი წვრილმანები, როგორიცაა ადგილების ნაყოფიერება. მაგალითად, ადგილის ნაყოფიერება შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ რომელი მდინარის წყლით ირწყვება იგი. ბატონიშვილის მიხედვით, არაგვი „არს მდინარე ურგები“, ხოლო „ქსანი არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი“... – „ესე მუხრანი... მოსავალი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს პირუტყვი აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი“. ასეთი იყო ვა-

ხუშტისეული მუხრანის დახასიათება, როცა იგი ქსნის წყლით ირწყვებოდა. დღეს კი იგი არაგვის წყლით ირწყვება, რომელიც *ვახუშტის* მიხედვით, უნაყოფოა და ამას თავისი შედეგიც გამოუღია. მთხრობელთა გადმოცემით, „რაც არაგვის წყლით დავიწყეთ მორწყვა, გავღარიბდით, არაფერი აღარ მოგვდის“.

ვახუშტიმ მდიდარი კარტოგრაფიული მემკვიდრეობაც შექმნა. მის მიერ შედგენილ რუკებზე იმდროინდელი საქართველოს ეთნიკური ვითარებაცაა ასახული. ოსური ეთნოსის განსახლების ადგილები 8-იანებით აქვს აღნიშნული. ამავე დროს ბატონიშვილს მხედველობის არედან არ რჩება საქართველოში სხვა ეთნოსთა მიგრაციის ფაქტებიც, კერძოდ, ოსების მიგრაცია. *ვახუშტი ბაგრატიონი* გვაწვდის აგრეთვე მდიდარ ტოპონიმიკურ და ონომასტიკურ მასალას, საყურადღებოა მთელი რიგი თავადაზნაურული გვარების მისეული ისტორიებიც.

დასკვნის სახით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ *ვახუშტი ბაგრატიონის* მიერ დაუნჯებული ეთნოგრაფიული მასალის უტყუარობა დასტურდება მისი თანამედროვე და წინარე თუ მომდევნო ხანის სხვადასხვა რიგის წყაროებით (ისტორიული დოკუმენტები, მოგზაურთა ჩანაწერები, მისიონერთა რელაციები, მეცნიერული გამოკვლევები). ფართო გაქანებისა და მისი დროის ევროპული მეცნიერების სიმაღლეზე მდგომმა მეცნიერმა საქართველოში პირველმა მიაქცია ყურადღება ყოფითი კულტურის შესწავლას, იგი პირველი ქართველი ეთნოლოგია. *ვახუშტი* როდი კმაყოფილდება ფაქტის მხოლოდ აღნიშვნით, არამედ ნებისმიერი კულტურა განხილულია გარემო პირობებთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. *ივანე ჯავახიშვილის* აზრით, ვახუშტის ნაშრომი „მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“.

I.11.ეთნოლოგია და თანამედროვეობა: საზოგადოების მოდერნიზაციის პრობლემა

ზემოთ ითქვა, რომ ხალხების შემსწავლელ მეცნიერებას – ეთნოლოგიას აქვს არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, წმინდა შემეცნებითი, არამედ უფრო ფართო, აქტუალური პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა. მეცნიერება ხალხების, ეთნიკური კულტურების შესახებ არასდროს არ იყო აბსტრაქტული, მხოლოდ წარსულში ჩაფლული, რეალურობას მოწყვეტილი დისციპლინა. სინამდვილეში ის ყოველთვის ცოცხლად, საინტერესოდ ასახავდა საზოგადოებრივი აზრის ცვლას და იყო მისი აქტიური მონაწილე. როგორც წარსულში, ისე ჩვენს დროში ეთნოლოგია ფხიზლად რეაგირებს ფილოსოფიურ თვალსაზრისებსა და პოლიტიკურ სიტუაციებზე. მაგალითად, წარსულში ეთნოლოგია კოლონიური პრობლემების შესწავლით იყო დაკავებული (ყველა მეტროპოლია ცდილობდა დაწვრილებით შეესწავლა დაპყრობილი ხალხები, რათა ცოდნა ამ ხალხების ეთნიკური კულტურისა და სოციალური ყოფის შესახებ თავად ამ ხალხების სამართავად გამოეყენებინა). დღეს ის ძირითადად ეთნიკური პროცესების, ეთნიკურ ურთიერთობათა და კონფლიქტების კვლევითაა დაკავებული. ამასთანავე ეთნლოგია არა მხოლოდ ასახავს და სწავლობს სინამდვილეს, არამედ აქტიურად მონაწილეობს მოვლენებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აგრეთვე ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა პოლიტიკაზე.

ეთნოლოგია ტრადიციებისა და ნოვაციების ურთიერთმიმართების საკითხებსაც სწავლობს. **ტრადიცია მოვლენაა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელია, ან იცვლება ძალიან ნელა. ისტორიული პროცესი ტრადიციებისა და ნოვაციების ურთიერთქმედებაცაა; ნოვაციები კი თანამედროვე საზოგადოებებში წარმოიქმნება.** გერმანელი ეთნოლოგი *კარლ ვერნხარტი* წერდა, რომ ეთნოლოგიური ცნებები კულტურის სფეროს საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც ისტორიული ცნებები ძირითადად პოლიტიკური ორიენტაციისაა. ეთნოლოგები ცდილობენ დროსა და სივრცეში დიაქრონიული ასპექტით წარმოადგინონ სამეურნეო, საზოგადოებრივი, რელიგიური და ცხოვრების სხვა სფეროებისათვის დამახასიათებელი მოვლენები... „არაევროპული ქვეყნების თანამედროვე კულტურული მოვლენების გაგება ისტორიული კომპონენტების გარეშე შეუძლებელია.“ ამ შემთხვევაში არაევროპელ ხალხებზე აქცენტირება გასაგებია, რადგან ევროპელმა ხალხებმა თავიანთი საზოგადოებები „თანამედროვე“ ყაიდაზე დიდი ხანია გარდაქმნეს. თუმცა დასავლეთ

ევროპის ხალხების ცხოვრების თანამდროვე ყაიდაზე გარდაქმნა ტრადიციებზე დაყრდნობით მოხდა.

ეთნოლოგიისა და თანამედროვეობის მიმართების კონტექსტშია განსახილველი ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაციის პრობლემა. XX-XXI საუკუნეების მიჯნის სიტუაცია რთული ეთნოკულტურული მდგომარეობით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო აშკარად შეიმჩნევა ტრადიციული და თანამედროვე მოდერნიზებული კულტურების (საზოგადოებების) ურთიერთდაპირისპირება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური პრობლემაა. აღნიშნული დაპირისპირების დაღი აზის კულტურულ-ისტორიული პროცესების მსვლელობას. „თანამედროვესა“ და „ტრადიციულის“ დაპირისპირება ჯერ კიდევ კოლონიური სისტემის რღვევისას და პოლიტიკურ რუკაზე ახალი ქვეყნების წარმოქმნისთანავე დაიწყო, რაც ამ უკანასკნელთა თანამედროვე სამყაროსა და ცივილიზაციაში ადაპტირებით იყო გამოწვეული; მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ტრადიციული საზოგადოებების ძალადობრივი მოდერნიზაცია ჯერ კიდევ ადრე, კოლონიურ ეპოქაში დაიწყო, როდესაც განათლებული ევროპელები ანადგურებდნენ არა მხოლოდ თვით არქაული და ტრადიციული კულტურების მქონე ეთნოსებს, არამედ ებრძოდნენ და სპობდნენ მათ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას, რწმენა-წარმოდგენებს, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ ხალხების პროგრესული განვითარებისათვის ისინი ხელისშემშლელი იყო. მიიჩნევდნენ, რომ არქაული და ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაცია და ამ პროცესის დაჩქარება აუცილებელი იყო და ეს თვით ამ ხალხების ინტერესებში შედიოდა. მოდერნიზაცია გარდაუვალი იყო და მისი დაჩქარებით გასავლელი გზა, გარედან თავს მოხვეული მოდელებით, ტრადიციული ხალხებისათვის შემსუბუქების საშუალება იქნებოდა.

ძალადობრივმა „მოდერნიზაციამ“ კი მრავალი კულტურის მოსპობა გამოიწვია. მოდერნიზებული საზოგადოებების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ეს არ იყო სწორი გზა და შეუდგნენ მოდერნიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიების შექმნას, რასაც შემდეგ პრაქტიკულად განახორციელებდნენ. თუმცა **გასული საუკუნის შუა ხანებში ანთროპოლოგთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ უარი უნდა ეთქვათ კულტურის უნივერსალურობის კონცეფციაზე,** კერძოდ, ამერიკელ ანთროპოლოგთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც *მ. ჰერსკოვიცი* მეთაურობდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოამზადა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, თითოეული კულტურა სტანდარტე-

ბისა და ფასეულობების განსაკუთრებულობით ხასიათდება და ამიტომ თითოეულ ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფებს უფლება აქვთ იცხოვრონ თავისუფლების იმ გაგების შესაბამისად, რომელიც ამ საზოგადოებაშია მიღებული. მაგრამ, ტრადიციული საზოგადოებებისთვის სამწუხაროდ, გაიმარჯვა უნივერსალურმა თვალსაზრისმა, რომელიც ევოლუციური მიდგომიდან გამომდინარეობდა. ეს ევოლუციური პარადიგმა დაედო საფუძვლად მოდერნიზაციის იმჟამად წარმოქმნილ თეორიებს და დღეს ამ დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებები საყოველთაოა საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის, მათი ტრადიციების სპეციფიკურობის მიუხედავად. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ დეკლარაციაში ჩაწერილი ადამიანის უფლებები წარმოადგენს პოსტულატებს, რომლებიც ევროპული (უპირატესად პროტესტანტული) კულტურის მიხედვით არის ჩამოყალიბებული. მაშინდელი შეხედულებების თანახმად, ყველა ტრადიციული კულტურის მიმდევარი ხალხი თანამედროვე საზოგადოებაზე უნდა გადასულიყო. ეს კი მხოლოდ მოდერნიზაციის საშუალებით იყო შესაძლებელი. ტერმინი „მოდერნიზაცია“ დღეს რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება. ამიტომ საჭიროა მათი დაზუსტება.

უპირველეს ყოვლისა, **მოდერნიზაციაში იგულისხმება საზოგადოებაში მიმდინარე პროგრესულ ცვლილებათა მთელი კომპლექსი. ის ცნება „თანამედროვეობის“ სინონიმია და ითვალისწინებს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ კომპლექსთა ტრანსფორმაციას, რაც დასავლეთში XVI საუკუნიდან მიმდინარეობს და რომელმაც თავის აპოგეას ახლა მიაღწია.** მოდერნიზაცია ითვალისწინებს ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზაციის, დემოკრატიზაციის პროცესებს, კაპიტალიზმის დომინირებულ გავლენას, ინდივიდუალიზმისა და წარმატების მოტივაციის გავრცელებას, გონებისა და მეცნიერების განმტკიცებას. მეორე შეხედულებით, **მოდერნიზაცია ეს ტრადიციული, ტექნოლოგიამდელი საზოგადოებების მანქანური ტექნოლოგიის, რაციონალური და სეკულარული ურთიერთობების, მაღალ დონეზე დიფერენცირებული სოციალური სტრუქტურების საზოგადოებად გადაქცევაა.** მესამე თვალსაზრისით, **მოდერნიზაციაში იგულისხმება ჩამორჩენილი ან სუსტად განვითარებული ქვეყნების ძალისხმევა, რომელსაც ისინი იჩენენ განვითარებული ქვეყნების დონესთან გასათანაბრებლად.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად მოდერნიზაციას განიხილავენ როგორც რთულსა და წინააღმდეგობრივ სოციოკულტურულ პროცესს, რომლის მსვლელობისას ყალიბდება თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუტები და სტრუქტურები.

აღნიშნული პროცესის მეცნიერული გააზრების შედეგად მოდერნიზაციის შესახებ მთელი რიგი კონცეფციები ჩამოყალიბდა, რომლებიც თავისი შემადგენლობითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება და, ბუნებრივია, ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ყველა კონცეფცია ცდილობს ახსნას ტრადიციული საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის მექანიზმი, კანონზომიერება. ეს კონცეფციები არ მოიცავს მხოლოდ თანამედროვეობას და პოსტთანამედროვე ეპოქასაც მიაპყრობს მზერას. ასე წარმოიშვა სხვადასხვა კონცეფცია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება თეორიული და მეთოდოლოგიური მიზანდასახულობით, თუმცა მოდერნიზაციის ნეოევოლუციონისტურ შეფასებებში ერთიანია, რომლის მიხედვითაც:

1. საზოგადოებაში ცვლილებები ცალსახაა (ერთხაზოვანია) და, შესაბამისად, ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნების გზა უნდა გაიარონ;
2. ეს ცვლილებები შეუქცევადია და მისი ბოლო გარდაუვალ ფინალამდე – მოდერნიზაციამდე მისვლაა;
3. ცვლილებებს აქვს თანდათანობითი და მშვიდობიანი ხასიათი, რომელსაც გარკვეული დასასრული აქვს;
4. ამ პროცესის ყველა სტადია უცილობლად გასავლელია;
5. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პროცესის მამოძრავებელ შინაგან წყაროებს);
6. მოდერნიზაცია გააუმჯობესებს ამ ქვეყნების ცხოვრებას.

აღიარებულია, რომ მოდერნიზაციის პროცესები უნდა იწყებოდეს და კონტროლირდებოდეს „ზემოდან“ ინტელექტუალური ელიტის მიერ. არსებითად ეს სხვა არაფერია, თუ არა დასავლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შეგნებული კოპირება.

მოდერნიზაციის ყველა თეორიის თანახმად, მოდერნიზაცია სპონტანური პროცესია და თუ ხელშემშლელ ბარიერებს მაქსიმალურად შევამცირებთ ან საერთოდ მოვსპობთ, ყველაფერი წესისამებრ წარიმართება. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ საკმარისია ტრადიციული საზოგადოებების (კულტურების) მქონე ხალხებს უჩვენონ დასავლური ცივილიზაციის უპირატესობა, თუნდაც ტელევიზიით, რომ მაშინვე ყველას ასეთივე ცხოვრების სურვილი გაუჩნდეს, მაგრამ ეს „მშვენიერი“ თეორიები სინამდვილემ გააქარწყლა. ბევრი ტრადიციული საზოგადოებისათვის დასავლური ცხოვრების წესი, ანუ მოდერნიზებული საზოგადოება მიუღებელი აღმოჩნდა, თეორიების მშვენიერების მიუხედავად. დასავლური ცხოვრების წესის ახლოს გაცნობამ ტრადიციული საზოგადოებები სრულიადაც არ მოხიბლა და არცერთი მათგანი არ შეეცადა მის ბრმად გადმოტანას. მათ კი, რომლებმაც ეს გზა აირჩიეს, მალე თქვეს უარი მოდერნიზაციაზე, რადგან მათს

ცხოვრებაში თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორებიცაა: სიღარიბე, სოციალური დეზორგანიზაცია, სხვადასხვა სახის დანაშაული და ანომია (ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ სამართლებრივი და სხვა ნორმები ვეღარ განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას). უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ტრადიციულ საზოგადოებებში ყველაფერი არცთუ ისე ცუდადაა და ისინი ითვისებენ სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებს. ტრადიციულობისა და მოდერნიზაციის შეთანაწყობის არსებობის მაგალითებს იძლევა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა. დღეისათვის ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზების გზაზე დგას ჩინეთი ისე, რომ ის უარს არ ამბობს ჩინურ ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე. ამრიგად, პრაქტიკით მტკიცდება ტრადიციული კულტურებისა და თანამედროვეობის შეთავსება. ეს პრობლემები აწუხებს დღევანდელ საქართველოსაც. აშკარა საფრთხე ემუქრება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, მენტალობას, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულ ეთნიკურ კულტურას. ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, ქართული საზოგადოება, ფაქტობრივად, მოდერნიზებული იყო ტრადიციულობის შენარჩუნებით. საბჭოთა იმპერიაში ხანგრძლივად ყოფნის მიუხედავად, ქართველთათვის მთლად უცხო არ იყო ევროპული (დასავლური) ცხოვრების წესი, მენტალობა. ახალი ეპოქისათვის მიუღებელ ზოგიერთ ტრადიციულ მოვლენაზე ქართველმა ხალხმა თავად თქვა უარი, თუმცა კულტურის ძალიან ბევრი ელემენტი მან შეინარჩუნა და შეუთავსა თანამედროვეობას; შექმნა დასავლური სტანდარტების დონის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, არც მეცნიერული წარმატებები იყო უცხო. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ყველა ხალხი სწორედ ეთნიკური კულტურის თავისებურებით ხასიათდებოდა. ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციების ნიველირება, რასაც ახლა გვთავაზობენ, უცხო იყო. საბჭოთა იმპერიას ხანდახან ჰქონდა მცდელობა ქართული სულიერების, კულტურის, მენტალობის მოშლისა (უფრო სწორად რომ ვთქვათ, გარუსებისა), მაგრამ თავისთავადი ქართული ეთნიკური კულტურის გაქრობა, საბჭოთა სისტემაში მისი რუსულ ყაიდაზე მოქცევა შეუძლებელი იყო. ქართულ საზოგადოებას ცვლილებები ნამდვილად სჭირდება, მაგრამ არა ისე, როგორც გვთავაზობენ. ქართველები მოდერნიზაციისათვის ხალხების იმ სიაში შეიყვანეს, რომელშიც უდამწერლობო ეთნოსებია შეყვანილი.

იაპონიის, სამხრეთ კორეისა და სხვა სახელმწიფოების მაგალითი გვიჩვენებს, რომ დასავლეთზე მყარი ორიენტაცია კულტურის განვითარების ერთადერთი გზა არ არის. აღნიშნული ქვეყნების ისტორიულმა გამოცდილებამ მსოფლიოს განვითარე-

ბის ერთხაზოვნება ეჭვქვეშ დააყენა. გაირკვა, რომ ტრადიციული საზოგადოებების (კულტურების) დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზება განვითარების ერთადერთი ჭეშმარიტი გზა არ არის. ამის გამო მოდერნიზაციის ახალი თეორიები გაჩნდა, რითაც ეთნოკულტურული პროცესების ანალიზის ცივილიზაციური მიდგომა ააღორძინეს.

ამ პრობლემების შესწავლით არაერთი მეცნიერია დაინტერესებული, რომელთაგანაც, პირველ რიგში, *ს. ჰანტინგტონი* შეიძლება დასახელდეს, რომელმაც მოდერნიზაციის ცხრა უმთავრესი მახასიათებელი შემოგვთავაზა:

1. მოდერნიზაცია – რევოლუციური პროცესია, ვინაიდან ის ცვლილებების კარდინალურობას, ყველა ინსტიტუტის, სისტემის, საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და ადამიანის ცხოვრების რადიკალურ ცვლილებებს გულისხმობს;

2. მოდერნიზაცია – კომპლექსური პროცესია, ვინაიდან ის საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთ ასპექტამდე კი არ დაიყვანება, არამედ მთლიანად მოიცავს საზოგადოებას;

3. მოდერნიზაცია – სისტემური პროცესია, ვინაიდან ერთი რომელიმე ფაქტორის ან სისტემის ფრაგმენტის ცვლილება იწვევს ცვლილებას სისტემის სხვა ელემენტებშიც, რაც მთლიანობაში ერთიან სისტემურ გადატრიალებას, ცვლილებას იწვევს;

4. მოდერნიზაცია – გლობალური პროცესია, რადგანაც ევროპიდან ფეხადგმულმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა, რომლებიც ან უკვე გათანემედროვდნენ, ან ცვლილებების პროცესში არიან;

5. მოდერნიზაცია – ხანგრძლივი პროცესია. ცვლილებათა პროცესი საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს, მისი გატარებისათვის რამდენიმე თაობაა საჭირო;

6. მოდერნიზაცია – საფეხურებრივი პროცესია და ყველა საზოგადოებამ ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს;

7. მოდერნიზაცია – ჰომოგენური პროცესია, რადგანაც ყველა ტრადიციული საზოგადოება სხვადასხვაგვარია, თანამედროვენი კი თავიანთი სტრუქტურებითა და გამოვლინებებით ძირითადად ერთგვაროვანია;

8. მოდერნიზაცია – შეუქცევადი პროცესია; პროცესის მსვლელობისას შესაძლებელია შეფერხებები, ნაწილობრივი გადახვევები, მაგრამ დაწყებული პროცესი არ შეიძლება წარუმატებლად დამთავრდეს;

9. მოდერნიზაცია – პროგრესული პროცესია; ამ გზაზე ხალხმა შეიძლება უამრავი უბედურება და ტანჯვა გამოიაროს, საბოლოოდ კი ყველაფერი ანაზღაურდება, რადგან მოდერნიზებულ საზოგადოებაში ადამიანის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობა განუსაზღვრელად მაღალია.

მოდერნიზაცია ცვლილებათა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. ისტორიულ ასპექტში ის ვესტერნიზაციის, ანუ ამერიკანიზაციის სინონიმია, სისტემათა იმ ტიპისაკენ მოძრაობაა, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. სტრუქტურული ასპექტით ეს არის ახალი ტექნოლოგიების ძიება, ტრადიციული სოფლის მეურნეობიდან კომერციული სოფლის მეურნეობისაკენ მოძრაობა, ცხოველთა და ადამიანთა კუნთების ძალის, როგორც ძირითადი ენერგიის წყაროს შეცვლა თანამედროვე მანქანებითა და მექანიზმებით, ქალაქების მოფენა და სამუშაო ძალის სივრცობრივი კონცენტრაცია. პოლიტიკურ სფეროში – ტომის ბელადის, წინამძღოლის ავტორიტეტიდან დემოკრატიისაკენ სვლა, განათლების სფეროში – უწიგნურობის ლიკვიდაცია და ცოდნის ღირებულების ზრდა, რელიგიურ სფეროში – ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლება; ფსიქოლოგიურ ასპექტში – ესაა თანამედროვე პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც ტრადიციული ავტორიტეტებისაგან დამოუკიდებლობასა და გათავისუფლებას გულისხმობს; ის გულისხმობს საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ყურადღებას, ახალი გამოცდილების შეძენის, შეთვისების უნარს, მეცნიერებისა და გონის რწმენას, მომავლისაკენ სწრაფვას, საგანმანათლებლო, კულტურულ და პროფესიულ მიდრეკილებათა მაღალ დონეს.

მოდერნიზაციის კონცეფციის ცალმხრივობა და თეორიული ნაკლოვანებები საკმაოდ მალე შეამჩნიეს, გააკრიტიკეს მისი პრინციპული დებულებები.

აღნიშნული კონცეფციის მოწინააღმდეგენი აღნიშნავდნენ, რომ ცნებები „ტრადიცია“ და „თანამედროვეობა“ ასიმეტრიულია და არ შეიძლება დიქოტომიური იყოს ერთმანეთის მიმართ. თანამედროვე საზოგადოება იდეალია, ტრადიციული კი წინააღმდეგობრივი რეალობაა. ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია. ერთგვაროვანი ტრადიციული საზოგადოებები საერთოდ არ არსებობს, მათ შორის ძალიან დიდი სხვაობაა, ამიტომაც არ არის და არც შეიძლება არსებობდეს მოდერნიზაციის უნივერსალური რეცეპტები. ამ კონცეფციისა და შეხედულების ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ მცდარი და მიუღებელია ტრადიციული საზოგადოებების აბსოლუტურად სტატიკურ მდგომარეობაში და უმოძრაოდ წარმოდგენა. ეს საზოგადოებებიც ვითარდება და მოდერნიზაციისაკენ მიმართული ძალადობრივი ღონისძიებები ორგანულ და ბუნებრივ განვითარებასთან კონფლიქტში აღმოჩნდება.

კრიტიკის ობიექტად იქცა თეზისი იმის შესახებ, რომ ტრადიცია და თანამედროვეობა გამორიცხავს ერთმანეთს. სინამდვილეში ნებისმიერი საზოგადოება ტრადიციული და თანამედროვე

ელემენტების ნაერთს წარმოადგენს და ტრადიციები სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მოდერნიზაციას, გარკვეულწილად, ხელსაც კი უწყობს მას. განსხვავებული შეხედულებების ავტორები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ მოდერნიზაციის ყველა შედეგი სიკეთის მომტანი არ არის; ის სისტემატური ხასიათის სრულიადაც არ არის; ეკონომიკური მოდერნიზაცია შეიძლება პოლიტიკის გარეშე განხორციელდეს და მოდერნიზაციული პროცესები შეიძლება სასიკეთოდაც იყოს მიმართული.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და დიქტატურისაგან გათავისუფლებული ქვეყნების მოდერნიზაცია. მიიჩნევენ, რომ ამ ქვეყნებს შენარჩუნებული აქვთ ძველი პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემების ბევრი ნიშანი, რაც ამუხრუჭებს საზოგადოების გარდაქმნის პროცესს.

ძველი, ეკონომიკური ელიტის ადგილს იკავებს ახალი, ინტელექტუალური ელიტა – პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ ცოდნას, ტექნოლოგიებს, არიან კომპეტენტურნი. განათლების ცენზი და პროფესიონალიზმი, წარმომავლობისა და მატერიალური მდგომარეობის ნაცვლად, ის ძირითადი კრიტერიუმებია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ხელისუფლებაში მოსვლა და სოციალური პრივილეგიების მიღება.

ამგვარად, თანამედროვე ეპოქა არის მეცნიერებისა და ტექნიკის, საგანმანათლებლო სისტემებისა და მასობრივი ინფორმაციის ბატონობის ეპოქა. შესაბამისად, ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაციის კონცეფციებში შეიცვალა საკვანძო დებულებები:

1. მოდერნიზაციის პროცესების მამოძრავებელ ძალად განიხილავენ არა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას, არამედ თვით ფართო მასებს, რომლებიც აქტიურ მოქმედებას ქარიზმატული ლიდერის გამოჩენის შემთხვევაში იწყებენ. ქარიზმატულ ლიდერს შეუძლია მასების აყოლიება;

2. ასეთ შემთხვევაში მოდერნიზაციის საკითხს წყვეტს არა ელიტა, არამედ მოქალაქეთა მასობრივი სწრაფვა. მიიჩნევენ, რომ სწორედ მოქალაქეთა მასობრივი სწრაფვა ცვლის ცხოვრების არსებულ წესს დასავლური სტანდარტებით, რისთვისაც იყენებს მასობრივ კომუნიკაციებსა და პირად კონტაქტებს;

3.დღეისათვის აქცენტი გადატანილია მოდერნიზაციის არა შიდა, არამედ გარე ფაქტორებზე; ესენია: ძალთა მსოფლიო გეოპოლიტიკური განლაგება, საგარეო ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო ბაზრების გახსნილობა, დამარწმუნებელი იდეოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობა;

4. თანამედროვეობის ერთიანი უნივერსალური მოდელის ნაცვლად, რომლის ნიმუშად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩ-

ნევდნენ, გაჩნდა თანამედროვეობის მოძრავი ცენტრებისა და სანიმუშო საზოგადოებების იდეა. ნიმუშად კი არა დასავლეთი, არამედ იაპონია და „აზიური ვეფხვებიც“ მიიჩნევა;

5. ახლა უკვე ნათელია, რომ არ შეიძლება არსებობდეს მოდერნიზაციის ერთი, უნივერსალური, უნიფიცირებული პროცესი, მისი რიტმი და შედეგები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იქნება;

6. მოდერნიზაციის თანამედროვე სურათი უფრო ნაკლებად ოპტიმისტურია, ვიდრე უწინდელი – ყველაფერი არ არის მიღწევადი და შესაძლებელი, ყველაფერი არ არის დამოკიდებული უბრალო პოლიტიკურ ნებაზე. უკვე აღიარებულია, რომ მთელი მსოფლიო არასოდეს იცხოვრებს ისე, როგორც ცხოვრობს თანამედროვე დასავლეთი, ამიტომაც თანამედროვე თეორიები დიდ ყურადღებას უთმობს უკან დახევებს, გადახვევებს, ჩავარდნებს;

7. დღეს მოდერნიზაცია ფასდება არა მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე უმთავრესად მიიჩნეოდა, არამედ ფასეულობებით, კულტურული კოდებით;

8. შემოთავაზებულია ადგილობრივი ტრადიციების გამოყენება.

ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ბუნებრივია, სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა და ორსაუკუნოვანმა კოლონიურმა უღელმა თავისი დაღი დაასვა ქართულ საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ქართული საზოგადოება, შეძლებისდაგვარად, თითქმის მუდმივად მოდერნიზებული იყო, ისრუტავდა დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის ელემენტებს – ეს მისწრაფება დასავლეთისაკენ კი ქართულ საზოგადოებას თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ჰქონდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ქართველებმა 326 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს. თუმცა ქართველთა ტრადიციულ ყოფაზე, მენტალობაზე გარკვეულ გავლენას აღმოსავლეთიც ახდენდა, რადგან მუდმივად მის მტრულ გარემოცვაში ვიყავით. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცხოვრებამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საქართველოს გათანამედროვეობის საკითხი. მართალია, დღეისათვის დასავლურ მეცნიერებაში მოდერნიზაციის სხვა კონცეფციები იკიდებს ფეხს, მაგრამ რეალურად საქართველოში მისი შერეული ვარიანტი ხორციელდება. ზემოთაც აღნიშნა, რომ სრულიად შესაძლებელია მოდერნიზაცია ტრადიციების შენარჩუნებით (სხვათა შორის, ამ ტრადიციებს კომუნისტებიც ებრძოდნენ, რადგან ისინი ქართული მენტალობის ორიგინალობის გამომხატველი იყო). იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი და ზო-

გიერთი სხვა ქვეყანა სწორედ იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა შეეხამოს ერთმანეთს ტრადიცია და მოდერნიზაცია, ისინი ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებები არ არის, მათი თანაარსებობა შესაძლებელია. საქართველოს არ სჭირდებოდა განათლების სფეროში უწიგნურობის ლიკვიდაცია, რადგან აქ ასეთი ადამიანები, ფაქტობრივად, არ არსებობდნენ. რევოლუციურ პროცესს, ალბათ, ევოლუციური აჯობებდა, რადგან ქვეყანა ნაკლებ ტკივილსა და ჭრილობას მიიღებდა. შესაძლებელი იყო მოდერნიზაციის თანამდევი ბევრი ნეგატიური მოვლენის თავიდან აცილება – უბრალოდ საჭირო იყო ქვეყნის ამ თვალსაზრისით მეცნიერულად შესწავლა, რეკომენდაციების მიცემა; იმის ხელახლა კეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო, საჭირო აღარ იყო და საზოგადოებაში ზოგიერთ დაპირისპირებასაც ავიცილებდით. ზემოთ ვნახეთ, რომ მოდერნიზაციის ერთ-ერთი კონცეფციის მიხედვით, საზოგადოება ეკლესიისაგან უნდა გათავისუფლდეს. საკითხავია, რა აქვს ქართულ საზოგადოებას ეკლესიისაგან გასათავისუფლებელი? ქრისტიანული ეკლესია ხომ ზნეობრიობას, ადამიანურობას, სიკეთის თესვას ქადაგებს. პირიქით, კომუნისტური ათეიზმის შემდეგ ხალხის ეკლესიისაკენ მიბრუნებას მხოლოდ და მხოლოდ დადებითი შედეგი ჰქონდა. ალბათ, ამ თეზისის შედეგია, რომ დღეს ზოგიერთი ეკლესიის, მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოს ქადაგებს. ამის შედეგი იყო, როგორც ჩანს, ბათუმში მშენებარე ეკლესიის დანგრევა. ასეთი ღონისძიებები მოდერნიზაციის გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს მხოლოდ უარყოფით დაღს ასვამს, საზოგადოებას აპირისპირებს.

ქართული საზოგადოების დასავლურ სტანდარტებთან მისაახლოვებლად საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესს უმტკივნეულოს გახდის. ამისათვის კი აუცილებელია საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და თაობიდან თაობისთვის გადაცემული ტრადიციების შენარჩუნება. მაგალითად, რატომ უნდა უშლიდეს ხელს მოდერნიზაციას საგვარეულო თავყრილობები სასოფლო სალოცავებში. ამით ხომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ნათესაურ ურთიერთობებს ინარჩუნებს. ტრადიცია ეთნიკურობის გამომხატველი იყო და არის. ამიტომ ბევრი მათგანის შენარჩუნება ხალხებს ეთნიკურ თავისთავადობას შეუნარჩუნებს. მოდერნიზებული დასავლეთის საზოგადოებათა წარმომადგენლებს ხომ ძალიან მოსწონთ ქართული სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულება. რას მისცემს ამ წეს-ჩვეულების საერთოდ გაქრობა საზოგადოებას? – არაფერს. ქართველები ერთმნიშვნელოვან ეთნიკურ ნიშანს დავკარგავთ.

ვფიქრობთ, დაუფიქრებელი მოდერნიზაცია არცერთი ეთნოსის ინტერესებში არ შედის, მითუმეტეს, მისი ხელოვნურად გა-

ნხორციელება, ძალით თავს მოხვევა. *გერმანელი მეცნიერი ვ. მიულმანიც ხაზგასმით აღნიშნავს: ფაქტებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ დასავლური დემოკრატიული თავისუფლების იდეების იმპორტი აღმოსავლეთის ქვეყნებში მხოლოდ ამწვავებს კრიზისს და აღრმავებს უფსკრულს უფროს და ახალგაზრდა თაობებს შორის. ასეთ შემთხვევებში მოდერნიზმის სათავეში მყოფი ხელმძღვანელები ხშირად აპროვოცირებენ ფალსიფიცირებულ მითითებებს, რომელთა ასეთი ქმედებანი საკმარისი არაა იმისათვის, რომ ხალხი ერთი მიზნითა და სულისკვეთებით გააერთიანონ, რადგან მათ სამისოდ არავითარი წინაპირობა არ გააჩნიათ.* თანამედროვე მეცნიერული შეხედულებით ხომ მოდერნიზაციის უნივერსალური რეცეპტები არ არსებობს. ცხოვრებაში სწორედ ამ კონცეფციის გატარებაა საჭირო. შეიძლება ვინმემ იკითხოს – სჭირდება კი ქართულ საზოგადოებას მოდერნიზაცია? რა თქმა უნდა, სჭირდება. ჩვენ ხომ ჩვეულებრივი, ბუნებრივი განვითარების გზას, გარკვეული მიზეზების გამო, ჩამოვრჩით. უპირველეს ყოვლისა, ქართველ ხალხს სჭირდება სრული დემოკრატია, საბაზრო ურთიერთობები, განათლების მაღალი სტანდარტი (რის დეფიციტსაც არც ადრე განვიცდიდით), მაღალი თვითდისციპლინა, სახელმწიფოებრიობის შეგნება (რაც ორი საუკუნის განმავლობაში ერთგვარად დაიკარგა), კანონმორჩილება და ყოფითი კულტურის ამაღლება.

ვინ უნდა დაეხმაროს პოლიტიკოსებს, ქვეყნის ხელისუფალთ მოდერნიზაციის გზაზე – უცხოელი თუ ქართველი მეცნიერები? უცხოელ მეცნიერთა თეორიებისა და კონცეფციების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები კი ყველაზე უკეთ ქართველმა მეცნიერებმა იციან. აწონილ-დაწონილი, მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციების მიცემა კი ეთნოლოგთა საქმეა. თანამედროვე ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა ამაშიც მდგომარეობს.

I.12.ეთნოლოგიის მეცნიერული მიმართულებები

ეთნოლოგიამ ჩამოყალიბების დღიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, შეიცვალა მისი კვლევის არეალი და ობიექტი. თავდაპირველად თუ ის ძირითადად წარსულთან იყო დაკავშირებული, თანდათანობით გამოკვეთილი ადგილი თანამედროვეობამ დაიკავა. რადგანაც ეთნოლოგია ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს იკვლევს, ამიტომ ამ მეცნიერების წიაღში სხვადასხვა მიმართულება გაჩნდა. ეს მიმართულებებია:

ისტორიული ეთნოლოგია. ისტორიული ეთნოლოგია ეთნოლოგიური მეცნიერების ნაწილია. ის სწავლობს ცალკეული ეთნოსების წარმოშობასა და ფორმირებას (ეთნოგენეზს), ეთნიკურ ისტორიას, სხვადასხვა ეთნოსების ხალხური ყოფისა და კულტურის გენეზისსა და ტრადიციულ ფორმებს, კლასობრიობამდელი საზოგადოების კულტურას, ამ ცნების ფართო გაგებით, გამქრალი ხალხების ეთნოლოგიას (პალეოეთნოლოგია), სამეურნეო-კულტურულ ტიპებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების ჩამოყალიბებასა და ევოლუციას. ისტორიულ ეთნოლოგიაში მნიშვნელოვანია კულტურულ-გენეტიკური მიმართულება, რომელიც ძირითადად ხალხური კულტურის ცალკეული კომპონენტების გენეზისსა და ევოლუციას სწავლობს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მატერიალური, სულიერი, სოციონორმატიული კომპონენტების ეთნიკურ თავისებურებებს.

ისტორიული ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევა-ძიება ეფუძნება როგორც საკუთრივ ეთნოგრაფიულ მასალებს, ისე ისტორიულ, არქეოლოგიურ, ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ, ონომასტიკურ და სხვა წყაროებს.

ისტორიული ეთნოლოგია, როგორც ეთნოლოგიური მეცნიერების ნაწილი, შედარებით გვიან, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, თუმცა ეთნოლოგია საქართველოში, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადად ისტორიული მიმართულების მეცნიერება იყო. ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევები ფართოდ განვითარდა XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან და მისი ფორმირება ევოლუციონიზმის წარმოქმნასთან იყო დაკავშირებული. საერთოდ, ხალხური კულტურის ეთნოლოგიური თვალსაწიერით შესწავლა ისტორიზმის გარეშე შეუძლებელია. ბოლო ხანებში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეთნოლოგთა შორის ისტორიული ეთნოლოგიის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა, ეს განსაკუთრებით კულტურულ-გენეტიკური კვლევების შესახებ შეიძლება ითქვას. XX საუკუნის ბოლოს რუსეთში *ი. ჩესნოვისა* და *ს. ლურიეს* ორი სახელმძღვანელოც გამოვიდა.

ისტორიული ეთნოლოგიის შემადგენელი ნაწილია პალეოეთნოლოგია, რომელიც ძირითადად ძველი და შუა საუკუნეების გამქრალ ეთნოსებს (მაგალითად, *ხეთებს, მიდიელებს, სკვითებს, ჰუნებს, ხაზარებს, ინკებსა* და სხვებს) სწავლობს. პალეოეთნოლოგიას შედარებით გვიან გამქრალი ხალხებიც აინტერესებს (*ტასმანიელები, უბიხები*). პალეოეთნოლოგიური კვლევა-ძიებისას მნიშვნელოვანი და აუცილებელია არქეოლოგიური მასალის, წერილობითი ძეგლების, ეთნიკური ანთროპოლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, ეთნიკური ონომასტიკის, ფოლკლორისტიკის და სხვა სამეცნიერო მიმართულებებისა და დისციპლინების მონაცემთა გათვალისწინება, რომლებიც კომპლექსურად შეისწავლება.

ეთნოგეოგრაფია. ეთნოგეოგრაფია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის მიჯნაზე წარმოიქმნა. ტერმინი „ეთნოგეოგრაფია“ პირველად 1920-იან წლებში შემოიტანეს. ეთნოგეოგრაფია ხალხთა გეოგრაფიულ გავრცელებას, მათ რაოდენობას, განსახლების თავისებურებებს, სხვა ხალხებთან ტერიტორიულ ურთიერთობას სწავლობს. ეს ურთიერთობები კი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ბუნებრივი ფაქტორებიდან გამომდინარე შეისწავლება. უფრო კონკრეტულად, ის ბინადარი და მომთაბარე განსახლების, დასახლების ფორმებსა და ტიპებს, ტერიტორიის ათვისების, სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში ტერიტორიული შერევის საკითხებს მოიცავს. ეთნოგეოგრაფიის განსაკუთრებული მიმართულებაა ეთნიკური კარტოგრაფია და ეთნიკური დემოგრაფია. ეთნოგეოგრაფია იკვლევს ეთნიკურ ერთობებსა და გეოგრაფიულ გარემოს ურთიერთობებს ისტორიულ ჭრილში, ყურადღებას აქცევს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და სოციალ-ეკონომიკური პირობების გავლენას.

ეთნოგეოგრაფიული ცოდნის ჩანასახი ჯერ კიდევ ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში მოიპოვება, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ *ჰეროდოტე, ჰეკატე მილეთელი, ერასტოფენე, სტრაბონი.* ამ პერიოდში ხალხების აღწერა ბუნებრივი გარემოს დახასიათების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ბუნებრივი გარემოს დახასიათება თვითმიზანი არ იყო და ზემოდასახელებულ მწერალთა ინტერესს იწვევდა იმ თვალსაზრისით, რომ ის ხალხთა ცხოვრების თავისებურებების აღწერასთან იყო დაკავშირებული. ჩვენამდე მოღწეული ძველი რუკები თავისი ხასიათით როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოლოგიურია, რადგან გეოგრაფიული შინაარსის ელემენტებთან ერთად ისინი ეთნოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავს. ქვეყნებისა და ხალხების კომპლექსური შესწავლა თითქმის ყველა ანტიკური ავტორის თხზულებისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ტრადიციას შუა საუკუნეებისა

და ახალი დროის ბევრი მეცნიერი აგრძელებდა. ეთნოგეოგრაფიის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი *ვახუშტი ბაგრატიონი.* მან საქართველოს ისტორიის თხრობას საქართველოსა და მახლობელი ქვეყნების (განსაკუთრებით კავკასიის) ეთნოგრაფიული აღწერილობა დაუდო საფუძვლად.

მსოფლიოს ხალხების კულტურასა და ყოფაში, საზოგადოებრივ და ფსიქიკურ წყობაში განსხვავებებს მეცნიერები უშუალოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს გავლენას მიაწერენ (კლიმატი, ნიადაგის ნაყოფიერება და სხვ.), რის შედეგადაც „გეოგრაფიული დეტერმინიზმის“ თეორია შეიქმნა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში *შ. მონტესკიეს* ნაშრომებშია ჩამოყალიბებული. კაცობრიობის ისტორიაზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედების შესახებ მოსაზრებები XX საუკუნის თითქმის ყველა დიდ ეთნოლოგსა და გეოგრაფთან დომინირებს. ეთნოგეოგრაფიული კვლევის ჩარჩოებში ექცევა ხალხთა მიგრაციის შესწავლა და ამ პროცესების მნიშვნელობის კვლევა ეთნიკურ და ასიმილაციურ მოვლენებზე. ეთნიკური კარტოგრაფიის სფეროში შედის ცალკეული ეთნოსებისათვის დამახასიათებელი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, მეურნეობის ფორმების (ტრადიციული საცხოვრებელი, საკვები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სხვადასხვა წეს-ჩვეულებები და სხვ.), ისტორიული ჭრილის თვალსაზრისით რუკაზე ასახვა. ეთნოგეოგრაფების, ეთნოლოგების, გეოგრაფ-კარტოგრაფების ერთობლივი შემოქმედებითი მოღვაწეობით არის შესაძლებელი ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასების შექმნა

ეთნიკური დემოგრაფია. ეთნიკური დემოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება, ეთნოლოგიისა და დემოგრაფიის შესაყარზე მოხდა. ეთნიკური დემოგრაფიის ძირითად ობიექტს ეთნოსები წარმოადგენს, მისი ცენტრალური ამოცანა კი დემოგრაფიული მეცნიერების მეთოდებით ეთნოსთა კვლავწარმოების თავისებურებების შესწავლაა. ეთნოლოგიასთან ეთნიკურ დემოგრაფიას, უპირველეს ყოვლისა, ეთნოსთა ეთნოგრაფიული, რასობრივი და რელიგიური ჯგუფების რიცხოვნების დინამიკის შესწავლა აკავშირებს, რითაც ეთნიკური დემოგრაფია ნაწილობრივ ისტორიულ დემოგრაფიასთან არის დაკავშირებული. ეთნიკური დემოგრაფიის ინტერესის სფეროში შედის მოსახლეობის კვლავწარმოების ეთნიკური ასპექტების ანალიზი; ამ პროცესებზე ცალკეული ეთნიკური ფაქტორების გავლენა (მაგალითად, შობადობის შესწავლისას ითვალისწინებენ საქორწინო ტრადიციებს, ოჯახში ქალის მდგომარეობას, სქესობრივ ტაბუს, დაუქორწინებლობის, უშვილობისა და მრავალშვილიანობის ტრადიციულ ურთიერთობებს, სიკვდილია-

ნობას, სიცოცხლის უზრუნველყოფის ტრადიციულ სისტემებსა და ა. შ. ეთნიკური დემოგრაფია მეცნიერული კვლევისას ძირითადად სტატისტიკურ, განსაკუთრებით მოსახლეობის აღწერის მასალებს ეყრდნობა. მეცნიერების აღნიშნული მიმართულება კვლევა-ძებისას იყენებს აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მონაცემებსაც. ეთნიკურ დემოგრაფიაში ხშირად მოსახლეობის მიგრაციის ეთნიკურ ასპექტებსაც ათავსებენ.

ეთნოსოციოლოგია. ეთნოსოციოლოგია ჩამოყალიბდა სოციოლოგიისა და ეთნოლოგიის ზღვარზე. ეთნოსოციოლოგიის მიზანია სოციალური პროცესების ეთნიკური მრავალგვარობის ახსნა. ტერმინი „ეთნოსოციოლოგია“ 1930-იან წლებში *რ. ტურნვალდმა* დაამკვიდრა. ეთნოსოციოლოგიის ქვეშ ის ინდუსტრიული საზოგადოების სოციალურ მოვლენებს სწავლობდა. საბჭოთა კავშირში ეთნოსოციოლოგია XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოიქმნა. მისი მთავარი ამოცანაა ეთნიკური და სოციალური მოვლენების ერთმანეთისაგან მოუწყვეტლივ, ურთიერთკავშირში შესწავლა. ეთნოსოციოლოგიის საგნობრივ სფეროს ეთნიკურ ერთობათა სოციალური სტრუქტურის, მათ კულტურებში სოციალურად მარკირებული მოვლენების შესწავლა წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ენაში, ხალხთა ფსიქიკაში, ეროვნულ თვითშეგნებასა და სხვადასხვა ეთნოსის წარმომაგენელთა ურთიერთობებში. ეთნოსოციოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალაქებსა და სოფლებში არსებულ სოციალურ და ეთნიკურ პროცესებს (მაგალითად, ასეთი გამოკვლევებით საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოფისა და კულტურის ნაციონალური თავისებურებები სოფლებში უფრო უკეთაა შემონახული, ვიდრე ქალაქებში). პოლიეთნიკურ ქვეყნებში სოციალური მოვლენებისა და პროცესების, ეროვნულ-ეთნიკური მრავალფეროვნების შესწავლას არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეთნოსოციოლოგია მთელ რიგ პრობლემებს ამუშავებს, რომელთაგანაც შეიძლება მხოლოდ რამდენიმე დავასახელოთ. ესენია: ერის (ნაციის) სოციალური სტრუქტურა (ცვლილებები მის სოციალურ შემადგენლობაში); სოციალური მობილობა (ეთნიკური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის სოციალურ მოძრაობასა და მიგრაციაზე); ერის სოცილურ-კულტურული განვითარება (კულტურული ორიენტაციები და ინტერესები); ხალხთა ენობრივი ცხოვრების სოციალური ასპექტების კვლევა (რა გავლენას ახდენს ენა ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე; ორენოვნების საკითხი); ნაციონალური თვითშეგნების წარმოქმნისა და განვითარების ფაქტორების განსაზღვრა და სხვა.

ეთნოლინგვისტიკა. ეთნოლინგვისტიკა ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერებაა. მისი კვლე-

ვის სფეროში შედის ეთნოსთა და ენათა მრავალმხრივი ურთიერთქმედება. ეთნოლინგვისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ენისა და ეთნიკური კულტურის, როგორც ნიშნადი სისტემების სემიოტიკური იზომორფიზმი, ეთნიკურ ურთიერთობებთან მსოფლიოს ენების თანაფარდობა, ენით განპირობებული ეთნოინტეგრაციული და ენომადიფერენცირებელი პროცესები. ეთნოლინგვისტიკის ობიექტს წარმოადგენს ენა და მისი ეთნიკური ასპექტები, ეთნოსის ენობრივი დახასიათება. ეთნოლინგვისტიკის საგანი საკმაოდ ფართოა და ისეთ სფეროებსაც კი მოიცავს, როგორებიცაა ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია. აღსანიშნავია აგრეთვე ქვეყნის შიგნით არსებული ეთნოენობრივი პროცესების კვლევა; ენის როლი ეთნოსთა შორის კონტაქტებში; ენის ადგილი ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში; ენისა და ტრადიციული კულტურების ურთიერთმიმართება; აზროვნების ენა და ეთნიკური სპეციფიკა; მსოფლიოს ენების ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია და ა. შ. ეთნოლინგვისტიკას დიდი გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს (ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი „აღმშენებლობა“, განათლების ენობრივ-ეთნიკური პრობლემები).

ენისა და ხალხის (ეთნოსის) იგივეობის შესახებ იდეა და სამეცნიერო თეორია პირველად *ვ. ჰუმბოლდტმა* (1757-1835 წწ) ჩამოაყალიბა. ეთნოლინგვისტური იდეის განვითარებას შემდგომი იმპულსი XX საუკუნის დასაწყისში ენათმეცნიერების სტრუქტურულმა თეორიამ მისცა, რომელიც *ფ. სოსიურმა* (1857-1918) შექმნა და რომელმაც ჩამოაყალიბა პრინციპი: *„ნაციის წეს-ჩვეულებები მის ენაში აისახება, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანწილად სწორედ ენა აყალიბებს ნაციას“.* ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა ეთნოლოგიასა და, მათ შორის, ეთნოლინგვისტურ მიმართულებაში გავლენა მოახდინა სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბებაზე. ტერმინი „ეთნოლინგვისტიკა“ თანამედროვე გაგებით პირველად 1940-იან წლებში აშშ-ში გაჩნდა, თუმცა ის ორმა სხვა სამეცნიერო ტერმინმა - „ანთროპოლოგიურმა ლინგვისტიკამ“ და „სოციოლინგვისტიკამ“ გადაფარა, რომლებიც შეაბამისად ენასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას იკვლევენ. დღეისათვის „ეთნოლინგვისტიკა“ იმ ქვეყნებში გამოიყენება, რომლებშიც ეთნოსებისა და მათი კულტურების შემსწავლელ მეცნიერებას ეთნოლოგია ჰქვია. **ეთნოლინგვისტიკის თეორიაში ცენტრალური პრობლემა კულტურაში ენის ადგილის განსაზღვრა, ენის ეთნოსთან და ეთნიკურ კულტურასთან ურთიერთობაა.** ენა ეთნიკურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ახალი ისტორიიდან ენა ეთნოსის ერთადერთ და აუცილებელ ნიშანს აღარ წარმოადგენს. არსებობენ ეთნოსები, რომელთა სხვადას-

ხვა ნაწილები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ (*ირლანდიელები, შოტლანდიელები, ებრაელები, მორდველები, ჩინელები* და სხვ.). თუმცა ენას დღესაც მდგრადი მადიფერენცირებელი და მაინტეგრირებელი ფუნქცია გააჩნია. ამიტომ ენის, როგორც ეთნიკური გამმიჯვნელის, როლი ერთნაირი არაა საერთოისტორიული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

ეთნოლინგვისტიკასთან ახლოს დგას ეთნიკური ონომასტიკა, რომელიც საკუთარი სახელების ეთნიკურ სპეციფიკას არკვევს. მისი მონაცემები გამოიყენება აგრეთვე როგორც წყარო ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეზის შესასწავლად. ეთნოლინგვისტიკის ჩარჩოებში თავსდება გამოყენებითი ლინგვისტიკაც. ის გამოავლენს გაქრობის წინაშე მდგარ ენებს. მის საფუძველზე კი ხდება გარკვეული ენობრივი პოლიტიკის შემუშავება.

ეთნოარქეოლოგია. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნოარქეოლოგიის სინონიმებად შეიძლება შეგვხვდეს ტერმინი *არქეოლოგიური ეთნოლოგია, არქეოლოგია მოქმედებაში, ცოცხალი არქეოლოგია.* კვლევის ეს მიმართულება XX საუკუნის 60-იან წლებში არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ზღვარზე გაჩნდა და საბოლოო ჯამში ეთნოლოგიური და არქეოლოგიური რეალიების სინთეზურ შესწავლას გულისხმობს. ცნობილია, რომ ზოგიერთი სახის ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა ხშირად ერთმანეთს ავსებს, აკონკრეტებს და შესაბამისად უფრო გასაგებს ხდის ამა თუ იმ მოვლენისა და საგნის დანიშნულებას, როლსა და ადგილს საზოგადოების განვითარების საქმეში.

ეთნოარქეოლოგიური კვლევა-ძიების ამოსავალი ეთნოგრაფიული მასალაა. ეთნოარქეოლოგიურ კვლევაში რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ *„ანალოგიური რეკონსტრუქციისა“* და *„საერთო რეკონსტრუქციის“* მეთოდები. პირველი მეთოდით მიღებული დასკვნები მაშინაა უტყუარი, როდესაც კონკრეტულად აღებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთ გარეგნულ მსგავსებასთან ერთად, მათ შორის მყარი გენეტიკური კავშირიც დგინდება. რაც შეეხება მეორე მეთოდს, იგი თავის თავში არა მარტო ეთნოგრაფიული რეალიების არქეოლოგიურ შემოწმებას, არამედ ეთნოგრაფიულად ფიქსირებული და არქეოლოგიურად მიკვლეული გარეგნულად მსგავსი მოვლენისა თუ ელემენტის გავრცელების სიხშირის დინამიკის, მის არეალსა და სტატისტიკასაც გულისხმობს. ამა თუ იმ იარაღის, საგნისა და ნივთის სტატისტიკის დადგენა კი უცილობლად გულისხმობს ქრონოლოგიურ ჭრილს.

ეთნოარქეოლოგიის ობიექტი თანამედროვე ხალხების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურაა, საგანს კი ამ მატერიალურ კულტურაში ასახული ადამიანთა თავისებურებებისა და მათი

სოციალური ურთიერთობის სპეციფიკა წარმოადგენს. ეთნოარქეოლოგები განათხარი სადგომების, დასახლებების დაკვირვების შემდეგ მას ინფორმატორების მიერ მიღებულ მონაცემებს ადარებენ. ხშირ შემთხვევაში სწორედ მატერიალური კულტურის განათხარი და ცოცხალი ეთნოლოგიური მონაცემების ურთიერთშედარებით ხერხდება საყურადღებო სამეცნიერო დასკვნების მიღება, ძველსა და ახალ ყოფას შორის მემკვიდრეობითობის დადგენა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოლოგიური მონაცემების ერთდროულად, კომპლექსურად შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის რეკონსტრუქცია. არქეოლოგიური მასალებით ხდება ეთნოსების საუკუნეების წინანდელი ყოფისა და კულტურის შესწავლა, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ელემენტებმა ჩვენ დრომდე, ფაქტობრივად, ვეღარც მოაღწიეს. ეთნოარქეოლოგია არა მხოლოდ უშუალოდ მატერიალურ კულტურას შეისწავლის, არამედ ახერხებს მატერიალური კულტურის სოციალური, სიმბოლური ფუნქციების განსაზღვრასაც.

ეთნოარქეოლოგიამ ქართველ მეცნიერთა ყურადღებაც მიიქცია. სანიმუშოდ შეიძლება *თ. ჩიქოვანის* წიგნი დასახელდეს. ქართულ მაგალითზე მან დასვა საკითხი თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ერთი და იგივე რიგისა და ხასიათის ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური რეალიები. ამგვარმა დაინტერესებამ ავტორის წინაშე უფრო კონკრეტული საკითხები წამოჭრა. ასეთებს განეკუთვნება: ერთი და იგივე მოკრორაიონის გვიანფეოდალური ხანის ნამოსახლარ-ნასახლარებისა და ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდის დასახლება-საცხოვრებელთა ტიპოლოგიური ურთიერთობა. რამ შეუწყო ხელი მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტის ხანგრძლივ შემონახულობას, ანდა მის პირდაპირ კულტურულ მიმღეობას? როგორ მოხდა, რომ თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია ჯარგვალური ტიპის ერთელემენტიანმა / ერთოთახიანმა უძველესმა კოლხურმა საცხოვრებელმა? ასევე ითქმის არამყარი მიწური იატაკის გამაგრება-ჰიდროიზოლაციის არქაულ წესზე; ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოყენებული უძველესი ფორმის თიხის ზოგიერთ ჭურჭელზე და ა. შ.

ეთნოარქეოლოგიური კვლევაძიებით გაირკვა, რომ „ხანგრძლივად იყო შემონახული თავისი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული აგებულებით მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული მონაპოვარი ქართული დარბაზული სახლი და დასახლების ის ფორმაც, რომელშიც მისი კომპლექსი წარმოადგენდა ძირითად შემადგენელ უჯრედს. მეცნიერები სრულიად დაბეჯითებით ადასტურებენ, რომ ქვემო ქართლის ფეოდალური

ხანის ნამოსახლარ-ნასახლარები და ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდის დასახლება და დარბაზული ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსები ერთმანეთთან მიმართებაში მტკიცე გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს“ (თ. ჩიქოვანი).

„ემპირიული ცოდნა-გამოცდილებით, რომელიც, რასაკვირველია, გეოკლიმატურ პირობებსა და მზის მიმართ ყველაზე სასურველ ორიენტაციად სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხარე ითვლება. ... თუ არქეოლოგიურად მიკვლეულ ნამოსახლარებს აღნიშნული თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთი მათგანი მის მიკრორაიონში მდებარე ეთნოგრაფიული პარალელის სახეს იმეორებს. ასეთი ვითარების ამსახველ ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სოფელ ქსნისა და ნასტაკისის ნამოსახლარის მზის მიმართ ორიენტაცია“ (თ. ჩიქოვანი).

ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა ეთნოლოგიური მეცნიერების დარგია, რომელიც სწავლობს რელიგიის ადრეულ ფორმებს, პირველყოფილ რელიგიებს, კლასობრიობამდელი და აგრეთვე კლასობრივი საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებას; კლასობრივი საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებას შეისწავლის როგორც ხალხური კულტურის ნაწილს. მას აინტერესებს ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ეტაპებიდან მომდინარეობს. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობის ძირითადი წყარო, ისევე როგორც საერთოდ ეთნოლოგიისა, შესასწავლ მოვლენებზე უშუალო დაკვირვებაა. ის მხოლოდ თანამედროვე მოვლენების ფიქსაციით არ შემოიფარგლება და საკვლევ პრობლემას დინამიკაში, ისტორიულ ჭრილში სწავლობს. ერთი სიტყვით, **ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობის საგანი რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების როგორც წარმოშობა, ისე განვითარების განხილვაა.** ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ისტორიასთან. მათი საგნობრივი არეალები ნაწილობრივ თანხვდება. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობა, სხვა წყაროებს (წერილობითი, არქეოლოგიური) კი დამხმარე მასალად იყენებს. ცნობილია, რომ ქართველმა ხალხმა ქრისტიანული რელიგია ძალიან ადრე მიიღო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ზოგიერთ მხარეში, განსაკუთრებით მთიელებში, ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები ბოლო დრომდე შემორჩა. ამ გარემოებამ კი მეცნიერებს საშუალება მისცა ნაწილობრივ აღედგინათ ის რელიგიური სისტემა, რომელიც ქართველებს თავდაპირველად ჰქონდათ. თუმცა ხალხური რელიგიის შესწავლაში საისტორიო წყაროები და არქეოლოგიური მონაცემებიც იქნა გამოყენებული. მეცნიე-

რებს იმ მოვლენების დადასტურებაც მოუხდათ, რომ ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი ერთგვარად გახალხურდა.

ეთნოლოგიურ რელიგიათმცოდნეობას პირველყოფილი საზოგადოების რელიგია სხვა მხრივაც აინტერესებს, კერძოდ, ის რელიგიას კომპლექსურად იკვლევს – ხელოვნებასა და პირველყოფილ ეთიკასთან ერთად, რადგან პირველყოფილი იდეოლოგია სინკრეტული ხასიათის იყო, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები ერთმანეთში იყო გადახლართული.

მართალია, რელიგიის წარმოშობის პრობლემა საერთო ფილოსოფიური ასპექტით კვლევას მოითხოვს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი სრულყოფილი შესწავლა მას შემდეგ გახდა შეაძლებელი, რაც ის უფრო მეტად დაეყრდნო ეთნოლოგიას. ამრიგად, რელიგიის წარმოშობის საკითხი ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაცაა.

ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა შეისწავლის სექტანტურ მოძრაობებსაც, რომლებიც „მსოფლიო" რელიგიების საფუძველზე წარმოიქმნა. მეცნიერების ამ მიმართულების ერთ-ერთი არსებითი პრობლემა გაბატონებული რელიგიის ეთნიკურ კულტურასთან გადაჯაჭვულობაცაა. იმის გამო, რომ ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, ის ამ კავშირების ხასიათითა და ინტენსიურობის ახსნითაც არის დაკავებული.

ეთნომუსიკათმცოდნეობა. ესაა მეცნიერების დარგი ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის ზღვარზე. ეთნომუსიკათმცოდნეობა ფართო მნიშვნელობით ცალკეული ეთნოსების მხატვრული კულტურის ეთნიკურ სპეციფიკას, ხალხურ ტრდიციულ ხელოვნებას, მის გენეზისს, განვითარების კანონზომიერებებს, პირველყოფილ ხელოვნებას, პროფესიული და ხალხური ხელოვნების კავშირსა და ურთიერთმიმართებას, აგრეთვე ხელოვნების ცალკეულ დარგებს, მათ ბედსა და მომავალს თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, გადარჩენის ხერხებსა და მეთოდებს, ხალხური ხელოვნების ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ექსპონირებას შეისწავლის. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ხელოვნება მნიშვნელოვანი წყაროა ეთნოგენეზის შესასწავლად. მეცნიერების ამ სფეროში გამოიყოფა ცალკე მიმართულება, რომელიც ხალხურ ცეკვებს, სიმღერებსა და თეატრს სწავლობს. ამ დარგს *ეთნომუსიკოლოგიას* ან *მუსიკალურ ფოლკლორს* უწოდებენ.

ეთნოლოგიური მუზეუმთმცოდნეობა. ეს დამხმარე ეთნოგრაფიული დისციპლინაა, რომელიც სწავლობს სამუზეუმო საქმიანობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პრობლემებს. მისი ერთი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიურ მეც-

ნიერებასთან, მეორეს კი მხოლოდ სპეციფიკური სამუზეუმო ხასიათი აქვს. ეთნოლოგიური მუზეუმთმცოდნეობა დაკავებულია ეთნოგრაფიული კოლექციების შეკრებისა და დაკომპლექტების პრინციპების დამუშავებით. სამუზეუმო მუზეუმთმცოდნეობის სპეციალისტები ამუშავებენ ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორებიცაა ექსპონატების დაცვის მექანიზმები, კონსერვაცია და რესტავრაცია, ექსპოზიციების პროექტირება და სხვა.

ნორმატიული ეთნოლოგია // იურიდიული ანთროპოლოგია. ეს დისციპლინა სწავლობს სოციალური ნორმების ეთნოკულტურულ თავისებურებებს ისტორიული განვითარების პროცესში. ნორმატიული ეთნოლოგიის განსაკუთრებულ დისციპლინად გამოყოფა რამდენადმე პირობითია. მისი დანაყოფები – იურიდიული ეთნოლოგია (სამართლის ეთნოლოგია) და ეთიკური ეთნოლოგია (მორალის ეთნოლოგია) ხშირად დამოუკიდებელ დისციპლინებადაც კი განიხილება. როგორც სახელწოდებებიდანაც ჩანს, პირველი მათგანი ხალხურ სამართლებრივ და მეორე – ეთიკურ ყოფით კულტურებს იკვლევენ. ნორმატიული ეთნოლოგია სოციალური რეგულაციის საკითხებს იკვლევს როგორც კლასობრიობამდელ, ისე კლასობრივ საზოგადოებაში. ნორმატიული ეთნოლოგიის მნიშვნელოვან ამოცანათა წრეში შედის სოციალური ნორმების გენეზისის კვლევა. კავკასიაში დამკვიდრებისთანავე რუსეთის იმპერიამ დაიწყო ადგილობრივი მკვიდრი ეთნოსების ადათობრივი სამართლისა და ეთიკურ ნორმათა ერთობლიობის კვლევა-ძიება, რასაც ის მხოლოდ პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა. ამით იმპერია ცდილობდა გაეადვილებინა კავკასიაში თავის დამკვიდრების პროცესი და ის კულტურულ-ყოფითი მშენებლობა, რომელსაც ეწეოდა.

იურიდიული ანთროპოლოგია სამეცნიერო გამოკვლევათა მიმართულებაა, რომელიც სწავლობს სამართლის ადრეული ფორმების წარმოქმნასა და განვითარებას. იურიდიული ანთროპოლოგია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ჩამოყალიბდა როგორც სამართლის ისტორიის შემადგენელი ნაწილი. იურიდიული ანთროპოლოგია დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად საბოლოოდ XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც *ბ. მალინოვსკის* სამეცნიერო ნაშრომები გამოვიდა. მეცნიერების ეს მიმართულება საკმაოდ ადრე განვითარდა რუსეთში, რაც დაკავშირებულია *ე. იაკუშინისა* და *მ. კოვალევსკის* მოღვაწეობასთან. საბჭოთა ეთნოგრაფების ნაშრომებში იურიდიული ანთროპოლოგია *ნორმატიული ეთნოლოგიის* შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. იურიუდიული ანთროპოლოგიის ძირითადი პრობლემა სამართლის წარმოშობის საკითხია

აგრარული ეთნოლოგია და ეთნობოტანიკა. ეთნოლოგიური მეცნიერების ის დარგი, რომელიც სწავლობს ხალხური სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და გამოცდილების ეთნოგრაფიულ ასპექტებს, ტრადიციულ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას, *აგრარულ ეთნოლოგიად* იწოდება. აგრარული ეთნოლოგია სწავლობს ხალხური მატერიალური კულტურის საგნებს (სასოფლო-სამეურნეო იარაღები, აგროდაგეგმარება, სასოფლო დასახლებების სამეურნეო ნაგებობები და ა. შ.), აგრეთვე ისტორიულად ჩამოყალიბებულ შრომის წესებს, რომლებიც სხვადასხვა ხალხების მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში არსებობს, აგრარულ კალენდარს, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებთან არიან დაკავშირებული. აღნიშნული სამეცნიერო მიმართულება არკვევს იმ ლოკალურ თავისებურებებს, რაც ამა თუ იმ ეთნოსის ტერიტორიული ერთეულებისათვის არის დამახასიათებელი. ამავე დროს ვლინდება, რომ კულტურის ბევრი ელემენტი არა მარტო ერთი ხალხისათვის, არამედ მეზობელ ხალხთა მთელი ჯგუფისთვისაც იყო დამახასიათებელი. ისიც გარკვეულია, რომ თუ ერთ შემთხვევაში ეთნიკური მახასიათებლები სამიწათმოქმედო და მეცხოველეობის ტრადიციებში ნათლად გამოვლინდება, მეორე შემთხვევაში სუსტად აისახება. იმის გამო, რომ აგრარული ეთნოლოგია ხალხთა ისტორიულ გამოცდილებას სწავლობს, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტი ითვალისწინებს მიწათმოქმედების ისტორიის, ეთნობოტანიკის, აგრონომიის, არქეოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს. ქართულ ეთნოლოგიაში აგრარული ეთნოლოგიის კვლევის საკითხები თავიდანვე მოექცა ყურადღების არეში. არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის მაღალი და დაწინაურებული კულტურა სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის სფეროში. დადასტურდა, რომ ქართველებს საუკუნეების წინ ჰქონდათ შექმნილი განვითარებული სარწყავი მიწათმოქმედება, მრავალფეროვანი შრომის იარაღები, რომლებიც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და ნიადაგის თავისებურებებიდან გამომდინარე იყო შექმნილი.

ეთნობოტანიკა მეცნიერების დარგია, რომელიც ეთნოლოგიისა და ბოტანიკის მიჯნაზე ჩამოყალიბდა. მის საგანს წარმოადგენს ისეთი საკითხების კვლევა, როგორებიცაა: საწარმოო კოლექტივის ურთიერთობა ეკოსისტემების მცენარეულ ნაწილთან; კოლექტივების მიერ ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის საკითხები. მისი წარმოქმნა ძირითადად თანამედროვე ადამიანები ბუნების შენარჩუნების ცდამ განაპირობა. საუკუნეების წინ კი ამ სფეროში ადამიანებს მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი და ამ გამოცდილებას ეთნობოტანიკოსები გამოავლე-

ნენ. ეთნობოტანიკოსები კვლევისას, ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, იყენებენ ისეთი მეცნიერებების მონაცემებს, როგორებიცაა – ეკოლოგია, ბოტანიკა, არქეოლოგია, ისტორია, გეოგრაფია. ეთნობოტანიკის მონაცემებს კულტურული მცენარეების წარმოშობის საკითხების საკვლევადაც იყენებენ. ეთნობოტანიკის სფეროში შედის ხალხთა მიერ მცენარეთა ჯიშების გამოყვანა. ეს სამეცნიერო მიმართულება დღეისათვის ყველაზე მეტად საფრანგეთშია განვითარებული, სადაც შექმნილია სპეციალური ლაბორატორიები და შესაბამისი კურსები იკითხება უნივერსიტეტებში.

ეთნოზოოლოგია. ეთნოლოგიისა და ზოოლოგიის ზღვარზე შექმნილ სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც ცალკეული ეთნიკური სამყაროს ცხოველთა სამყაროსთან ურთიერთობებს სწავლობს, *ეთნოზოოლოგია* ეწოდება. ამ ურთიერთობებს კვლევის ორი ასპექტი გააჩნია: როგორ ყალიბდებოდა ისინი და როგორ აისახება ისინი ადამიანთა სულიერ სამყაროზე. პირველი მათგანი, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო სისტემების სპეციფიკასთანაა დაკავშირებული (ნადირობა, მეთევზეობა, მესაქონლეობა), აგრეთვე წლიურ სამეურნეო ციკლთან. სამეურნეო სისტემის სპეციფიკა, თავის მხრივ, რამდენადმე განპირობებული იყო სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებებით, ცერემონიებითა და რიტუალებით, აგრეთვე ცხოველური პროდუქტებით. ეთნოზოოლოგია სწავლობს აგრეთვე ფაუნის ცვლილებებს ადამიანთა ზემოქმედების შედეგად, მის გეოგრაფიულ გავრცელებულობას. ეთნოზოოლოგიის მეორე მიმართულებაში შედის წარმოდგენები ცხოველთა სამყაროს შესახებ. ეთნობოტანიკასთან ერთად ეთნოზოოლოგია უფრო ფართო დისციპლინის – *ეთნიკური ეკოლოგიის* ნაწილს წარმოადგენს. ეთნოზოოლოგიური კვლევების შედეგად ქართველმა ეთნოლოგებმა დაადგინეს, რომ ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ შინაურ ცხოველთა მაღალპროდუქტიული ჯიშები ჰყავდათ გამოყვანილი. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ქართველმა მეცხვარემ მოახერხა, რომ ცხვარში დოლი ერთდროულად – გაზაფხულის დადგომისთანავე დაწყებულიყო.

ეთნიკური ეკოლოგია. ეს არის ეთნოლოგიისა და ეკოლოგიის გადაკვეთაზე წარმოქმნილი სამეცნიერო მიმართულება. ეთნიკური ეკოლოგიის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ეთნიკურ ერთობათა სიცოცხლით უზრუნველყოფის ტრადიციული თავისებურებების შესწავლა მათი ბინადრობის ბუნებრივსა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ეთნიკური ეკოლოგიის კვლევა განასაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებაში, რადგან საჭიროა დღევანდელმა ადამიანებმა იცოდნენ წინაპრების ბუნებასთან ურთიერთობის ყველა ტრადიცია. თანამედროვე

პირობებში ბევრი ბუნებრივი კატასტროფა სწორედ ხალხური ეკოლოგიური ცოდნის უცოდინრობითაა გამოწვეული. საუკუნოვანი დაკვირვებით ადამიანებმა იცოდნენ, მაგალითად, სად და რა რაოდენობის ტყე შეიძლებოდა მოეჭრათ, სად აეღოთ ახო, როგორ დაეცვათ ნიადაგი ეროზიებისაგან, ამა თუ იმ ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებში როგორი საცხოვრებელი უნდა აეგოთ, მთაში სადაც ზვავები იცოდა, რომელ ადგილებში უნდა აეშენებინათ სახლი, რამდენი ოჯახი შეიძლებოდა გამოეკვება მოცემულ დასახლებულ პუნქტს და ა. შ. ამრიგად, ეთნოლოგთა მიერ ეთნიკური ეკოლოგიის პრობლემების კვლევას დიდი გამოყენებითი და პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია.

I.13.საკაცობრიო კულტურული მიღწევები და ეთნოლოგია

კაცობრიობის პროგრესი, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ კულტურაზე, წარმოებისა და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად საჭირო საკაცობრიო კულტურულ მიღწევებზე იყო დამოკიდებული. ადამიანთა მიერ შექმნილ მატერიალური კულტურის ნიმუშებს, ქვის ხანიდან მოკიდებული დღემდე, თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ განუსაზღვრელ პროგრესს, ადამიანის დიდ შემოქმედებით უნარს, ბუნებასთან თანაარსებობის შესაძლებლობებს. ეთნოლოგისათვის მატერიალური კულტურის ყველა ნიმუში საგულისხმოა; ეთნოლოგები სწავლობენ და იკვლევენ ყველა ეპოქის ადამიანის მიერ შექმნილ ნივთიერ ისტორიას, რომლებსაც მთელი რიგი ეთნიკური სპეციფიკურობები ახასიათებს. მაგრამ არის მოვლენები, რომლებიც შექმნისთანავე სცდებოდა ეთნიკურ ჩარჩოებს, ვრცელდებოდა ყველა ხალხში და საერთო-საკაცობრიო კუთვნილებად იქცეოდა. მათ შორის ხშირად ასახელებენ მიწათმოქმედებას თავისი უნიკალური შრომის იარაღებით, მეცხოველეობას, რომელიც ცხოველთა მოშინაურებით დაიწყო, ბორბლის გამოგონებას (სატრანსპორტო საშუალებები), ლითონის გამოდნობას (მელითონეობა), ქაღალდის კეთებასა და ა. შ. ამდენად, ყველა თანამედროვე საკაცობრიო კულტურული მიღწევა რომელიმე ერთ ეთნოსშია წარმოქმნილი და შემდეგ კულტურული სესხების გზით, ეთნიკური კონტაქტებით სხვა ეთნოსებში გავრცელებული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მატერიალური კულტურის არაერთ სფეროს, ისევე როგორც სულიერი კულტურისას, საფუძველი ძველ აღმოსავლეთში ჩაეყარა. ცივილიზაციის ამ კერისათვის ცნობილი იყო სახვნელიც, ბორბალიც, საზიდავი საშუალებაც, სამეთუნეო ჩარხიც, საქსოვი დაზგაც, ბრინჯაოს მეტალურგიაც. მატერიალური კულტურის შემდგომი სრულყოფა, რომელსაც თან ახლდა პროგრესი სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, სამადნო მეურნეობაში, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტში და ა.შ. მიმდინარეობდა როგორც წინა აზიის რეგიონში, ისე სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში. სამხრეთ ნახევარსფეროს დიდმა ნაწილმა იმდროინდელი მატერიალური კულტურის მიღწევათა უმეტესობა (მაგალითად, გუთანი) არ მიიღო, რის ძირითად მიზეზს ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობები წარმოადგენდა. კოლუმბამდელმა ამერიკამ მატერიალური კულტურის საკუთარი სტანდარტები განავითარა, რაც საკონტინენტთაშორისო კულტურული კონტაქტების არარსებობით იყო განპირობებუ-

ლი. სამყაროს ეს ნაწილი არ იცნობდა შესაბმელ (გამწევ) ცხოველებს, გუთანს, ბორბალს, საზიდავს და ა. შ.

ანტიკურ ბერძნულ-რომაულ პერიოდში ხელოსნობის, რეწვის, სამთამადნო საქმის განვითარებას თან ახლდა მატერიალური კულტურის რამდენიმე სფეროში მეცნიერების შეღწევა. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული ცხოვრების საქალაქო წყობის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლების შემდგომი განვითარება. მატერიალური კულტურის რამდენიმე სფეროში თავი არაბებმა გამოიჩინეს, სხვაგან – რომის ევროპულ პროვინციებში მცხოვრებმა ხალხებმა, განსაკუთრებით კი – კელტურმა ეთნიკურმა არეალმა. ანტიკური პერიოდის ბოლოს განსაკუთრებით დიდ მიღწევებს ჰქონდა ადგილი ჩინეთში, რომელიც მატერიალური კულტურის შედარებით მაღალი დონით გამოირჩეოდა. საკმარისია თუჯის მიღების ტექნოლოგია, ფაიფურის, აბრეშუმის, ქაღალდის გამოგონება დავასახელოთ.

ევროპაში შუა საუკუნეების ეპოქაში (აგრარულ ურთიერთობათა პერიოდში) მიმდინარეობდა მატერიალური კულტურის მემკვიდრეობით მიღებულ სხვადახვაგვარ ტრადიციათა სინთეზი. მატერიალური კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპის განვითარება დაკავშირებულია ქალაქების შემდგომ აყვავებასთან, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთან. ამ დროს ევროპის კონტინენტზე წამყვანის როლი ერთი ხალხიდან მეორე ხალხზე გადადიოდა.

აგრარულ საზოგადოებაში გარემომცველ ბუნებრივ პირობებთან კულტურის ადაპტაციას მნიშვნელოვანი როლი ეკისრა. მაგალითად, შრომის იარაღების ტიპების გავრცელება ხშირად ნიადაგითა და მცენარეული საფარით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე ეთნიკური მომენტებით, ხალხთა განსახლების არეალებით. საცხოვრებელი სახლების ტიპებიც კლიმატურ პირობებსა და სამშენებლო მასალებზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსთა საცხოვრებლის ტიპი არაერთგვაროვანი ეთნიკური ტრადიციებითაც იყო განპირობებული. მაგალითად ასახელებენ უკრაინულ თიხატკეპნილ *ხატას* და რუსულ *ხის ქოხს* აღმოსავლეთ ევროპის სტეპების ზოლში. აგრეთვე აღსანიშნავია კვება, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე.

ევროპაში ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარების შედეგად მატერიალური კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელშიც წამყვანი როლი უფრო მეტად ევროპის სხვადასხვა ხალხებს ჰქონდათ, უფრო გვიან კი – ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს. ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივია ტრადიციული მატერიალური კულტურის ზოგიერთი სფეროს გაქრობის ტენდენცია. ინდუსტრიულმა ეპო-

ქამ მატერიალური კულტურის ბევრი ტრადიციული კომპონენტი ერთგვარად შეცვალა. ცვლილება განსაკუთრებით დაეტყო ტანსაცმელს, შედარებით ნაკლებად – საცხოვრებელს, სამზარეულო კი თითქმის ყველგან დღემდე ინარჩუნებს ეთნიკურ სპეციფიკას. ტანსაცმლის ცალკეულმა ელემენტმა და კერძის სახეებმა ეთნიკური მარკერის ფუნქციაც შეიძინა, განსაკუთრებით კი პოლიეთნიკურ გარემოში. მატერიალური კულტურის ლოკალურობა, საერთო ტიპოლოგია, საცხოვრებლის ევოლუციის ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, მატერიალური კულტურის შესწავლას არანაკლები პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს თანამედროვე არქიტექტურის, დიზაინის, მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის.

მიწათმოქმედება. სამეცნიერო ლიტერატურაში მიწათმოქმედებას განმარტავენ, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ერთობლიობას. ამ ღონისძიებებში ვიწრო მნიშვნელობით ნიადაგის დასამუშავებლად იარაღის გამოყენება, ფართო მნიშვნელობით კი კომპლექსური სამიწათმოქმედო სისტემები, გაპატივება-განოყიერება, მორწყვა და ამოშრობა იგულისხმება. მსოფლიო მასშტაბით მიწათმოქმედება მეურნეობისა და სამეურნეო საქმიანობის წამყვან ტიპს წარმოადგენს, რომელიც კულტურული მცენარეების მოყვანაზეა დაფუძნებული. მემცენარეობაში აკუმულირებულია ნიადაგის დამუშავების, მცენარეთა სელექციის, ნათესების მოვლის, მოსავლის აღებისა და სხვ. ისტორიული, ხალხური გამოცდილება. აღიარებულია, რომ მიწათმოქმედება წარმოიქმნა ცხოველთა მოშინაურებასთან ერთად მეზოლითსა და ნეოლითში 10-8 ათასი წლის წინ. მეცნიერები გამოყოფენ კულტურული მცენარეების წარმოქმნის შვიდ ძირითად გეოგრაფიულ გენოცენტრს. მიწათმოქმედება თავდაპირველად ურწყული იყო; სარწყავი მიწათმოქმედება შემდეგ განვითარდა.

თავდაპირველად მემცენარეობა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში განვითარდა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ახალი არეალების ათვისება ძირითადად გაკაფვითი მიწათმოქმედების გზით ხდებოდა, რაც საქართველოში *ახოს* აღების სახელით იყო ცნობილი.

ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გამოისობით პლანეტის სხვადასხვა რეგიონში მიწათმოქმედების სხვადასხვა ტიპი ჩამოყალიბდა: 1. მდგრადი და ზომიერი სარტყელი საკმარისი ნალექით; 2. გვალვიანი მხარეების სარწყავი (საირიგაციო) მიწათმოქმედება; 3. ნალექიანი სუბტროპიკებისა და ტროპიკების

საწელიწდო (მთელი წლის) მიწათმოქმედება წელიწადში ორი--სამი მოსავლის მოყვანით.

მიწათმოქმედების ფორმები შეიძლება იყოს პრიმიტიული (არ იცნობდნენ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელოვნურ საშუალებებს), ექსტენსიური (იცოდნენ მიწის ერთი-ორი წლით დასვენება და განაყოფიერება სასუქით), გარდამავალი და ინტენსიური. მიწათმოქმედების პროგრესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამიწათმოქმედო იარაღების განვითარებას, კულტურული მცენარეების ძველი ცენტრებიდან ინტროდუქციას. ძირითადი პურეული კულტურები – ხორბალი და ქერი – ძველი სამყაროს (წინა და შუა აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი) უძველესი სამიწათმოქმედო ცივილიზაციების ერთგვარ ბაზას წარმოადგენდა. მთავარი კულტურა აღმოსავლეთსა და სამხრეთში (სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი აზია) *ბრინჯი* იყო, ახალ სამყაროში (მეზოამერიკა და ანდის ქვეყნები) კი *მაისი* (*სიმინდი*) და *პარკოსნები*. გვალვიან მხარეებში ინტენსიური მიწათმოქმედების პროგრესი საირიგაციო ტექნიკის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. დაბლობ, ბარ ადგილებში სარწყავი (საირიგაციო) სისტემები არხების დიდ ქსელს ემყარებოდა, მთებსა და მთისწინა ადგილებში კი – მცირე სარწყავ სისტემებს. საერთოდ, ხელოვნური მორწყვა აგროკულტურის ყველაზე ადრინდელი შემადგენელი ელემენტია. ის საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ადრინდელი მონაპოვარია. ეს მოსაზრება იმ მხრივაც საყურადღებოა, რომ იგი მიწათმოქმედების ჩასახვა--განვითარებისათვის ხელსაყრელ და საჭირო ბუნებრივ გარემოდ წყაროებისა და ხევის წყლების, ნაკადულებისა და აგრეთვე მდინარეების მშრალი კალაპოტის გასწვრივ მდებარე ნაკვეთებს გულისხმობს.

მიწათმოქმედების ძირითად ტიპებს ეთნოლოგები, უმეტეს შემთხვევაში, შრომის იარაღების მიხედვით გამოყოფენ, სახელდობრ, სახვნელი იარაღების არსებობა-არარსებობით. მიწათმოქმედების ყველაზე ადრინდელი ფორმა ნიადაგის სახვნელი იარაღის გარეშე დამუშავებაა (უგუთნო მიწათმოქმედება). ეს ტიპი დღეს გავრცელებულია ამერიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ ზოლებში, საჰარის სამხრეთით და ოკეანეაში. აქ მას გაკაფვით-გადაწვითი მიწათმოქმედების სახე აქვს. ასეთივე ტიპის მიწათმოქმედება იყო განვითარებული რუსეთის ტყიან ზოლში. მიწათმოქმედების ამ სისტემაში ტყეს გაკაფავდნენ, აჩეხდნენ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ტყე გახმებოდა, მას წვავდნენ და მარცვალს პირდაპირ ნაცარში თესავდნენ მიწის დამუშავების გარეშე. პირველ წელს ის კარგ მოსავალს იძლეოდა, მეორე წელს საჭირო იყო ხელის იარაღით ნაკ-

ვეთის გაფხვიერება, ორი-სამი წლის შემდეგ კი მიწა იფიტებოდა.

თავდაპირველად მიწას ადამიანები ხელის იარაღებით ამუშავებდნენ. მიწათმოქმედების განვითარების მაღალ ფორმას კი სახვნელი მიწათმოქმედება წარმოადგენს. ის თავდაპირველად დიდი მდინარეების – ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, ინდის, გვიან – ამუდარიის, სირდარიის, იანცზის, ხუანხეს ხეობების მსუბუქ და ნაყოფიერ ნიადაგებზე წარმოიქმნა. სახვნელი იარაღის სრულყოფის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი უფრო მძიმე და ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგებზე გამოყენება. ხვნისას გამწევ ძალად შინაური ცხოველების გამოყენება ყველაზე ადრე (ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის ბოლო – III ათასწლეულის დასაწყისი) მესოპოტამიასა და ნილოსის დაბლობზე დაიწყეს. ჩინეთში, ხუანხეს აუზში გუთანი მხოლოდ ძვ. წ.-ის II ათასწლეულშია დაფიქსირებული. ევროპელთა კოლონიზაციამდე სახვნელი მიწათმოქმედება ამერიკის, ტროპიკული აფრიკისა და ავსტრალიისათვის უცნობი იყო.

ქართველთა განსახლების არეალი უძველესი სამიწათმოქმედო კერების სიახლოვეს იყო. საქართველო მიწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარების ერთ-ერთ კერად ითვლება. ქართველმა ხალხმა მაღალი სამიწათმოქმედო კულტურაც შექმნა. „მეურნეობის ამ დარგის ხანგრძლივმა მიყოლამ საქართველოში მიწათმოქმედების რამდენიმე ფორმას დაუდო საფუძველი. პირველყოვლისა აღსანიშნავია მისი ორი განსხვავებული სახე: სარწყავი მიწათმოქმედება და ურწყავი მიწათმოქმედება“ (*გ. ჩიტაია*). საქართველოს სარწყავ მიწათმოქმედებას დიდი მრავალფეროვნება ახასიათებდა. ხელოვნური მორწყვა თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და ის ძირითად თავისებურებებს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ავლენდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მორწყვა თუ მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო და მთისწინეთში ის ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველს წარმოადგენდა, მთაში იგი სათიბ მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. მრავალფეროვანი იყო ნიადაგის ხელით დამუშავებისათვის საჭირო სამუშაო იარაღები და სახვნელი საშუალებები. *ივანე ჯავახიშვილის* აღნიშვნით, საუკუნეთა განმავლობაში სახვნელი იარაღის თანდათან გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა მთლიანად ვერ მოსპო, რადგანაც თითოეული სახის სახვნელ იარაღს გამოყენების საკუთარი არე ჰქონდა. საქართველო სახვნელი იარაღების ერთგვარ მუზეუმს წარმოადგენდა.

მეცხოველეობა. მეურნეობის დარგს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ყოლასა და მოშენებასთან არის დაკავშირეული, მეცხოველეობას უწოდებენ. მეცხოველეობა მოიცავს

მესაქონლეობას, მეფრინველეობას, მეთევზეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, მებოცვრეობას, მეძაღლეობას, მეღორეობასა და ა. შ. მეცხოველეობის თითოეული დარგი დროის სხვადასხვა მონაკვეთში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმოიქმნა. პირველად ძაღლი მოაშენეს გვიანპალეოლითში, დაახლოებით 15-10 ათასი წლის წინ ევროპაში, წინა აზიაში, ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიაში. გარეული ღორის მოშინაურება ძველ სამყაროში (წინა აზია, ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) 8 ათასი წლის წინ მოხდა. ძვ. წ.-ის III ათასწლეულში წინა აზიის რიგ რაიონებსა და ეგვიპტეში ღორი ბინძურ ცხოველად მიიჩნიეს და მისი ხორცის საკვებად გამოყენება შეწყვიტეს. მკაცრად კრძალავდა ღორის ხორცს იუდაიზმი. ეს აკრძალვა მისგან ისლამმაც ისესხა. დღეს მას არ მიირთმევენ არა მხოლოდ იუდეველები და მაჰმადიანები, არამედ ლამაისტები, ეთიოპიელი ქრისტიანები (მონოფიზიტები) და სხვ. მეფრინველეობა შედარებით გვიან წარმოიქმნა. ქათამი 8-5 ათასი წლის წინ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოაშინაურეს. ახ. წ.-ის III ათასწლეულში მეფრინველეობა მესოპოტამიაში გავრცელდა, ძვ. წ.-ის XV-XIV საუკუნეებში – ეგვიპტეში, ხოლო II ათასწლეულის ბოლოს ფართოდ იყო ცნობილი ცენტრალურ ევროპაში. ბატი მოიშინაურეს ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ აზიაში 5-4 ათასი წლის წინ, იხვი – 4-3 ათასი წლის წინ ევროპასა და ჩინეთში, ინდაური – ჩრდილოეთ მექსიკის ტერიტორიაზე 2 ათასი წლის წინ.

მესაქონლეობის ზოგიერთი დარგის გამოკლებით, ტრადიციულ მეურნეობებში მეცხოველეობის ყველა სახეს დაქვემდებარებული ხასიათი ჰქონდა. ადამიანებს ცხოველები და ფრინველები ჰყავდათ ხორცის, ცხიმის, რძის, კვერცხის, ტყავის, ჯაგრისის, ბეწვის, ბუმბულის, ორგანული სასუქებისა და სხვ. მისაღებად, ზოგჯერ კი რიტუალური და გასართობი მიზნით. ზოგიერთ პროდუქტს წამლის დასამზადებლადაც იყენებდნენ.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ძაღლების გამოყენება გამოირჩეოდა. ძაღლებს ჩრდილოეთ ევრაზიის, ციმბირისა და ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთის რაიონების ხალხები ძველთაგანვე აბამდნენ ციგებში. მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც ცხოველური საკვების ნაკლებობა იგრძნობოდა (აღმოსავლეთი და სამხრეთაღმოსავლეთი აზია, აფრიკის, ოკეანიის და ამერიკის ზოგიერთი რაიონი), ძაღლის ხორცს ჭამდნენ, თანაც საამისოდ აქ სპეციალური ჯიშები ჰყავდათ გამოყვანილი. ოდითგანვე, ნადირობისას, ბევრი ხალხისათვის ძაღლი საიმედო პარტნიორიც იყო. ძაღლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია აგრეთვე შინაურ ცხოველთა ფარების დაცვაა, რისთვისაც, მესაქონლეობის

განვითარების პარალელურად, მეცხვარე ძაღლის განსაკუთრებული ჯიშები გამოიყვანეს.

ადამიანები შინაურ ცხოველებს სხვადასხვა პირობებში ინახავდნენ (თავისუფლად გაშვებული, სპეციალურ ბაკებში, სადგომებში, გალიებში). შინაურ ცხოველთა სპეციალურ სადგომებში მოთავსება განსაკუთრებით განვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოებებისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი პატივსა და სკორეს ორგანულ სასუქად გამოიყენებდნენ. თითქმის ყველგან შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს რიტუალებში, კერძოდ, საკულტო მსხვერპლშეწირვისას იყენებდნენ.

მესაქონლეობა. მესაქონლეობაში შინაური ცხოველების ყოლასა და მოშენებას გულისხმობენ. ზოგიერთი სპეციალისტი ტერმინს – „მესაქონლეობა“ ტრადიციული ყოფის მნიშვნელობით იყენებს, ხოლო მეცხოველეობას – თანამედროვე სამრეწველო მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მესაქონლეობა მეცხოველეობის ქვედანაყოფია და მას ცხოველთა ფარის, ჯოგის, მოვლა-შენახვას უკავშირებს. ზოგჯერ მესაქონლეობად მიაჩნიათ მეურნეობის ისეთი ფორმა, რომელიც ცხოველთა მოძრავი ხასიათით, ფარების საძოვრიდან საძოვარზე გადარეკვით არის განპირობებული.

მესაქონლეობის დაწყებას მეზოლით-ნეოლითში ცხოველების მოშინაურებითა და დომესტიკაციით იწყებენ. მისი გენეზისი და ადრეული ეტაპი მობინადრე-მიწათმოქმედი მეურნეობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპთანაა დაკავშირებული. ცხოველთა სხვადასხვა სახეები სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა დროს მოაშინაურეს.

მესაქონლეობა იყო როგორც წამყვანი, ისე დაქვემდებარებული ხასიათისა. შესაბამისად, ერთ ადგილზე თუ მომთაბარე მესაქონლეობა იყო განვითარებული, მეორეზე – ბინადარი მესაქონლეობა იყო გავრცელებული. ეს უკანასკნელი მცირე რაოდენობით ცხოველების შენახვასა და მოვლას ითვალისწინებს. მესაქონლეობის ძირითად ტიპებად მიჩნეულია სამწყემსო, გადარეკვით (გადაყვანით)-საძოვრული, ნახევრადმომთაბარული და მომთაბარული მესაქონლეობა. თავდაპირველად შინაურ ცხოველებს ძირითადად ხორცის გამო უვლიდნენ. გარდა ამისა, იყენებდნენ ტყავს, ძვალს, რქას, ბეწვს. გვიან დაიწყეს საქონლის წველა, რომელმაც სამეურნეო მნიშვნელობა ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში შეიძინა, როდესაც ძროხისაგან რძის მიღება და მისგან სხვადასხვა პროდუქტის დამზადება ისწავლეს. ამავე პერიოდში ისწავლა ადამიანმა შალის ქსოვილების და თხის ბეწვის ქსოვილის დამზადება. თავდაპირველად ცხოველის ძალას იყენებდნენ მიწაში თესლეულის ჩასატკეპნად, თავთავის გასალე-

წად, საპალნის გადასატანად, ოდნავ მოგვიანებით დაიწყეს მათი ციგა-სათრიელებში შებმა.

ძალიან ბევრ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში საძოვარი საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. საქონლის დიდი რაოდენობით ყოლა მატერიალური შეძლებისა და სოციალური პრესტიჟის მაჩვენებელიც იყო. შინაური ცხოველები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სოციალურ ურთიერთობებშიც, მათი საშუალებით ხდებოდა საქორწინო გამოსასყიდის, შრომის საფასურის, ჯარიმის გადახდა. შინაურ ცხოველთა ხორცი პრესტიჟული საჭმელიც იყო – მას ფართოდ იყენებდნენ ლხინის, ნადიმის დროს, აგრეთვე რიტუალებში, რომლებიც ღვთაებებსა და სულებს ეძღვნებოდა. ამიტომაც ბევრ ხალხში მესაქონლეობა უფრო პრესტიჟულ საქმიანობად მიიჩნეოდა, ვიდრე მიწათმოქმედება, იმ ხალხებშიც კი, რომელთათვისაც მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი იყო.

ბინადრობა. დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა ტიპის დასახლებაში ცხოვრებას ბინადარ ცხოვრებას (ბინადრობას) უწოდებენ. განასხვავებენ მიწათმოქმედი მოსახლეობის სასოფლო და საქალაქო დასახლებებს. ქალაქს, როგორც წესი, აქვს არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ საწარმოო, საორგანიზაციო-სამეურნეო, მმართველობითი, კულტურულ-სანახაობითი და სხვა ფუნქციები. ბინადრობისათვის დამახასიათებელია სამეურნეო საქმიანობის სრულიად განსხვავებული ფორმები (მიწათმოქმედება, ხელოსნობა და ა.შ.), რომლებიც არ მოითხოვს სეზონური ან მთელი წლის განმავლობაში საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად ადამიანთა მოძრაობას. ბინადრობა თავს იჩენს დასახლების ფორმასა და საცხოვრებელი სახლის ტიპში. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად უძველესი ადამიანები ერთ ადგილზე არ ბინადრობდნენ, არამედ ისინი ეწეოდნენ მოხეტიალე და ნახევრადმოხეტიალე ცხოვრებას. მათთვის დამახასიათებელი იყო მონადირეობა და შემგროვებლობა. კაცობრიობის განვითარების გენერალური ხაზი მეურნეობის წარმოქმნასა და განვითარებასთან არის დაკავშირებული. მეურნეობის „მიმთვისებლური“ ფორმებიდან „წარმოებით“ ფორმებზე, ე. ი. ბინადარ სამიწათმოქმედო ყოფაზე გადასვლა ძველი სამყაროს თბილ ზოლში არქეოლოგებს 12-10 ათასი წლის წინ აქვთ დაფიქსირებული. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა, ერთ ადგილზე ხანგრძლივი დროით ცხოვრების დაწყება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რასაც ძველი სამყაროს ცალკეულ სამიწათმოქმედო კერებში ხანგრძლივი პერიოდი – 2-3 ათასწლეული დასჭირდა. ყველაზე ძველი, სამხრეთ-დასავლეთაზიური ბინადარი მოსახლეობის სამიწათმოქმედო კერები ძვ. წ.-ის VII-VI ათასწლეულებით თარიღდება. მუდმივი დასახლებების წარმოქმნას თან

მოჰყვა მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება, ლითონისგან გაკეთებული შრომის იარაღების გაჩენა და მათი შემდგომი სრულყოფა, დასახლებულ ოაზისებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება, ქალაქების ჩასახვა და ზრდა, სოციალური დიფერენციაცია, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოქმნა. საქალაქო ცივილიზაციის არეალის გაფართოვება მჭიდროდ არის დაკავშირებული რკინის გავრცელებასთან.

მომთაბარეობა (ნომადიზმი). ექსტენსიური მეურნეობისა და ყოფის ფორმას, რომლის საფუძველსაც საქონლისა და ჯოგის სეზონური გადაადგილება წარმოადგენს, მომთაბარეობას, ანუ ნომადიზმს უწოდებენ. მომთაბარეობის პირობებში ნომადებს მესაქონლეობა უზრუნველყოფს როგორც საკვები პროდუქტებით (ხორცი, რძის ნაწარმი), ისე ტანსაცმლითა და საცხოვრებლის დასამზადებლად საჭირო ნედლეულით. ცნობილია, რომ ნომადები, რომელთა ძირითად საქმიანობას მომთაბარე მესაქონლეობა შეადგენდა, დამატებით მონადირეობასაც, არამობინადრე პრიმიტიულ მიწათმოქმედებას, ხელოსნობასა და რეწვის სხვა სახეებს მისდევდნენ. „წმინდა“ მომთაბარეობა, რომლისთვისაც მესაქონლეობა სამეურნეო საქმიანობის ერთადერთ სფეროს წარმოადგენდა, არასდროს არსებობდა.

მომთაბარეობა ძვ. წ.-ის II-I ათასწლეულებში წარმოიქმნა ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის არიდულ ზონებში და ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არა მხოლოდ შემორჩა, არამედ სხვაგანაც გავრცელდა (ევრაზიის ჩრდილოეთი. აქ იგი მეირმეობის სახით ცნობილია ტაიგისა და ტუნდრის ბევრი ხალხისათვის). დღემდე მომთაბარეობას მისდევენ აზიისა და აფრიკის 30-ზე მეტ ქვეყანაში (სუდანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, იემენი, ირანი, ერაყი, სირია, იორდანია, ავღანეთი, პაკისტანი და სხვ.). მომთაბარეობას დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი მისდევს.

მომთაბარეობა მოიცავს როგორც საკუთრივ მომთაბარე, ასევე ნახევრადმომთაბარე და ნახევრადმობინადრე (ბინადრობაზე გარდამავალ) ფორმებს. მომთაბარეებს ჰქონდათ გარკვეული მარშრუტები. მუდმივი საცხოვრებელი მათ არასდროს გააჩნდათ; საქონლის გადარეკვის მანძილი ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე კილომეტრიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით განისაზღვრებოდა. ნახევრადმომთაბარეებად ითვლებიან ისინი, რომლებიც ჩაკეტილი მარშრუტით მოძრაობენ და რომელთაც გამოსაზამთრებლად მუდმივი საცხოვრებელი აქვთ. ნახევრადმომთაბარეთა მესაქონლე მეურნეობას მხოლოდ ორი გადასაბარგებელი ადგილი აქვს, საზამთრო და საზაფხულო დასახლებებითა და მუდმივი საცხოვრებელი სახლებით.

მომთაბარეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მსოფლიო-ისტორიული პროცესების განვითარებაში. აღსანიშნავია მათი ზემოქმედება ევრაზიის ბინადარ მიწათმოქმედ ხალხებზე. ეს ურთიერთობა არა მხოლოდ კულტურულ-სამეურნეო სფეროებს მოიცავდა, არამედ ეთნიკური ურთიერთობის სფეროებსაც. ძირითადად ნომადების მოძრაობით იყო გამოწვეული ხალხთა დიდი გადასახლებები და სხვა ეთნიკური მიგრაციები, რასაც შედეგად ათეულობით ახალი ეთნიკური ერთობის წარმოქმნა მოჰყვა, როგორც ევრაზიის სივრცეში, ისე ჩრდილოეთ აფრიკაში.

ეთნოლოგები იკვლევენ მომთაბარეთა ტრადიციული კულტურის საერთო და განსაკუთრებულ ნიშნებს, მათ გენეზისს, მომთაბარეთა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ცალკეული კულტურული კომპონენტების წარმოშობისა და ფორმირების საკითხებს, ნომადების სამეურნეო და ყოფით წყობას, მათ სოციალურ ორგანიზაციას, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების თავისებურებებს, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებს, ბინადრობაზე გადასვლის გზებს, მომთაბარეთა ადგილსა და ბედს თანამედროვე მსოფლიოში, ეთნიკურ შემადგენლობასა და მათში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს.

საცხოვრებელი. უამინდობისაგან თავდასაცავ ბუნებრივ და ხელოვნურ თავშესაფარს, რომელიც კლიმატური პირობების გამო სხვადასხგვარადაა მოწყობილი, ადამიანის საცხოვრებელი ეწოდება. საცხოვრებელს გააჩნია აგრეთვე ადამიანთა საერთო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქცია (ძირითადად საჭმლის დასამზადებელი, მისაღები, დასაძინებელი, დასასვენებელი). სოციალური დიფერენციაციის შემდგომ კი საცხოვრებელმა პრესტიჟული ფუნქციაც შეიძინა.

თავდაპირველად ადამიანებმა მარტივი ტიპის საცხოვრებელი აიშენეს, შემდეგ კი მოხდა უფრო რთული ნაგებობების აშენება – ერთოთახიანი საცხოვრებლების ნაცვლად დაიწყეს ორი და მეტოთახიანი სახლების მშენებლობა. მრავალოთახიან საცხოვრებლებს ძირითადად ჰორიზონტალური სტრუქტურა ჰქონდათ, იშვიათად კი – ვერტიკალური (კოშკური ნაგებობა). ტრადიციული საცხოვრებლის ცენტრი იყო კერა, რომელმაც ღია კერიდან თანდათან მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და ბოლოს საჭმლის დამამზადებელი ქურის ან ღუმელის სახე მიიღო. საცხოვრებლები არსებობდა მიწისქვეშა (მიწური), მიწის ზედაპირზე აშენებული (მიწისზედა ნაგებობა), მიწიდან ზემოთ ამართული (ხიმინჯებიანი ნაგებობა). გარდამავალ ფორმებად ითვლება ნახევრად მიწური.

ადამიანთა საცხოვრებლის არქაულ ფორმებად მიიჩნევენ მღვიმეებსა და გამოქვაბულებს, ფარდულებს, ქოხებს. როგორ წესი, ქოხებს უკედლებოდ აგებდნენ სვეტებისა და ტოტებისა-

გან. ქოხების განვითარების შედეგად მიაჩნიათ მომთაბარე მესაქონლეების ფარდულები, კარვები და გადასატანი საცხოვრებლების სხვა მსგავსი ფორმები. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ქოხისმაგვარი ნაგებობები ხშირად დროებითი, სეზონური საჭიროებებისათვის გამოიყენება მონადირეთა და ტურისტთა მიერ. ასეთ ქოხებს აქვთ მრგვალი, ოვალური და სწორკუთხოვანი ფორმები. ქოხები სახლებმა შეცვალა, რაც კაცობრიობის საცხოვრებლების ისტორიაში გარდამტეხი ეტაპი იყო. სახლებს უკვე კედლები ჰქონდა. ეს გარდატეხა ნეოლითის ეპოქაში საწარმოო ძალების განვითარებით იყო განპირობებული; ბევრად განაპირობა იგი ახალი ინსტრუმენტის – ცულის გამოგონებამ, რის შემდეგაც დაიწყეს ხის სახლების აშენება.

ადამინის საცხოვრებელს ისტორიული განვითარების თვალსაზრისით 5 ეტაპად ჰყოფენ: 1. ბუნების მიერ ბოძებული ხელოვნური გამოქვაბულები და ხეების ქვეშ არსებული თავშესაფრები, რომლებსაც ხშირად ქვის პერანგის შემონაწყობს უკეთებდნენ; 2. პირველი პრიმიტიული საცხოვრებლის გაჩენა ქვემო პალეოლითში – ხელოვნური გამოქვაბულები, ქოხები; 3. პირველი სახლები ნეოლითის ეპოქაში; 4. გლეხური და ქალაქური სახლების ტრადიციული ფორმების განვითარება ანტიკურ პერიოდსა და ფეოდალიზმის ხანაში; 5. ტრადიციული ფორმების ცვლა თანამედროვე ნაგებობებით სამრეწველო გადატრიალების შემდეგ.

უმეტეს შემთხვევაში გლეხურ საცხოვრებელში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ იყო მოქცეული. XX საუკუნემდე ასეთი საცხოვრებლები ბუნებრივი სამშენებლო მასალებით (ხე, ქვა, თიხა, ჩალა, ნამჯა, ლერწამი) აიგებოდა. ყველა კონტინენტისა და რეგიონის გლეხური სახლები მატერიალური კულტურის სფეროში ხალხური კულტურის მიღწევად მიიჩნევა ნაგებობათა ხარისხის, ესთეტიკური პარამეტრების, ლანდშაფტთან მიმართების თვალსაზრისით.

საცხოვრებელი სახლები სოციალური დიფერენციაციის გამომხატველიც იყო. შუა საუკუნეების ევროპაში გლეხის ტრადიციული სახლი ბზენარევი ალიზისაგან ან ხისაგან შენდებოდა; ქვას მხოლოდ სახლის ფუნდამენტად იყენებდნენ. ჩვეულებრივ, ევროპელი გლეხის საცხოვრებელი ერთოთახიანი იყო. მას მხოლოდ კვამლის ერთი გასასვლელი ჰქონდა. კვამლი ჭერში არსებული ნახვრეტის საშუალებით გადიოდა. ევროპაში ქალაქებიც უპირატესად ხის სახლების ერთობლიობას წარმოადგენდა. სოციალურად დაწინაურებული ფენა გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდა. ისინი არა მხოლოდ თავდაცვისა და სიძლიერის, არამედ პრესტიჟის გამომხატველიც იყო. ევროპაში მინის გამოყენება საცხოვრებელ სახლებში მხოლოდ XIII საუკუნიდან დაიწყეს. სახლის გასანათებლად ხშირად კარებს ტოვებდნენ

ღიას. შუა საუკუნეების ევროპული სახლების ინტერიერი ავეჯით ძალიან ღარიბი იყო. მაგიდა, ჩვეულებრივ, ასაწყობი ჰქონდათ, ტრაპეზის შემდეგ მას შლიდნენ. მუდმივ ავეჯს წარმოადგენდა სკივრი და კიდობანი, სადაც ტანსაცმელსა და ჭურჭელს ინახავდნენ. ფუფუნების საგანს წარმოადგენდა ხალიჩა. ხალიჩებს ხშირად შირმებად იყენებდნენ.

ტანსაცმელი. ტანსაცმელი ადამიანთა სხეულის ხელოვნური საბურავია. უტილიტარული დანიშნულების (სხეულის გარეგანი მოქმედებისაგან დაცვა) გარდა, ტანსაცმელს რიტუალური ფუნქციაც აქვს. ტანსაცმლის ცნება მოიცავს *თავსაბურავსაც* და *ფეხსაცმელსაც.* ტანსაცმლის მასალა შეიძლება იყოს ქსოვილი, ქეჩა, ცხოველის ტყავი, ქერქი, ბალახი, ფოთლები, თევზის ქერქი, ფრინველის ტყავი, აგრეთვე თანამედროვე ხელოვნური ქსოვილები. ფეხსაცმლისათვის იყენებდნენ ხესაც, კამუსსაც (ირმის, კურდღლის და სხვა ცხოველების ფეხის ტყავი).

ასხვავებენ შეკერილ და შეუკერავ ტანსაცმელს. შეუკერავი ტანსაცმელი მასალის ერთი ნაჭრისაგან მზადდება, რომელსაც სხეულის გარშემო შემოიხვევენ ან ჩამოიფარებენ; მას შესაკრავით ან ქამრით იმაგრებენ (ძველი ბერძნების *გიმატა*, რომაელების *ტოგა,* კავკასიელი და ბალკანელი ხალხების *ნაბადი*, მალაელების *სარონგი*, ინდოელების *სარი, მოსახვევი, ჩალმა* და სხვ.). შეკერილ ტანსაცმელში სხვადასხვა ტიპის ნაკერები ერთმანეთზე არის მიმაგრებული – შეკერილი ტანსაცმელი შეუკერავი ტანსაცმლის განვითარების შედეგს წარმოადგენს. შეუკერავი ფეხსაცმლის ტიპს ეკუთვნის *სანდალი*, რომლის ხის ან ტყავის ლანჩა ზონრის საშუალებით არის დამაგრებული, აგრეთვე საბო, მოწნული ქალამანი.

განასხვავებენ ე. წ. მხარის სამოსსა და სარტყლის სამოსს. პირველი მათგანით შეიძლება როგორც კორპუსის ზედა ნაწილის (პიჯაკი, ჟილეტი, ზედატანი), ისე მთლიანად სხეულის დაფარვა (აღორძინების ეპოქის *უპლენდი* და *რობი*). „სარტყლის“ ტიპის სამოსით იფარავენ სხეულის ქვედა ნაწილს (*ქვედატანი, შარვალი, წინსაფარი*). „მხარის“ ტანსაცმელი, თავის მხრივ, კიდევ ორ ტიპად იყოფა. ესენია ე. წ. „ყრუ“, რომელიც თავის ჩაყოფის გზით იცმევა და „ჩახსნილი“, რომელსაც ჩაქი (ჩანაჭერი) წინიდან აქვს (*ლაბადა, მოსასხამი, ტყაპუჭი, კამზოილი*).

სამოსი სახეს იცვლიდა სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. ეს ფაქტორებია: კლიმატი, გეოგრაფიული გარემო, ტრადიციული დასაქმების სფერო. მაგალითად, ტროპიკულ ზონაში ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო თეძოზე მოსაკრავი წინსაფარი, მხრების საბურველი (აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ოკეანეა). სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების ყოფაში იყო შეუკერავი ტანსაცმელი (სამოსი). ეს იყო სხეულის ქვედა ნა-

წილზე შემოხვეული მამაკაცების დხოტი, მამაკაცებისა და ქალების – სარონგი. ინდოელი ქალები ტანის მთელ კორპუსს ქსოვილის გრძელი ნაჭერით იფარავდნენ. მომთაბარე ხალხებში ტანსაცმლის განსაკუთრებული ტიპი იყო ჩამოყალიბებული, რომელიც ცხენით სვლის დროს იყო მოსახერხებელი (ქალებისა და კაცების ფართო შარვალი და ხალათი. მას დღესაც ატარებენ მონღოლები და ტუველები). აღმოსავლეთ აზიის ყველა ხალხში ე. წ. „მხარის“ ყველანაირი ტანსაცმელი ჩახსნილია (მაგალითად, იაპონური კიმონო).

საკმაოდ მრავალფეროვანი იყო ევროპის ხალხთა ტანსაცმელიც. ის ყოფაში XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა. ქალის კოსტიუმის ძირითად ნაწილს შეადგენდა თეთრი პერანგი, ფართო ქვედატანი, რომელსაც ხშირად რამდენიმე ცალს იცვამდნენ და წინსაფარი. დასავლეთ ევროპაში იცვამდნენ მოკლე შარვალს, აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში – გრძელს. შოტლანდიასა და უელსში შარვალს ქვედატანი ცვლიდა. ევროპელები ტყავის ფეხსაცმელს ატარებდნენ. მას ისინი წინდებსა და სახვევებთან (*ტოლაღებთან*) ერთად იცვამდნენ. ჰოლანდიასა და საფრანგეთში ფართოდ იყო გავრცელებული ხის ფეხსაცმელი (*საბო*).

ტანსაცმელი ადამიანთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის მიმანიშნებელიც იყო. შუა საუკუნეებში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა ტანსაცმელი. ტანსაცმელს ეთნიკური განმასხვავებლის, მარკერის ფუნქციაც ჰქონდა. განსხვავდებოდა გოგონების, პატარძლებისა და ქვრივი ქალების ტანსაცმელი. ასევე სხადასხვა კონფესიური ჯგუფების წარმომადგენლები ხშირად განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდნენ. რაც შეეხება რიტუალურ ტანსაცმელს, ის ადამიანთა ისტორიის ყველაზე ადრეულ ეტაპზე გაჩნდა. რიტუალური ტანსაცმლის ერთ-ერთი სახეა მღვდლის შესამოსელი. რიტუალური ტანსაცმლის ნაირსახეობაა საქორწილო და სამგლოვიარო სამოსი. XX საუკუნეში მსოფლიოს ხალხთა მრავალფეროვანი ტრადიციული ტანსაცმელი თანდათან გამოიდევნა კოსტიუმის საერთო მსოფლიო თანამედროვე ტიპით.

შუა საუკუნეების ევროპელი ქალების ტანსაცმლის სიგრძე ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. XIV საუკუნის ევროპაში ქალის კაბის დამოკლება ეკონომიკური სიდუხჭირით იყო განპირობებული. XIII და XIV საუკუნეებში ჰიგიენის გამო ევროპაში თეთრეულის ხმარება შემოიღეს. თავისთავად ეს სელის კულტურის ფართოდ გავრცელებამაც განაპირობა. ამ დროიდან მოყოლებული საყოველთაო მოსახმარებელი გახდა პერანგი; თანდათანობით გაჩნდა ქვედა საცვლებიც. თანამედ-

როვე ყოფისაგან განსხვავებით, ყველას შიშველს ეძინა, რადგან XVI საუკუნემდე ევროპაში ღამის პერანგი და პერანგის ამხააგი პრაქტიკულად უცნობი იყო.

საკვები და სასმელები. საკვები ადამიანთა უპირველესი და ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. პირველყოფილი მონადირეობისა და შემგროვლობის დროს ადამიანის საკვებ რაციონში შედიოდა ყოველგვარი მცენარეული პროდუქტი – საჭმელად ვარგისი ფოთლები, ღეროები, ნაყოფები, ძირ-ძურები, სხვადასხვაგვარი უხერხემლო და წვრილხერხემლიანი ცხოველები, კვერცხი და ა. შ. სანადირო იარაღების გამოგონებისა და დახვეწის შემდეგ, გარეულ მხეცებზე ნადირობამ საკვებ ბალანსში მსხვილხერხემლიანთა ხორცის ხვედრითი წილის ზრდა გამოიწვია. წარმოებითი მეურნეობის – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოქმნის შემდეგ ადამიანთა კვებით სისტემაში გადატრიალება მოხდა. ამიერიდან კალორიის ძირითად წყაროდ მცენარეული სახამებელი იქცა, რა თქმა უნდა, მომთაბარე მესაქონლეთა გამოკლებით. ამავე დროს ევრაზიისა და აფრიკის დიდ სივრცეში რძისა და ფერმენტული რძის პროდუქტების გამოყენება ტრადიციად იქცა. სარძევე მეურნეობა მხოლოდ აფრიკის ტროპიკული ტყეების ზოლში არ გავრცელდა – აქ საქონელი ავადდებოდა და ამის გამო ვერ ცოცხლობდა. უცნობი იყო საქონელი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკული და ტროპიკული რაიონებისთვისაც. **სახამებლის შემცველ ძირითად კულტურად ევროპასა და დასავლეთ აზიაში *ხორბალი* და *ქერი* იქცა, აფრიკაში – *ფეტვი*, ამერიკაში – *სიმინდი*, აღმოსავლეთ აზიაში – *ბრინჯი*, ოკეანეაში – *ძირხვენა* (*ძირნაყოფა*).**

ანტიკურობისა და შუა საუკუნეების დროს ცივილიზაციის განვითარებამ ბოსტნეული კულტურების ნაკრების გაფართოვება გამოიწვია. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ევროპელებს აღმოსავლეთის ბევრი საკვები პროდუქტი – ლიმონი, შაქარი, ბრინჯი, სანელებლები გააცნო. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში შორეული ზღვაოსნობის დაწყების ერთ-ერთი სტიმული სანელებლებზე მოთხოვნილება იყო, რასაც შედეგად დიდი გეოგრაფიული აღმოჩენა მოჰყვა. **ამერიკაში, სადაც შინაური ცხოველებიდან იცნობდნენ მხოლოდ ძაღლს, ლამას, ზღვის ღორსა და ინდაურს, შინაური ცხოველების, ევროპული პურეული კულტურებისა და ბოსტნეულის გამოჩენამ, ხოლო ამერიკიდან ძველ სამყაროში *სიმინდის, ბატატის, კარტოფილის, პომიდვრის, წითელი წიწაკის, მზესუმზირის, თამბაქოსა* და ბევრი სხვა მცენარეული კულტურის გავრცელებამ მსოფლიოს დიდი ნაწილის მოსახლეობის კვებითი რაციონი არსებითად შეცვალა.**

თანამედროვე დიდი ეთნოსების ყოფაში ტრადიციული ეთნიკური კულტურებიდან კვების სპეციფიკა უფრო მტკიცედაა შემონახული, ვიდრე მატერიალური კულტურის სხვა ფორმებისა (ტანსაცმელი, საცხოვრებელი, დგამ-ჭურჭელი). თანამედროვე პირობებში, მეურნეობის ფორმების მიუხედავად, ტრადიციული საკვები პროდუქტების ადგილს უფრო მეტად ინდუსტრიული საკვები პროდუქტები იკავებს, რომლებიც მსოფლიოს ურბანისტულ კულტურაშია შესული (ყავა, ჩაი, ლუდი, უალკოჰოლო გაზირებული სასმელები, ბუტერბროდები, ყველი, ძეხვეული, ხორცის, თევზის, ბოსტნეულის, ხილის კონსერვები, მაკარონი და საკონდიტრო ნაწარმი).

სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ზოგიერთი კერძი ხშირად რეგიონული ხასიათის უფრო არის. მაგალითად, წინა აზიაში ბევრი ეთნოსი ამა თუ იმ „ნაციონალურ“ კერძს მხოლოდ მისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ისინი საერთო რეგიონული კერძებია. თავის მხრივ, ეთნოსთა სამზარეულოები შიდა რეგიონულადაც იყოფა. ეს დაყოფა ხშირად თვალში საცემია.

საკვების თერმული დამუშავებიდან გამოყოფენ წყალში და ორთქლზე ხარშვას, აგრეთვე შეწვას, მოშუშვას, ნახშირზე შეწვას და ა. შ. ყველა სახის პროდუქტის კონსერვაციის უბრალო და გავრცელებული ხერხია გაშრობა (გახმობა) და მზეზე გამოყვანა, უფრო რთული კი – კვამლში შებოლვა (დაშაშხვა), დამარილება (დამწნილება), მარინადში ჩადება. კონსერვაციის შედარებით უფრო სპეციფიკურ ხერხად ითვლება ცხიმით მოფენა, დაშაქრება და სხვ.

კვების ძირითადი ფუნქცია ადამიანის ორგანიზმის ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, მაგრამ ნებისმიერ კულტურაში მას განუსაზღვრელი როლიც აქვს. გამოყოფენ **რიტუალური, სადღესასწაულო, სამსხვერპლო, სამგლოვიარო (სულის მოსახსენიებელი), პრესტიჟული, არაპრესტიჟული კვების სახეებს. არც ერთი რელიგიური სისტემა საკვების, გარკვეული წესებისა და აკრძალვების გარეშე არ არსებობს.** კვების შესახებ არსებობს მრავალგვარი სიმბოლური წარმოდგენებიც. ამავე დროს შეიცვალა წარმოდგენები კვების შესახებაც.

ეთნოლოგები კვების სისტემების დიდ რაოდენობას გამოყოფენ. ისინი, ფაქტობრივად, ეთნოსების რაოდენობას უთანაბრდება, ე. ი. რამდენი ეთნოსიცაა, იმდენივე კვების სისტემაა.

სასმელებით ადამიანები წყურვილს იკლავენ. ყველა ხალხს, ყველაზე პრიმიტიულებსაც კი (მაგალითად, მონადირე-შემგროვებლები) საკვების განსაკუთრებული ნაკრები ჰქონდათ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ **იყვნენ ეთნოსები, რომელთათვისაც სასმელებიდან, წყლის გარდა არაფერი იყო ცნობილი.** ბევრი შემ-

გროვებელი და მონადირე ხალხი იყენებდა განსაკუთრებულ სასმელებს, როგორებიცაა ნაყოფებისა და კენკრების წვენები, ხეების დასერვის შედეგად მიღებულ წვენები, აგრეთვე ისეთი სასმელები, რომელთაც ნარკოტიკული და ჰალუცინაციური თვისებები ჰქონდა. ამ უკანასკნელთა მოხმარება ყოველთვის რიტუალიზირებული იყო და საკულტო-მაგიურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული.

ევროპისა და კავკასიის მიწათმოქმედი ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი მომჟავო ბურახის ტიპის სასმელი. მომთაბარეთა კულტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მჟავე რძის სასმელებს – ცხენის რძისაგან დამზადებულ **კუმისს** და აქლემის რძისაგან მიღებულ **შუბათს.**

მიწათმოქმედსა და მესაქონლე ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული ალკოჰოლის შემცველი სხვადასხვა სასმელი. **ყურძნისაგან ღვინის მიღება წინა აზიაში ჯერ კიდევ ნეოლოთის ეპოქაში იყო ცნობილი.** თავდაპირველად ღვინოს ძირითადად გარეული ყურძნისაგან აყენებდნენ. ღვინის ერთ-ერთი სამშობლო საქართველოცაა. წინა აზიიდან ღვინო ყურძენთან ერთად გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მიწათმოქმედი ხალხები ლუდს სახამებლის შემცველი მცენარეებისაგან ამზადებდნენ (ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სიმინდი...). **ალკოჰოლის მომატების მოთხოვნილებამ ადამიანები გამოხდის მეთოდით არყის მიღებამდე მიიყვანა. გამოხდის ტექნიკის საწყისი ეტაპი გაურკვეველია. არყის სამშობლოდაც წინა აზიას მიიჩნევენ. ხალხთა უმეტესობაში ის არაბული სიტყვით – „არაყით“ აღინიშნება, რაც ოფლს აღნიშნავს. როგორც ვარაუდობენ, არყის გამოხდის შესაბამისი ცოდნა არაბი ექიმებისაგან XII საუკუნეში გავრცელდა სამხრეთ იტალიაში, აქედან კი სამხრეთ-დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. თავდაპირველად არყის მისაღები ძირითადი ნედლეული იყო ღვინო. შემდგომში გამოხდის მეთოდით ალკოჰოლის მიღება მთელ კონტინენტზე გავრცელდა.**

ალკოჰოლური სამელების დამზადება ხშირ შემთხვევაში რიტუალებთან იყო დაკავშირებული და მას კოლექტიური ხასიათი ჰქონდა. რიტუალის შესრულების დროს ბევრი ტომობრივი რელიგიისა თუ წმენა-წარმოდგენისათვის ალკოჰოლის მიღება აუცილებელი ელემენტი იყო. დღეს კი სამი მსოფლიო რელიგიიდან ორი – ისლამი და ბუდიზმი – ალკოჰოლს კრძალავს.

სატრანსპორტო საშუალებები. საზოგადოების ისტორიაში გადასაზიდ-გადასაყვან, ანუ სატრანსპორტო საშუალებებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სატრანსპორტო საშუალებანი ადამიანის სამეურნეო საქმიანობისა და ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პირობათაგანი იყო. ამიტომ ტრა-

ნსპორტის განვითარებაზე დიდად იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარება, ამა თუ იმ ხალხისა და ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა.

უძველესი დროიდან მოყოლებული მრეწველობისა და ინდუსტრიის განვითარებამდე ტრანსპორტის ორი ძირითადი სახე არსებობდა – სახმელეთო და საწყლოსნო. სახმელეთო ტრანსპორტში შედიოდა: ადამიანის სხეულით (თავით, ზურგით) ტვირთზიდვა, თრევა-სრიალით (მარხილი და მისდაგვარი მოწყობილობანი), გორვითი მოძრაობით ტვირთზიდვა (ბორბლიანი ტრანსპორტი) და სასაპალნე ტრანსპორტი. წყლის ტრანსპორტში შედიოდა: *ტივები, ნავები, ნავტიკები, ხომალდები.*

სახმელეთო საზიდი საშუალებების განვითარებასთან არის დაკავშირებული ბორბლის წარმოშობაც. კულტურის ამ ელემენტის წარმოშობა-განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ტექნიკური პროგრესისათვის. სატრანსპორტო საშუალებათა და მათ შორის ბორბლიანი საზიდის ყველაზე ადრინდელი სახეობის არსებობა დამოწმებულია შუმერებში IV ათასწლეულის დასაწყისში. ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელება და ათვისება მკვეთრად დაჩქარდა ძვ. წ.-ის II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მასში ცხენის შებმა დაიწყეს. ცხენის წევამ ბორბლიანი ეკიპაჟების კონსტრუქციაზე რევოლუციური მნიშვნელობისა იყო – ამან გადასატანი საშუალებების შემსუბუქება გამოიწვია. თუმცა ამას ხარის გამწევი ძალის გამოყენება უკანა პლანზე არ გადაუწევია. მძიმე გადასატანი საშუალებანი, რომლებშიც *ხარებს* (*კამეჩებს*) აბამდნენ, უცვლელი ფორმით სოფელ ადგილებში დღემდეა შემონახული.

ბორბლიანი ტრანსპორტის და სრიალის პრინციპზე აგებული საზიდავების გამოყენებამდე, ადამიანები იყენებდნენ ცხოველებს, მხედველობაში გვაქვს ცხოველების ზურგით ტვირთის გადატანა, ანუ ტრანსპორტის გარკვეული სახე – სასაპალნე ტრანსპორტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადასატანი სატრანსპორტო საშუალებანი მხოლოდ ძველ სამყაროში იყო განვითარებული. **ამერიკის კონტინენტი არც ბორბლიან და არც სრიალის პრინციპზე აგებულ სამარხილე საშუალებებს არ იცნობდა** – ცნობილია, რომ, ლამას გარდა, აქ მოშინაურებული სხვა ცხოველი არც ჰყოლიათ.

ყველაზე ადრინდელი ბორბლიანი საზიდის გვერდით მარხილიც არის წარმოდგენილი, რომელიც უმთავრესად მძიმე საგნების სატარებლად გამოიყენებოდა. იმ დროისათვის მიღებული წესი დიდი სიმძიმეების გადადგილებისა დამყარებული იყო, ერთი მხრივ, მარხილის (ან მსგავსი საყრდენი მოწყობილობის) და, მეორე მხრივ, საგორავისა და ბერკეტის შეერთებულ ხმარებაზე.

მეცნიერები ციგების (მარხილების) წარმოშობას მეზოლითის ეპოქას უკავშირებენ. მიჩნეულია, რომ მარხილების ძირითადი ტიპები უპირატესად იმ ზონებში განვითარდა, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თოვლი იდო.

წყლის ტრანსპორტის გამოყენებას მეცნიერები უკვე მეზოლითში (დაახლოებით ძვ. წ.-ის VIII ათასწლეულში) ადასტურებენ. ყველა კლიმატური ზონის წყალსატევებში (ტბებში, მდინარეებში, ზღვის სანაპიროებზე) ადამიანთა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის სრულიად სხვადასხვა საშუალებები იყო გამოყენებული. მოგვიანებით წყალში გადასაადგილებელ საშუალებებს დროებით ან მუდმივ საცხოვრებლადაც იყენებდნენ. მოცურავე სოფლები ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთში გვხვდებოდა.

ლითონის იარაღმა მნიშვნელოვნად გაადვილა წყლის სატრანსპორტო საშუალებების დამზადება. შესაძლებელი გახდა შესაფერისი დიდი ღეროების მოჭრა და გულის ამოღარვა, ანუ შიგნით გათლა. ტყიან ადგილებში გაჩნდა მთლიანი ხის, ე. ი. ერთ ხეში გამოთლილი ნავები. უფრო გვიან, ხის დამუშავების ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფიცრებისაგან შეკრულ ნავებზე გადასვლა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტყავისაგან გაკეთებული ნავები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში ორიგინალური საწყლოსნო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები შექმნა, რომლებიც შეხამებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მთისწინეთის რეგიონის გარდამავალი ტიპის საზიდ საშუალებებზე, რომლებსაც დამრეცი ადგილების გათვალისწინებით ერთგვარი სამუხრუჭე სისტემა ჰქონდა გაკეთებული. წყალში გადასაადგილებელი ორიგინალური საშუალება ჰქონდათ ძველ საქართველოში. მართალია, ჯავახეთში „დოლაბი“ მთლიანი ხისაგან გამოჭრილ თვალს ერქვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, აქ „დოლაბი“ ტბებზე ცურვისას ერთგვარი დამხმარე საშუალებაც იყო. კერძოდ, თავფარავნელი ჭაბუკის ბალადაში მოხსენიებული დოლაბი (*„ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, // ცალ ხელით ნიავქარობდა“*) სხვა არაფერია, თუ არა გოგორა-დოლაბის მსგავსი, მრგვალი ხისაგან გამოჭრილი და შუაში გახვრეტილი ფიცარი. ტბაში ცურვისას მოცურავეს დოლაბის ნახვრეტში მკლავი ნიდაყვამდე ჰქონდა ჩაყრილი, ზედ მთელი ტანით მასზე იყო გადაწოლილი და მეორე ხელს წყალს უსვამდა, ანუ „ნიავქარობდა“. რადგან „დოლაბი“ წყალში გადასაადგილებელი საშუალება იყო. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აქვე იმის აღნიშვნაც, რომ დოლაბი უბრალო გახვრეტილი ფიცარი არ იყო. მას ფისიანი (მკვრივიანი) ხისაგან აკეთებდნენ,

რომელსაც ორ წელიწადს ახმობდნენ, შემდეგ უსვამდნენ თხის ცხელ ქონს და თაფლის სანთელს. ტბებში გადასაადგილებელი ამგვარად გაკეთებული საშუალება – დოლაბი არც წყალით იჟღინთებოდა და არც მზეზე ხმებოდა.

წისქვილები და ხელსაფქვავები. წისქვილები და ხელსაფქვავები მარცვლეულის, მინერალებისა და სხვა მასალების საფქვავი (დასაფშვნელი, დასაქუცმაცებელი) მოწყობილობებია. ხელსაფქვავების გაკეთება მარცვლეული კულტურების დამუშავებაზე გადასვლამ განაპირობა. ისტორიულად ხელსაფქვავის ორი ძირითად ტიპია ცნობილი: 1. მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობის ხელსაფქვავი და 2. მრგვალი და მაღალი კონუსისებური მოყვანილობის მძიმე ხელსაფქვავი. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული პირველი ტიპის ხელსაფქვავი. ის ერთმანეთზე შედგმული თანაბარი დიამეტრისა და თითქმის ტოლი სიმაღლის ორი მრგვალი ბრტყელი ქვისაგან შედგება. ქვედა ქვის ცენტრში ჩამაგრებულ რკინის მოკლე უძრავ ღერძზე ბრუნავს ზედა ქვა, რომელსაც საბრუნებლად ნაპირიდან 3-4 სანტიმეტრის დაშორებით ჩასმული აქვს ხის ტარი.

ნეოლითის ეპოქის ხელსაფქვავების დიდი რაოდენობაა ნაპოვნი იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებაზე იყო გადასული და სადაც მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ხელსაფქვავი ჩვეულებრივ მაგარი ქვისაგან კეთდებოდა.

ხელსაფქვავებმა ნიადაგი მოამზადეს წყლის წისქვილების შექმნისა და განვითარებისათვის. მბრუნავი ხელსაფქვავი მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ.-ის II ათასწლეულიდან იყო ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელსაფქვავები ძვ. წ.-ის I ათასწლეულით თარიღდება. ხელსაფქვავი მარცვლეულისა და სხვა ნივთიერებების დასაფშვნელი, დასაქუცმაცებელი ხელით სამუშაო იარაღია, წისქვილი კი ეწოდება მარცვლეულის დასაფქველ საგანგებო მოწყობილობასაც და იმ შენობასაც, რომელშიც ეს მოწყობილობა არის გამართული.

დროთა განმავლობაში წისქვილები განვითარდა და კონსტრუქციულად შეიცვალა. ძვ. წ.-ის I ათასწლეულში ევროპასა და აზიაში წისქვილის ქვების (*დოლაბების*) დამზადების რამდენიმე ცენტრი არსებობდა, საიდანაც ის საექსპორტოდ გაჰქონდათ. **ქარის წისქვილი პირველად ირანში, ახ. წ.-ის I ათასწლეულის ბოლოს გამოიგონეს.** ბიზანტიელებისა და არაბების საშუალებით ასეთი წისქვილი ევროპაშიც (ესპანეთი და საბერძნეთი) გაჩნდა.

საქართველოში გავრცელებული ჩვენამდე მოღწეული წისქვილები ძირითადად ორი ტიპის იყო: ჰორიზონტალური ბორბლით მბრუნავი და ვერტიკალური ბორბლით მბრუნავი. უმეტესად პირველი ტიპის წისქვილი იყო გავრცელებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აზიური წისქვილის სახელით იყო

ცნობილი. მთებში ძირითადად პატარა (ბუჭულა) წისქვილები იყო გავრცელებული, ბარში, სადაც უხვი მოსავალი მოდიოდა, დიდი, ანუ დოლაბი წისქვილები გვხვდებოდა.

კერამიკა. თიხისაგან დამზადებულ ნაწარმს კერამიკა ეწოდება. სამეთუნეო ნაკეთობების გარდა, კერმიკულ ნაკეთობებს მიეკუთვნება აგრეთვე ქაშანური, ფაიფური და სამშენებლო კერამიკა (აგური, კრამიტი). ეთნოლოგები შეისწავლიან კერამიკის სხვადასხვა სახეებსა და ტიპებს, დამზადებას, ფორმას, ფუნქციებს, ნაკეთობის ესთეტიკურ ხარისხს, ხისა და მეტალის ჭურჭელთან თანაფარდობას, საქონლის გასაღების საკითხებს, მომხმარებლებს, უშუალოდ მწარმოებელთა ცხოვრების პირობებსა და ცხოვრების წესს.

არსებული მონაცემებით, კერამიკული ჭურჭელი წინა აზიის ნეოლითურ ფენებშია ნაპოვნი (ძვ. წ.-ის VII ათასწლეული). შემდგომ პერიოდში მისი დამზადების წესი ბალკანეთის ნახევარკუნძულის გზით აფრიკის ზოგიერთ ნაწილსა და ევროპაში გავრცელდა. აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია და ჩინეთი) კერამიკის წარმოების წესს დამოუკიდებლად მიაგნეს. კერამიკული ტექნიკა დამოუკიდებლად განვითარდა ამერიკაში ძვ. წ.-ის IV ათასწლეულიდან. კერამიკის დამზადებისა და მოხმარების შესახებ არაფერი იცოდნენ ავსტრალიაში. კერამიკულ ნაწარმს ძირითადად წყლისა და პროდუქტების შესანახად იყენებდნენ, აგრეთვე – საჭმლის დასამზადებლად. ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში წინა აზიაში დაიწყეს სამეთუნეო ჩარხის გამოყენება. სამეთუნეო მორგვის ტრიალი ჭურჭელს სასურველ ფორმას აძლევს.

გამომწვარი აგური პირველად მესოპოტამიაში ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის ბოლოს გამოიყენეს. ის ინდოეთის კულტურაში (ძვ. წ.-ის 2800 წლის შემდეგ) ჩვეული სამშენებლო მასალა იყო. ჩინეთში აგურის გამოყენება ძვ. წ.-ის ბოლო ათასწლეულში დაიწყეს. აგურს ფართოდ იყენებდნენ ანტიკური პერიოდის რომის იმპერიის ტერიტორიაზეც. თანამედროვე ფორმა კი მან იტალიაში ლანგობარდი მშენებლებისაგან მიიღო.

კერამიკული ჭურჭელი პირველად შენიშნულია თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში, შემდეგ – ეგვიპტეში, ჩინეთსა და საქართველოში. ევროპაში ეს ტექნიკა ინტენსიურად ადრე შუა საუკუნეებში არაბი ხელოსნებისგან გავრცელდა (ესპანეთის გზით). ქაშანურის წარმოება შუა აზიაში, წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჩაისახა, ევროპაში კი მისი საყოველთაო წარმოება XVI საუკუნიდან დაიწყეს. სამრეწველო გადატრიალების შემდეგ ფერადი კერამიკის წარმოების არაერთი სფერო დავიწყებას მიეცა. მიჩნეულია, რომ **მეთუნეობა მეტალურგიის შემდეგ ხელოსნობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი იყო.** საქართველოში კერამიკის წარმოების რამ-

დენიმე კერა არსებობდა, სადაც ამზადებდნენ კერამიკულ ჭურჭელს – *ქვევრებს* (*ჭურებს*), *თორნეებს, კეცებს, ქოთნებს, ჯამებს, სადღვებლებს* და სხვ.

ქსოვა. ადამიანები ქსოვენ როგორც ხელით, ისე მექანიკურად (მანქანით). ხელით ქსოვისას მხოლოდ თითებს იყენებდნენ. ამ დროს მქსოველი სამარჯვ მოწყობილობებს (ჩხირი, კავი//კაკვი, მაქო და სხვ.) იყენებდა. ქსოვდნენ არა მხოლოდ ქსოვილებს, არამედ სატრანსპორტო და შესანახ მოწყობილობებს, სამონადირეო და თევსაჭერ ბადეებს, დამის სათევ და დასასვენებელ მოწყობილობებს (ჰამაკები სამხრეთ ამერიკაში), აგრეთვე საკულტო საგნებს (მაგალითად, ნიღბებს).

ევროპაში ქსოვის წარმოშობის შესახებ რამდენიმე შეხედულება თუ თეორია არსებობს. ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქსოვდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ხოლო სხვები ამტკიცებენ, რომ პირველად ის იტალიაში XIII საუკუნეში გაჩნდა. ზოგიერთი მონაცემით ქსოვის პირველი ცენტრი ესპანეთი იყო, საიდანაც ის შოტლანდიასა და ინგლისში გავრცელდა. იკონოგრაფიული მონაცემებით, ევროპაში ქსოვამ ფეხი ფართოდ XIV-XV საუკუნეებში მოიკიდა. ხელით ქსოვის ცენტრები იყო ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და იტალიაში. შუა საუკუნეებში ქსოვა ფართოდ იყო გავცელებული სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბელგიასა და ავსტრიაში. საქსოვი მასალა იყო აბრეშუმი, მატყლის ძაფი, სხვადასხვა მცენარეული ბოჭკო, თხის ბეწვი და სხვა.

ხელით ქსოვის დროს ყველაზე ხშირად ჩხირები გამოიყენება. ჩხირები შეიძლება ყოფილიყო ხის, ლითონის, ძვლის. ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებს, ზედა ტანსაცმელს. ჩხირებით ქსოვა ოდითგანვე გავრცელებული იყო ავღანეთში, თურქეთში, სირიაში, მონღოლეთში, კავკასიის ხალხებში.

ქაღალდი. ეთნოკულტურული თვალსაზრისით, ქაღალდი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ქაღალდის გარეშე კაცობრიობის საერთო განვითარება ძნელი წარმოსადგენია. მისი როლი უბრალო ტექნიკური საშუალებების ფარგლებს ღრმად სცილდება. თანამედროვე ინფორმაციის საშუალებების საუკუნეშიც კი ქაღალდი თავის პოზიციებს არ თმობს. ქაღალდის ძირითადი დანიშნულება დამწერლობასთან მისი კავშირითაა განსაზღვრული. **ქაღალდის გამოგონებისა და ათვისების საწყისი ეტაპი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანიის იმ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, სადაც ტროპიკული და სუბტროპიკული თუთისებრი მცენარეები ხარობენ, რომლებიც დამუშავების შემდეგ მოქნილ და გამძლე ლაფანს იძლევა.** ასეთი ლაფანისაგან ძალიან დიდი ხნის წინ ამზადებდნენ საოჯახო ყოფის საგნებს (საბნის, ჭილოფის, ხალიჩის მსგავსს), ტანსაც-

მელს, ნიღბებს. ოკეანიის ლაფანის ქსოვილს სამეცნიერო ლიტერატურაში „ტაპას“ უწოდებენ. მის დამზადებას განსაკუთრებული კულტურული კომპლექსი ახლავს: სპეციალური ხეების კულტივირება, ლაფნის დალბობა, გამოსათლელი სპეციალური ინსტრუმენტები, ზოლების გადასაბმელი წებოს გამოყენება, განსაკუთრებული ნიშნებისა და ორნამენტების მოხაზვა, „ტაპის“ არომატიზაცია, ზეთით გაჟღენთა (წყალგაუმტარი რომ ყოფილიყო). მთელი ამ კულტურული კომპლექსის განვითარება ოკეანიის ხალხებს უკავშირდება, რომლებიც მიწათმოქმედნი და მეთევზეები და ენობრივად აუსტრონეზიელები იყვნენ.

აუსტრონეზიურ ტერმინს „ტაპა“ ახ. წ.-ის I საუკუნის ჩინური წერილობითი წყაროები უკვე იცნობდნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ **ძველმა ჩინელებმა დამწერლობის მიზნით ქაღალდისმაგვარი ტაპას დამზადების ტრადიცია ოკეანიის ხალხებისაგან გადაიღეს.** დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი იყო, რომ ქაღალდი გამოიგონა მეფის კარის წარჩინებულმა *ცაი ლუნმა* ახ. წ.-ის 105 წელს. მას ამისათვის დასჭირდა *ქვის როდინი, ხის ფილთაქვა* და *საცერი* (*საწური*). თუთის ხის ტოტს აძრობდნენ ლაფანს, ჭრიდნენ წვრილ ნაჭრებად, ყრიდნენ წყალში და ამ მასას ურევდნენ და ანჯღრევდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სანამ ფაფის მაგვარ მასას არ მიიღებდნენ. ამ მასას საცერით ამოხაპავდნენ და ულუფებად ასხამდნენ ბრტყელ დაფაზე. რამდენიმე ასეთ დაფას ერთად აწყობდნენ და ათავსებდნენ ტვირთის ქვეშ. გამოწურულ ქაღალდის ფურცლებს იღებდნენ და აშრობდნენ. **მიუხედავად იმისა, რომ ჩინელმა *ცაი ლუნმა* ქაღალდის დამზადების ტექნოლოგია ოკეანიის ხალხებისაგან ისწავლა, ის კაცობრიობის კულტურის ისტორიაში მაინც დიდი რაციონალიზატორია.**

ქაღალდის დამზადების ჩინური ტექნიკა კორეელებმა ახ. წ.-ის II საუკუნეში გადაიღეს, იაპონელებმა – III საუკუნეში. ამ ქვეყნებში ქაღალდის ფართოდ წარმოება ბუდიზმის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული, მხედველობაში გვაქვს საკულტო ლიტერატურის სწრაფად გავრცელება, განსაკუთრებით VII საუკუნიდან. საყურადღებოა, რომ ევროპამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, IX საუკუნეში ჩინეთში გაჩნდა ე. წ. „მფრინავი მონეტები“ – ქაღალდის ფული.

დასავლეთის მიმართულებით ქაღალდის გავრცელება არაბების სახელთან არის დაკავშირებული. 751 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში არაბებმა ტყვედ ჩაიგდეს ჩინელი ქაღალდის ოსტატი, რომლის დახმარებითაც დაიწყეს ქაღალდის წარმოება ჯერ სამარყანდში და შემდეგ მთელ არაბულ სამყაროში. შედარებით იაფმა ქაღალდმა არაბული სამყაროდან სწრაფად განდევნა *პერგამენტი* და *პაპირუსი.* ამანვე განაპირობა არაბული დამწერ-

ლობის ფართოდ განვითარება. სამარყანდიდან ქაღალდის წარმოება ბაღდადში გავრცელდა, შემდეგ – დამასკოში, იემენში, ეგვიპტის ქალაქებში. ლაფნის მასალის არარსებობის გამო, არაბები თავდაპირველად ძველმანებს იყენებდნენ, შემდეგ ფართოდ დაიწყეს ბამბის გამოყენება.

ევროპის ხალხებში, პერგამენტის სიძვირის მიუხედავად, ქაღალდი ნელა და ძნელად იკაფავდა გზას. ტრადიციულად წიგნებისა და სახელმწიფო დოკუმენტებისათვის ევროპელები ისევ პერგამენტს იყენებდნენ. ევროპელთაგან, ამ მხრივ, პირველობა ისევ იმ ქვეყნებს ერგოთ, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ არაბულ სამყაროსთან: 1150 წელს ქაღალდის წარმოება დაიწყეს ესპანელებმა. სიცილიასთან არაბების კავშირის გამო, იტალიაში მის წარმოება 1154 წლიდან დაიწყეს. მალევე იტალიაში ქაღალდის წარმოებამ ფართო ხასიათი მიიღო, რადგან აქ სიახლე – მექანიკური მოწყობილობა დაინერგა. სხვა ქვეყნები ესპანეთსა და იტალიას მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ. უნგრეთში ქაღალდის წარმოება დაინერგა 1300 წელს, გერმანიაში – 1390 წელს, ინგლისში – 1494 წელს, რუსეთში – 1565 წელს, ჰოლანდიაში – 1586 წელს, შვეიცარიაში – 1698 წელს.

სხვა დანიშნულებით ქაღალდის გამოყენება ფრიად დამახასიათებელია შორეული აღმოსავლური კულტურისათვის. ჩინეთსა და იაპონიაში დიდი ხანია ქაღალდს ჰიგიენური მიზნებით იყენებენ (ხელსახოცი, პირსახოცი), აგრეთვე მარაოსათვის, ქოლგებისათვის, ფარნებისათვის, ფანჯრის ჩარჩოების ჩამოსაფარებლად, შირმებისათვის, ტიხრებისათვის და სხვა.

ქაღალდის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ცოდნის საყოველთაოობა. წიგნის ბეჭდვამ გადატრიალება მოახდინა კულტურაში.

მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის დარგია. ის გულისხმობს აბრეშუმის პარკის მისაღებად პარკხვევიას მოშენებას. აბრეშუმის პარკიდან კი ნატურალური აბრეშუმი მზადდება. აბრეშუმის პარკის უმეტესობა მოშინაურებული თუთის პარკხვევიასაგან მზადდება, მაგრამ აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის რიგ რაიონებში ველურ პარკხვევიასაც გამოიყენებენ. **უძველესი მეაბრეშუმეობა ჰიმალაის მთისწინეთში ჩაისახა.** საერთოდ, მეაბრეშუმეობის სამშობლოდ სამხრეთ ჩინეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჩრდილოეთ რაიონებსა და აღმოსავლეთ ინდოეთის მდინარე ბრახმანპუტის ხეობას მიიჩნევენ. ამ უკანასკნელში ნაპოვნი აბრეშუმის უძველესი ნიმუში ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულებით თარიღდება. ჩინეთიდან მეაბრეშუმეობა ძვ. წ.-ის II ათასწლეულის მეორე ნახევარში კორეაში გავრცელდა, აქედან კი ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე – იაპონიაში. **ძვ. წ.-ის II ათასწლეულიდან აბრეშუმის იმპორტი-**

რება ხდებოდა დასავლეთში საქარავნო ვაჭრობის საშუალებით (ე. წ. დიდი აბრეშუმის გზა). ის გაივლიდა შუა აზიას, წინა აზიას და ბოლოს მთავრდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში. მეაბრეშუმეობა შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ახ. წ.-ის V-VI საუკუნეებში განვითარდა. ბიზანტიაშიც ამავე პერიოდიდან გავრცელდა. ახ. წ.-ის I-II ათასწლეულების მიჯნაზე ევროპაში მეაბრეშუმეობის ცენტრად ვენეციის რესპუბლიკა იქცა.

მეაბრეშუმეობას ძირითადად ქალები და ბავშვები მისდევდნენ, თანაც ზოგან მხოლოდ გასათხოვარი ქალები (მაგალითად, სომხეთში). ძველად აბრეშუმის ტანსაცმელი დიდებულთა ატრიბუტს წარმოადგენდა, ზოგან არისტოკრატიაც არ თაკილობდა თვით ყოფილიყო მეაბრეშუმეობაში დასაქმებული. მაგალითად შეიძლება ჩინეთის იმპერატორთა ცოლები დავასახელოთ; ისინი ამით თავიანთ ქვეშევრდომებს მაგალითს აძლევდნენ. მეაბრეშუმეობასთან არაერთი რიტუალი და აკრძალვა იყო დაკავშირებული, რითაც ცდილობდნენ აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებას.

განათება და გათბობა. ადამიანები სანათ საშუალებად, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, პალეოლითის დროიდან ძირითადად კოცონსა და ცეცხლმოკიდებულ ტოტებს იყენებდნენ, გვიან კი – კერას. ადამიანებისათვის სიბნელეში გაგნების საშუალება კვარიც იყო, რომელსაც, ჩვეულებრივ, დიდი სისქის ხეების დაპობის შემდეგ იღებდნენ. ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანებში არქეოლოგები პოულობენ ე. წ. კერამიკულ სასაკმევლეებს. ვარაუდობენ, რომ საკულტო დანიშნულების გარდა, ისინი ადამიანებს გასანათებლადაც შეეძლოთ გამოეყენებინათ. ლამპრებად, სანათებად გამოიყენებდნენ ჭურჭლის (დოქის, ქოთნის) ნამტვრევებსაც, რომლებშიც პატარა ცეცხლი ენთოთ. ბევრი ხალხის საცხოვრებლებში დღის შუქი სარკმლებიდან, კარებიდან, ბოლის გასასვლელიდან შედიოდა. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში სახლი ნათდებოდა ჭერსა და კარებზე დატანებული ნახვრეტებიდან.

ფანჯრის მინების ფართოდ გამოყენება მხოლოდ XVIII საუკუნეში დაიწყეს. აღმოსავლეთ აზიაში ფანჯრის ჩარჩოებს გაქონილ (გაპოხილ) ქაღალდებს ჰკიდებდნენ.

საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდში ანათებდნენ ჩირაღდნების საშუალებითაც, რასაც წნელისაგან ამზადებდნენ – მას ფისით, კუპრით ან ცვილით ჟღენთდნენ. მათ მეტალის სადგამებზე დგამდნენ. ხშირად ჩირაღდნებს თასის ფორმის ჭურჭლებშიც ათავსებდნენ. უკვე ბერძნულ-რომაულ ეპოქაში გავრცელდა თიხის სანათებლები, რომლებშიც ზეთს ასხამდნენ. ასეთ სანათებლებში მცენარეული ან ქსოვილის პატრუქი იწვოდა. ანტიკურ ეპოქაში გამოიყენებდნენ ქონის, ცვილისა და ფი-

სის სანთლებს. ევრაზიისა და ამერიკის უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებში გავრცელებული იყო ხის ლამფა, რომლის პატრუქიც ცხიმს წვავდა და მხოლოდ მკრთალ, კვამლიან სინათლეს იძლეოდა. ჩრდილოეთის ხალხებს გასანათებელი კვარი და ჩირაღდანი საიმედო სადგარზე ანდა წყლის რეზერვუარში ჰქონდათ ჩადგმული, რათა გადავარდნილ ნაპერწკალს ცეცხლი არ გაეჩინა. დღემდე ჰინდიყუშისა და ყარაყორუმის ხალხებში გავრცელებულია ბამბის პატრუქიანი თიხის სანათები (ლამპრები), რომლებიც სავსეა მცენარეული ზეთით.

ცეცხლს ადამიანები უძველესი დროიდან იყენებე გასათბობად. კოცონი და კერა ყოველთვის იყო საცხოვრებლის ცენტრალური ნაწილი. კოცონზე არა მხოლოდ საჭმელს ამზადებდნენ, არამედ მის ირგვლივ თბებოდნენ კიდეც. გასათბობად იყენებდნენ შეშას. ის უძველესი გასათბობი საშუალებაა. ნეოლითის ეპოქაში დადასტურებულია ტორფის, მერქნის (ხე-ტყის), ხოლო ნახშირითა და მცენარეულით ღარიბ რეგიონებში კი ცხენის, ძროხის, თხის გამომშრალი ნაკელის (*წივის*) გამოყენება. არქტიკულ და სუბარქტიკულ რაიონებში წვავდნენ ქონგადასხმულ ძვალს. მინერალური სათბობი – ქვანახშირი და ნავთობი სათბობად პირველად შუა აზიის ურბანისტულ კულტურებში გამოიყენეს.

მახლობელ აღმოსავლეთში თორნის მსგავს პურის საცხობს გასათბობად ნეოლითის ეპოქიდან იყენებდნენ. თბებოდნენ აგრეთვე ღია კერაზე, სადაც საჭმელებსაც ამზადებდნენ. ადრევე დაუწყიათ თიხის პატარა ღუმელების დამზადება. საყურადღებოა, რომ კერა თითქმის ყველა ხალხში საცხოვრებლის საკრალური ცენტრიც იყო. ის ოჯახის სულების სამკვიდრებლადაც იყო მიჩნეული. ბრინჯაოს ეპოქაში ინდოეთში, მესოპოტამიაში, საბერძნეთსა და რომში გასათბობად იყენებდნენ მაყალს, რომელსაც ხის ნახშირით ავსებდნენ – ის კვამლს არ უშვებდა. ცენტრალური გათბობის სისტემა ძვ. წ.-ის I საუკუნეში ძველ რომში გამოიგონეს. ის იყო იატაკქვეშა კვამლსადენი. სისტემას თავდაპირველად საზოგადოებრივ აბანოებში იყენებდნენ, შემდეგ კი – ქალაქის სახლების გასათბობად. გამთბარი და გაცხელებული ჰაერი აწეული იატაკის ქვეშ და კედლებში დატოვებულ სიცარიელეში გადიოდა. აღმოსავლეთ აზიის ხალხებში ცნობილი იყო კედლებში მოწყობილი კვამლსადენი, რომლებშიც ცხელი კვამლი კედლებში არსებული საცეცხლეებიდან შედიოდა. მათზე მოწყობილი იყო ფართო საწოლები. ასეთი ტიპის გამათბობლები ჰქონდათ კორეელებს, იაპონელებს.

ვარცხნილობა. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ვარცხნილობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მეცნიერებს და-

დგენილი აქვთ, რომ ვარცხნილობის ტიპები განისაზღვრებოდა ეთნიკურობით, სქესით, ასაკით, სოციალური სტატუსით, კლიმატით და ა.შ. შემჩნეულია აგრეთვე ვარცხნილობის დამოკიდებულება ტანსაცმლის ტიპებზე. მაგალითად, სადღესასწაულო კაბას, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ვარცხნილობაც შეესაბამება. ვარცხნილობაზე გავლენას ახდენს რელიგიური განაწესიც (მუსლიმი ხალხების მამაკაცების უმეტესობა თავს მთლიანად იპარსავს; ასევე იქცევიან ბუდისტი ბერები. ინდოელ სიქხებს კი, პირიქით, რელიგია თმების შეკრეჭის უფლებას არ აძლევს).

ძველ ეგვიპტელთა აკლდამების მოხატულობა და სკულპტურული პორტრეტები წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა ვარცხნილობის შესახებ. მაშინ ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის პარიკებსაც. დახვეწილობით გამოირჩეოდა ძველბერძენ და ძველრომაელ ქალთა ვარცხნილობა. ასევე რთული და მრავალფეროვანი იყო ვარცხნილობა ძველ და შუა საუკუნეების ინდოეთში, ეს განსაკუთრებით ქალების ნაწნავების შესახებ ითქმის.

ისევე როგორც ტანსაცმელში, ვარცხნილობაშიც ასახული იყო შესაბამისი ეპოქის საზოგადოების ესთეტიკური შეხედულებები. მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში არსებობდა და დღემდე არსებობს თმებთან დაკავშირებული ბევრი ცრურწმენა და თქმულება. ბევრი მათგანის მიხედვით, თვით ცხოვრება თმებს ემყარება ან კიდევ ის ღმერთებისა და სულების სამკვიდრებელს წარმოადგენს, ამიტომაც თმებს გულმოდგინედ უნდა მოვუაროთ და ყველაფრით მოვრთოთ. ფრანკ მეფეებს ბავშვობიდან თმების შეჭრის უფლებას არ აძლევდნენ – თმების შეჭრა, თუნდ კულულების შეკვერცხლა სამეფო ტახტზე უარის თქმას ნიშნავდა. ასევე არ იკრეჭდნენ თმას რისამე აღთქმის მიმცემი ადამიანები მანამ, სანამ დანაპირებს არ შეასრულებდნენ. მარკიზის კუნძულების მცხოვრებნი, ახლო ნათესავის მკლელობის შემთხვევაში, აღთქმას დებდნენ და გადაპარსული თავის კინკრიხოზე თმის კულულს იტოვებდნენ და მას სისხლის აღებამდე ატარებდნენ.

უძველესი დროიდან ვარცხნილობით გარკვეული ასაკობრივი კატეგორიისადმი მიკუთვნებულობასაც არკვევდნენ. ძალიან ბევრ ხალხში წესად იყო მწუხარე ქალების მიერ თმების გაშლა.

სხეულის (ტანის) მოვლა. სხეულის მოვლა მთელ რიგ ჰიგიენურ წესებს მოიცავს, მაგრამ ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ჰიგიენისა და კოსმეტიკის თანამედროვე კომპლექსებია. სხეულის მოვლა მხოლოდ მისი ანატომიური საზღვრებით არ შემოიფარგლება. მას ეთნიკური კულტურის თვალსაზრისითაც განიხილავენ. სხეულის მოვლაში ჩანდა (ჩანს) ეთნიკურობა, გვარტომობ-

რიობა, სოციალური მდგომარეობა, ასაკობრივი სტატუსი. აღსანიშნავია მასთან დაკავშირებულ რიტუალებში მონაწილეობა.

არაევროპულ ტრადიციულ კულტურებში გარეგნობასა და სხეულის ფიზიკურ სრულფასოვნებას, მასთან დაკავშირებულ რიტუალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინდუიზმში ფიზიკური არასრულყოფილება დასჯად ითვლებოდა. ძალიან ფასობდა ფიზიკური სილამაზე ძველ საბერძნეთში. ძველ რომში ვესტალები (ქურუმი ქალები) მხოლოდ ფიზიკურად უნაკლო გოგონები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში ძალიან ხშირად უარყოფითი პერსონაჟები ფიზიკურად არასრულყოფილი ადამიანები არიან. თუმცა ეს ხშირად ხთონურ სიძლიერესთან, განსაკუთრებულ წარმოდგენასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, **ძველად რუსეთში მიაჩნდათ, რომ სამეფო ოჯახის წევრებს სხეულზე განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდათ გამოსახული. ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ ბაგრატიონების შესახებ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთში).** ისინი ღვთაების რჩეულებად მიიჩნეოდნენ და ღვთაების ნიშნით იყვნენ აღბეჭდილნი. ხევსურთა წარმოდგენით „ნაწილიანი“ ყოფილა *თორღვა – ბაგრატიონთა ნაბიჭვარი,* რომელსაც ბეჭებზე მზისა და მთვარის ბეჭედი აჯდა, ხოლო მათ შუა ჯვარი ჰქონდა გამოხატული. **„ნაწილიანები“ გამოირჩეოდნენ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით (გონიერებით, სიმამაცით, პურადობით, სრულყოფილად ფლობდნენ იარაღს** და ა.შ.).

ფიზიკური სილამაზისა და სრულყოფილების წარმოდგენაზე დიდი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ იდეალებსა და გემოვნებას. ოკეანიის ზოგიერთი ხალხის ბელადი ძალიან სრული (მსუქანი) უნდა ყოფილიყო; მათ სპეციალურად კვებავდნენ. თანატომელებისაგან ისინი სითეთრითაც გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ. წინა აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ხალხის წარმოდგენით სისრულე და სიმსუქნე სილამაზის ნიშანი იყო. ხოლო უფრო განვითარებულ საზოგადოებებში ქალის გარეგნულ ჰარმონიულობაში, ფიზიკური სილამაზის გარდა, გულისხმობდნენ სათანადო მორთულობას, სამკაულებსა და კოსმეტიკურ საშუალებებს.

ადამიანის სხეული ერთგვარი სოციალური ნიშანიც იყო, რომელიც ეთნოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ასპექტი გახლდათ. მორთულობა, ტატუირება, ვარცხნილობა, ტანსაცმლის ფორმები გვარტომობრივი განსხვავებულობის საშუალებები იყო. სიცოცხლის ციკლის ორი ისეთი წეს-ჩვეულება, როგორებიცაა ინიციაცია და ქორწინება განსაკუთრებით სხეულსა და გარეგნობას ეხებოდა (თმების შეჭრა, წინადაცვეთა, განსაკუთრებული ვარცხნილობა, ნელსაცხებლების წასმა. ზოგიერთ ადგილას, მაგალითად იაპონიაში, კბილების გაშავება და ქორწინების დროს

ქალებისათვის წარბების ამოწიწკნა). ბევრგან მამაკაცები ძველად (და ახლაც) გლოვის ნიშნად თმებსა და წვერს უშვებდნენ ან იჭრიდნენ. ესა თუ ის გარეგნული ნიშანი სოციალურ მდგომარეობასაც აღნიშნავდა.

სხეულის მოვლის სპეციფიკურ ფორმას მისი დეფორმაცია წარმოადგენდა – საკბეჩი კბილების ამოღება, თითების (უფრო ხშირად ნეკი თითის) მოჭრა, ჩვილობის ასაკში თავის ქალის ფორმის შეცვლა. თავის ქალის დეფორმაცია ფართოდ იყო გავრცელებული ნეოლითსა და ბრინჯაოს ეპოქაში და აქა-იქ ის XIX საუკუნემდე შემორჩა (აფრიკაში, თურქმენებში, ბრეტანსა და ნორმანდიაში).

სხეულის მოვლის განსაკუთრებულ შემთხვევად ითვლება კანზე ნაიარევის აღნიშვნა, რაც ყველაზე მეტად მუქი კანის ხალხებში იყო გავრცელებული (აფრიკელებში, ავსტრალიელებში, ანდამანელებში). სამკაულების გასაკეთებლად გავრცელებული იყო ყურების, ნესტოების, ტუჩების გახვრეტა. აღნიშნული ორგანოების გახვრეტა ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით ის ქალებში შემორჩა. ტატუირება უფრო ფერადკანიან ხალხებში იყო გავრცელებული. როგორც ბუნებრივი სხეულის შეცვლას, ტატუირებასაც ორი ფუნქცია ჰქონდა – პირველი გვარტომობრივი ნიშანი, მეორე – ასაკობრივი ინიციაციის გავლის მაჩვენებელი. თუმცა ტატუირებას თავის დაცვის რწმენის ფუნქციაც ჰქონდა. კანის შეღებვა ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მორთულობის უძველეს ფორმად მიიჩნევა. ძველი ცივილიზაციის ხალხები (წინა აზია, ეგვიპტე) ფეხების, ხელისგულებისა და თმების შესაღებად ინას იყენებდნენ. რუსი ქალები ლოყებს ჭარხლის წვენით იწითლებდნენ. შეღებვასა და ტატუირებას ბევრი რამ ჰქონდა საერთო, მაგრამ პირველ მათგანს უფრო მეტად ცხოვრებისეული ძალის, ნაყოფიერებისა და ეროტიკის სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

სხეულის შეღებვას ბევრი ხალხი ჰიგიენურ მნიშვნელობას ანიჭებდა. როგორც ჩანს, ეს საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან, როგორც წესი, საღებავებს ცხიმების საფუძველზე ამზადებდნენ. სხეულის მოვლის მნიშვნელოვანი ნაწილია ჰიგიენური საშუალებები. ტანის ნელსაცხებლები არა მხოლოდ სხეულის სისუფთავის შენარჩუნების საშუალება იყო, არამედ – შინაგან ორგანოებზე მოქმედებისაც. ანტიკურ პერიოდში ასეთად მიიჩნეოდა გულის დასამშვიდებელი მალამო. სხეულიდან მომდინარე კეთილსურნელებას განსაკუთრებული არომატული კოდიც ახლდა. მაგალითად, ძველ საბერძნეთში სასიამოვნო სურნელება თავისუფალი ადამიანებისთვის იყო ნიშანდობლივი. საბერძნეთშივე ვაქხის საპატივცემულო დღესასწაულის მონაწილენი სახეს მურითა და ღვინის თხლით ითხუპნიდნენ.

წყლით დაბანა ყველა ხალხისთვის არ იყო დამახასიათებელი. უფრო მეტად ის ტროპიკებში მცხოვრებ ხალხებს ახასიათებდათ. ევროპაში წყლით დაბანა ანტიკურ პერიოდში გავრცელდა; ის აქ რომაელთა საშუალებით გავრცელდა, ხოლო თვით ანტიკურ სამყაროში ეგვიპტური და კრეტა-მიკენური სამყაროს გავლენის შედეგი იყო. საპნის კულტურა მოგვიანებით გავრცელდა. ევროპული ჰიგიენისა და კოსმეტიკის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვაროსანთა აღმოსავლურ ლაშქრობებსა და ბიზანტიელთა სავაჭრო საქმიანობას. ევროპაში სუნამო აღმოსავლეთიდან გავრცელდა. სპირტის სუნამო მათთვის ცნობილი მხოლოდ XVI საუკუნეში გახდა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობა აქვს ჰიგიენის დაცვას ისლამის მიმდევარ ხალხებში – ყველა შესასრულებელი წესი აქ მუჰამედის ანდერძად ითვლება. ყველა ეთნოსისათვის დამახასიათებელი ჰიგიენური წესი მდგრადობით გამოირჩევა და მათ ეთნიკურ თვითშეგნებაში განსაკუთრებული როლი აქვთ დაკისრებული. ჰიგიენასთან ბევრი ტრადიციული რწმენაც არის დაკავშირებული.

I.14. ეთნოლოგია და სოციალური რეალობა

ეთნიკური ფაქტორი მსოფლიო ისტორიაში. ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობა ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავაფეროვნების პირობებში ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ამ პირობებს ადამიანთა ჯგუფებზე გავლენა აქვს. ეს გავლენა არსებობდა შორეულ წარსულში და არსებობს დღესაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოგენურ – ადამიანთა ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე.

კაცობრიობის ისტორია მრავალწახნაგა და მრავალსახოვანია. ეს არა მხოლოდ სახელმწიფოების, გამოჩენილი პიროვნებებისა და იდეების ისტორიაა, არამედ ხალხების (ეთნოსების) ისტორია, რომლებიც მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ სახელმწიფოების ფორმირებაში, თავიანთი გარემოდან წინ წამოწევდნენ და წამოწევენ გამოჩენილ მოღვაწეებს, ქმნიან კულტურებსა და ენებს, შრომობენ და ომობენ, ჰქონდათ და აქვთ დიდი თუ მცირე აღმოჩენები, სჩადიან გმირობას და უშვებენ ტრაგიკულ შეცდომებს. ისტორიის ეს მხარე – ეთნიკური ისტორია (ეთნოგენეზიდან თანამედროვე ეთნიკურ პროცესებამდე) – არსაკმარისადაა შესწავლილი და კიდევ უფრო ნაკლებად აღწერილი (სპეციალურ ლიტერატურაშიც კი).

არსებულ სამეცნიერო მონაცემთა ფრაგმენტულობისა და მოზაიკურობის მიუხედავად, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოისტორიული განვითარების გზა და შედეგები უძველესი დროიდან მოყოლებული XXI საუკუნემდე სხვადასხვა ეთნოსებისათვის ფრიდ არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. ზოგიერთი ეთნოსი თავისი განსახლებისა და ოიკუმენის გაფართოვების პროცესში შედარებით ხელსაყრელ (კლიმატურ, ლანდშაფტურ და სხვ.) პირობებში აღმოჩნდა და, ამის გამო, აგრეთვე სხვა ძალთა ფაქტორების ზემოქმედებით (ეკონომიკური, პოლიტიკური, ცალკეული სიტუაციის) ინტენსიური განვითარების შესაძლებლობა ჰქონდათ. ამის გარეგან მაჩვენებლად მიიჩნევენ ამა თუ იმ ხალხის რაოდენობრივ ზრდას. ადვილი შესამჩნევია, რომ ისეთ უკიდურესად მცირერიცხოვან ხალხებს, როგორებიც არიან *კეტები, ვეპსები* ან *გაგაუზები* ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ რაოდენობრივი ზრდისათვის, ვიდრე, მაგალითად, *ბენგალიელებს, იაპონელებს* ან *რუსებს.* გარდა ამისა, ბუნებრივი და სოციალურ-ისტორიული გარემოებები განაპირობებდნენ დღეს არსებული ცალკეული ეთნოსის ასაკის გათასწლეულებით განსაზღვრას (*ბერძნები, ჩინელები, ქართველები, სომხები, ირანელები...*), მაშინ როცა სხვებმა სულ ახლახან გაიარეს კონსოლიდაციის სტადია (*დოლგანები, თურქმენები, აზერბაიჯანელები, კუბელები* და სხვ.).

ეთნიკური ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთ-ერთი არსებითი ასპექტი, მოიცავს: ეთნოგენეზის პროცესს, ხალხების ახლო და შორეულ მიგრაციებს (შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებს), მეზობლად ცხოვრებისა და ეთნოსთაშორისი მასობრივი ქორწინებების შედეგად ეთნოსების შერევებს, რამდენიმე ეთნოსის ერთ ეთნოსად ინტეგრაციასა და ერთი ეთნოსის ორ და მეტ ეთნოსად დიფერენციაციას, ეთნოსის რაოდენობის ზრდასა და შემცირებას, აკულტურაციას (ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის კულტურის მასობრივ შეთვისებას), ასიმილაციას (ადრინდელი ეთნიკურობის მახასიათებლების სრული დაკარგვა და ახალი ეთნიკური მახასიათებლების შეთვისება), სხვადასხვა (კულტურული, ენობრივი, ეკომომიკური) ეთნოსთა შორის ურთიერთქმედებსა და კონტაქტებს, ერთი ეთნოსის შიგნით სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების გავრცელებას. ეთნიკური ისტორია აგრეთვე ეთნოსის ფუნქციონირებისა და ევოლუციის ისტორიაა. ეთნიკურ ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნოსს აქვს თუ არა სალიტერატურო ენა, სოციალურად დიფერენცირებულია თუ არა საზოგადოება. ზედაფენა შუა საუკუნეებში, ფაქტობრივად, ნაციის სახეს ქმნიდა, სათავეში ედგა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლას და ამით ის ეთნოსის შეკავშირებას უწყობდა ხელს.

რეგიონალური და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პროცესებსა და მოვლენებში ეთნიკური ფაქტორი ყოველთვის ნათლად არ ჩანს და მის როლს ყოველთვის არ ითვალისწინებენ და აფასებენ სპეციალისტებიც კი. რა თქმა უნდა, ყველას ესმის, რომ *ცეზარმა* გალია დაიპყრო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გამოჩენილი მხედართმთავარი იყო და დიდ ჯარს მეთაურობდა, არამედ იმიტომ, რომ *გალები* არ იყვნენ ერთიანი, ისინი ერთმანეთის მოქიშპე ტომებად და ტომთა კავშირებად იყოფოდნენ. მათი მტრობა და შეუთანხმებლობა გამოიყენა *ცეზარმა*. ავიღოთ იმპერიების დაშლის მაგალითები. *ნაპოლეონ I-ის* ძლევამოსილი იმპერიის დაშლა იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ მასში ძალადობრივად იყო გაერთიანებული სიცოცხლისუნარიანი ეთნონაციები, რომლებიც დამოუკიდებლობისა და ცალკე ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდნენ. მეორე მაგალითი კი საბჭოთა კავშირის დაშლაა – ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე.

მართალია, ხალხთა ეთნიკური ისტორია არასაკმარისადაა შესწავლილი, მაგრამ ფაქტია, რომ **ეთნოგამაერთიანებელი (*კონვეგერგენტული*) და ეთნოგამაცალკევებელი (*დივერგენტული*) პროცესები მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გაბატონებული იყო ხან ერთი და ხან მეორე პროცესი.** მაგალითად, პირველყოფილი თემური

ურთიერთობების ხანგრძლივი ეპოქის განმავლობაში ჭარბობდა ეთნოგამაცალკევებელი ტენდენციები, რასაც განაპირობებდა სხვადასხვა ტომთა პლანეტაზე განსახლება, ახალ-ახალი სივრცეების ათვისება, რესურსების სიმწირე. აღნიშნული ეპოქის დასასრულს ტენდენციები გაწონასწორდა, რადგან მაშინ მოხდა პრაეთნოსებისა და პრაენების ფორმირება.

მომდევნო, ქრონოლოგიურად დიდ პერიოდებში ძველანტიკურ საზოგადოებებში, შუა საუკუნეებსა და ახალ პერიოდში ორივე ტენდენციის შენარჩუნებისას მათი რეგიონალური და ეპოქალური ყოფისთვის დამახასიათებელი ტენდენციები გამოვლინდა. რა თქმა უნდა, ყოველ ამ დიდ პერიოდს ეთნიკური პროცესების განსაკუთრებული ფორმა ახასიათებდა. მაგალითად, ძველი სამყაროს ეპოქაში პირველად წარმოიქმნა დიდი ეთნოსები (*ძველი ეგვიპტელები, ძველი ჩინელები, ძველი ბერძნები-ელინები* და სხვ.) და პირველად ჩამოყალიბდა ურთიერთობა ამ დიდი ეთნოსებისა და მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოებისა პირველყოფილ პერიფერიებთან. გვიან, უკვე ფეოდალური შუა საუკუნეების დროს, ეთნიკურ პროცესებს ნაკლებად გამოხატული ხასიათი ჰქონდა, რადგან მნიშვნელოვანწილად შეცვლილი ან გადაფარული იყო რელიგიურ-კონფესიური და რეგიონულ-სამხარეო კავშირებითა და ურთიერთობებით. ეთნომაკონსოლიდირებელი ტენდენციები გაძლიერდა კაპიტალიზმის ეპოქაში. მეორე მხრივ, მართალია, ამ დროს ეთნოსების ინტენსიური დაახლოება ხდებოდა, თუმცა ეს დაახლოება ხშირად კოლონიური დაპყრობების უხეშ და ძალადობრივ ხასიათისა იყო. ეთნიკური ისტორიის ასეთი უამრავი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, ეთნოგამაერთიანებელ პროცესებს კარგად შეიძლება გავადევნოთ თვალი *ჩეხების, ფრანგების, ბულგარელებისა* და სხვათა ფორმირებისას. **არსებითად, ყველა ხალხმა თავისი ეთნოგენეზისა და შემდგომი ეთნიკური ისტორიის პროცესში თავის შემადგენლობაში ამა თუ იმ რაოდენობით ჩართო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები.**

ასევე ყველგან შეინიშნება ეთნოგამაცალკევებელი პროცესები: *ძველირუსული* ეთნოსი სამ ხალხად დაიშალა (*რუსები, უკრაინელები, ბელორუსები*). ძველი *ბულგარები,* რომლებიც შუა ვოლგისპირეთში იყვნენ განსახლებულნი, განვითარების ამოსავალ ფორმად იქცნენ *თათრების, ჩუვაშებისა* და ნაწილობრივ *ბაშკირებისათვის. ძველი არაბების* მიგრაციამ მთელი რიგი არაბულენოვანი ხალხების (თანამედროვე *ეგვიპტელები, ალჟირელები, ლიბიელები, სირიელები* და სხვ.) ფორმირებას ჩაუყარა საფუძველი.

მთელი ისტორიის მანძილზე ეთნოსებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობები კი სხვადასხვა ხასი-

ათისა იყო როგორც სიხშირითა და ინტენსივობით, ისე სიმპატიისა და მტრობის ძალით. ეს იყო მუდმივი პროცესი, თუმცა მცირე გამონაკლისებიც არსებობდა. ასეთ გამონაკლისებს კი ეთნიკური იზოლატები წარმოადგენდნენ. ეთნიკური იზოლაცია ან თვითიზოლაცია, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ეკონომიკურ, კულტურულ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას. ინტენსიური, სწრაფი და წარმატებული განვითარების წინაპირობა კი ეთნოსთაშორისი კონტაქტები და კავშირები იყო. ასეთი მოვლენები ახალი ეთნოსების წარმოქმნის ერთგვარი წინაპირობაც იყო. მაგალითად, ამერიკის კონტინენტზე მიგრაციულმა ნაკადებმა ათეულობით ეთნოსს დაუდო სათავე, თუმცა ასეულობით ხალხი კი ისტორიის კუთვნილება გახდა. ამერიკაში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესების შედეგი იყო ძველი კულტურულ-ეთნოგრაფიული (ისტორიულ-კულტურული) ოლქების გაქრობა და ახლების ჩამოყალიბება.

ეთნიკური კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის ანალოგიური პროცესები ძველ ეპოქებშიც მიმდინარეობდა. მაგალითად, ძველბერძნული ეთნოსი *იონიელების, დორიელების, აქეელების, ეოლიელების* ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა. *ძველრომაული* (*ლათინი*) ხალხი ჩამოყალიბდა *ეტრუსკების, ლიგურებისა* და სხვა ეთნოსების, აგრეთვე მონათესავე *იტალიკების* ასიმილაციის შედეგად. მეორე მხრივ, ძველაღმოსავლური და ანტიკური ისტორიის არენიდან გაქრნენ *შუმერები, ხეთები, ბაბილონელები, პართიელები, არამეელები* და სხვა ეთნიკური წარმონაქმნები. თანამედროვე ეთნიკურ რუკაზე ვერ ვიპოვით *ჰეროდოტეს, სტრაბონის, ცეზარის, ტაციტის* დასახელებულ ბევრ ეთნონიმს. გაქრა ბევრი ეთნიკური ერთობა, რომელთა სახელები ფართოდ იყო ცნობილი შუა საუკუნეების ეპოქაში: *გუთები, ტევტონები, ლანგობარდები, ჰუნები, ბრიტები, ხაზარები, მერია, პაჭანიკები, ყივჩაღები, ბიზანტიელი რომეები* და მრავალი სხვ. ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობა მიზანმიმართულად ამოწყვიტეს. ავტოქტონი ეთნოსების გაქრობაში დიდი წილი სხვა ფაქტორებსაც მიუძღვით (მაგალითად, ევროპელთაგან შეტანილი სხვადასხვა ავადმყოფობა, რომელთა მიმართაც ადგილობრივ მოსახლეობას იმუნიტეტი არ აღმოაჩნდა).

საფრანგეთში, მეფის რუსეთში, ავსტრიის იმპერიაში, ოსმალეთსა და სხვაგან ასიმილაციის პოლიტიკას მიზამიმართული ხასიათი ჰქონდა (სახელმწიფო ენა, სახელმწიფო რელიგია...).

მაგრამ ეთნოსთა შორის ურთიერთობის პირობები და ინტენსივობა ყოველთვის არ იწვევდა და იწვევს სრულ ეთნიკურ ასიმილაციას; ხშირად პროცესი ასიმილაციით არ მთავრდება და უკიდურეს შემთხვევაში ენისა და კულტურის მასობრივი შე-

თვისებით შემოიფარგლება. ბევრ შემთხვევაში წარმოიქმნა და წარმოიქმნება *ბილინგვიზმი* და *ბიკულტურალიზმი,* რომლებსაც ტერმინ *აკულტურაციით* გამოხატავენ. ეთნოსთა შორის ამგვარი ურთიერთობები შეიძლება ბევრგან აღმოვაჩინოთ, სადაც კონტაქტები გვაქვს დიდ, მაღალგანვითარებულ ეთნოსებსა და შედარებით მცირერიცხოვან ეთნოსებს შორის, რომელთაც ამ დიდი ეთნოსების ასოცირებულ წევრებს უწოდებენ (სხვათა შორის, რუსი ეთნოლოგი *ს. არუთინოვი* შუა საუკუნეებში *ქართველი* ერის ასოცირებულ წევრებად მიიჩნევდა *აფხაზებს*). აკულტურაციის ერთ-ერთ გამოხატულებად მიიჩნევენ ვესტერნიზაციას – ევროპულ-ამერიკული კულტურის ათვისებას.

დიდი სახელმწიფოებში მცხოვრები მთელი რიგი ეთნიკური ერთობებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო და დღესაც დამახასიათებელია ეთნიკური გრძნობის *დიხოტომია* (გაორება). საამისო მაგალითები ძალზედ ბევრია. მაგალითად შეიძლება ბიზანტიის იმპერიის არაბერძნული წარმოშობისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების ეთნიკური ერთობები დავასახელოთ. ასეთი გაორებული ეთნიკური ცნობიერებისანი დღეს ბევრნი ცხოვრობენ თურქეთში. აქ ბევრ ეთნიკურ ქართველს თავი ქართველადაც წარმოუდგენია და თურქადაც. თანამედროვე საფრანგეთში ასეთი დიქოტომიური გრძნობა ახასიათებთ პროვანსალელებს. საქართველოში, საბჭოთა პერიოდის ბოლო მონაკვეთში, გაორებული ეთნიკური ცნობიერება გააჩნდა ოსების მნიშვნელოვან ნაწილს.

ეთნოსები და ეთნიკური ჯგუფები ისტორიულ პროცესში თავს სხვადახვაგვარად გამოავლენდნენ, მათ შორის, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფორმით.

ამრიგად, ეთნიკურ ცვლილებებს ხალხებს შორის მრავალმხრივი, რთული და წინააღმდეგობრივი კულტურული კონტაქტები იწვევს. ეთნოსთაშორისი ურთიერთობები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ხალხთა ისეთი ურთიერობაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს მოიცავს. ეს სფეროებია: პოლიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება და ა. შ. ვიწრო მნიშვნელობით კი საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა პირადი ურთიერთობები იგულისხმება. ეთნოსთაშორისი ურთიერთობებიდან ეთნოლოგებს, უპირველეს ყოვლისა, კულტურათაშორისი ურთიერთობები აინტერესებთ.

მეცნიერებაში ეთნოკომუნიკაციური პროცესების ორ სახეს გამოყოფენ: **ეთნოტრანსფორმაციულსა** და **ეთნოევოლუციურს**. პირველ შემთხვევაში ცვლილებები ეთნიკურ ცნობიერებაში ხდება, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ ეთნოსის ცალკეული მახასიათებლები იცვლება, რომლის დროსაც, ბუნებრივია, ეთნი-

კური ცნობიერება არ იცვლება. ამერიკელ ანთროპოლოგს *კლაიდ კლაკხონი* ეთნოტრანსფორმაციული პროცესის ასეთ მაგალითს იმოწმებს: მან ნიუ-ორკში გაიცნო ერთი ახალგაზრდა, რომელმაც არცერთი ინგლისური სიტყვა არ იცოდა და, ჩვეულებრივ, ამერიკული ცხოვრების ყაიდისაც არაფერი ესმოდა. „სისხლით“ ის ევროპული წარმოშობის ამერიკელი გახლდათ; მისი მშობლები ინდიანას შტატიდან ჩინეთში მისიონერული მიზნით წასულან. ის ადრეულ ასაკში დობლებულა და მივარდნილ ჩინური სოფლის ერთ-ერთ ოჯახში გაიზარდა. ყველა, ვინც მას იცნობდა, მიიჩნევდა, რომ ის *ჩინელი* უფრო იყო, ვიდრე *ამერიკელი.* მისი ცისფერი თვალები და ქერა თმები უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე სიარულის ჩინური მანერა, ხელების ჩინური მოძრაობა, სახის ჩინური გამომეტყველება და აზრთა ჩინური წყობა. ბიოლოგიური მემკვიდრეობა ამერიკული ჰქონდა, მაგრამ კულტურული აღზრდა – ჩინური. ეს ადამიანი ბოლოს ჩინეთში დაბრუნებულა. მიზეზი ამერიკულ კულტურულ სტანდარტებთან შეუგუებლობაა. რა თქმა უნდა, მისი ევროპულ-ამერიკული „სისხლსაგან“ ორი-სამი თაობის შემდეგ უკვე აღარაფერი დარჩება და მისი შთამომავლები ბოლოს ტიპური ჩინელები იქნებიან ისევე, როგორც ეს დაემართათ სამხედრო გზის გასწვრივ ქართველ მთიელთა შორის დარსენილსა და მათ მიერ აღზრდილ ბოშა ბიჭსა და მის შთამომავლებს. ეს ამბავი XIX საუკუნის დასაწყისში მოხდა. ეს პროცესები კი ეთნოლოგიაში ასიმილაციის სახელითაა ცნობილი.

ეთნოსთაშორისი კომუნიკაციები ორ ძირითად ტიპად იყოფა: **ასიმილაციად** და **ინტეგრაციად**. ასიმილაციის შედეგად ეთნოსი კარგავს ძველისძველ ეთნიკურ თავისებურებებს, იცვლება ეთნიკური იდენტობა, ადამიანთა თვითშეგნება. ეთნიკური ასიმილაციის ორ ტიპს გამოყოფენ: სრულსა და ნაწილობრივს. ამასთანავე ეთნოლოგიაში განასხვავებენ ბუნებრივსა და ძალდატანებით ასიმილაციას. ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის დროს სხვადასხვა ეთნოსები ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად ეთნიკურ ნიშნებს, ინდივიდუალობას, ეთნიკურ იდენტობასა და კულტურის თავისებურებებს.

ეთნოსოციალური განვითარების ტენდენციები თანამედროვე მსოფლიოში. ეთნიკური პროცესების ისტორიული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ეთნიკური პროცესები ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელთაგან ერთი *ინტეგრაციული* მიმართულებისა იყო და მეორე – *დიფერენციაციული.* ერთი ეთნოსის ან მისი ნაწილის დეზინტეგრაცია სხვა ეთნოსის ინტეგრაციასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე ეთნიკური ისტო-

რიის ყოველ ეტაპზე ამ ტენდენციების შეფარდება და მათი გამოვლენის ფორმები სხვადასხვა ფაქტორების შესაბამისად იცვლებოდა.

მადიფერენცირებელი და მაინტეგრირებელი ტენდენციების მოქმედებას კაცობრიობის მთელი ეთნიკური ისტორიის მანძილზე ადევნებენ თვალს, მათ შორის თანამედროვე მსოფლიოშიც. თანამედროვე პირობებში ეთნიკურ პროცესებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, პირველ რიგში, მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოლიტიკურ ფაქტორებს, აზროვნების ტრადიციულ წესსა და ეთნოსის სტრუქტურაში მიმდინარე დემოგრაფიულ ცვლილებებს.

მეცნიერები XX საუკუნეს ხშირად ახასიათებენ ნაციონალური იდეოლოგიისა და ნაციონალური მოძრაობების ეპოქად, სხვანაირად – ნაციონალიზმის ეპოქად. სოციალური განვითარების მაღალმა ტემპმა და ინტენსივობამ ეთნოსთაშორის ურთიერთობებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებზეც მოახდინა გავლენა. ამ დროს წარმოიქმნა მთელი რიგი ახალი სახელმწიფოები. ეთნიკური ფაქტორმა არერთი სახელმწიფო წარმოქმნა XX საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შედეგად. აღნიშნული ნათლად მიუთითებს, იმაზე, რომ ეთნიკური ფაქტორი დღესაც არსებითი და აქტუალუარია. XXI საუკუნის დასაწყისში უდავო ფაქტია, რომ თანამედროვე ეთნოსები მნიშვნელოვნად დიფერენცირებულნი არიან ეკონომიკურ-სოციალური ურთიერთობებით, რელიგიურ-კონფესიური მიკუთვნებულობით, ენობრივი ჯგუფებით და უბრალოდ სიდიდით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეთნოსებისა და ეთნიკური ენების საერთო რაოდენობა თანდათან მცირდება. კაცობრიობის ნახევარზე მეტს შეადგენს 18 ყველაზე დიდი ხალხი. 100 მილიონს კი მხოლოდ შვიდი ხალხი აჭარბებს. ამ ხალხებს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად სუპერგიგანტებსაც უწოდებენ. ესენი არიან: *ჩინელები, ჰინდუსტანელები, ჩრდილოამერიკელები, ბენგალიელები, რუსები, იაპონელები, გერმანელები.*

თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოა მონოეთნიკური. მულტიეთნიკური სახელმწიფოებისათვის კი, ბუნებრივია, დამახასიათებელია ეთნოინტეგრაციული პროცესები. ამავე დროს არ შეწყვეტილა მიგრაციული პროცესები. განვითარებული სახელმწიფოები დღესაც იზიდავენ დაბალკვალიფიციურ მრავალრიცხოვან მუშახელს. ამის შედეგად ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში თავი მოიყარა უამრავმა უცხოელმა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლონდონის ნეგროიდული მოსახლეობა, *ალჟირელები* პარიზში, *ინდოელები*

სამხრეთ აფრიკაში, *თურქები* გერმანიაში და ა. შ. რუსეთში თავს იყრიან არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები ეთნიკური *რუსები*, არამედ სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, შუა აზიიდან მიგრირებულები. თავის მხრივ, რუსეთიდან მოსახლეობის დიდი გადინებაა დასავლეთის მიმართულებით. იგივე მდგომარეობაა საქართველოში – ფერტილური ასაკის ქართველთა ძალიან დიდი ნაწილი უცხოეთშია წასული. ქართული სოფლები, ფაქტობრივად, ხნიერი ადამიანების ამარაა დარჩენილი. რა ბედი ელით დასალეთში გადახვეწილ ქართველებს? – იქ დარჩენის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დეეთნიზაციის პროცესი გარდაუვალია. დეეთნიზაციის დამაჩქარებელი ფაქტორი კი შერეული ქორწინებებია. როგორც ცნობილია, ეთნოეგზოგამიური ქორწინება ეთნიკური თავისთავადობის დაკარგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ეთნოლოგთა მიერ დადგენილია, რომ თუ ეთნოეგზოგამიური ქორწინებების რაოდენობა 20-25%-ს აჭარბებს, მაშინ ხდება „ენდოგამიის გარღვევა“ და ეთნოსი თანდათანობით ასიმილაციის გზას ადგება. შერეული ქორწინებების შედეგად დაბადებულთა ეთნიკური იდენტიფიკაცია იმ ეთნიკური გარემოს მიხედვით ხდება, სადაც ბავშვის სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

ეთნიკური კონფლიქტები თანამედროვე მსოფლიოში. თანამედროვე კაცობრიობა საკმაოდ რთული ეთნიკური სისტემებისაგან შედგება. როგორც აღვნიშნეთ, ეთნიკური ერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ განვითარების დონითაც. პლანეტის მრავალფეროვანი ეთნიკური ერთობები 200-ზე მეტ სახელმწიფოში არიან თავმოყრილნი. ამიტომაც სახელმწიფოთა უმეტესობა პოლიეთნიკურია / მულტიეთნიკურია. განსაკუთრებული პოლიეთნიკურობით ხასიათდება ე. წ. განვითარებადი ქვეყნები. მაგალითად, მხოლოდ **ინდოეთში რამდენიმე ასეული ეთნიკური ერთობაა თავმოყრილი, ინდონეზიაში მათი რაოდენობა 150-ს აჭარბებს, ხოლო ნიგერიაში ოფიციალურად 200 ეთნოსი ცხოვრობს, კენიაში – 70.**

სახელმწიფოთა რთული ეთნიკური სტრუქტურა ხშირად წარმოშობს სხვადასხვა სახის პრობლემებს, წინააღმდეგობებს, დაძაბულობებს, კონფლიქტებს. თანამედროვე მსოფლიოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ეთნიკური კონფლიქტების გამწვავება. ზოგიერთი მათგანი უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია გრძელდება, ზოგიერთიც კი არცთუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. გაჭიანურებულ ეთნიკურ კონფლიქტებს შორის შეიძლება ევროპაში მიმდინარე *ირლანდიელთა* და *ოლსტერელთა, ფლამანდიელთა* და *ვალონელთა*, კანადაში კი *ანგლოკანადელთა* და *ფრანგოკანადელთა* კონფლიქტები დავასახელოთ. ბოლო

ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა კონფლიქტებმა კი უკიდურესად დაძაბული და სისხლისმღვრელი სახე მიიღო. ძალიან ხშირია ეთნიკური კონფლიქტები აფრიკის კონტინენტზე. არც აზიისათვისაა ეთნიკური კონფლიქტები უცხო. **ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა ეთნიკური კონფლიქტების კვლევაა.** ამ ასპექტზე ეთნოლოგიურ კვლევებში ბოლო წლებში უფრო გაამახვილეს ყურადღება. განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნიკური კონფლიქტები ქართველებისთვის, რადგან საბჭოთა იმპერიის დაშლას ეთნიკური დაპირისპირება და კონფლიქტები, სამწუხაროდ, საქართველოშიც მოჰყვა. ამ კონფლიქტების მოწესრიგება მეცნიერული შესწავლის გარეშე ერთობ რთული იქნება. ასეთ შემთხვევაში კი განუზომლად იზრდება ეთნოლოგიური მეცნიერების როლი – ის სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. იმის გამო, რომ ეთნიკური კონფლიქტების შესწავლა და კვლევა ქართული ეთნოლოგიისათვის შედარებით ახალი საქმეა, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა თეორიული პრობლემის გააზრება.

ნებისმიერი სოციალური კონფლიქტის ბუნება, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტისაც, ყოველთვის რთული და წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ის განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებითა და კონფლიქტოგენური ფაქტორებით, მხარეთა აშკარა და ლატენტური (ფარული) ინტერესებით, განვითარების გარკვეული ეტაპებითა და წინააღმდეგობათა სხვადასხვა ფორმებით. ყოველგვარი ეთნიკური კონფლიქტი ეთნიკური დაძაბულობით, ეთნიკური ერთობის განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობით იწყება. ეთნიკური კონფლიქტი არახელსაყრელი გარე ფაქტორების პროცესში ფორმირდება, რომელიც შელახავს ეთნოსის ინტერესებს, მისი მდგომარეობის დესტაბილიზაციას ახდენს და აგრეთვე აძნელებს მის განვითარებას.

ეთნოსთა შორის დაძაბულობის ფორმირებაში ძალიან მნიშვნელოვანია მათი ურთიერთობების ისტორია. ისტორიული მახსოვრობა განსაკუთრებით კარგად აფიქსირებს ნაციონალურ წყენასა და მადლიერებას. ისტორიულ თემებზე მიტინგები სოციალური დაძაბულობის ეთნოსთაშორისი დაძაბულობის რანგში გადაყვანას განაპირობებს. ყოველთვის ხელსაყრელია მიუთითო ისტორიულ მტერზე, ვიდრე გაერკვიო იმაში, ვინ ტყუის ხალხის დღევანდელ მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, რა უნდა გააკეთო, რათა თავი დააღწიო არსებულ მდგმარეობას. წარსული ამ შემთხვევაში აწმყოს პრიზმაში აღიქმება.

ეთნიკური კონფლიქტი ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა იმიტომ, რომ კულტურულ-ენობრივი ან სოციალურ-ეკონომიკური

ამოცანების გადასაწყვეტად და სხვა ნაციონალური მიზნების მისაღწევად, როგორც წესი, აუცილებლად იყენებენ პოლიტიკურ გზებსა და მეთოდებს. ეთნოსთაშორის დაძაბულობასა და კონფლიქტებს განაპირობებს არა თვით ეთნოსების არსებობის ფაქტი, არამედ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული პირობები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ და ვითარდებიან. ეთნიკური კონფლიქტების საკითხების შესახებ ისტორიული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ტერიტორიული პრობლემა, ტერიტორიული დავაა. ტერიტორიული პრეტენზიების დასასაბუთებლად, როგორც წესი, გამოიყენება ისტორიული ფაქტები. სადავო ტერიტორიის ეთნიკურ მიკუთვნებულობას მხარეები თავისებურად განიხილავენ; არ ერიდებიან ისტორიის გაყალბებას, მითოლოგემების შექმნას. ისტორიის გაყალბებისა და მითოლოგემების შექმნით განსაკუთრებით ოსი ავტორები გამოირჩევიან, რომლებსაც მხარს უმაგრებს რუსული საგამომცემლო და საინფორმაციო სივრცეები.

ეთნოტერიტორიული პრობლემების მეორე ჯგუფი დაკავშირებულია დამოუკიდებელი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის საკითხთან (მაგალითად, ყარაბაღის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი).

ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ უმნიშვნელოვანეს მიზეზად ასახელებენ ეთნოსების ბრძოლას მატერიალური რესურსებისა და საკუთრებისათვის, რომელთა შორის ყველაზე ფასეული მიწა და წიაღისეულია. სხვათა შორის, რუსულ ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი კონფლიქტის მაგალითად ჩაჩნეთის ომი მიაჩნიათ. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ჩაჩნურ-რუსული კონფლიქტის ნამდვილი მიზეზის გაუბრალოების აშკარა ცდაა. ჩაჩნურ-რუსულ კონფლიქტს უფრო ღრმა, კომპლექსური მიზეზები აქვს, რომელთაგანაც ძირითადი ტერიტიორიული, პოლიტიკური და ეროვნული მიზეზებია. ჩაჩნეთის კონფლიქტის წარმოქმნაში ისტორიული მახსოვრობის როლიც დიდია (კავკასიის კოლონიზაციის დროს რუსეთის არმიის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ამოწყვეტა, სოფლების გადაბუგვა, მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნოსის საკუთარი განსახლების არეალიდან აყრა და შუა აზიაში გადასახლება).

ეთნიკური კონფლიქტების წარმომქმნელ მნიშვნელოვან ფაქტორთა შორის შეიძლება დასახელდეს არანაკლები მნიშვნელობის მქონე **ხალხის ისტორიული მახსოვრობა,** რომელშიც შემონახულია ძალადობრივი მოქმედების ნაკვალევი (ნაციონალური საზღვრების თვითნებური შეცვლა; ეთნიკური ერთობის ხელოვნური დანაწევრება; უმართებულო ნაციონალური მოწყობა; „სამუშაო ძალის“ იძულებითი გადასახლება; ხალხების დეპორტაცია და ა. შ.). ოსურ-ინგუშური ეთნიკური დაპირისპირები-

სა და კონფლიქტის მიზეზი ტერიტორიულ საკითხებთან ერთად ისტორიული მახსოვრობაცაა (რუსეთის ცენტრალური სახელმწიფოს ხელშეწყობით ოსების მიერ ინგუშთა ისტორიული მიწა-წყლის მიტაცება).

თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტები მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მიზეზებით არ შემოიფარგლება. ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ეთნოსთა შორის კონფლიქტის კონკრეტული მიზეზები რომ გავიგოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის სპეციფიკა, რომელიც კონკრეტული კონფლიქტისათვის არის დამახასიათებელი და რომლის ხასიათიც შეიძლება მისი მსვლელობის ესკალაციისას შეიცვალოს. არსად, არცერთ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ასახელებენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცისათვის იყო და არის დამახასიათებელი. ესაა საბჭოთა (რუსეთის) ხელისუფლების მიერ ხელოვნურად ინიცირებული ეთნიკური დაპირისპირებები და კონფლიქტები, რათა შესაბამის ეთნიკურ რეგიონებში იმპერია დიდხანს დარჩენილიყო და ერთგვარად მომრიგებელი მოსამართლის როლშიც მოგვვლინებოდა. სამწუხაროდ, რუსეთის ამ ანკესს საბჭოთა იმპერიაში შემავალი არაერთი ხალხი წამოეგო. საამისო მიზანმიმართული ქმედებები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობდა, როდესაც მიზანმიმართულად აუცხოებდნენ ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებს, ხელს უშლიდნენ მათ დაახლოებასა და ინტეგრაციულ პროცესებს. საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს დაახლოებისა და ინტეგრაციის საშუალება მხოლოდ რუსებთან ჰქონდათ.

ყოფილ საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური კონფლიქტების მრავალ მიზეზს რამდენიმე ჯგუფად აერთიანებენ: *1. სოციალურ-ეკონომიკური* – ცხოვრების დონის უთანაბრობა, სხვადასხვა პრესტიჟულ პროფესიებში, სოციალურ ფენებსა ან ხელისუფლების ორგანოებში სხვადასხვაგვარი წარმომადგენლობა. *2. კულტურულ-ენობრივი* – ეთნიკური უმცირესობის თვალსაზრისით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ენის, კულტურის არასაკმარისი გამოყენება (საქართველოში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიტების ერთ-ერთი მიზეზი აფხაზებისა და ოსების მხრივ ქართულ ენის უცოდინრობაც იყო. საბჭოთა პერიოდში მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, შეგნებულად არ ასწავლიდნენ ქართულ ენას და ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ რუსული ენის შესწავლაზე); *3. ეთნოდემოგრაფიული* – კონტაქტში მყოფი ხალხების მიგრაციის გზით რაოდენობრივი შეფარდების სწრაფი შეცვლა (რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში ხელისუფლება თითქმის ყველა დაპყრობილ მხარეს დემოგრა-

ფიული თვალსაზრისით მიზანმიმართულად აჭრელებდა, განსაკუთრებით რუსული ეთნოსის წარმომადგენელთ ასახლებდა იქ. ასე ააჭრელა ეთნიკურად რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორია სომხებითა და ბერძნებით თურქეთის ტერიტორიიდან ჯგუფური გადმოსახლებით. *4. ექსტერიტორიული* – ხალხთა განსახლების საზღვრებთან სახელმწიფოებრივი ან ადმინისტრაციული საზღვრების არათანმთხვევა (მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის იმ ტერიტორიების მიკუთვნება, რომლებიც ოსური ეთნოსის წარმომადგენლებით არც ისტორიულად და არც იმ დროისათვის დასახლებული არ იყო. საბჭოთა პერიოდში ინგუშთათვის ისტორიული ტერიტორიის წართმევა და ამ ტერიტორიის ოსებისათვის გადაცემა. *5. ისტორიული* – ხალხთა წარსული ურთიერთობა (მაგალითად, ომები, დაქვემდებარება და ა. შ.) ამ კონტექსტში განიხილება სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური კონფლიქტი. თურქთა შემოსევების შედეგად სომხური სახელმწიფოებრიობის დაკარგვა; 1915 წელს თურქულ-სომხური დაპირისპირება, სომხების მასობრივი გაწყვეტა და დასავლეთ სომხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან გაყრა. *7. რელიგიურ-კონფესიური* – სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიებისადმი მიკუთვნებულობით (ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ერთენოვანი მოძმე სლავი ხალხების ეთნიკური კონფლიქტები). აღიარებულია, რომ რელიგიურ-კონფესიური მიზეზით წარმოქმნილი ეთნიკური კონფლიქტების შედეგები ბევრად უფრო ტრაგიკულია.

ეთნიკური კონფლიქტების კლასიფიკაცია. ეთნიკური კონფლიქტების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. გამოვლენის ფორმით მიღებულია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან **ლატენტური (ფარული)** და **აქტუალიზებული (ღია)** კონფლიქტები. ლატენტური კონფლიქტი შეიძლება ასებობდეს ათეული წლებისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში და ღია კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში. როგორც წესი, ლატენტური კონფლიქტები ადამიანთა არსებობისა და ურთიერთობისათვის უშუალო საშიშროებას არ წარმოადგენს, ყველაზე საუკეთესოა კონფლიქტის ამ ფორმაში გადაწყვეტა.

I.15.ეთნიკური კულტურის შესახებ. ეთნიკურ კულტურათა კლასიფიკაცია

ეთნოლოგიის ძირითადი ცნებები *ეთნოსი* და *კულტურაა,* უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, *ეთნიკური კულტურა.* ეთნოსთან, ეთნიკურ კულტურასთან ერთად ის საზოგადოებასაც და მათ კულტურასაც სწავლობს. ეთნიკური კულტურა, საზოგადოების კულტურა ის ცნებებია, რომლებითაც ეთნიკური ერთობები, სხვადასხვა საზოგადოებები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ე.ი. ყოველ ეთნოსს, ყოველ საზოგადოებას თავისი სპეციფიკური კულტურა ახასიათებს. კულტურა მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებასა და გარკვეულ ეთნოსში გამომჟღავნდება. ეთნოლოგებს (ანგლოსაქსურ ქვეყნებში სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგებს) უხდებათ როგორც დიდი ეთნოსების (საზოგადოებების), ისე პატარა ეთნოსების (საზოგადოებების) შესწავლა.

ეთნოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველა დიდი თუ პატარა ეთნოსისათვის (ეთნიკური ერთობისათვის), საზოგადოებისათვის, ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური და უნიკალური კომპლექსები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ამავე დროს ისინი მეტ-ნაკლებად ცვლილებებსაც განიცდის. მეცნიერებაში *ეთნიკურ კულტურას* ზოგჯერ *ტრადიციული კულტურის,* იშვიათად *ყოფითი კულტურის* სახელითაც მოიხსენიებენ.

ეთნიკური კულტურა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა – ის კაცობრიობის თანმდევი მოვლენაა. უკულტურო ხალხები არასდროს არ არსებობდნენ. აღნიშნავენ, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ ერთობებსაც კი – ტასმანიელებს, ბუშმენებს, ავსტრალიელ აბორიგენებს და სხვ. შექმნილი ჰქონდათ რთული და თვითმყოფადი კულტურები, რომლებიც ოპტიმალურად იყო შეგუებული ბუნებრივ პირობებთან. ეთნიკური კულტურა ეს ეთნოსის წევრების კოლექტიური ძალისხმევით შექმნილი ხელოვნური გარემოა. ეთნიკური კულტურა ეთნოსის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. ის გულისხმობს ეთნოსის მატერიალური და სულიერი კულტურების ერთობლიობას.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ ეთნიკური კულტურის ესა თუ ის მოვლენა სრულიად შესაძლებელია ერთი ეთნოსით არ იყოს შემოსაზღვრული. **ერთი კულტურული ფაქტი, მოვლენა ზოგჯერ და ხშირადაც რამდენიმე ეთნოსისათვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი კულტურული თავისებურება კი მოცემულ ისტორიულ ეპოქაში მრავალი ხალხის ანდა მთელი კაცობრიობისათვისაა ნიშანდობლივი.** მაგალითად, პურის ვერტიკალური

საცხობი – *თორნე* არა მარტო ქართველი ხალხის კულტურულ საკუთრებას წარმოადგენს, არამედ ის ფართოდაა გავრცელებული ავღანეთში, ირანში, სომხეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში. ისეთი ხალხური სატრანსპორტო საშუალება, როგორიცაა ორბორბლიანი ურემი, საქართველოს გარდა, გავრცელებული იყო საერთოდ კავკასიასა და თურქეთშიც. ეთნიკური კულტურის ერთობის დამადასტურებელ მაგალითად შეიძლება პირამიდული გადახურვის, ანუ ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი სახლი დავასახელოთ, რომელიც სამი სამხრეთ კავკასიური ეთნოსის – ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ეთნიკური კულტურის ელემენტია. აღნიშნულმა ეთნოლოგიურმა ფაქტმა მეცნიერებს სამართლიანად აფიქრებინა, რომ სამ სხვადასხვა ეთნოსში ერთი ტიპის საცხოვრებელი სახლის გავრცელება კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შედეგი იყო.

ეთნოლოგიაში ხშირად ახდენენ ეთნიკური კულტურის ელემენტების კლასიფიკაციას. **კლაციფიკაცია ნიშნავს ამა თუ იმ ობიექტთა განაწილებას მათი საერთო, ურთიერთდაკავშირებული ნიშნების მიხედვით.** არსებობს სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, რომლებსაც საფუძვლად სხვადასხვა კრიტერიუმი უდევს. ყველა მათგანი შედარებითი და სუბიექტურია, რადგანაც ყურადღება კულტურის სხვადასხვა თვისებასა და ნიშანზეა აქცენტირებული.

ეთნოლოგები კულტურის შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობენ: ა) *სოფლისა და ქალაქის კულტურები;* ბ) *გეოგრაფიული კლასიციფიკაცია;* გ) *სოციალური კლასიფიკაცია;* დ) *რელიგიურ-კონფესიური კლასიფიკაცია*; ე) *მატერიალური და სულიერ კულტურები.* ასეთი კლასიფიკაცია ევროპულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა.

მატერიალური კულტურა საგნებისა და ნივთების ერთობლიობაა. მატერიალურ კულტურას მიეკუთვნება: შრომის იარაღები, ცეცხლის გამომწვევი საგნები, საბრძოლო იარაღები, გადაადგილების საშუალებები, სიმძიმეების გადასატანი მოწყობილობანი, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, საჭმელი, სასმელი, ჭურჭელი, დგამ-ავეჯი, სამკაული და ა. შ. ამავე კატეგორიაში ათავსებენ კულტურულ მცენარეებს, შინაურ ცხოველებს, სხეულის მოვლის საშუალებებს, ტატუირებას... ცნება „მატერიალური კულტურა“ მოიცავს არა მარტო წარმოების სფეროსა და მოხმარებასთან დაკავშირებულ საგნებსა და ნივთებს, არამედ მათთან დაკავშირებულ ადამიანთა მოღვაწეობის ფორმებსაც.

სულიერ კულტურაში შედის ფოლკლორის სხვადასხვა ფორმები, რიტუალური ქმედებები (წეს-ჩვეულებები), ეთიკური ნორმები, ესთეტიკური წარმოდგენები, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და კულტები. სხვაგ-

ვარად რომ ვთქვათ, **სულიერი კულტურა არის ის ინფორმაცია, რომელიც კოლექტიურ მეხსიერებაში არსებობს და თაობიდან თაობას გადაეცემა მონათხრობის სახით ან გამოვლინდება ქცევის გარკვეულ ფორმებში.**

ეთნოსს ახასიათებს მუდმივი სოციოკულტურული ანტითეზა – **„ჩვენ"-"ისინი", „თავისი"- „სხვისი".** ამიტომ ეთნოსი ეს ის კულტურული ერთობაა, რომელიც თავს გაიცნობიერებს როგორც ისეთ ერთობას, რომელიც სხვა ანალოგიური ერთობებისაგან განსხვავდება. ეთნიკური კულტურის დეტერმინანტ ფაქტორებად მიიჩნევა ბუნებრივი პირობები, ფსიქოლოგიური, რასობრივი, რელიგიური, კონტინენტური თავისებურებები.

ყოველი ეთნიკური კულტურის ფორმირებაში, როგორც აღნიშნული იყო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ჯგუფური იდენტობის გრძნობის წარმოქმნას განაპირობებს.

საყოველთაოდ ცნობილია რელიგიის როლი ეთნიკური კულტურის ფორმირებაში. ისტორიაში კარგადაა ცნობილი ფაქტები, როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკენი სხვადასხვა რელიგიების გამო სხვადასხვა ეთნოსებად, ე. ი. სხვადასხვა ეთნიკური კულტურების მატარებლებად ჩამოყალიბდნენ.

ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია აგრეთვე ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი), რომელიც ხშირად *ენდოეთნონიმის* / ავტოეთნონიმის / თვითსახელწოდების და *ეგზოეთნონიმის* / ალოეთნონიმის/ გარესახელწოდების სახით გვხვდება.

ამრიგად, ეთნიკური კულტურის სპეციფიკა და მრავალფეროვნება სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული. ამასთან ერთად, ეთნიკური კულტურა საერთო ხასიათისაა და ეთნოსის საერთო კულტურით სრულად წარმოჩინდება იგი. ამასთანავე, ეთნიკური კულტურა ეთნიკური თვითშეგნების გაღრმავების ერთ-ერთი საფუძველიცაა.

ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო გამოკვლევაში *ტრადიციული, ანუ ეთნიკური კულტურის* ერთგვარად სხვაგვარი კლასიფიკაციაა შემოთავაზებული. მაგალითად, ერთ-ერთი კლასიფიკაცია ოთხი ქვესისტემის არსებობას ითვალისწინებს: 1. ***წარმოებითი კულტურა*** (პროდუქტების შექმნის პროცესი და მისთვის აუცილებელი სამეურნეო ძალა); 2. ***სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურა*** (პროდუქტების მოხმარება – საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი...); 3. ***სოციონორმატიული კულტურა*** (სამართალი – რა შეიძლება და რა – არა, ეთიკა – რა შეიძლება გააკეთო და რა არა; ესთეტიკა – წარმოდგენა ლამაზსა და ულამაზოზე, მშვენიერსა და არამშვენიერზე. სოციონორმატიული კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა ქცევებს); 4. ***ჰუმანიტარული კულტურა*** (ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმე-

დების მოტივსა და სტიმულს ქმნის, ესენია სამყაროს შეცნობის რაციონალური და ირაციონალური საშუალებანი – მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია). ყველა ზემოაღნიშნული ქვესისტემა არსებობს არა განცალკევებულად, არამედ ისინი ერთმანეთს კვეთს. ჰუმანიტარული და სოციონორმატიული სფეროები ცხოვრების უფრო სულიერ მხარეებთან არის დაკავშირებული, წარმოებითი და სიცოცხლისუზრუნველყოფის სფეროები კი – მატერიალურ მხარესთან.

მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ეთნიკური კულტურები არაერთგვაროვანია. შიდა ეთნიკური მოზაიკურობა ახასიათებს როგორც დიდი მასშტაბით ურბანიზებულ ეთნოსებს, ისე სრულიად ტრადიციულებსაც.

ყველა ეთნოსის კულტურა კულტურული ფასეულობების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც თვით მოცემული ეთნოსის მიერაა შექმნილი (ეთნიკური კულტურა) და რომელიც შეთვისებულია სხვა ეთნოსებისაგან ურთიერთობის, ურთიერთქმედების პროცესში. ამა თუ იმ ხალხის უმაღლესი კულტურული მონაპოვარი აუცილებლად სხვა ხალხების კულტურების საკუთრებადაც იქცევა.

ხშირად ეთნიკური (ტრადიციული) კულტურა ერთგვარად გაქვავებულ მოვლენად მიაჩნიათ, მაგრამ სინამდვილეში ის საკმაოდ დინამიური და ცვალებადი სისტემაა. მასზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად შეიძლება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება დავასახელოთ. სწორედ გარემო ბევრად განაპირობებს ტანსაცმლის, საცხოვრებლის და სხვ. თავისებურებებს. ლანდშაფტი და ნიადაგი გავლენას ახდენს ადამიანის შრომით საქმიანობაზე, დასახლების ტიპსა და დაგეგმარებაზე, ბუნებრივი ზღუდეები კი (დიდი მდინარეები, მთები) ეთნიკურ საზღვრებს წარმოადგენს და გარკვეულად ზღუდავს განსახლებასა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის ეთნიკურ კონტაქტებს.

ეთნიკური კულტურის დინამიკაზე გავლენას ახდენს ეთნოპოლიტიკური (ეთნოსოციალური) ფაქტორებიც. ეთნოსი მეზობლების გარემოცვაში, მათთან კონტაქტში ვითარდება. ხშირად ეს კონტაქტებიც ორმხრივი ხასიათისაა. კულტურების ამ ურთიერთშეღწევას აკულტურაციას უწოდებენ. ამ დროს ეთნიკურ კულტურაში ცვლილებები მიმდინარეობს.

ერთ ტერიტორიასა და ერთ ეკოლოგიურ გარემოში მცხოვრებ ეთნოსებს ხანგრძლივი ურთიერთობისას, მათი განსხვავებული წარმომავლობის მიუხედავად, მსგავსი კულტურული ნიშნები ჩამოუყალიბდათ. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა დროთა განმავლობაში ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი დინამიკა განიცადეს – კავკასიაში დასახლებულ *ოსთა, ყა-*

რაჩაელთა და ბალყარელთა წინაპრებს კავკასიის მთებში დასახლებამდე განსხვავებული კულტურა ჰქონდათ. ცნობილია, რომ როგორც ირანულენოვანი ოსების, ისე თურქულენოვანი *ყარაჩაელებისა* და *ბალყარელების* წინაპრები კავკასიაში დასახლებამდე მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ და მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობას მომთაბარული მეცხოველეობა წარმოადგენდა. კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კი ისინი მიწათმოქმედნიც გახდნენ. ბუნებრივია, შეიცვალა მათი მატერიალური კულტურის არაერთი სხვა ელემენტიც, მაგალითად, საცხოვრებლის ტიპი.

და ბოლოს, ეთნიკური კულტურის დინამიკა დამოკიდებულია ეთნოსის მიერ დაგროვილ ისტორიულ გამოცდილებაზე. ტრადიციებისაგან ხშირად განასხვავებენ ინოვაციებს. ამ ტერმინით ახალ ელემენტებს აღნიშნავენ, რომლებსაც გარედან, სხვა ეთნოსებისაგან ითვისებენ ან თვით ეთნიკური კულტურის წიაღში წარმოიქმნება. **ინოვაცია ტრადიციაში ახალი ელემენტის შეტანას, ანუ დინამიკას გულისხმობს. საერთოდ, ეთნიკური კულტურის განვითარება ძველის – ტრადიციულისა და ახლის – ინოვაციის მუდმივი ურთიერთქმედებაა.**

ადამიანები არა მარტო კულტურების, არამედ ცივილიზაციების შემქმნელნიც არიან. კულტურის შემქმნელი დედამიწაზე არსებული ყველა ეთნოსი იყო. რაც შეეხება ცივილიზაციას, ის ყველას არ შეუქმნია. ჩვენთვის ცნობილი უძველესი ცივილიზაციები ძველი სამყაროს დიდი მდინარეების – *ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, ინდის, განგის, ხუანხეს* – აუზებში წარმოიქმნა. ისტორიაში ცნობილია ძველი დროის რამდენიმე პირველადი, ადრეული ცივილიზაცია, რომლებიც წარმოიქმნა იქ, სადაც ადრე მისი ანალოგიური რამ არ არსებობდა. ესენი იყო ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის დასაწყისში წარმოქმნილი ძველეგვიპტური ცივილიზაცია, ამავე ათასწლეულის შუა ხანებში – მესოპოტამიური (*შუმერი, აქადი*) ცივილიზაცია, III ათასწლეულის დასაწყისში – ინდის ცივილიზაცია, II ათასწლეულის შუა ხანებში – ხუანხეს ცივილიზაცია, I ათასწლეულის შუა ხანებში – ანდის (*ინკების*) და მეზოამერიკის (*მაიას, აცტეკების* და სხვა ხალხების) ცივილიზაციები. ყველა მათგანი სარწყავ მიწებზე დასახლებული სატომო გაერთიანებების შედეგად წარმოიქმნა.

სიტყვა „ცივილიზაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან „ცივილის“, რაც აღნიშნავდა „სამოქალაქოს“, „საქალაქოს“. მართლაც, ქალაქი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ცივილიზაცია კულტურისა და საზოგადოების ისეთი ფორმაა, რომელსაც ახასიათებს ქალაქები, საზოგადოების წოდებრივი და კლასობრივი დაყოფა (სოციალურად სტრატიფი-

ცირებული საზოგადოება) და მმართველობის გაფორმებული წესი (ხელისუფლება, საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა).

ცივილიზაცია ყველა ისტორიულ-კულტურულ ოლქში არ წარმოქმნილა. გარდა ამისა, ცივილიზაციები სამარადისო მოვლენები არაა. ისტორიის მიმდინარეობისას ყველა ძველი ცივილიზაცია მოისპო. ეგვიპტე დაეცა სპარსელების, შემდეგ ბერძნებისა და საბოლოოდ მუსლიმი ხალხების შეტევების შედეგად. შუამდინარეთის კულტურის ნაშთები შემორჩენილი იყო ბაბილონის კულტურაში, შემდეგ კი მასთან ერთად გაქრა, ის *სპარსელებმა* და *არაბებმა* შთანთქეს. ინდისა და ხუანხეს ცივილიზაციის ელემენტები ძველინდურ და ძველჩინურ კულტურებში გადავიდა. ძველეგვიპტური ცივილიზაცია და შუამდინარეთის ცივილიზაცია გვიანდელი იუდაურ-ქრისტიანული (რომელიც გვიან ებრაულ, დასავლურქრისტიანულ და აღმოსავლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციებად დაიყო) და დასავლეთევროპული კულტურების საფუძლად იქცა. ლათინური, ებრაული და არაბული ანბანები ძველფინიკიური დამწერლობიდან მომდინარეობენ, რომელიც თავის მხრივ ეგვიპტურ იეროგლიფებთანაა დაკავშირებული.

გარკვეული ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად არსებობდა ისლამური, ინდური, შორეულაღმოსავლური ცივილიზაციები. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში მათ თავიანთი თვითმყოფადობა დაკარგეს, რომელთა საფუძველზე ფაქტობრივად დასავეთევროპული ცივილიზაციების მსგავსი ცივილიზაციები წარმოიქმნა. მეცნიერთა დიდი ნაწილი დღეს თვლის, რომ რაც კი კაცობრიობას შეუქმნია, ყველაზე უკეთესი დასავლეთევროპული, ლიბერალურ-დემოკრატიული ცივილიზაციაა, რომელზედაც ორიენტირებულია მთელი დანარჩენი მსოფლიო. თუმცა დასავლეთევროპული ცივილიზაციის ზოგიერთი პოსტულატი, როგორებიცაა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, პიროვნების უფლებების პრიმატი, აზრის, სინდისისა და სიტყვის თავისუფლება და რიგი სხვა მაქსიმები ზოგიერთი სხვა ცივილიზაციისათვის მიუღებელია. მათთვის დასავლური ცივილიზაციის, მენტალობის ძალით თავს მოხვევა კი კონფლიქტის წარმოქმნის ერთგვარი წინაპირობაა. სხვათა შორის, დასავლური ცივილიზაციის პოსტულატების სწრაფმა გავრცელებამ ირანში გარკვეული ხნის შემდეგ უკუშედეგი, უკურეაქცია მოგვცა, რისი საბოლოო შედეგიც შუა საუკუნეებისაკენ დაბრუნება, ფუნდამენტალური ისლამური სახელმწიფოს შექმნა გახლავთ. არაევროპული ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელია რელიგიური კულტი, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისადმი ერთგულება, თვითდისციპლინა, ქცევის შეზღუდულობა. ამ ცივილიზაციების წარმომადგენლები ხშირად ლაპარაკობენ დასავლეთევროპული ცივილიზაციების

უპერსპექტივობასა და არასულიერებაზე, ისლამური, „ევრაზიური“, „ნეგრო-აფრიკული“ ცივილიზაციების უპირატესობაზე.

წარმოშობის მომენტისათვის ცივილიზაციის აუცილებელი მახასიათებელი ნიშანია ქალაქი. ქალაქს კი ქალაქად აქცევდა სამი კომპონენტი: სასახლე, ტაძარი და ხელოსანთა კვარტალი. ინდუსტრიულ საზოგადოებამდე ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხშირად 80-90% შეიძლება მიწათმოქმედნი (გლეხები) ყოფილიყვნენ. ქალაქში რეზიდენცია უნდა ჰქონოდა მეფეს ან ზედაფენის წარმომადგენელს, აქ უნდა ეცხოვრათ კარის მოსამსახურეებს, ქურუმებს, ხელოსნებს, რომლებიც ნაწარმს ყიდდნენ. განვითარებულ ცივილიზაციას აუცილებლად ახასიათებდა დამწერლობა როგორც წმინდა ტექსტების ჩასაწერად, ისე საქმიანი მიმოწერისათვის, ქრონიკების ჩასაწერად და ა. შ. საერთოდ, ძველი ცივილიზაციების აუცილებელ ნიშნად გონებრივ შრომაში დასაქმებულთა ფართო ფენასაც მიიჩნევენ. ძირითადად ესენი იყვნენ სახელმწიფო და სასულიერო მოსამსახურეები.

ყოველი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი იყო საზღვრების გაფართოება, ვრცელი ტერიტორიების მოცვა. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა ძველეგვიპტური ცივილიზაცია. ცივილიზაციების უმეტესობა კულტურული ექსპანსიისაკენ მიისწრაფოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ყველა სახელმწიფომ ვერ შეძლო ცივილიზაციის ფორმირება. მაგალითად, თანამედროვე უგანდის ტერიტორიაზე არსებობდა ბუგანდის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავდა მეფე, კარის მოსამსახურენი, საზოგადოება სხვადასხვა წოდებრივი ფენებისაგან შედგებოდა, მაგრამ ქვეყანაში არ არსებობდა ქალაქები, დამწერლობა, სასახლეები, ტაძრები. ზოგჯერ ლაპარაკობენ აფრიკული, არქტიკული, პოლინეზიური, ავსტრალიური ცივილიზაციების შესახებ, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი ცივილიზაციები არ არსებობდა. ჩვენი აზრით, იგივე უნდა ითქვას „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ. როგორც ცნობილია, კავკასია ორი გეოგრაფიული ერთეულისაგან – სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიისაგან შედგება. სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე შეიქმნა ცივილიზაციები ყველა თავისი ნიშნით; მაგრამ, რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ასეთი რამ ისტორიისათვის ცნობილი არ არის. საერთო კავკასიური კულტურისა თუ ცივილიზაციის არსებობა იმიტომაც გამოირიცხება, რომ კავკასიის ხალხები სხვადასხვა რელიგიების მიმდევარნი იყვნენ და, ბუნებრივია, აქედან გამომდინარე ისინი სხვადასხვა მენტალობის მატარებელნი იყვნენ.

ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, ეთნოლოგიაც ახდენს შესასწავლი ობიექტის კლასიფიკაციას. ჩვენს შემთხვე-

ვაში საუბარია მსოფლიოს ხალხების კლასიფიკაციაზე. კლასიფიკაციის ხერხები სხვადასხვაა და მას ახდენენ როგორც ფუნდამენტური, ისე კერძო ნიშნებით; ესენია: *გეოგრაფიული* (კონტინენტების, ლანდშაფტების, კლიმატის მიხედვით), *ფიზიკური ანთროპოლოგიური,* ანუ *რასობრივი, ლინგვისტური* (ენათა ოჯახების მიხევით), *რელიგიურ-კონფესიური* და სხვ. ეთნოლოგიისათვის არსებითია კლასიფიკაციის შემდეგი სახეები: *გეოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური* და *სამეურნეო-კულტურული.* მართალია, ეთნოლოგები ხშირად საუბრობენ ანთროპოლოგიურ (რასობრივ) კლასიფიკაციაზეც, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული კლასიფიკაციებიდან არცერთი არაა სრულყოფილი. საუკუნეზე მეტია, რაც სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მიერ შემუშავებულია მსოფლიოს ხალხების ცალკეული კლასიფიკაციები და თითოეული მათგანი ჰიპოთეტურია და შემდგომ გადამუშავებას მოითხოვს.

*გეოგრაფიული კლასიფიკაცი*ის საშუალებით რეგიონულ ოლქებს გამოყოფენ. ასეთი დაჯგუფება არა მხოლოდ ხალხების „მისამართზე“ მიუთითებს, არამედ შეიცავს კონკრეტული ზონის მონაცემებს ლანდშაფტის, კლიმატის და სხვა მახასიეთებლების შესახებ. გეოგრაფიული კლასიფიკაციით შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ ეთნოსის სამეურნეო და კულტურულ იერსახეზე. ერთიანი, ყველასათვის მისაღები გეოგრაფიული კლასიფიკაცია არაა შექმნილი და მისი სხვადასხვა ვარიანტი, სხვადასხვა დეტალები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთ-ერთი კლასიფიკაცია შემდეგია:

ავსტრალია და ოკეანია. ქვეოლქები: 1. ავსტრალია და ტასმანია, 2. მელანეზია, 3. პოლინეზია, 4. მიკრონეზია.

აზია. ქვეოლქები: 1. დასავლეთი / წინა აზია, 2. სამხრეთი აზია, 3. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, 4. აღმოსავლეთი აზია, 5. ცენტრალური აზია.

ამერიკა. ქვეოლქები: ჩრდილოეთი ამერიკა, 2. ცენტრალური ამერიკა, 3, სამხრეთი ამერიკა.

აფრიკა. ქვეოლქები: 1. ჩრდილოეთი აფრიკა, 2. სახარის სამხრეთით მდებარე აფრიკა.

ევროპა. ქვეოლქები: 1. აღმოსავლეთი ევროპა, 2. სამხრეთი ევროპა, 3. დასავლეთი და ცენტრალური ევროპა, 4. ჩრდილოეთი ევროპა.

ეთნოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *ენობრივ კლასიფიკაციას.* ლინგვისტები დღეს ენათა ოცამდე ოჯახს გამოყოფენ, რომელთაგანაც ყველაზე კარგადაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი და რომელზედაც ევროპისა

და ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა ლაპარაკობს. **ინდოევროპულ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს.** ამ ოჯახში შემავალი ენები ევროპისა და ამერიკის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე აზიის მნიშვნელოვან ნაწილში. მხედველობაში გვაქვს ინდური (ჰინდი, ურდუ, ბენგალი, მარატხი...) და ირანული ჯგუფის ენები.

აფროაზიური, ანუ სემიტურ-ქამიტური ენების ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ის შედგება ხუთი ჯგუფისაგან – სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. ეგვიპტურ ენათა ჯგუფი XVII ს-ში გადაშენდა. ეგვიპტური ენის გვიანდელი ფორმა – კოპტური გამოიყენება ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ ღვთისმსახურებისას.

ევროპაში ინდოევროპული ენების გარდა გავრცელებულია ურალურ ენათა ოჯახის ენები (უნგრეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, სკანდინავიის ჩრდილოეთი).

ხალხთა ეთნიკური ისტორიის შესასწავლად ენობრივი, ანუ ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა, რადგან **თავდაპირველად ენა და ეთნოსი ერთმანეთს ემთხვეოდა, იდენტური იყო.** ენა კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა ხალხების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. ენათა კლასიფიკაცია ენათა ისტორიულ, ნათესაურ ურთიერთობას ემყარება. ისტორიული, ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით, მსოფლიოში არსებული ენები ოჯახებადაა დაჯგუფებული. ენათა ოჯახებში მეტ-ნაკლებად ურთიერთმონათესავე ენები შედის. ენათა ოჯახები კი საკმაოდ ბევრია. თითქმის ყველა ენობრივი ოჯახი იყოფა შტოებად, ანუ ჯგუფებად. ჯგუფებში კი ხშირად ქვეჯგუფებს გამოყოფენ.

მსოფლიოში გავრცელებულ ენათა ოჯახების გეოგრაფიული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. უკანასკნელი თორმეტი-ცამეტი საუკუნის მანძილზე ძალიან გაიფართოვეს არეალი არაბულმა, თურქულმა, ინგლისურმა, ესპანურმა ენებმა.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის **რომანულ ენათა, გერმანულ (გერმანიკულ) ენათა, სლავურ ენათა, კელტურ ენათა, ბალტიურ ენათა, ინდურ ენათა, ირანულ ენათა ჯგუფები.** ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფებს ქმნის ახალი **ბერძნული, ალბანური და სომხური ენები.**

აფროაზიური, ანუ სემიტურ-ქამიტური ენათა ოჯახი ხუთი ჯგუფისაგან შედგება: **სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური.**

ურალურ ენათა ოჯახი ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინურ-უგრული, ანუ უგრო-ფინური და სამოიდური. **ალთაურ ენათა ოჯახს** მიეკუთვნება: თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მან-

ჯურიული ჯგუფის ენები. ადრე ენათა ერთ ოჯახად იყო წარმოდგენილი **იბერიულ-კავკასიური ენები.** ცნობარებსა და ენციკლოპედიებში დღეს ცალ-ცალკეა შეტანილი ქართველური (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%) და ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახები: აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%). ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური ენების მონათესავეობის შესახებაც კი ეჭვს გამოთქვამს.

სამხრეთ ინდოეთში გაბატონებული **დრავიდული ჯგუფის ენები** (მსოფლიოს მოსახლების 4%) ზოგიერთი კლასიფიკაციით შვიდი ჯგუფისაგან შედგება, სხვა კლასიფიკაციით – ოთხი ჯგუფისაგან. ძალიან მცირერიცხოვანი ესკიმოსურ-ალეუტური ოჯახის ენებზე მოსაუბრე ხალხები ბინადრობენ გრენლანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთ პერიფერიებსა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში.

საჰარის სამხრეთით აფრიკაში რამდენიმე ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ, რომელთაგანაც ძირითადია ნიგერო-კორდოფანულ ენათა ოჯახი.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის შემდეგ რაოდენობრივად მეორე ადგილზეა სინო-ტიბეტური ოჯახი. ავსტროაზიური ოჯახის ხალხები (მსოფლიოს მოსახლეობის 1,6%) აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სამხრეთში მკვიდრობენ. ერთ-ერთი კლასიფიკაციით ამ ოჯახში ხუთი ჯგუფი შედის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ოკეანიასა და ტაივანში განსახლებული არიან ავსტრონეზიური ოჯახის ხალხები (მსოფლიოს მოსახლეობის 5%). თანამედროვე კლასიფიკაციით ეს ოჯახი 6 ჯგუფად იყოფა.

ეთნოლოგიაში ყველაზე აქტუალური ეთნიკური კულტურების სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციაა. პირველი ცდა სამეურნეო და კულტურული კლასიფიკაციისა ეკუთვნის გერმანელ *ფ. ლისტს.* მან XIX საუკუნის შუა ხანებში ხუთი სამეურნეო და კულტურული ტიპი გამოყო: *ველურობა, მწყემსობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობასთან შერწყმული მიწათმოქმედება; მიწათმოქმედება–ხელოსნობა–ვაჭრობა.* მატერიალური, სულიერი კულტურის ფაქტორების მიხედვით კლასიფიკაცია *ლ. მორგანს* ეკუთვნის, კულტურული ოლქებისა და პროვინციებისა – *ფ. რატცელს.* განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკული „ისტორიული მეთოდის“ საფუძველჩამყრელის *ფ. ბოასის* კლასიფიკაცია. მის საფუძველსაც კულტურული და სამეურნეო მოვლენები წარმოადგენდა. ***ფ. ბოასის*** **მიერ შემუშავებულ პრინციპებს XX საუკუნის 50-იან წლებში დაეყრდნო რუსული საბჭოთა ეთნოლოგია, რომელმაც სამეურნეო-კულტურული ზონების გამოყოფა დააფუძნა კულტურებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მჭიდრო კავშირზე.** ის ითვალისწინებს აგრეთვე

ხალხების ეთნიკურ ისტორიას, ეთნოსთა შორის ურთიერთობებს, მატრეიალურ და სულიერ კულტურას. თანამედროვე გაგებით, **სამეურნეო-კულტურული ტიპი – ესაა სხვადასხვა ხალხებში ჩამოყალიბებული მეურნეობისა და კულტურის კომპლექსები, რომლებიც სოციალ-ეკონომიკური განვითარებით ახლოს არიან ერთმანეთთან და მსგავსი ბუნებრივი გარემოს პირობებში ცხოვრობენ.**

სამეცნიერო ლიტერატურაში სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტია მოცემული. პირველყოფილთემური („პირვანდელი") ეპოქა ორ ეტაპს მოიცავდა:

1. *მიმთვისებლურსა და პრიმიტიულ-მწარმოებლურს.* მისი წარმომადგენლები იყვნენ მონადირეები, შემგროვებლები და მეთევზეები, რომელთათვისაც ველური მცენარეების შეგროვება და გარეულ მხეცებზე ნადირობა არსებობის ერთადერთ ან ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ეს ისტორიულად ყველაზე ადრინდელი სამეურნეო-კულტურული ტიპია; მან ჩამოყალიბება პალეოლითის ეპოქაში (ძველი ქვის ხანა) დაიწყო. სამართლიანადაა შენიშნული, რომ სოციალური სტრატიფიკაცია შემგროვებელთა და მონადირეთა ჯგუფებში სათანადოდ ვერ ხდებოდა, მითუმეტეს იქ, სადაც საზრდო ადვილად მოსაპოვებელი იყო. ბოლო დრომდე მიმთვისებლურ ტიპს მიეკუთვნებოდნენ კუნძულ შრი-ლანკაზე მცხოვრები *ვედები,* მალაკის ნახევარკუნძულის მკვიდრი *სემანგები,* ფილიპინებელი *აეტა,* აფრიკაში მდინარე კონგოს აუზში მცხოვრები *პიგმეები* და რამდენიმე სხვა ეთნიკური ჯგუფი.

2. შემდეგ დადგა *მწარმოებლური ეტაპი,* რომელშიც ორ – ადრინდელ და განვითარებულ ფორმებს გამოყოფენ. ადრინდელი ეტაპისათვის დამახასიათებელია *თოხური (ხელის) მიწათმოქმედება* და *მეცხოველეობა.* ამ დროს არსებობის ძირითად წყაროს კულტურული მცენარეების მოყვანა და შინაური ცხოველების მოშენება წარმოადგენდა. ამ სამეურნეო-კულტურული ტიპის წარმოქმნას უკავშირებენ ნეოლითის ეპოქას (ახალი ქვის ხანა). დღემდე თოხნით მიწათმოქმედებად რჩებიან ინდოეთის, სამხრეთ ჩინეთის, ინდონეზიის, ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ ამერიკაში ამაზონის ზოგიერთი მცირერიცხოვანი ხალხი.

3. განვითარებულ მწარმოებლურ ეტაპზე ჩამოყალიბდა *სახვნელი მიწათმოქმედების სამეურნეო-კულტურული ტიპი,* გამწევ ძალად შინაური ცხოველების გამოყენებით. გამოყოფენ აგრეთვე *მწყემსური მიწათმოქმედების სამეურნეო-კულტურულ ტიპს,* რომელიც საირიგაციო მიწათმოქმედებასთან ერთდროულად წარმოიქმნა მდინარეების *ტიგროსის, ევფრატის, ნილოსის, ინდის, განგის, ამუდარიის, ხუანხეს* ხეობებში – ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ეპოქაში (ძვ. წ. IV – III ათასწლეულების დასა-

წყისი). ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანეასა და აფრიკაში საჰარის სამხრეთით ეს სამეურნეო-კულტურული ტიპი არ არსებობდა. გაბატონებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინა და შუა აზიის, სამხრეთ კავკასიის, ჩრდილოეთ ინდოეთისა და ჩრდილოეთ ჩინეთის თითქმის ყველა ხალხში.

4. სტეპურ და უდაბნოს სივრცეებში *მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ტიპი წარმოიქმნა.* მთელი ისტორიის მანძილზე მომთაბარეთა ცალკეული ჯგუფები ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ.

მსოფლიოს ხალხებისა და ეთნიკური კულტურების კლასიფიკაცია აგრეთვე *ისტორიულ-ეთნოგრაფიული,* ანუ *ისტორიულ-კულტურული ოლქების* მიხედვითაც ხდება. ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ანუ ისტორიულ-კულტურული ოლქების ქვეშ გულისხმობენ რეგიონებს, სადაც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრებისა და ურთიერთგავლენების შედეგად, ისტორიული ბედის მსგავსების პირობებში წარმოიქმნა გარკვეული კულტურული ერთობა, რომელიც სხვადასხვა ხალხებითაა დასახლებული. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ურალ-ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ხალხები. ამგვარი ერთობა – ისტორიული ცნებაცაა და ტერიტორიულიც. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქის მაგალითად ასახელებენ აგრეთვე ბალტიისპირეთს, სადაც ეთნიკურად სხვადასხვაგვარ მოსახლეობა მსგავსი კულტურულ-ყოფითი ნიშნებით ხასიათდება, აგრეთვე ჩრდილოეთ აზიას, შუა აზიას. საერთოდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქების საზღვრების დადგენა ყოველთვის არ ხერხდება.

ნაწილი II
ეთნოლოგია და სხვა მეცნიერებები

II.1.ეთნოლოგია და ეთნოგრაფია

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ეთნოლოგიის კვლევის ძირითად ობიექტს ეთნოსები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი ცხოველქმედების რეალიზებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ახდენენ. ცნობილია, რომ ადამიანთა ცხოველქმედების ეს მხარეები სხვა მეცნიერებების მიერაც შეისწავლება, ამიტომ ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს ამ მეცნიერებებთანაც. მასთან ყველაზე ახლოსაა ეთნოგრაფია, ისტორია, ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გეოგრაფია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იმასაც აღნიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში კლასიკურმა ეთნოლოგიამ თავისი კვლევის საგანი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მისი მოსაზღვრე მიმართულებების – ეთნოსოციოლოგიის, ეთნოფსოქოლოგიის, ეთნოპოლიტოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებას გარკვეული პერსპექტივები აქვს.

ეთნოლოგიურ მეცნიერებასთან ყველაზე ახლოს ეთნოგრაფიაა. ისინი ერთმანეთის მონათესავე და ურთიერთშემავსებელი მეცნიერებებია. (გერმანელი მეცნიერის *ვეილესათვის* ეთნოლოგია და ეთნოგრაფია ერთი მეცნიერების – ხალხთმცოდნეობის – მხოლოდ ნაწილები იყო. ფაქტობრივად იგივე მოსაზრების იყო *შურციც,* რომელიც მიიჩნევდა, რომ ერთიანი მეცნიერება – ხალხთმცოდნეობა იყოფა ეთნოლოგიად და ეთნოგრაფიად). როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ეთნოგრაფია საუკუნენახევრის წინ წარმოიქმნა. თავდაპირველად მისი მოქმედების სფერო სხვადასხვა ხალხთა სოციოკულტურული მონაცემების შეკრება და სისტემატიზაცია იყო. ეთნოგრაფიის საგანი სხვადასხვა ხალხების მსგავსებათა და განსხვავებათა, მათი ეთნიკური იერსახის, სპეციფიკურობის შესწავლა იყო. თავიდანვე ეთნოგრაფიული მასალების მოპოვების ძირითად წყაროს შესასწავლი ხალხების ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვება წარმოადგენდა. ტერმინი *ეთნოგრაფია* სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, კვლევის აღწერილობითი ფუნქციით შემოფარგვლაა, *ეთნოლოგია* კი განიხილება როგორც თეორიული, განმაზოგადებელი მეცნიერება ეთნოსების შესახებ. ეს დაყოფა, ფაქტობრივად, დასავლეთის სამეცნიერო ტრადიციებს ემყარება, რომლებიც ამ მეცნიერებაში გამოყოფენ აღწერილობით (საკუთრივ ეთნოგრაფია) და თეორიულ (ეთნოლოგია) შემადგენელ ნაწილებს. თანა-

მედროვე ეთნოლოგია, უპირველეს ყოვლისა, სისტემატიზაციის ხერხებს შეიმუშავებს, ახდენს ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადებას, ანალიზს, განმარტებებს. ამდენად, ეთნოლოგია ეთნოგრაფიას აძლევს კონცეპტუალურ აპარატს. ეთნოგრაფია უპირატესად აღწერილობითი მეცნიერებაა, ეთნოლოგია კი მის თეორიულ განზოგადებას წარმოადგენს. ყოფილ საბჭოთა კავშირში „ეთნოგრაფია" მოიცავდა როგორც საკუთრივ ეთნოგრაფიას (აღწერით ნაწილს), ასევე ეთნოლოგიას (განზოგადებულ, თეორიულ ნაწილს). XX საუკუნის 20-ანი წლების ბოლოს საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ტერმინის – ეთნოლოგია მიმართ. 1929 წლის ეთნოგრაფთა თათბირზე ეთნოლოგია საზოგადოებათმცოდნეობის ბურჟუაზიულ სუროგატად გამოცხადდა. ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ეთნოგრაფია და ეთნოლოგია (ანთროპოლოგია) პრაქტიკულად სინონიმური ცნებებია. მართლაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საბჭოთა კავშირში ეთნოგრაფიად იწოდებოდა ის, რასაც დასავლეთში კულტურული ანთროპოლოგია ეწოდებოდა. თუმცა ტერმინი *ეთნოგრაფია* არც დასავლეთისათვის იყო უცნობი. კულტურული ანთროპოლოგია ჩასახვის მომენტიდან უფრო ფართო დისციპლინას წარმოადგენდა და მის საგანს პირველ რიგში ხალხთა კულტურების სტრუქტურისა და ყოფიერების ახსნის კონცეფციები წარმოადგენდა, ხოლო აღწერითი, „საველე" მასალები (როგორი მდიდარი და მრავალფეროვანიც არ უნდა ყოფილიყო ისინი) კონცეფციების გადამოწმების საშუალებას წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალები ინტერპრეტაციის საშუალება იყო. უკანასკნელ ხანებში ეს შეხედულება უფროა გავრცელებული ეთნოლოგიის შესახებ. ბოლოს გამოცემულ ეთნოლოგიურ ლექსიკონებში აღნიშნულია, რომ **ვიწრო მნიშვნელობით ეთნოლოგია თეორიული ხალხთმცოდნეობაა, განსხვავებით აღწერითი ეთნოგრაფიისაგან.**

ზემოთქმულის მიუხედავად თანამედროვე რუსეთში მეცნიერთა ნაწილი კვლავ უპირატესობას ძველ ტერმინს – ეთნოგრაფია – ანიჭებს. ეს განსაკუთრებით ითქმის პეტერბურგელ მეცნიერებზე. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ტერმინს – „ეთნოლოგია". მიაჩნიათ, რომ „ეთნოგრაფიის" „ეთნოლოგიით" შეცვლა ესაა „დასავლური" წესისადმი ქედის მოხრა, რაგანაც, თურმე ის, მავანთა შეხედულებით, რუსების ჩამორჩენილობაზე მიუთითებდა. ტერმინ „ეთნოგრაფიის" მომხრეები აღნიშნავენ, რომ საგნის სახელის მეცნიერული აღწერა უკვე მის შესწავლას წარმოადგენს – სამეცნიერო „გრაფო" უკვე „ლოგოსია". ანგარიში უნდა გაეწიოს ტრადიციას და, როგორც აღნიშნავენ, მეცნიერების განვითარების დონეს მათი სახელწოდებანი არ გან-

საზღვრავენ. ხაზს უსვამენ, რომ სახელის შეცვლას აზრი იმიტომაც არ ჰქონდა, რომ თვით დასავლურ მეცნიერებაში მეცნიერების ამ სფეროს ერთიანი სახელწოდება არა აქვს: *ეთნოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური ანთროლოგია, ფელკერ-* და *ფოლკსკუნდე* და სხვ. კონსერვატორ მეცნიერთა საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხალხებისა და ეთნიკური კულტურების შემსწავლელ მეცნიერებას სახელი კი არ შეუცვალეს, არამედ აღუდგინეს. ჩვენის მხრივ დავსძენთ და ეს ზემოთაც ითქვა: „ეთნოლოგიის“ „ეთნოგრაფიით“ ჩანაცვლება იმდროინდელი ხელისუფლების დირექტივა იყო. „ეთნოგრაფიის“ მომხრე *ვ. ბუზინის* ფუნდამენტალურ სახელმძღვანელოს ჰქვია: *„რუსთა ეთნოგრაფია“.* საბჭოთა ტერმინის მომხრეთა ძალისხმევით სამეცნიერო ფორუმს კვლავ ეწოდა – *„რუსეთის ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა კონგრესი“,* სათავო სამეცნიერო ჟურნალს – *„ეთნოგრაფიჩესკოე ობოზრენიე“,* მუზეუმს – *„რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი“* და ა. შ.

II.2.ეთნოლოგია და ანთროპოლოგია. ეთნოლოგიისა და სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ

ეთნოლოგია ძალიან ახლოსაა ანთროპოლოგიასთან. ყოფილ საბჭოთა კავშირში ანთროპოლოგიად მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგია იწოდებოდა, რომელიც სწავლობს რასებს, მათ წარმოშობას, კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით გადანაწილებას, კულტურულ-ისტორიული პროცესების შედეგად მომხდარ ადამიანთა ფიზიკური იერსახის ცვლილებებს, ეთნოსების ანთროპოლოგიურ შემადგენლობას. **დასავლეთში ანთროპოლოგიის ორი მიმართულება არსებობდა და არსებობს: სოციალური ანთროპოლოგია და კულტურული ანთროპოლოგია.** როგორც სოციალურ, ისე კულტურულ ანთროპოლოგიას მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ეთნოლოგიის სინონიმებად მიიჩნევს. ერთი და იგივე მეცნიერები ხან ეთნოლოგებად და ხან ანთროპოლოგებად იწოდებიან. გერმანელი ეთნოლოგი *რუდოლფი* 1973 წელს დაბეჭდილ ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ეთნოლოგია“ ემთხვევა ჩრდილოეთ-ამერიკული „კულტურული ანთროპოლოგიის“ ცნებას (ის ამავე დროს მიიჩნევდა, რომ ეთნოლოგია ისტორიის ნაწილი არაა). მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ეს მეცნიერებები / დისციპლინები ერთი და იგივე არ არის და სრულიადაც არ ფარავს ერთმანეთს. თითოეულ მათგანს შენარჩუნებული აქვს თვითმყოფადობა: საკუთარი მეთოდოლოგიური მიდგომა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდების ერთობლიობა და კვლევის ასპექტები. თავისი საგნობრივი ველით (არით) ეთნოლოგია უფრო ფართო და ვრცელია, ვიდრე ანთროპოლოგიის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები. ანთროპოლოგის საკვლევ სფეროში არასოდეს არ ხვდება ეთნოგენეზის, ეთნიკურობის პრობლემები, ეთნიკური ჯგუფები, ხალხთა განსახლებანი, ეთნოდემოგრაფიული პროცესები. აქ ჩამოთვლილი პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებს, როგორც წესი, ანთროპოლოგებს არ უწოდებენ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეთნოლოგი ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს გვერდს ვერ აუვლის. ამრიგად, კულტურული / სოციალური ანთროპოლოგია შეიძლება პირობითად ეთნოლოგიის ნაწილადაც კი იქნას მიჩნეული. ფიზიკური ანთროპოლოგია იყო და რჩება მეცნიერებად ადამიანის ბიოლოგიური, ფიზიკური ბუნების შესახებ, ე. ი. რასების შესახებ, მაგრამ ეთნოსები ფორმირდება არა მხოლოდ ბუნებრივი პროცესების შედეგად, არამედ სოციო-კულტურული პროცესების მიმდინარეობის დროსაც. ამიტომაც ეთნოლოგია ორიენტირებულია ეთნოსების ცხოველ-

ქმედების სოციო-კულტურული მხარეების კვლევაზე. თუმცა მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ურთიერთკავშირში გარკვეული გაურკვევლობაც არსებობს. ისინი სოციალურ ანთროპოლოგიასა და კულტურულ ანთროპოლოგიას ერთი მედლის ორ მხარედ, ერთი მეცნიერების ორ მიმართულებად განიხილავენ, რომლებიც ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა ასპექტით სწავლობენ. **სოციალური ანთროპოლოგია ყურადღებას ძირითადად ადამიანთა ჯგუფურ ურთიერთობებსა და სოციალური პროცესების შესწავლაზე ამახვილებს, საგანი კი – ადამიანის ცხოვრების სოციალური ორგანიზაცია და ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებში ფუნქციონირებაა.** სოციალური ანთროპოლოგიის კონკრეტული ობიექტი ცხოვრების მსგავსი პირობებით გაერთიანებული ადამიანთა საზოგადოებაა: საერთო საცხოვრებელი ადგილი, საერთო პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი ენითა და კულტურით. **კულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი არე ადამიანებისა და კულტურების ურთიერთქმედებით შემოიფარგლება.** ის სოციალური ორგანიზაციის ჩარჩოებში კულტურულ-ისტორიული საკითხების, კულტურების წარმოშობის (გენეზისი), აღნაგობის, წყობის (მორფოლოგიის), განვითარებისა (დინამიკის) და მრავალფეროვნების საკითხების კვლევაზეა ორიენტირებული. ამიტომაც სოციუმს ადამიანებისა და კულტურების არსებობის გარემოდ განიხილავენ, რომელსაც აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ბუნება. ამავე დროს მეცნიერებაში მაინც არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ეთნოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და სოციალური ანთროპოლოგია მხოლოდ ერთი და იგივე მეცნიერების სხვადასხვა სახელწოდებებია. ჩასახვის დღიდან კულტურული ანთროპოლოგია კაცობრიობის კულტურის ფორმირების შემსწავლელ მეცნიერებად გვევლინება. ის თავისი კონცეფციების დასასაბუთებლად და შესამოწმებლად ეთნოგრაფიულ, აღწერით მასალას იყენებს. თავის მხრივ, ეთნოლოგია კულტურული ანთროპოლოგიის მონაცემებს თეორიული განზოგადებებისას იყენებს. სოციალურ ანთროლოგიასთან ეთნოლოგიის ურთიერთობა ერთგვარად სხვაგვარი ხასიათისაა. სოციალურ ანთროპოლოგიას ყოველთვის მსოფლიოს ხალხების სოციალური ორგანიზაციის თავისებურებების შესწავლისაკენ ჰქონდა გეზი აღებული. ტერმინი *სოციალური ანთროპოლოგია* სამეცნიერო მიმოქცევაში ინგლისური ეთნოლოგიის ფუძემდებელმა *ჯორჯ ფრეზერმა* შემოიტანა, რომელმაც კვლევის ეს მიმართულება ფიზიკურ ანთროპოლოგიას დაუპირისპირა. სოციალური ანთროპოლოგია უფრო ახლოს სოციოლოგიასთანაა, ვიდრე ეთნოლოგიასთან, რადგან ის თავისი კვლევის სფეროდ ეთნიკურ ერთობებს არ განიხილავს (ეთნო-

ლოგიისაგან განსხვავებით ის სოციალურ მეცნიერებად ჩამოყალიბდა).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სფეროა. ის, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. მეცნიერება, რომელსაც ვემსახურებით, *ეთნოგრაფიის* სახელწოდებით პირველად *ავგუსტ შლიოცერმა* მოიხსენია. როგორც აღნიშნავენ, მან ეს შეგნებულად გააკეთა, რათა ხალხთა ისტორია სახელმწიფოთა ისტორიისაგან გამოეცალკევებინა, ხოლო ცნების – *ეთნოლოგია* ავტორობა კი *ა. შავანესს* ეკუთვნის. თუმცა საკამათო არაა, რომ ეთნოლოგიას ფესვები კლასიკურ ანტიკურ პერიოდში აქვს გადგმული. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეთნოლოგიის „წინა სამეცნიერო“ პერიოდი ძალიან ხანგრძლივი იყო.

ეთნოლოგიას, სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, გარკვეული ბედი (თუ უბედობა) დაჰყვა თან, რაც მის საგანსაც ეხება და სახელწოდებასაც. რას სწავლობს ეთნოლოგია? თითქმის არ არსებობს ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება, თუმცა ეს განმარტებანი შინაარსობრივად მაინცდამაინც არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენს წიგნში „თეორიული ეთნოლოგია“ (თანაავტორები *ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი*) ეთნოლოგიის ვრცელი განმარტება გვაქვს მოცემული, თუმცა სტუდენტებს ხშირად *ს. ლურიეს* მარტივ და მოსწრებულ განმარტებას ვთავაზობთ ხოლმე: **„ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.“** ეთნოლოგიის ყველა მსახური ერთ საკითხზე ნამდვილადაა შეთანხმებული: ეთნოლოგიის საკვლევი სფეროებია – **ეთნოსი, საზოგადოება (სოციუმი) და კულტურა**. ეთნოლოგიური მეცნიერება ამ სამ პოსტულატს, საფუძველს ეყრდნობა. ამდენად, ეს მეცნიერება მოვლენათა ფართო სპექტრს მოიცავს: სამეურნეო-ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, რელიგიურს, ყოფითი ცხოვრების ყველა დეტალს. სწავლობს ყველაფერს, რაც კი ადამიანს და ადამიანთა ჯგუფებს მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროებში შეუქმნია. ვრცელია ქრონოლოგიური პერიოდიც – პირველყოფილი საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებამდე, პირველყოფილი სოციუმებიდან და ტომებიდან თანამედროვე, ყველაზე განვითარებულ სოციუმებამდე და ნაციებამდე.

ერთი ფრიად არსებითი მახასიათებელიც გააჩნია ეთნოლოგიას: მისი კვლევის ასპექტი და მიმართულება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. თავდაპირველად ის წარმოიქმნა, როგორც პირველყოფილი, პრიმიტიული, ბუნებრივი, არაპოლიტიკური, ხალხების (ანდა საზოგადოების) შემსწავლელი მეცნიე-

რება. შემდეგ მისი კვლევის სფერო ყველა ეთნოსს, ყველა საზოგადოებასა და მათ მიერ შექმნილ კულტურას შეეხო.

ეთნოლოგიურ მეცნიერებას სწრაფად არ უპოვია თავისი თავი. მან დღევანდელი სახე ხანგრძლივი განვითარებისა და წინააღმდეგობების შედეგად მიიღო (ამისათვის საკმარისია ის მეცნიერული მიმართულებები, სკოლები და თეორიები გავიხსენოთ, რომლებიც ამ მეცნიერებაშია). ეთნოლოგიის საფუძველჩამყრელები ვერც იფიქრებდნენ, რომ პრიმიტიული, პირველყოფილი ხალხებისა და საზოგადოებების შემსწავლელი მეცნიერება ცივილიზებული, დამწერლობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ეთნოსების შემსწავლელ მეცნიერებად იქცეოდა. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეთნოლოგთა უმრავლესობა საფუძვლიანად მიიჩნევს და წინასწარმეტყველებს, რომ დარგს მომავალში კვლევის ახალი ასპექტები გაუჩნდება. თუ რატომ, ამაზე პასუხი ძნელად გასაცემი არაა. ადამიანთა საზოგადოება, ეთნოსები და მათ მიერ შექმნილი კულტურა მუდმივად ცვლილებას განიცდიდა და განიცდის. ასე იქნება მომავალშიც. იმედია, ეთნოსები და საზოგადოებები მუდმივად იარსებებენ. კულტურათა დაახლოების მიუხედავად, ის მაინც ვერ გახდება ერთგვაროვანი და ეთნოლოგებს კვლევის სფერო, სამკალი ყოველთვის ექნებათ. *კლოდ ლევი-სტროსიც* ხაზგასმით აღნიშნავდა, **ანთროპოლოგია (ეთნოლოგია) იარსებებს ზუსტად იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც იქნება კულტურული განსხვავება, რომელიც მის საგანს წარმოადგენს.** ხაზგასმით აღნიშნავენ: კლასიკურმა ეთნოლოგიამ მომავალში შეიძლება დაკარგოს თავისი კვლევის ჩვეული საგანი, მაგრამ ახალი და მოსაზღვრე მიმართულებები (ეთნოსოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოპოლიტოლოგია) განვითარდება.

ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება, ახალ ეპოქასთან, კოლონიალიზმის ეპოქასთანაა დაკავშირებული. დამწერლობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხს სხვა კონტინენტზე დაპყრობილი ეთნოსების ისტორია აინტერესებდა, აინტერესებდა მათთვის დღემდე უცნობი ეთნოსები, საზოგადოებები და ეთნიკური (ტრადიციული) კულტურა. ეს ინტერესი პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. მიზანი ავტოქტონი ხალხების ადვილად მართვა გახლდათ. პირველყოფილი, პრიმიტიული ხალხების შესასწავლად წერილობითი ძეგლები არ არსებობდა, რადგან მათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ისტორია არ გააჩნდათ. საჭირო გახდა ხალხის ისტორიის შექმნა. ხალხთა ისტორიის შემქმნელნი კი ეთნოლოგები აღმოჩნდნენ, რომელთა წყაროც არა წერილობითი ძეგლი, არამედ „ველი," „ველზე" ადგილობრივთაგან მიღებული ინფორმაცია იყო. ამრიგად, **ეთნოლოგიურ მეცნიერებას, თეორიულ-სამეცნიერო**

მიმართულების გარდა, თავიდანვე გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა.

შეიძლება მთელი სერიოზულობით ითქვას, რომ პირველი ეთნოლოგები, ჩვენი წინამორბედები, დარგის საფუძველჩამყრელნი დამპყრობი, კოლონიზატორი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდნენ. ეთნოლოგიური აღწერილობის მიზანი სტრატეგიული ჯაშუშობაც იყო. ასე თუ ისე, დროთა განმავლობაში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და შემდეგ ეთნოლოგია სახელმწიფოებრიობისა და დამწერლობის მქონე ეთნოსების შემსწავლელ მეცნიერებადაც იქცა. ამ ხალხებსაც ხომ ჰქონდათ შექმნილი ხალხური, ეთნიკური კულტურა, საზოგადოება (სოციუმი), რაც წერილობით წყაროებში არ იყო ასახული.

ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის სისტემატური მეცნიერული შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. დასამალი არაა, რომ ქართველმა ეთნოლოგებმაც მოუხადეს ხარკი მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც მას თავდაპირველად გააჩნდა (ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა პერიოდში, თითქმის 1970-იანი წლების შუა ხანებამდე, უნივერსიტეტებში ერთ საგნად ისწავლებოდა ორი სრულიად განსხვავებული დისციპლინა. სალექციო კურსის სახელწოდება იყო „პირველყოფილი საზოგადოების ისტორია და ეთნოგრაფიის საფუძვლები“). მიიჩნევდნენ, რომ ქართველ მთიელთა საზოგადოება იყო პრიმიტიული, პირველყოფილი საზოგადოება, გაყინული და გაქვავებული რამ, რომ აქ გვაროვნული საზოგადოება (ურთიერთობები) ან მისი გადმონაშთები არსებობდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ყურადღება საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საზოგადოებებზე იქნა გადატანილი და ბევრი რამ ბარელთა და მთისწინელთა ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესახებ ფაქტობრივად შეუსწავლელი დარჩა. თუმცა *ივანე ჯავახიშვილის* შორსმჭვრეტელურმა აზროვნებამ ამ სფეროშიც იჩინა თავი და მან კორესპონდენტები ეთნოგრაფიული მასალების (მეურნეობის ფორმების, მატერიალური კულტურის) შესაგროვებლად მთაშიც გააგზავნა, ბარშიც და მთისწინეთშიც, აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთ საქართველოშიც.

ვიდრე ქართულ ეთნოლოგიას დაწვრილებით შევეხებით, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეთნოლოგიის კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. რომელიც ყველა მკვლევარისათვისაა ცნობილია. სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები თითქმის თავის თავშია ჩაკეტილი. შესაძლებელია მათაც აქვთ (ალბათ) შეხების წერტილები მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ეთნოლოგიის შემთხვევაშია. ეთნოლოგიას შეხებისა და გადაკვეთის წერტილები

გააჩნია ისტორიასთან, არქეოლოგიასთან, ფიზიკურ ანთროპოლოგიასთან, ფოლკლორთან, ენათმეცნიერებასთან, სოციოლოგიასთან, რელიგიის ისტორიასთან, ეკონომიკასთან, ფსიქოლოგიასთან, არქიტექტურასთან, ბოტანიკასთან, ზოოლოგიასთან. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ეთნოლოგიას სხვადასხვა მიმართულება გააჩნია – ის სწავლობს ხალხებს (ეთნოსებს), საზოგადოებებსა (სოციუმებს) და მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო ყოფასა და სოციალურ ურთიერთობებს. ქართული ეთნოლოგია არცერთი მიმართულების წინაშე ვალში არ დარჩენილა. ვალში მხოლოდ ეთნოლოგიის ერთი მიმართულების წინაშე აღმოჩნდა. ესაა ეთნოსი, ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია. ამ პრობლემას, გარკვეული მიზეზების გამო, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლო დრომდე მას მხოლოდ ერთი ნაშრომი – *მიხეილ გეგეშიძის* მონოგრაფია მიეძღვნა.

კიდევ ერთი „ნაკლის“ შესახებაც უნდა აღინიშნოს. ქართველი ეთნოლოგები მხოლოდ ქართველ ხალხს, მის მიერ შექმნილ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს სწავლობდნენ. არადა, როგორც აღვნიშნეთ, ეს დარგი წარმოიქმნა, როგორც სხვა ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერება. ქართველი მეცნიერების ეს სათანადო ობიექტური პირობებითაც იყო განპირობებული. არსებული რესურსი მხოლოდ ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის შესასწავლად იყო საკმარისი. თუმცა მიგვაჩნია, რომ მაინც საჭირო და აუცილებელი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ეთნოლოგიური თვალთახედვით კვლევა. ქვეყნის წამყვანი ეთნოსი ვალდებული იყო ეს გაეკეთებინა. აფხაზთა, ოსთა და სხვათა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის კვლევა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მხოლოდ ამ ეთნოსთა წარმომადგენელ მეცნიერთა გასაკეთებელ საქმედ მივიჩნიეთ. ეთნიკური ურთიერთობების კვლევა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. იქნებ ეს პრობლემები (ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური დაპირისპირება, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული... ურთიერთობები) ამ სახით აღარც ყოფილიყო, ქართულ ეთნოლოგიას რომ თავის დროზე ქვეყანაში ისტორიულად არსებული ეთნიკური ურთიერთობა ეკვლია, ეკვლია მათი დასახლებისა და მიგრაციის საკითხები, ინტეგრაციის პრობლემები. ყოველ შემთხვევაში იქნებ ასეთ სავალალო შედეგებამდე მაინც არ მივსულიყავით. გვიან ამის საჭიროება ხელისუფლებამაც და მეცნიერებმაც იგრძნეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულ-არაქართული პარალელების კვლევა უკვე დაგვიანებული იყო. დაგვიანებული იყო კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გახ-

სნაც ისტორიის ინსტიტუტში და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლაც.

ეთნოლოგიას ორი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: 1. მიმართულებათა, კვლევის ასპექტთა მრავალფეროვნება და 2. სახელწოდებათა მრავალფეროვნება. ეს ორი რამ ერთმანეთში უშუალოდაა გადაჯაჭვული. უპრიანი იქნება ჯერ სახელწოდებაზე ვილაპარაკოთ: **ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია.** აქ წერტილი კი დავსვით, მაგრამ შეიძლებოდა მრავალწერტილის დასმაც, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ამ მეცნიერებას ნაციონალური სახელწოდებებიც გააჩნია. ეს იმ ენებს ეხება, რომლებზედაც სამეცნიერო ტერმინოლოგია იქმნებოდა და იქმნება არა ბერძნულ-ლათინური, არამედ ნაციონალური ლექსიკის საფუძველზე. ამ ენებზე ტერმინები „ეთნოლოგია“, „ეთნოგრაფია“, ჩვეულებრივ, კალკირებული სიტყვებით გადმოიცემა. სიტყვამ მოიტანა და თვით ახალბერძნულ ენაზე, ფუძის – „ეთნოსი“ პოლისემიურობის გამო, ხშირად ტერმინ „ეთნოგრაფიის“ ნაცვლად **ლაოგრაფიას** გამოიყენებენ (ბერძნ. ლაოს – „უბრალო ხალხი“). გერმანელებს მისი აღმნიშვნელი ორი ტერმინი გააჩნიათ: **ფოლკსკუნდე** – *მეცნიერება ხალხის შესახებ*, ხალხთმცოდნეობა და **ფულკერკუნდე** – *მეცნიერება ხალხების შესახებ.* ეს ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ: სომხები ხშირად გამოიყენებენ სახელწოდებას **აზგაგრუტიუნ** (სომხ. აზგ – „გვარი, ხალხი“ და გრელ – „წერა“), ჩინელები – **მინ-ცზუ-სიუე** („ხალხი-ტომი-მეცნიერება“), ე. ი. *მეცნიერება ხალხთა სახეების შესახებ*, იაპონელები – **მინ-ძოკუ-გაკუ** („ხალხი-წეს-ჩვეულებები-მეცნიერება“) – *მეცნიერება ხალხთა წეს-ჩვეულებების შესახებ.* შენიშნულია, რომ ყველა ამ დისციპლინას კვლევაძიების განსაკუთრებული მოდელი გააჩნია, აქვს თავისი საკუთარი ორიენტირები და აქცენტები. ჩამოთვლილი ნაციონალური სახელწოდებანი ტერმინების – *ეთნოგრაფია, ეთნოლოგია* – შინაარსის გამომხატველია, მათი ეროვნულ ენებზე კალკირებული ფორმებია.

წინააღმდეგობრივ პარალელიზმს ქმნის ორი სახელწოდება: ეთნოლოგია / ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია. ამავე დროს დიდ ბრიტანეთში ის წარმოდგენილია *სოციალური ანთროპოლოგიის*, ხოლო ამერიკაში – *კულტურული ანთროპოლოგიის* სახელწოდებით. პირველ შემთხვევაში მეცნიერების დარგს საფუძვლად უდევს კრებითობის გამომხატველი სიტყვა ***ეთნოსი*** (ე. ი. მეცნიერება ხალხების შესახებ) და მეორე შემთხვევაში – ინდივიდუალურობის გამომხატველი სიტყვა – ***ანთროპოს*** (მეცნიერება ადამიანის შესახებ). მიიჩნევენ, რომ ანთროპოლოგია ესაა მეცნიერება ადამიანის დროსა და სივრცეში ცვალებადობის შე-

სახებ. თუ ფიზიკური ანთროპოლოგია ადამიანის ორგანიზმის ცვლილებების საკითხების კვლევითაა დაკავებული, კულტურული ანთროპოლოგია ყურადღებას მიაპყრობს კულტურის ვარიანტულობას.

მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ტერმინები ეთნოლოგია / ეთნოგრაფია და სოციალური / კულტურული ანთროპოლოგია სინონიმებია. გარკვეულ დრომდე ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ყველა ეს სახელწოდება ერთი და იმავე მეცნიერების სხვადასხვა სახელწოდებები იყო. მაგრამ **დღეს მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ „ეთნოგრაფია", „ეთნოლოგია", „სოციალური ანთროპოლოგია", „კულტურული ანთროპოლოგია" სრულ სინონიმებს არ წარმოადგენს.**

საწყის და განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ეს ტერმინები, მართლაც, ერთმანეთის სინონიმები იყო, კვლევის სფეროებიც ერთი და იგივე ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ მიმართულებებში გარკვეული განსხვავებაა, რაც მათ ერთმანეთთან აპირისპირებს. აშკარაა, რომ საკვლევი საგნის განსაზღვრისას *ეთნოლოგია* და *კულტურული / სოციალური ანთროპოლოგია* სხვაობს და სხვადასხვა სახელწოდებებიც სწორედ ამითაა განპირობებული; მაგრამ თანამედროვე მკვლევარები მიუთითებენ, რომ განსხვავებას ქმნის არა კვლევის საგანი და არა ის, რომ ისინი სხვადასხვა დისციპლინებია. სწორედ საკვლევი საგნის სხვადასხვაობამ, მიდგომის სხვადასხვაობამ წარმოქმნა ერთი სამეცნიერო დისციპლინის სხვადასხვა სახელწოდება – ეთნოლოგია და ანთროპოლოგია, უფრო სწორად, **ეთნოლოგიას გაემიჯნა ანთროპოლოგია.**

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა, რომელსაც ზემოთ თითქმის უკვე გაეცა პასუხი: რომელი უფრო ადრინდელია? რომელი მიმართულება გაჩნდა უფრო ადრე და რომელი გვიან? ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით.

ცოდნის დარგის თავდაპირველი ერთიანობის მაჩვენებელია ერთიანი სადისკუსიო ველი. როგორც ეთნოლოგები, ისე ანთროპოლოგები ერთი და იმავე დილემის წინაშე იდგნენ. ჩვენი მეცნიერება თეორიულია და ემპირიული? ის მეცნიერებაა ადამიანის თუ ხალხების (ეთნოსების) შესახებ? ის მეცნიერებაა კულტურის შესახებ თუ საზოგადოების შესახებ? გეოგრაფიის ნაწილია თუ ისტორიის, სოციოლოგიის თუ ბიოლოგიის? მეცნიერებაა წარსულის შესახებ თუ თანამედროვეობის შესახებ? მეცნიერებაა საკუთარი ხალხის შესახებ თუ უცხო, სხვა ხალხების შესახებ? და ბოლოს, არსებობს თუ არა ის როგორც განსაკუთრებული მეცნიერება?

აქ კიდევ ერთი ახსნა-განმარტება უნდა დავურთოთ. **საბჭოთა პერიოდში ეთნოლოგია / ეთნოგრაფია ერთგვარად დაკ-**

ნინებული იყო ისტორიის დამხმარე დარგად, ქვედარგად მიიჩნევით. ფართო გაგებით ის ისტორიისათვის, მართლაც, დამხმარე დისციპლინას წარმოადგენდა და ეს დღესაც ასეა, რადგან მას მთელი რიგი პრობლემების ახსნაში ეხმარება, მაგრამ არა როგორც დამხმარე დარგი, ქვედარგი, არამედ როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. როდესაც ისტორიისათვის თავისი წყაროები საკმარისი არ იყო და არ არის, დასახმარებლად მიმართავდა და მიმართავს არა მის ქვედარგს, არამედ სრულიად დამოუკიდებელ მეცნიერებას, რომელსაც კვლევის თავისი მეთოდები, არე და საგანი გააჩნია. სხვაგან მას სოციოლოგიის ან გეოგრაფიის ქვედარგებად მიიჩნევდნენ. ეთნოლოგიისადმი ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმ მიმართულებებით, რომლებიც მას გააჩნდა და გააჩნია. ბუნებრივია, დღეს ეთნოლოგები ვეღარ შევურიგდებით იმაზე საუბარს, რომ ის რომელიმე სხვა მეცნიერების ქვედარგია, დამხმარე მეცნიერებაა. უბრალოდ ეთნოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, შეხებისა და გადაკვეთის წერტილები გააჩნია მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან.

ახლა ისევ კარდინალურ საკითხს დავუბრუნდეთ – რა არის ამოსავალი ეთნოგრაფია / ეთნოლოგიისა და კულტურული / სოციალური ანთროპოლოგიისათვის, რა განსხვავებული მიმართულებები, კვლევის რა განსხვავებული საგანი (სფერო) გააჩნიათ ზემოთ დასახელებულ მონათესავე, ძალიან ახლოს მდგომ დარგებს?

ეთნოგრაფია / ეთნოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი და მიმართულება, ჩამოყალიბდა გერმანიასა და გერმანულენოვან ქვეყნებში, ანთროპოლოგია – ინგლისურენოვან ქვეყნებში, ინგლისში სოციალური ანთროპოლოგიის, აშშ-ში – კულტურული ანთროპოლოგიის სახით (სახელით). ამერიკულმა სკოლამ ინგლისელთა სრული სახელწოდება არ გადმოიღო, რადგან მან კვლევა-ძიება განსხვავებული მიმართულებით წარმართა. რა არის წამყვანი, მთავარი, ერთი მხრივ, ეთნოგრაფია / ეთნოლოგიისა და, მეორე მხრივ, სოციალური / კულტურული ანთროპოლოგიისათვის? გერმანული სკოლისათვის დამახასიათებელია საისტორიო მიმართულება, ანგლოსაქსურისთვის კი – სოციოლოგიური. აი, ესაა ძირითადი, მთავარი განმასხვავებელი შტრიხი ეთნოგრაფია / ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას შორის. ამრიგად, **ეთნოლოგიისათვის ამოსავალია ეთნოსი (ხალხი) და ეთნიკურობა და ეთნოსის (ეთნიკური) კულტურა და საზოგადოება (სოციუმი), ანთროპოლოგიისათვის ამოსავალია: სოციალური ანთროპოლოგიისათვის – სოციუმი (საზოგადოება), კულტურული ანთროპოლოგიისათვის – კულტურული მახასიათებლების შესწავლა ყოველგვარი ხალხისა (ეთნოსისა) და**

ეთნიკურობის გარეშე. ანთროპოლოგიას, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა რჩება ეთნოსი, ეთნოგენეზი, ეთნიკური ისტორია და ეთნოსთაშორისი ურთიერთობები, ე. ი. ეთნოლოგია და ანთროპოლოგია ამ თვალთახედვითაც ვერ თანხვდებიან. არადა თანამედროვე ეთნოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი სწორედ ეთნოსის, ეთნიკურ ურთიერთობათა კვლევაა. მხედველობაში გვაქვს დღეისათვის ეთნოსთა შორის გამწვავებული ურთიერთობები, კონფლიქტები.

განსხვავებაა ისიც, რომ დასავლეთში ანთროპოლოგიასა და ენობრივ პრაქტიკაში **ტერმინი „ეთნიკურობა“ (მაგალითად, ეთნიკური ცეკვები, ეთნიკური სამზარეულო...), როგორც წესი, ქვეყნის არა ძირითად მოსახლეობას, არამედ ე. წ. ეთნიკურ უმცირესობებს, ეგზოტიკურ ჯგუფებს მიემართება.** ამას მეცნიერებაში იმით ხსნიან (*ს. არუთინოვი*), რომ ამერიკელები, ამერიკული იდენტობა არცთუ ისე დიდი ხნის წარმოქმნილია, მაშინ როდესაც ძველ სამყაროში როგორც დიდ, ისე მცირე ხალხებს ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ჩვენთვის კი მსოფლიოს ყველა ხალხი განსაკუთრებული ერთობაა (კულტურული ერთობაა), მიუხედავად იმისა, დიდია თუ პატარა, ხანგრძლივი ისტორია აქვთ თუ ხანმოკლე, განვითარების პრიმიტიულ, აგრარულ საფეხურზე არიან თუ ინდუსტრიულზე, დამწერლობის მქონენი არიან თუ უდამწერლობონი.

ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ეთნოლოგიის თავდაპირველ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა განვითარების პირველყოფილი საზოგადოების საფეხურზე მყოფი უცხო ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ცხოვრების, ურთიერთობის შესწავლა, აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოების თეორიული პრობლემების შესწავლა. შემდეგ კი თანდათანობით ეთნოლოგიამ დაძლია თავისი თავდაპირველი „ნაკლი“ და მისი კვლევის სფეროდ იქცა ყველა, მათ შორის, მსოფლიოს განვითარებული ხალხების სოციალური, ეთნიკური და სოციოლოგიური პროცესების შესწავლა. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ეთნოლოგია თავდაპირველად მეტროპოლიათა კოლონიური საქმიანობის მოთხოვნილებათა სამსახურში იდგა. მხოლოდ ეთნოლოგიას შეეძლო მიეცა მონაცემები კოლონიის მკვიდრებზე, მათ ყოფაზე, წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე. ობიექტურად ეს მეცნიერება ხელს უწყობდა კოლონიური მმართველობის ფორმების შემუშავებას. ეთნოლოგიამ ეს „საყმაწვილო სენი“ დიდი ხანია მოიშორა.

გერმანულენოვან ქვეყნებში ჩამოყალიბებული მეცნიერების მნიშვნელობა მრავალმხრივი იყო. არსებითად მას ჰქონდა არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, წმინდა შემეცნებითი, არამედ

უფრო ფართო, აქტუალური პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა. ის არასოდეს არ იყო მხოლოდ აბსტრაქტული და მხოლოდ წარსულით დაინტერესებული, რეალობას მოწყვეტილი დისციპლინა. ქართული ეთნოლოგიის მომავალი ამ ასპექტების წინ წამოწევაში გვესახება. რეალისტები რომ ვიყოთ, ქართულ ეთნოლოგიას თანამედროვე ვითარების შესწავლა არ ეხალისებოდა, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალისტური ყოფის შესწავლასა და მის გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსებას ითხოვდნენ; ეთნოგრაფიული მონაცემები ზემოდან ნაკარნახევი დასკვნისათვის როგორმე უნდა მიესადაგებინათ. შეუძლებელი იყო თანამედროვეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა და ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების მიცემა. პირიქით, ხელისუფალთათვის სასურველი დასკვნებისათვის ხელოვნურად უნდა მოერგოთ სათანადო საველე ეთნოგრაფიული მასალა. წარსული და თანამედროვეობა, ფაქტობრივად, კომპლექსურად არ შეისწავლებოდა (ვის აინტერესებდა სიყალბის წერა?!). ამიტომ ქართული ეთნოლოგია წმინდა ისტორიული მიმართულების მეცნიერებად ჩამოყალიბდა. დღეს ეს კრიზისი დასაძლევია. ეთნოლოგს შეუძლია თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგეს. ხელისუფლებას უნდა გავაგებინოთ, რომ ეთნოლოგს შეუძლია იყოს ეთნიკური პროცესებისა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების, კონფლიქტების კვლევის შუაგულში, შეუძლია ასახოს თანამედროვე ქართულ სოფელსა და ქალაქში მიმდინარე რთული სოციალური და კულტურული პროცესები, რომ ეთნოლოგია არა მხოლოდ უბრალოდ ასახავს, აფიქსირებს და სწავლობს სინამდვილეს, მოვლენებს, არამედ აქტიურად მონაწილეობს მოვლენათა გააზრებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და, აქედან გამომდინარე, ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტებზე.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას გერმანული ეთნოლოგიის ისტორიის შესახებ. ტრადიციულ ჰუმანიტარულ (ისტორიულ) მიმართულებას აქ ახალი, სოციოლოგიური მიმართულება ომის შემდგომ პერიოდში დაუპირისპირდა. მართალია, ნელა, მაგრამ თანდათან გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელდა ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის იდეები, რაც, ჩვეულებრივ, ეთნოლოგიის „სოციოლოგიზაციის“ ფონზე მიმდინარეობდა. ეს პროცესები დაკავშირებულია *რიჭარდ ტურნვალდის* სახელთან, რომელზედაც გარკვეული გავლენა ხანგრძლივად აშშ-ში ყოფნამაც მოახდინა. ახალ იდეებს გერმანიაში მოწონებითა და აღფრთოვანებით არ შეხვდნენ. გერმანელ მეცნიერთა ძირითადი ნაწილი წინააღმდეგობას გამოხატავდა ეთნოლოგიური მეცნიერების სოციოლოგიის დანამატად ქცევის გამო. ისინი ტრადიციული მიდგომის ერთგულნი რჩებოდნენ (*ტურნვალდი* ისტორიუ-

ლი და ფუნქციონალური მეთოდების შეხამებას მოითხოვდა). მოკლედ რომ ვთქვათ, ახალმა მიმართულებამ გერმანიაში ეთნოლოგიური საზოგადოების ფართო დაინტერესება, მოწონება ვერ დაიმსახურა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ *ტურნვალდის* მიმდევართა ვიწრო წრეს. ეთნოლოგიის ტრადიციული მიდგომის მომხრეები ახალ მიმართულებას არ ცნობდნენ. მიიჩნევენ, რომ გერმანიაში ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის გავრცელებამ და ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის გაერთიანების მცდელობამ, ამ უკანასკნელისათვის უპირატესობის მინიჭებით, ეთნოლოგიას ავნო და, გარკვეულწილად, ადრინდელი პოზიციები დაათმობინა, რადგან ის სოციოლოგიამ შეავიწროვა. შემთხვევითი არაა, რომ ეთნოლოგიური მეცნიერების სახის დაკარგვა, ფუნდამენტური თეორიული ეთნოლოგიური პრობლემების დამუშავებაზე უარის თქმა, პროფესიონალიზმის დაკარგვა, დილეტანტიზმის დანერგვა ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის შეღწევას მიაწერეს.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იმას ემსახურებოდა, რომ ხაზი გაგვესვა ეთნოგრაფიის /ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის არაერთგვაროვნებაზე. ამ შეხედულების გასამყარებლად ცნობილ მეცნიერებსაც უნდა მივმართოთ. *რედკლიფ-ბრაუნი* წერდა: **„ეთნოლოგია კულტურას სწავლობს ისტორიული რეკონსტრუქციის მეთოდით, ხოლო სოციალური ანთროპოლოგია ეძებს და იკვლევს საერთო კანონებს, რომლებიც კულტურის მოვლენების მიღმა დგას“**. იმავე ***რედკლიფ-ბრაუნის*** **მითითებით სოციალური ანთროპოლოგიის მიზანი პრიმიტიული საზოგადოებების შესწავლაა.** ამავე მოსაზრებისა იყო *მალინოვსკი.* იგი *სოციალურ ანთროპოლოგიას,* რომელიც პრიმიტიულ ხალხებს სწავლობს, *სოციოლოგიის* დარგად მიიჩნევდა. ანალოგიური დასკვნები ჰქონდა *ე. გელნერსაც.* ის, ერთმანეთს უპირისპირებდა რა ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიას, წერდა: **ანთროპოლოგია სწავლობს პრიმიტიულ საზოგადოებებს, სოციოლოგია – განვითარებულს, ანთროპოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, სოციოლოგია – თეორიული.** ამდენად, **ანთროპოლოგია, განსაკუთრებით სოციალური ანთროპოლოგია, უპირატესობას „პრიმიტიულ“ საზოგადოებებსა და თანამედროვე საზოგადოების მცირე ჯგუფებს ანიჭებს. პრაქტიკულად „პრიმიტიულ“ საზოგადოებებს აშკარად უპირატესობა ენიჭება.** XX საუკუნის ბრიტანული ანთროპოლოგიის საყოველთაოდ აღიარებული წარმომადგენელი *ე. ევანს-პრიჩარდიც* ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალური ანთროპოლოგია სხვა კულტურების მნიშვნელობის გაგებაზე ორიენტირებული ჰუმანიტარული დისციპლინაა. ამ სხვათა კულტურაში ის, ბუნებრივია, არაევროპელი (პრიმიტიული) ხალხების, საზოგადოებების კულტურას გულისხმობდა.

თუმცა *ე. ევანს-პრიჩარდი* **1950-იანი წლებიდან გადაჭრით გამოდიოდა სოციალური ანთროპოლოგიისა და ისტორიის სინთეზის მომხრედ.** ამის გამო, ზოგიერთი მას გერმანევტიკის თეორიულ პოზიციების გამზიარებლადაც კი მიიჩნევდა. არავის უსაყვედურია ეთნოლოგიისათვის იმის შესახებ, რომ ის რომელიმე სხვა მეცნიერების კვლევის სფეროში შეიჭრა. ანთროპოლოგია კი ამ საყვედურებს იღებდა. აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი სოციოლოგი *ტ. პარსონსი* 1972 წელს წერდა, რომ ანთროპოლოგია დამწერლობის არმქონე ადამინთა კულტურებისა და საზოგადოებების შესწავლაზეა ორიენტირებული.

უფრო მეტიც, გარკვეული დაპირისპირებაა ანთროპოლოგიის ინგლისურ და ამერიკულ სკოლებს შორის, ანუ სოციალურ ანთროპოლოგიასა და კულტურულ ანთროპოლოგიას შორის. თუ რა არის თითოეული მათგანის შესწავლის ობიექტი და რას ანიჭებენ უპირატესობას, ეს მათი სახელწოდებებიდანაც კარგად ჩანს. **სოციალური ანთროპოლოგია საზოგადოების (სოციუმის) შესწავლას ანიჭებს უპირატესობას, კულტურული ანთროპოლოგია – კულტურის.** ისინი ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ოპოზიციაში არიან. ეთნოლოგია კი ამ ორ მნიშვნელოვან პოსტულატს ასე დაპირისპირებულს კი არ შეისწავლის, არამედ ერთიანობაში განიხილავს. როგორც აღნიშნავენ, სოციალური ფაქტის განხილვა მისი, როგორც კულტურული მოვლენის, განხილვას ნიშნავს, რაც ეთნოლოგიის / ეთნოგრაფიის ამოსავალი წერტილია.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას ბევრი საერთო რამ გააჩნიათ, ისინი სხვადასხვა მეცნიერებებია, მათ კვლევის საგნის მიმართ სხვადასხვა აზრი გააჩნიათ, რაც იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ პირველი მათგანი ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში შედის, ხოლო მეორე – სოციალური მეცნიერებების სფეროში (დასავლურ სოციოკულტურულ ანთროპოლოგიას დღეს ცოდნის ჰუნანიტარულ სფეროსთან დაახლოების აშკარა ტენდენცია ახასიათებს). ეთნოგრაფია / ეთნოლოგიაც თავდაპირველად პრიმიტიულ ხალხებს სწავლობდა. მართალია, შედარებით გვიან, მაგრამ მაინც მან თავისი კვლევის საგნად ევროპელი და სხვა ხალხების გლეხური კულტურაც, ტრადიციული კულტურაც აქცია. ტრადიციული კულტურა კი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არაა იგივე მონაცემი, რაც პრიმიტიული, პირველყოფილი კულტურა. აღსანიშნავია, რომ სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ, **შვედეთში ანთროპოლოგიას უწოდებენ „ჩამორჩენილი“ ხალხების კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას, ხოლო ეთნოლოგიას – ევროპული გლეხური კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას**. ევროპელი ხალ-

ხების სოციოლოგიური მეთოდებით კვლევა (რასაც ანთროპოლოგია აკეთებს) უაზრობად მიაჩნია *ჰანს ფიშერს.*

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას საფრანგეთში შექმნილ მდგომარეობაზე. აქ თავიდანვე ეთნოგრაფია / ეთნოლოგიას ენიჭებოდა უპირატესობა. თუმცა ანთროპოლოგიამაც გაიკაფა გზა. ისინი მშვიდობიანად თანაარსებობენ. პირველის შესანიშნავი და ტიპური წარმომადგენლები არიან *მარსელ მოსი* თავისი ეთნოლოგიის სახელმძღვანელოთი და *რონალდ ვან გენეპი,* თავისი ნაშრომით „რა არის ეთნოგრაფია“ და მეორისა – *კლოდ ლევი-სტროსი.* **ფრანგები ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას სხვადასხვა მეცნიერებად მიიჩნევენ.** ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალს „საფრანგეთის მერკური“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე ჰქონდა ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის რუბრიკები. *ა. ვან გენეპი* იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიას, რომ წერდა: *„XX საუკუნეში ეთნოგრაფია იქცევა საფუძვლად, რომელზე დაყრდნობით კაცობრიობის ფილოსოფიური კონცეფცია შეიქმნება“.* აქვე ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში ეთნოგრაფიას ფოლკლორის სფეროდაც განიხილავდნენ. ფრანგ მეცნიერთა ძირითადი ნაწილისათვის ეთნოგრაფია იგივე ფოლკერკუნდე იყო, ე. ი. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ყველა ხალხს, ხოლო ფოლკლორი შედარებული იყო ფოლსკუნდესთან, ე. ი. საკუთრივ ევროპული (მოცემულ შემთხვევაში, ფრანგთა) ეთნოსების შესწავლასთან.

XIX-XX საუკუნეებში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთის მეცნიერული მოდელი გერმანულიდან იყო გადმოღებული. ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაც გერმანული მოდელით მოხდა. ქართული ეთნოლოგიაც, ბუნებრივია, ამ მოდელის შემადგენელ ნაწილად იქცა. ქართული ეთნოლოგია ჩამოყალიბდა როგორც ქართველი ხალხისა და მისი ეთნიკური (ტრადიციული) კულტურის შემსწავლელ ისტორიული მიმართულების მეცნიერებად. ის ქართული ცნობიერების შენარჩუნების სამსახურში იდგა და დღესაც დგას.

„ბრძოლა“ ეთნოგრაფია / ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას შორის არის ბრძოლა ორ პარადიგმას შორის. ფაქტობრივად, ეს ბრძოლა მიმდინარეობს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ბრიტანეთის „ეთნოლოგიურ საზოგადოებას“ სახელი გადაარქვეს და უწოდეს „ანთროპოლოგიური საზოგადოება“. მას შემდეგ **მთელი XX საუკუნის განმავლობაში ანგლოსაქსური მეცნიერება ცდილობს დაასაბუთოს „ანთროპოლოგიის“ პარადიგმის უპირატესობა „ეთნოლოგიის“**

პარადიგმასთან მიმართებით. გერმანული მიმართულება დიაქრონიულია, ანუ ევოლუციური, ანგლოსაქსური – სინქრონიული, ანუ სტრუქტურული. ჩვენი ეთნოლოგია კი უპირატესობას კომპლექსურ მიდგომას ანიჭებდა, რაც თავისებური სინთეზი გახლდათ როგორც სტრუქტურული, ისე დიაქრონიული მიდგომისა. რაც შეეხება ფრანგულ სკოლას, მას უფრო წინააღმდეგობრივი ხასიათისად მიიჩნევენ. თუმცა როგორც *კ. ლევი-სტროსი* ამბობდა „კონტინენტური" წარმოშობა ფრანგებს მაინც ეთნოლოგებად ქმნის, ვიდრე ანთროპოლოგებად. ფრანგული ეთნოლოგია ინგლისური ანთროპოლოგიის მიმართ გარკვეულწილად ნიჰილისტურ და სკეპტიკურ დამოკიდებულებას რომ იჩენდა, კარგად ჩანს *ა. ვან გენეპის* წიგნის – „გადასვლის (გარდამავლობის) წეს-ჩვეულებები". წიგნის გამოსვლისთანავე *მ. მოსი* საყვედურობდა *ა. ვან გენეპს,* რომ ერთგულებდა ინგლისურ ანთროპოლოგიურ სკოლას, რომლის კვალზედაც ავტორმა მხედველობის არეში კონცენტრაცია მოახდინა მთელი ისტორიისა და ეთნოგრაფიისა, ნაცვლად იმისა, რომ ფუნდამენტურად შეესწავლა ერთი გარკვეული მოვლენა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინს „ანთროპოლოგია" ხშირად გამოიყენებენ არა კონკრეტული სამეცნიერო დისციპლინის აღსანიშნავად, არამედ უფრო ფართოდ, როგორც საერთო დისციპლინარულ რუბრიკას, რომელშიც შეყავთ რიგი სხვადასხვა დისციპლინა (ეთნოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა, ფოლკლორისტიკა, არქეოლოგია და ა. შ.). ამის გამო ანთროპოლოგიას ზოგიერთი მეცნიერი ტერმინით umbrella word („სიტყვა-ქოლგა") მოიხსენიებს.

ამრიგად, ეთნოლოგიას მხოლოდ წარსული არ აინტერესებს. ის კომპლექსურად იკვლევს როგორც წარსულ, ისე თანამედროვე მოვლენებს. **ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი დარგი – ეთნოლოგია და სოციალური / კულტურული ანთროპოლოგია ერთმანეთს კი არ უნდა დაუპირისპირდებოდეს, არამედ გზები უნდა გამოინახოს მათ დასაახლოვებლად. არაა გამორიცხული მათი ერთად, გვერდიგვერდ თანაარსებობაც** (მითუმეტეს, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან თანამედროვე ანთროპოლოგიას სოციალური მეცნიერების სფეროდან ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროსაკენ გადახრის ტენდენცია ახასიათებს). ქართული ეთნოლოგიის მთელი რიგი პრობლემები წარსულს ჩაბარდა, გაძნელდება ახალი სიტყვის თქმა მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის კვლევის სფეროში. ხელახლა ინტერპრეტაცია სჭირდება მთელ რიგ საკითხებს სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი

კულტურის სფეროებში. სასწრაფოდაა მისახედი ქვეყნის გარეთ (თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში) მცხოვრები ქართველების ეთნიკური კულტურა, ეთნიკური ცნობიერების კვლევა. დასასახია ახალი პრობლემები. პერსპექტიულია ეთნიკური ურთიერთობების კვლევა ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში. ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა კი თანამედროვე ქართული სოფლის კვლევა უნდა იყოს, რადგან მასზეა დამოკიდებული ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ქვეყნის მომავალი. აქტუალურ საკითხთა შორის აუცილებლად უნდა განიხილებოდეს ქვეყნის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ახალი ქართული დიასპორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მრავალი სხვა.

დასასრულს შეუძლებელია ორიოდე სიტყვა არ ითქვას ერთი ტენდენციის შესახებ: თანამედროვე რუსეთში ეთნოლოგიის გვერდით წარმოიქმნა ახალი კათედრები და ცენტრები, რომელთაც მიკერებული აქვთ „სოციოკულტურული“ ანთროპოლოგიის იარლიყი (გამოდის სახელმძღვანელოებიც). ამ „ქოლგის“ ქვეშ კი თავი აქვთ შეფარებული არა ამ დარგის ჭეშმარიტ პროფესიონალებს, არამედ საქმიანობადაკარგულ ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის „სპეციალისტებს“. ისინი კი, როგორც აღნიშნავენ, სოციოკულტურული ანთროპოლოგიის თავის ვერსიებს თხზავენ. ამ დარგის რუსულ რედაქციას არაფერი აქვს საერთო ეთნოლოგიის იმ მომიჯნავე დისციპლინასთან, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციოკულტურულ ანთროპოლოგიას ბოლო ხანებში ეთნოლოგიასთან დაახლოების, ანუ გაჰუმანიტარულების ერთგვარი ტენდენცია ახასიათებს. უპრიანი იქნება ერთგვარი ევულუცია ეთნოლოგიაშიც მომხდარიყო. პირველ რიგში ეს მარქსიზმის დოგმებისაგან სრულ გათავისუფლებას გულისხმობს.

II.3.ეთნოლოგია და ისტორია. ეთნოლოგია – დამოუკიდებელი მეცნიერება თუ ისტორიის შემადგენელი ნაწილი

ეთნოლოგიის კავშირი საისტორიო მეცნიერებასთან საყოველთაოდ აღიარებულია. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ეთნოლოგია საისტორიო მეცნიერების დარგად ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, კარგა ხნის განმავლობაში ის, არქეოლოგიასთან ერთად, ისტორიის დამხმარე დისციპლინადაც კი განიხილებოდა. სინამდვილეში ის ამ ფუნქციას მართლაც ასრულებდა. თუმცა შემდეგ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეთნოლოგია მეცნიერების სხვა, დამოუკიდებელი დარგია და ისტორიულ მეცნიერებასთან მრავალმხრივაა დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალები და ამ მასალების ეთნოლოგიური გააზრება ისტორიკოსებს მთელი რიგი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნაში ეხმარება. ეთნოგრაფიული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა ისტორიაში მიმდინარე მთელი რიგი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნისა და სხვანაირად დანახვისა.

ეთნოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა თუ რომელიმე სხვა მეცნიერების ნაწილი? საბჭოთა პერიოდის გარიჟრაჟზე იდეოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე, ეთნოლოგია არქეოლოგიასთან ერთად ისტორიის შემადგენელ ნაწილად, ისტორიის დამხმარე დისციპლინად იქნა მიჩნეული. ეთნოლოგია ისტორიის დამხმარე დისციპლინად მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში გამოცხადდა. ანალოგიური რამ სხვაგან არსად მომხდარა. მართლაც, ეთნოლოგიას ბევრი რამ საერთო აქვს ისტორიასთან. ეთნოლოგები, ჩვეულებრივ, ისტორიის მეცნიერების სამეცნიერო ხარისხს იღებდნენ.

როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, ეთნოლოგიის კავშირი საისტორიო და, საერთოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან საყოველთაოდ აღიარებულია. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ეთნოლოგია საისტორიო მეცნიერების დარგად ჩამოყალიბდა. სინამდვილეში ის ამ ფუნქციას მართლაც ასრულებდა. თუმცა შემდეგ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეთნოლოგია მეცნიერების სხვა, დამოუკიდებელი დარგია და ისტორიულ მეცნიერებასთან მრავალმხრივაა დაკავშირებული. **ეთნოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა იმიტომ, რომ მას კვლევის საკუთარი მეთოდები (და არა, მეთოდი) გააჩნია. ნათქვამი არ გამორიცხავს იმას, რომ ეთნოლოგია საისტორიო მეცნიერებისათვის დამხმარე დარგია. ეს სრულიადაც არ აკნინებს ეთნოლოგიის, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერების მნიშვნელობას, პირიქით, ეს მის პრესტიჟს უფრო ზრდის, რადგან ეთნოგრაფიული მასალები და ამ მასალების ეთნოლოგიური გააზრება ისტორიკოსებს მთელი რი-**

გი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნაში ეხმარება. ეთნოლოგია ისტორიკოსის თვალსაწიერს აფართოვებს, ხელს უწყობს ჩაუღრმავდეს მოვლენებს. ეთნოგრაფიული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა ისტორიაში მიმდინარე მთელი რიგი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნისა და სხვანარად დანახვისა. მაგალითად, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია შეიძლება მოვიყვანოთ, რომლის შესასწავლად ისტორიკოსებს წერილობითი წყაროები არ გააჩნიათ. მას კი ძირითადად ორი მეცნიერების – არქეოლოგიისა და ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის – საშუალებით შეისწავლიან. არქეოლოგია მიწის წიაღში მოპოვებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს ააანალიზებს, მეორე მათგანის ანალიზის სფერო კი განვითარების კლასობრიობამდელი საზოგადოების ხალხების შესწავლაა. ეთნოლოგიისა და ისტორიის საშუალებით ხდება ხალხების წარმოშობისა (ეთნოგენეზის) და განვითარების პროცესების (ეთნიკური ისტორიის) შესწავლა. თუმცა ეთნოგენეზის შესწავლაში, ისტორიასა და ეთნოლოგიასთან ერთად, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც (*არქეოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება*). ხშირ შემთხვევაში ეთნოლოგია წყაროდ საისტორიო წერილობით ძეგლებსაც იყენებს, თუ მათში ხალხთა წარმომავლობის, ყოფის, ტრადიციებისა და კულტურის შესახებ სათანადო მონაცემებია დაცული. თავის მხრივ, არც ისტორიკოსები გაურბიან საისტორიო წყაროებში დაცული სათანადო ეთნოლოგიური მონაცემების ანალიზს. ამ თვალსაზრისით ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენელთა დასახელებაც საკმარისია. უფრო მეტიც: ისტორიისა და ეთნოლოგიის სიახლოვემ, საერთო ინტერესებმა ეთნოლოგიის სპეციალური მიმართულებაც კი ჩამოაყალიბა, რომელსაც ისტორიულ ეთნოლოგიას ვუწოდებთ.

ეთნოლოგიის საისტორიო მიმართულების დამადასტურებელი ისიცაა, რომ ის ეთნოსებს / ხალხებს ისტორიულ განვითარებაში შეისწავლის კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდში როგორც წარსულში, ისე აწმყოში. ამდენად, ეთნოლოგია ტრადიციულ ისტორიაზე უფრო ფართოა. ეს უკანასკნელი ხომ მხოლოდ დამწერლობის მქონე ხალხების ისტორიას სწავლობს, რადგან ტრადიციული საისტორიო მეცნიერებისათვის ძირითად წყაროებს წარმოადგენს წერილობითი დოკუმენტები, ძეგლები. ეთნოლოგია მოიცავს კაცობრიობის ისტორიის მთელ დამწერლობამდელ პერიოდს და ყველა დამწერლობის არმქონე ხალხის / ეთნოსის შესწავლა მხოლოდ ეთნოგრაფიული მონაცემების საშუალებით ხდება. ამავე დროს ეთნოლოგიური მეცნიერების ყველაზე რთული და პერსპექტიული მიმართულება, პირველ რიგში, ხალხთა

წარმოშობის, მათი ეთნიკური ისტორიისა თანამედროვე ეთნიკური პროცესების კვლევაა.

ეთნოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, გეოგრაფიული მეცნიერების ბაზაზე წარმოიქმნა. ამავე დროს მისი მონაცემები, ეთნოლოგიის გამოყოფამდე დიდი ხნით ადრე, გამოიყენებოდა საისტორიო კვლევებში. ასეთი მდგომარეობა კი იმის საბაბად იქცა, რომ ეთნოლოგია ერთგვარ დამხმარე დისციპლინად განეხილათ, მიუხედავად იმისა გეოგრაფიას, ბიოლოგიას თუ ისტორიას მიეკუთვნებდა. სამწუხაროდ, ამგვარი შეხედულებები დღესაც კი არსებობს. მაგრამ ადრე თუ ეს შეხედულება შეიძლება მეცნიერების გაუდიფერენცირებულობით აეხსნათ, დღეს კი ეს ან სამეცნიერო უმეცრებაა ან საქმეში ჩაუხედაობა. ეთნოლოგიის საერთოსამეცნიერო და სოციალური მნიშვნელობის გასარკვევად განვიხილოთ ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის შემძლეცაა და რომელიც მისთვის ჩვეული / ნიშანდობლივი კვლევის მეთოდებით სარგებლობს.

ამავე დროს ხალხის ისტორია დაცულია არა მხოლოდ წერილობით ძეგლებში, არამედ მის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში, მის წარმოდგენებსა და რწმენა-წარმოდგენებში გარე სამყაროს შესახებ, იარაღში, სამოსსა და საცხოვრებელში, ძველ ძეგლებში, რომლებიც გვხვდება ძველი დასახლებების ადგილებში, ლეგენდებსა და ეპიკურ თქმულებებში, ე. ი. ეთნოსის მიერ შექმნილ ყველა კულტურულ კომპლექსში. მხოლოდ ეთნოლოგიური მეთოდებით შეიძლება აღვადგინოთ ხალხების მიერ განვლილი გზა. ნათელია, რომ ეთნოლოგიას მსოფლიო ჭეშმარიტი ისტორიის შექმნაში არა დამხმარე, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისტორიული და, საერთოდ, ჰუმანიტარული მეცნიერების სისტემაში ეთნოლოგიას სრულიად დამოუკიდებელი მსოფლმხედველობრივი, მეთოლოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება.

ეთნოსების კომპლექსური შესწავლით, ეთნიკური ისტორიის სოციალურ მოვლენებთან კავშირის, კულტურის ყველა სფეროს ცვლილების შესწავლით ეთნოლოგია ცალკეული ხალხებისა და ქვეყნების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის დამახასიათებელ არსებით მასალებს გვაწვდის. მოცემულ შემთხვევაში სხვა მეცნიერების წარმომადგენლები ეთნოგრაფიული მონაცემებით სარგებლობენ როგორც დამატებითი მონაცემებით, რაც მათ ამა თუ იმ ისტორიულ-არქეოლოგიური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ან სხვა ვითარების გამოსააშკარავებლად ეხმარებათ. ამრიგად, ეთნოლოგია სხვა მეცნიერებისათვის, პირველ რიგში კი ისტორიისათვის, დამხმარე მეცნიერების როლს ასრულებს. ასეთივე როლს ის სხვა მეცნიერებისთვისაც ასრულებს. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ორიოდე სიტყვა ეთნოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების შესახებაც უნდა ითქვას, როგორიც ისტორიული ეთნოლოგიაა. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ისტორიული ეთნოლოგიის ამოცანა უდამწერლობო ხალხებზე ეთნოლოგიური დაკვირვებით ხალხის ისტორიის შექმნაა. ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა, მაგრამ სინამდვილეში სხვა ვითარება გვაქვს. ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევა დამწერლობის მქონე ხალხების ინტერესებშიც შედის. საისტორიო წყაროებსა და ძეგლებში ხომ ძირითადად პოლიტიკური ისტორიაა გადმოცემული. ამის შესახებ თავის დროზე *ილია ჭავჭავაძეც* წუხდა და აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორიაა, რომ ხალხის ისტორია, გლეხის ყოფა და წეს-ჩვეულებები არსად ჩანსო. თუმცა მონაცემები ხალხთა ყოფის შესახებ წყაროებში ბევრია გაბნეული, ოღონდ ირიბად. ეთნოლოგიის მოვალეობაა წყაროებიდან ასეთი მონაცემების ამოკრება, სისტემატიზაცია და ანალიზი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *ანალების* ფრანგული სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები დიდწილად ისტორიული ეთნოლოგიას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ანალების სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელი შეიძლება დავასახელოთ. სანიმუშოდ კი *რობერ ფოსიეს* წიგნის „შუა საუკუნეების ადამიანების“ (2007 წ.) დასახელებაც საკმარისია. შუა საუკუნეების ინგლისის ყოფა და კულტურა ვრცლადაა მოთხრობილი 1926 წელს დაბეჭდილ *ლუის ფრენსის ზალცმანის* წიგნში „ინგლისის ცხოვრება შუა საუკუნეებში“ (ENGLISH LIFE IN THE MIDDLE AGES). ქართულ ეთნოლოგიაშიც ისტორიული ეთნოლოგიის შესახებ *სოსო ჭანტურიშვილის* საინტერესო გამოკვლევები გაგვაჩნია. პოპულარულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევები გერმანიაში. ერთ-ერთი ავტორი *ბრაუკემფერი* აღნიშნავს: „გერმანიაში დიდია იმ ეთნოლოგთა რიცხვი, რომლებიც ზეპირად თუ წერილობით საუბრობენ ეთნოლოგიის კრიზისზე. ისტორიულ ეთნოლოგიას აქვს კარგი პერსპექტივები, განსაკუთრებით თუ მომიჯნავე დისციპლინებთან (*არქეოლოგია, ლინგვისტიკა*) ითანამშრომლებს, რაშიც ისტორიულ-სოციალურ-სამეცნიერო მიდგომა აისახება“.

და ბოლოს, ეთნოლოგიისათვის დამახასიათებელია თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების სიღრმეში შეჭრა, კერძოდ, თავისი კოლიზიითა და შედეგით მეტისმეტად პრობლემური ეთნიკური ურთიერთობები. ამ პრობლემების მოგვარებაში ეთნოლოგს განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია, რადგან მას ამაში ობიექტური ეთნიკური ისტორიის, კულტურული ინტეგრაციისა და ასიმილაციის კანონზომიერებათა ცოდნა ეხმარება. საილუსტრაციოდ შეიძლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები გავიხსენოთ. ვგულისხ-

მობთ ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებებს, რომლებმაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. სამწუხაროდ, საქართველოს არცერთი ხელისუფლება არ დაინტერესდა, რომ ქართულ-ოსური და ქართული-აფხაზური ეთნიკური და კულტურული ურთიერთობები მეცნიერულად შეესწავლათ ეთნოლოგებს. ეთნოლოგი, საკუთარი მეთოდებით შეიარაღებული, მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებდა ხალხში, როგორც კონფლიქტში ჩართულ ქართულ, ისე ოსურ და აფხაზურ მოსახლეობაში. მოპოვებული მონაცემების ანალიზი კი მეცნიერებს საშუალებას მისცემდა, რომ ხელისუფლებისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები მიეცათ. იგივე შეიძლება ითქვას ლატენტური კონფლიქტების შესახებ. ეს პრობლემა მულტიეთნიკურ ქვეყანაში – ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები – ეთნოლოგთა მუდმივი შესწავლის საგანი უნდა იყოს.

ამრიგად, მართალია, რომ ეთნოლოგია საერთოსამეცნიერო და სოციალური მნიშვნელობით, მეთოდოლოგიით დამოუკიდებელი მეცნიერებაა და ის ეთნოსთან დაკავშირებულ არაერთ უამრავ კულტურულ და სოციალურ პრობლემას წყვეტს, მაგრამ სხვა მეცნიერებებისათვის ის დამხმარე მეცნიერების როლსაც ასრულებს (ისევე როგორც ეთნოლოგიისათვის დამხმარე დისციპლინას წარმოადგენს ისტორია, და არა მხოლოდ ისტორია, აგრეთვე: გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, სოციოლოგია, შედარებითი ენათმეცნიერება, ფოლკლორი, ფსიქოლოგია...). ამავე დროს ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების შემსწავლელი მეცნიერება ხალხთა თანამედროვე პრობლემებსაც შეისწავლის და დარგს ამ ასპექტით პრაქტიკული-გამოყენებითი დანიშნულებაც გააჩნია.

ამრიგად, ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსსა და ეთნიკური კულტურის პრობლემებს წარსულსა და აწმყოში და თავისი კვლევებით მომავლის პერსპექტივებს პასუხობს.

II.4.ეთნოლოგია და არქეოლოგია

ეთნოლოგია და არქეოლოგია კულტურის ხალხურ ფორმებს სწავლობს. სწორედ ამ სფეროში ტრადიციულად თანამშრომლობენ ეთნოლოგები და არქეოლოგები. მათი თანამშრომლობა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება იმას, რომ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს არა წერილობითი, არამედ ნივთიერი / მატერიალური ძეგლები; მაგრამ ასეთი ძეგლების მიმართ ეთნოლოგებისა და არქეოლოგების მიდგომა არსებითად განსხვავებულია. პირველ რიგში, ეს იმით გამოიხატება, რომ ეთნოლოგები სწავლობენ არა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ საგნებს, არამედ წარსულის მატერიალური კულტურის საგნებს, რომლებიც ან მუზეუმებსა და სხვა კოლექციებში ინახება, ან კიდევ შესწავლის მომენტში ყოფაში გამოიყენება. რამდენადაც მატერიალური კულტურის შესწავლისას მნიშვნელოვანია უშუალო დაკვირვების მეთოდი, ეთნოლოგიას ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის. ცხადია, აქ საუბარია მატერიალური კულტურის ისტორიის იმ მონაკვეთზე, რომელიც არ ემყარება არქეოლოგიურ წყაროებს.

მეორე განსხვავება გარკვეულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების შეწავლის გარდა, მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა ეთნოლოგიური მეცნიერების ტრადიციული და მონოპოლიური სფეროა. ამიტომ ეთნოლოგი აქ, როგორც წესი, ატარებს კომპლექური ხასიათის კვლევებს: აღწერს ნივთიერ ძეგლებს და მათ კლასიფიკაციას ახდენს, ააშკარავებს მატერიალური კულტურის განვითარების საერთო ტენდენციებს და, ბოლოს, ასრულებს თავისი მეცნიერების „დაკვეთას“ – შედარებით-ისტორიული ანალიზის გზით მატერიალური კულტურის ეთნიკურ სპეციფიკას დაადგენს. ორივე მეცნიერების – ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის – ერთ-ერთი მიზანი მატერიალური კულტურის ძეგლების კონკრეტულ-ისტორიული აღწერა და ეთნიკური სპეციფიკის გამოვლენაა. მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ როდესაც ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ეთნოლოგიის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის ხალხთა ყოფის შესწავლა. მატერიალური კულტურის ისტორიის მსგავსად, მის შესწავლაში გადამწყვეტი როლი ეთნოლოგიას ეკუთვნის. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ინფორმაციის მატარებელი მასალები უშუალო დაკვირვების მეთოდებითაა შეკრებილი. ეთნოლოგიური მიდგომით გამომჟღავნდება ისეთი ეთნიკური მახასიათებლები, როგორებიცაა ტრადიციები, წეს-ჩვეულებები.

ეთნოლოგთა და არქეოლოგთა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი სფეროა აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოების ისტორია. ამ შემთხვევაში ეთნოლოგური მასალა პირველწყაროს დანიშნულებისაა, რადგან ის მასალებს მოიპოვებს ისეთ საზოგადოებებში, სადაც სოციალური დიფერენციაცია არ არსებობს, სადაც შემონახულია არქაული მოვლენები. ასეთ შემთხვევაში ეთნოლოგია არქეოლოგიურ მონაცემებს, ჩვეულებრივ, იყენებს როგორც დამატებით, შემავსებელ მასალას. არქეოლოგები, თავის მხრივ, ცდილობენ არქეოლოგიურ კულტურას შესატყვისი ცოცხალ ყოფაში მოუძებნონ. ასეთი პარალელური მონაცემების მოპოვების თუ არმოპოვების შემთხვევაში მათ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება ეძლევათ.

ეთნოგენეტური პროცესების შესასწავლად მნიშვნელოვანი დამხმარე მასალაა არქეოლოგიური წყაროები. არქეოლოგიური მასალა ძირითად წყაროდ, ფაქტობრივად, არ გამოიყენება. კულტურის მკვდარი ძეგლებით ეთნიკური მიკუთვნებულობის გარკვევა სათუოა. ეთნოლოგებისათვის არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ერთი და იგივე ან ძალიან მსგავსი მატერიალური კულტურა დამახასიათებელია ისეთი ხალხებისათვის, რომლებიც ენობრივად / ეთნიკურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მსგავსი მატერიალური კულტურა ხშირად მეზობელ, სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებს ახასიათებთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ ხალხების განსახლების არეალი გეოგრაფიულად ერთნაირია. ხშირია პირუკუ შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა ტერიტორიულ, ლოკალურ ერთეულებს განსხვავებული მატერიალური კულტურა გააჩნიათ. ამ შემთხვევაშიც მატერიალური კულტურის მრავალფეროვნებას ლანდშაფტი განაპირობებდა. როდესაც მეცნიერები ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ იდენტიფიკაციას ახდენენ, ხშირად ანგარიშს არ უწევენ იმ პერიოდში ეთნოსთა განსახლების არეალების მოცულობას. მაგალითად, გამორიცხულია, რომ III ათასწლეულში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ერთი ეთნოსი ყოფილიყო. *მტკვარ-არაქსის კულტურა* არა მხოლოდ კავკასიაში მოიცავდა დიდ ტერიტორიას, არამედ მის ფარგლებს გარეთ – სამხრეთითაც ვრცელდებოდა. ასეთი დიდი გეოგრაფიული არეალები კი იმ დროს მხოლოდ ერთი ხალხის საცხოვრისი არ იყო. შესაბამისად, ერთი მატერიალური კულტურის მატარებელი ორი და მეტი ეთნიკური ერთობა იყო. კულტურის ელემენტები ხომ მიგრაციის გარეშეც თავისუფლად ვრცელდებოდა ერთი ეთნოსიდან მეორეში. ამდენად, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებით, არქეოლოგიური მატერიალური კულტურით ეთნოგენეზური პროცესების კვლევა ფრიად სარისკოა. ასეთ რისკზე XX საუ-

კუნეში უფრო საბჭოთა არქეოლოგები მიდიოდნენ, რომლებიც ძალიან ხშირად არქეოლოგიურ კულტურას რომელიმე ეთნოსს მიაკუთვნებდნენ და ამა თუ იმ ეთნოარქეოლოგიური ერთობის საზღვრების ენობრივთან თანხვედრას უყოყმანოდ ადასტურებდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც არქეოლოგიური მასალები წერილობითი და სხვა წყაროების მონაცემებითაც მაგრდება, ეთნოგენეტური პროცესის შესწავლა უფრო დამაჯერებელია. სხვათა შორის, ზოგიერთი მეცნიერი ხაზგასმით მიუთითებს ეთნოგენეტურ კვლევებში არქეოლოგიურ მონაცემთა გამოყენების მეთოდების არასრულყოფილების შესახებ. აღნიშნავენ, რომ დრია უარი ვთქვათ არქეოლოგიაში ***კოსინიზმზე,*** ე. ი. არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ ერთობებთან ერთმნიშვნელოვან, ცალსახა გაიგივებაზე.

არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ საუბარი აკადემიკოს *გიორგი ჩიტაიას* სიტყვებით უნდა დავამთავროთ; ის აღნიშნავდა, რომ არქეოლოგიური კულტურა მკვდარი კულტურაა და მას მიწა ინახავს, ხოლო ეთნოლოგიური მასალა / მატერიალური კულტურა ახალი ცხოვრების შემოსვლასთან ერთად სწრაფად ქრება. დღეს ქართულ სოფლებში უკვე იშვიათად ვნახავთ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს, ისინი ძირითადად მუზეუმებშია თავმოყრილი. ამ მხრივ ეთნოლოგისათვის სასურველი ვითარება გვაქვს *ტაოს, კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის* ქართულ სოფლებში. მართალია, აქაც აღარ ხნავენ სახვნელით, აღარ ლეწავენ კევრით, აღარ დღვებენ კარაქს სადღვებელში, ყველს აღარ ინახავენ ხის ვედროებში – კოჭებში, მაგრამ მრავლადაა უკვე უფუნქციო სახვნელი „არუნა“, კევრი, სადღვებელი, კოჭები, მარხილები, ჭურები, რომლებშიც ბაქმაზს ინახავდნენ ან ამწნილებდნენ. (ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ დაწვრილებით იხილე წინამდებარე სახელმძღვანელოს მონაკვეთი: *„ეთნოარქეოლოგია“*).

II.5.ეთნოლოგია და გეოგრაფია

ეთნოლოგიას კავშირი აქვს გეოგრაფიასა და დემოგრაფიასთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს კავშირი უაღრესად მჭიდროა, რადგან მთელი რიგი ეთნოლოგიური მოვლენების წარმოქმნა დაკავშირებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ / ლანდშაფტურ ფაქტორებთან. ეს განსაკუთრებით ეთნიკური კულტურის ისეთ გამოვლინებებს ეხება, როგორებიცაა სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა. უფრო მეტიც, მთელი რიგი ეთნიკური პროცესების მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორი იყო.

ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ორ ძირითად პერიოდად ყოფენ: უძველესი დროიდან მოყოლებული დაახლოებით XIX საუკუნის შუა ხანებამდე, როდესაც მიმდინარეობდა ქვეყნებისა და მათში დასახლებული ხალხების შესახებ ჯერ კიდევ ერთიანი ცოდნის დაგროვება და ახალი პერიოდი, როდესაც ეთნოლოგია საბოლოოდ გამოეყო გეოგრაფიას და საზოგადოებრივ-საისტორიო მეცნიერებების სისტემაში გადაინაცვლა. ამდენად, ეთნოლოგია, როგორც მეცნიერება, თავდაპირველად გეოგრაფიის წიაღში წარმოიქმნა და მას, შესაბამისად, გეოგრაფიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოგზაურები, მეცნიერები ქვეყნებსა და მასში მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში სწავლობდნენ.

პირველი პერიოდის დასაწყისად მიიჩნევენ ანტიკურ პერიოდს. ერთმანეთთან და გარემომცველ ქვეყნებთან მისვლა-მოსვლამ და ურთიერთობის გაფართოებამ განაპირობა აღნიშნული ქვეყნების ბუნებისა და აქ მცხოვრები ხალხების სისტემატიზაციის აუცილებლობა. ამის საფუძველზე ანტიკურ საბერძნეთში წარმოქმნილ მეცნიერების დარგს *გეოგრაფია* ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში (მაგალითად *სტრაბონის* დასახელებაც კი საკმარისია) ეთნოგრაფიული ნაწილი გეოგრაფიულზე მეტი იყო, უპირატესობა მაინც საწყის „გეო“-ს მიენიჭა. ანტიკური ადამიანი თავის თავს ბუნებისაგან არ გამოაცალკევებდა. ძველბერძნული მითოლოგიით სწორედ დედამიწის ქალღმერთმა *გეიამ* შობა ღმერთები, ტიტანები და თვით ადამიანებიც.

თუმცა უკვე ანტიკურ პერიოდშივე შეიმჩნევა ეთნოლოგიური თემატიკის გეოგრაფიულიდან გამოყოფის პირველი ნიშნები. ერთი მხრივ, გაჩნდა დედამიწის ზომისა და ფორმის შეცნობისა და მისი კარტოგრაფირების ამსახველი ნაწარმოებები და, მეორე მხრივ, ნაშრომები, რომლებიც უპირატესად ისტორიულ-ეთნოლოგიური / ეთნოგრაფიული ხასიათისა იყო (*ჰეროდოტე, სტრაბონი* და სხვ.).

ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის ერთად განვითარება გაგრძელდა შუა საუკუნეებში და ახალ დროშიც. ეს აიხსნება არა მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის სუსტი დიფერენციაციით, არამედ იმითაც, რომ ფაქტობრივი მასალას, გეოგრაფიულსაც და ეთნოგრაფიულსაც, რომლებიც სამყაროზე წარმოდგენას აფართოვებდნენ, ძირითადად ერთი და იგივე წყარო ედო საფუძვლად – ახლო და შორეულ ქვეყნებში ნამყოფ მოგზაურთა ჩანაწერები. შუა საუკუნეებისათვის, ამ მხრივ, საგულისხმოა არაბი მოგზაურების ნაშრომები, აგრეთვე ევროპელ მოგზაურთა აღწერილობები ადრე უცნობი ქვეყნების შესახებ. იმდროინდელ „გეოგრაფიულ“ რუკებზე აღნიშნული იყო ხალხთა განახლების არეალებიც.

აღწერილობათა ნაკადი მკვეთრად გაიზარდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში, როდესაც დაიწყო ევროპელთა ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია ოკეანის გაღმა. ამერიკის კონტინეტის იმდროინდელი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობის დიდი ნაწილი ზედაპირული იყო და, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნდა ნამდვილი სამეცნიერო ღირებულება. ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისყურია *შ. მონტესკიეს* (1748 წელი) ნაშრომი, რომელშიც ხალხთა ყოფის, წეს-ჩვეულებების თავისებურებები და მათი მმართველობის სისტემების ძირითადად კლიმატური თავისებურებებით ახსნის ცდაა მოცემული.

გეოგრაფიისა და ეთნოლოგიის განვითარების შერწყმულობის გაჭიანურება ორგანიზაციულადაც იმაში აისახა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის გეოგრაფიულ საზოგადოებებს თავის შემადგენლობაში ეთნოგრაფიის / ეთნოლოგიის ქვედანაყოფები გააჩნდათ.

ეთნოგრაფია / ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის გამიჯვნა, როგორც სხვადასხვა მეცნიერებებისა, ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და დამთავრდა XX საუკუნის დასაწყისში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია *ლ.-გ. მორგანისა* და *ი. ბახოფენის* ნაშრომები. შემდეგი თაობის მკვლევარები – *ე. ტეილორი, ჯ. ფრეზერი, ლ. შტერნბერგი* და სხვა მეცნიერები ეთნოლოგიას ახასიათებდნენ როგორც საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებას და განასხვავებდნენ გეოგრაფიისაგან. თუ ადრე ხალხების შესწავლა ბუნების შესწავლასთან ერთად ხდებოდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეწყობოდა სპეციალური ეთნოლოგიური ექსპედიციები და სტაციონარული დაკვირვებები. თუმცა ეთნოლოგიის ჩარჩოები არცთუ ისე მკვეთრად იყო გამოყოფილი. ხშირად მას ფიზიკურ ანთროპოლოგიასა და რასათმცოდნეობასთან აერთიანებდნენ.

თავის მხრივ, გეოგრაფიის სფეროშიც მოხდა შიდა დიფერენციაციის პროცესი. მის წიაღში ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეცნიერო კომპლექსი წარმოიქმნა: ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპლექსი და საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კომპლექსი. პირველ მათგანში ცენტრალური ადგილი დაიკავა ფიზიკურმა გეოგრაფიამ, რომელიც სწავლობს დედამიწის გარსსა და მასზე მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებს, მეორეში კი – ეკონომიკურმა გეოგრაფიამ, რომლის საგანიც გახდა წარმოებათა ტერიტორიული განლაგება და რეგიონებს შორის არსებული სამეურნეო კავშირები.

გეოგრაფიისა და ეთნოლოგიის ცალ-ცალკე განვითარებას მხარს არ უჭერდნენ გერმანული ანთროპოგეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც ხალხთა ცხოვრების თავისებურებებს, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული გარემოთი სხნიდნენ. ამ სკოლის საფუძვლის ჩამყრელმა *ფ. რატცელმა* ორი წიგნი – „ანთროპოგეოგრაფია“ და „ხალხთმცოდნეობა“ გამოაქვეყნა. ამ სკოლას ბევრი წარმომადგენელი ჰყავდა. ანთროპოგეოგრაფიის იდეებმა თავისი გავლენა ეთნოლოგიის *დიფუზიურ სკოლაზეც* იქონია. ამ სკოლის წარმომადგენლები *ფრ. გრებნერი* და *ლ. ფრობენიუსი* კულტურის განვითარების ევოლუციური სკოლის იდეებს ეწინააღმდეგებოდნენ. გეოგრაფიულ გარემოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ XX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოქმნილი ფრანგული „ადამიანის გეოგრაფიის“ მიმდევრები. ისინი მოსახლეობის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვდნენ, მიუთითებდნენ გეოგრაფიული გარემოს როლზე არა მხოლოდ ყოფასა და კულტურაში, არამედ ეთნოგენეზის პროცესშიც კი.

დროთა განმავლობაში ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის საზღვარზე მეცნიერების მიმართულება წარმოიქმნა, რომელსაც მოსახლეობის გეოგრაფიას უწოდებენ; ის ეკონომიკურ გეოგრაფიას გამოეყო. მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, მისი განსახლების ფორმები, მიგრაციები. თავის მხრივ, ეთნოლოგიაში გამოყოფენ ეთნიკურ გეოგრაფიას, რომელიც სწავლობს ეთნიკურ ერთობათა (აგრეთვე რელიგიურ და რასობრივ) განლაგებას. ეკონომ-გეოგრაფებისათვის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, წარმოებისა და მოხმარების მნიშვნელოვანი სუბიექტია, ეთნოლოგებისათვის კი – როგორც განსაზღვრული ეთნიკური თავისებურებების მატარებელი. ეთნოლოგიის ფარგლებშია მოქცეული *ეთნიკური კარტოგრაფიაც,* რომელიც ფართოდ იყენებს გეოგრაფიულ მეთოდებს. გამოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ეთნიკური რუკები. ხოლო მოსკოვში 1964 წელს დაიბეჭდა **„მსოფლიოს ხალხთა ატლასი“.** თავის

მხრივ, მოსახლეობის გეოგრაფიის სპეციალისტები სულ უფრო ხშირად რთავენ თავიანთ ნაშრომებში ეთნოლოგიურ მომენტებს.

გეოგრაფია / ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო / ლანდშაფტი მართლაც დიდ როლს თამაშობდა ეთნიკური კულტურების ფორმირებაში. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას მატერიალურ კულტურასა და მეურნეობის ფორმებზე. მხოლოდ სამრეწველო-ტექნიკური რევოლუციასთან არის დაკავშირებული მატერიალური კულტურის გლობალური უნიფიცირება. ნიველირება მოხდა შრომის იარაღების ადრინდელ სხვადასხვაგვარობაში, სატრანსპორტო საშუალებებში, საცხოვრებლებსა და სამოსში, მატერიალური კულტურის სხვადასხვა სფეროში. თუმცა დედამიწაზე მეურნეობის ეთნიკური სპეციფიკა თავისთავადობას მაინც ინარჩუნებს.

გეოგრაფიულმა ფაქტორებმა არანაკლები გავლენა მოახდინა ეთნოსების ცხოვრების სოციალურ, სულიერ და ენობრივ მხარეებზეც. გეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვნად განაპირობებდა და განაპირობებს მოსახლეობის მიგრაციებსა და მიგრაციების მიმართულებებს.

ადამიანი გარდაქმნის ბუნებას, გამოიყენებს მას თავისი მიზნებისათვის, მაგრამ გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს მათ შრომის იარაღზე, ობიექტებზე, შრომის ხერხებზე, შრომის წესებსა და მთელ სამეურნეო საქმიანობაზე. ბუნებრივი გარემო კეთილისმყოფელ ან არაკეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა წარმოების განვითარებაზე, მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე, აგრეთვე ეთნიკურ პროცესებზე. რუსი ეთნოლოგი *ლ. გუმილიოვი* საზოგადოებისა და ეთნიკური ერთობების განვითარებაში გეოგრაფიული ფაქტორის გადამწყვეტ როლზე მიუთითებდა.

გეოგრაფიულ ფაქტორთაგან, რომლებიც ეთნიკურ კულტურის ფორმირებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა, უპირველ ყოვლისა, კლიმატი უნდა დასახელდეს. კლიმატი და სხვა ბუნებრივი კომპონენტები ბევრად განაპირობებდა ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას. კერძოდ, შეიძლება ავღნიშნოთ კლიმატის გავლენა სამოსის ელემენტებზე, საცხოვრებელზე (მასალაზე, კონსტრუქციაზე, გათბობის რეჟიმზე), სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებასა და სამიწათმოქმედო სამუშაოების წლიურ ციკლზე, წლის სხვადასხვა დროის სატრანსპორტო საშუალებებსა და ა. შ.

ნიადაგი, რელიეფი და ჰიდროგრაფია ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომითი საქმიანობის ხასიათზე, დასახლების ტიპსა და ა. შ. მცენარეული საფარი განაპირობებდა საცხოვრებლის მასალასა და სახეობას (ძელური სახლები ტყის ზონაში, თიხატკეპნილი ჩალის სახურავით სტეპებში და ა. შ.). არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ფაუნას. მაგალითად, ამერი-

კის კონტინენტის ზომიერ სარტყელში ცხენისა და საქონლის არარსებობამ მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ინდიელი ხალხების სამეურნეო საქმიანობა.

გეოგრაფიული გარემოს ფაქტორი არსებით გავლენას ახდენს ხალხთა სულიერი კულტურის ზოგიერთ მხარეზეც. ზომიერ სარტყელში მცხოვრები ხალხების სამიწათმოქმედო ციკლი, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი წეს-ჩვეულებები და დღესასწაულები, განპირობებულია კლიმატით (მაგალითად, გაზაფხულის დღესასწაული). ასეთი დღესასწაულები და რიტუალები სრულიად უცნობია ტროპიკულ სარტყელში მცხოვრები ხალხებისათვის. ეთნიკური ტერიტორიის ლანდშაფტი ადრეული ბავშვობიდან აღიბეჭდება მასში დასახლებული ადამიანების ცნობიერებაში. ის ხალხური თქმულებების, სიმღერების და ფოლკლორის სხვა სახეების აუცილებელ ფონად იქცევა და საბოლოოდ ფორმდება „მშობლიური მიწის“ სახით, რაც ეთნიკურ (ნაციონალურ) ცნობიერებაში / თვითშეგნებაში ესოდენ შესამჩნევ როლს თამაშობს. სხვადასხვა ხალხების რელიგიური ცნობიერების ადრეული ფორმების ჩამოყალიბებაში მათ მიერ სათაყვანებელი საგნებისა და ბუნებრივი მოვლენების ახსნაში განმსაზღვრელი იყო ლანდშაფტური გარემოცვა. ლანდშაფტის ზოგიერთი ელემენტი ერთგვარად ეთნიკური მიკუთვნებულობის სიმბოლოებად იქცა. ზოგიერთი მეცნიერი ამა თუ იმ ეთნოსში შემავალ ადამიანთა ჯგუფების ფსიქომეტრიულ რეაქციასა და ფსიქიკური წყობის სხვა ელემენტებზე კლიმატური თავისებურებების გავლენის შესახებ საუბრობს. ეთნოლოგები, რომლებიც ეთნიკურ პროცესებსა და მიგრაციებზე მუშაობენ, აუცილებლად კარგად უნდა ფლობდნენ გეოგრაფიასა და მის ისეთ მიმართულებას, როგორიცაა *მოსახლეობის გეოგრაფია.*

ამრიგად, გეოგრაფიული ფაქტორი ამა თუ იმ ხარისხით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ხალხების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, მათი კულტურის სპეციფიკაზე. თავის მხრივ, გეოგრაფებს, უპირველ ყოვლისა, მოსახლეობის გეოგრაფიის სპეციალისტებს უფრო ხშირად შემოაქვთ სამეცნიერო საქმიანობაში ეთნოგრაფიული მასალები.

საბჭოთა მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, ფაქტობრივად, უგულვებელყოფდა გეოგრაფიული გარემოს როლს; ყველაფერი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ გარკვეულ სქემებში იყო მოქცეული. დასავლურ მეცნიერებაში კი გეოგრაფიული გარემოს როლი არასდროს ყოფილა ყურადღების მიღმა მიტოვებული. მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს თუ ღრმად ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მთელი რიგი მოვლენები, მაგალითად, ხალხთა მიგრაციები, მომთაბარეთა გადაადგილებები ძალიან ხშირ

შემთხვევაში ბუნებრივი მოვლენებით იყო განპირობებული. ესენია: ციკლონების გადაადგილება, გვალვები, ზღვებისა და მდინარეების დონეების აწევა, დიდი მიწისძვრები... ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ეპიდემიები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მხოლოდ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, არამედ ეთნიკურ ვითარებაზე.

ადამიანები და ეთნოსები ყოველთვის ცდილობდნენ ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფილიყვნენ – ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დანიშნულება ისიცაა, გაარკვიოს რამდენად იყვნენ თავიანთი სამეურნეო და მატერიალური თვალსაზრისით ხალხები ბუნებასთან და გარემომცველ ფაქტორებთან ჰარმონიაში. ამიტომაცაა, რომ ბოლო პერიოდში ყურადღება გამახვილდა ეთნოლოგიის იმ მიმართულებაზე, რომელსაც *ეთნოეკოლოგია* ჰქვია. ეთნოლოგიის ამ მიმიართულების განვითარებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ხალხური ეკოლოგიის უცოდინრობამ და უგულვებელყოფამ არაერთი პრობლემის წინაშე დააყენა ქართული საზოგადოება – დაიცალა მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გეოგრაფიული რეგიონები. ამას კი ტრადიციის გაწყვეტა მოჰყვა. როდესაც ტრადიციაზე ვსაუბრობთ, უპირველ ყოვლისა, მეურნეობის ის ფორმები გვაქვს მხედველობაში, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ბუნებასთან, გეოგრაფიულ გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობს შედეგად იყო ჩამოყალიბებული.

გამოწვლილვითაა შესასწავლი მცენარეული სამყაროს თავისებურება და განფენილობა, ფაუნის მოცულობა და სპეციფიკური თავისებურებები. კლიმატური ვარიაციები მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ ამ კომპონენტებს რა ადგილი ეკავათ კავკასიელი ხალხების კვებაში, დასახლებაში, შრომით საქმიანობაში, ერთი სიტყვით იმაში, რაც „მატერიალურ კულტურას“ შეადგენს. მეცნიერები შენიშნავენ, რომ ამაში უნდა ვეძიოთ ბევრი მენტალური რეაქციის სათავეც. არ უნდა დაგვავიწყდეს ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის, მისი მზის რადიაციისადმი მიმართულების საკითხებიც, რაც აგრეთვე საბოლოოდ განაპირობებდა მეურნეობის ხასიათს, სხვადასხვა მცენარეთა ჯიშების ჩამოყალიბებას. მცენარეთა საფარი კი, რომელიც შინაური ცხოველების მთავარ რაციონს შეადგენდა, განაპირობებდა რძისა და რძის პროდუქტების, ხორცის ხარისხს. კვება კი ბევრად განსაზღვრავდა ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების ხასიათს, ქცევის სტერეოტიპს. ისიც ცნობილია, რომ სტეპების მცხოვრები ნომადები უფრო მოძრავნი იყვნენ, უფრო ჰქონდათ მისწრაფება სხვათა განსახლების არეალების მითვისებისა, ვიდრე მთაში მცხოვრებნი. მთიელს სხვათა მიმართ აგრესიის გამო-

ვლენის სხვა მეთოდები გააჩნდა და ის ნაკლებად იყო სხვათა განსახლების არეალების მიმთვისებელი. მთიელთა ცხოვრება ყოველმხრივ უფრო კონსერვატიული იყო და ის საუკუნეების განმავლობაში ბუნებასთან ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ნაკლებად არღვევდა. ამიტომაც მთიელი უფრო კონსერვატორი იყო. ამ თვალსაზრისით კავკასია მთლიანად შესასწავლია. შესწავლა კი აუცილებლად მოითხოვს მასში შემავალი გეოგრაფიული რეგიონებისა და სხვადასხვა ეთნოსების შეპირისპირებით შესწავლას – ეთნოლოგიის უპირველესი მიზანი ხომ არა მხოლოდ ცალკეული ეთნოსების, ეთნიკური კულტურების, არამედ ამ ეთნოსთა და ეთნიკურ კულტურათა შედარებითი შესწავლაა.

ვერ გავექცევით ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა ტემპერატურა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასზეა დამოკიდებული მცენარის ნაყოფის (მაგალითა, ყურძნის) დამწიფება, ძროხის / ფურის ლაქტაცია (რძის გამოყოფა სარძევე ჯირკვლების მიერ), ანდა მინდვრის სამუშაოების დაწყება. გასარკვევია, ამ თვალსაზრისითაც კავკასია ერთგვაროვანი იყო, თუ მრავალფეროვანი. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი კლიმატური მოვლენები, როგორებიცაა წვიმა, თქეში / კოკისპირული წვიმა, ჭექა-ქუხილი, რომელთაც მსგავსი შედეგები ჰქონდათ. დასავლეთ ევროპული წყაროებისაგან განსხვავებით, კავკასიაზე ამ მოვლენების შესახებ არსებული წყაროები, ფაქტობრივად, არაფერს გვამცნობს. დღევანდელ ადამიანებს ხშირად გვიკვირს ტალახიანი წვიმა, წყალდიდობა, აღშფოთებული ვართ ხანძრების შედეგად ტყეების გადაწვის, ქარიშხლისა თუ გრიგალის დამანგრეველი ძალის შესახებ, რომელთაც ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობით ვხსნით, მაგრამ ასეთი ბუნებრივი მოვლენები შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებს ცოტა არა აქვთ დაფიქსირებული. მაგალითად, XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთის დასახლებულ პუნქტ *კრესისთან* აღწერილია, რომ წვიმისაგან გამოწვეული ჭუჭყისაგან რაინდები და ეტლები ადგილიდან ვერ იძროდნენ, ვერ გადაადგილდებოდნენ. კლიმატი იწვევდა ხანგრძლივი და დიდი მასშტაბების დანაკარგს, სახლების, ნათესების, შინაური ცხოველების დასილვას. კლიმატი აპირობებდა მოუსავლიანობას, ბალახისა და ყურძნის ცუდ ხარისხს, ფუტკრის ყრის დაცემას, ან მღრღნელებისაგან გამოწვეულ დანაკარგს. ყველა ეს ფენომენი კი ცხოვრების რიტმს, შრომას, ჯანმრთელობას გარკვეულ ტონს აძლევდა.

ბინადარ და მიწათმოქმედ ხალხებში ვერ ნახავდით სოფლის მცხოვრებს, რომელსაც წინაპართაგან გადმოცემული ცოდნა არ ჰქონოდა და, ბუნებრივია, საკუთარი გამოცდილებაც, რომ

არ ჰქონოდა სრული წარმოდგენა იმ მიწაზე, რომელსაც ამუშავებდა. ის გეტყოდათ, მიწა „ცივია“ თუ „თბილი“, „ნეშომპალიანია“ თუ „მძიმე“, „ღრმაა“ თუ „მსუბუქი“. ის გეტყოდათ ამა თუ იმ ნიადაგზე რომელი კულტურა უკეთესად მოდიოდა, სარწყავი წყალი სიღრმეში მიდიოდა, თუ მხოლოდ ზედაპირს უვლიდა. მისი ემპირიული ცოდნა გამოცდილებას ემყარებოდა.

აღნიშნული თვალსაზრით კავკასიის ყველა რეგიონი და ყველა ხალხის ეთნიკურა კულტურა შესასწავლია და ეს შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, შედარებას უნდა ეფუძნებოდეს. ახლა მეცნიერებამ ნიადაგის გასანოყიერებლად ბევრი ქიმიური საშულება შექმნა. ცნობილია, რომ ძველად, შუა საუკუნეებში ადამიანები მიხვდნენ, რომ მიწა მალე იფიტებოდა და საჭირო იყო მისი განოყიერება. საამისოდ სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: ეს იყო ცხოველთა ნაკელის შეტანა დასამუშავებელ მიწაში და სახნავ მიწებზე ნახირის მოძრაობა. შედარება ამ თვალსაზრისითაც არის საჭირო. განსახილველია ცოდნა მიწის დასვენების, სახვნელი იარაღის ტიპის შესახებაც.

ხალხთა კულტურულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ მიწათმოქმედი ხალხებისათვის რომელი კულტურები იყო ძირითადი და წამყვანი. საერთოდ, რა ადგილი ეკავა მიწათმოქმედებას ამა თუ იმ ეთნოსის ცხოვრებაში, ან რა შესაბამისობაში იყო მიწათმოქმედებასთან მეცხოველეობა. ამ მხრივ, ფრიად მნიშვნელოვანია გაირკვეს, ესა თუ ის ხალხი ძირითადად მარცვლეული კულტურების მოყვანაზე იყო ორიენტირებული, თუ მევენახეობაზე და, შესაბამისად, მეღვინეობაზე. ფრანგი ისტორიკოსი *რობერ ფოსიე* აღნიშნავდა, რომ **„ყურძენი – განსაკუთრებული შემთხვევაა. თუ ადამიანი ამუშავებს „თავის“ ვენახს და სვამს „თავის“ ღვინოს, ეს დღესაც მაღალი სოციალური მდგომარეობის ნიშნად მიიჩნევა“.** ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა და გვაქვს საქართველოში. დანარჩენ კავკასიაში? რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული ყოფა ამ მხრივაც შესასწავლია და ეს შესწავლა ბუნებასა და გეოგრაფიულ გარემოსთან შეთანაწყობით უნდა მოხდეს. ვენახი და ღვინო ქრისტიანობასთანაც მჭიდრო კავშირში უნდა იქნას განხილული. უფრო მეტიც: შენიშნულია, რომ მევენახე-მეღვინე ხალხებს ხასიათიც კი განსაკუთრებული და განსხვავებული აქვთ; განსხვავებული და ორიგინალური აქვთ სიმღერები და ცეკვები. მეღვინეობისა და მევენახეობის მიმდევარი ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობითაც გამიორჩეოდნენ.

მხედველობის არიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს ტყის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაზე. ტყიანი ლანდშაფტი ხშირად ადამიანებისთვის თავდაცვის საშუალებას წარმოადგენ-

და, მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ფორმათა თავისებურებას განაპირობებდა. ტყე მკვებავი და მასაზრდოებელი საშუალება იყო. შედარება ამ თვალსაზრისითაც უნდა მოხდეს. ბუნებრივია, ტყიან და ტყის ზოლის არმქონე ლანდშაფტებში მცხოვრები ხალხები სხვადასხვაგვარ ეთნიკურ კულტურას ქმნიდნენ.

II.6.გეოგრაფიული გარემო და კავკასიელ ხალხთა ეთნიკური კულტურა

რუსულ მეცნიერებაში კავკასიას არა მხოლოდ გეოგრაფიულ ოლქად, არამედ ისტორიულ-კულტურულ რეგიონად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციადაც განიხილავენ; მაგრამ მთავარი კავკასიონის ქედის მძლავრი მთათა სისტემა კავკასიას ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, რეგიონად ყოფს: *ჩრდილოეთ კავკასიად* და *სამხრეთ კავკასიად*. ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია განსხვავებული ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული თავისებურებებით ხასიათდება. ხშირად ცალკე გამოყოფენ ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს – *დაღესტანს*. მრავალფეროვანია კავკასიის ლანდშაფტიც. კავკასიის ეკოლოგიურმა მრავალფეროვნებამ კი აქ სრულიად განსხვავებული სამეურნეო-კულტურული ტიპები წარმოქმნა: სამიწათმოქმედო-მესაქონლეობითი კომპლექსური მეურნეობა, საქონლის როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გადარეკვით, სახვნელი და მთის მიწათმოქმედება. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ნიშანდობლივი იყო აგრეთვე ნომადური მესაქონლეობა. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიამ და სამხრეთ კავკასიამ განვითარების სხვადასხვა გზა განვლეს. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მხოლოდ მაღალმთიან, ერთმანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მკვიდრთ გააჩნდათ მსგავსი სამეურნეო და მატერიალური რეალიები. რთული ლანდშაფტით იყო განპირობებული კაკვკასიის ეთნოლინგვისტური სიჭრელეც.

ზოგიერთ მკვლევარს კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნოსების ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მოქცევის მიზეზს ძირითადად საერთო ანთროპოლოგიური ტიპი, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ზოგიერთი ელემენტის მსგავსება აძლევს. იყო ერთობა მთიელთა სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში, მენტალიტეტში. კულტურის ზოგიერთ საერთო ელემენტთან ერთად კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, მენტალობა ჰქონდა. ბუნებრივია, ეს სხვაობა ქართველი ხალხისა, სომხებთან და ალბანელებთან ერთად, კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით უფრო დიდი და სიღრმისეული იყო, რადგან სამხრეთ კავკასიელებმა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, მაღალი კულტურა და ცივილიზაცია შექმნეს, რომლის ყველაზე დიდი გამოხატულებაც ეროვნული დამწერლობა და მრავალფეროვანი მწერლობაა. სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებად ჩამოყალიბებას ხელი არა მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედით გამიჯვნამ შეუწყო, არა-

მედ მეზობლურმა გარემოცვამაც – ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთიდან თუ სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსები ესაზღვრებოდნენ, სამხრეთ კავკასიელებს დასავლეთ აზიის / მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ცივილიზაციებთან ჰქონდათ ურთიერთობა. *ძველი აღმოსავლური, ირანული, არაბული, ბიზანტიური* ცივილიზაციები ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიელთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, რასაც ჩრდილოეთ კავკასიელები მოკლებულნი იყვნენ. კავკასიელთა კულტურულ არაერთგვაროვნებას რელიგიური ფაქტორიც განაპირობებდა.

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აქ მაღალმთიანეთთან ერთად არის ვრცელი სტეპები და ნახევარუდაბნოებიც, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავაც. **კავკასიაში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი და 11 კლიმატური ოლქი გამოიყოფა. შესაბამისად, მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა.**

კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ენათა მრავალრიცხოვნობა, მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ნაირგვარობა, სოციალური განვითარების სხვადასხვაობა, განსხვავება სულიერ კულტურებში, ბუნებრივია, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, ბევრად განაპირობა კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმაც. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი იყო გამოწვეული მეურნეობის ფორმების სხვადასხვაობა. ჯერ კიდევ სტრაბონი შენიშნავდა, რომ აქ ბარის მკვიდრნი მიწათმოქმედნი და მთიელები – მესაქონლეები იყვნენ. კავკასიის ხალხებმა, როგორც ბარში, ისე მთისწინეთსა და მთაში მიწათმოქმედების განვითარებული ფორმები შექმნეს, რაც, თავის მხრივ, ხელოვნური მორწყვითა და ტერასების მოწყობის კულტურითაც იყო განპირობებული. სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ / ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებში განსახლებული ეთნოსები ჩაკეტილი არ ყოფილან (თუმცა დაღესტანში სოციალური თვალსაზრისით იზოლანტი ეთნოსები ცხოვრობდნენ). გარემოება მათ აიძულებდა ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონოდათ და აქედან გამომდინარე ერთმანეთის ბევრი კულტურული მიღწევაც გაეზიარებინათ. ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობის გამო, კავკასიის მოსახლეობას მშვიდობიანი განვითარების საშუალება იშვიათად ჰქონდა. იმპერიების გარდა, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, მისდამი ინტერესს მომთაბარე ტომებიც იჩენდნენ. განსაკუთრებით შეიცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა რუსეთის იმპერიის აქ დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის იმპერიამ კავკასია ეთნიკურად უფრო ჭრელი გახადა და ზოგიერთ ეთნოსს თავისი ეთნიკური ნიშაც დააკარგვინა.

თავისი რელიეფით, გეოლოგიური აგებულებით, ბუნებითა და მოსახლეობით კავკასია განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შედარებით პატარა სივრცეზე აქ თავმოყრილია სხვადასხვა წარმოშობისა და აგებულების, ფორმის ზედაპირი: დაბლობები, ბარი, ზეგანები, მთის ქედები, ვულკანური მწვერვალები. თავის სხვადასხვა ნაწილში კავკასიას სხვადასხვაგვარი კლიმატი ახასიათებს – მაღალმთიანი კავკასიის პოლარული კლიმატი და დასავლეთ კავკასიის დაბლობის სუბტროპიკული ტენიანი კლიმატი, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის სტეპური სივრცის მშრალი კონტინენტური კლიმატი, რომელსაც ბევრი საერთო აქვს შუა აზიის უდაბნოს კლიმატთან და აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპების მშრალი სუბტროპიკული კლიმატი.

არანაკლებ სხვადასხვაგვარია კავკასიის ნიადაგები, კავკასიის მაღალმთიანეთის ალპური მდელოების ტუნდრული ნიადაგებიდან დაწყებული ბათუმის სანაპიროს წითელმიწით დამთავრებული, კავკასიისწინეთის დაბლობის შავმიწით, სამხრეთ კავკასიის მაღალი მთიანეთითა და აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის უდაბნოს ნიადაგებით.

ასევე მრავალფეროვანია კავკასიის მცენარეული სამყარო: სუბტროპიკული ტყეები და ზომიერი კლიმატის ტყეები ენაცვლება ერთმანეთს, ერთი მხრივ, ალპურ მდელოებს, და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთისა და სამხრეთ კავკასიის მშრალი დაბლობის სივრცეების მწირ, ნახევრადუდაბნოს მცენარეულ საფარსა და დასავლეთ კავკასიის შავმიწანიადაგიანი სტეპების ფლორას.

კავკასიის ცხოველთა სამყაროც ფრიად მდიდარია და აგრეთვე დიდი მრაფალფეროვნებით გამოირჩევა. აქ გვხვდება როგორც კავკასიის ირგვლივ მდებარე ქვეყნების ფაუნის წარმომადგენლები, ისე ცხოველები, რომლებიც მხოლოდ კავკასიაში გვხვდება. და ბოლოს, რამდენადაც მრაფალფეროვანია კავკასია ბუნებრივი თვალთახედვით, იმდენად მრავალმხრივია ეთნიკური თვალსაზრისითაც.

კავკასიაში თავისი ბუნებით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული სამი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: 1. *კავკასიისწინეთი (ჩრდილოეთ კავკასია),* 2. *კავკასიონის მთავარი ქედი,* 3. *სამხრეთ კავკასია.*

საჭიროა გეოგრაფიული ლანდშაფტის კავკასიის ისტორიასა და ეთნოლოგიასთან შედარება. რა როლი აქვს გეოგრაფიულ გარემოს კავკასიაში ეთნოსების ჩამოყალიბებაში, განსახლებაში, თავდაცვაში; სად, კავკასიის რომელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ რეგიონებსა და კლიმატურ ზონებში უფრო ენაცვლებოდნენ ეთნოსები ერთმანეთს და სად უფრო ინახავდნენ თავს. დაწვრილებითაა შესასწავლი კავკასიური ლანდშატები იმ კულტურებთან შედარებით, რომლებიც აქ გვხვდებოდა. კულტურაში მისი ყოველგვარი გამოვლინება იგულისხმება. უფრო მეტიც, ეთნოლოგთა მოვალეობაა კავ-

კასიურ ეთნოსთა ხასიათების შესწავლა, მსგავსი ხასიათისა იყვნენ კავკასიის ხალხები თუ განსხვავებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლანდშაფტი ორგანიზმზე მოქმედებს. *ლ. გუმილიოვი* აღნიშნავდა, რომ ტუნდრა, ტყე, სტეპი, უდაბნო, მთები, წყლიანი გარემო, კუნძულებზე ცხოვრება და ა. შ. – ყველაფერი ეს განსაკუთრებულ დაღს ასვამს ორგანიზმს. ეს მდგომარეობა ეთნოსებსაც შეეხება, რომლებიც უშუალოდ და მჭიდროდ დაკავშირებული არიან ბუნებასთან თავისი სამეურნეო საქმიანობით. ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების მომენტში ეგუება გარკვეულ ლანდშაფტს. მომდევნო პერიოდში, გადასახლებისას ან განსახლებისას, ეთნოსი ეძებს განსახლების ისეთ არეალს, რომელიც იმ ლანდშაფტის მსგავსი იქნება, რომელშიც ჩამოყალიბდა და განვითარდა. შორს რომ არ წავიდეთ, ქართველი მაჰმადიანების (*მუჰაჯირების*) მაგალითის დასახელებაც საკმარისია – მარმარილოს ზღვის რეგიონში დასახლებულებმა თითქმის ანალოგიურ ლანდშაფტს მიაგნეს; უმეტეს შემთხვევაში გრჩება შთაბეჭდილება, რომ მთიანი აჭარისა და ლიგანის ხეობის სოფლებში იმყოფები.

ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ყველა კავკასიური ეთნოსის ლანდშაფტი. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ იყო ქართული ეთნოსი უფრო შეკრული ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების მიუხედავად? რატომ არ ჩამოყალიბდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღეური 12 ტერიტორიული ერთეული მტკიცე ეთნიკურ ერთობად და რატომ ვერ შეძლეს მათ ქართველების ან სომხების ანალოგიური სოციალური სისტემის შექმნა და სახელმწიფოს ფორმირება? აქაც თავი და თავი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოშია საძიებელი. საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეთა განსხვავებული ლანდშაფტი, კლიმატი, ნიადაგები ამ ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებ ქართველებს აიძულებდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონოდათ ერთმანეთთან, რადგან ყოველი მათგანი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ზედმიწევნით იყო ადაპტირებული და, შესაბამისად, მეურნეობის ისეთი დარგები ჰქონდათ განვითარებული, რომელსაც გარემო მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის ქართველებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ. რაც შეეხება ადიღეური მოდგმის ეთნიკურ ერთეულებს, ისინი მეტ-ნაკლებად ერთგაროვან ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდნენ. მეურნების ის ფორმა, რომელიც გააჩნდათ, მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, ფაქტობრივად, არ გააჩნდათ. ამიტომ ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებას მისდევდნენ. ზღვისა და სტეპების სიახლოვეს ცხოვრებამ ადიღელებს ამ თვალსაზრისით დათვური სამსახურიც გაუწია. ისინი არ მისდევდნენ ისეთ ბინადარ ცხოვრებას, როგორსაც ქართველები და ქართველთაგან განსხვავებით არც ექსტენსიური მიწათმოქმედების

მიმდევარნი გახლდნენ – ნახევრად მომთაბარენი და ნახევრად ბინდარნი პრიმიტიული მიწათმოქმედები იყვნენ. რა იყო ამის მიზეზი? – პირდაპირ ვიტყვით, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. ისინი ახლოს ცხოვრობდნენ სტეპებთან, სადაც ნომადები მოძრაობდნენ და ნომადების მეზობლობაც ხელს უშლიდათ სრულყოფილ ბინადარ ცხოვრებაზე რომ გადასულიყვნენ, ესა თუ ის ადიღეური ტომი ერთ საუკუნეში თუ ერთ ხეობაში იყო ლოკალიზებული, მეორე საუკუნეში – მეორე ხეობაში იყო. სოფლებიც, პრიმიტიული მიწთმოქმედების გამო, ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ადიღეელი იმიტომაც ვერ გადავიდა მიწათმოქმედების სრულყოფილ ფორმაზე და იმიტომ შეინარჩუნა წინაპართაგან გადმოცემული ბუნებასთან ურთიერთობის ფორმა, რომ არსებობის ძირითად საშუალებას, როგორც აღვნიშნეთ, ზღვა აძლევდა, თუმცა არა საზღვაო რეწვა, არამედ ზღვიდან შემოსული უცხოელი, რომელიც ტყვებს ყიდულობდა და თარეშების გაფართოვების სტიმულს აძლევდა. ამიტომაც იყო, რომ მათ, ე. წ. ზედაფენას, მოთარეშეთა ლიდერები შეადგენდნენ, რომელთაც გარკვეული ქონება არა მიწაზე კერძო საკუთრებით ჰქონდათ დაგროვილი, არამედ მეზობლებისა თუ სხვა ეთნოსების ძარცვა-გლეჯის შედეგად. ამრიგად, ადიღეელთა ეთნიკური განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი და პროგრესის ხელის შემშლელი ის ბიოსფერა იყო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, და რომელიც გარს ერტყათ.

ლანდშაფტი, ქართველთა ხეობებად ცხოვრება, მთის, მთისწინეთისა და ბარის არსებობა, დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების სრულიად განსხვავებული ლანდშაფტი, განსხვავებული კლიმატური ზონები ქართველი ხალხის არა მხოლოდ შეკავშირების, არამედ გადარჩენის ძირითადი მიზეზი იყო. რატომ ვერ გადარჩნენ ქართველთა აღმოსავლეთით მცხოვრები მეზობელი ალბანელები, რომლებმაც იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, როდესაც ქართველებმა და V საუკუნიდან დამწერლობის მატარებელნიც იყვნენ? ამის მიზეზი ძირითადად ის ერთფეროვანი და მონოტონური ლანდშაფტია, რომელიც თანანედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ალბანურმა ეთნოსმა სტეპურ პირობებში, ერთფეროვან ლანდშაფტში განსახლებულმა თავი ვერ დაიცვა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე თურქულენოვანი დამპყრობლებისაგან. ამრიგად, ერთფეროვანმა ლანდშაფტმა ხელი შეუწყო ერთი ეთნოსის მეორე ეთნოსით ჩანაცვლებას და კულტურულად და სამეურნეო თვალსაზრისით უფრო დაწინაურებული ადგილობრივი ეთნოსი მოსულმა ჩაყლაპა.

საქართველოსა და სომხეთის ლანდშაფტებიც შეიძლება შევადაროთ. ცნობილია, რომ სომხები ფართოდ იყვნენ მოდებული მსოფლიოს, უკვე შუა საუკუნეებში მათ კოლონიები ჰქონდათ შექმნილი არა მხოლოდ მახლობელ აღმოსავლეთსა და მეზობელ საქა-

რთველოში, არამედ ევროპაშიც. რა იყო სომეხთა ასეთი მიგრაციის მიზეზი? ის, რომ სომხებს ნოსტალგიის გრძნობა არ ჰქონდათ და მიგრაციისადმი მიდრეკილება ახასიათებდათ? რა თქმა უნდა, არა. სომეხთა მიგრაციისადმი მიდრეკილებას ის ლანდშაფტი განსაზღვრავდა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ზემოთ დავახასიათეთ სომხეთის ზეგანი, რომელიც ძირითადად ზღვის დონიდან 1700-2000 მეტრზე დაცემული ველებია, სადაც არაა ისეთი მცენარეული საფარი, როგორიცაა ტყე. ერთფეროვან ლანდშაფტს ემატება კლიმატი, რომელიც ზაფხულში ძალიან ცხელი და ზამთარში ძალიან ცივია. კავკასიაში შემოსული დამპყრობი, უპირველ ყოვლისა, სომხეთს მიადგებოდა ხოლმე. სომეხს კი, ფაქტობრივად, თავშესაფარი არსად ჰქონდა და ასეთ ვითარებაში ის გარბოდა თავის ცოლშვილთან ერთად და სხვა ქვეყნებს აფარებდა თავს. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთ სომხეთის დიდი ნაწილი დაცლილი იყო მოსახლეობისაგან და XIX საუკუნის ბოლოს ერევნის მაზრაში უფრო მეტი თურქულენოვანი მოსახლეობა (1886 წელს – 52 ათასი) ცხოვრობდა, ვიდრე სომეხი (1886 წელს – 36 ათასი). ასეთივე მდგომარეობა იყო სომხეთის სხვა პროვინციებში. გაქცეული სომხური მოსახლეობის ადგილს თურქული მოსახლეობა იკავებდა. თურქებს კი ახალ დასასახლებელ ადგილას ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო ადაპტაცია არ უჭირდათ. ნახევრადმომთაბარეებისათვის სომხეთის ზეგანი პირდაპირ მისწრება იყო. საძოვრების სიუხვე მათ ტრადიციული მეურნეობის – მესაქონლეობის ფართოდ განვითარების საშუალებას აძლევდა. ამდენად, სომხეთის ზეგანზე ეთნიკური ვითარების შეცვლას ლანდშაფტი, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა.

სომეხთა ცხოვრებაზე სომხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი სხვა მხრივაც ახდენდა ზემოქმედებას. ისევ საქართველოსთან მიმართებით შეიძლება განვიხილოთ ეს საკითხი. ბუნებრივია, ქართველი მეურნეც და სომეხი მეურნეც თავიდანვე მიწათმოქმედნი იყვნენ და მიწათმოქმედება როგორც ერთ, ისე მეორე ეთნოსში მეცხოველეობასთან ერთად იყო წარმოდგენილი. ქართველ გლეხს ბუნებასთან ურთიერთობის ეს ფორმა აკმაყოფილებდა. ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში თუ რომელიმე სასოფლო პროდუქტის ნაკლებობა იყო, ის ამ დანაკლისს სხვა მხარესთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდა. ამრიგად, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი მის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ხელოსნობაც სათანადო დონეზე იყო განვითარებული როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დამატებით შემოსავალზე ფიქრი ქართველ მეურნეს, ფაქტობრივად, არ სჭირდებოდა. სომხეთი კი ბუნებრივი მრავალფეროვნებით განებივრებული არ იყო. მხოლოდ მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები ვერ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას (აქ არარატის ვე-

ლი და ზოგიერთი სხვა მიკრორეგიონი არ იგულისხმება, სადაც მევენახეობა და მებაღეობაც იყო განვითარებული). ამიტომ სომეხს დამატებითი შემოსავალი, არსებობისათვის საჭირო შემოსავლის ძიება სჭირდებოდა. ამან კი ვაჭრობისა და ხელოსნობისა და, შესაბამისად, საქალაქო ცხოვრების განვითარებისკენ უბიძგა. სხვა ქვეყნებში განსახლებული სომხები კი, ბუნებრივია, უკვე ამ ტრადიციულ დარგებს ავითარებდნენ და ხშირ შემთხვევაში ხალხებს შორის სავაჭრო ურთიერთობის შუამავლები ხდებოდნენ და საერაშორისო ვაჭრობაში ხშირად ებრაელ ვაჭართა გვერდითაც ეკავათ ადგილი.

ახლა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გადავინაცვლოთ. აქ მცხოვრები ეთნოსებისთვის დამახასიათებელი იყო თარეშები – მთებსა და მთისწინეთში მცხოვრები ხალხები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ჯგუფების სახით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს და საქართველოს. იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ – უძრავ და მოძრავ ქონებას, ტყვედ მიჰყავდათ ადამიანები და თავდაპირველად ვენეციელებსა და გენუელებზე და შემდეგ კი ყირიმელ თათრებსა და თურქებზე ყიდდნენ. რა მოვლენა იყო თარეშები? რა ფაქტორებით იყო განპირობებული? თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მისი მიზეზი გეოგრაფიული გარემო იყო. სამხრეთ კავკასიის მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთსა და ბარში გადადიოდა საცხოვრებლად, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები ანალოგიურად ვერ მოქმედებდნენ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის გეოგრაფიული გარემო განსხვავდებოდა სამხრეთ კავკასიისაგან. ჩრდილოეთ კავკასიაში მთებს პირდაპირ მოებმოდა დაბლობი. ეს დაბლობი სტეპებს წარმოადგენდა. სტეპები კი ტრადიციულად მომთაბარე ხალხების, ხან ირანული და ხან თურქული ტომების სამომთაბარეო არეალი იყო. ყველას თავისი ეთნოსფერა ეკავა. ცალკეული ინდივიდუალური გადასახლებები საქმეს ვერ შველოდა. გამრავლებულ ეთნოსებს კი არსებობა უნდოდათ. გამოსავალი იმაში მოიძებნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებმა თარეში დაიწყეს. სტაცებდნენ ერთმანეთს ქონებასა და ადამიანებს და ტყვეებს ყიდდნენ. მყიდველი კი ირგვლივ ბევრი იყო.

რა იყო თარეშების მიზეზი? – ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. მთის პირობებში შეზღუდულმა მეურნეობამ ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს თარეშებისაკენ უბიძგა. არასტაბილური ეთნიკური სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლში მათ ნორმალური ეთნიკური ურთიერთობების საშუალებას არ აძლევდა.

გეოგრაფიული გარემო გახლდათ ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიელებს სამხრეთ კავკასიელთაგან საზოგადოებრივი განვითარებითაც რომ განასხვავებდა. ლ. გუმილიოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხთა პოლიტიკური სისტემები მჭი-

დროდ იყო დაკავშირებული ქვეყნებში დასახლებული ხალხების მეურნეობის სისტემებთან. სამეურნეო სისტემები კი, თავის მხრივ, ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორებით იყო განპირობებული. კავკასიის ხალხები ამ თვალსაზრისითაც (პოლიტიკური სისტემებითაც) განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში ჯერ სხვა ვითარება გვქონდა. რატომ? – აქაც ყველაფერი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი აიხსნება. ჩრდილოეთ კავკასიას ჩრდილოეთიდან ევრაზიის სამომთაბარეო არეალი ესაზღვრება. ძვ. წ. IX საუკუნიდან ამ სამომთაბარეო არეალში ნომადური ტომები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ეს გარემოება აქ არც მდგრადი ეთნიკური ვითარებისა და არც მდგრადი პოლიტიკური სიტუაციის შექმნას უწყობდა ხელს. თვით ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლშიც სტეპური გარემო არსებობს და ეს ლანდშაფტი აქ მოსულ მომთაბარე ეთნოსებს მხოლოდ ნახევრადმომთაბარეებად აქცევდა. აქ მოსული სხვა ნომადების გამოისობითაც არ იქმნებოდა სტაბილური ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია. ნახევრადმომთაბარეების ინტერესებში, ფაქტობრივად, არ შედიოდა მდგრადი პოლიტიკური ვითარების შექმნა, რადგან მათში სოცილაური დიფერენციაცია ან არ იყო, ან უმნიშვნელოდ იყო დიფერენცირებული. რაც შეეხება მთას – მთა ფრიად კონსერვატული გახლდათ. მთის ლანდშაფტი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აქ სოციალური დიფერენციაცია მომხდარიყო. ბუნებრივია, აქ არც ქონებრივი განსხვავება არსებობდა. ყველაფერი თემობრიობას ექვემდებარებოდა. მიწა ყველას თანაბრად ჰქონდა დანაწილებული და მასზე კერძო საკუთრებაც არ არსებობდა. ამდენად, ჩრდილოეთ კავკასიის მთაში ფეოდალური ურთიერთობა, რასაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები უნდა შეექმნა, არ არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთაში სახვნელი მიწის ნაკლებობის გამო შეუძლებელი იყო ფეოდალური ურთიერთობების წარმოქმნა. აქ მეთემეს თავად არ ყოფნიდა მოწეული მიწის მოსავალი და, ბუნებრივია, სხვისთვის გადასახდელიც არც არასდროს ჰქოდა და არც არავის არ აძლევდნენ თემზე მაღლა დადგომის საშუალებას. ერთგვარი ზედაფენა აქაც არსებობდა, მაგრამ ეს ზედაფენა გაჩნდა არა მიწაზე კერძო საკუთრების შედეგად, არამედ ესენი იყვნენ მოთარეშეთა ლიდერები, წინამძღოლები, რომლებსაც ქონება ძარცვა-გლეჯის გზით ჰქონდათ მოპოვებული. ეს ვითარება საუკუნეების განმავლობაში, კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე, არსებობდა.

რა გავლენას ახდენდა ლანდშაფტი ეთნიკურ სიტუაციაზე? რადგანაც კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური თვალსაზრისით უაღრესად ჭრელი იყო, ამის გამო, აქ ერთგვაროვანი ეთნიკური სიტუაციაც არ გვქონია. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ შეიცვალა ეთნიკური სიტუაცია შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკა-

სიის აღმოსავლეთში, ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, როგორ მცირდებოდა სომეხთა უძველესი განსახლების არეალში სომხური ეთნოსი და როგორ იკავებდა მას სხვა, მოსული თურქულენოვანი ეთნოსი. ცვალებადი იყო ეთნიკური სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობის ნაწილში – სტეპებში, რომელიც უშუალოდ ჩრდილოეთიდან ევრაზიის სივრცეს ესაზღვრებოდა და სადაც საუკუნეების განმავლობაში ათეულობით მომთაბარე ეთნოსმა გადაიარა. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ვაკე ადგილებზე სახლდებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ესენი იყვნენ: *სკვითები, სარმატები, ალანები, ხაზარები, ავარები, ბულგარელები, სავირები, პაჭანიკები, ყივჩაღები.* მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური ვითარება მონღოლებმა.

კავკასიის ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია IV საუკუნის 70-იან წლებში თურქულენოვანი *ჰუნების* შემოსევებმა. თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიიდან წამოსული ეს თურქულენოვანი და სხვა ეთნოსებთან შეუღლებული კონგლომერატი ევრაზიის სივრცეში გადაადგილდებოდა და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა. ვოლგასა და აზოვის ზღვის მონაკვეთში ისინი ირანულენოვანი *ალანების* დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ალანებს ევრაზიის სივრცეში სამომთაბარეო არეალი მოუსპეს. ალანთა გადარჩენილმა ჯგუფებმა კავკასიის ბარში გადმოინაცვლეს და ბინადარ ცხოვრებას მიჰყვეს ხელი. ასე იქცნენ ოსთა წინაპარი ალანები კავკასიელებად. თავის მხრივ, ალანებმა კავკასიის ბარში მოსახლე ეთნოსები შეავიწროვეს: ნახურ-დაღესტნური ეთნიკური ჯგუფები მხოლოდ კავკასიის მთების მკვიდრებად იქცნენ. აღნიშნული დროიდან ალანებთან ერთად კავკასიაში დამკვიდრებას იწყებენ თურქული მოდგმის ჰუნებიც – მაშინ შემოვიდნენ კავკასიის მთებში, თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე – *სავირები.* მაშინვე ჩაეყარა საფუძველი დაღესტნის ბარში *ყუმუხების* ეთნოსს. *ხაზარებიც* აღმოსავლეთ კავკასიის მთისწინეთში დასახლებული ჰუნების შთამომავლებად მიიჩნევიან. ხაზარების სახელმწიფო კი, როგორც ცნობილია, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და მისი ჩრდილოეთი საზღვარი კასპიის ზღვის ჩრდილოეთით იყო, ხოლო დასავლეთით ისინი ყირიმის ნახევარკუნძულის ნახევარს ფლობდნენ. მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ველებში სწორედ ზემოხსენებული *ალანები* და *ხაზარები* დომინირებდნენ. თურქულენოვან ჯგუფების დარად, ირანულენოვანი ალანებიც აღმოსავლეთიდან – შუა აზიიდან და ყაზახეთის ტერიტორიიდან იყვნენ მოსული. *ჰუნებმა* და შემდეგ ხაზარებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სამხრეთ კავკასიაზეც. 392-396 წლებში მოხდა *ჰუნების* დიდი მასების შემოჭრა სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში.

ახალი ეტაპი კავკასიის ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში მონღოლთა შემოსევების შემდეგ იწყება. მონღოლებმა ევრაზიის სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა თურქულენოვანი და ირანულენოვანი ეთნოსები აამოძრავეს. მოსპეს *ალან-ოსეთისა* და *ყივჩაღეთის* პოლიტიკური გაერთიანებები. „სტეპნიაკი“ ალან-ოსები საბოლოოდ მთიელებად იქცნენ და ცენტრალური კავკასიის მთებში შევიდნენ საცხოვრებლად, ხოლო ყივჩაღების მცირე ნაწილმა თავი დასავლეთ კავკასიის მთებს შეაფარა. ყივჩაღების საფუძველზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად, თანამედროვე *ბალყარელები* და *ყარაჩაელები* ჩამოყალიბდნენ. მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ ალანების საცხოვრებელის სამხრეთი ნაწილი *ყაბარდოელებმა* დაიკავეს და კავკასიაში რუსების შემოსვლამდე სიტუაციას, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ.

მონღოლთა შემოსევებმა ეთნიკური სურათი სამხრეთ კავკასიაშიც შეცვალა. ასეთი ცვლილება განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა: თანამედროვე აზერბაიჯანის, ანუ ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე. ადრე შუა საუკუნეების პერიოდის ქრისტიანი და დამწერლობის მქონე ალბანური ეთნოსი გაქრა.

შედარებით მდგრადი ეთნიკური ვითარება გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, განსაკუთრებით დაღესტანსა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, შედარებით არამდგრადი ეთნიკური ვითარება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გვქონდა. მართალია, ყუბანის მარცხენა მხარეზე ახ. წ. დასაწყისიდან ადიღეური ტომები მკვიდრობდნენ, მაგრამ მათი მკვიდრობა მუდმივ ბინადრობას არ გულისხმობდა. ადიღეური მოდგმის დანაყოფები აღნიშნული რეგიონის ხან ერთ ხეობაში იყვნენ, ხან – მეორეში. ცხოვრების ასეთი წესი მათ კონსოლიდაციას ხელს უშლიდა. სოფლებიც ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ყოველივე ამას მთელი რიგი მიზეზები განაპირობებდა, უპირველესი მიზეზი კი სტეპურ სამყაროსთან სიახლოვე და ნომადებთან მეზობლობა იყო. ამავე დროს ყუბანის მარცხენა სანაპიროზე პროტოადიღეელები უფრო ჩრდილოეთიდან – აზოვიდან და შავიზღვისპირეთიდან მოვიდნენ. მათი განსახლების თავდაპირველი არეალი კი ნახევრადმომთაბარეთა არეალი იყო.

ქართული ეთნოსის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს როლი, რაც ხელს უწყობდა მჭიდრო სამეურნეო-ეკომიკური კავშირების განვითარებას და, აქედან გამომდინარე, ეთნიკურ შეკავშირებულობას. საამისოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. *შავშეთს, კლარჯეთსა* და *მაჭახელს* მიჯნავდა *კარჩხლის მთა,* მაგრამ სინამდვილეში *კარჩხლის მთა* არა გამთიშველი, არამედ შემამჭიდროვებელი იყო. საქართველოს აღნიშნულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არსებობდა მესაქონლეობის განსაკუთრებული

ფორმა. სოფლებთან ახლოს მხოლოდ სახვნელი მიწები და სათიბები არსებობდა. საძოვრები კი შორს მთებში ჰქონდათ. მაისიდან სექტემბრამდე *შავშულებს, კლარჯელებს, მაჭახლელებს* საქონელი *კარჩხლის* მთის *იაილებზე* მიყავდათ. *იაილები* საზაფხულო სოფლებსაც წარმოადგენდა. მართალია, *კარჩხილის* მთაზე ყველა ტერიტორიულ ერთეულს საძოვრების თავისი ზონა ჰქონდა, მაგრამ ისინი აქ რამდენიმე თვის განმავლობაში ერთმანეთის ახლოს ცხოვრობდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, აქ ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობოდნენ და ქორწინდებოდნენ, ე. ი. ერთმანეთს უნათესავდებოდნენ, რაც ინტეგრაციის გარკვეული წინაპირობა იყო. დანათესავებულებს შემდგომში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამრიგად, ერთი შეხედვით მთას გამთიშველი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, სინამდვილეში კი ის მაინტეგრირებელი იყო თავისი სამეურნეო დანიშნულებიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთვევაში საქართველოს სხვადასხვა ხეობების დამაკავშირებელი მთები სხვა ფუნქციის იყო. გავიხსენოთ, როგორ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან თეთრი არაგვისა (*მთიულეთის*) და ქსნის ხეობის (ისტორიული *ცხრაძმა*) მოსახლეობა. ამ ორ ხეობას ერთმანეთისაგან ლომისის ქედი ჰყოფდა, მაგრამ ეს ქედი მთიულებსა და ქსნელებს ერთმანეთთან აკავშირებდა და არ ყოფდა. ამ მთაზე *ლომისის* სალოცავი არსებობდა, რომელსაც ორივე ხეობა ეყმობოდა. ამიტომ გამყოფი ქედი არა გამთიშველი, არამედ დამაკავშირებელი იყო. ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას წარმოადგენდა საქართველო.

ამჯერად შეიძლება ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზებს შევეხოთ. სხვა ნაშრომებში აღნიშნული გვქონდა, რომ ქართველი ხალხი გაქრობისაგან საქართველოს ლანდშაფტმა იხსნა. დასავლეთ საქართველოში მტერი იშვიათად შედიოდა, აღმოსავლეთში კი პირიქით. ამ უკანასკნელში მოსახლეობა ხშირად წყდებოდა, სოფლები ნასოფლარებად იქცეოდა და ნასოფლარებს ხშირად სწორედ დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ამ თვალსაზრისით მთის როლიც განუსაზღვრელია. თითქმის მთელ კახეთში XVII საუკუნეში ადგილობრივი მკვიდრი აღარ დარჩა და ალბანეთსავით კახეთსაც გათურქება ელოდა, მაგრამ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი მხარე გათურქებისაგან ქართველმა მთიელებმა იხსნეს; იხსნა იმ სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, რომლებიც კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს შორის არსებობდა. ბახტრიონის ბრძოლაში მთავარი მთიელები იყვნენ. რატომ? იმიტომ, რომ კახეთში თურქმანების ჩამოსახლებით ისინი საზამთრო საძოვრებს კარგავდნენ. სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ეს ფორმა კი საუკუნეების წინ იყო ჩამოყალიბებული და მეურნეობის, კავშირების ამ ფორმამ განსზღვრა საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მტკიცე ქართული ეთნოსის ფორ-

მირება, ერთ ნაციად ქცევა. ასეთი სამეურნეო ყოფა კი საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით იყო ნაკარნახევი.

საქართველოს მეზობელი ალბანეთის მოსახლეობამ, სადაც საქართველოსაგან თითქმის აბსოლუტურად განსხვავებული ლანდშაფტია, დეეთნიზაცია განიცადა. ალბანელთა დეეთნიზაციას კი ბუნებრივმა-გეოგრაფიულმა გარემომ შეუწყო ხელი. ალბანელებს არ ჰქონდათ თავის შესაფარებელი ისეთი ხეობები და ტყით დაფარული გორაკ-ბორცვები, როგორებიც საქართველოშია. ამავე დროს ალბანეთის ლანდშაფტი პასუხობდა დამპყრობელი *თურქული* ტომების სამეურნეო ინტერესებს. ისტორიული ალბანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო დიდად არ განსხვავდებოდა შუა აზიის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსაგან. ამიტომაც სამხრეთ კავკასიაში მოსული *თურქული* ტომები სწორედ აქ დასახლებას ესწრაფვოდნენ. შედეგად ალბანელთა დეეთნიზაცია მოხდა. თუმცა ეს ასიმილაციური პროცესი უცბად არ განხორციელებულა – ის თანდათანობით მიმდინარეობდა.

თურქული ტომები შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის სხვა დიდ ტერიტორიაზეც ფართოდ განსახლდნენ. სომხეთის ზეგანი ამ თვალსაზრისითაც სასურველი იყო თურქმანებისათვის – მესაქონლეობის განვითარების საქმეში მათ სიახლეები სრულიადაც არ სჭირდებოდათ. მიგრანტებს ისტორიული სომხეთის ათვისების საქმეში სომეხთა ემიგრაციაც უწყობდა ხელს. მიგრაციისადმი მიდრეკილება სომხების მიერ წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული რამ არ ყოფილა. გადასახლებას მტრების შემოსევების დროს ლანდშაფტი განაპირობებდა. თავშესაფარებელი ბუნებრივი არეების არარსებობა და გადარჩენის ინსტინქტი მათ სხვა ქვეყნებში გადასახლებისაკენ უბიძგებდა.

კავკასიელთა განსხვავებული და საერთო კულტურის ელემენტებსაც უნდა შევეხოთ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიაზე (*ქართლი, თრიალეთი, გარე კახეთი, სამცხე*) გავრცელებული იყო ერდოიან-გვირგვინიანი *დარბაზული* საცხოვრებელი სახლი (8- და 12-კუთხოვანი საფეხუროვანი გვირგვინით, ორიგინალური ბოძ-ბალავარით, მდიდრულად მოჩუქურთმებული დედაბოძითა და ბალიშით). საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ასეთი ტიპის საცხოვრებელი სახლები არ გვხვდებოდა. სამაგიეროდ ანალოგიური საცხოვრებლები სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიებზეც გვხვდებოდა. სომხებში მას *გლახატუნს* უწოდებდნენ, აზერბაიჯანში – *ყარდამს.* ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედის გავარკვიოთ, თუ სად წარმოიქმნა ასეთი საცხოვრებელი სახლი თავდაპირველად. ფაქტია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის უფრო დიდ ტერიტორიებზე ისინი არსად გვხვდება. რატომ არ იქცა ხალხური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში საერთო სამხრეთ კავკასიურ

მოვლენად, ან საერთო ქართულ, საერთო აზერბაიჯანულ და საერთო სომხურ საცხოვრებელ სახლად? კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური მრაფალვეროვნება, ფლორა ამის გარკვევის საშუალებასაც გვაძლევს. დარბაზული საცხოვრებელი ძირითადად ზომიერ და შედარებით ცივ არეალებში იყო გავრცელებული. აქ უფუნქციო იქნებოდა შედარებით რბილი კლიმატის ზონაში გავრცელებული ხის ნაგებობები და მოწნული საცხოვრებლები. ამასთანავე სამშენებლო მასალად დარბაზული ტიპის საცხოვრებლებში ძირითადად გამოყენებული იყო ქვა და ხე. გადახურვა ძირითადად მორებით ხდებოდა. ცხადია, რომ მორებს დარბაზი დიდი რაოდენობით მოითხოვდა. უტყეო და უქვო ადგილებში კი ასეთი კონსტრუქციის ნაგებობებს ვერავინ ააგებდა. მაგალითად, *ჯავახეთისათვის* დარბაზი იმიტომაც იყო უცნობი, რომ საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე უტყეო იყო. ასეთივე ვითარება გვქონდა სომხეთის ზეგანზეც, სადაც ტყეები ასევე საერთოდ არ არსებობდა. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანის ლანდშაფტზეც. დასავლეთ საქართველო მართალია მდიდარი იყო და არის ტყეებითა და ქვის სამშენებლო მასალით, მაგრამ აქაური ჰავა, კლიმატი დარბაზულ საცხოვრებელში ცხოვრებას არ მოითხოვდა; ნესტიანი და თბილი კლიმატის პირობებში მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისათვის ხის სახლებში ცხოვრება უკეთესი იყო.

შეიძლება აზერბაიჯანში მცხოვრებ *თალიშებსაც* შევეხოთ. *თალიშებს* დაბლობში საცხოვრებელი სახლების გარდა აშენებული ჰქონდათ დროებითი საზაფხულო საცხოვრებლები – *ლემ.* ლემებს ეზოებში აგებდნენ და გათვალისწინებული იყო სინესტისა და კოღოებისაგან თავდასაცავად. ზაფხულის სიცხების დროს ოჯახის ყველა წევრი სახლს ტოვებდა და ლემში სახლდებოდა, რადგან ის სუფრო ზევით იდგა, ვიდრე სახლი. ჩვეულებრივ, ორსართულიან ლემებს აშენებდნენ კედლების გარეშე. ცხოვრობდნენ მხოლოდ მეორე სართულზე.

ახლა ამ თვალსაზრისით მთა და ბარი შევადაროთ. დარბაზული ნაგებობა ჰორიზონტალურ განფენილობაში იყო წარმოდგენილი. საცხოვრებლის სიახლოვეს, გვერდით სამეურნეო ნაგებობები იყო მოთავსებული, ე. ი. ის ისეთ ადგილებში იგებოდა, სადაც მიწის დეფიციტი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთა და ჩრდილოეთ კავკასიიც მთაც მდიდარი იყო იმ სამშენებლო მასალებით, რომლებსაც დარბაზის მშენებლობაში იყენებდნენ, აქაც და იქაც ის ვერ გავრცელდა, რადგან მთაში მიწის სიმცირე იყო და მის ყოველ მტკაველს მთიელი ძალიან უფრთხილდებოდა. ამით იყო განპირობებული კავკასიის მთაში ვერტიკალურ ჭრილში მოცემული ნაგებობები, ერთ კომპლექსში მოცემული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. ამიტომ ჰქონდა საერთო ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მთიანეთის

საცხოვრებელ კომპლესებს და არა იმიტომ, რომ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ადამიანს სამეურნეო საქმიანობას, მატერიალური კულტურის შექმნას ლანდშაფტი კარნახობდა და ამით ის ბუნებასთან გარკვეულ ჰარმონიაში იყო.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული თონის პური. ეს ე. წ. ვერტიკალურ საცხობში გამომცხვარი პურია. ვერტიკალური საცხობი მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის. ის მახლობელი აზიის სხვა ხალხებისათვისაც იყო დამახასიათებელი. ასეთ საცხობში აცხობდნენ პურს სომხეთის ზოგიერთ მხარეში, ირანსა და ავღანეთშიც. ქართული თორნე ირანული კულტურის ელემენტია. ამავე დროს იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ვერტიკალური საცხობი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არ იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში თორნეში პურს მხოლოდ ზემო იმერეთში აცხობდნენ. რატომ? ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და კლიმატური პირობებია. ვერტიკალურ საცხობში გამოცხობისას ცომს აუცილებლად წებოვნება უნდა ჰქონდეს. წებოვნების გარეშე ცომი თორნის კედლებს ვერ მიეკვრება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთიდან შემოტანილი ფქვილით შეუძლებელი იყო პურის გამოცხობა თორნეში. საქართველოში მოყვანილი მარცვლეული მაღალი ხარისხის იყო და მაღალი წებოვნებით გამოირჩეოდა. ამას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და კლიმატი განაპირობებდა. ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ვერტიკალური საცხობი უცხო იყო იმიტომ, რომ მთაში ხორბლეული კულტურა საერთოდ არ მოჰყავდათ. მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ვერ მოჰყავდათ – აქ ხორბლეული დამწიფებას ვერ ასწრებდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობს, აქაც, ტენიანი კლიმატის გამო, ვერ მოჰყავდათ პური. ამიტომ კოლხეთში მთავარი კულტურა ფეტვი და ფეტვისნაირები იყო, რისგანაც უბრალოდ *მჭადს* აცხობდნენ, ან *ღომს* ხარშავდნენ. ამიტომაც, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, კულტურის ისეთი ელემენტი, როგორიცაა ვერტიკალური საცხობი, კავკასიაში ყველგან არ იყო გავრცელებული.

მრავალფეროვანი იყო კავკასიის ხალხთა არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, არამედ დასახლების ფორმებიც. ამ მხრივაც ეთნიკურ კულტურები დიდად სხვაობდნენ ერთმანეთისგან. საქართველოს სხვადასხვა მხარეში ერთგვაროვანი დასახლებები არ გვქონია, რასაც ის ლანდშაფტი განპირობებდა, რომელშიც ქართველი ხალხი ცხოვრობდა, მითუმეტეს, ძალიან განსხვავდებოდნენ ამ თვალსაზრისით სხვა ხალხებისგან, როგორც ჩრდილოეთ კავკასიელებისგან, ისე სამხრეთ კავკასიელებისგან. შეუძლებელია სტეპებში, ზომიერ კლიმატურ პირობებში, მაღალ მთაში, სუბტროპიკულ ზო-

ლში, ნახევრადუდაბნოში მცხოვრებ ეთნოსებს დასახლების მსგავსი ტიპი ჰქონოდათ. ქართლსა და კახეთში შეჯგუფებული დასახლება გვქონდა, ადიღეელებში – გაფანტული. ქართლისა და კახეთის რელიეფი / ლანდშაფტი პირდაპირ კარნახობდა ადამიანებს, რომ შეჯგუფებულად ეცხოვრათ. დასახლების ამ ფორმას საგარეო ფაქტორიც განაპირობებდა. ადიღეელს რომ ძალიან დიდი სურვილიც ჰქონოდა, ამას ვერ შეძლებდა, რადგან მთიანი და მთისწინა ტყიანი ლანდშაფტი ამის საშუალებას არ მისცემდა.

მნიშვნელოვანი სხვაობა გვქონდა კავკასიის ხალხების სამეურნეო საქმიანობაში. ცნობილია, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასია მიწათმოქმედების ერთ-ერთი კერაა. პურეულის 11 სახეობა მოჰყავდათ საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა ამ თვალსაზრისით საქართველოშიც არ გვქონია ერთგვაროვანი ვითრება. დასავლეთ საქართველოში ზღვასთან ახლოს, ჰავისა და კლიმატის გამო, უპირატესობა არა პურეულ კულტურებს, არამედ ფეტვსა და ფეტვისნაირებს ჰქონდა. მთაში ხორბალი დამწიფებას ვერ ასწრებდა, ამიტომ აქ მარცვლეული კულტურებიდან უპირატესობა ქერს ჰქონდა მინიჭებული. ასე თუ ისე, მეურნეობის წამყვანი დარგი ქართველებისათვის მიწათმოქმედება / მემინდვრეობა იყო. მემინდვრეობასთან ერთად საქართველოში საუკუნეების განმავლობაში განვითრების მაღალ დონეს მიაღწია მევენახეობა-მეღვინეობამ. თავისებური იყო სომეხთა მეურნეობის ფორმებიც. აქაც ერთ-ერთი წამყვანი დარგი მიწათმოქმედება გახლდათ. როგორც საქართველოში, ისე სომხეთში მიწათმოქმედება მესაქონლეობასთან იყო შერწყმული. მესაქონლეობის გარეშე შეუძლებელიც იყო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარება. გამწევი ძალის გარეშე შეუძლებელი იყო მემინდვრეობის მაღალი და დიდი მასშტაბების მიღწევა. მესაქონლეობას საქართველოში ლანდშაფტი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა, განსაზღვრავდა მის მასშტაბს. თუმცა ქართველმა მთიელებმა მეცხოველეობას გარკვეული მასშტაბები მისცეს, რაც შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ხდებოდა.

რა ვითარება გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? ჩრდილოეთ კავკასია სამეურნეო თვალსაზრისით ერთიანი სამეურნეო ერთეული არ ყოფილა. აქაც განსხვავებული სამეურნეო სტრუქტურები იყო შექმნილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩრდილოეთ კავკასიელთათვის წამყვანი არა მიწათმოქმედება, არამედ მეცხოველეობა იყო. როგორც აღვნიშნეთ, მთაში სახვნელად ვარგისი მიწის რაოდენობა მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა და მარცვლეული კულტურებიდან წამყვანი არა პური, არამედ ქერი იყო. ადიღეური მოდგმის ხალხებში კი უპირატესობა ფეტვსა და ფეტვისნაირებს ჰქონდა და ისინი არა პურით, არამედ ფაფით იკვებებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მთა არ იძლეოდა მევენახეობის განვითარების საშუალებას. მთა აქ უცბად გადადის სტეპებში და

სტეპებში არსებული პოლიტიკური ვითარება თითქმის არასდროს იძლეოდა დამჯდარი ცხოვრებისა და მდგრადი სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარების საშუალებას. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებმა მიწის განოყიერებაც კი არ იცოდნენ და, მიწის გამოფიტვის გამო, ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ტერიტორიას. ასეთ შემთხვევაში მევენახეობისა და, მითუმეტეს, მეღვინეობის განვითარებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეურნეობის სხვადასხვა ფორმები სხვადასხვა სამყაროს ფორმირებას იწვევდა. მიწათმოქმედისა და მეცხოველის კულტურული სამყარო სხვადასხვა იყო. **კვებითი სისტემა კი ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს სხვადასხვა ფსიქიკას უყალიბებდა.** დასავლეთ ევროპა, გეოლოგიური და გეოგრაფიული სტრუქტურებიდან გამომდინარე, გლეხთა მიწას წარმოადგენდა: მწყემსი-მომთაბარე აქ თითქმის არ არსებობდა და თვით მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის მხოლოდ ერთი ელემენტი იყო – მნიშვნელოვანი, მაგრამ ბინადარი. ბინადარ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული ევროპაში არსებული სეზონური გადარეკვითი მესაქონლეობაც. მწყემსებს ჰქონდათ თავიანთი წეს-ჩვეულებები და საკუთარი მენტალიტეტი, მაგრამ მათი ფარები და ისიც, რასაც მისგან იღებდნენ, ეკუთვნოდა სოფელს და არა სტეპებსა და უდაბნოებს. სამეურნეო თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა საქართველოში. **საქართველოს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო დასავლეთ ევროპასთან ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთთან. ევროპასა და საფრანგეთთან საქართველოს მსგავსებას მევენახეობის მაღალი დონეც განაპირობებდა. ევროპაში თუ ადამიანს თავისი ვენახი ჰქონდა და თავის მიერ დაყენებულ ღვინოს სვამდა, ეს მაღალი სოციალური მდგომარეობის გამოხატულებად მიიჩნეოდა. ღვინო იყო სიხარულის, ურთიერთობის, აგრეთვე ჯანმრთელობის სიმბოლო. შემდეგ კი ქრისტიანულმა რიტუალმა მას სხვა დატვირთვაც მიანიჭა. მას თან ახლდა საკრალური ცეკვები, სადღესასწაულო ნადიმები; ქორწილებისა და დაკრძალვების ატრიბუტი გახდა. ანალოგიური ვითარება გვქონდა საქართველოშიც. მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით ქვეყანა ევროპულ ცივილიზაციასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან**. ასეთი მდგომაეობა ლანდშაფტით იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისით ერთიან ქართულ კულტურულ სივრცეში იყვნენ ჩართული მთაში მცხოვრები ქართველი მთიელებიც, რომელთაც ვენახები ბარში ჰქონდათ, ან ბარში იძენდნენ ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობისას.

II.7.ეთნოლოგია და ფოლკლორი

ეთნოლოგიურ მეცნიერებასთან ახლოს დგას ფოლკლორი. „ეთნოლოგიისა და ფოლკლორის“ პრობლემა განსაკუთრებით ფართო სპექტრს მოიცავს და სხვადასხვა თეორიულ და ქრონოლოგიურ დონეზე შეიძლება იქნას განხილული. არაერთხელ აღინიშნა, რომ ეთნოლოგიას მსოფლიოს ხალხების გარკვეული პრობლემები აინტერესებს პირველყოფილობიდან დაწყებული და დღევანდელობით დამთავრებული. ასეთივე ისტორიული ასაკისაა ფოლკლორიც. ფიქრობენ, რომ ის პირველად ადამიანის მეტყველების ფორმირების პროცესში წარმოიქმნა. ეს მოსაზრება ერთობ სათუოდ მიგვაჩნია. ამავე დროს ბევრი ხალხისათვის ფოლკლორი ცოცხალი და აქტუალური მოვლენა იყო ახლო წარსულში. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ფოლკლორს მიიჩნევს არა მხოლოდ ფილოლოგიურ, არამედ ეთნოლოგიურ მეცნიერებადაც, რადგან ყოველი ფოლკლორული მოვლენა ერთსა და იმავე დროს ხალხური ყოფის ფაქტიცაა და სიტყვიერი ხელოვნებისაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი ფოლკლორული მოვლენა არის ყოფითი და ესთეტიკური მოვლენაც, ყოველი ფოლკლორული ფაქტი ერთდროულად ხალხური ხელოვნებისა და ხალხური ყოფის ფაქტიცაა. მართლაც, შეუძლებელია ხალხური კულტურის, როგორც ერთიანი სისტემის, შესწავლა, თუ მისგან ფოლკლორი ხელოვნურად იქნება მოწყვეტილი – ფოლკლორი ხომ სულიერი კულტურის უმიშვნელოვანესი ელემენტია. სხვათა შორის, ფოლკლორის გაორებული ბუნება ერთადერთი შემთხვევა არ არის. ასევე ხალხურ სახვით ხელოვნებას ერთდროულად შეისწავლის ეთნოლოგიაც და ხელოვნებათმცოდნეობაც, ხალხურ საცხოვრებლებს – ეთნოლოგია და არქიტექტურის ისტორია, ჩვეულებით სამართალს – ეთნოლოგია და სამართლის ისტორია, ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს – ეთნოლოგია და ტექნიკის ისტორია და ა. შ. ეს გარემოება ეთნოლოგიურ მეცნიერებას ფრიად ორიგინალურს ხდის, რადგან ეთნოლოგია ეთნოსთან დაკავშირებული ყველა პრობლემას შეისწავლის.

ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა ხალხთა სულიერი კულტურის შესწავლაა. ხალხური სიტყვიერება ხალხურ მუსიკასა და ქორეოგრაფიასთან, სახვით ხელოვნებასთან, რელიგიასა და რწმენა-წარმოდგენებთან, ყოფით წეს-ჩვეულებებთან ერთად სულიერი კულტურის შემედგენელი ნაწილია. სულიერი კულტურის ყველა სახეს ყოფითი ხასიათი ჰქონდა, რადგან ისინი წარმოიქმნებოდა და გამოიყენებოდა გარკვეულ სოციუმსა და ეთნოგრაფიულ ჯგუფში. ისტორიის ადრეულ ეტაპზე ფოლკლორისტიკა და ეთნოლოგია ერთმანეთისაგან თითქმის

არ იყო დაცილებული, მაგრამ ისტორიის ახალი პერიოდიდან ფოლკლორის ფუნქციები თანდათან შემცირდა. მაგალითად, ევროპის ხალხების ყოფაში ფოლკლორი უპირატესად ესთეტიკურ როლს ასრულებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ მატერიალური კულტურისაგან განსხვავებით, რომელიც უპირატესად ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებით იყო დეტერმინირებული, სულიერი კულტურა უფრო მეტად გამოხატავდა ეთნიკურ სპეციფიკას. ძალიან ხშირად კი სიტყვიერი პოეტური შემოქმედებაც სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. მაგალითად შეიძლება ხუნძთა ფოლკლორი მოვიყვანოთ. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის თარეშები მეურნეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. ხუნძებში ყველაზე პოპულარული თარეშებისადმი მიძღვნილი სიმღერები იყო. სიმღერებში დაწვრილებითაა გადმოცემული თარეშებისათვის მზადება, აღწერენ იმ იარაღს, რომელიც ლაშქრობისას თან მიჰქონდათ. ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი კი ასე ჟღერს: *„სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი გაისმა, სადაც მივიდა ფეხი ჩვენი, იქ ალი აგიზგიზდა. ტყვედ ჩაგდებულ იქნენ ლამაზხელებიანი და ლამაზთვალებიანი ქალიშვილები; შევიპყარით ჯანმრთელი ჭაბუკები“.* ბუნებრივია, ასეთი სახის სიმღერები მიწათამოქმედ ხალხებში ვერ წარმოიქმნებოდა. მიწათმოქმედ ხალხებში შრომის სადიდებელი სიმღერები იქმნებოდა.

ფოლკლორულ ფორმებში ელვარებს ხალხური გამოცდილება, ხალხური წარმოდგენები. როგორც *ვ. პროპი* წერდა, ფოლკლორი იყო „წეს-ჩვეულებების ინტეგრირებული ნაწილი“. უფრო გვიან ფოლკლორი იყო ხალხური იდეოლოგიისა და ხალხური გართობის მნიშვნელოვანი სახე, ბავშვების აღზრდის საშუალება და კაცობრიობის მხატვრული საქმიანობის სფერო, ნაციონალური კულტურის არსებითი ნაწილი.

ფოლკლორი არა მარტო მნიშვნელოვანი ელემენტია ხალხური ყოფის, არამედ მასში შემონახულია ძვირფასი მონაცემები წარსული ეპოქების სოციალურ წყობაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, რწმენა-წარმოდგენებზე, სოციალურ ფსიქოლოგიასა და მატერიალურ კულტურაზე, რომელთა შესახებ არაფერი გვხვდება წერილობით წყაროებში ან ვერაფერს გვეუბნებიან არქეოლოგიური ძეგლები.

ფოლკლორი – უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური წყაროა, ოღონდ ეთნოლოგმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ფოლკლორში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, პირდაპირ კი არაა ასახული ისტორიული სინამდვილე, არამედ მისდამი ხალხის / ხალხური დამოკიდებულებაა ასახული; ფოლკლორული მასალა მხატვრულად დამუშავებული ყოფითი მონაცემებია. ზოგიერთი მეცნიერი ფოლკლორ-

ში ასახულ მოვლენებს ქრონიკებში ასახულ მოვლენებს უდარებდა. მაგალითად, რუსი მეცნიერი *ბ. რიბაკოვი* წერდა, რომ „ბილინები – თვით ხალხის მიერ დაწერილი მატიანეა“. მართალია, ფოლკლორულ ტექსტებში ბევრი რამ რეალური ვითარების ამსახველია, მაგრამ მათი ისტორიის თუ ეთნოლოგიის ნამდვილ წყაროდ გამოცხადება მაინც შეცდომაა. ამდენად, ფოლკლორი ყოველთვის და ყველგან წარმოადგენს როგორც ყოფით, ისე მხატვრულ მოვლენას და ისტორიკოსისა და ეთნოლოგის მიერ ფოლკლორული მასალების გამოყენება გარკვეულ სიფრთხილესა და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, თუ რომელ და როგორ საზოგადოებაშია ფოლკლორის ნიმუში შექმნილი და მოპოვებული. ცნობილია, რომ უდამწერლობო ხალხებსა და ჯგუფებში ფოლკლორულ ტექსტებს ძალიან ხშირ შემთხვევაში დოკუმენტის ძალა ჰქონდა. მხატვრული სახით შექმნილ ტექსტებს ასეთ საზოგადოებებში უფრთხილდებოდნენ და შესაბამისად ერთხელ შექმნილი ტექსტი მომდევნო თაობებში ნაკლებ ტრანსფორმაციას განიცდიდა. სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორულ ტექსტებში შემორჩენილია ისტორიულ-ეთნოლოგიური ფაქტის დამადასტურებელი არქაული ლექსიკა, რწმენა-წარმოდგენები, დავიწყებული ისტორიული სახელები, ეთნონიმები ან წყაროებში დაუფიქსირებელი ბრძოლა, ეთნიკური ურთიერთობის ფაქტები და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ ფოლკლორულ მასალებს ხშირად ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევებშიც იყენებენ. ეთნოგენეზური პროცესების კვლევებში არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლეგენდებს – გადმოცემებს საკუთარი წარმომავლობის შესახებ და ხალხთა გვარტომობრივ შემადგენლობას. ეთნოსის წარმომავლობის ამსახველი ბევრი ლეგენდა, თქმულება თავის დროზე მემატიანეებმა წყაროებში შეიტანეს და ბევრმა მათგანმა ასე მოაღწია ჩვენამდე. მაგალითად ქართველი ხალხის წარმომავლობის ლეონტი მროველისეული კონცეფციის დასახელებაც საკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი გადმოცემები რეალური ვითარების ამსახველი არაა, მეცნიერები ეთნოგენეზური პროცესების კვლევისას ასეთ გადმოცემებს მაინც გვერდს ვერ უვლიან. მიიჩნევენ, რომ ლეგენდა-თქმულებებში სიმართლის რაღაც მარცვალი მაინც არის. ბევრი საყურადღებო თქმულება აქვთ ანტიკურ ავტორებს დაფიქსირებული სხვადასხვა ხალხების წარმომავლობის შესახებ. რაც ყველაზე საყურადღებოა, ბევრი ხალხი თავის წარმომავლობას ბიბლიურ პერსონაჟებს უკავშირებდა. ზემოთ უნგრელები ვახსენეთ, რომლებიც სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ერთეულებად იყოფიან. ამ ეთნოსის ერთ ნაწილს – *სეკეებს*, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ *ტრანსილვანიაში* (რუმინეთში) მკვიდ-

რობს, აქვს გადმოცემა *ჰუნებისაგან* წარმომავლობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ გადმოცემის სანდოობის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში პოლემიკა მიმდინარეობდა. მათ *პაჭანიკების* შთამომალებადაც მიიჩნევდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს გადმოცემა რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც ცნობილია, რომ თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია ევროპაში ჰუნთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი არეალი იყო. მეცნიერები დღემდე კამათობენ დაღესტნელი *ყუბაჩელების* ევროპული წარმომავლობის შესახებ. ასეთი თქმულება თვით ყუბაჩელთა შორისაა დაფიქსირებული. მკვლევარები შუა აზიის ეთნოსებში გამოყოფენ მთელ რიგ გვარებსა და ტომებს, რომელთა თურქული, მონღოლური თუ ირანული წარმომავლობის შესახებ მიუთითებენ. თითოეულ ამ ტომს მართლაც აქვს გადმოცემა თურქული, მონღოლური და ირანული წარმომავლობის შესახებ. რაც მთავარია, ამ დანაყოფთა წარმომავლობაზე მათი სახელწოდებებიც მიუთითებს. ეს კი წმინდა ლინგვისტური ანალიზის სფეროს განეკუთვნება.

დავუბრუნდეთ ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული ურთიერთობის კვლევებში საისტორიო და ეთნოლოგიურ წყაროდ ფოლკლორის გამოყენების ფაქტებს. ეს განსაკუთრებით უდამწერლობო ხალხების შესახებ ითქმის, რადგან ცნობილია, რომ ასეთი კულტურის მქონე ხალხებში ზეპირ ხალხურ შემოქმედებას დოკუმენტის ძალა ჰქონდა. ნართების მთქმელი *ოსი, ადიღეელი, აფხაზი* მოხუცები სამართლიანად იყვნენ დარწმუნებული, რომ გოლიათი ნართები მათი უშუალო წინაპრები იყვნენ, რომელთა მოქმედების ასპარეზი სტეპები იყო, სადაც დიდი მდინარეები მიედინება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებულ ეთნოსთა თავდაპირველი განსახლების არეალი მათი თანამედროვე ეთნოსფერა არ იყო. ეთნიკურ ისტორიაში მკვლევარები წარმატებით იყენებენ აგრეთვე სიმღერებს. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება *რაჭის* ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში საყოველთაოდ გავრცელებული ლექსი-სიმღერა „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“ გავიხსენოთ, რომლითაც კარგად ჩანს, თუ როგორ დაეუფლნენ ქართველი მთიელი დვალების განსახლების არეალს აქ მიგრირებული ოსები. შუა აზიის ხალხების – უზბეკებისა და სხვათა შემადგენლობაში წინააზიური კომპონენტის არსებობას ადასტურებს უზბეკურ *შეჟირეში* უზბეკთა წინაპრებად *მატიანების* („მოტიანები“) დასახელება. *მატიანეები* ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ურმიის ტბის ირგვლივ მართლაც მკვიდრობდნენ ძვ. წ.-ის VI საუკუნესა და ახ. წ.-ის I საუკუნეში. ფოლკლორი ხშირად ერთი ხალხიდან მეორეში ხალხის ან მისი ნაწილის ასიმილაციისას გადადიოდა.

ქართულ ეთნოლოგიაში ფოლკლორული მონაცემების გამოყენების არაერთი წარმატებული ცდა გვაქვს. სანიმუშოდ ცნობილი ეთნოლოგის *თინა ოჩიაურის* დასახელებაც საკმარისია. მანამ, სანამ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ამ სფეროს მოკლედ შევეხებით, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ყოფითი ელემენტებით განსაკუთრებით მდიდარია ხევსურული და ფშაური ხალხური პოეტური შემოქმედება. მაგრამ საქართველოს მთიანეთის ამ ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს შორის გარკვეული განსხვავებაა. ხევსურულ პოეზიაში პრიორიტეტი საგმირო პოეზიასა და თქმულებებს აქვს მინიჭებული, ფშაურში კი – სატრფიალოს. ეს ფოლკლორული ფაქტი ადვილად ასახსნელია. ხევსურეთი ჩრდილოეთ კავკასიას უშუალოდ ემეზობლებოდა და ჩრდილოელი მეზობლების თავდასხმა მუდმივ მობილიზებას მოითხოვდა. მტერს გმირული დახვედრა სჭირდებოდა. გმირული, ვაჟკაცური შემოქმედების ფაქტები ფოლკლორში აისახა.

ფოლკლორული მასალა, ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვან ზეპირი საისტორიო წყაროებს რომ წარმოადგენდა, ამის შესახებ *ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილიც* აღნიშნავდნენ. *ივ. ჯავახიშვილი წერდა:* „ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრეფენ ხოლმე, რომელთაც რასაკვირველია, თავიანთი მიზანი აქვთ, რომელიც ისტორიკოსის მიზნებისაგან განსხვავდება, მაგრამ, თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწრაფით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანისათვის ისტორიკოსსაც შეუძლიან“. *ივანე ჯავახიშვილი* ხაზს უსვამს, რომ მეცნიერის მოვალეობაა ამა თუ იმ გადმოცემისა თუ ფოლკლორული მასალის თავდაპირველი სახის აღდგენა, შემდეგდროინდელი დანამატებისაგან მისი გაწმენდა, რათა ის ისტორიკოსისათვისაც გამოსადეგი გახდეს. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ თვით ჩვენამდე მოღწეული ბევრი წერილობითი ძეგლიც ხომ დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა.

ეთნოგრაფთაგან, რომლებმაც სათანადო ყურადღება მიაქციეს გადმოცემებს და შემოიტანეს ისინი სამეცნიერო მიმოქცევაში, შეიძლება დავასახელოთ: *გ. ჩიტაია, რ. ხარაძე, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური... რ. ხარაძემ* ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. ის წერდა: „ანდრეზის შემნახავი პირები ვალდებულნი იყვნენ მომხდარი ამბავი შთამომავლობისათვის ანდრეზად გადაეცათ“. „ანდრეზი სხვადასხვა სახით ინახებოდა. ვრცელი პროზაული თხრობის პარალელურად ის ზოგჯერ გალექსილი სახითაც არსებობდა“. „ხევსურული ლექსების გარკვეული ნაწილი ანდრეზის მნიშვნელობის მქონეა, რომლის საშუალებითაც ხალხი გადასცემდა მომხდარ ამბავს შემდგომ თა-

ობას“. „ლექსს, როგორც საბუთს თვით ხევსურები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ჩვენ მოგვეპოვება საყურადღებო მასალა იმისა, თუ როგორ სჯიდა *ხევსურული რჯული* უდანაშაულო პირის ლექსში აუგად ხსენებას. სოფ. ბარისახოში შეყრილმა ბჭეებმა, განაჩენის გამოცხადების წინ ასეთი სიტყვებით მიმართეს დამნაშავეს: **„ლექსით კაცი ფუჭდების, რაც გინდა მიძახე საყვედური, ის კი გაქრების, მაგრამ ლექსი დარჩების, თქვენ იმაში გიძევთ ბრალი, რომ უდანაშაულო კაც ლექსში გასაცილებელია“. ლექსიცა და ანდრეზიც ხალხისათვის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, რომელიც სადაოდ ქცეულ საქმეს უეჭველად ხდიდა“. „მთელ რიგ შემთხვევაში ანდრეზმა შემოინახა ისეთი ელემენტი, რომელიც ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უკვე დაჰკარგა“.**

დავსძენთ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლექსიც იცვლებოდა: იქმნებოდა მისი სხვადასხვა ვარიანტები, იცვლებოდა სიუჟეტები. ამ შემთხვევაშიც მკვლევარი სათანადო მეთოდითა და ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული, რომ სხვადასხვა ვარიანტებს შორის განსაზღვროს თავდაპირველი ვარიანტი ან მასთან ყველაზე ახლოს მდგომი.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ზემორაჭული ლექსი, რომლითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია – დვალეთი, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ოსეთში არასდროს არ შედიოდა და რომ დვალეთში დასახლება ოსებმა ბრძოლით შეძლეს:

„მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთოსანი.
ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი – ოსი და დვალი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გათენიასა:
ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა.
ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან

ლაშქრულს ანბავსა,
ლაშქრულს ანბავსა,
წითელ კაბასა,
სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა,
ჯაფარ წაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მოწიფულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელები –
ხელკალათითა“.

ამ ხალხური ლექსის 15-ზე მეტი ვარიანტი არსებობს, უფრო სრულყოფილიც. შესაძლებელია ამ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენა. *მ. ქურდიანის* მითითებით, თავისი აგებულებით ეს ლექსი საკმაოდ ძველია. დასკვნის სახით ვიტყვით, რომ **ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალებთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა, გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ** (და დასახლდნენ *შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში*). *დვალთა* ერთ-ერთი ლიდერი *ჯაფარი* დამარცხდა უთანასწორო ბრძოლაში და გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული *ჯაფარი*, რომელიც *დვალებს* ასახიერებს, *ოსებმა* აკუწეს. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი („მაღლა მთა“ და „ჟღელე“, სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მაღლა მთა“ ეს იგივე „მაღლა დვალეთია“. ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს *იოანე ბაგრატიონს.* „ჟღელე“ კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭიდან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი „ქალაქა“. „ქალაქაც“ დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი“, რა თქმა უნდა, საომრად მოსული *ოსები* იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ *დვალებს.* ხალხური ლექსიდან აშკარაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ეთნიკური ერთობა. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების „მტკიცებას“, რომ დვალები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკუ-

რი შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში დვალეთში.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი და მოსული ოსური გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

ეთნოლოგთათვის, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებზე მუშაობენ, არსებითი მნიშვნელობა აქვს *ნართების ეპოსს.* ეს ეპოსი ფართოდ იყო გავრცელებული ირანულენოვან ოსებსა და ადგილობრივ კავკასიელ აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ ერთეულებში. ეპოსიდან აშკარაა, რომ ის ვრცელ სტეპებში, დიდი მდინარეების გეოგრაფიულ არეალებშია შექმნილი. ეს კი დიდმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ მისი მატარებელი ეთნოსების თავდაპირველი განსახლების არეალი არა მთები, არამედ სტეპები იყო. ეპოსი იმ დასკვნის გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს გავარკვიოთ, რომელ ხალხში წარმოიქმნა ის. რა იყო ნართების ეპოსის ერთი ეთნოსიდან მეორე ეთნოსში გავრცელების მიზეზი? – რა თქმა უნდა, ეთნიკური შერევა, ე. ი. ეთნოგენეზის პროცესი და ეთნიკური ისტორია. ეპოსის შესწავლა გვარწმუნებს იმ დასკვნის მართებულობაში, რომ ის თავდაპირველად ირანულენოვან მომთაბარე ეთნოსში წარმოიქმნა და შემდეგ ეთნიკური შერევის შედეგად ადხაზურ-ადიღეურ ეთნოსშიც გავრცელდა.

II.8.ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ერთობლივად შესწავლის ნიმუში ქართულ ეთნოლოგიაში

ეთნოლოგიური და ფოლკლორული მასალების კომპლექსურად შესწავლის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს *თ. ოჩიაურის* მონოგრაფია „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (1967 წ.). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საყურადღებო მითოლოგიური გადმოცემები იყო დაცული. ასეთ გადმოცემებს მთის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ზოგჯერ ასეთი გადმოცემები ლექსების სახით იყო დაცული. *თ. ოჩიაურის* კვლევის მნიშვნელოვან ინტერესს შეადგენდა თქმულებები *იახსარისა* და *კოპალას* მიერ დევ-კერპთა განადგურების შესახებ. *ფშავისა* და *ხევსურეთის* ზეპირსიტყვიერებაში მითოლოგიური გადმოცემებით ღვთიშვილებს – *იახსარსა* და *კოპალას* აქ მცხოვრები დევები გაუნადგურებიათ. ბრძოლების შესახებ შემორჩენილი იყო როგორც პროზაული, ისე გალექსილი ვარიანტები. ოდესღაც დევებს ხევსურეთის მოსაზღვრე გუდამაყრის, ფშავისა და ივრის ხეობის სათავეში უცხოვრიათ. დევები მესაქონლეობით, მიწათმოქმედებითა და მჭედლობით ირჩენდნენ თავს. ისინი გამოირჩეოდნენ ფიზიკური სიძლიერით და მეზობლად მცხოვრებ *ფშავ-ხევსურთა* წინაპრებს ჩაგრავდნენ, შეურაცხყოფდნენ მათ სალოცავებს, ქალ-რძალს, ხოცავდნენ ხალხს და სხვ.

შეწუხებულმა მთიელებმა თავიანთ სალოცავებს შესთხოვეს დახმარება დევთა განდევნა-განაგურებაში. ღვთიშვილები *მორიგე ღმერთის* კარზე შეიკრიბნენ სათათბიროდ. *მორიგე ღმერთმა* ხალხის ვედრება შეისმინა და *დევ-კერპთა* განადგურება გადაწყვიტა. *დევების* ამოწყვეტის თაოსნობა *იახსარსა* და *კოპალას* დაეკისრა. ამის შემდეგ ძალა ხელთ ფშაველ-ხევსურთა სალოცავებმა იგდეს, შეუტიეს დევებს, გაანადგურეს და მათ ნასადგურალს თვითონ დაეპატრონნენ. აქამდე ხილული დევები უხილავ არსებებად იქცნენ და სამუდამოდ მიატოვეს თავიანთი კუთვნილი ტერიტორია. სამართლიანად აღნიშნავს *თ. ოჩიაური*, რომ „თქმულება ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც ჩვეულებრივ ზღაპრულ ჩარჩოებს სცილდება და მას ისტორიული მნიშვნელობის გადმოცემად წარმოგვიდგენს.“

მეცნიერი, პირველ ყოვლისა, აზუსტებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში *დევების* განსახლების არეალებს. *ხევსურეთში* ესაა როშკი, გორი და ლიქოკი. დევების ნასახლარი ყოფილა *გუდამაყრისა* და *ხევსურეთის* სოფელ უკენახოს საზღვარზე, ე. წ. ნახიზნარებში. ხევსურეთის სხვა სოფლებში დე-

ვებს, გადმოცემით, არ უცხოვრიათ. *ფშავის* ტერიტორიაზე დევებს უცხოვრიათ შუაფხოში, მაღაროსკარის ზემოთ – კართანაში, სოფელ უკანაფშავსა და ახადში. ივრის ხეობის სათავეში დევებს უცხოვრიათ ბაჩალში, ქუშხევში, კორსავში. ზოგიერთი სოფელი გადმოცემებშია მოხსენიებული, ზოგან კი ნასახლარებია შემორჩენილი, რომელთაც ადგილობრივი მკვიდრნი დევთა კუთვნილებად მიიჩნევენ. გუდამაყრული მითოლოგიური გადმოცემებით, აქ დევები შედარებით გვიან გაჩენილან. თქმულების მიხედვით, დევებს ადგილობრივი მოსახლეობის ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენინე სოფელი ჰქონდათ. ისინი უზარმაზარი ქვებისაგან ნაგებ სახლებში ცხოვრობდნენ. დევთა კუთვნილებად მიჩნეული ნაგებობები უზარმაზარი ქვების წყობით გამოირჩევა. ასეთია მაგალითად ივრის სათავეებში ქუშხევის დევთა ნასახლარი. გადმოცემებში მრავალგზის ხსენებული სახლის დაქცევის მოტივი დევებს მშენებლებად წარმოგვიდგენენ. ისინი მისდევდნენ: მიწათმოქმედებას, მჭედლობას, მეცხვარეობას, მონადირეობას. მონადირეობის დამადასტურებელია ერთი ასეთი სიუჟეტი: როდესაც იახსარი (სხვა ვარიანტით, კოპალა) დევების ამოწყვეტას განიზრახავს, დევთა დედაბერს შეხვდება, რომელიც ჯარაზე ძაფს გრეხს. შეკითხვაზე, თუ მისი შვილები სად არიან, დედაბერი ერთ-ერთი მათგანის შესახებ ეტყვის, რომ სანადირობაა წასულიო; იახსარი დევს ჩაუსაფრდება. ნადირობიდან დაბრუნებულ დევს ცალ მხარეზე მოკლული ირემი ედო, ცალზე კი ძირიანად ამოთხრილი წიფლის ხე. *იახსარი / კოპალა* დევს ისრით მოკლავს. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, დევის ქალი ხევსურს ჰყოლია ცოლად. დევებს მუშა შეუყრიათ და ყანას მკიდნენ. ხევსური გაოცებული იყო დევების ხელხვავიანი და სწრაფი მუშაობით. პურის ჭამის დროს დევები დევის სიძეს უბღვერდნენ. ამ უკანასკნელმა კი პირჯვარი გადაიწერა: „დამწერევ კოპალაო შენ ჯვარივ, სრულყველაიც მე მიბღვერსავ.“ ამ ქმედებისთანავე დევებს ცეცხლი გაუჩნდათ და ყველა დევი ამოიბუგა. დევები კარგი მჭედლებიც ყოფილან – ისინი ძირითადად სახნავ-სათეს იარაღებს ჭედდნენ. მათგან ხევსურებს მჭედლობა რომ არ ესწავლათ, შესაკვეთად მხოლოდ ქალებს იღებდნენ. ამ ქალებთან კი ხშირად სწორფრობდნენ. თქმულებებში არაერთხელ გვხვდება სიუჟეტები დევების ქორწილების, დევთა და ფშავ-ხევსურთა მოყვრული ურთიერთობის შესახებ. ერთი გადმოცემით, ხევსურის ქალს დევისაგან შვილები გასჩენია. ისინი განსხვავდებოდნენ თურმე ჩვეულებრივი ადამიანებისაგან თავისი აღნაგობითა და ბალნიანობით. ხევსურებს ისინი დაუხოციათ. იმ ღამეს უკანახოს ხევზე ჩამოუვლია დევს ტირილით და შემოუთვლია: შვიდ თაობას მოგყვებით, შვილები რომ დამიხოცეთო. ამის გამო, უკანახოელ ხევსურებს სულ ეშინოდათ, ღამე

ვერსად დააგვიანებდნენ: დევი შეგვხვდება სადმე და შურს იძიებსო. ბოლოს დევები უხილავ არსებებად იქცნენ, რომელთაც იდუმალებით შეეძლოთ ვნების მოტანა. ვრცლად მიმოიხილავს რა დევების შესახებ თქმულებებს, *თ. ოჩიაური* ასკვნის: „თავდაპირველად, როდესაც მოსახლეობა, რომელიც გადმოცემებმა დევების სახელით მონათლეს, ძლეული და განდევნილი იქნა, უცებ, სრული მორჩილებით არ მიატოვებდა თავის სახლ-კარსა თუ ადგილ-მამულს. ბუნებრივია, რომ ძლეულ მტერს უხილავად, ფარვით ეწარმოებინა თავდასხმები მოძალადეებზე, ვნება მოეტანა მისთვის, ვინც გზად შეეყრებოდა, ან ვისი ჯავრიც განსაკუთრებულად სჭირდა. იქნებ დევების გამიწრივლება, მათი ფარული თავდასხმები, ამ თავდაპირველი მდგომარეობის გამოძახილი უნდა იყოს, ხოლო ცალკეულ დევთა და მთიელთა ძმობილობისა თუ მოყვრობის ამბები – დევთაგან დარჩენილი მოსახლეობის ასიმილაციის შედეგად მიმდინარე ვითარების ასახვაა“.

გადმოცემებით აშკარაა, რომ ქართველ მთიელთა შორის სპორადულად მცხოვრები დევები არა მარტო განსხვავებული აღნაგობით გამოირჩეოდნენ ადგილობრივთაგან, არამედ განსხვავებული ცხოვრების წესითაც. დამოყვრების მიუხედავად, ისინი ერთმანეთთაგან ინტეგრირებულნი არ იყვნენ: *დევები* ქალრძალს შეურაცხყოფას აყენებდნენ, ჯვარ-ჯვარისკარს არად აგდებდნენ, ნამუშევარსა და ჭირნახულს წაახდენდნენ. დევებთან ბრძოლას სათავეში ღვთიშვილები ჩაუდგნენ. გალექსილი ვარიანტით ირკვევა, რომ „ხთის კარზე“ სამოცდასამი ხატი შეყრილა. ამ ხატებიდან დევ-კერპთა გაწყვეტის ფუნქცია ისეთს უნდა დაკისრებოდა, რომელიც სათანადო შეჯიბრში გაიმარჯვებდა. შეჯიბრების მეთვალყურე *კვირიაა.* ყველა დარწმუნებულია, რომ *იახსარი* გაიმარჯვებს:

„ხთის კარზე შავიყარენით ანგელოზები თავნია,
გადმოდგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ დაუდგი თვალია,
ეზიდებიან იმასა, ვინაც რომ ზალიანია,
ქვე-ქვე ბოლოსკე მე ვზივარ, ყველას ჩემზე აქვ თვალია,
ერთმანეთს ეუბნებიან – „აიღებს იახსარია“,
ავსწიე საწონ-ჩარექსა, – ღმერთო შენგან ა ძალია,
ხუთი მავსთხოვე კვირასა, გარმამიმეტა სამია,
სამოცსა ლიტრსა რკინასა ძირს გაუყრიან ქარნია“.

დევებთან მებრძოლ ღთისშვილებს *იახსარსა* და *კოპალას* მოძმე ღთიშვილებიც – *შუბნური, ხმალა, პირქუში* და სხვები – ეხმარებიან. ღვთიშვილები დევებს ხშირად ლახტის გადაკვრით ხოცავენ. მითოლოგიური თქმულებების დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ *თ. ოჩიაური* ასკვნის: „ნასახლარები ეთნიკურად განსხვავებული ხალხის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც რწმენის ობიექტებითაც განსხვავდებოდა აღმოსავლეთ სა-

ქართველოს ქართველი მთიელებისაგან.“ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეთნიკურად, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სპორადულად იყვნენ განსახლებულნი? „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა, რომ მეფე *საურმაგმა* საქართველოს მთიანეთში ქართველთა შორის *დურძუკები* დაასახლა. თქმულებებში მოხსენიებული დევები სწორედ დურძუკების შთამომავალნი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ქართველთა შორის ცხოვრების მიუხედავად ეთნიკურ თავისთავადობას ინარჩუნებდნენ, ე. ი. მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაცია არ ხდებოდა. ამ დასკვნის მიღების საშუალებას თქმულების ის ადგილებიც იძლევა, სადაც ფშავ-ხევსურთა წინაპრებსა და დევებს შორის სარწმუნოებრივ განსხვავებაზეა საუბარი. მართალია, თქმულებები გათანამედროვებულია (დევებთან მებრძოლები თანამედროვე ადგილობრივ გვართა წარმომადგენლები არიან), მაგრამ ისინი უდავოდ ძალიან ძველი წარმომავლობისანი არიან. ამ დასკვნის მიღების საშუალებას ის იძლევა, რომ დევკერპებთან მებრძოლნი არიან ღვთიშვილები, რომლებიც დევებს ებრძვიან ფშაველთა სალოცავებსაც წარმოადგენენ და ხევსურთა სალოცავებსაც; ესენი არიან *იახსარი, კოპალა, პირქუში*... სამართლიანია *თ. ოჩიაურის* დასკვნა: ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს იმ დროის ამბავთან, როდესაც ცალ-ცალკე კი არ არსებობდა ფშავისა და ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები, არამედ ერთად, როდესაც ის ფხოვის სახელწოდებას ატარებდა. დევებთან მებრძოლნი საერთო ფშაური და ხევსურული ხატები იყვნენ. თქმულებები რომ ძალიან ძველია, ამას მისი პოეტური ვარიანტებიც ადასტურებს. როგორც სამარლიანადაა შენიშნული, მთაში პროზაული გადმოცემები შეიძლება დროთა განმავლობაში შეცვლილიყო – გასხვავებული ვარიანტები შექმნილიყო, მაგრამ ერთხელ შექმნილი ლექსი არასდროს არ იცვლებოდა; ლექსს დოკუმენტის ძალა ჰქონდა – ის ხალხის ყოფის ორგანული ნაწილი იყო. თქმულებების სიძველეზე *ხევსურთა* და *ფშაველთა* ჯვარ-ხატების სახელწოდებებიც მიუთითებს. მათ შორის არცერთი ქრისტიანული სახელწოდებისა არაა. არადა მთიელთა ბევრ ჯვარ-ხატს ქრისტიანული სახელი ერქვა.

საინტერესო თქმულებებია შემორჩენილი *ფშავსა* და *ხევსურეთში* ქაჯავეთში ღვთაებების ლაშქრობის შესახებ. შემორჩენილია როგორც პროზაული, ისე პოეტური ვარიანტები. ჯვარ-ხატებთან ერთად ქაჯავეთში ხორციელი ხახმატის ჯვრის მკადრე *გახუა მეგრელაურიც* მოგზაურობდა. ლაშქრობის თაოსანი – ხახმატის ჯვარი გიორგი ნაღვარმშვენიერია, მონაწილეები კი ფშავ-ხევსურეთის თითქმის ყველა ღვთიშვილი. „მოლაშქრეები გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, *გახუა მეგრელაურს*

სულს ამოაცლიან, ხოლო გვამს ადგილზე ტოვებენ. როდესაც ქაჯთა ადგილ-სამყოფელს მიაღწევენ, გიორგი ნაღვარმშვენიერი „საფარველს იდებს“, ბუზად ან მტლად იქცევა და ისე შედის ქაჯთა სოფელში“. ქაჯთა სოფლიდან ღვთიშვილებს მოქვთ სასროლი სამართებელი, გრდემლ-კვერი, ოქროს ძალიანი ფანდური და სხვ. გიორგისა და ქაჯავეთელი მჭედლის შერკინების ერთ-ერთი გალექსილი ვარიანტი ასეთია:

ქაჯავეთს რას იარები, გიორგივ, სვილის ფერაო?
– ვალი მიკიდავ, ვალს მივსდევ, რას მკითხავ ქრისტეს დედაო.
სინას შჭედს ქაჯთა მჭედელი, მივასწვერ წლოთობაზედაო.
სამჭედლოს გადაუხუნე, ნისლები დაბადულაო,
მჭედლები, მემჭედურები ცისაკე გამართულაო.
ქართუმელ მაუგლიჯიე, ცხენი შავაგდი ზედდაო.
ქაჯთა მჭედელმა ხელ-კვერი ცხენს მიცა ბეჭებზედაო.
გრდემლსა, ხელკვერსა, მარწუხსა გვერდი ცალ-ცალკე სქდებაო.
ხელ მავხკარ, წამავიტანე, ხახმატის ჯვარჩი ძესაო“.

სრულიად სამართლიანად *თ. ოჩიაური* ქაჯებში ჩრდილოეთ კავკასიელ ეთნიკურ ერთობებს, კერძოდ, ქისტებს გულისხმობს. სახელწოდება „ქაჯავეთში“ *აკ. შანიძე* ქაშუეთს გულისხმობდა, ხოლო *ვ. ბარდაველიძე* მასში ქაშაგეთის გამოძახილს ხედავს. ამ შემთხვევაში, ალბათ, არც ერთი და არც მეორე არ უნდა იგულისხმებოდეს. ქართული წყაროების ქაშაგეთი არა ხევსურეთის მოსაზღვრედ, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსაზღვრედ იყო. სამართლიანი უნდა იყოს *თ. ოჩიაურის* მოსაზრება, რომ შესაძლებელია საქმე გვქონდეს ეთნიკურად განსხვავებულ მოწინააღმდეგესთან. ეს იყო ფენა, რომელიც ეთნიკურად სხვა-გვარი იყო ზნე-ჩვეულებითაც და რწმენის ელემენტებითაც. ის რაც მათი წესისაგან, მათი რწმენისაგან განსხვავებულია, სწორედ ქაჯურია, ხოლო მისი მფლობელი ხალხი – ქაჯი... ზუსტად ასეთ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯებთან დაკავშირებით. *თ. ოჩიაური* ქაჯებში ქისტებს გულისხმობს. მაგრამ მეზობელ *ქისტებს* რატომ აღნიშნავდნენ ქართველი მთიელები ზოგადი ტერმინით, რომელშიც უცხო ზნისა და რწმენის ადამიანები იგულისხმებიან? ქაჯავეთში ლაშქრობის დროს, როგორც ჩანს, მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიური ერთობის აღსანიშნავად ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკუთარი ეთნონიმი შერქმეული. ფშავ-ხევსურთა, უფრო სწორედ მათი საერთო წინაპრების – ფხოველების მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიელებში ლაშქრობასთან რომ გვქონდა საქმე, ამას ზემოთ მოყვანილი ლექსის ერთი ფრაგმენტიც მოწმობს. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ოდითგანვე ტრადიციულია თარეშები, მეკობრეობა ერთმანეთსა და მეზობელ ხალხებში. *ფშავ-ხევსურთა* ღვთიშვილების ლაშქრობის მიზეზი კი საპასუ-

ხო იყო. გიორგი ნაღვარმშვენიერი კითხვაზე: „ქაჯავეთს რას იარები, გიორგივ, სვილის ფერაო?“, პასუხობს: „–ვალი მიკიდავ, ვალს მივსდევ, რას მკითხავ ქრისტეს დედაო“.

საქართველოს მთაში კიდევ ბევრი თქმულებაა დაფიქსირებული, რომელშიც მთისათვის დამახასიათებელი რეალური სოციალური ვითარებაა ასახული. *თ. ოჩიაურს* მოჰყავს თქმულებები *სულასა* და *კურდღელას* შესახებ. ისინი ფშავის სოფელ ჩარგალში ცხოვრობდნენ, გვარად *გოგოჭურები* იყვნენ. *სულა* და *კურდღელა* თავიანთი მკლავის ძალის, ვაჟკაცობისა და სისასტიკის წყალობით თანდათან თემზე მაღლა დგებოდნენ და უპირისპირდებოდნენ რიგით მეთემეებს, ჩაგრავდნენ, ბეგარას ადებდნენ და ძარცვავდნენ. მოყვანილი ფოლკლორული ტექსტები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მთიელები არავის აძლევდნენ საშუალებას თემზე მაღლა დამდგარიყო და შემდეგ კი სოციალურად დაწინაურებულიყო. ასეთები იყვნენ ჩარგალში მცხოვრები *სულა* და *კურდღელა.* ასეთივე ბედი ეწია *თაგვა თაღლაურს,* პირიქითელ ხევსურს *თორღვას,* რომელიც *ბაგრატიონთა* ნაბიჭვარი და ამავე დროს ნაწილიანი ყოფილა. ეს უკანასკნელი მითიური პიროვნებაცაა. მას, როგორც *ნაწილიანს,* ბეჭებზე მთვარისა და მზის ნიშანი აზის; ვეშაპის (ზოგი ვარიანტით – გველის) ნაჩუქარი ჯადოსნური ჯაჭვი აქვს, რომელსაც ტყვია არ ეკარება. ჯაჭვს ცურვის თვისებაც გააჩნია. მაგრამ ამ მითიურობის მიღმა თორღვა რეალურად არსებული, დიდი ღონის, გამჭრიახი და შემმართებელი ადამიანია. ის, ერთი მხრივ, ხალხისათვის სასარგებლო საქმეებს აკეთებს, მეორე მხრივ, მჩაგვრელადაც გვევლინება. თავისი ჯადოსნური ჯაჭვისა და ნაწილიანობის წყალობით უძლეველი გახდა, გაამაყდა, გათავხედდა და ძმობილის ცოლთანაც კი მოინდომა ღამის გატარება. ამის გამო, ის სიცოცხლეს გამოასალმეს. თორღვას სიკვდილს მთიელები აღტაცებით შეხვდნენ:

„დედა ვაცხონე მჭედლისი, ზრო ლამაზ გაექლიბაო,
მემრე მაგისი მსრევლისი, ლამაზა მეეზინაო,
ჯაჭვი და სკლატი შვიდრიგად შიგ-შიგი დაეხვრიტაო,
სააზნაურო თორღვაი ცვილივით დაეჭვრითაო!“

ამრიგად, ქართული ფოლკლორის ნიმუშებში ბევრი რეალური ვითარებაა ასახული, როგორც ისტორიული ხასიათის, ისე ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი.

II.9.ეთნოლოგია და სოციოლოგია

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის კავშირი ამ ორი მეცნიერების წარმოქმნისთანავე მოხდა. ცნობილია, რომ სოციოლოგია სწავლობს საზოგადოებრივი ჯგუფების განვითარების კანონებს. ამის გამო ის იძულებული იყო მიემართა ეთნოლოგიისათვის. სოციოლოგები ცდილობდნენ ამ კანონებისათვის პირველადი უჯრედიდან გაედევნებინათ თვალი. ასეთი პირველადი უჯრედები კი ეთნოლოგთა მიერ შესწავლილ იმ ხალხებს გააჩნდათ, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ და რომლებსაც ეთნოლოგები სწავლობდნენ. ეთნოლოგებს კი სოციოლოგებისათვის უკვე მზა მასალა გააჩნდათ. სოციოლოგები გულმოდგინედ შეუდგნენ ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებას. ეთნოგრაფიული მსალების სოციოლოგიური მეთოდებით დამუშავებას კი მნიშვნელოვანი შედეგები მოყვა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა პირველყოფილ დაწესებულებებს, პირველყოფილ ქორწინებასა და ოჯახს, პირველყოფილ სამართალს.

ეთნოსები, რომლებიც ეთნოლოგიის შესწავლის ობიექტები არიან, არა მხოლოდ ბუნებრივი განვითარების, არამედ სოციოკულტურული პროცესების შედეგადაც ჩამოყალიბდნენ. რადგანაც ეთნოსები სოციალურ და კულტურულ ერთობებს წარმოადგენენ, ამიტომ ეთნოლოგია თავის კვლევებში სოციალურ და კულტუროლოგიურ კონცეფციებსაც იყენებს. ეთნოლოგიური მეცნიერება ეთნიკური პროცესების კვლევისას სოციოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტების კვლევითაცაა დაინტერესებული და ამიტომ ის სოციოლოგიასა და კულტუროლოგიასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას საერთო ფესვები და ისტორია აქვთ. მათი შეხებისა და ურთიერთკავშირის შედეგად წარმოიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა – *„ეთნოსოციოლოგია“,* რომელიც ეთნიკურ ერთობათა განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებს, ინდივიდებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირების ხასიათსა და ტიპებს სწავლობს. ეთნოლოგიას ის პრობლემები აინტერესებს, რომლებიც სოციოლოგიის ინტერესის სფეროში შედის (სოციალური ჯგუფები და ფენები, სოციალური ინსტიტუტები), მაგრამ მეცნიერების ეს ორი დარგი ერთი და იმავე საკითხების კვლევას სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებს. სოციოლოგია თუ ძირითადად მთლიანი საზოგადოების სისტემებსა და სოციოკულტურულ კავშირებს სწავლობს, ეთნოლოგიისათვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ეთნიკურ ერთობათა სოციალური სტრუქტურები, ეთნიკურ კულტურათა სოციალური დინამიკა, ეთნოსების სოციალური დიფერენციაცია, ეთნიკური თვითშეგნება,

სხვადასხვა ხალხების ფსიქიკის ეთნიკური თავისებურებანი და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნოლოგია სწავლობს სოციალურ პროცესებსა და მოვლენებს სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში, ეთნიკურ პროცესებს სოციალურ ჯგუფებში.

სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას კვლევის განსხვავებული მეთოდებიც აქვთ, თუმცა საერთო მეთოდებიც გააჩნიათ: დაკვირვება, კითხვარებით მასალების შეკრება, გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი და ა. შ. მაგრამ ამ მეთოდებს ორივე დასახელებული მეცნიერება თავისებურად იყენებს. სოციოლოგია უპირატესად წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებზე მუშაობს, ეთნოლოგია კი – ზეპირ და არავერბალურ წყაროებზე. თუმცა კონკრეტულ სოციოლოგიური გამოკვლევების ძირითადი წყარო მოსახლეობაში შეკრებილი მასალები გახლავთ, რასაც სოციოლოგები ძირითადად ანკეტირების გზით მოიპოვებდნენ. ეთნოლოგიასა და კონკრეტულ სოციოლოგიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ აერთიანებს – გამოყენებითი ხასიათი.

ეთნოლოგიასა და სოციოლოგიას რამდენიმე საერთო ნიშანი გააჩნია. ამ ორი დარგის და აგრეთვე ისტორიის შესწავლის ობიექტი საზოგადოებაა მისი განვითარების ყველა ეტაპზე. საერთოა ისიც, რომ მეცნიერების დასახელებულ დარგებს აქვთ ცოდნის „ზონები“, რომლებიც თანაბრად და ერთდროულად მოიცავს აღნიშნული მეცნიერებების საგნობრივ სივრცეებს. ხშირ შემთხვევაში სპეციფიკური შემეცნებითი ამოცანის გადაწყვეტისათვის საერთოა წყაროთმცოდნეობითი ბაზაც.

მეცნიერებაში ხშირია შემთხვევები ამა თუ იმ კონკრეტული სოფლის მონოგრაფიული შესწავლისა. ცალკეული სოფლებისადმი ასეთ ინტერესს იჩენენ არა მხოლოდ ეთნოლოგები, არამედ ისტორიკოსები და სოციოლოგებიც. მეცნიერებისათვის იდეალური იქნებოდა ამა თუ იმ სოფლის, თუნდ ქალაქის ისტორიული, ეთნოლოგიური და სოციოლოგიური თავალახედვით, კომპლექსურად შესწავლა. სხვა ქვეყნებში არაერთი ასეთი ნაშრომია შესრულებული. გვაქვს შემთხვევები, როდესაც სამი დასახელებული მეცნიერების წარმომადგენლები ერთდროულად, ჯგუფურად ახორციელებენ ასეთ კვლევებს.

ეთნოლოგიასა და სოციოლოგიას ერთმანეთთან თანამედროვე ეთნიკური პროცესების შესწავლაც აახლოვებს. ეთნოლოგებისა და სოციოლოგების წრეებში ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ ასეთი მოსაზრებებიც გვხვდება: ა) სოციოლოგია – თეორიული მეცნიერებაა, ეთნოლოგია – ემპირიული დისციპლინა; ბ) სოციოლოგია სწავლობს თანამედროვე ურბანიზებულ საზოგადოებებს, ეთნოლოგია – არაურბანიზებულ საზოგადოებებს; გ) სოციოლოგია სწავლობს სოციალურ პროცესებს, ეთნოლოგია – ეთნიკურ პროცესებს; დ)

პროცედურულ ნაწილში სოციოლოგია / კონკრეტული სოციოლოგია ეყრდნობა მათემატიკასა და სტატისტიკას, ეთნოლოგია – დასაკვირვებელი ობიექტის – სამეცნიერო აღწერასა და დაკვირვებას. ასეთი მიდგომა მხოლოდ პრობლემებისადმი გამარტივებულ დამოკიდებულებად შეიძლება ჩაითვალოს. საკამათო არაა, რომ ეთნოლოგიასა და სოციოლოგიას საერთო ზონები გააჩნია. კონკრეტულად კი შეიძლება ეთნიკური სოციოლოგია დავასახელოთ, რომელიც, ერთი მხრივ, ეთნოლოგიის და, მეორე მხრივ, სოციოლოგიის კვლევის სფეროა.

ამრიგად, ორი დამოუკიდებელი მეცნიერება – სოციოლოგია და ეთნოლოგია – თანდათან ერთმანეთს უახლოვდება, რამაც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ახალი სამეცნიერი მიმართულების – *ეთნოსოციოლოგიის* ჩამოყალიბება განაპირობა. *ეთნოსოციოლოგია* ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებებად იყოფა: სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში მიმდინარე სოციალური პროცესები და ეთნიკური პროცესები ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში. მეორე მიმართულების კვლევის ძირითადი მიზანია ყოფის მყარი ტრადიციული ფორმების სოციალურ ფაქტორების, აგრეთვე ეთნიკური პროცესების სხვა ასპექტების გარკვევა (ეთნიკურად შერეული ქორწინებები, ორენოვნება და ა. შ.).

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეთნოლოგიას არაერთი მიმართულება გააჩნია. გერმანიაში ერთ-ერთი სოციოლოგიური მიმართულებაა. ამ მიმართულებას საფუძველი *რიჰარდ ტურნვალდმა* ჩაუყარა. ეთნოლოგიის თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებამ ეთნოლოგიის ახალი მიმართულების – ეთნოსოციოლოგიის – წარმოქმნა განაპირობა. ეთნოლოგიის სოციოლოგიურ მიმართულებას მნიშვნელოვანი გამოყენებითი ფუნქციები გააჩნია. გერმანიასა და ავსტრიაში ეთნოლოგიის „სოციოლოგიზაციამ“ იქამდე მიგვიყვანა, რომ „სოციოლოგიური მიმართულების“ მიმდევრები ეთნოლოგიას დამხმარე დისციპლინად განიხილავდნენ. მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტში ეთნოლოგია ფილოსოფიურ-ისტორიულ და ბუნებრივ-სამეცნიერო დისციპლინებად დაიყო. ამასთანავე ისინი ეთნოლოგიას სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის განშტოებად მიიჩნევდნენ. აქტობრივად, *რ. ტურნვალდის* მიერ ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის გაერთიანებით უკანასკნელს ენიჭებოდა უპირატესობა, ის კარგავდა ადრინდელ პოზიციებს.

II.10.ეთნოლოგია და ენათმეცნიერება

ეთნოლოგიურ მეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს ენათმეცნიერებასთან. პირველ რიგში ეს კავშირი ხალხების კლასიფიკაციისას ვლინდება. ეთნოლოგები ამ კლასიფიკაციას ენათა ოჯახების მიხედვით ახდენენ. ენა ადამიანთა საზოგადოებაში ინფორმაციის გადაცემის ძირითადი საშუალებაა. ის მტკიცედაა დაკავშირებული აზროვნებასთან და ინფორმაციის შენახვის, დაცვის, დაგროვებისა და გადაცემის სოციალურ საშუალებას წარმოადგენს. ბუნებრივია, ეს ადამიანის კულტურული და შრომითი მოღვაწეობის შედეგად დაგროვილ ცოდნასაც ეხება. ენა რეალიზდება და არსებობს მეტყველებაში, წარმოადგენს საკომუნიკაციო მოღვაწეობის ერთ-ერთ სახეს და ადამიანების მიერ გამოიყენება თავისი ეთნოსის სხვა წევრებთან ურთიერთობისათვის. ეთნოსების წარმოქმნისთანავე ენა მისი უპირველესი მახასიათებელი იყო, ე. ი. ყოველ ეთნოსს საკუთარი ენა გააჩნდა, თუმცა ახალი ისტორიიდან ენისა და ეთნოსის ეს ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა. ენა აღარაა ეთნოსის ერთადერთი ნიშანი – ის ერთ-ერთი ნიშანია.

ენა – სოციალური მოვლენა, სოციალური ფაქტორია; ის ცალკეული ჯგუფების ურთიერთობის საშუალებაა. ენა დროთა განმავლობაში იცვლება, მან შეიძლება ძალიან დიდხანს იარსებოს, შეიძლება შეწყვიტოს არსებობა და მკვდარ ენად იქცეს. ენის სიკვდილის შემთხვევაში, ბუნებრივია, ეთნოსიც ქრებოდა, რადგან ენა ეთნოსის კულტურის გამოხატულების უმთავრესი ნიშანია. რამდენი ენა და, შესაბამისად, რამდენი ეთნოსი გაქრა მას შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს, ამის გარკვევა შეუძლებელია. ეთნიკური პროცესების შესახებ გამქრალ ენათა და ეთნოსთა რაოდენობა რამდენიმე ათასს უტოლდება. მარტო ამერიკის კონტინენტზე ევროპელთა კოლონიზაციის პერიოდში მინიმუმ 600-ზე მეტი ენა და ეთნოსი გაქრა.

როგორ და როდის გაჩნდა ენა, დღემდე ეს საკითხი გაურკვეველია. ამის შესახებ ბევრი ჰიპოთეზაა წამოყენებული, მაგრამ მეცნიერები მიიჩნევენ, რომ არცერთი მათგანი დასაბუთებული არაა. ერთი რამ ცხადად უნდა ითქვას: ენა (და არა მეტყველება, ან „პრაენა“) და ეთნოსი ერთდროულად წარმოიქმნა. ისევე როგორც ეთნოსების ევოლუცია, ენების (და მათი ტერიტორიული ვარიანტების – დიალექტების) ევოლუციაც დამოკიდებულია ერთდროულად მიმდინარე ორი პარალელური პროცესისაგან – ენათა დიფერენციისაგან და ინტეგრაციისაგან.

დიფერენციაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ენათა ოჯახის ერთობის დაშლის შედეგად ყალიბდება ახალი ენობრივი კოლექტივები. ასეთი პროცესი შეიძლება გვქო-

ნდეს მოსახლეობის მიგრაციის შედეგად, მისი ცალკეული ჯგუ-ფების იზოლაციისას და სხვა მიზეზებით. შედეგად მეტყველება (ენა) დროთა განმავლობაში იცვლება, ადრინდელ ენაში წარმო-იქმნება დიალექტები და დიალექტები განვითარების შედეგად დამოუკიდებელ ენად გადაიქცევა. რადგან დიალექტები ვახსე-ნეთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დიალექტების მატარე-ბელნი უმეტეს შემთხვევაში ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფები / ტერიტორიული / ლოკალური ერთეულები არიან.

ახალი ენობრივი და ასევე ეთნიკური ერთობა შეიძლება აგ-რეთვე ინტეგრაციის გზით წარმოიქმნას. ანალოგიური მიზეზი შეიძლება ახალი ეთნოსის წარმოქმნას დაედოს საფუძვლად. მა-გალითად შეიძლება ინგლისური ენისა და ინგლისური ეთნოსის წარმოქმნა მოვიყვანოთ. ის ფორმირდა გერმანული ტომობრივი ენების ანგლების, საქსების, იუტებისა და ფრიზების ურთიერ-თობისას. ანგლოსაქსურმა ენამ 1066 წელს, ნორმანთა (გაფრან-გებული ნორვეგიელების) მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ, ფრანგული ენის ინტენსიური ზემოქმედება განიცადა.

ამდენად, ენების ფორმირება ეთნოგენეზის პრობლემებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ეთნოგენეზი კი ეთნოსის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. **ეთნოგენეზის კვლევა-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ენათმეცნიერული მონაცე-მებია,** რადგან ენა ერთ-ერთი ეთნიკური ნიშანია, მაგრამ ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს, არა ერთადერთი. არაიშვიათია შემთ-ხვევა, როდესაც სხვადასხვა ხალხები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. მაგალითებად შეიძლება *შოტლანდიელთა, ირლა-ნდიელთა* უმრავლესობა დავასახელოთ. ისინი ინგლისურად მე-ტყველებენ, მაგრამ ინგლისელები არ არიან. *ისტრო-რუმინელთა* მცირე ეთნიკურ ერთობას შენარჩუნებული აქვს თავისი ენა, მაგრამ თავს ხორვატებად მიიჩნევენ. გვაქვს შემთხვევები, როდე-საც ერთი ეთნოსის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა ენებზე მეტყველებენ. ერთმანეთის არ ესმით *სელკუპებს.* სამხრეთელი / ნარიმელი *სელკუპების* შვიდ ენდოგამიურ ჯგუფს რუსულ ენა-ზე აქვს ურთიერთობა ერთმანეთთან. ანალოგიური მდგომარე-ობაა ხანტებს შორის. ამ ეთნოსის სამ ენდოგამიურ ჯგუფს ერ-თმანეთის მეტყველება არ ესმის (ერთმანეთისაგან საკმაოდ და-შორებულ სამ ხანტურ მეტყველებას ლინგვისტები დიალექტე-ბად მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ მათი „დიალექტები“ შეიძლება ცალკეულ ენებადაც ეცნოთ, მაგ-რამ ამის ხელის შემშლელ გარემოებად იმ ფაქტორს ახელებენ, რომ *სელკუპებიც* და *ხანტებიც* ერთ ეთნოსად გაიცნობიერებენ თავს). სამწუხაროდ, არაერთ შემთხვევას შეიძლება წავაწყდეთ ლინგვისტურ კვლევებში, როდესაც მკვლევარები ეთნოგენეზისა და გლოტოგენეზის პრობლემებს ერთმანეთში ურევენ. **გლოტო-**

გენეზისა და ეთნოგენეზის პროცესები სულაც არ არის ერთი და იგივე. ეთნოგენეზს XIX საუკუნეში მხოლოდ ლინგვისტები სწავლობდნენ – ეთნოგენეზი განიხილებოდა როგორც გლოტოგენეზის ასპექტი. თუმცა ეთნოგენეტური პროცესებისადმი ენათმეცნიერთა კერძო მიდგომის რეციდივები XX საუკუნეშიც გვხვდებოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან *გ. კოსინის* ძალისხმევით პრობლემის სიმძიმემ არქეოლოგიასა და ფიზიკურ ანთროპოლოგიაზე გადაინაცვლა. პირველ რიგში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენის განვითარება თავისი სპეციფიკური კანონებით მიმდინარეობს, რომლებიც განსხვავდება ეთნოსის ფორმირებისა და ცვლის კანონებისაგან, მეორე – **ეთნოგენეზი გლოტოგენეზზე უფრო ფართო მოვლენაა:** მის სფეროში, მოცემული ხალხის ენის ისტორიის გარდა, შედის ამ ხალხის ისტორია, განსაკუთრებით მისი ეთნიკური კულტურა; მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რომ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები აისახება ენაზე, რომლებიც ფონეტიკური სტრუქტურის, გრამატიკული სისტემისა და, რაც მთავარია, ლექსიკის ცვლილებას იწვევს. ეს განსაკუთრებით ეთნიკურ ასიმილაციას ეხება, რომლის საფუძველსაც ენობრივი ასიმილაცია წარმოადგენს. ასიმილირებულ ეთნოსებს გარკვეული წვლილი შეაქვთ ახალჩამოყალიბებულ ეთნოსში. უპირველეს ყოვლისა, ეს თვალნათლივ ენაში აისახება (სუბსტრატი). ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერები წყაროდ განსაკუთრებით აქტიურად ტოპონიმებს იყენებენ. ცნობილია, რომ ეს მონაცემები ფართოდაა გამოყენებული სლავების, კელტების, ფინელების, ირანელების ეთნოგენეზის შესწავლაში; მაგრამ ხშირად ტოპონიმების გამოყენება ბევრ კამათს იწვევს. ადგილის სახელები ყოველთვის სუბსტრატული არაა. ტოპონიმი შეიძლება სუპერსტრატული ან ადსტრატული იყოს. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად ისევ ქართული მეცნიერება უნდა მოვიყვანოთ. რამდენიმე ტოპონიმის მაგალითზე ამტკიცებდნენ, რომ ქართველები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის თავდაპირველი ბინადარნი არ იყვნენ, რომ ქართველთა ეთნოგენეზი სადღაც სამხრეთით მოხდა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოდესღაც სხვა, ჩრდილოეთ კავკასიური მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. არავის გაურკვევია, ეს რამდენიმე ტოპონიმი რა წარმოშობისა იყო – იქნებ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან გარკვეული ჯგუფების გადმოსახლების შედეგად იყო წარმოქმნილი. ამის დამადასტურებელი ცნობა კი „ქართლის ცხოვრებაში“ მართლაც დაცულია, როდესაც მეფე *საურმაგმა* აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში *დურძუკები* დაასახლა. ტერიტორიის საკითხი კი ეთნოგენეზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ყველა ხალხი გარ-

კვეული ენით გარკვეული ტერიტორიულ არეალში ჩამოყალიბდა. ტოპონიმების გარდა, ეთნოგენეზურ კვლევებში ფართოდ იყენებენ აგრეთვე ეთნონიმებსა და ანთროპონიმებს. როგორც სამართლიანად შენიშნავენ (*პ. კუშნერი*), ანტიკურ ავტორებთან მოხსენიებული ეთნონიმებისა და ანთროპონიმების გამოყენება ფრიად სარისკოა, რადგან ისინი ხშირად ურევენ ერთმანეთში ტოპონიმებსა და ეთნონიმებს, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამავე დროს უცხოელ ავტორებთან მოხსენიებული ეთნონიმები ეგზოეთნონიმებია და არა ენდოეთნონიმები. ერთი და იმავე ალოეთნონიმით ხშირად ორ სრულიად სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკურ ერთობებს მოიხსენიებენ. რაც შეეხება ანთროპონიმებს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ძველ დროს პიროვნული სახელები ფართოდ ვრცელდებოდა ერთი ხალხიდან მეორე ხალხში, რასაც მეზობელ ეთნოსებთან ეთნოკულტურული კავშირები და პოლიტიკური ბატონობაც განაპირობებდა. ცნობილი ლინგვისტი *ანტუან მეიეც* წუხდა იმის შესახებ, რომ **ენათმეცნიერები, რომლებიც უპირატესად საკუთარი სახელების ეტიმოლოგიით ინტერესდებიან, ხშირად ლინგვისტიკიდან გამომდინარე ავანტურისტებად ყალიბდებიან და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იცავს ენათმეცნიერებაში შედარებით მეთოდს.** არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ონომასტიკურ მონაცემთა დაუფიქრებელი გამოყენების არაერთი მაგალითი გვაქვს ქართულ მეცნიერებაშიც. მაგალითად, კახეთში, თანამედროვე ახმეტის რაიონში არსებულმა ტოპონიმმა – *ალვანი* – ზოგიერთ მეცნიერს აფიქრებინა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც ალბანელი ხალხის განსახლების არეალი იყო და დასკვნაც შესაბამისი გააკეთეს: ქართული ეთნოსი აქ ექსპანსიის შედეგად გაჩნდა. ზუსტად ასეთივე ტოპონიმი – *ალვანი-ყალე* (მთა) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზეც არსებობდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ალბანელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ცხოვრობდნენ? საერთოდ კი ტოპონიმის ეთნონიმიდან მიღების ეს გზა გამორიცხულია, რადგან აღნიშნული ხალხის ავტოეთნონიმი „ალბანელი“ არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, ალბანელებს ქართველები ამ ეთნონიმით არასდროს მოიხსენიებდნენ. ტოპონიმი „ალვანი“ სინამდვილეში ბოტანიკური წარმოშობის უნდა იყოს და ალვის ხეს უნდა უკავშირდებოდეს. ეს ტოპონიმი ქართულ საბუთებში „ალონის“ ფორმითაცაა წარმოდგენილი. მეცნიერებს ეს ვითარებაც უნდა გაეთვალისწინებინათ, როდესაც ამ ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიას იკვლევდნენ და, შესაბამისად, აქ ოდესღაც არაქართველთა მკვიდრობაზე მიუთითებდნენ.

ზოგჯერ ამა თუ იმ ენის ლექსიკურ ერთეულებს გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვთ ხალხების განვლილი ცხოვრების

შესახებ. მაგალითად, თანამედროვე თურქულ ენაში ერთი სიტყვით – *იურტა* – გამოიხატება „სახლიც“ და „სამშობლოც“. ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თავდაპირველი თურქები მომთაბარეები იყვნენ და არა მობინადრენი („იურტა“ მომთაბარე თურქულენოვან და მონღოლურენოვან ხალხებში გადასატანი საცხოვრებელი იყო. სადაც *იურტას* გაშლიდნენ, მომთაბარეებისათვის ის ადგილი სამშობლოსაც წარმოადგენდა).

ენები კლასიფიცირდება ენათა ოჯახებისა და მათი შტოების (ჯგუფების) მიხედვით. კლასიფიკაციის საფუძველს შედარებით-ენათმეცნიერული მონაცემები და ენებს შორის დადგენილი გენეტიკური სიახლოვე / ნათესაობა წარმოადგენს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენობრივი ნათესაობა ზოგიერთ ლინგვისტს აძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ეს ეთნოსთა წარმომავლობით ნათესაობასაც ნიშნავს. მაგრამ ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ გლოტოგენეზი და ეთნოგენეზი ერთი და იგივე მოვლენა არ არის. ისტორიაში არაერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც თავისი არსებობის დროს მოსახლეობა არაერთგზის იცვლიდა ენას. ეს კი ეთნოგენეტიკური პრობლემების გადაწყვეტაში ლინგვისტური მონაცემების გამოყენებას ართულებს. მაგალითად, თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე გალური ენა გავრცელდა მხოლოდ ძვ. წ.-ის I ათასწლეულის პირველ ნახევარში. შემდეგ ის შეცვალა ვულგარულმა / ხალხურმა ლათინურმა. და ბოლოს, ადრე შუა საუკუნეების დასასრულს ჩამოყალიბდა ფრანგული ენა. ფრანგული ენის ფორმირება ხალხური ლათინური ენისა და ფრანკთა გერმანული ენის ურთიერთობის შედეგად მოხდა. რა თქმა უნდა, ახალ ენაში ადრინდელი ენის ელემენტები შედის, რასაც *სუბსტრატის* ქმედებას უწოდებენ. მეზობელ ხალხებთან და მათ ენებთან ურთიერთობა ენაზე კვალს სტოვებს. ამ ნაკვალევს *ადსტრატს* უწოდებენ. მოსული ეთნიკური ჯგუფებისა და მათი ენების ენობრივი ზეგავლენა ხშირად განიხილება როგორც სუპერსტრატი, რაც ენობრივი და კულტურული გავლენის შედეგია.

ენათა ოჯახი – ისტორიული ცნებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ენათა ოჯახში შემავალი ჯგუფების ენები ერთმანეთის მონათესავეა, ისტორიული განვითარების მიზეზით ისინი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. მაგალითად, ფრანგულისა და სპარსულის დასახელებაც საკმარისია. ბევრ ენაში ისტორიულად გამოიყოფა დიალექტები, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება. მაგალითად, ქვემოგერმანული დიალექტი გაუგებარია *ბავარიელისათვის*, შვეიცარიული და ავსტრიული დიალექტები – *საქსონიელისათვის.* ანალოგია ქართულ სალიტერატურო ენასა და მის ზოგიერთ დიალექტთან შეიძლება გავავლოთ: *ხევსურული, თუშური* დიალექტებისა და

მეგრული მეტყველების გაგებინება პრობლემური იყო. მიუხედავად ამისა, ამას არც გერმანული და არც ქართული ეთნოსის ეთნიკური ერთობის რღვევა არ გამოუწვევია, რადგან ეთნოსის შემაკავშირებელ-შემადუღებელი ამ შემთხვევაში სრულიად სხვა ფაქტორები (მაგალითად, კულტურული, საერთო ისტორიული თანაცხოვრება და სხვ.) იყო და არა ენისა და დიალექტის მიმართება.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული *ბილინგვიზმისა* და *პოლილინგვიზმის* (ორენოვნებისა და მრავალენოვნების) ზრდის ტენდენცია. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ენობრივი ვითარება ენებისა და ხალხების ურთიერთობისა და ურთიერთობის კონტექსტშია განსახილველი. ბილინგვიზმი და პოლილინგვიზმი ეთნიკურ ასიმილაციას არ იწვევს, თუმცა მისი ერთგვარი წინაპირობა კი არის. წარსულში ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის ასიმილაციის საწყისი ფაზა ბილინგვიზმი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ასიმილაციის დროს ბილინგვიზმი დიდხანს არ გრძელდებოდა. მაგალითად თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქართველები შეიძლება მოვიყვანოთ. სულ რაღაც ორიოდე თაობის წინ სოფლებში, რომლებშიც ქართულად კარგად მეტყველებდნენ და თურქული ენა საერთოდ არ იცოდნენ, დღეს ქართული ენა და, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკური ქართველობა უკვე ისტორიის სფერია. ასეთ სიტუაციებში ენისა და ეთნიკურობის შეცვლა დიდხანს არ გრძელდებოდა, ორ-სამ თაობაში ეს პროცესი სრულდებოდა.

ეთნოლოგიისა და ენათმეცნიერებისათვის საზიარია ისეთი ენობრივი ერთეული როგორიცაა სახელი: ტოპონიმი, ანთროპონიმი, ეთნონიმი, თეონიმი... სახელებით მეცნიერები ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებსაც არკვევენ. მეცნიერთათვის ანთროპონიმები ხშირად ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესწავლის წყაროცაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პრობლემის შესახებ მათ სხვა წყარო არ გააჩნიათ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ეთნიკურად სრულიად განსხვავებული ხალხების – ბალტიელი *ლიტველებისა* და *ლატვიელების* და *ობის უგრთა – ხანტებისა* და *მანსების* ანთროპონიმები. ბალტიელებისაგან საკმაოდ შორს ადრე შუა საუკუნეების დასაწყისში ბალკანეთში მკვიდრობდნენ *თრაკიელები* (*თრაკო-დაკიელები*) და *ილირიელები.* გაირკვა, რომ ამ გამქრალ ეთნოსთა საკუთარ სახელებს ბევრი ანალოგი ეძებნება ბალტიელ ხალხებთან – ლიტველებთან, ლატვიელებთან, ძველპრუსიელებთან. ერთ-ერთმა მკვლევარმა (*ი. დურიდანოვი*) 52 საერთო, პარალელური ბალტიური და თრაკიული ანთროპონიმი დაადასტურა. ეს თანხვედრა არა მარტო საკუთარ

სახელებში, არამედ ანთროპონიმთა სუფიქსებითაც მტკიცდება. არცერთ ენასთან არ გვხვდება თრაკიული ანთროპონიმების იმდენი შესატყვისობა, რამდენიც ბალტიურთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ენობრივად და ეთნიკურად გამქრალი ილირიელები და თრაკიელები ბალტიელთა (*პრუსიელების, ლიტველების, ლატვიელების*...) მონათესავენი იყვნენ.

მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს მეცნიერებს ობელი უგრების – *ხანტებისა* და *მანსების* – გვარსახელების შესწავლა. ცნობილია, რომ ობელი უგრებისათვის წარსულში არსებობდა გენეალოგიური ჯგუფების სახელები, რომლებიც, როგორც წესი, წინაპართა სახელებისაგან მომდინარეობდა და ამიტომაც მათ სულებთან აიგივებდნენ. გარკვეული გენეალოგიური ჯგუფის სახელი ტაბუირებული იყო სხვა ასეთივე ჯგუფის მიერ. ამ სახელებისაგან წარმოიქმნა ხანტური და მანსური გვარსახელები. გენეალოგიური ჯგუფების გარდა, ობელ უგრებში გამოყოფენ ტერიტორიულ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებსაც. XVIII-XIX საუკუნეებში გავრცელებულ ხანტებისა და მანსების გვარსახელთა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი ტერიტორიული და ეთნოგრაფიული ჯგუფების ფარგლებში ასევე გამოიყოფა გვარსახელების ფონდი (შესაბამისად, პიროვნული სახელებიც, რომლებიც მათ საფუძვლად დაედო), რომლებიც არ მეორდება სხვა ასეთსავე ჯგუფებში. არსებული გვარსახელების კლასიფიკაციამ მეცნიერებს საშუალება მისცა ხანტებსა და მანსებთან გარკვეულ პერიოდში სელკუპების შერევის ფაქტის დადასტურებისა.

თქმული არა მხოლოდ პიროვნულ სახელებზე, არამედ ტოპონიმებზეც ვრცელდება. საგულისყუროა, რომ *ფ. ენგელსმა* მონოგრაფიულად შეისწავლა გერმანული ენის ფრანკული დიალექტი და ტოპონიმებით ფრანკების ევროპის ტერიტორიაზე გადაადგილების მარშრუტებიც დაადგინა. ტოპონიმებით არცთუ ისე იშვიათად ისტორიკოსები და ეთნოლოგები ეთნიკურ საზღვრებს და აგრეთვე მოსახლეობის მიგრაციის ფაქტებს ადგენენ. აკადემიკოსი *ნიკო ბერძენიშვილი* ამ საინტერესო საისტორიო და ეთნოლოგიური წყაროს შესახებ აღნიშნავდა: „მიწისზედა, თუ წიაღისეული მატერიალური ხასიათის ნაშთებს გარდა ჩვენ წინაშეა აურაცხელი მასალა, რომელიც თავისი ხარისხით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა რიგის წყაროებს. ეს არის ადგილთა სახელები (ტოპონიმიკა). მრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო, ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუნჯებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდანვე მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა, – მეტყველი და უტყუარი, სატომო სახელები, ტომთა განსახლე-

ბა, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა, მისი რელიგიური ცხოვრება, ომი თუ გართობა და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა ცხოვლადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს“. შემდეგ: „ეს ხომ ზღვა მასალა იქნება ჩვენი წარსული ცხოვრების მეცნიერულად აღსადგენად. იგულისხმება, რა თქმა უნდა, რომ ამ მასალის ისტორიულად შესწავლაში ჩვენ ისტორიკოსებს ქართული ენათმეცნიერება წამოგვეშველება.“

საქართველოში არაერთი ე. წ. მსგავსი, სეხნია ტოპონიმი არსებობს. ბევრი მათგანი სწორედ მოსახლეობის მიგრაციის ფაქტების დამადასტურებელია. ერთი ადგილიდან მეორეზე ჯგუფურად გადასახლებულებს ხშირად თან სოფლის სახელებიც გადაჰქონათ. საქართველოს ბარში გვაქვს ისეთი ტოპონიმები, რომლებიც *-ელ* სუფიქსით ბოლოვდება და რომლებიც ბარში მთის მოსახლეობის მიგრაციის შედეგადაა წარმოქმნილი. მაგალითად, სოფელი *ხორხელი ხორხიდან* მოსახლეობის გადმოსახლების შედეგადაა წარმოქმნილი, *მუქუელი – მუქუდან, ახადელი – ახადიდან, ფხოველი – ფხოვიდან, ფშაველი – ფშავიდან, ყვარელი – ყვარადან, გუდანელები – გუდანიდან, ხადუელები – ხადუდან, ღულელები – ღულიდან...* 1878 წელს მარმარილოს ზღვის რეგიონში გადასახლებულ მაჰმადიან ქართველებს თან სოფლის სახელებიც წაუღიათ, მაგალითად, *მურღულის* ხეობიდან *იზმითის* რაიონში დასახლებულ მუჰაჯირ ქართველებს სოფლისათვის *მურღული* დაურქმევიათ.

ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა და ლინგვისტთა საზიარო კვლევის სფეროს წარმოადგენს აგრეთვე საკუთარი სახელები, როგორც პიროვნული სახელები, ისე გვარსახელები. ენათმეცნიერები მას განიხილავენ როგორც ენობრივ ფაქტს, ისტორიკოსები საკუთარ სახელთა ისტორიას სწავლობენ, ეთნოლოგების ინტერესში კი მემკვიდრეობით სახელებთან დაკავშირებული არაერთი ასპექტი შედის. ეთნოლოგებს ყოველთვის აინტერესებდათ გვარის დანაყოფებიც. ხალხში დაცულია საინტერესო გადმოცემები გვარების სადაურობა-წარმომავლობის, გვარის საფუძვლის ჩამყრელის მიგრაციის შესახებ, რამდენიმე გვარის ერთი, საერთო გვარიდან წარმომავლობის შესახებ. ასეთი მონაცემების დაფიქსირება კი მხოლოდ ეთნოლოგებს ხელეწიფებათ. ამ თვალსაზრისით ქართულ ეთნოლოგიაში არაერთი გამოკვლევაც არსებობს. ანთროპონიმების შესწავლა მაშინ უფრო ღირებულია, როდესაც მას სამივე მეცნიერებაში (ლინგვისტიკაში, ისტორიაში, ეთნოლოგიაში) გათვითცნობიერებული მეცნიერი იკვლევს. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ხალხთა სახელწოდებების – *ეთნონიმების* შესახებაც. ეთნოგენეზის პროცესის შესახებ მსჯელობისას მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან ისეთ

ენობრივ მოვლენას, როგორიცაა ხალხთა სახელწოდებები (ეთ-ნონიმები). მეცნიერები ხშირად შეცდომაში შეჰყავს საისტორიო წყაროებში ნახსენებ ეთნონიმებს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ ალოეთნონიმები/ეგზო-ეთნონიმებია. ასეთი ტიპის ეთნონიმები (გარესახელწოდებები) კი რეალურ ისტორიულ პროცესზე როდი მიუთითებს. ხალხთა სახელწოდებების მიმსგავსებამ და დამთხვევამ ფრიად სარისკო დასკვნები შეიძლება გამოატანინოს მეცნიერს. ხშირად ძველ წყაროებში დაშორებულ გეოგრაფიულ არეალებში სრულიად სხვადასხვა ენობრივ-ეთნიკური წარმომავლობის ხალხები ერთ-ნაირი სახელწოდებით არიან მოხსენიებულნი. მაგრამ არსებითი ამ შემთხვევაში არა გარესახელწოდება, არამედ თვითსახელწო-დებაა. ადრეული საუკუნეების ავტორებთან მოხსენიებულმა ანა-ლოგიურმა, მიმსგავსებულმა ეთნონიმებმა შემდეგი პერიოდის ავტორებს ზღაპრული დასკვნები გამოატანინა ამა თუ იმ ეთნო-სთა საერთო წარმომავლობის შესახებ. ეთნონიმებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოების შესახებ უნდა აღინი-შნოს: სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ეთნოგენეზის პროცესის დასასრულის მაჩვენებელი, ეთნიკურ ცნობიერებასთან ერთად, საერთო ეთნონიმიცაა (ავტოეთნონიმი / ენდოეთნონიმი), რომ ხალხად / ეთნოსად შეიძლება იწოდოს ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელსაც თვითშეგნებასთან ერთად საერთო სახელი გააჩნია. ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებე-ლია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ენობრივ-ეთნიკური ერთობე-ბი / ეთნოსები ყველგან დიდი ხნის ჩამოყალიბებული იყო და მათ საერთო, გამაერთიანებელი სახელწოდებები / ეთნონიმები არ გააჩნდათ. ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენლებს თავდაპირ-ველად მხოლოდ ლოკალური, ტერიტორიული სახელწოდებები ჰქონდათ. საერთო, გამაერთიანებელი სახელწოდება ყველა ეთ-ნოსს მხოლოდ ძალიან გვიან, საერთო პოლიტიკური თანაცხო-ვრების შედეგად გაუჩნდა. შორს რომ არ წავიდეთ, საამისოდ ეთნონიმ ***ქართველის*** ისტორიის გახსენებაც საკმარისია, როდე-საც პოლიტიკური *გაერთიანების შემდეგ საქართველოს ცენტ-რალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული* მხარის მკვიდრთა სახელ-წოდება ყველა დანარჩენ ქართველზეც გავრცელდა. ამ თვალსა-ზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე დაღესტნის მონაცემები. არც-თუ ისე დიდი ხნის წინ ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიას ავარიას და ამ ტერიტორიაზე მოსახლეთ ავარიელებს არავინ უწოდებდა. ხუნძეთის (ავარიის) ყოველ საზოგადოებას საკუთა-რი სახელწოდება ჰქონდა. აღნიშნულის დამადასტურებელია აზ-ერბაიჯანული ეთნოსის მაგალითიც. ამ ახალგაზრდა ეთნოსს, რომელიც თურქული, ალბანური და ირანული ეთნიკური ერთო-ბების შერევის შედეგად განვითარებულ და გვიან შუა საუკუნე-

ებში ჩამოყალიბდა, საერთო, გამართიანებელი სახელწოდება – აზერბაიჯანელი – მხოლოდ XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს გაუჩნდა. თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობა თავიანთი ტომობრივი სახელწოდებებით იწოდებოდა: *ელი, მუსლიმი, თათარი, ყარაფაფახი, ყიზილბაში, ყაჯარი, თარაქამა, თურქი* და სხვ. ამდენად, ზოგიერთი მეცნიერის მიერ **ქართველთა თავდაპირველი თვითსახელწოდების ძიება მხოლოდ დროის ფუჭად ხარჯვაა.** მაგალითად, ქართველთა უძველეს ზოგად სახელწოდებად *პ. უსლარს* ***მოსოხი*** მიაჩნდა, რასაც *ივანე ჯავახიშვილიც* იზიარებდა: „ლეკები ქართველ თუშებს *მოსოხს* უწოდებენ. უსლარს სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ ეს გარემოება იმ შორეული წარსულის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც **მოსოხი** ქართველთა ზოგადი სახელი იყო“.

II.11. ეთნოლოგია და ფიზიკური ანთროპოლოგია

ჩვეულებრივ, ყველა ეთნოლოგიის სახელმძღვანელოში ფიზიკურ ანთროპოლოგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ სახელმძღვანელოებში დაწვრილებითაა საუბარი ადამიანთა რასებისა და ქვერასების შესახებ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემას ეთნოლოგიის სახელმძღვანელოებში ზედმეტი ყურადღება ექცეოდა – ეთნოლოგიას დაწვრილებითი აღწერა ადამიანთა ანთროპოლოგიური ტიპებისა იმდენს არაფერს აძლევს, თუ არ ჩავთვლით ეთნოგენეზის პროცესს. ცნობილია, რომ ზოგიერთი ეთნოსის ფორმირებაში არა მხოლოდ ერთი რასის რამდენიმე ეთნოსმა მიიღო მონაწილეობა, არამედ სხვადასხვა რასებმაც (მაგალითად, ეთიოპელები, უზბეკები, თურქმენები, თურქები, სუდანელები, ბრაზილიელები...).

ამრიგად, ეთნოლოგიას ფიზიკურ ანთროპოლოგიასთანაც აქვს კავშირი იმ თვალსაზრისით, რომ ამ მეცნიერების მონაცემებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ეთნოგენეზის პროცესის შესასწავლად. მაგრამ მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად გამოყენება საფრთხილოა, რადგან ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ელემენტები ყველაზე განსხვავებული ხალხებისათვისაც არის დამახასიათებელი, რომლებიც ენითა და კულტურით შორს დგანან ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ტიპი შეიძლება ძალიან დიდ ტერიტორიაზე იყოს გავრცელებული, მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიუხედავად. გარკვეული სრულყოფილი შედეგების მისაღებად კი აუცილებელია ანთროპოლოგიური მონაცემების ლინგვისტურ და ეთნოგრაფიულ / ეთნოლოგიურ მონაცემებთან შეჯერება. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ფიზიკური ანთროპოლოგი ეთნოგენეტურ კვლევებში ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა და მიღებულ დასკვნებს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, ხოლო ყველა დანარჩენი მეცნიერების (ისტორია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი) მონაცემებს მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგიისა და გეოგრაფიის დამხმარე დისციპლინად აცხადებდა. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ანთროპოლოგ *ვ. ალექსეევის* კამათი ლინგვისტ *ვ. აბაევთან* ოსთა ეთნოგენეზის საკითხებზე. *ვ. ალექსეევი* ოსებს ადგილობრივ კავკასიელთა შთამომავლებად მიიჩნევდა, რომლებმაც კავკასიაში მოსულ, მიგრირებულ ირანელთა ენა გაითავისეს. მაგრამ როგორ, რატომ? ეს მოსაზრება საისტორიო, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, არქეოლოგიური მონაცემებით გამაგრებული არაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ მოსაზრების აბსურდულობას ოსთა ნართების ეპო-

სიც გამორიცხავს. ადგილობრივმა კავკასიელებმა ოსურ ენასთან ერთად ნართების ეპოსიც შეითვისეს? ასევე რადიკალური გახლდათ *ვ. აბაევიც* – ის განუსაზღვრელ მნიშვნელობას მხოლოდ ენობრივ მონაცემებს ანიჭებდა.

მოსახლეობის ფიზიკური ტიპის კვლევა, მისი სტაბილურობისა და დროსა და სივრცეში ცვლილება მეცნიერებს ეთნოსების ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპების ანალიზის საშუალებას აძლევს, აგრეთვე თვალყური გაადევნონ მიგრაციულ ნაკადებს, ამა თუ იმ ხალხის ანთროპოლოგიური იერსახის ფორმირებაში შეაფასონ მოსული და ადგილობრივი კომპონენტების როლი, აგრეთვე შეიტანოს გარკვეული კორექტივები ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგებისა და ენათმეცნიერთა კვლევების შედეგებში.

რაც შეეხება ანთროპოლოგიურ ტიპებს (რასებს), **ადამიანთა რასები ხალხთა იტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფებია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან წარმომავლობით, რაც გამოიხატება მემკვიდრეობითი და ფიზიოლოგიური ნიშნებით.** ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ადამიანთა რასებს შორის მსგავსება დიდია, განსხვავება კი – შედარებით მცირე. ნებისმიერი რასის ქორწინების შედეგად იბადება სრულიად სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი შთამომავლობა. მეცნიერებაში, განსაკუთრებით XIX საუკუნის წინა პერიოდებში, ხშირად ადამიანთა ჯგუფებისა და ხალხების განსხვავებას, მათი წესჩვეულებების არერთგვაროვნებას ბიოლოგიური თავისებურებებით ხსნიდნენ, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებამ მემკვიდრეობით წინაპრებისაგან მიიღო. თუმცა ძველ და შუა საუკუნეებიის რელიგიებში „რასის“ ცნება საერთოდ არ არსებობდა. მსოფლიოს ყველა დიდი სარწმუნოება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საყოველთაო ძმობის კონცეფციასთან (რადგან ყველა ადამიანური არსება წინაპართა ერთი წყვილის ფიზიკური მემკვიდრეა). ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის გაუცხოებას არა ფიზიკური / ბიოლოგიური ფაქტორი იწვევდა, არამედ კულტურული. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანულ სამყაროში ებრაელთა თვითიზოლაცია მხოლოდ აღნიშნული მოტივით იყო განპირობებული. თანამედროვე ევროპაში პირველი ზანგები არისტოკრატიულ სახლებში როგორც თანასწორნი ისე მიიღეს და სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის ქორწინებებს არ განსჯიდნენ.

Homo Sapiens-ს შორის პირველ რიგში გამოიყოფა უფრო მსხვილი დანაყოფები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დიდ რასებს უწოდებენ. ესენია **ევროპეიდული (ევრაზიული), მონგოლოიდური (აზიურ-ამერიკული) და ნეგრო-ავსტრალოიდური (ეკვადორიალუ-**

რი). ბევრი მკვლევარი ერთიანი ეკვადორიალური რასის ნაცვლად გამოყოფს ორ დამოუკიდებელ რასას – **ნეგროიდულსა (აფრიკულს)** და **ავსტრალოიდურს (ოკეანურს).** მეცნიერებაში უფრო გაზიარებულია თვალსაზრისი ოთხი დიდი რასის არსებობის შესახებ. ყველა დიდი რასა ქვერასებად, ანუ მცირე რასებად იყოფა. ევროპეიდებში გამოყოფენ ხუთ ქვერასას: ჩრდილოევროპულს (სკანდინავიელები); *შუაევროპულს* (გერმანელები); *სამხრეთევროპულს, ხმელთაშუაზღვისპირულს* (იტალიელები, ესპანელები, ბერძნები); *წინაზიურსა* (თურქები, სპარსელები, არაბები) და *კავკასიურს.* მონგოლოიდების ამერიკულ შტოს მიაკუთვნებენ: *ჩრდილოამერიკული, ცენტრალურ-ამერიკული, სახრეთ-ამერიკული.* მონგოლოიდების აზიური შტოდან შეიძლება დავასახელოთ: *კონტინენტური* (მონღოლეთი, ჩინეთი); *წყნაროკეანური* (იაპონია), *ჩრდილოაზიური.* ავსტრალოიდებში შემდეგი ქვერასები გამოიყოფა: *აბორიგენები; მალონეზიელები, პაპუასები, ნეგრიტოსები* (სუმატრა და სხვა). ნეგროიდებში გამოყოფენ ნეგრულს; ნეგრილურს; სამხრეთ-აფრიკულს.

დიდი რასების საკონტაქტო ზონებში არსებობს გარდამავალი და შერეული რასობრივი ტიპები. შერეული და გარდამავალი რასობრივი ტიპები ჩამოყალიბდა არამარტო ძველად, შუასაუკუნეებში, არამედ ყალიბდება დღესაც მეტისაციის გზით.

ნეგროიდებისათვის დამახასიათებელია ხუჭუჭი შავი თმა, თაფლისფერი თვალები, სუსტად ან საშუალოდ განვითარებული მესამეული თმის საფარი, ზომიერად გამოწეული ღაწვის ძვალი. ნეგროიდებს აქვთ ძალიან მუქი (შოკოლადისფერ-ყავისფერი) კანი. სახე, როგორც წესი, აქვთ ვიწრო და დაბალი. ნეგროიდული ტიპი გამოირჩევა იმდენად განიერი ცხვირით, რომ ზოგჯერ სიგანე სიმაღლის ტოლია. **ევროპეიდები** გამოირჩევიან სხვადასხვა შეფერილობის ტალღოვანი და სწორი რბილი თმებით, ღია ან შავგვრემანი კანით, თვალის გარსის ნაირფერი შეფერილობით (თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი, ცისფერი). ევროპეიდებს მესამეული თმის საფარი ძლიერ აქვთ განვითარებული, კერძოდ, მამაკაცებში – წვერი. მათთვის დამახასიათებელია ღაწვის ძვლის სუსტად ან საშუალოდ წინ წამოწევა, ყბაც უმნიშვნელოდაა წინ წამოწეული (ორტოგნატიზმი). ევროპეიდებს ახასიათებთ თხელი და ოდნავ წამოწეული ცხვირი, თხელი ან საშუალო სისქის ტუჩები. **მონგოლოიდებისათვის** დამახასიათებელია სწორი, ხშირად უხეში მუქი თმა და მესამეული თმის საფარის სუსტად განვითარება, კანის მოყვითალო შეფერილობა, თაფლისფერი თვალები, შემჭიდროვებული სახე, წინ ძლიერ გამოწეული ღაწვის ძვლები, დაბალი და საშუალო სიგანის ცხვირი. მონგოლოიდ მამაკაცებს წვერ-ულვაში გვიან აჩნდებათ და იშვიათად აღწევს დიდ სიხშირეს. მათ აქვთ ფართო, მაღალი სახე,

ვიწრო თვალები და ძლიერ განვითარებული ზემო ქუთუთო. ამ ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახსიათებელია აგრეთვე *ეპიკანტუსი* – განსაკუთრებული კანის ნაკეცი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიდა კუთხეში. სახის ყბის ნაწილი გამოწეული აქვთ სუსტად ან საშუალოდ.

მიიჩნევენ, რომ დღეს არსებული რასები ხანგრძლივი დროის განმავლობაში – ჩვენს ერამდე 40-20 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდნენ. ამ გზით ადამიანები ყველა ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად შეეგუენ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ ადამიანთა ყველა რასა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს ფლობს.

აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ გარემოებას. XIX საუკუნის ევროპაში ტერმინის – „ნაცია“ პარალელურად გამოიყენებდნენ ცნებას „რასა“: „იტალიური რასა“, „ფრანგული რასა“, „ებრაული რასა“ და ა.შ. ასეთი ტერმინები მართალია დღეს, ფაქტობრივად, მეცნიერებაში აღარ გამოიყენება, მაგრამ მაინც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ასეთი ცნება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ პიემონტელ იტალიელებს უფრო მეტი საერთო წინაპარი ჰყავდათ ფრანგებსა და შვეიცარიელებთან, ვიდრე სიცილიელ იტალიელებთან. ასევე არ შეიძლება ვისაუბროთ „ებრაულ რასაზე“. ერთი მხრივ, მათ შორის გვხვდებიან სხვადასხვა ფიზიკური იერსახის ადამიანები და, მეორე მხრივ, გარეგნობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ებრაულად მიიჩნევა, დამახასიათებელია აგრეთვე ლევანტისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხების წარმომადგენლებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ არც რელიგიური თვალსაზრისით, არც კულტურის სხვა სფეროთი – ისინი ებრაელები არასოდეს ყოფილან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოსაზრებებიც არსებობს, რომ ადამიანთა პოპულაცია ძალიან მეტისირებული და ძალიან მრავალფეროვანია. ამიტომ ადამიანთა რასების მიხედვით დაჯგუფებას აზრი არა აქვს. დღეისათვის არსებობს თითქმის იმდენი სხვადასხვა კლასიფიკაცია, რამდენი ფიზიკური ანთროპოლოგიცაა. არ არსებობს სუფთა, უცვლელი რასა. უფრო არსებობს პოპულაციები, რომელთა ფიზიკური მახასიათებლები შეიცვალა კულტურის განვითარების გავლენით, ბუნებრივი, სოციალური და სქესობრივი შერევით, გარემომცველი გარემოთი, ახლო ნათესავებსა და უცხოებთან ქორწინებით. თანამედროვე მსოფლიოში, რომელშიც მანძილი პრაქტიკულად უკვე დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს, რასებს შორის შერევა და ნიველირება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

II.12. ეთნოლოგია და ფსიქოლოგია. ეთნოფსიქოლოგია – ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერების დარგი.

ეთნოლოგიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ფსიქოლოგიასთან. სწორედ ამ ორი მეცნიერების მჭიდრო ურთიერთობის შედეგია მეცნიერული კვლევის სფეროს წარმოქმნა, რომელიც *ეთნოფსიქოლოგიის* სახელითაა ცნობილი. *ეთნოფსიქოლოგიის* აღსანიშნავად იყენებენ აგრეთვე ტერმინს – *ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია.* ის დისციპლინათაშორისი დარგია, რომელიც სწავლობს **ადამიანთა ფსიქიკის ეთნიკურ თავისებურებებს, ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესებს, ეთნიკურ სტერეოტიპებსა** და ა. შ. განსაკუთრებული დისციპლინის – *„ხალხთა ფსიქოლოგიის“* შექმნის შესახებ 1860 წელს *მ. ლაცარიუსმა* და *ჰ. შტენტალმა* განაცხადეს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ „ხალხის სული“ შესწავლილ უნდა იქნას ენის, მითოლოგიის, მორალისა და კულტურის შედარებით. ამ იდეების ერთგვარ რეალიზაციას წარმოადგენდა XX საუკუნის დასაწყისში *ვ. ვუნდტის* ათტომიანი *„ხალხთა ფსიქოლოგიის“* გამოცემა. ეთნიკური ფსიქოლოგიის კვლევას გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიეთნიკური ქვეყნებისათვის. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ხშირად შეგნებულად იქმნება ეთნიკური სტერეოტიპები, რომლებიც ეთნიკური ცრურწმენისა და ცუდი აზრების ფორმირების ფსიქოლოგიური ფაქტორი ხდება და ეთნოსთა შორის მტრობასა და შუღლს იწვევს. ამიტომ ეთნოფსიქოლოგური ცოდნა საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული ნაციონალური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, ეთნოსთა შორის სასურველი ურთიერთობისა და ხელშემწყობი ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად.

ეთნოსების ფსიქოლოგიური შესწავლა უაღრესად რთული და ძნელად დასამუშავებელი პრობლემაა. მკვლევარი თანაბრად უნდა ფლობდეს ეთნოლოგიასა და ფსიქოლოგიას, უნდა იცნობდეს ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგებსაც, გარკვეული უნდა იყოს იმ ხალხის მხატვრულ ლიტერატურაში, რომელთა ხასიათსაც იკვლევს. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ცნობილი ქართველი მეცნიერის *გურამ ასათიანის* წიგნი *„სათაგეებთან“,* რომელშიც ქართველთა ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები ქართული მწერლობის ანალიზის შედეგადაა მოცემული. ასეთსავე ხერხს მიმართა ცნობილმა მეცნიერმა *გ. გაჩევმა*, რომლის ინტერესის სფეროში ქართველთა მენტალობაც მოექცა. ეთნოფსიქოლოგიის ზოგად პრობლემებს და ქართველთა ხასიათის საკითხს შეეხო *გურამ ყორანაშვილი.* რუსული „ნაციონალური ხასიათი“ გერმანელმა ეთნოფსიქოლოგებმა XX საუკუნის

30-იან წლებში სწორედ *ლევ ტოლსტოის, თეოდორ დოსტოევსკისა* და *ანტონ ჩეხოვის* მხატვრულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით შეისწავლეს. მეცნიერები ხალხთა ეთნოფსიქოლოგიის კვლევისას მიმართავდნენ აგრეთვე ხელოვნების ისეთ დარგს, როგორიცაა კინოხელოვნება, რადგან კინოხელოვნება (ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები) ღრმად ნაციონალურია. ამ თვალსაზრისით შეიძლება ქართული კინოხელოვნება გავიხსენოთ – მასში აშკარად ჩანს ქართული ეროვნული ხასიათი. საამისოდ „ჯარისკაცის მამისა“ და „ფესვების“ დასახელებაც საკმარისია.

საბჭოთა იმპერიაში ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევები, ფაქტობრივად, არ ტარდებოდა და ამ ტერმინს მხოლოდ ნეგატიური ასპექტი გააჩნდა. ეს, ერთი შეხედვით, არცაა გასაკვირი, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში ნაციონალური ხასიათის კვლევებს განსაკუთრებით პრაგმატული მიზნებისთვის იყენებდნენ.

ეთნოფსიქოლოგია მეცნიერთა დიდ ნაწილს სოციალური ფსიქოლოგიის დარგად მიაჩნია, რომელიც მის იმ თავისებურებებს სწავლობს, რომლებითაც შეპირობებულია კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის ეთნიკური მიკუთვნებულობა. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ყოველ ეთნიკურ ერთობას აქვს მისთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი რიგი ფსიქიკური თვისებები. ხალხთა ეთნოფსიქოლოგიას კი მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებდა – განსხვავებული გეოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური და ისტორიული პირობები ეთნოსთა განსხვავებული ხასიათების წარმოქმნისა და განვითარების საფუძველი გახლდათ. ამის შედეგი იყო ერთმანეთისაგან თავისი ტრადიციებით მნიშვნელოვნად განსხვავებული კულტურების წარმოქმნა; სხვადასხვაგვარი ურთიერთობები ოჯახში, სქესთა შორის, სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის, ერთი და იმავე რელიგიური დოგმის არაერთგვაროვანი აღქმა და ა. შ.

ზოგიერთი ეთნოფსიქოლოგიის სფეროს მიაკუთვნებს ისეთ გამონათქვამებს, როგორებიცაა „ქარაფშუტა / დაუფიქრებელი ფრანგი“, „ცივი / მეტისმეტად თავაჭერილი ინგლისელი“, „პედანტი გერმანელი“ და სხვ. ასეთი გამონათქვამები მხოლოდ სტერეოტიპებია და სრულიადაც არ ასახავს დასახელებული ხალხების ფსიქოლოგიის არსებით მხარეებს. იგივე შეიძლება ითქვას ავტოსტერეოტიპებზეც. ეს უკანასკნელი კი თითქმის ყოველთვის დადებითი და აღმატებითია.

სხვათა შორის, ზოგიერთი ეთნოფსიქოლოგი (მაგალითად, ჰოლანდიელები ჰ. *დეიკერი* და *ნ. ფრაიდა*) საზოგადოების იერსახის ფორმირებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს, გვთავაზობს ტერმინს „კულტურული ხასიათი“.

თავდაპირველად გამოკვლევები ეთნიკური ფსიქოლოგიის სფეროში ღია უტილიტარული მიმართულებისა იყო, რაც კარგად ჩანს *დეიკერისა* და *ფრაიდას* წიგნიდან, რომელიც 1960 წელს დაისტამბა: „ნაციონალური ხასიათის კვლევა შეიძლება ბევრ მიზანს ემსახურებოდეს. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს, ყველაზე არსებითს – ნაციონალური ხასიათი შეიძლება მაგალითად დაგვეხმაროს გარკვევაში მტერი პოტენციურია თუ მოქმედი. ამ შემთხვევაში ის მთავარი იარაღია მტრის სისუსტეების, მისი ქცევის ნორმებისა და კოდების, ღირებულებების სისტემების შესასწავლად... მას შეუძლია გააიოლოს საბოლოო გამარჯვება მტერზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული ხასიათის შესწავლა სათანადო იარაღია ფსიქოლოგიური ომისათვის. ეს ცოდნა შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი საომარი ურთიერთობების გასასამართლებლად, თუ ჩვენ ვაჩვენებთ როგორი არასასიამოვნო, არადემოკრატიული და არაცივილიზებულია ჩვენი მტერი.“ ამ მიზნით ხალხთა ეთნოფსიქოლოგიას რუსეთშიც სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ, განსაკუთრებით კი ეს საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ ეთნოსთა ნაციონალურ ხასიათს ეხება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ კარგად გამოიყენა ქართველთა ხასიათის ზოგიერთი ნეგატიური მხარე.

ეთნოფსიქოლოგიით დაინტერესებული იყვნენ მისიონერებიც.

ეთნოფსიქოლოგიური კვლევები სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: პირველი **სოციოლოგიური** მიმართულებაა, მეორე – **ბიოლოგიური** და მესამე – **ეკოლოგიური**. ეთნოფსიქოლოგიაში სოციალურ-ისტორიული, ბიოლოგიური და ეკოლოგიური ტიპის კვლევები მთელი რიგი მეცნიერებების განვითარების შედეგია – ისტორიისა და სოციოლოგიის, ბიოლოგიური ანთროპოლოგიისა და ბიოლოგიის, დემოგრაფიისა და ეთნოლოგიის. პირველი მათგანი მოიცავს საკითხების ყველაზე ფართო წრეს, რომლებიც ადამიანთა კოლექტივების, მათ შორის, ეთნიკური მიკუთვნებულობით გაერთიანებული ადამიანების ფსიქიკური წყობის ფორმირების სოციალურ საფუძვლებს ეხება. მეორე მიმართულების ნაშრომებში შეისწავლება ტემპერამენტი, ფიზიკური ტიპი, სისხლის წნევის სპეციფიკა, ოპტიკური, აკუსტიკური, გემოვნებითი და სხვა აღქმა, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ეთნიკური ერთობისათვის. ეკოლოგიურ მიმართულებას ეთნოფსიქოლოგიურ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეთნიკური ერთობების ფსიქოლოგიაზე ბუნებრივ-კლიმატური და სხვა გეოგრაფიული ფაქტორების გავლენის პრობლემები უკვე დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იქცევს.

ეთნოფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფსიქოლოგიისა და კულტურის თანაფარდობის პრობლემას. მაგა-

ლითად, *რ. ბენედიქტისათვის* ეს ორი ტერმინი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ცნებები იყო: **„ხალხის ფსიქოლოგია – ეს მისი კულტურაა“.** სხვები კი მიიჩნევენ, რომ ეს ორი კატეგორია თანაბარმნიშვნელოვანი არაა; ისინი სხვადასხვა მიმართულებისაა. ჩვენ მხოლოდ შეიძლება დავამატოთ, რომ რაღაც ნაწილში ისინი მართლაც თანხვდება, ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს უახლოვდება. ეს საშუალებას იძლევა ბევრ შემთხვევაში ეთნიკური ერთობის ფსიქოლოგია გაირკვეს მისი კულტურით, ხოლო კულტურის ფაქტები კი ფსიქოლოგიური წყობის საშუალებით. სამეცნიერო ლიტერატურაზე დაკვირვება ერთ რამეს ცხადყოფს – ეთნიკური ერთობების ფსიქოლოგიის შესწავლისას მკვლევარს უწევს მათ კულტურაში მიმდინარე სხვადასხვაგვარი პროცესების გათვალისწინება. ეთნოლოგიის დაკვირვებისა და სხვა მეთოდებს ხშირად ემატება ე. წ. ინდივიდუალური კვლევის მეთოდები: ტესტები, ანკეტირება, კითხვარები. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ ეთნოფსიქოლოგიურ კვლევებში ლინგვისტთა ნაშრომებსაც იყენებენ. როგორც *დეიკერი* და *ფრაიდა* მიუთითებენ, მნიშვნელოვანი მონაცემები შეიძლება მოძიებული იქნას ეთნიკური ერთობის ფილოსოფიური და რელიგიური წარმოდგენების ანალიზის შედეგად. დიდ ინტერესს იწვევს ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციის გავლენით ნასესხები სისტემების ცვლილებებისა და მოდიფიკაციის ხასიათი. ცნობილი მეცნიერი *რ. ბენედიქტი* იაპონელთა შეესახებ მიძღვნილ წიგნში ააანალიზებს ძველ ლიტერატურასა და საგაზეთო მასალებს, ხალხურ სიმღერებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები იაპონელების მდგომარეობის აღწერას. რაკი იაპონელები ვახსენეთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში ამ ქვეყანაში ეთნოფსიქოლოგიის არაერთი სპეციალისტი მომზადდა და შეიქმნა რამდენიმე ცენტრი „ნაციონალური ხასიათის“ შესასწავლად. იაპონელთა ხასიათის შესახებ რამდენიმე ათეული ნაშრომი არსებობს. შემაჯამებელ ნაშრომებში იაპონელთა 20-მდე ძირითადი ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებელი – ეროვნული ხასიათია მოცემული. იაპონელებთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ყველა გამოკვლევა ძირითადად ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა, ე. ი. ხალხში სხვადასხვა მეთოდით მოპოვებულ მასალებს. ერთი რამაა კიდევ ხაზგასასმელი, იაპონელთა ფსიქიური წყობა / ნირი არსებითად განსხვავდება ევროპელთაგან. ამ მხრივ, მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანაც კი საკმარისია – მათ თვითმკვლელობაზე ისეთი წარმოდგენა აქვთ, როგორც ნორმანულ მოვლენაზე და არა როგორც ცოდვაზე. იაპონელების ხასიათში ღრმადაა გამჯდარი ტრადიციებისადმი განუსაზღვრელი ერთგულება და წინაპრები-

სადმი თაყვანისცემა, რაც ევროპის ხალხებმა დიდი ხნის წინ მიივიწყეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეთნიკური ერთობის ფსიქოლოგია დროთა განმავლობაში ტრანსფორმირდება, ის უცვლელი არაა. თუმცა ხაზგასმით ისიც უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ხალხში ჩამოყალიბებული ხასიათი საკმაოდ მდგრადი და გამძლეა. მაგალითად, ქართველი ხალხის ხასიათის ორიგინალური ნაწილია სტუმართმოყვარეობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება; მან საუკუნეებს გაუძლო და დღესაც, ფაქტობრივად, ისეთივე სახითაა შენარჩუნებული, როგორიც მას ადრე შუა საუკუნეებში ჰქონდა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ავტორები შენიშნავდნენ ქართველთა ისეთ უარყოფითი ხასიათის შესახებ, როგორიცაა ინდივიდუალიზმი და წინა პლანზე საკუთარი „მე“-ს წამოწევა. აღნიშნული თვისება დღესაც დამახასიათებელია ამ ეთნოსისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც შენიშნულია, რომ ეთნოფსიქოლოგიურ გამოკვლევებს გამოყენებითი ხასიათი აქვს. აქ შეიძლება ის ფაქტები გავიხსენოთ, როდესაც ასეთი ტიპის გამოკვლევებს ომების დროს მტრები იყენებდნენ, ან კოლონიალიზმის ეპოქა, როდესაც ხალხთა ხასიათებს სწავლობდნენ ამ უკანასკნელთა უკეთ მართვის მიზნით. რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებისათვის ამ მიზნით ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევების ჩატარება მიუღებელია და ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ნაშრომები რასისტული ხასიათისაც კი იყო. ფაქტია, რომ **ყველა ეთნოსი ინდივიდუალურია არა მხოლოდ ეთნიკური კულტურით, არამედ ეთნიკური ხასიათითაც** და ასეთი გამოკვლევების ობიექტური ჩატარება უფრო ღრმად ჩაგვახედებს ეთნოსების ბუნებაში. ჩვენთვის, ქართველთათვის, ეროვნული ხასიათის კვლევის გამოყენებითი მნიშვნელობა იმაშიც უნდა მდგომარეობდეს, რომ მთელ რიგ დადებით თვისებებთან ერთად გამოვავლინოთ ქართველთა ზოგიერთი უარყოფითი მახასიათებელი და ყველაფერი ვიღონოთ თანამედროვეობისათვის მიუღებელი ამ უარყოფითი ნორმების შესაცვლელად. კიდევ ერთი: საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა; აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს არა მხოლოდ სხვადასხვაგვარი კულტურა, არამედ ხასიათიც სხვადასხვაგვარი გააჩნიათ. ამ ხასიათების ცოდნა კი საშუალებას მოგვცემს კარგად დავალაგოთ აღნიშნულ ეთნოსებთან ურთიერთობა, მოვაწესრიგოთ არსებული მოუგვარებელი ეთნიკური დაპირისპირებები. თვალს თუ გადავავლებთ ხალხთა შორის ისტორიულად არსებულ ურთიერთობებს, აღმოვაჩენთ, რომ ამ ურთიერთობებშიც კარგად ჩანს ეთნოსების ხასიათი. მრავალ მათგანს ისტორიულად მოსდგამს ერთმანეთის სიძულვილი. ქართველების შესახებ ამას ვერ ვიტყვით – არც-

ერთი მტრის მიმართ ქართველს სიძულვილის გრძნობა არ გაა-ჩნია, ყოველ შემთხვევაში, ის მას ადვილად ივიწყებს. არ გაუ-ჩნდათ ეს გრძნობა უახლეს ისტორიაში არც აფხაზების, არც ოსების და არც რუსების მიმართ, რასაც მათზე ვერ ვიტყვით.

მთელ რიგ ნაშრომებში **ეთნიკურ კულტურა და ეთნოსთა ფსიქიკური წყობა გაიგივებულია.** ეთნიკურ კულტურაში თუ მხოლოდ სულიერ კულტურას ვიგულისხმებთ, რომელიც მატე-რიალიზებულია რწმენა-წარმოდგენების, მითოლოგიის, ლიტერა-ტურის, ხელოვნებისა და სხვ. ფორმებით, მაშინ ისინი, მართ-ლაც, შეიძლება გავაიგივოთ. სინამდვილეში კი ისინი ეთნიკური ერთობის ფსიქიკურ ცხოვრებას ასახავს. მაგრამ ხალხებს ხომ სხვაგვარი კულტურაც ჰქონდათ შექმნილი?! რანაირად შეიძ-ლება ეთნოსის მატერიალურ კულტურასა და ფსიქიკურ წყობას / ნირს შორის ტოლობის ნიშნის დასმა? ისინი სრულიად სხვა-დასხვა მოვლენებია.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ ეთნოსის ფსიქოლოგი-ური თავისებურებები ერთგვარი თავდაცვის მექანიზმის როლს ასრულებს, მოქმედებს განრიდების მექანიზმი გარედან შემო-ტანილის ან თავსმოხვეულის მიმართ. ასეთი განრიდება სრუ-ლებით არ ნიშნავს განრიდებულის უარყოფას. ამ მოსაზრების ეთნოგრაფიული ფაქტით ილუსტრირება შეიძლება თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქართველების სხვა ეთნოსებისა და, პირველ რიგში, თურქებისადმი დამოკიდებულებითაც გამოვხა-ტოთ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთელმა ქართველებმა ბევრი რამ მიიღეს თურქთაგან, თავისთავადობა მაინც შეინარჩუნეს და დღესაც თავის თავს მაინც მიჯნავენ დომინანტი ეთნოსისაგან. მათთვის თურქი და თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ეთნოსები მაინც სხვები არიან. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანს გარკვეული სტერეოტიპი აქვს შექმნილი სხვა ეთნოსების მიმართ, მაგალითად, დღესაც გურჯისათვის / მაჰმადიანი ქართველისათვის თურქი „კუდია-ნია“, აბაზა / აფხაზი კი – „კაბიანი“. თურქეთის სახელმწიფოში ეს იყო გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურება, რაც თურქ-თა შორის სრული ასიმილაციისაგან თავდაცვის ერთგვარი მე-ქანიზმიც იყო. თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში ქართველ-თა თავისთავადობის შენარჩუნების ერთ-ერთი მიზეზი მათი ხა-სიათის ერთი ნიშანდობლივი თვისებაც იყო. ცნობილია, რომ საკუთარ გარემოში ქართველები ინდივიდუალისტები არიან, ხო-ლო უცხო გარემოში ახასიათებთ შეკავშირებულობა (მაგალი-თად, საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს ქართველები ყოველ-თვის ერთ მუშტად იყვნენ შეკრული. ისინი თავს არავის აჩაგვ-რინებდნენ). ხასიათის ეს თვისება დამახასიათებელი იყო და

დღესაც არის თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველებისათვის.

ეთნოფსიქოლოგია წარმოიქმნა ორი მეცნიერების – ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის – ბაზაზე და ის ორივე მეცნიერების გაგრძელებასა და ნაწილს წარმოადგენს. ეთნოფსიქოლოგიის საფუძველს ეთნოგრაფიული მასალა წარმოადგენს, ის ამ მასალას ახალი თვალთახედვით გაიაზრებს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ „ეთნიკური ხასიათი, ფსიქოლოგია, საერთოდ, მნიშვნელოვანი რეალობაა, რომელიც შესწავლას, გაგებას მოითხოვს და არა იგნორირებას. კერძოდ, იგი ერის, ნაციის (ყველანაირი ეთნიკური ერთობის – რ. თ.) ერთ-ერთ არსებით ნიშან-თვისებას წარმოადგენს და მით უფრო რთულდება (სტრუქტურის აზრით), რაც უფრო რთული შედგენილობის ეთნოსთან გვაქვს საქმე. ეროვნული ხასიათი თავის გამოვლინებას შესაბამის ტრადიციებში პოულობს, რომელთაგან უარყოფითის უკუგდება და დადებითის შენახვა ეროვნული ცხოვრების აქტუალურ ამოცანას შეადგენს. ყველა ამ საკითხის განხილვა-გადაჭრა კი შედის ეთნოფსიქოლოგიის კომპენტენციის სფეროში, ეთნოფსიქოლოგიისა, რომელიც მრავალი მეცნიერების (ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ხელოვნებათმცოდნეობა, გეოგრაფია და ა. შ.) გადაკვეთაზე მდებარეობს და რომლის პრობლემატიკის დამუშავება შეიძლება მანამდეც, სანამ იგი ჩვენში ცდისეულ, ექსპერიმენტულ მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდეს“ (გ. ყორანაშვილი. ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები, თბ., 1983, გვ.43-44). მხოლოდ ერთი კომენტარი უნდა დავურთოთ ამ ციტატას: მეცნიერს ეთნოლოგია გამორჩა და ეს მეცნიერება ფსიქოლოგიასთან ერთად ძირითადია. ეს წიგნის სათაურიდანაც კარგად ჩანს – ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება ეთნოლოგიაა. ეთნოსის ფსიქოლოგიის, ხასიათის შესახებ ყველა ღირებული ნაშრომი უშუალოდ ხალხში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეთნიკურ კულტურას, რომელსაც ეთნოლოგია სწავლობს, ხშირად ეთიკურ ფსიქოლოგიასთანაც აიგივებენ. წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე მონაკვეთს თუ თვალს კარგად გავადევნებდით, ნათელია, რომ ეთნოლოგიას, ფაქტობრივად, ყველა აქ ჩამოთვლილ მეცნიერებასთან აქვს კავშირი.

ნაწილი III
მსოფლიოს ხალხები

III.1. მსოფლიოს ხალხთა ტრადიციები (ზოგადი მიმოხილვა)

ეთნოლოგიაზე როდესაც ვსაუბრობთ, უპრიანი იქნება მსოფლიოს ხალხთა ტრადიციებს, სხვადასხვა ეთნოსების ტრადიციულ-ყოფით კულტურას გადავავლოთ თვალი. ყველა ეთნოსმა მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურა შექმნა. ზოგჯერ შეიძლება ადამიანი გაოცდეს იმ მრავალფეროვნი ეთნიკური კულტურებით, რომლებიც პლანეტის ხალხებმა შექმნეს.

ეთნიკური თავისებურებანი თავს იჩენს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სრულიად განსხვავებულ სფეროებში. ეს თავისებურებები ისტორიულად ჩამოყალიბდა და ძირითადად ბუნებრივი-გეოგრაფიული გარემოთი იყო განპირობებული.

დავიწყოთ უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრები *ესკიმოსებით.* განსაკუთრებით სახასიათოა *ესკიმოსების* თოვლით აგებული საცხოვრებელი – *იგლუ.* მეცნიერები შენიშნავენ, რომ *ესკიმოსებმა* სხვებისგან დამოუკიდებლად მიაგნეს კამარის ტიპის საცხოვრებლის აგების ხერხს. კამარა კი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების სიამაყედ ითვლება. *იგლუს* აგებისას თოვლის ფილებს ისე აწყობენ ერთმანეთზე, რომ ყოველი შემდგომი რიგი წინ არის წამოწეული, რის შედაგადაც, საბოლოო ჯამში ნახევარწრის ფორმის გუმბათი იკვეთება. ამის შემდგომ ტარდებოდა კედლების გამაგრების თითქოს უმარტივესი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესი. *იგლუში* შეაქვთ *ქვის ლამპარი,* რომელშიც იწვის სელაპის ქონი. *იგლუს* თოვლის კედლის ზედაპირის ოდნავ გალღობის შემდეგ ქოხში ცივი ჰაერის ნაკადს უშვებდნენ და მის ზედაპირს ყინავდნენ. ამ შემთხვევაში გაყინული კედელი ყინულის მტკიცე აპკით იფარებოდა და მონოლითურად აერთიანებდა ცალკეულ თოვლის ფილებს. *იგლუში* ქვის ლამპარი ასრულებდა როგორც საცხოვრებლის გათბობის, ისე მისი განათების ფუნქციებს. რამდენიმე დღის განმავლობაში *იგლუს* კედლები ბეტონივით მყარდება. თოვლი კი გარე ზედაპირს უფრო მეტად ამყარებდა. *იგლუს* შესასვლელი სრულიად განსხვავებული იყო სხვა ხალხების საცხოვრებლების შესასვლელებისგან. ქოხში შედიოდნენ ქვემოდან, იატაკში გაკეთებული ხვრელიდან, რომელიც შეერთებულია თოვლში გათხრილ გრძელ გვირაბთან.

სხვა კულტურის მატარებელი ადამიანების თვალთახედვით, *იგლუ* განსაკუთრებით კომფორტულ საცხოვრისად არ შეიძლება იქნას მიჩნეული. ორი მეტრის სიმაღლის, სამი-ოთხი მეტრის დიამეტრის ქოხში, როგორც წესი, ორი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ეს სივიწროვე შემთხვევითი არ იყო. მას თავისი დატვირთვა ჰქონდა. ესკიმოსებს განსაკუთრებული თავყრილობებისთვის შეუძლოთ 10-12 მეტრის დიამეტრის სახლის აშენებაც, რადგან საშენი მასალის დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიდნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საცხოვრებლის მთავარი დანიშნულება ქვის ლამპრისა და ადამიანის სხეულების სითბოს შენარჩუნებაა და, ამდენად, რაც უფრო პატარაა საცხოვრებელი, მით უფრო ადვილია ამ ამოცანის შესრულება.

იგლუში ზაფხულშიც ცხოვრობდნენ. თოვლის სახლი არც სითბოს ატარებდა, თუმცა *გრენლანდიაში* ზაფხული მეტად ხანმოკლეა და დიდი სიცხით არ გამოირჩევა. იგლუში საზაფხულო შესასვლელი ცალკე არსებობდა, რომელიც კედლის ძირში, იატაკთან ახლოს იყო გაჭრილი. თოვლის კედლები თავისუფლად ატარებდნენ მზის სხივებს. ზოგ შემთხვევებში *იგლუს* კედელში აკეთებდნენ ნახვრეტს და ავსებდნენ მას ყინულის ფირფიტებით, მაგრამ ამას უკვე ევროპულ საცხოვრებლებთან მიმსგავსების მცდელობად მიიჩნევენ. ძნელია თქმა, როგორი სახე ჰქონდა *იგლუს* უძველეს ეპოქაში. თოვლის სახლებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდათ – ისინი ვერ უძლებენ საუკუნეებს, მაგრამ არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ციმბირის უძველესი მცხოვრებნი სახლების ასაგებად იყენებდნენ მამონტის ეშვებსა და ვეშაპის ნეკნებს მათზე გადაჭიმული ტყავით.

ბუნებრივ პირობებთან და სამეურნეო საჭიროებებთან შეგუების განსაცვიფრებელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შედარებით ახლო პერიოდში ჩრდილოელი რუსების მიერ აგებული ორსართულიანი *ძელური ტიპის სახლები.* ამის სადემონსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ტრადიციული საცხოვრებლების ისეთი სახეები, როგორებიცაა *ხიმინჯიანი ნაგებობები* (მაგალითად, მელანეზიანელთა ნაწილი და მიკრონზიელები), *მცურავი სახლები* (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ხალხი), *გადასატანი სახლები – იურტები, ჩუმები, ტაპები* (შუა აზიის მომთაბარე ტომები, პრერიების ინდიელები) და *კოშკის ტიპის სახლები* (კავკასიის მთიელები, არაბთა ნაწილი და ავღანეთის ზოგიერთი ხალხი).

ეთნიკური სპეციფიკა ყველაზე ნათლად მატერიალური კულტურის ისეთ კომპონენტში გამოიხატება, როგორიცაა საკვები. ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი სამზარეულო აქვს და გამოცდილი ეთნოლოგები ყოველთვის რეკომენდაციებს იძლევი-

ან ნებისმიერი უცნობი, შეუსწავლელი ხალხის ყოფის შესწავლა დაიწყოს მისთვის დამახასიათებელი, ტიპური, ყოველდღიური და სადღესასწაულო ტრაპეზის შესწავლით. გემოვნებაზე როგორც იტყვიან, არ დავობენ. გემოვნება ისტორიულად, მნიშვნელოვანწილად კი ბუნებრივი გარემოს ზეგავლენით ყალიბდება. მაგალითად, მიწათმოქმედი ეთნოსებისთვის რაციონის საფუძველს მიწათმოქმედების პროდუქტები წარმოადგენს, მესაქონლეებისა და მონადირეებისთვის – ხორცი, მეთევზეობის მიმდევართათვის, იხტიოფაგებისთვის (მაგალითად, *ნანაელები, ულგები* და *ნივხები*) კი – თევზი. ამასთან ერთად მთელი რიგი ხალხებისათვის სრულიად უცნობია ისეთი საკვები, რომლებიც სხვებში დიდი მოწონებით სარგებლობს, კერძოდ, *ჩინელები* და *იაპონელთა* მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე საკვებად არ იყენებს რძესა და რძის პროდუქტებს. *მონღოლები* და *ტიბეტელები*, აფრიკელი *ზულუსები* თევზს ახლოს არ ეკარებიან. სოკოთი მდიდარი ციმბირის ძირძველი მოსახლეობა მხოლოდ შხამასოკოს იყენებს, იმასაც მხოლოდ ნარკოტიკის სახით. ამერიკიდან შემოტანილი კარტოფილი თითქმის მთელ მსოფლიოში პოპულარულ საჭმელად იქცა, მაგრამ ბრინჯის მჭამელი *ჩინელების* ყურადღება მან მაინცდამიანც ვერ მიიქცია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შესანიშნავი პროდუქტი პომიდორი ამერიკიდანაა შემოტანილი, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სულ რამდენიმე თაობის წინ ამერიკელ ავტოქტოქტონთა უმრავლესობა მას არ ჭამდა, რადგან პომიდორს მიიჩნევდნენ შხამიან პროდუქტად.

ინგლისელები საკვებად ფართოდ გამოიყენებდნენ ჭარხლის ფოთლებს, ძირნაყოფს კი ღორებსა და ხარებს აჭმევდნენ. ეს ტრადიცია ინგლისში დღესაც გრძელდება. ევროპელებში სიმინდი პოპულარული ვერ გახდა და მას მხოლოდ საქონელს აჭმევენ. აფრიკის ხალხები კი მის დიდ ქომაგებად იქცნენ და თავიანთ რიტუალებში სიმინდისაგან გაკეთებული კერძიც კი ჩართეს. სიმინდი ევროპის ქვეყნებში პოპულარული იქ გახდა, სადაც ძირითადი კულტურა ფეტვი და ფეტვისნაირები იყო, რადგან ამ უკანასკნელზე სიმინდი უფრო მეტი კვებითი ღირებულებით გამოირჩეოდა და უფრო ადვილად მოსავლელი იყო, ვიდრე ფეტვი და ფეტვისნაირები. ასევე მოხდა საქართველოში – აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი კულტურა ხორბალი გახლდათ და, ბუნებრივია, სიმინდმა ის ვერ გამოდევნა და მისი ადგილი ვერ დაიჭირა, დასავლეთ საქართველოში, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, კი სიმინდი მთლიანად ჩაენაცვლა ფეტვს (ღომს). გვიანობამდე აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ მემინდვრეობის (მეხორბლეობის) კლასიკურ მხარეში სიმინდი მხოლოდ ღარიბების საჭმელად მიიჩნეოდა (როგორც ჩანს, ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს ძველ მკვიდრებს

ფეტვისა და ფეტვისნაირების მიმართ). *ინდოელთა* უდიდესი ნაწილი ძროხის ხორცს არ ჭამს. *იუდაიზმისა* და *ისლამის* მიმდევრები არ ჭამენ ღორის ხორცს. ქრისტიანთაგან ღორის ხორცისადმი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ *ეთიოპიელებს* გააჩნიათ. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი მთიელების ნაწილიც (*ხევსურები, ფშავლები, თუშები*) არ მიირთმევდა ღორის ხორცს. სულ ცოტა ხნის წინ ზოგიერთ ხალხში (მაგალითად, *პოლინეზიელებში*) დელიკატესად იყო მიჩნეული ძაღლის ხორცი.

მეცნიერები ცდილობენ რამენაირად ახსნან საკვების მიმართ გამოხატული სიმპატიებისა და ანტიპატიების მიზეზები. მაგალითად, დღესაც აღმოსავლეთ ჩინეთსა და იაპონიაში ძირითადი საკვები თევზია, მაგრამ ჩვენი კულტურის ადამიანში შეიძლება გაოცება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ იაპონიაში კერძების უმრავლესობა უმი თევზისგან მზადდება, ჩინელები კი კარგად დამარილებულ თევზსაც კი არ მიირთმევენ უმად. ჩინური სამზარეულოს ტრადიციით, ყველა პროდუქტი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრამდე აუცილებლად თერმულად უნდა დამუშავდეს და ცეცხლში უნდა გატარდეს.

ეთნიკური თავისებურებანი განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული კულტურის ისეთ კომპონენტში, როგორიც არის ენა, თუმცა არსებობს ენები, რომლებზეც მეტყველებს არაერთი ეთნოსი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვეული განსხვავებაა როგორც სიტყვიერ ფონდში, ისე ფონეტიკასა და გრამატიკულ წყობაშიც კი (მაგალითად, ასეთი სახის განსხვავებები შენიშნულია ინგლისელთა, ამერიკელთა და ავსტრალიელთა ინგლისურ ენაში; ესპანელთა, ჩილელთა, მექსიკელთა, კუბელთა და ა.შ. ესპანურ ენაში; სირიელთა, ეგვიპტელთა და ალჟირელთა – არაბულ ენაში). მაგრამ, უმრავლეს შემთხვევებში, ხალხი ლაპარაკობს „თავის“, მხოლოდ მისთვის ჩვეულ, დამახასიათებელ ენაზე.

ამასთან ერთად, ენები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მათ შორის არის ისეთი ენები, რომლებშიც ორმოცზე მეტ ბრუნვას ითვლიან, როგორც ზოგ კავკასიურ ენაში. არსებობს ენები, რომლებშიც ყველა სიტყვა ერთმარცვლიანია და ბოლოს, ზოგ ენაში ყველა წინადადება მხოლოდ ერთი, მაგრამ მეტად რთული და გრძელი სიტყვით გამოითქმება. ზოგიერთ ენაში 20 ბგერაზე მეტი არ არის, ზოგიერთში კი ბგერების რაოდენობა 40-ის ფარგლებშია. უფრო მეტიც, კავკასიურ ენებში ეს რაოდენობა დასახელებულზე ბევრად მეტია. აფხაზურ-ადიღეურ და ზოგიერთ დაღესტნურ ენაში ბგერათა რაოდენობა 80-ის (მხოლოდ უბიხურ ენაში თანხმოვნების რაოდენობა 80-85 იყო).

ჰავაიურ ენაში მხოლოდ შვიდი თანხმოვანია, ხოლო *სამაგბის* ენაში – ორმოცდაცამეტი. *იაპონურ* ენაში მახვილიანი მარცვალი უმახვილოსგან სიძლიერის ნაცვლად, მაღალი ტონით გან-

სხვავდება. თითოეული მრავალმარცვლიანი იაპონური სიტყვა საკუთარი მელოდიით ხასიათდება. ბევრ ენაში თითოეულ სიტყვას საკუთარი ტონი და სიმაღლე აქვს.

პლანეტაზე სხვადასხვა ხალხების ხელოვნებებს შორის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებობს მათ შორის ურთიერთგაგების რეალური საფრთხე. ევროპელმა იმისთვის, რომ გაიგოს, თუ რა ხდება იაპონური თეატრის – „ნოს“ სცენაზე, უნდა გაიაროს სპეციალური საფუძვლიანი მოსამზადებელი კურსი. ამასთანავე არა მხოლოდ იაპონური ენის, არამედ იაპონიის ყოველდღიური ყოფისა და წესების ცოდნაც კი ვერ დაეხმარება მას ბოლომდე ჩაწვდეს სპექტაკლის არსს. აუცილებელია იმის ზუსტი ცოდნა, თუ რომელი პირობითი ჟესტითაა გამოხატული გმირის ესა თუ ის განწყობა და აგრეთვე იმის ცოდნა, თუ რისი გამომხატველია ნიღბებისა და კოსტიუმების გარკვეული დეტალები. თუმცა იაპონელი, რომელსაც მანამდე არც სცენაზე და არც ეკრანიდან არასოდეს უნახავს ევროპულ-ამერიკული ბალეტი და რომელიც პირველად ესწრება სახელგანთქმული რუსული ბალეტის სპექტაკლს, საკმაოდ სერიოზული ამოცანის წინაშე დგება. პუანტებიანი ბალერინის მოძრაობები, ან მისი ტრიალი აშკარად პირობითია და ისევე, როგორც სხვადასხვა ენებში ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა სიტყვებით გამოიხატება, ასევე ბალეტის სხვადასხვა სისტემებში ხელისა და ფეხის ერთი და იგივე მოძრაობა სხვადასხვა გრძნობისა და აზრის გამომხატველია. ევროპის ხალხთა ცეკვებში ქალი და მამაკაცი, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ეხება. ინდიელი კაცი და ქალი ცეკვისას ერთმანეთს არ ეხებიან, რადგან მათში სხეულებრივი შეხება სექსუალურ კონტაქტად აღიქმება. არ ეხებოდნენ ერთმანეთს მოცეკვავე ქალი და მამაკაცი ქართულ ცეკვებშიც. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების უმეტესობაში მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ (მაგალითად, *კოსტა ხეთაგუროვის* ცნობით ოსური ცეკვა „სიმდი“ მხოლოდ მამაკაცების ცეკვა იყო).

აღნიშნულთან მიმართებით მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტემპერამენტს, რომლითაც სრულდება ცეკვა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციად ხშირად გამოიყენებენ *ნ. გოგოლის* მიერ აღწერილ სხვადასხვა ხალხების ცეკვებს. „ესპანელი ისე არ ცეკვავს, როგორც შვეიცარიელი, შოტლანდიელი... გერმანელი. რუსი ისე არ ცეკვავს, როგორც ფრანგი ან აზიელი. ერთი ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაშიც კი სხვადასხვანაირად ცეკვავენ. ჩრდილოელი რუსი ისე არ ცეკვავს, როგორც მალორუსი, სამხრეთელი სლავი და ფინელი. ერთს მეტყველი ცეკვა აქვს,– მეორეს – ნაკლებად მგრძნობიარე, ერთს მშფოთვარე და თავაშვებული, მეორეს – მშვიდი, ერთს დაძაბული, მძიმე, მეორეს – მსუბუქი და ჰაეროვანი.“ როგორც ჩანს, რუს მწერალს ნანახი არ ჰქო-

ნდა ქართული ცეკვები, თორემ მის შეფასებაში ის უდავოდ მოხვდებოდა. ქართული ცეკვების შინაარსს რომ თავი დავანებოთ, მისი ტემპერამენტი უდავოდ აღსანიშნავია. ისინი მაღალი ხელოვნების ნიმუშებია.

უფრო მეტი განსხვავებაა მუსიკაში. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეაში შვიდი ნოტის ნაცვლად ხუთ ნოტია. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში პოპულარულია საგუნდო სიმღერა, იტალიისა და ავსტრიის საზღვარზე მცხოვრები ტიროლელებისთვის კი დამახასიათებელია ხორხისმიერი მღერა. ტუვაში ძირითადად ორ ხმაში მღერიან. მრავალხმიან გუნდურ სიმღერებს მღეროდნენ ქართველები. ანალოგიური სიმღერები არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ კავკასიის ხალხებშიც არ გვხვდება. ქართველთა სამ-ოთხხმიანი სიმღერების ფონზე კავკასიის ხალხებს ძირითადად ერთხმიანი სიმღერები ჰქონდათ, მათ შორის, დიდი კულტურის შემქმნელ სომხებსაც. ამის მიზეზი მეცნიერებს ჯერჯერობით ვერ აუხსნიათ. ქართული სიმღერებისა და ცეკვების მაღალი ხელოვნება ისევ და ისევ ქართული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნებით ხომ არ უნდა აიხსნას? ან ამის მიზეზი ქართული ტემპერამენტი ხომ არაა? თვით ეს ქართული ტემპერამენტიც და ნიჭიერებაც საქართველოს ლანდშაფტისა და კლიმატის შედეგი ხომ არაა? იქნებ იმ საკვებისა, რომელთა შემცველი ნივთიერებებიც ასტიმულირებდა ხალხური ხელოვნების მაღალ დონეს? ერთ-ერთი ასეთი მასტიმულირებელი ხილით კვება და მევენახეობის პროდუქტი – ღვინო ხომ არაა? სხვათა შორის, ასეთ ნივთიერებად ზოგიერთი მეცნიერი *პროტეინს* მიიჩნევს. ცნობილი ანთროპოლოგი *კ. კლაკხონი* ვარაუდობდა, რომ *პროტეინის* მიღება აშკარად გავლენას ახდენს მოსახლეობის კულტურულ განვითარებაზე.

გასულ წლებში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ფურორი მოახდინა პერუელმა მომღერალმა *იმმა სუმაკმა,* რომელიც ფლობდა გასაოცარ უნარს სიმღერის დროს შეეცვალა ხმა დისკანტიდან ბასამდე. ზოგიერთი მეცნიერი ამას ძველი ამერიკული სასიმღერო კულტურის ანარეკლად მიიჩნევს. დიდი განსხვავებაა მსოფლიოს სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ რეგიონებში არსებულ მუსიკალური ინსტრუმენტების სფეროშიც. ევროპისა და აზიის ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დამახასიათებელია სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტები. ჩრდილოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და აფრიკის ხალხების დიდი ნაწილისათვის უფრო დასარტყმელი ინსტრუმენტებია დამახასიათებელი: *დოლი, დაფდაფი, გონგი, ქსილოფონი. გიტარა* კი ლათინური ამერიკიდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

მნიშვნელოვნად განსხვავებულია მსოფლიოს ხალხების წარმოდგენები ადამიანის სილამაზეზე. ბევრ პირველყოფილ ტომში

ჯიბის დანიშნულებით იყენებდნენ ნაჩვრეტებს ყურის ნიჟარაში, ტუჩებსა და ზოგჯერ ცხვირში. და საერთოდ, დედამიწის მრავალ კუთხეში ადამიანები საკმაოდ კრიტიკულად იყვნენ და არიან განწყობილები საკუთარი სხეულის მიმართ. თანამედროვე რუსეთის სამხრეთი სტეპებში ოდესღაც მცხოვრებ *სარმატებს* განსაკუთრებით არ მოსწონდათ საკუთარი თავის ფორმა. არქეოლოგიური გათხრებისას მეცნიერები პოულობდნენ საოცარ თავის ქალებს, რომლებსაც არ გააჩნდათ ჩვეულებრივი, ადამიანისთვის დამახასიათებელი თითქმის ვერტიკალური შუბლი. მათ თავის ქალებზე პროფილის ხაზი თითქმის ჰორიზონტალურადაა „დაწვენილი“ და მას არაბუნებრივი ფორმა ჰქონდა მიღებული. *სარმატები* ამ თვალსაზრისით ერთადერთნი არ იყვნენ. თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე მცხოვრებ *ინკებს,* რომელთა მძლავრი ცივილიზაცია მოსპეს *ესპანელებმა*, თავი თითქოს ორ ნაწილად ჰქონდათ გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთთან შესაკრავით იყო დაკავშირებული. მექსიკელი ინდიელების ზოგიერთი ტომი კი თავის ქალას დღესაც ხელოვნურად იგრძელებს. ჩვეულებრივ, ჩნდება კითხვა: რამდენად იყო შესაძლებელი ამის მიღწევა? პასუხი ასეთია: ბავშვის თავის ქალის ძვლები იმდენად რბილია, რომ მეტად ადვილად იღებს ნებისმიერ ფორმას. *ინკები* ბავშვებს თავს სპეციალური სახვევით უკრავდნენ, მექსიკელი ინდიელები კი თავის ქალის ფორმას ხის ორი დაფის გამოყენებით ცვლიდნენ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი წეს-ჩვეულებების არსებობის მიზეზი საკუთარი ტომისთვის მეზობელი ტომებისგან განსხვავებული გარეგნობის მიღება იყო.

აფრიკისა და სამხრეთ აზიის ზოგიერთი ეთნოსი კბილებს შავ ფერად ან ზოგადად სხვა ფერით იღებავდა. კბილების გამაფერადებელი ტომები თავის საქციელს მარტივად ხსნიდნენ – არ სურდათ დამსგავსებოდნენ ცხოველებს, რომლებსაც თეთრი კბილები ჰქონდათ. ყველა ხალხს საკუთარი წარმოდგენა აქვს სილამაზეზე. ჩვენი და ევროპული კულტურის მატარებელი სხვა ხალხებისათვის ცხვირის გახვრეტა უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა და ეს ქმედებაც გვაკვირვებას იწვევდა, მაგრამ არაერთ ხალხში ცხვირის გახვრეტის წეს-ჩვეულება დღესაც არსებობს; მაგრამ სრულიად ჩვეულებრივად აღვიქვამთ საყურეებს ქალის გახვრეტილ ყურებზე. რაც შეეხება ცხვირს, მხოლოდ მისი გახვრეტა არ ხდებოდა, უფრო მეტიც, *ბუშმენთა, მალაიელთა, მაორიელთა* ტომებში მშობლები ცდილობდნენ, მათ ბავშვებს რაც შეიძლება მიჭყლეტილი ცხვირი ჰქონოდათ და ამას ხელოვნურად, ცხვირზე მუდმივი დაწოლით აღწევდნენ. შეიძლება ვინმემ დაასკვნას, რომ დასახელებული ეთნოსები ასეთ ქმედებებს იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, მაგრამ რით უნდა ავხსნათ XVI საუკუნის საფრან-

გეთში მეტად პოპულარული ცხვირის დაგრძელება-გაჭიმვის ჩვეულება? ამ დროს აქ სილამაზის იდეალად არწივისებური, კეხიანი, გრძელი ცხვირი იყო მიჩნეული და ბავშვების დედები და ძიძები თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდნენ ბავშვის ცხვირისთვის ასეთი ფორმის მიცემას.

საყურეების თემას კვლავ უნდა დავუბრუნდეთ. თანამედროვე საქართველოში მას მხოლოდ ქალები იკეთებენ. ქართველი ვერც კი დაუშვებდა, რომ მამაკაცს საყურე ეტარებინა, რადგან მისი წარმოდგენით, ის ქალთა სქესის დამამშვენებელი იყო. მაგრამ როგორც ირკვევა, საყურე მხოლოდ სხვადასხვა ხალხების მამაკაცთა აღკაზმულობას არ წარმოადგენდა – შუა საუკუნეებში მას ქართველი მამაკაცებიც ატარებდნენ. ამის დამადასტურებელი კი ის ფრესკებია, რომლებიც არა ერთი და ორი გაგვაჩნია.

ბევრგან მეტად ულამაზოდ ითვლებოდა მოკლე კისერი. საქართველოში ჩვილის აკვანში ჩაწვენისას ცდილობდნენ, რომ მხრები თავზე ოდნავ მაღლა ყოფილიყო აწეული. ქართველთა რწმენით, ამით კისერი გრძელდებოდა. აღმოსავლეთ აფრიკის ზოგიერთ ტომში ქალების კისრის სიგრძე ფანტასტიკურ ზომებს, რამდენიმე ათეულ სანტიმეტრს აღწევდა და ამას, ჩვეულებრივ, ხელოვნური ჩარევით ახერხებდნენ, კერძოდ, სპეციალური კისრის რგოლების (ყოველ წელს ერთი რგოლით მეტი) გამოყენებით. ადამიანის გარეგნობის შესაცვლელად ასეთი ხელოვნური ჩარევის წეს-ჩვეულებები მათი ცხოვრების წესით იყო განპირობებული.

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული იდეალურად მიიჩნეოდა სწორი ფეხები. ასე იყო საქართველოშიც – ფეხების სისწორესა და სხეულის სილამაზეს ქალს აბანოში უმოწმებდნენ (მაშინდელი გრძელი კაბა ფეხის სილამაზეს ფარავდა), მაგრამ ასეთი სილამაზე სხვაგან სიმახინჯედ მიაჩნდათ, სწორ ფეხებს ყველგან იდეალურად არ აღიქვამდნენ. ნომადებში უფრო მისაღები მოღუნული ფეხები იყო. ისინი თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს ცხენზე ატარებდნენ, ცხენზე ჯდომის დროს კი ფეხები მჭიდროდ ეკვროდა ცხენის სხეულს. ასეთ ვითარებაში მომთაბარე ხალხებისათვის მოღუნული ფეხები იდეალურად იქცა. *ყალმუხებს* ტრადიციულ აკვანში ჩადგმული ჰქონდათ სპეციალური, ძაბრის ფორმის დეტალი, რომელიც დროთა განმავლობაში ბავშვის ფეხების მუხლებთან გაღუნვას იწვევდა. *ბურიატებიც* დიდი ხნის მანძილზე ჩვილს აკვანში მუხლებს შორის ტყავის ან ქსოვილის დახვეულ ნაჭერს უდებდნენ. ძველმა ბერძნებმა კი, პირიქით, ისეთი სპეციალური მოწყობილობა გამოიგონეს, რომელიც, მათი აზრით, ფეხებს სისწორეს უნარჩუნებდა. ახალი ზელანდიის აბორიგენები – *მაორები* ბავშვებს მუხლებში ცემდნენ. მათი აზრით, ეს სწორი ფეხების შესანარჩუნებლად კეთდებოდა. ახლა

ისევ საპირისპირო იდეალი შეიძლება გავიხსენოთ: ჩინური ტრადიციით გოგონებს დოლბანდით უკრავდნენ ტერფებს, რათა მათი სიგრძე 8-10 სანტიმეტრზე მეტად არ გაზრდილიყო. ოკეანიის ზოგიერთ ტომში კი ბავშვებსა და სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ ახალგაზრდებს კბილების ნაწილს აძრობდნენ და ა.შ.

ხშირად სხეულის ფორმის შეცვლა უნებურად ხდებოდა. ბევრ ქვეყანაში იყენებდნენ მყარ აკვნებს, რაც იწვევდა ჩვილის თავის ქალის დეფორმაციას. *მაიას* ხალხის შესახებ ერთ-ერთ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში შემდეგს ვკითხულობთ: „ახალგაზრდა დედა, რომელსაც სურდა, რომ მისი ქალიშვილი ლამაზი გაზრდილიყო, სხვა, უფრო გამოცდილი ქალების დახმარებით რამდენიმე დღის მანძილზე ჩვილს შუბლსა და კეფაზე ორი ხის დაფას აკრავდა სახვევით, რის შედეგადაც ბავშვის შუბლი ბრტყელდებოდა და კეფისკენ იხრებოდა. ამავე მიზნით გოგონას თმაზე თვალების დონეზე აბამდნენ კაუჩუკის პატარა ბურთულას. გოგონა მუდმივად აყოლებდა თვალს ბურთულის მოძრაობას, რაც მისი სიელმით მთავრდებოდა, ეს კი მაიას ტომში ქალის სილამაზის ნიშნად იყო მიჩნეული“.

ევროპელები, აფრიკელები და დასავლეთ და სამხრეთ აზიაში მცხოვრებნი ხოტბას ასხამდნენ თავიანთი მზეთუნახავების დიდ თვალებს, ხოლო აღმოსავლეთ აზიაში ვიწრო თვალებს ეთაყვანებიან. რუსი იმპერატრიცას, *ანა იოანეს ასულთან* მირებაზე მისული ჩინელი ელჩები აღფრთოვანდნენ მომავალი იმპერატრიცას, მეფის ასულის *ელისაბედის* სილამაზით, მაგრამ იქვე განაცხადეს, რომ მომავალი იმპერატრიცას სილამაზე ბევრად აღმატებული იქნებოდა, მას რომ უფრო პატარა და ვიწრო თვალები ჰქონოდა.

მნიშვნელოვნად განსხვავდება მსოფლიოს ხალხების საოჯახო ყოფა და საქორწინო წეს-ჩვეულებები. მონოგამიურ ქორწინებასთან ერთად, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილშია გავრცელებული, მთელ რიგ ხალხებში დღემდეა შენარჩუნებული როგორც *პოლიგამია* (მრავალცოლიანობა), ისე *პოლიანდრია* (მრავალქმრიანობა). ზოგიერთი ხალხის ტრადიციით, ქორწინება სავალდებულო იყო. მაგალითად, *ინკების* სახელმწიფოში სოფლის თითოეულ მცხოვრებს შეეძლო გარკვეული ასაკის მიღწევამდე თვითონ აერჩია საცოლე ან საქმრო, მაგრამ თუ ამ ასაკის მიღწევისას იგი ჯერ კიდევ დაუქორწინებელი რჩებოდა, მას აიძულებდნენ სხვის მიერ არჩეულ ცხოვრების მეგზურთან ექორწინა.

ინდოეთში დღესაც პრაქტიკულად ვერავინ ნახავს 20 წელს გადაცილებულ გაუთხოვარ ქალიშვილს. გაუთხოვარი ქალიშვილი მშობლების შემარცხვენლად იყო მიჩნეული ამქვეყნიურ ცხოვრებაში, იმ ქვეყნად კი მათ ღვთის სასჯელი ელოდათ. ამიტომ

ასეთ შემთხვევებში საქმეში უფროსები ერეოდნენ და, როგორც წესი, მომავალი საცოლის მამა ატარებდა მომავალი სასიძოს მამასთან მოლაპარაკებას.

ადამიანებს ორი ინსტინქტი აქვთ – კვება და სექსუალური ლტოლვა. ყველა კულტურას სექსუალური ინსტინქტის მიმართ თავისი დამოკიდებულება გააჩნია. ზოგიერთები ცდილობენ სექსუალური ლტოლვა ქორწინებამდე დათრგუნონ, მაშინ როდესაც *პოლინეზიელი* ახალგაზრდა, რომელსაც შემთხვევითი კავშირი არ ჰქონდა, სრულიად არანორმალურად მიიჩნეოდა. ზოგიერთ კულტურა მხოლოდ სამუდამო, სიკვდილამდე *მონოგამიას* ქადაგებს, სხვები, როგორც მაგალითად, თანამედროვე ამერიკელები პერიოდულ *მონოგამიას* უშვებენ; მესამეთა შორის კი შეიძლება რამდენიმე ქალი ერთი მამაკაცის საკუთრება იყოს, ან ერთი ქალი რამდენიმე მამაკაცისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰომოსექსუალური მოდელი საყოველთაოდ მიღებული იყო ბერძნულ-რომაულ ტრადიციაში და ისლამური სამყაროს ნაწილში, აგრეთვე მთელ რიგ პრიმიტიულ ტომებში. *ტიბეტის* მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო სრული *ცელიბატი* (მამაკაცების დაუქორწინებლობა).

ესპანეთში, *კაბრერა ბახას* მხარეში (*ლეონი*) ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში შეიმჩნეოდა წეს-ჩვეულება, რომელიც „ცეიბას“ სახელით იყო ცნობილი. მას ბევრი ეთნოლოგი განიხილავს როგორც პრომისკუიტეტის (ადამიანთა მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობა პირველყოფილ საზოგადოებაში, ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობამდე) სქესობრივი ურთიერთობის გადმონაშთს პირველყოფილი დროიდან. ამ რაიონის ახალგაზრდებს (ქალიშვილები და ვაჟები) ყოველ წელს, მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, ერთად სძინავთ თივის ბულულებში (სათივეში). მხოლოდ ამის შემდეგ, გემოვნების მიხედვით, მამაკაცები საცოლედ ირჩევენ გოგონებს. ლა ბანიაში (*ლეონი*) თავისუფალი, ქორწინებამდელი თანაცხოვრება ნებადართული იყო ყოველი წლის აგვისტოში. XIX საუკუნის დასასრულამდე *ლეონის* ორ რაიონში ცოლი და ქმარი ერთად, ერთი სახურავის ქვეშ იწვნენ მხოლოდ ქორწილის დამეს. შემდეგ ისინი კვლავ მშობლების სახლში მიდიოდნენ, რომლებთან ერთად აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას, ერთმანეთს კი ეწვეოდნენ მხოლოდ ცოლქმრული მოვალეობის შესასრულებლად. თავიანთ ოჯახს ისინი ქმნიდნენ მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ, როდესაც უკვე ჰყავდათ სამი-ოთხი ბავშვი, რომელიც დედის ოჯახში იზრდებოდა.

დღეს ევროპულ-ამერიკული ცივილიზაციის ქვეყნებში ქორწინება ეს, უპირველეს ყოვლისა, ორ ადამიანს შორის შეთანხმებაა. შუა საუკუნეების ევროპასა და მსოფლიოს მრავალ ხალხში საქორწინო შეთანხმება ქალისა და ვაჟის მშობლების გადა-

საწყვეტი იყო, ზოგჯერ კი ამ საკითხს სოციუმები – ოჯახები და გვარები – წყვეტდნენ. საქართველოში ორ მხარეს შორის შეთანხმებას საბოლოოდ მართლმადიდებელი ეკლესია ჯვრისწერით აფორმებმდა. ქართველ ხალხში მკაცრად იყო აკრძალული ქორწინებამდელი თანაცხოვრება. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ქართველ ხალხში გვქონდა ორიოდე ე. წ. კუნძული, სადაც ქორწინებამდე ევროპული „სექსუალური თამაშების“ / ეროტიკული ურთიერთობების ერთგვარი შეზღუდული ნაირსახეობა არსებობდა. ესაა ხევსურული *სწორფრობა* და ფშაური *წაწლობა.*

ევროპაში გლეხკაცი ვერ უძღვებოდა მეურნეობას ცოლის გარეშე (ასევე იყო საქართველოშიც). აქ ხშირად ახალგაზრდები მაინცდამაინც დაქორწინებას არ ჩქარობდნენ, მაგრამ მაინც იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ტრადიციასა და ეკონომიკურ აუცილებლობას.

მეტად განსხვავებულია საქორწინო ცერემონიებიც. მაგალითად, *პუნანების* ტომში (*კალიმანტანის* კუნძულზე) დასაქორწინებლად საკმარისი იყო სასიძოსა და საპატარძლს თავიანთი სურვილი გვარის უხუცესებისათვის გამოეცხადებინათ. ინდოეთში პატარძლის საქორწილო კოსტიუმი 15 კილოგრამს აღწევდა. ქორწილის წინა დღეს „მეხდის“ წესი სრულდებოდა: მას ხელებსა და ფეხებზე რთულ ორნამენტებს ახატავდნენ. ფეხებიდან თავამდე პატარძალი შავ საბურველში იყო გახვეული. სახეს კი მხოლოდ ქორწინების წესების შესრლების შემდეგ უჩენდნენ. ქორწილი კი რვა დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, პირველ ღამეს ქმარს უფლება ჰქონდა ცოლისათვის ფეხზე ეკოცნა, ხოლო ცოლს ქმრისათვის – ხელზე. მაკედონიაში ქორწილი ოთხი დღე გრძელდებოდა და ახალდაქორწინებულებს მხოლოდ მეხუთე დღეს შეეძლოთ ერთად დაწოლა სარდაფში, სადაც ლოგინი პირდაპირ მიწაზე ჰქონდათ დაგებული. ზოგან, მაგალითად, ავღანეთში საქორწინო ცერემონიალი ორი დღე გრძელდება, ინდოეთის ზოგიერთ ხალხში კი – რვა დღე. საქართველოში, ჩვეულებრივ, ქორწილი სამი დღე გრძელდებოდა. ევროპელი ხალხების ქორწილში მხოლოდ ნათესავები და ახლო მეგობრები ესწრებიან, სხვაგან, მაგალითად, კავკასიაში, ქორწილი შედარებით დიდი იცოდნენ. ამასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კიდევ ახლო წარსულში ხშირად იმართებოდა ქორწილები ნეფე-პატარძლის გარეშე, რადგან ადათი უკრძალავდა ახლადდაქორწინებულებს საკუთარ ქორწილზე დასწრებას. მაგალითად, ჩაჩნეთში ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ ხანებში ქმარი გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ – მხოლოდ ღამით ხვდებოდა. საქართველოში კი ნეფე-პატარძალი ქორწილის მთავარი პერსონაჟები იყვნენ. აქვე

დაღესტნელი ჰუნზიბელების ორიგინალური საქორწილო ტრადიციის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ: აუცილებელი იყო ნეფე შიშველი ფეხებით ხანჯალზე, დანაზე დამდგარიყო, რათა თავი დაეცვა არაკეთილმოსურნეთა შელოცვისაგან. ზოგიერთ სოფელში ნეფის ნათესავებს პატარძალი გადაჯაჭვული ხელებით გადაჰყავდათ, რომელსაც ცხვრის ქურქები, ნაბდები, ხალიჩები ჰქონდა დაფარებული. ნეფის სახლთან პატარძალს ნეფის ნათესავი ქალი წყალს გადაასხამდა. ნეფის ეზოში ჯგუფური ცეკვა იმართებოდა, რომელთა შორის ორი-სამი ადამიანი გადაცმული იყო. მოცეკვავეებს სამხიარულოდ ხშირად პატარძლის მზითევით აკიდებული სახედარი შემოჰყავდათ. ხშირად ნეფეს საწოლში ადამიანის სიმაღლის ჩვრების თოჯინას ახვედრებდნენ. ნეფე კი ეძებდა თავის პატარძალს და ეს ძებნა გრძელდებოდა იქამდე, სანამ ის მას ტკბილეულითა და ხილით არ „გამოისყიდიდა“. ლიტერატურაში აღწერილია შემდეგი საინტერესო წეს-ჩვეულებაც: პირველ საქორწინო ღამეს პატარძალი საქმროს (ქმარს) აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა. საქმროს აუცილებლად 7-15 შაროვარის დაბრკოლება უნდა გადაელახა და ისინი ხელით გაეხსნა.

ორიოდე სიტყვა სირცხვილზედაც უნდა ითქვას. ჩვენ კულტურას ეს გრძნობა განვითარებული აქვს და ის ზომიერ და ჩრდილოეთის ზოლში მცხოვრები ეთნოსებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა – სასირცხვილო ორგანოების გამოჩენა დიდი სირცხვილი გახლდათ. მაგრამ სამხრეთში, ტროპიკულ სარტყელში მცხოვრები ხალხებისათვის სირცხვილის გრძნობა მთლად უცნობი იყო. აქ ადამიანებს სამოსი საერთოდ არ სჭირდებოდათ და ხშირად დედიშობილა დადიოდნენ, ან მხოლოდ სასირცხვილო ორგანო ჰქონდათ დაფარული.

საინტერესოა მსოფლიოს ხალხების საზეიმო ცერემონიალბიც, მაგალითად, პირველყოფილ ტომებში მოზარდს ზრდასრულად საგვარეულო საზოგადოება აცხადებდა. შუა საუკუნეების ევროპაში შეგირდი სრულუფლებიან ხელოსნად, ოსტატად საზეიმო კურთხევისას ცხადდებოდა. შუა საუკუნეების საფრანგეთში აზნაური და იაპონიაში *სამურაი* შესაბამისად რაინდად და ნამდვილ მებრძოლად საზეიმოდ ცხადდებოდა. დაბადება და სიკვდილიც ყველა ხალხში გარკვეული ცერემონიებით აღინიშნება. ყოველივე ეს სადღესასწაულო ელფერს ანიჭებს ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს. პირველყოფილ საზოგადოებებში წეს-ჩვეულებები ძალიან ხშირად მაგიური ხასიათისა იყო. ისინი თითქმის ყოველდღე და საათობით გრძელებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს უმარტივესი საქმე – დედალი კამეჩისთვის მარილის მიწოდება *ტოდას* ტომის მამაკაცებისთვის ხანგრძლივ, საზეიმო ცერემონიალს წარმოადგენდა.

კათოლიკური იტალიის ყოფა ახლო წარსულამდე თითქმის ისევე იყო გაჯერებული ადათ-წესებით, როგორც ინდიელების ყოფა. ყოველდღიური, მრავალჯერადი ლოცვა, მესაზე და ღვთისმსახურებაზე აუცილებელი დასწრება, მონაწილეობის მიღება ადათ-წესია და ა.შ. ინდოეთის მთავარი აღმსარებლობა – *ინდუიზმი* მკაცრი და რთული ადათ-წესებით თავისი მიმდევრების დროის უდიდეს ნაწილს იკავებს. მიიჩნევენ, რომ ინდოეთში ყოველდღიურად მათ შესრულებას ძალიან დიდ დროს ანდომებენ. მათ შორის გამოირჩევა მეტად ლამაზი ადათ-წესები. მაგალითად, ინდოელი ქალები, იქ სადაც ეს შესაძლებელია, ყოველ დილით თავიანთი საცხოვრებელი სახლის წინ გამოფენენ ხოლმე ფერადი ქვიშისგან შექმნილ რთულ ნახატებს.

ასევე განსხვავებულია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების დამოკიდებულება. პირველყოფილ საზოგადოებაში ბავშვებს საერთოდ არ სჯიდნენ, ყოველ შემთხვევაში, ადრეულ ასაკში მათ სრული უფლება ჰქონდათ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც სურდათ. ესკიმოსებს შორის მცხოვრები ამერიკელები და ევროპელები გაოცებულნი იყვნენ იმით, რომ აქ ბავშვებს არანაირად არ ზღუდავდნენ. მაგალითად, მიუხედავად დიდი სიყვარულისა, თავიანთი პირმშოებს მშობლები რისკის შემცველი, სიცოცხლისთვის საშიში თამაშების ნებასაც კი რთავდნენ. ასევე ინდიელების ტომ *მაპუჩეში* არავინ ტუქსავდა თუნდაც ერთი წლის ბავშვს იმისთვის, რომ ის მშობლებს დაუნდობლად უტყაპუნებდა ხელებს სახეში. ოთხი წლის ასაკში მათი სურვილები ჯერ კიდევ უსიტყვოდ სრულდება (საცხოვრებლის შეცვლის მოთხოვნაც კი); მაგრამ შვიდი წლის ასაკში პატარა ინდიელი, პატარა ესკიმოსის მსგავსად, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ხდება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ სრულდება ძველ ინდიელთა პედაგოგიური აღთქმა: ხუთი წლის ასაკამდე მოექეცი ვაჟიშვილს როგორც მეფეს, თხუთმეტ წლამდე – როგორც მსახურს, თხუთმეტი წლის შემდეგ – როგორც თანასწორს, მაგრამ *მაპუჩეს* ტომში არასოდეს ყოფილა არც მეფე და არც მსახური, აქ იყვნენ მხოლოდ თანასწორები. მაგრამ, სავარაუდოდ, მხოლოდ აღზრდის ეს ბრწყინვალე მეთოდი არ განაპირობებს ტომის წევრთა კარგ თანაცხოვრებას. თემის ყველა წევრს გათავისებული აქვს ის გარემოება, რომ თითოეული მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული თემთან, რაც იშვიათად გვხვდება საზოგადოების განვითარების უფრო გვიანი პერიოდის ადამიანთა გაერთიანებებში.

დღეს თითოეულ ჩვენგანი ერთგვარად დაკავშირებულია საკუთარ ოჯახთან, სამშობლოსთან, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კიდევაც ჩვენს ქცევებს. მაგრამ პირველყოფილი ადამიანის კავშირი სოციუმთან სულ სხვაგვარი იყო, რასაც ფუტ-

კრის სკასთან კავშირსაც ადარებენ. მთავარია გვარი, მისი კანონები და ადათ-წესები, მისი, როგორც ერთგვარი საერთო საცხოვრებლის წესები, რომლებიც შემდეგ თაობებს უნდა გადაეცეს, ეს არის გვაროვნული აღზრდის მთავარი ამოცანა. გვაროვნულ საზოგადოებაში პიროვნება თემისაგან (სოციუმისაგან) განცალკევებულად არც განიხილებოდა.

ამგვარად, აქ ბავშვებს არ სჯიან, არც კი უყვირიან. ჩრდილო ამერიკელი „ველური“ ინდიელების ბავშვებისთვის ყველაზე დიდ სასჯელად მათთვის მშობლების მიერ პირში ჩაგუბებული წყლის სახეში შესხმა ითვლებოდა. სასჯელის ამ ფორმას კი მშობლები იშვიათად მიმართავდნენ, რადგან იყო შემთხვევები, როცა შეურაცხყოფილი შვილები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. იქნებ *ინდიელები* ძნელად იტანენ ტკივილს? რა თქმა უნდა, არა. იქნებ ინდიელები – ამერიკის ძირძველი მცხოვრებნი – ზოგადად ბავშვების მიმართ არიან კეთილგანწყობილნი? რა თქმა უნდა, არა. მაგალითად, აცტეკების სახელმწიფოში მშობლები სასტიკად სჯიდნენ შვილებს და ხშირად თავს აყოფინებდნენ კოცონის კვამლში. აღსანიშნავია, რომ პოლინეზიასა და ცენტრალურ აფრიკაში, მადაგასკარსა და ცეცხლოვან მიწაზე ბავშვებს არ სჯიდნენ. ბავშვებს არ სჯიდნენ იქ, სადაც პირველყოფილი წყობა იყო შემორჩენილი. ზოგ შემთხვევაში კლასობრივ საზოგადოებასა და განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი დიდხანს იყო შემორჩენილი ბავშვების მიმართ ამგვარი „პირველყოფილი“ დამოკიდებულება. ეს წესი დღემდეა იაპონიაში შენარჩუნებული, მაგრამ ეს შეიძლება გამონაკლისად ჩავთვალოთ. მაგალითად, ინდოეთში ვაჟიშვილი 15 წლის ასაკამდე მშობლების მონად ითვლება და თუ როგორ ექცეოდნენ მონებს მონათმფლობელები, ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

რაში მდგომარეობდა პირველყოფილი აღზრდის პრინციპები? აქ ბავშვი, ისევე როგორც ერთი ფუტკარი სკაში, იძულებული იყო შეესრულებინა ის ვალდებულება, რომელიც მას განსაკუთრებულ პერიოდში ეკისრებოდა, რადგან ის თემის განუყოფელი ნაწილი იყო, ყველაფერი მცირერიცხოვანი თემის წევრების თვალთახედვის არეში იყო მოქცეული და მოზარდმა იცოდა, უფრო სწორად, ის გრძნობდა, რომ მოვალეობისგან თავის არიდება შეუძლებელი იყო. უფროსები თითქმის არ კამათობდნენ ერთმანეთთან, შესაბამისად, ბავშვებიც ასე იქცეოდნენ, ძალისა და სიმამაცის დემონსტრაციას კი ნადირობისას და ერთგვარი შეჯიბრისას ავლენდნენ. მაგალითად, ბიჭები რიგრიგობით იდებდნენ ხელის გულზე გავარვარებულ ნაკვერცხალს და გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მეტ ხანს გაიჩერებდა მას ხელზე.

გარდატეხის ასაკში, როგორც წესი, ბიჭები და ზოგან გოგონებიც გადიოდნენ სპეციალურ გამოცდას. მეცნიერები ამ გამოც-

დას *ინიციაციას* უწოდებენ. ინიციაცია კურთხევითი (ხელთდასხმითი) წესების სისტემა იყო. მასთან იყო დაკავშირებული ვაჟისა და გოგონას მამაკაცებისა და ქალების კატეგორიაში გადაყვანა. ინიციაციის მიზანი იყო მოემზადებინა ახალგაზრდა თანატომელთა საწარმოო, საზოგადოებრივ, საქორწინო და სულიერ ცხოვრებაში ჩასართავად. როგორც წესი, ინიციაციას თან ახლდა სხვადასხვა მტანჯველი გამოცდა და ოპერაცია (*წინადაცვეთა, კბილების ამოგლეჯა, ჭრილობის შეხორცება, ტატუირება*), რომლებიც დაკავშირებული იყო გვარისა და ტომის საიდუმლოებებთან და მითებთან. ეს იყო ერთგვარი „გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად", რაც ითვალისწინებდა წამების, შიმშილისა და წყურვილის ატანას და საკვების მოპოვების უნარის გამომუშავებას. თითოეულმა ბავშვმა იცოდა, რომ მას ასეთი გამოცდა ელოდა და ემზადებოდა ამისთვის, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში მას მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწევდა ბავშვის, ან უარეს შემთხვევაში, ქალის ტანსაცმლით სიარული და ვერ მიიღებდა ხმის უფლებას თემის ყრილობებზე. ახალ გვინეაში, პაპუას მთებში მატაუსეს ტომში ინიციაცია წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. რიტუალის წინ თუ რომელიმე ჭაბუკი შეშინდებოდა, მოიკვეთდნენ და ტომიდან აძევებდნენ და თუ მაინც დარჩებოდა, მას ცოლის შერთვა და ოჯახის შექმნა საერთოდ აღარ შეეძლო. ტომის წევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ რიტუალის შემდეგ შეეძლოთ საიდუმლოს შეცნობა, ცხოველების ხმის გაგება და სხვა ადამიანების აზრების შეტყობა. გარდა ამისა, მიიჩნევდნენ, რომ ჩვეულების ჩატარების შემდეგ ყველა ინიციაციაგავლილი მამაკაცი ქალებისათვის მიმზიდველი ხდებოდა და სექსუალური ძალა ემატებოდა. რიტუალის დასაწყისში ყველა მონაწილე ტრადიციულ სიმღერებს მღეროდა, შემდეგ კი მდინარეში განბანით იწმინდებოდნენ. ამის შემდეგ ქურუმი ლერწმის მილით ახალგაზრდის გულისრევას იწვევდა – მიიჩნევდნენ, რომ ამით ახალგაზრდები დედის რძის ნარჩენებისაგან თავისუფლდებოდნენ. შემდეგი ეტაპი კი დედის სისხლისაგან განწმენდა იყო – ლერწმის წვეტიან ფოთლებს ჭაბუკებს ნესტოში ისე უთავსებდნენ, რომ მათ დაწყებოდათ სისხლის დენა. შემდეგ კი საკვებით გასვრილ ენას განუწმენდნენ – ენას წვეტიანი ისრით უხვრეტდნენ. ამის შემდეგ ჭაბუკი მდინარეში განიბანებოდა და მეომრად იკურთხებოდა.

ინიციაცია რადგან ვახსენეთ, მის ერთ-ერთ ფორმაზე – წინდაცვეთაზე შედარებით ვრცლად უნდა შევჩერდეთ. ის არაბულ სამყაროში ცნობილია *ხიტან,* ხოლო თურქეთში – *სუნეტ* სახელწოდებებით. ეს წეს-ჩვეულება ფართოდაა გავრცელებული *იუდეველებსა* და *მუსლიმებთან* და არა მხოლოდ მათთან. წიდაცვეთის ტრადიცია არსებობს არა მხოლოდ ქრისტიან ეგვიპტელ

კოპტებში (*მონოფიზიტები*), აფრიკის კონტინინენტზე მცხოვრებ სხვა ქრისტიან ხალხებში (მაგალითად, *ეთიოპიელებში*), არამედ აგრეთვე სენეგალის, გამბიის, გვინეის, კონგოს, ზანზიბარის, მოზამბიკის, მადაგასკარისა და ქვეყნების ტომობრივ რელიგიებში. რადგანაც წესის შესრულება სხვადასხვა ასაკში ხდებოდა, მას, პირველ ყოვლისა, სოციალური დანიშნულება ჰქონდა. *არნოლდ ვან გენეპი* აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა კულტურაში წინდაცვეთას სხვადასხვა აზრი ენიჭება. საქმე ის გახლავთ, რომ წინდაცვეთა მხოლოდ გარდამავალ, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გდასვლის დროს არ ხდებოდა. იუდეველები დღეს წინდაცვეთას რვა დღის ბავშვსაც უკეთებენ (მიიჩნევენ, რომ სისხლს შედედების უნარი მხოლოდ მერვე დღეს აქვს) და ისრაელში დაბრუნებულ 35 წლის მამაკაცსაც. ამ შემთხვევაში, შეიძლება ბიბლიაც გავიხსენოთ – სემიტი ხალხების წინაპარი *აბრაამი* წინდაცვეთილ იქნა 99 წლის ასაკში. ძველთაგანვე მახლობელ აღმოსავლეთში წინდაცვეთა ფართოდ იყო გავცელებული მომთაბარე სემიტ ხალხებში. იუდაიზმისაგან განსხვავებით, ისლამს წინდაცვეთის პროცდურებისათვის ასაკი დადგენილი არა აქვს. მუსლიმებში წინდაცვეთის პერიოდი 7-დან 16 წლამდე მერყეობს. სხვათა შორის, წინადაცვეთა ისლამურ სამყაროში, ღორის ხორცზე უარის თქმასთან ერთად, ისლამის კრიტერიუმს წარმოადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია წინდაცვეთის დროს მოხდარი უბედური შემთხვევები. მხოლოდ თურქეთში ერთ-ერთ წელს ნახევარ მილიონ წინდაცვეთილზე 10 ათასი უბედური შემთხვევა დაფიქსირებულა. წინდაცვეთა ბავშვის სამართლებრივ სტატუსს ცვლიდა – ამის შემდეგ ვაჟს შეეძლო მამაკაცებთან ერთად მეჩეთში სალოცავად შესვლა. შარიათის მიხედვით კი წინდაცვეთილს უკვე უფლება ჰქონდა ოჯახის უფროსის მოვალეობა შეესრულებინა.

ჩვეულებრივ, ქალთა წიდნაცვეთის შესახებ ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ქალების წინდაცვეთა გვხვდება ავსტრალიის ზოგიერთ ტომში, პერუსა და მექსიკის ტომებში, აგრეთვე აფრიკის მუსლიმ მოსახლეობაში. მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ასეთ ოპერაციას განიცდის *ბურკინა-ფასოს, ჯიბუტის, ერიტრიის, მალის, სომალის, სიერა-ლიონეს, ეთიოპიის, სუდანის* ქალების 70%, *ბენინის, ჩადის, ეგვიპტის, გამბიის, კენიის, ლიბერიის* ქალთა 50-60%. ქალთა წინდაცვეთა ესაა, ჩვეულებრივ, კლიტორის ნაწილის (ეგვიპტესა და სუდანში – მთლიანად) წაჭრა. ამ ჩვეულების წარმოქმნას ქორწინებამდე ქალიშვილობის შენარჩუნების მისწრაფებით ხსნიან. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ასეთი ქმედება ქალის ფსიქიკას განუმეორებელ ზიანს აყენებდა და ის, ფაქტობრივად, ფრიგიდული ხდებოდა,

გოგონებს ასეთ გამოცდას ყველგან არ უტარებდნენ. სამაგიეროდ, მათთვის გამოგონილი იყო არანაკლებ სასტიკი ფორმები. ხშირად მომავალ ცოლებსა და დედებს თვეებისა და წლების მანძილზე უკრძალავდნენ დღის სინათლეზე გამოსვლას, კვირების მანძილზე აშიმშილებდნენ და დღეების მანძილზე არ აწვდიდნენ წყალს. ინიციაციების დროს საბოლოოდ ხდება თემის ცხოვრების წესების, ადათ-წესებისა და საგვარეულო აკრძალვების ჩამოყალიბება.

რით შეიცვალა ზემოთ აღნიშნული მეთოდები? ძველი ეგვიპტის პაპირუსებში, ბაბილონის თიხის ფილებზე, *სოკრატეს* საუბრების ჩანაწერებში, შუა საუკუნეების პერგამენტებსა და ახალი დროის ბეჭდურ ფურცლებზე ერთნაირად ჩივიან გაუგონარ და ხელიდან წასულ მოზარდებზე, უფროსების მიმართ უპატივცემლობასა და სიზარმაცეზე. შესაბამისი იყო აღზრდის მეთოდებიც. „თუ ბავშვებს არ ვაიძულებდით შრომას, ისინი ვერ ისწავლიდნენ წერა-კითხვას, მუსიკასა და ტანვარჯიშს“ – წერდა დემოკრიტე. ერთი სიტყვით, მათ აიძულებდნენ შრომას. უფროსები ამ ბავშვებისგან აყალიბებდნენ მათი მამების მსგავსებს, ანუ ისეთივე რწმენის ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ძალა და სასჯელი აყალიბებს ბავშვში მომავალ სრულყოფილ ადამიანს იმ პრინციპით, რომ „ჩვენ გვცემდნენ, მაგრამ ნახეთ, რა კარგები გავიზარდეთ.“

ერთი „კულტურის“ შესახებაც უნდა შევჩერდეთ; მაგრამ სანამ მას უშუალოდ შევეხებით, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ტერიტორიას მოცემული კულტურით შეუძლია გამოკვებოს ეთნოსის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა. შენიშნავენ, რომ ეთნოსის რაოდენობის ზრდა თუ მისი გამოკვების შესაძლებლობებს გადააჭარბებს, ის ასე თუ ისე იღუპება, ან მისი მოსახლეობა შობადობის რაოდენობას ზღუდავს. საუბარი ეხება საზოგადოების მიერ ლეგალიზებული შვილების / ბავშვების მკვლელობას. ამავე დროს ასეთ წესს მთელი რიგი ძველი ხალხები დანაშაულად და ცოდვად მიიჩნევდნენ. ბავშვების მკვლელობას ხშირ შემთხვევაში რელიგიური მსხვერპლშეწირვის ფორმა ჰქონდა მიღებული. არსებობდა კიდევ ღრმად მოხუცებულთა მოკვდინების წესიც. კუნძულ *ბორენოზე* მცხოვრებ *ბატაკებში* მოხუცთა მოკვდინება ნახევრადრელიგიური აქტის მნიშვნელობისა იყო. გამოკვების პრობლემასთან იყო დაკავშირებული ადრეული ქორწინებების აკრძალვა, სხვადასხვა ფორმით ქორწინებისაგან თავის შეკავება. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელი პატარძლის საშუალო ასაკი 30 წელი იყო. აღნიშნული მიზეზით იყო განპირობებული გვიანდელი ქორწინებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ფშავსა და ხევსურეთში ქალი, ჩვეულებრივ, 25-30 წლის ასაკში თხოვდებოდა, კაცი კი 30-35 წლის ასა-

კში ქორწინდებოდა. ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ამავე მიზეზით იყო შეპირობებული შეზღუდული ეროტიკული ურთიერთობები, რომელიც ფშავში *წაწლობისა* და ხევსურეთში *სწორფრობის* სახელით იყო ცნობილი.

ძალიან ხშირად შორიდან როდესაც ვუყურებთ რომელიმე ერთ რეგიონში მცხოვრებ ხალხებს და, მითუმეტეს, თუ ისინი ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნებიან, ჩვენი კულტურისა და მენტალობის ხალხი ვერც კი წარმოიდგენს რა დიდი განსხვავეებაა თვით ამ ხალხების ტრადიციებსა და სტერეოტიპებს შორის. სამაგალითოდ შეიძლება ჩინელები და იაპონელები დავასახელოთ. ცნობილ ანთროპოლოგს *რუთ ბენედიქტს* ამ ორი ხალხის ასეთი შედარებაა აქვს მოცემული და ამჯერად მას დავესესხებით. ორივე ქვეყანა ე. წ. აღმოსავლურ კულტურას მიეკუთვნება, მაგრამ ჩინელებსა და იაპონელებს შორის განუსაზღვრელად დიდი სხვაობაა. საამისო ერთი მაგალითი თევზით კვების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მოყვანილი, მაგრამ ახლა ცხოვრების სულ სხვა სფეროს უნდა შევეხოთ. როგორც ჩინეთში, ისე იაპონიაში მშობლისადმი შვილის მოკრძალება მაღალი ეთიკური ფასეულობაა. ორივე ხალხში ის თანაბარმნიშვნელოვანია. ეს წესი იაპონელებმა ჩინელებისაგან ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში ჩინური ბუდიზმისა და კონფუციანობის ეტიკეტთან, ჩინურ სამოქალაქო კულტურასთან ერთად ჩინური ფორმულირებით მიიღეს. მაგრამ შვილური მოწიწება იაპონური ოჯახის სტრუქტურის შესატყვისად მნიშვნელოვნად შეიცვალა და ის დღეს ჩინურს საერთოდ აღარ ჰგავს. მილიარდიან ჩინეთში დღესაც კი ადამიანი ინარჩუნებს თავისი დიდი კლანის / გვარის მიმართ ერთგულებას. თითოეული გვარი კი ასი ათასობით ადამიანს ითვლის, რომელზედაც მისი იურიდიული იურისდიქცია ვრცელდება და რომლისაგანაც გვარის თითოეულ წევრს მხარდაჭერა გააჩნია. ამ ვეებერთელა ქვეყნის განსხვავებული პირობების მიუხედავად, ჩინეთის რაიონების ამა თუ იმ სოფელში მცხოვრები ყველა ადამიანი ერთი გვარის / კლანის წევრია. მთელ ჩინეთში კი მხოლოდ რამდენიმე ასეული გვარია და ერთი გვარის მატარებელნი თავს ძმებად მიიჩნევენ. შეიძლება მთელი რაიონის მოსახლეობაც კი ერთი გვარისა იყოს. ქალაქებში მცხოვრებნიც, რომლებიც გვარისაგან გამოცალკევებული ცხოვრობენ, ასევე კლანის შიგნით ნათესაობას ინარჩუნებენ. მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში – მაგალითად, ისეთში როგორიცაა *კანტონი* – გვარის ყველა წევრი გაერთიანებულია, რათა შეინახონ საგვარეულო ტაძრები, გარკვეულ დღეებში შეასრულონ წინაპართა და ყველა გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელი რიტუალი, რომელთა სახელებიც ფირფიტებზეა აღბეჭდილი; ისინი ყველანი ერთი წინაპრის შთამომავლებად მიიჩნევენ

თავს. ყველა გვარს აქვს საკუთრება, მიწა, ტაძრები, აგრეთვე საგვარეულო ფონდები, საიდანაც აფინანსებენ გვარის რომელიმე დიდი იმედის მომცემ წევრს, ჩინური კლანი თვალყურს ადევნებს ჩინეთსა და მთელ მსოფლიოში ფართოდ განსახლებულ თავის წევრებს, ათ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს დეტალურად დამუშავებულ გენიალოგიებს და ასახელებს გვარის წევრებს, რომლებიც გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებენ. თითოეულ ჩინურ გვარს თავისი კანონები გააჩნია, რომლითაც შეიძლება სახელმწიფოს დამნაშავეებიც კი არ გადასცენ იმ შემთხვევაში, თუ კლანი ხელისუფალთა გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

იაპონიაში კი XIX საუკუნის შუა ხანებამდე ყველაფერი სხვაგვარად იყო. აქ გვარის ქონის უფლება მხოლოდ არისტოკრატიულ ოჯახებსა და მეომრებს (სამურაი) ჰქონდათ. გვაროვნული გენიალოგიები იაპონიაში მხოლოდ უმაღლესი კლასის წარმომადგენლებს ჰქონდათ. ისინი გენიალოგიურ ჩანაწერებსაც აკეთებდნენ. იაპონია აზიაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ფეოდალური წყობილება არსებობდა. ერთგულებას იაპონელები ინახავდნენ არა ნათესავთა დიდი ჯგუფებისას, არამედ ფეოდალური დიდკაცობისას. მთავარი / თავადი მუდმივად გარკვეულ ერთ ადგილას ცხოვრობდა და ამ თვალსაზრისით ძალიან განსხვავდებოდა ჩინელი ბიუროკრატი მედროვეებისაგან (მანდარიებისაგან), რომლებიც სამართავი რაიონისაგან უცხონი რჩებოდნენ. იაპონიაში მნიშვნელობას იმას ანიჭებდნენ, საიდან იყო ადამიანი – *საცუმის* სათავადოდან, თუ *ხიძენის* სათავადოდან. ჩინელებში კლანების ინსტიტუციონილაზაციის ერთ-ერთი ხერხი შორეული წინაპრებისა თუ გვაროვნული ღვთაებებისადმი ტაძრებსა და წმინდა ადგილებში თაყვანისცემა იყო. ეს იაპონელი „მდაბიო“ ხალხისათვის დაშვებელი გახლდათ მხოლოდ გვარისა და გენიალოგიის გარეშე. მაგრამ იაპონიში შორეული წინაპრებისადმი თაყვანისცემა არ არსებობდა, ტაძრებშიც კი, სადაც უბრალო ხალხი სალოცავად ერთად იყრიდა თავს. აქ არავინ არ მიიჩნევდა საჭიროდ საერთო წინაპრის არსებობა ემტკიცებინა. იაპონელები თავიანთი სატაძრო ღვთაების „შვილებად“ (შდრ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სალოცავთა „ყმებს“) იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და არა როგორც ერთი წინაპრის შთამომავლები, ერთი კლანის წევრები. იაპონელები წინაპრებს სახლებში არსებულ განსაკუთრებულ სალოცავში იხსენებენ, თუმცა თაყვანისცემა ბოლო ექვს ან შვიდ წინაპარს იქით არ მიდის. იაპონიის ყველა კლასი ყოველდღიურად ასრულებს თაყვანისცემას ამ სალოცავებთან და მოიხსენიებს მხოლოდ ახლო ნათესავებს, მშობლებს, ბებიებსა და პაპებს. იაპონიაში სასაფლაოებზე წინაპართა საფლავების მემორიალურ დაფებს არ ანახლებენ, მესამე თაობის

წინაპარსაც კი სწრაფად ივიწყებენ. იაპონელთა საოჯახო კავშირები თავისი მასშტაბით დასავლეთევროპულის ანალოგიურია და იაპონურ ოჯახს ამ თვალსაზრისით ფრანგულ ოჯახსაც ადარებენ.

რადგან იაპონელებზე ვსაუბრობთ, მათი ტრადიციების შესახებ არ შეიძლება კიდევ ზოგიერთი რამ არ ითქვას. იაპონელი ქალები არა მხოლოდ დღეს, არამედ წარსულშიც, ბევრი სხვა აზიელი ხალხისაგან განსხვავებით, დიდ თავისუფლებას ფლობდნენ, რაც მხოლოდ ვესტერნიზაციითა და მოდერნიზაციით არ აიხსნება. იაპონელი ქალები არასდროს სახვევებით არ იხვევდნენ ფეხებს, ისე როგორც ამას ჩინეთელთა მაღალი კლასის წარმომადგენლები აკეთებდნენ. დღესაც კი ინდოელი ქალები აღტაცებული არიან იმით, რომ იაპონელი ქალები დადიან მაღაზიებში, თავისუფლად სეირნობენ ქუჩებში და არასდროს არ იმალებიან. იაპონელი დედა აძლევს თავის შვილებს თანხმობას დაქორწინებაზე. იაპონიაში თაობების, სქესის და ასაკის პროგატივა ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ამ პრივილეგიების მფლობელნი გვევლინებიან როგორც ოპეკუნები, და არა როგორც კაპრიზი დესპოტები. აქ საოჯახო მოთხოვნები პირადულზე მაღლა დგას.

რადგან ჩინელებს შევეხეთ და ზემოთ ინიციაციაზეც ვახსენეთ, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ინიციაციის დროს (ბავშობის ასაკიდან სრულასაკოვნებაში გადასვლის დროს) ჩინელს მეორე სახელსაც არქმევდნენ. ჩინეთში მეორე სახელის დარქმევას – „ქუდის სახელის დარქმევას“ – გარკვეული ცერემონია ახლდა თან. სახელები, როგორც პიროვნული სახელები, ისე გვარები, ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია. ზემოთ ხომ არაერთხელ აღინიშნა, რომ ეთნოლოგია ეთნოსებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას სწავლობს და ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სახელები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციებია. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხებში სახელების მიმართ ეთნოლოგიური მეცნიერების წინაშე კვლევის სხვადასხვა ასპექტები იჩენს თავს. საამისო ორიოდე მაგალითს სანამ მოვიყვანთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ასპექტითაც ხალხები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ყველა ეთნოსმა მისთვის დამახასიათებელი ანთროპონიმიული სისტემა შექმნა. ქართველ ხალხში გვარის ტრადიციის წყვეტა არასოდეს მომხდარა. მაგრამ გვარი აქ იყო არა პირველყოფილი გვარის ფუნქციის, არამედ სხვა ფუნქციების მატრებელი სოციალური ერთეული, მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც საქორწინო ურთიერთობებს აწესრიგებდა. ის ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ბევრ ხალხში, მათ შორის, ცივილიზებეულ და კულტურულად

დაწინაურებულებში, გვარსახელი ანუ მემკვიდრეობითი სახელი საერთოდ უცნობი იყო. მსოფლიოს მთელი რიგი ხალხების ანთროპონიმიული მოდელი კი ერთწევრიანი იყო და ის მხოლოდ პიროვნული სახელისაგან შედგებოდა. პირველყოფილი ადამიანები თავის სახელს განიხილავდნენ როგორც რაღაც კონკრეტულ. რეალურ და ხშირად წმინდათაწმინდას. მაგალითად, ინდიელისათვის პიროვნული სახელი იყო არა უბრალოდ იარლიყი, რომლითაც მას სხვებისაგან განასხვავებდნენ, არამედ როგორც მისი პიროვნების ცალკეული ნაწილი, როგორიც კბილი ან თვალია. მას სწამდა, რომ მისი სახელის ბოროტი განზრახვით გამოყენებით ისევე შეიძლება დაზიანებულიყო, როგორც მისი სხეულის რომელიმე ნაწილზე მიყენებული ჭრილობით. ასეთი რწმენა გავრცელებული იყო ატლანტიის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე მცხოვრებ სხვადასხვა ტომებში. დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე კი გავრცელებული იყო ადამიანსა და მის სახელს შორის რეალური ფიზიკური კავშირის არსებობის შესახებ რწმენა: შეიძლებოდა სახელის გამოყენებით დაგეჭრა ადამიანი. ამიტომაც იყო, რომ ხშირად ბელადის ნამდვილი სახელი საიდუმლოების სფეროს მიეკუთვნებოდა. სიტყვამ მოიტანა და ისივ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი ადამიანი არა მხოლოდ თავისი სახელისა და გამოსახულების, არამედ თავისი ჩრდილის შესახებაც არა ნაკლებ წუხდა. მის ჩრდილზე ყოველგვარი ხელყოფა თვით მასზე ხელყოფად აღიქმებოდა. დასავლეთ აფრიკაში „მკვლელობა“ ხშირად ხდებოდა ადამიანის ჩრდილში დანის ან ლურსმნის ჩარჭობით: ასეთ დამნაშავეს დაკავების შემთხვევაში დაუყონებლივი სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა.

საინტერესოა ეთნიკური თავისებურებების განხილვა ყოველდღიური ქცევის კუთხით. ჩვენ ვუსხდებით მაგიდას, ვსხედვართ სკამზე, ვხმარობთ დანა-ჩანგალს, ვკოცნით საყვარელ ადამიანს და დაწოლისას თავს ვდებთ ბალიშზე ... ყველაფერი ეს იმდენად მარტივი და ბუნებრივია, რომ თითქოს ვერაფრით შეცვლით, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ მონღოლი მომთაბარე საკვებს „თურქულად“ დამჯდარი იღებდა და მაგიდაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ჩინეთსა და ინდოეთში საკვებს დღესაც ჩხირებით მიირთმევენ, *ესკიმოსებისთვის* კოცნას ცხვირების ნაზი ხახუნი ცვლიდა, *მალაიელი* ძილის წინ თავქვეშ ერთგვარი ფორმის ხის სკამს იდებს, ზოგი ინდიელი ძილის დროს მუხლებქვეშ რბილ მუთაქას იდებს, სამხრეთამერიკელ ინდიელს კი ჰამაკში სძინავს. ევროპელი მამაკაცი სპეციალური წვრთნის გარეშე ვერ შეძლებს რამდენიმე წუთზე მეტხანს იჯდეს „თურქულად“, ხოლო ევროპელი ქალისთვის არათუ მოუხერხებელი, არამედ სათაკილოცაა მუხლებზე დგომა, რაც *იაპონელი* ქალისთვის ჩვეულებრივი

მდგომარეობაა. იაპონელებისთვის საკმაოდ ძნელი შესაგუებელი იყო სკამზე ჯდომა.

ეთნოსების ყოველდღიური ცხოვრების თავისებურებების გამოვლენის ასობით ხერხი არსებობს. ამ კუთხით საინტერესოა *ილია ერენბურგის* დაკვირვებები: „ევროპელები ერთმანეთთან შეხვედრისას ერთმანეთს ხელს ართმევენ, რაც არათუ აოცებს ჩინელს, არამედ სრულიად მიუღებელია მისთვის. იაპონელისთვის და ინდოელისთვისაც სრულიად მიუღებელია უცხო ადამიანისთვის ხელის ჩამორთმევა. ვენის მცხოვრები დაუფიქრებლად ამბობს „გეამბორებით ხელზე“, ვარშაველი კი ქალის გაცნობის დროს ნამდვილად კოცნის მას ხელზე. ინგლისელი წერილის წერას იწყებს სიტყვებით „ძვირფასო სერ“, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის იმავე წერილში თაღლითობაში ადანაშაულებს მას.

ქრისტიანი მამაკაცი ეკლესიაში შესვლისას ქუდს იხდის, ებრაელი მამაკაცი კი პირიქით, სინაგოგაში შესვლისას თავს იბურავს. კათოლიკურ და მართლმადიდებელ ქვეყნებში აკრძალულია ტაძარში ქალის თავსაბურავის გარეშე შესვლა. ევროპაში სამგლოვიარო ფერად შავი ფერია მიღებული, ჩინეთში კი – თეთრი. ჩინელისთვის უზნეობად ითვლება, თუ მამაკაცს ხელკავით მოჰყავს ქალი, ან კოცნის მას. ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი რამ საერთოდ წარმოუდგენელი იყო – კაცი ყოველთვის წინ მიდიოდა და ქალი უკან მისდევდა. თუ დავაკვირდებით, ეს ქცევა გარკვეულწილად ნაკარნახევი იყო მთური ლანდშაფტით. მთაში ვიწრო ბილიკებზე შეუძლებელიც იყო წყვილის გვერდიგვერდ სიარული და მთა სავსე იყო მოულოდნელობებითაც. მოსალოდნელ ხიფათს კი პირველად მამაკაცი უნდა გადაჰყროდა, მამაკაცს ქალი უნდა დაეცვა. საქართველოშიც გარკვეულად ფრთხილი და მოზომილი დამოკიდებულება არსებობდა ქალსა და მამაკაცს შორის. „შუშანიკის წამებას“ გავიხსენებთ. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ მაშინ ქალი და კაცი პურს ერთად არ ჭამდნენ. რატომ? რამ წარმოქმნა ეს ტრადიცია? რატომ იყო ქალი და კაცი ერთმანეთისგან დისტანცირებული? ზემოთ მოსალოდნელი ხიფათის შესახებ მივუთითეთ. არც ამ შემთხვევაშია ეს ფაქტორი გამოსარიცხი. აგრეთვე ქალისა და კაცის დისტანცირება დიდწილად მართლმადიდებელი ქრისტიანობითაც არის განპირობებული. ქალისადმი მამაკაცის ასეთი დამოკიდებულება ქართულ ცეკვებშიც გვაქვს ასახული – ცეკვების დროს ისინი ერთმანეთს არ ეხებიან. თუმცა იმავე ცეკვიდან ისიც ჩანს, რომ მამაკაცს ქალი ერთგვარად გაღვთაებრივებული ჰყავს. ევროპული კულტურისადმი სწრაფვა ქართველთა მუდმივი თვისება იყო და ეს ბოლო დროს ქალისა და კაცის ურთიერთობაშიც გამოვლინდა. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ კაცს ქალი ხელკავით კი მიჰყავდა, მაგრამ ვერსად ნახავდით რომ ისინი ქუჩაში,

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. დღეს კი ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ნევროპული ავეჯით გაწყობილ ჩინური სასტუმროს შესასვლელში აუცილებლად დგას ტრადიციული ჩინური შირმა, რომელიც სასტუმროში პირდაპირ შესვლის საშუალებას არ იძლევა, რადგან ჩინეთში მიიჩნევენ, რომ ეშმაკი ყოველთვის პირდაპირ შემოდის.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ რუსეთში სტუმრად ყოფნისას არ შეიძლება თეფშზე საჭმლის დატოვება, ჩინეთში კი სადილის ბოლოს შემოაქვთ ფიალით ბრინჯი, რომელსაც პირს არავინ აკარებს. ამის შესახებ ერთ-ერთი სპეციალისტი შენიშნავდა, რომ „თავაზიანობა მოითხოვს აჩვენო, რომ უკვე დანაყრებული ხარ“. ასეთივე ტრადიცია არსებობდა საქართველოში – თეფშზე გადაღებული საჭმელი აუცილებლად უნდა შეჭმულიყო. ამაში გარკვევა არცთუ ისე ძნელი უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი მოწეულ მოსავალს *ჭირნახულს* უწოდებდა. ქართველთა წინაპარებს საჭმლის გადაყრის ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონდათ. ბავშვს, რომელიც თეფშზე გადაღებულ საჭმელს ბოლომდე არ ჭამდა, მშობლები ძალ-ღონის დაკარგვით აშინებდნენ: „შენი ძალა თეფშზე დარჩება“.

ამგვარად, თითოეული ხალხი მისთვის დამახასიათებელ ადათ-წესებს ჩვეულებრივად, ბუნებრივად და ხშირად ერთადერთ, სწორ წესად მიიჩნევს, მაგრამ სხვა ეთნოსების წარმომადგენლები მათთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით მათ ყოვლად მიუღებლად, უცნაურად და ხშირად წარმოუდგენლადაც კი მიიჩნევენ.

ინდიელის გაკვირვებას იწვევდა ის, რომ ევროპელის ცოლი დედამთილის თანდასწრებით სახელით მიმართავდა ქმარს. ინდიელთა მსგავსი წეს-ჩვეულება ბევრ სხვა ხალხსაც ახასიათებდა. საქართველოში და საერთოდ კავკასიაში უმძრახობის ტრადიცია არსებობდა. სხვათა თანდასწრებით არა მხოლოდ ცოლი და ქმარი არ მიმართავდა ერთმანეთს სახელით, არამედ ოჯახის სხვა წევრებიც. მალის პროვინცია *აშანტიში* სიძეს სიდედრთან დალაპარაკებაც კი ეკრძალებოდა. იაპონელისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთი და იმავე ფეხსაცმლის ხმარება ქუჩაშიც და სახლშიც. ისლამის მიმდევრები ფეხსაცმელს საერთოდ კარების ზღურბლზე ტოვებენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ერთი შემთხვევა, რომელსაც თანამედროვე თურქეთის პატარა ქალაქ *ბორჩხაში* (ჭოროხის ხეობა, ისტორიული *კლარჯეთი*) შევესწარით. მესამე სართულზე მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს ბინაში შესასვლელი კარი ჩაეკეტა, გასაღები შიგნით დარჩა. ბინაში ის ამწით ფანჯრიდან შევიდა. ფანჯარაში შესვლამდე მობინადრემ ფეხსაცმელი ამწეზე გაიხადა და ისე შევიდა

საკუთარ სახლში. ევროპელ სტუმარზე, რომელიც სახლში შესვლისას იხდის ქუდს, მაგრამ არ იხდის ფეხსაცმელს შემოსასვლელში, ირანში ამბობენ: „მას თავი აბანოში აქვს, ფეხები კი ქუჩაში“.

უარყოფის ნიშნად ჩვენ და ევროპელებიც თავს აქეთ-იქით ვაქნევთ, თანხმობის ნიშნად – ზევით-ქვევით. *ბულგარელები* კი პირიქით იქცევიან – თანხმობის ნიშნად თავს აქეთ-იქით აბრუნებენ, უარყოფის შემთხვევაში კი – ზევით-ქვევით. ყველა ევროპელისა და ჩვენთვისაც საკვირველია *ზულუსების* ჩვევა – ისინი ცალ ფეხზე მდგომები ისვენებენ, ამ დროს აწეული ფეხი ქუსლით ებჯინებოდა გამართული ფეხის მუხლს.

მსოფლიოს ხალხებში მისალმების მრავალი ჩვეულება არსებობს. სხვადასხვა ხალხში ჩვენს „გამარჯობას“ მრავალი ეკვივალენტი გააჩნია. კავკასიის სხვა ეთნოსებს ქართული „გამარჯობის“ შესატყვისი ათეულამდე მისალმების ფორმა აქვთ მიმსალმებელთა ურთიერთდამოკიდებულებისა და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. განსხვავებულია მისალმება უფროსის, უმცროსისა და თანატოლის მიმართ. ერთსა და იმავე ადამიანს სხვადასხვანაირად ესალმებიან იმის მიხედვით, თუ სად ხვდებიან მას, მინდორში მუშაობისას, გზაში, ნადირობიდან დაბრუნებისას და ა.შ. ქართული „გამარჯობა“, ბუნებრივია, ისტორიულად იმ დროსაა შექმნილი, როდესაც ქართველი მუდმივად ბრძოლებში იყო ჩართული და თავის სამშობლოს იცავდა დამპყრობლებისაგან. ყველაზე დიდი ოცნება ქართველისათვის გამარჯვება იყო. აგრესორ, სხვათა ტერიტორიების მიმთვისებელ ეთნოსებში, ბუნებრივია, ასეთი შინაარსის მისალმება არ გაჩნდებოდა და არც გაჩენილა. რუსული მისალმება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მათთვის იდეალი და უპირველესი მიზანი ჯანმრთელობა იყო.

შვედი მოგზაური *ერიკ ლუნდკვისტი* ახალ გვინეაში ნადირობის შემდეგ *პაპუასების* ბელადთან ვახშმობდა. ნანადირევი ხორციანი ძვლის სანახევროდ გამოხვრის შემდეგ, მან ძვალი პაპუასს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა კი ბოლომდე „გაასუფთავა“ ძვალი. სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილმა *ლუნდკვისტის* ევროპელმა მეგობარმა მას ასე მიმართა: *„შენ მას ძაღლივით ექცევი! ძვლებს ესვრი! ამით ხომ ამცირებ! შენ კი მუდმივად იმას ქადაგებ, რომ შავკანიანებს ადამიანურად უნდა მოვექცეთ, ისევე, როგორც თეთრკანიანებს...“*, მაგრამ *ლუნდკვისტი* სწორედაც რომ იცავდა პაპუასების ადათს, რადგან ისე ექცეოდა ბელადს, როგორც ამ ტომში მიღებული წესებით ექცეოდნენ მეგობარს – მას საკვებს უყოფდა. განსხვავებულ ქცევას კი, მოგზაურის კეთილგანწყობის მიუხედავად, შესაძლოა ბელადის გაბრაზება გამოეწვია.

სხვადასხვა ეთნოსებში განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ორი ადმიანის საუბრისას დისტანციის შესახებ. ლათინოამერიკელები ხშირად მიიჩნევენ, რომ მათთან მოსაუბრე ჩრდილოამერიკელი ცივი და გაუცხოებულია. ჩრდილოეთ ამერიკელს არ სიამოვნებს, როცა მას საუბრისას ხელით ეხებიან და უკან იხევს. ლათინოამერიკელების აზრით კი, მხოლოდ ამ დროს დგება სიახლოვის მომენტი, როცა შესაძლებელია საუბრის დაწყება. ჩრდილოეთ ამერიკელებისთვის საუბრისას მისაღებია მოსაუბრისგან 75 სანტიმეტრით დისტანცირება; ეს კი ლათინოამერიკელისთვის ძალზე დიდ მანძილად ითვლება.

მრავალფეროვნების მიუხედავად, მეცნიერთა ნაწილისთვის კაცობრიობის კულტურა მაინც ერთიანია. ამ ერთიანობაზე მსჯელობისას იმ ფაქტზე მიუთითებენ, რომ გამოხატვის ფორმების მიუხედავად, კულტურის თითოეული კომპონენტი ემსახურება ადამიანის გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მარქსისტები ამას მსოფლიოს ხალხების კულტურათა მსგავსებით, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობის ერთიანობით, სოციალური განვითარების მსგავსი პროცესებითა და ყველასთვის საერთო ფსიქიკის ნორმებით ხსნიდნენ. მიუხედავად არსებული მსგავსებებისა და განსხვავებებისა, მრავალ ეთნოსს ყველასთვის საერთო ზნეობრივი ფასეულობებიც გააჩნია – ერთი მხრივ, აქტიური სიკეთის, უმწეოთა დახმარების, ურთიერთდახმარების, თანაგრძნობის, სიკეთისა და სილამაზის ქმნადობის და, მეორე მხრივ, ბოროტის, არაადამიანურობისა და მისი დამანგრეველი მოქმედების აღიარების კონცეფცია. სახასიათოა, რომ თითქმის ყველგან ერთნაირია უარყოფითი პერსონაჟის თვისებები – ანგარება, ვერაგობა, მზაკვრობა, გულქვაობა, შური, სუსტების მიმართ ძალადობა და სიძულვილი და ა.შ.

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა განვითარებაც ყველა კულტურულ-ისტორიულ რეგიონში ერთი მთლიანი, მაგრამ შიდა შრეებში რადიკალურად განსხვავებული რაობითაა წარმოდგენილი. ტოტემთა თაყვანისცემა ან მაგიური ქმედებები, ანიმისტური წარმოდგენები ეთნოლოგებს დადასტურებული აქვთ დედამიწის არა მხოლოდ ერთ რომელიმე განსაზღვრულ პუნქტში, არამედ ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებულ გეოგრაფიულ რეგიონებში: სამხრეთ აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ცენტრალურ აფრიკასა და ავსტრალიაში.

მეცნიერებს შენიშნული აქვთ ძველი საბერძნეთისა და ინდოეთის ღვთაებათა პანთეონებს შორის მსგავსებების შესახებ. ისინი ამ დამთხვევას გარკვეულწილად საბერძნეთისა და ინდოეთის ღმერთების „საერთო წარმომავლობით“ ხსნიან, რომელთაც ბერძნებისა და ინდოელების საერთო წინაპრები – ინდოევროპელები – სცემდნენ თაყვანს, მაგრამ რით უნდა აიხსნას მე-

ქსიკელი აცტეკებისა და ძველი ბერძნების სარწმუნოების ზოგიერთი საერთო ნიშანი? ამგვარი მიდგომა აქ უკვე აღარ გამოდგება.

აცტეკების რიტუალების ნახვისას ესპანელი *კონკისტადორების* გაოცება გამოიწვია ამ რიტუალების ქრისტიანული ზიარების რიტუალთან საოცარმა მსგავსებამ: ქურუმი მორწმუნე *აცტეკს* აწვდიდა პურს, რომელსაც ღვთის სხეულად (ხორცად) მოიხსენიებდა, ზუსტად ისე, როგორც კათოლიკე მღვდელი, ოღონდ აცტეკების პური ნამდვილად სისხლით იყო მოზელილი, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ღვთის, არამედ მსხვერპლად შეწირული ადამიანის სისხლით. იმავე ეპოქაში სხვა რეგიონში ინდოეთში ევროპელების გაოცებას იწვევდა *ბუდისტური* და *ქრისტიანული* ეკლესიების ორგანიზაციის, საეკლესიო რიტუალების საერთო ნიშნები და საეკლესიო იერარქიის თავისებურებათა მსგავსება.

ეთნოლოგების ინტერესის სფეროში შედის აგრეთვე მიცვალებულის დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესწავლა. ამ თვალსაზრისითაც მსოფლიოს ხალხები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველას მისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წეს-ჩვეულებები და რიტუალები ჰქონდა შექმნილი. მაგალითად, ძველ ბერძნებში დაკრძალვის ორი ფორმა იყო მიღებული: გვამის მიწაში დამარხვა და კოცონზე დაწვა. დაწვის შემდეგ ნეშტს ურნაში დებდნენ და მას ან მიწაში მარხავდნენ, ან აკლდამაში ათავსებდნენ. ბერძენი ავტორი *ლუკიანი* (ახ. წ.-ის II ს.-ის) წერდა, რომ ტირილი, მოთქმა და გოდება ყველა ხალხისათვის საერთოა, მაგრამ დამარხვის წეს-ჩვეულებებს შორის განსხვავებაა: „ელინი მიცვალებულს წვავს, სპარსელი მიწაში მარხავს, ინდუსი გამჭვირვალე გარსს აცმევს, სკვითი შთანთქავს (ხეთქავს)“. ძველ ბერძნებში დაკრძალვის აღნიშნული წესი შეიცვალა და მიცვალებულს მხოლოდ მიწაში კრძალავდნენ. ამასთანავე მამაკაცებს სამარეში იარაღს ატანდნენ, ქალებს – ძვირფას სამკაულებს. ხოცავდნენ ცხოველებსაც, ჰომეროსის ეპოქაში კი – ადამიანებსაც. სხათა შორის, ძველი ბერძნების გლოვის წესებს ძალიან ჰგავს დასავლურქართული გლოვის წესები: ქალები ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მკერდზე ხელებს იცემდნენ, თმებს იგლეჯდნენ, ყბებს სისხლით იღებავდნენ, მგლოვიარენი ხშირად მიწაზე გორავდნენ და თავს ურტყამდნენ მას. ძველ საბერძნეთში მიცვალებულს გარდაცვალებიდან მეორე დღეს კრძალავდნენ. დაკრძალვა აუცილებლად მზის ჩასვლამდე უნდა მომხდარიყო. თანამედროვე ხალხების დაკრძალვის წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში ბევრი რამ დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა კიდეც. სხვადასხვაგვარი იყო დაკრძალვის წესი კავკასიის ხალხებში. ქართველთა დაკრძალვის წესი მართმლმადიდებლური კანონებით იყო განპირობებული. ისინი მიცვალე-

ბულს მესამე დღეს მარხავდნენ. მუსლიმი კავკასიელები დილით გარდაცვლილს საღამოთი აბარებდნენ მიწას, საღამოთი გარდაცვლილს კი – მეორე დღეს. ასეთივე წესი არსებობდა მონოფიზიტ სომხებში. მიცვალებულის მალე დაკრძალვის წესი უპირატესად ცხელი კლიმატით იყო განსაზღვრული. მიცვალებულს ადიღეური მოდგმის ტომები ხეებზე დებდნენ. *ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ბალყარელები* და *ყარაჩაელები* XIX საუკუნის დასაწყისამდე ძირითადად მიწისზედა აკლდამებში ათავსებდნენ მიცვალებულს. მუსლიმებში დაკრძალვის წესი და რიტუალი შარიათითაა დადგენილი. შარიათი გარდაცვლილის დატირებასაც კრძალავს. ქართველები მიცვალებულს ხმამაღლა დაიტირებდნენ ისე, რომ გარდაცვალებიდან დაკრძალვის ჩათვლით რიტუალები ერთგვარად თეატრალიზებულიც კი იყო. ქართველი მიცვალებულს სამგლოვიარო მუსიკით ემშვიდობებოდა. ამ მხრივ, სვანური „ზარისა“ და ხევსურული „გვრინის“ გახსენებაც საკმარისია. მუსლიმი ქალები დაკრძალვას არ ესწრებოდნენ. სასაფლაოსაკენ მიცვალებული მათ ჩქარი ნაბიჯით მიაქვთ, ქრისტიანებს კი – პირიქით. კავკასიის ხალხების დაკრძალვის წესჩვეულებების შესახებ შემთხვევით არ შევჩერდით. **დასავლეთ ევროპელი მეცნიერები ცივილიზაციების კლასიფიკაციას დარკძალვის ტრდიციების მიხედვითაც ახდენენ. მაგალითად, ანალების სკოლის წარმომადგენლები *ჟაკ ლე გოფი* და *ნიკოლას ტრიუონი* მონოგრაფიაში „სხეულის ისტორია შუა საუკუნეებში“ წერენ: „ცივილიზაცია განისაზღვრება იმით, როგორ კრძალავს ის თავის მიცვალებულებს, იმით თუ როგორ წარმოუდგენიათ ადამიანებს სიკვდილი“.** ამ კომპონენტებითაც აშკარაა, რომ კავკასიის ხალხებს ერთი, საერთო ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილებად ვერ განვიხილავთ.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ეთნოლოგები, და არა მხოლოდ ისინი, შეშფოთებით საუბრობდნენ კაპიტალიზმის პერიოდში მსოფლიოს ყველა კუთხეში გავრცელებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთფეროვნების შესახებ. ამ კულტურას დასავლეთევროპულ, ევროპულ-ამერიკულ, ინდუსტრიულ, Iნდუსტრიულ-ქალაქურ კულტურას უწოდებდნენ, მაგრამ სახელწოდება საქმის არსს არ ცვლიდა. დასავლეთ ევროპის ქალაქებიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა ცხოვრების წესი, ყოფითი ჩვევები, ტანსაცმელი და საკვები. რაც დრო გადის, ასეთი ინოვაციები უფრო და უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს სხვადასხვა კულტურის მატარებელ ხალხებში, თუმცა ეთნიკური კულტურის ძალიან ბევრი ნიშანი კვლავ მყარადაა შემონახული და სრული ნიველირება არც არასოდეს მოხდება.

აღნიშნული პროცესი XV საუკუნიდან დაიწყო და ამას მოჰყვა დაპყრობილი ხალხების კულტურულ ფასეულობათა დიდი

უმრავლესობის განადგურება. ევროპული ცივილიზაციის ასეთი დამანგრეველი ზეგავლენა ხშირად უფრო ძლიერი იყო იმ შემთხვევებში, როცა პირდაპირი დამპყრობლური ურთიერთობები ევროპელებსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებთან უკვე აღარ არსებობდა (ან საერთოდ არ არსებობდა). ფაქტობრივად, მოისპო *პოლინეზიის* ტრადიციული კულტურა. არანაკლები დღე დაადგა თვით ევროპაში მცხოვრებ ზოგიერთ ეთნოსს. საამისოდ უძველესი კულტურის მქონე *ბასკებისა* და *ბრეტონელების* დასახელებაც საკმარისია. განსაკუთრებით უარყოფითად არიან დამოკიდებული აღნიშნული პროცესის მიმართ ასეთი ცვლილებების უშუალო მოწმეები, რომლებიც ხაზს უსვამენ XX საუკუნის ცივილიზაციის დამანგრეველ ძალას, რომელიც ახდენს ყველაფრის ნიველირებას, გათანაბრებასა და ტრადიციულს აუფასურებს. აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ერთფეროვნებამ მთელ პლანეტაზე ეთნიკური განსხვავებულობების უკანა პლანზე გადაწევა ან საერთოდ წაშლა გამოიწვიოს. თუმცა ამ ტენდენციების საშინელებაზეც მიუთითებენ იმ თვალსაზრისით, რომ ამან შეიძლება სხვადასხვა კულტურების, ცივილიზაციების, მენტალობების, სტერეოტიპების შეჯახებაც კი გამოიწვიოს და ყოველივე ბოლოს კატასტროფით დამთავრდეს. ყველა შემთხვევაში ერთი ცივილიზაცია მეორეს თავის ფასეულობებს თავს არ უნდა ახვევდეს. ბუნებრივად განვითარებულ პროცესებს კი წინ ვერავინ აღუდგება.

მსოფლიოს ხალხები, მათ შორის, ევროპელებიც, ცდილობენ წინაპართა მიერ შექმნილი ტრადიციების არა მარტო შეანარჩუნებას, არამედ დავიწყებულის აღდგენასაც. ზოგჯერ ასეთ მოვლენებს ეგზოტიკისადმი მოთხოვნილებითაც ხსნიან, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს სრულიად სხვა, უფრო სიღრმისეული მოვლენებია. ქართული ყოფიდან შეიძლება ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. ბევრი საქორწილო რეალია საქართველოში დავიწყებას მიეცა, ბევრი ნოვაციაც გაჩნდა (ქართულ სიმღერასა და ცეკვასთან ერთად უცხოური, ე. წ. ევროპული ცეკვებისა და სიმღერების შესრულება), მაგრამ *თამადობის* ინსტიტუტი ხელშეუხებელია. გაცოცხლდა ტრადიცია ნეფე-დედოფლის ტრადიციულ სამოსში გამოწყობისა. რა თქმა უნდა, ტრადიციულ ჩოხა-ახალუხსა და ქართულ კაბაში გამოწყობა მხოლოდ ეგზოტიკა არაა. უფრო მართებული ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს უფრო ფესვების, კულტურის საფუძვლების შენარჩუნების გამოხატულებაა.

პლანეტის ყველა ხალხს თავისი სტერეოტიპები გააჩნია. ასეთი სტერეოტიპები აქვთ მეზობლად მცხოვრებ ხალხებსაც. მაგალითისთვის ჩვენ მეზობელ *სომხებს* მივმართოთ. XIX საუკუნის შუა ხანების საქართველოში *ქართველების* წარმოსახვაში

სომხები ვაჭრები იყვნენ, რომელთაც შეიძლებოდა მოეტყუებინე კიდეც (XIX საუკუნის საქართველოში ასეთი გამოთქმაც არსებობდა: *„შემირცხვა სომხის გუთანი და ქართველის დუქანი“*). თავისებური სტერეოტიპები ჰქონდათ ქართველებს რუსებისა თუ კავკასიის სხვა ხალხების მიმართაც. აფხაზი ქართველისათვის ზრდილობიანი, წესიერი, დახვეწილი ქცევისა და გემოვნების ადამიანად მიიჩნეოდა. რუსი ქალი თავისუფალი ქცევის ერთგვარი სინონიმი იყო (ასეთივე სტერეოტიპი ჰქონდათ რუსი ქალების მიმართ კავკასიის სხვა ხალხებსაც). დავუბრუნდეთ სომხებს. თანამედროვე სომხისათვის თურქის დადებით კონტექსტში მოხსენიება წარმოუდგენელია, ისევე როგორც აზერბაიჯანელისათვის – სომხისა. მაგალითად, ცნობილია, რომ სომხეთში სტუმრად მყოფი ქართველი გოგონების მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს, როდესაც მათ კაფეში თურქული წესით მომზადებული ყავა მოითხოვეს.

ისევე როგორც ყველა ინდივიდი თავისი ხასიათით გამოირჩევა, ყველა ეთნოსიც ორიგინალური ხასიათითაა გამორჩეული. ხალხთა ხასიათიც ეთნოლოგთა კვლევის სფეროში შედის, თუმცა ასეთ პრობლემაზე მომუშავე ეთნოლოგი ფსიქოლოგიის საფუძვლებსაც უნდა ფლობდეს. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ეთნოსების ხასიათის ფორმირებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს გეოგრაფიული გარემო და საკვები საშუალებანი. ეს ორი ფაქტორი ბევრად განაპირობებს ხალხთა სტერეოტიპებსა და ტემპერამენტსაც. ქართული ტემპერამენტიც, რომელიც ყველაზე ნათლად ცეკვებსა და სიმღერებშია გამოვლენილი, სწორედ ამ ფაქტორებითაა განპირობებული. მიღებულია, რომ სამხრეთის ხალხები ზარმაცები არიან იმის გამო, რომ ხელსაყრელი კლიმატური პირობები მათ ცხოვრებას უადვილებს. მართლაც, სამხრეთელის აუჩქარებლობა კლიმატის ზემოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს მოზომილ ცხოვრების წესს, რაგვარობას.

მსოფლიო კულტურაზე ყურადღებით დაკვირვების შემდეგ ეთნოლოგებმა დააფიქსირეს, რომ ის არცთუ ისე ერთფეროვანია, როგორც დასაწყისში ეჩვენებოდათ, არ არის მკვეთრად გამოხატული დასავლეთ ევროპული ან ევროპულ-ამერიკული და, საერთოდ, სულაც არ არის მხოლოდ ევროპული ხასიათის.

თანამედროვე ეროვნულ კულტურაში ზოგადსაკაცობრიო და სპეციფიკური, თვითმყოფადი და ეთნიკური ელემენტების შეთანხმება სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. მთლიანობაში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჩრდილოეთ ამერიკის, ანუ აშშ-სა და კანადის ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების კულტურას.

ეთნოლოგი *ს. არუთინოვი* სამართლიანად აღნიშნავს: „გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ქალაქურ ყოფაში განსხვავებები

ჰამბურგსა და ვენას შორის და, უფრო მეტად, სტოკჰოლმსა და მადრიდს შორის, ან ლონდონსა და ათენს შორის, ვიდრე ჩრდილოამერიკულ ქალაქებს – ატლანტასა და ტორონტოს შორის“. თუ რატომ, ამასაც თავისი ახსნა აქვს: თანამედროვე ევროპული საქალაქო კულტურა ტრადიციული ქალაქური ევროპული კულტურების საფუძველზეა მიღებული, ხოლო ჩრდილოამარიკულს ეს ტრადიციები საფუძვლად არ უდევს.

ამასთან ერთად, ევროპის ქვეყნებში ტურიზმის კუთხით, მათი მომხიბლაობის გაზრდის მიზნით შენარჩუნებულია და აღორძინებასაც კი განიცდის ტრადიციული კულტურის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა სადღესასწაულო კოსტუმი, კალენდარული დღესასწაულები და რიტუალები, მუსიკა, სიმღერა და ცეკვა. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: ადამიანებს მრავალფეროვნება უფრო იზიდავს, ვიდრე ერთფეროვნება. დღესაც შოტლანდიელი მამაკაცი თავის შოტლანდიელობას ხაზს უსვამს სამოსით – კუბოკრული ქვედაბოლოთი (რომლის ქვეშ ნიფხავი საერთოდ არ ეცვათ). ხშირად შოტლანდიელები ჯგუფურად ამ სამოსით მსოფლიოშიც კი მოგზაურობენ, განსაკუთრებით როდესაც თავიანთ სპორტულ გუნდებს საგულშემატკივროდ მისდევენ.

ლათინურ ამერიკაში აშკარად შესამჩნევია ერთგვარი დაპირისპირება „ზოგადსაკაცობრიო“ კულტურის გამტარებელ ქალაქებსა და სოფლურ დასახლებებს შორის, სადაც ჯიუტად ინარჩუნებენ ეთნიკური შეფერილობის მქონე ტრადიციული ყოფის ელემენტებს, რომელთა დიდი ნაწილი ინდიელებისა და ზანგების კულტურიდანაა შემონახული.

სამხრეთ ამერიკის ქალაქებში კულტურის ხალხური ელემენტები მთელი ბრწყინვალებითაა წარმოდგენილი კარნავალებისა და სხვა დღესასწაულების სახით, მაგრამ ჩვეულებრივი დღეები ხომ გაცილებით მეტია, ვიდრე დღესასწაულები. ლათინურამერიკულ კარნავალებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ კარნავალების სამშობლო ევროპაა. ბრაზილიელთა ყველაზე საყვარელი გასართობი კარნავალებია. კარნავალებში მთელი მოსახლეობა მონაწილეობს და მასში მონაწილეობის მისაღებად დღეს აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდანაც კი ჩადიან. მართალია, ბრაზილიელებმა კარნავალების მოწყობა ევროპელებისაგან ისწავლეს, მაგრამ ახალ პირობებში ის ძნელად საცნობია და შეიცვალა აფრიკული წარმოშობის სიუჟეტებით, ზანგური მუსიკით, ნიღბებით, ინსტრუმენტებითა და აგრეთვე ინდიელთა წარმართული კულტების ელემენტებით.

გასაოცარ მაგალითს გვაძლევს ამ კუთხით იაპონია. მან შეძლო, ერთი მხრივ, მსოფლიო კულტურის მთავარი მიღწევებისა და სახასიათო ნიშნების გათავისება, მეორე მხრივ, კი ეთნიკური, ტრადიციული კულტურის ძირითადი თავისებურებების შენარჩუ-

ნება. მაგალითად, აქ სამსახურში, ჩვეულებრივ, ევროპულ ტანსაცმელს იცვამენ, სახლში კი ეროვნული სამოსით იმოსებიან... იაპონელები შესანიშნავ მაგალითს აძლევენ მოდერნიზაციის წინაშე მდგომ ხალხებს – მოდერნიზაციამ ტრადიციები არ უნდა განდევნოს, მათი თანაარსებობა შესაძლებელია.

ევროპული კულტურის შემქმნელებმა ხომ თავად სხვებისაგან, არაევროპელებისაგან ბევრი რამ შეთვისეს. დღევანდელ ჩვენს ყოფას, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ ჩაისა და ყავის, კარტოფილისა და პომიდორის, სიმინდისა და კაკაოს და მრავალი სხვა არაევროპული წარმოშობის პროდუქტის გარეშე. XVIII საუკუნის ქართველთათვის (არა მხოლოდ ქართველთათვის) ჩამოთვლილთაგან უმეტესობა უცნობი იყო, დღეს ისინი თანამედროვე, „ქალაქური“ და არა მხოლოდ „ქალაქური“ კულტურის ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას ჰამაკზე (ნასესხებია ინდიელების კულტურიდან), ან რეზინის ბურთზე (კაუჩუკი პირველად ამერიკაში გამოიყენეს). მთელ ცივილიზებულ სამყაროში ახალი ბინების განუყოფელ ნაწილად ქცეული კედლის კარადები და დაბალი („ჟურნალის“) მაგიდები შექმნილია იაპონიაში. თუმცა საქართველოში კედლის კარადისა და „ჟურნალის“ მაგიდის პროტოტიპი დიდი ხნის წინ არსებობდა. ქართული დარბაზული საცხოვრებლის კედლებში წალოები და თახჩები ჰქონდათ ჩაშენებული და ქართველები დაბალ მაგიდებზე – ტაბლებზე სადილობდნენ.

კბილებში გაჩრილი ჩიბუხი ან სიგარეტი გააოგნებდა შუა საუკუნეების ევროპელსა და ქართველს. ამერიკულმა კულტურამ – თამბაქომ ხომ მხოლოდ XVI საუკუნიდან „დაიპყრო“ ძველი სამყარო.

რაც შეეხება ტანსაცმელს, ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადია ევროპული ტანსაცმლის გარდერობს დაემატა ესკიმოსებისგან გავრცელებული კაპიუშონიანი ქურთუკი. თითებს შორის სამაგრიანი პლაჟის სანდლები კი თავდაპირველად იაპონელებმა შექმნეს. იგივე შეიძლება ითქვას ქალის რუსული ზამთრის ჩექმებისა და სამხრეთამერიკული *პონჩოს* შესახებ.

ხშირად კითხულობენ: ადამიანმა ტანსაცმელი უფრო ადრე შექმნა, თუ სამკაული? ევროპელებმა როდესაც ახალ სამყაროში სხვადასხვა ხალხები აღმოაჩინეს, ნახეს, რომ ბევრ მათგანს სამოსი საერთოდ არ გააჩნდა, სხვადასხვა სახის სამკაულს კი ატარებდნენ. აქედან გამომდინარე მეცნიერები ასკვნიან, რომ სამკაული და აღკაზმულობა უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სამოსი. ცნობილ ავსტრიელ ეთნოლოგს *ი. ლიპერტს* ასეთი ფაქტი აქვს აღწერილი: სამხრეთის ერთ-ერთი მკვიდრნი ევროპელებისაგან საჩუქრად თხებსა და ძროხებს არ იღებდნენ, სამაგიეროდ რამ-

დენიმე წითელ ბუმბულში ხალისით იმეტებდნენ მთელ კუნძულს. ადამიანმა შემოსვა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ტროპიკული სარტყლიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილდა. პირველ აღკაზმულობამდე ადამიანები სხეულს იმკობდნენ, კანს ისერავდნენ, რაც გარკვეული გვარისა ან ტომისადმი კუთვნილებას გამოხატავდა. დასერილი კანი კი გარკვეული სიამაყის გამომხატველი იყო. დასერილი კანი განსაკუთრებით აფრიკის ხალხებში იყო პოპულარული. ამ ნიშნებით აქ ერთ ტომს მეორისაგან ასხვავებდნენ. ნასერი კეთდებოდა როგორც სწორი ხაზის სახით, ისე სხვადასახვა კომბინაციით შუბლზე, ლოყებზე, მკერდზე, ბეჭდებზე. მიიჩნევენ, რომ შემდეგი ეტაპი უკვე სხეულის ტატუირება იყო. ტატუირება განსაკუთრებით პოპულარული იყო ამერიკელ ინდიელებში. სხეულის მოხატვა რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული, რასაც ის გარემოება გვიდასტურებს, რომ ეს საქმიანობა ბევრგან ქურუმების ხელში იყო. ტატუირებას აკეთებდნენ ზვიგენის კბილებისაგან გაკეთებული სავარცხლით. ტატუირებას 12 წლის ასაკიდან სიკვდილამდე იკეთებდნენ. უმრავლესობას სხეული ძალიან ლამაზი ნახატებით ჰქონდა დამშვენებული. ტატუირების გამოგონებამდე ფართოდ იყო გავრცელებული სხეულის ფერადი თიხით გაფერადება. ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელები თითქმის ყოველდღიურად იხატავდნენ სახეს, ზოგჯერ კი სახის ერთი ნახევარი შავად ჰქონდათ შეღებილი, მეორე ნახევარი – წითლად. ამერიკისა და ავსტრალიის ხალხებში ძალიან პოპულარული იყო ცხვირის ნესტოების გახვრეტა; გახვრეტილ ცხვირში კი რგოლებს ირჭობდნენ. ევროპაში კი მხოლოდ საყურეები იყო გავრცელებული. საყურეებს აქ არა მხოლოდ ქალები, არამედ მამაკაცებიც ატარებდნენ.

ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასულ უცხო ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ ადგილობრივი ყოფისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნივთი. საქართველოში მყოფი ტურისტი ცდილობს ქართული კულტურისა და ყოფის ელემენტების შეძენას (სვანური ან კახური ქუდი, ყანწი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ჩურჩხელა, ქართული ხალხური კერამიკის ნიმუშები – სურები, დოქები, მინიატურული ქვევრები...). რუსეთში ჩასული უცხოელები განსაკუთრებით მოხიბლული არიან „მატრიოშკით“ – ერთმანეთში ჩასაწყობი ხის თოჯინებით. უცხოელი ტურისტებს სამშობლოში დაბრუნებისას სხვა სუვენირებთან ერთად აუცილებლად მიაქვთ „მატრიოშკას“ ნაკრებები, ასევე რუსს საზღვარგარეთელი ახლობლებისთვის საჩუქრად ყოველთვის მიაქვს ეს თოჯინები. ამ მხიარულმა სათამაშო თოჯინამ ერთგვარი ტიპური, რუსული სიმბოლური დატვირთვა არცთუ ისე დიდი ხნის წინ მიიღო. ამ თოჯინების დამზადება პირველად XIX საუკუნის ბოლოს დაიწყეს სოფელ *აბრამცევოში, სავა მამონტოვის* სახელოსნოში, ხოლო

პირველი „მატრიოშკას“ ფორმის ძიებისას მხატვარმა *მალიუტინმა* და ხარატმა *ზვიოზდოჩკინმა* ნიმუშად იაპონური ხალხური სათამაშო – *დარუმა* გამოიყენეს. ამ უკანასკნელის შექმნას კი საფუძვლად დაედო ძველინდური, შემდგომ კი V საუკუნეში ჩინეთში გადასული ბრძენის - *დარუმას* გამოსახულება, რომლის მოძღვრება, თვით *დარუმაზე* შექმნილ ლეგენდებთან ერთად, განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების იაპონიაში. *დარუმას* მოძღვრებით, ჭეშმარიტებასთან ზიარება შესაძლებელია უსიტყვო ჭვრეტით. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ის გამოქვაბულის განდეგილად იქცა, რომელიც უმოძრაობის გამო ძალიან გასუქდა. სწორედ ასეთი მრგვალი ფორმის სხეულით გამოსახავდნენ მას საბავშვო სათამაშოების ოსტატები. ამასთან ერთად ფიგურების შედებვისას ხაზს უსვამდნენ ჩინელებისა და იაპონელებისთვის ეგზოტიკურად მიჩნეულ მის ინდურ გარეგნობას. რუსმა ოსტატებმა თავისი „მატრიოშკები“ შექმნეს ერთმანეთში ჩასაწყობი თოჯინების სახით და ახალი სახეებითა და ნახატებით შეამკეს. დღეს კი ინდოეთში, სადაც თხუთმეტი საუკუნის წინ ქადაგებდა ბრძენი *დარუმა*, ქმნიან ზუსტად იმავე ტიპის, ასაწყობ-დასაშლელ, მოხატულ ფიგურებს, ოღონდ ინდური სახითა და ინდოელი ქალის სამოსით. ამით შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ ბევრი დიდი და მცირე კულტურული ფასეულობა სხვადასხვა ეთნოსების ურთიერთთანამშრომლობითა და კულტურული გავლენების შედეგად არის შექმნილი.

რუსეთის ერთგვარი სიმბოლოა ჩაის ასადუღებელი ორიგინალური ჭურჭელი სამოვარი, რომელის დამზადებაც რუსეთში ძალიან გვიან – XIX საუკუნეში დაიწყეს. იმდროინდელი რუსეთის სასულიერო პირები და სოციალური რეფორმატორები მიიჩნევდნენ, რომ ჩაი ადამიანებს ოდნავ მაინც დაეხმარებოდა არყის სმის შემცირებაში. რუს ხალხში ეგზომ პოპულარული ალკოჰოლური სასმელი არაყი მხოლოდ XVI საუკუნიდან გავრცელდა. სხვათა შორის, ძალიან მაგარ სპირტიან სასმელებს თავდაპირველად მონასტრებში სვამდნენ.

რაც შეეხება ხელოვნებას, დავიწყოთ იმ დარგით, რომელიც ყველაზე მეტად არის შეჭრილი ხალხების ყოველდღიურ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდულ ყოფაში. ეს არის მუსიკა და ცეკვა.

XX საუკუნეს ხშირად „ჯაზის საუკუნესაც“ უწოდებენ. ჯაზის შემქმნელებად კი ამერიკელი ზანგები ითვლებიან, რომლებიც აფრიკული რიტმების უმდიდრესი საგანძურის საფუძველზე ქმნიდნენ ამ მიმდინარეობას. ევროპის, აზიის, ამერიკის საცეკვაო მოედნებსა და დისკოთეკებზე ცეკვავენ აფრიკაში შექმნილ და ამერიკაში ღარიბი, მაგრამ მხიარული შავკანიანი მოსახლეობის

მიერ გადამუშავებულ ფოქსტროტს, რუმბას, მამბოსა და სხვა ცეკვებს. არაევროპული ცეკვების გავრცელება ძველი სამყაროს ცივილიზებულ ნაწილში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, იმ დროს დაიწყო, როცა ესპანეთში (ამჯერად ისევ ამერიკიდან) გავრცელდა *სარაბანდა.* ამ ცეკვაში გაერთიანებულია ესპანური *რომანცეროს*, აფრიკული *დოლის / დაფდაფის* და ინდიელთა ხალხური ინსტრუმენტების ტრადიციები. ველური, შმაგი და ვნებიანი ცეკვით შეიჭრა ევროპაში *სარაბანდა* და დიდხანს იბრძოდა აქ დამკვიდრებისთვის. *სარაბანდას* ცეკვისთვის მამაკაცები მათრახის ორასი დარტყმით და ექვსი წლით გალერებზე შრომით ისჯებოდნენ, ქალებს კი მათრახით დასჯის შემდეგ ესპანეთიდან აძევებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, *სარაბანდას* ცეკვისთვის ყველა არ ისჯებოდა, რადგან მან ფეხი მაინც მოიკიდა ევროპაში, თუმცა აქ მან სახე მნიშვნელოვნად იცვალა. თავისუფალი, ლაღი *სარაბანდა* XVII საუკუნეში ნელი სვლის ცეკვად გადაიქცა, მისი მელოდია კი იმდენად შეიცვალა, რომ საეკლესიო მუსიკის არსენალში შევიდა. უფრო მეტიც, *სარაბანდას* სამგლოვიარო ცერემონიებზე ცეკვავდნენ. ამგვარად, ევროპამ *სარაბანდა* შეითვისა, მაგრამ ნაღვლიან მელოდიად აქცია იგი.

XIX საუკუნის ევროპელი კორიფეების მუსიკა ითვისებდა და ამუშავებდა სხვადასხვა ხალხების მელოდიებსა და რიტმებს და შემდგომ აწვდიდა მათ ახალ, მაგრამ მათთვის კარგად ნაცნობი ნიშნებით დატვირთულ მუსიკას. აი, რას წერს *დიმიტრი შოსტაკოვიჩი*: „...მე ღრმად ვარ დარწმუნებული მსოფლიო კულტურის წინაშე ეროვნული მრავალფეროვანი მუსიკალური ტრადიციების პრინციპული თანასწორობის თეზისის სამართლიანობაში. საქმე არა განსხვებული მუსიკალური სისტემების „შეთავსებადობასა“ ან „შეუთავსებლობაშია“, არამედ იმაში, თუ რა მეთოდებით ხდება სხვადასხვა, ეთნიკურად და გეოგრაფიულად განსხვავებული ერების კულტურათა ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაგების პრობლემის გადაწყვეტა. ჩემი წარმოდგენით, ეროვნული ტრადიციის განვითარების ერთ-ერთი ბუნებრივი და კანონზომიერი ფორმა არ არის მხოლოდ არსებულ სინამდვილესთან, ახალ სოციალურ პირობებთან და ხალხის თვითშეგნებასთან პირდაპირი კავშირი, აუცილებელია ვფლობდეთ სხვადასხვა, იდეური და ტექნოლოგიური კუთხით ნამდვილად პროგრესული ტრადიციებით შექმნილი კულტურის გამდიდრების უნარს. განა სწორედ აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორის ცალკეული ნიმუშებისა და ელემენტების გამოყენებამ არ გაამდიდრა *ბოროდინის, ბალაკირევის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის* შემოქმედება? რამდენად ღარიბი იქნებოდა რუსული მუსიკა *ბოროდინის* „პოლოვეცკური ცეკვების“, *ბალაკირევის* „ისლამეის“, *მუსორგსკის* „სპარსი ქალების ცეკვის“, *რიმსკი-კორსაკოვის* „შეხერაზა-

დას“ და ასევე აღმოსავლურ თემაზე შექმნილი რუსული მუსიკის სხვა ნაწარმოებების გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას მოსკოველი და პეტერბურგელი კომპოზიტორების თავდაუზოგავ შრომაზე შუა აზიის რესპუბლიკებში, სადაც გასაოცრად მოკლე დროში შეიქმნა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლები, რომლებიც საკუთარი ეროვნული სოციალისტური კულტურის შექმნისას იყენებდნენ რუსულ და დასავლეთევროპულ მუსიკალურ გამოცდილებას...“

სწორედ ამგვარად ხდება სხვადასხვა ეთნოსების გამოცდილების გათავისება სკულპტურასა და ფერწერაში, პოეზიასა და პროზაში. ევროპული და უპირველესად რუსული პროზის შეღწევას იაპონიაში ლიტერატურის შესახებ იაპონელთა შეხედულებების მთლიანად შეცვლა მოჰყვა. დღეს კი *ტურგენევისა* და *ტოლსტოის* მოწაფეთა იაპონელი მემკვიდრეები თავიანთ გამოცდილებას მსოფლიო ლიტერატურას გადასცემენ. აქაც ვერ ავუვლით გვერდს ქართულ კულტურას. მთელი შუა საუკუნეების ქართული კულტურა მახლობელი აღმოსავლეთის მდიდარი და თვითმყოფადი კულტურების გავლენას განიცდიდა, მაგრამ ქართველი მის სრულ კოპირებას არ ახდენდა. სპარსული ლიტერატურის განსაკუთრებულ გავლენას განიცდიდა შუა საუკუნეების ქართული მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლებიც კი გაქართულებულია, მათ ქართული ფორმა აქვთ მიცემული. ან კიდევ ქართული საეკლესიო არქიტექტურული ძეგლები ავიღოთ. მართალია, ისინი ქართულია, მათში ქართველი კაცის შემოქმედება და ნიჭირებაა ჩაქსოვილი (მარტო ამ ძეგლებზე გამოსახული ჩუქურთმები რად ღირს), მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისინი ერთმორწმუნე ბიზანტიელთა არქიტექტურული სტილის განვითარებას წარმოადგენს. ქრისტიანული ქართული არქიტექტურის ძეგლებს ორიგინალობას მასში გამოხატული ფრესკებიც აძლევს. ქტიტორებს რომ თავი დავანებოთ, ყველა წმინდანის იერსახე ხომ ქართულია. ეს ფრესკები იმდროინდელი ქართული ყოფის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა. საამისოდ სამოსის დასახელებაც კი საკმარისია. აქედან ვიცით, რომ შუა საუკუნეების ქართველი მამაკაცის ძირითადი სამოსი ჩაღილული კაბა იყო, რომელიც, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლის შემდეგ, გვიანდელი ჩოხის პროტოტიპად იქცა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ლათინოამერიკულ ქვეყნებს წარსულის ეგზოტიკურ ნაკრძალად მიიჩნევდნენ, მაგრამ პერუელმა *მარიო ვარგას ლიოსამ* და კოლუმბიელმა *გაბრიელ მარკესმა* მსოფლიო ლიტერატურაში ინდიელებისა და კონკისტადორებისგან, ზანგი მონებისა და ბიზნესმენ-კულტურტრეგერებისგან აღებული ფანტასმაგორიული დახვეწილი მანერა დაამკვიდრეს.

XVIII საუკუნის საუკეთესო იაპონელმა მხატვრებმა რეალისტური მხატვრობის ნიმუშების ნახვის შემდეგ ვეღარ შეძლეს ძველი, ტრადიციულად პირობითი სტილით ხატვა, მაგრამ არ დაკარგეს თვითმყოფადობა და ორი ხელოვნების სინთეზი მოახდინეს, რაც *ხოკუსაის* დიდებულ ქმნილებებში აისახა. XIX საუკუნის ფრანგი მხატვრები კი ამ „სინთეზური“ იაპონური ფერწერის ნახვისას სინამდვილის გადმოცემის ასეთი დახვეწილი და თავისებური ხერხების მიმართ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ქართული სამყაროდან შეიძლება *ფიროსმანზე* შევჩერდეთ. ის თავის შედევრებს თბილისში ქმნიდა, სადაც ერთმანეთთან იყო შერწყმული ქართველთა, სხვა სამხრეთ კავკასიელთა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მხატვრის შემოქმედებაზე, რომლის საფუძველიც ქართული კულტურა იყო.

ბევრი თანამედროვე მოქანდაკე არა მხოლოდ ანტიკური ტრადიციების მემკვიდრეა, არამედ აფრიკელი და ინდიელი ძველი სკულპტორებისგანაც ბევრად დავალებულია. ფერწერის აღიარებული კლასიკოსი, დიდი გერმანელი მხატვარი *ალბრეხტ დიურეი* ოთხი საუკუნის წინ გამოთქვამდა მექსიკური კულტურით აღტაცებას: „ცხოვრების მანძილზე ამ საგნების გარდა არაფერს ასე არ გაუხარებია ჩემი გული. ამ საოცარი ქმნილებების ყურებისას მე გაოცებული ვიყავი უცხო ქვეყნების ხალხთა დახვეწილი გენიით.“

სხვადასხვა ქვეყნის მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები და არქიტექტორები უგებენ ერთმანეთს და ასწავლიან სხვებს ჩასწვდნენ უცხო ქვეყნისა და უცხო ბუნების სულს. ხელოვნებისადმი საერთო სიყვარულსა და მისით საერთო აღფრთოვანებაშია კულტურის ერთიანობა და ყოველი ხელოვნების ეროვნულობა მისი მრავალფეროვნების საფუძველია. ნამდვილად მართალი იყო *კარელ ჩაპეკი,* როცა წერდა: „რატომ გახდა ინგლისელ მწერლებს შორის ყველაზე ინგლისელი მწერალი *ჩარლზ დიკენსი* მსოფლიო ავტორი? როგორ მიაღწიეს მსოფლიო აღიარებას *გოგოლმა* და სხვებმა ისეთი ლიტერატურის შექმნით, რომელიც ყველაზე უფრო რუსულია?... აბსოლუტურად ჩრდილოელი (ნორდიელი) *ჰამსუნი* და მრავალი სხვა, ვინც ნებსით თუ უნებლიედ გამოხატავდნენ თავისი ქვეყნის სულსა და ხასიათს, ხატავდნენ თავისი ნაციისა და ქვეყნის ტიპსა და ცხოვრებას?... რაც უფრო ნორდიულია, უფრო რუსული, უფრო ინგლისურია ესა თუ ის ნაწარმოები, მით უფრო ცხადად და საფუძვლიანად აცხადებს ის პრეტენზიას მსოფლიო მნიშვნელობაზე...“ *კნუტ ჰამსუნის* თავისებურება ისაც იყო, რომ მას მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ყოფა და კულტურა აინტერესებდა. მარტო მისი კავკასიაში მოგზაურობის აღწერილობის დასახელებაც კი საკმარისია

დავასახელოთ, რომელშიც მხოლოდ სიმპატია გამოსჭვივის ადგილზე გაცნობილი ხალხებისა და მათი კულტურების მიმართ.

კიდევ რამდენი უყურადღებოდ დატოვებული კულტურის საგანძურია მსოფლიოში, რომელიც ჯერ ვერ იქცა კაცობრიობის საერთო სიმდიდრედ და რამდენია უკვე გამქრალი. მიკრობიოლოგები ანტიბიოტიკების აღმოსაჩენად მსოფლიოს ყველა კუთხის ნიადაგის სულ ახალ და ახალ ნიმუშებს სწავლობენ, მაგრამ განა ჩვენ ვუკვირდებით სხვადასხვა განედზე მცხოვრებ ადამიანებს, მათ მიერ შეცვლილ გეოგრაფიულ გარემოს, შეგვიძლია კი, რომ არა მარტო ვიცნოთ და გავუგოთ მათ, არამედ მივიღოთ კიდეც ისინი?

მართალია, შორეული ქვეყნების ხელოვნებამ მაღალი „საბაზრო“ ღირებულება შეიძინა და რაც უფრო შორსაა და რაც უფრო ეგზოტიკურია იგი, მით უფრო მაღალია მისი ფასი, მაგრამ, შესაძლოა სადღაც დასავლეთ აფრიკაში, პატარა ტომს გამოჰყავს ისეთი მცენარე, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეორე კარტოფილი იქნებოდა მთელი მსოფლიოსთვის. შესაძლოა საცოდავი *კუბუს* ტომის მონადირეთა ჯგუფმა იცის იმ სამკურნალო ბალახის შესახებ, რომელიც კიბოსგან თუ ინფარქტისგან კურნავს ადამიანს. შესაძლოა ფილიპინების მუსიკალურ ინსტრუმენტებს, გადაკეთების შემდეგ, შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ვიოლინოს ისევე, როგორც ამ უკანასკნელმა თავის დროზე ჩაანაცვლა შუააზიური ტკბილხმოვანი *მუღნი* (ბარბითი).

XIX საუკუნეში, პოლუსების დაპყრობის დიდი ეპოპეის პერიოდში მოგზაურები ესკიმოსების კაპიუშონებში იყვნენ გამოწყობილნი და თან მარხილის ძაღლები ჰყავდათ წაყვანილი. ვინ იცის, რომელი ხალხის გამოცდილება გამოგვადგება ჩვენ უახლოეს ან შორეულ პლანეტებზე, რა და როგორ შეიძლება და რისი გამოყენება იქნება იქ საჭირო! ყოველივე ამაში მსოფლიოს დიდი და მცირე ხალხების კულტურული მიღწევების გამოაშკარავებაში კი მხოლოდ ეთნოლოგებს შეუძლიათ განსაკუთრებული წვლილის შეტანა.

ალბათ, ტყუილად ვირჯებით, როდესაც ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კაცობრიობის ყველა ნაწილის კულტურული გამოცდილება. წმინდა უტილიტარული ფასეულობების გარდა ხომ არსებობს სხვა ფასეულობებიც და ვერასოდეს ვერ განსაზღვრავ პოლინეზიური ლეგენდების, ჩუკოტსკის ზღაპრების ან ინდური მითების პრაქტიკულ ღირებულებას. კაცობრიობის მთელი კულტურა ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, უსარგებლო ცოდნა კი არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ხელოვნება აზრის გარეშე.

III.2.მსოფლიოს ხალხები: ეთნიკური, კულტურული და სოციალური მახასიათებლები (ზოგადი მიმოხილვა)

III.2-1.ავსტრალიის აბორიგენები და ანგლოავსტრალიელები

სამყაროს ყველაზე პატარა ნაწილი ავსტრალიასა და ოკეანეას უკავია – აქ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 30 მილიონი კაცია. დედამიწის ამ ნაწილში კულტურის, ყოფისა და მეურნეობის არქაული ფორმებია შემორჩენილი. ამ რეგიონს ოთხ ეთნოგრაფიულ მხარედ ყოფენ: *პოლინეზია, მიკრონეზია, მელანეზია* და *ავსტრალია.* სხვა ტერიტორიებთან შედარებით, ავსტრალიასა და ახალი გვინეაში ადამიანები შედარებით ადრე დასახლდნენ. რეგიონში მცხოვრები ადამიანების ძირითადი საქმიანობა ნადირობა და შემგროვებლობა იყო, რომლებიც ქვის იარაღებით სარგებლობდნენ. ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები ახალ გვინეაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან გადმოსახლდნენ. ისინი ლიტერატურაში *პაპუასების* სახელით არიან ცნობილი. *მელანეზიის* მოსახლეობა სხვადასხვა ხალხებისაგან შედგება. ამ რეგიონში თავის დროზე რასათა შერევა მოხდა. *მელანეზიელები* ენობრივად, ანთროპოლოგიურად და ეთნიკური კულტურის თვალსაზრისით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე მრავალფეროვანია *პოლინეზიელთა* ეთნიკური ერთობები და ეთნიკური კულტურა. *ახალ გვინეაში* პირველად ევროპელებმა (პორტუგალიელებმა) შეაღწიეს. *მაგელანმა* მარინის კუნძულებს მიაღწია. ავსტრალია ევროპელებმა XVII საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს. **ევროპელთა კოლონიზაციამ ადგილობრივი ხალხებს მძიმე შედეგები მოუტანა – აბორიგენების კულტურა მოისპო, მრავალი ეთნიკური ჯგუფი საერთოდ ამოწყდა, ან მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა.** მიუხედავად ამისა, ამ რეგიონის იმ ხალხთა კულტურა, რომელთაც ევროპელებთან შეზღუდული კონტაქტები ჰქონდათ, ნაწილობრივ მაინც შემორჩა. ავსტრალიის მოსახლეობის მხოლოდ 2%-ია აბორიგენი და მეტისი. ანთროპოლოგიურად ადგილობრივები ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები არიან. ისინი 200-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობენ. ევროპელთა გამოჩენამდე ავსტრალიაში დაახლოებით 500 ენაზე მოლაპარაკე ეთნოსი მკვიდროდა. ეს ენები კი 26 ენათა ოჯახში ერთიანდებოდა. ყველაზე დიდი ენათა ოჯახი იყო *პამა-ნიუნგა.* გაქრობას გადარჩენილი აბორიგენების 2/3 ამ ენათა ოჯახს ეკუთვნის. ამ ენათა ოჯახის ყველაზე დიდ ეთნოსებს წარმოადგენენ: *მაბუიაგი* (14 ათასი ადა-

მიანი), *ვარლპირი, ვალმაჯარი, არანდა, პიტჯანდარა*. დანარჩენი ენათა ოჯახები თავმოყრილია ავსტრალიის უკიდურეს ჩრდილოეთში. თითოეული მათგანი დღეისათვის რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე კაცს ითვლის.

მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ავსტრალიის კონტინენტი არათანაბრად იყო დასახლებული, რაც ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული. ტომების დიდი ნაწილი ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბარაქიან ზონაში ბინადრობდა, სადაც ნალექების საკმარისი რაოდენობა მოდის და გარემო ადამიანებს უზრუნველყოფდა საკვებად ვარგისი მცენარეებითა და ცხოველებით.

მამაკაცების ძირითადი საქმიანობა მონადირეობა იყო, ხოლო ქალებისათვის კი – საკვებად ვარგისი ფლორისა და ფაუნის შეგროვება. აბორიგენები *ბუმერანგითა* და *შუბებით* ნადირობდნენ. თევზს იჭერდნენ კალათებით, ჭვილთითა და ხელით. მოშინაურებული ჰყავდათ ნახევრად ველური ძაღლი *დინგო*. ავსტრალიაში არსად არ მისდევდნენ პრიმიტიული მიწათმოქმედების ფორმებსა და მეცხოველეობასაც კი. ყოფითი საჭიროებისათვის იარაღს ქვის, ხის, ძვლისა და ნიჟარებისაგან აკეთებდნენ. მათ მუდმივი საცხოვრებელი სახლები არ ჰქონდათ. ცხოვრობდნენ მომთაბარეთა დროებით სადგომებში (ქოხებში). უმეტეს შემთხვევაში ღია ცის ქვეშ სადგომებზე ატარებდნენ დროს. აბორიგენები არ იცვამდნენ ტანსაცმელს (ზოგიერთი ხალხი თეძოზე ბალახის შემოსარტყმელს ატარებდა) და მთელი წლის განმავლობაში შიშვლები დადიოდნენ. კონტინენტის სამხრეთი და კუნძული *ტასმანია*, სადაც კლიმატი გრილია, ცნობილი იყო კენგურუს ტყავის მოსასხამებით. შეეძლოთ ცეცხლის დაკვესება და ცეცხლზე საჭმლის მომზადება.

ავსტრალიის ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების წესი მუდმივად ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა იყო. ერთ სადგომზე იშვიათად ჩერდებოდნენ ორ-სამ კვირაზე მეტს. ცხოვრების ასეთი წესი განპირობებული იყო მონადირეობითა და შემგროვებლობით. მაგრამ ეს უწესრიგო ხეტიალი არ ყოფილა. აბორიგენთა ყოველი ტომი თუ ლოკალური ჯგუფი ფლობდა მიწის გარკვეულ სივრცეს, რასაც ის თავისად მიიჩნევდა. ამ სივრცეში გადაადგილდებოდნენ საუკუნეების წინ გამომუშავებული მარშრუტით. გადაადგილება კი განპირობებული იყო წელიწადის დროებითა და ბუნებრივი ციკლებით.

ავსტრალიური ტომების საზოგადოებისა და კულტურათა ფორმირება ბუნებასთან გაუწყვეტელი ერთობის შედეგად ხდებოდა. აბორიგენებმა დაწვრილებით იცოდნენ თავიანთი მიწის ფაუნა და ფლორა, ზნე, სასიცოცხლო ციკლი და ცხოველთა სეზონური მიგრაციები. ისინი ბევრ ისეთ რამეს ჭამდნენ, რომე-

ლთა ჭამა ევროპელს თავში აზრად არასდროს მოუვიდოდა: გველებს, ხვლიკებს, მწერების მატლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ ჩანთოსნებზე. გამოიყენებდნენ მცენარეულსაც – ველურ მცენარეებს, ძირნაყოფებსა და სხვ. საკვების მოსაპოვებლად აბორიგენებს დღეში დაახლოებით ორი-სამი საათის გავლა სჭირდებოდათ.

ევროპელთა გამოჩენისას *ავსტრალიის* (აგრეთვე *პოლინეზიის*) ბევრი ხალხისთვის უცნობი იყო საჭმლის მოხარშვა და წყლის ადუღება. საერთოდ ცეცხლის მოხმარებამ განუსაზღვრელად დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის კვებით რეჟიმზე. რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ითქვას, რომ წყნარი ოკეანის *კუნძულ ფანუა ლუაზე,* რომელიც ამერიკელებმა აღმოაჩინეს 1841 წელს, მისმა ბინადრებმა საერთოდ არ იცოდნენ ცეცხლის გამოყენება.

ეთნიკური ერთობები ტომების სახით იყო წარმოდგენილი. საზოგადოებრივი გაერთიანების უფრო მცირე ერთობებს წარმოადგენდა ლოკალური ჯგუფი (თემი) და ოჯახი. ავსტრიული ტომი საშუალოდ 500 კაცს ითვლიდა. ის ფლობდა გარკვეულ ტერიტორიას. ტომის წევრები ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე და თავს გაიაზრებდნენ განსაკუთრებულ კულტურულ ერთობად, რითაც განსხვავდებოდნენ ანალოგიური ერთობებისაგან. არ ჰყავდათ ბელადები, არ გააჩნდათ ხელისუფლების სხვა ორგანოებიც, საომარი და სხვა მიზნებით არასდროს იკრიბებოდნენ ერთად. მოკლედ რომ ვთქვათ, **ავსტრალიური ტომები არა სოციალურ-პოლიტიკური, არამედ, უპირველ ყოვლისა, ეთნოკულტურული და ენობრივი ერთობები იყო.** ეთნოლოგებისათვის ცნობილი იყო ისეთი ტომებიც, რომელთა წევრებს ტომობრივი ცნობიერება გააჩნდათ, მაგრამ მეტყველებდნენ ერთმანეთისაგან ძალიან დაცილებულ დიალექტებზე. კერძოდ, ეს ტიპური იყო ისეთი ტომისათვის, როგორიცაა *არანდა,* რომლის წევრები მინიმუმ ოთხ დიალექტზე ლაპარაკობდნენ, რომლებსაც ზოგიერთი მეცნიერი დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს. აბორიგენთა უმეტესობისათვის ენობრივი ბარიერი მთავარი არ იყო, რადგან მახლობელი ტომების სამი-ოთხი ენის ცოდნა მათთვის ნორმა იყო. გარდა ამისა, ავსტრალიის ბევრ ადგილას ოდითგანვე არსებობდა ტომთაშორისი ენებიც. **ხშირად ტომებს თვითსახელწოდება არც კი ჰქონდათ, მაგრამ გააჩნდათ მეზობლების მიერ შერქმეული სახელი.**

თითოეული ტომი თემებისაგან შედგებოდა. თემის მეთაური იყო ყველაზე ხანში შესული მამაკაცი, რომელიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. ჩვეულებრივ, ტომები ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. ქორწინება სხვადასხვა წეს-ჩვეულებით რეგულირდებოდა, რომელთა შორის ყვე-

ლაზე მთავარი ეგზოგამია იყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ნათესაობა. ეს ინსტიტუტი კი ევროპელთა ანალოგიური ინსტიტუტისაგან ძალიან განსხვავდებოდა. მათთვის უცნობი იყო ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „მამის ძმა – ბიძა“, „დედის და – დეიდა“ და ა. შ. აბორიგენი დაბადებისთანავე სანათესაო ჯგუფის სისტემაში აღმოჩნდებოდა. ის სიტყვას „დედა“ უწოდებდა არა მხოლოდ იმ ქალს, ვინც დაბადა, არამედ ქალთა ძალიან დიდ ჯგუფს. იგივე შეიძლება ითქვას *მამის*, *ძმის*, *დის* და სხვა ცნებების შესახებ. მათი რელიგია ტოტემიზმი და მაგიური რწმენა-წარმოდგენები იყო. ადგილობრივები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბავშვები ჩნდებიან მამაკაცების მიერ შესრულებული განსაკუთრებული მაგიური ქმედებების შედეგად, რაც იწვევდა ტოტემურ ცენტრებში ბინადარი ბავშვთა სულების წაქეზებას ჩასახლებულიყვნენ ქალის სხეულში, რისგანაც ისინი ფეხმძიმდებოდნენ. თანაც **ბავშვის გაჩენა ჯერ კიდევ ადამიანის მოვლინებას არ ნიშნავდა. ადამიანად ქცევისათვის აუცილებელი იყო *ინიციაციის* წესის შესრულება**. ამ დროს ბიჭებს აცნობდნენ წმინდა მითებს, თქმულებებს, გადმოცემებს სამყაროს, მისი წარმოქმნის, გმირების შესახებ; არქმევდნენ ნამდვილ მამაკაცურ სახელებს, სხეულზე გამოსახავდნენ სპეციალურ ნიშნებს ნაჭდევის სახით. ავსტრალიის ადგილობრივ მკვიდრთ არ ჰქონდათ იმის შეგნება, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო და ადამიანების გარდაცვალებას ჯადოქრების მაგიურ ქმედებებს მიაწერდნენ. უკიდურეს შემთხვევაში მიიჩნევდნენ, რომ გარდაცვლილის სულები უკან, ტოტემურ ცენტრებში ბრუნდებოდნენ და გარკვეული ხნის შემდეგ იქიდან დაბრუნებულნი ხელახლა სხვათა სხეულებში სახლდებოდნენ. აბორიგენთა ცეკვები ვოკალური მუსიკის თანხლებით სრულდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში ავსტრალიაში ანგლოავსტრალიელთა ერი (ნაცია) ჩამოყალიბდა, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. ავსტრალიელები ყოველი წლის 26 იანვარს ნაციონალურ დღესასწაულს აღნიშნავენ. 1788 წლის სწორედ ამ დღეს ბრიტანელებმა კონტინენტზე პირველი 736 კატორღელი და 294 დამცველი გადმოსხეს. ამდენად, ავსტრალიის პირველი თეთრი მოსახლენი მსჯავდადებულნი იყვნენ. შემდეგ კი ბევრი თავისუფალი ადამიანი მოდიოდა. განსაკუთრებით ბევრი მიგრირდა 10 წლის განმავლობაში – 1851-1861 წლებში და ინგლისის კოლონიის მოსახლეობა 438 ათასიდან 1 მილიონ 168 ათასამდე გაიზარდა. თანამედროვე ავსტრალიის მოსახლეობის 3/5-ს ინგლისელების შთამომავალნი წარმოადგენენ, შემდეგ მოდიან ირლანდიელთა შთამომავალნი (მთელი მოსახლეობის 1/4), შოტლანდიელებისა – 1/8, უელსელებისა – 1,5%. იტალიური წარმოშობის 2%-ია, გერმანული და ჰოლან-

დიური წარმოშობისა – 1-1%, ბერძნული წარმოშობისა – 1,5%. ისინი სხვადასხვა ქრისტიანული მიმართულების მიმდევრები არიან. ინგლისელთა მემკვიდრენი ანგლიკანიზმს აღიარებენ, ირლანდიელებისა – კათოლიციზმს, შოტლანდიელებისა – პრესვიტერიანიზმს. ინგლისის კოლონიამ სახელმწიფოებრივი სტატუსი 1901 წელს მიიღო. ის გამოცხადდა ავსტრალიის კავშირად დომინიონის სტატუსით (სახელმწიფო ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში). ავსტრალიელთა ნაციონალური ცნობიერების გადამწყვეტ ეტაპად ითვლება 1949 წელი, როდესაც ადრე დაკანონებული „ბრიტანეთის ქვეშევრდომის“ ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „ავსტრალიელი“. თანამედროვე ავსტრალიელები წუხან, რომ მიმდინარეობს ავსტრალიური კულტურის სწრაფი ამერიკანიზაცია. ერთ-ერთმა არქიტექტორმა ამ მოვლენას „ავსტერიკა“ (*ავსტრალია+ამერიკა*) უწოდა. მას მხედველობაში ჰქონდა ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ცხოვრების იერსახეში ამერიკული მოდის ბრმად კოპირება. ადრე თუ იმიგრანტთა მიზანმიმართული ასიმილაციის კურსი ტარდებოდა, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და *მულტიკულტურალიზმის* იდეები დამკვიდრდა.

მიგრანტმა ევროპელებმა თავის დროზე ავსტრალიაში ბევრი სიახლე დანერგეს. მაგალითად, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანელები გახდნენ მევენახეობისა და მეღვინეობის პიონერები, განსაკუთრებით კი სამხრეთ ავსტრალიის შტატში. ასევე გერმანელებმა პირველებმა შექმნეს აფთიაქებისა და საკონდიტროების ქსელები, პირველებმა დაიწყეს რთული მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება. ბერძნებმა განავითარეს შაქრის ლერწმისა და ფორთოხლის მოყვანა.

ავსტრალიაში დღეისათვის რამდენადმე დიდ ეთნიკურ ჯგუფს აქვს თავისი კულტურული ცენტრები. ეს არაა გასაოცარი, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრალიის ქალაქების ეთნიკური სურათი საოცრად შეიცვალა. ადრე თუ იმიგრანტების უმეტესობა ინგლისურენოვანი იყო, ახლა ავსტრალიაში ცხოვრობს 140-მდე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომლებიც 90 ენაზე ლაპარაკობენ და აღიარებენ 80 სხვადასხვა კონფესიას. ახალი იმიგრანტებიდან ბერძნები, ჰოლანდიელები, იტალიელები უპირატესად მელნბურნში სახლდებიან. მელბურნი ბერძნული მოსახლეობის რაოდენობით მხოლოდ ათენსა და სალონიკს ჩამორჩება. ფრანგები, ჩინელები, ლიბანელები, ფილიპინელები უპირატესად სიდნეის ეტანებიან, სამხრეთ სლავები და იტალიელები – ადელაიდას.

ავსტრალიის სოფლებში ძირითადად ინგლისური ტიპის სახლებია აგებული. ავსტრალიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ, ევროპისაგან განსხვავებით, სხვადასხვა ქონების პატ-

რონები თითქმის ერთნაირ სახლებში ცხოვრობენ. თანაბრობისა და დემოკრატიის სული ავსტრალიელთა ხასიათის გამორჩეული შტრიხია: მდიდრები თავიანთი სიმდიდრის დემონსტრირებას არ ახდენენ – ეს ცუდ ტონად მიიჩნევა. და ბოლოს, ავსტრალია დღეისათვის ყველაზე ურბანიზებული ქვეყანაა. XX საუკუნის დასაწყისში ქალაქის მოსახლეობა თუ 50%-ს შეადგენდა, ამავე საუკუნის დასაწყისში 90%-ს გადააჭარბა.

III.2-2.ოკეანიის ხალახები და კულტურები

ოკეანია კუნძულების სამყაროა, რომლებიც განლაგებულია წყნარი ოკეანის ვრცელი სივრცეების ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მის შემადგენლობაში 10 ათასამდე კუნძული შედის. ოკეანიის ხმელეთის ფართობი 1 მლნ. 266 ათასი კვ. კმ.-ია. ყველაზე დიდია *ახალი გვინეისა* და *ახალი ზელანდიის* კუნძულები. ოკეანიის თითქმის ყველა კუნძული განლაგებულია ეკვატორიალურ, სუბეკვატორიალურ და ტროპიკულ კლიმატურ ზონებში. მხოლოდ ახალი ზელანდიაა ნაწილობრივ სუბტროპიკულ და ნაწილობრივ ზომიერ ზონებში. ოკეანიის ისტორიულ-კულტურული რაიონებად დაყოფა ემთხვევა გეოგრაფიულს და შედგება სამი ოლქისაგან: *მელანეზია, მიკრონეზია* და *პოლინეზია.*

ფიზიკური თვალსაზრისით ოკეანიის ადგილობრივი მოსახლეობა ორ ჯგუფად იყოფა: ა) ვედო-ავსტრალოიდური (ნეგრო-ავსტრალოიდური) რასა და ბ) ვედო-ავსტრალოიდებისა და მონღოლოიდების ნარევი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მელანეზიის მოსახლეობა, რომელშიც სპეციალისტები გამოყოფენ პაპუასურ, საკუთრივ მელანეზიურ, პიგმეურ, ახალკალედონიურ და სხვა ანთროპოლოგიურ ტიპებს. შერეული ანთროპოლოგიურ ტიპი გავრცელებულია მიკრონეზიასა და მელანეზიაში.

ოკეანიის ენები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. *ავსტრონეზიური* ლინგვისტური ოჯახის ოკეანიის შტოს ენებზე ლაპარაკობენ საკუთრივ მელანეზიელები, პოლინეზიელები და მიკრონეზიელები და 2. *პაპუას ენები.* ამ ენებზე ლაპარაკობენ ახალი გვინეის პაპუასები და რამდენიმე მიმდებარე კუნძულის მოსახლეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში პაპუას ენების რაოდენობას 700 ან კიდევ 1000-ით განსაზღვრავენ.

ახალი გვინეის ხალხები სამეცნიერო ლიტერატურაში პაპუასების სახელით არიან ცნობილი (*ენგა, ჩიმბუ, მედლპა, ხული, კამანო, ანგალი, დანი...*). ახალ გვინეაში მელანეზიელებიც ცხოვრობენ. ისინი ავსტრონეზიურ ენებზე ლაპარაკობენ. პაპუასების უმრავლესობა თოხნით მიწათმოქმედებას მისდევს. იყენებენ თოხს, ქვის ცულს, ვიწრო ნიჩაბს. მათი ძირითადი კულტურებია:

ტარო, იამსი, ბატატი, ბანანი, შაქრის ლერწამი, ქოქოსისა და *საგის პალმა, პურის ხე.* სამიწათმოქმედო სამუშაოებს ძირითადად ქალები ასრულებენ. შინაური ცხოველებიდან პაპუასები აშენებენ ღორებს, ძაღლებსა და ქათმებს. ნადირობდნენ შუბითა და მშვილდ-ისრით გარეულ ღორზე, კაზუარზე, წვრილ ფრინველებზე, კუსკუზე, ხვლიკებსა და გველებზე. მეთევზეობა, ზოგიერთი სანაპირო დასახლების გარდა, სუსტად იყო განვითარებული. მათთვის უცნობი იყო ლითონი – შრომის იარაღები ხის, ქვის, ძვლისა და ნიჟარისაგან ჰქონდათ გაკეთებული. მოკლედ რომ ვთქვათ, *პაპუასების* დიდი ნაწილი ხელით მიწათმოქმედთა სამეურნეო ტიპს მიეკუთვნებოდა.

ახალგვინეელების ცხოვრების თავისებურება ის იყო, რომ მამაკაცები განსაკუთრებულ, მამაკაცთა, სახლებში ცხოვრობდნენ. საცხოვრებელი ხიმინჯებიანი ქოხი იყო. ბოძებზე დადგმული სახლების იატაკი ლერწმისა იყო. კედლებიც ლერწმისაგან ან ხის ქერქისაგან კეთდებოდა. ქალის ტანსაცმელი ბალახების ბოჭკოსაგან გამოყვანილი ქვედატანი იყო, კაცებისა – თეძოზე შემოსარტყმელი სარტყელი. სარტყელს *ტაპისაგან* (დამბალი და გამოკვერილი ხის ქერქი) ამზადებდნენ. მას რამდენჯერმე იხვევდნენ თეძოებზე და ჩაშვებული ჰქონდათ ფეხებს შორის. მამაკაცებში ძალიან იყო გავრცელებული ტატუირება და ტანის შეღებვა. სამკაულებსაც ძირითადად მამაკაცები ატარებდნენ. ძირითადად იკვებებოდნენ ხილითა და ბოსტნეულით, იშვიათად – ხორცით (ღორის, ძაღლის, ქათმის, კატის). ცეცხლს ადრე ხახუნით აჩენდნენ.

პაპუასების თითოეული ტომი ცალკე ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდა. მაგრამ ისინი, როგორც ავსტრალიელებში, წარმოადგენდნენ არა სოციალურ-პროტესტარულ, არამედ ეთნიკურ ერთობებს. არ ჰყავდათ ტომის ბელადებიც. შემორჩენილი იყო მამისეული გვარი. ყველაზე დიდი სოციალური ორგანიზაცია კი გვართა კავშირი იყო. დედისეული გვარი ახალ გვინეაზე მხოლოდ მელანეზიელებში იყო. რამდენიმე გვარს გაერთიანება ჰქონდა შექმნილი. ახალ გვინეაში ძირითადი სამეურნეო უჯრედი თემი იყო. ყველაზე გავრცელებული კი გვაროვნული თემი გახლდათ. გვაროვნულ თემს ხელმძღვანელობდა პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ადამიანი. გამოყოფენ აგრეთვე ჰეტეროგენულსა და მეზობლურ თემებს. ჰეტეროგენული თემი ერთი გვარისებს არ აერთიანებდა, თუმცა მისი წევრები მონათესავენი მაინც იყვნენ.

პაპუასების რელიგია *ტოტემიზმი, მაგია, წინაპართა კულტი* იყო. დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი ფორმალურად ქრისტიანია. ჰქონდათ დამრიგებლური ხასიათის, მორალის შემცველი ზღაპრები.

მელანეზია ეთნიკურად რთული შემადგენლობისაა. აქ 200-ზე მეტი ეთნოსი ცხოვრობს. ისევე როგორც პაპუასები, მელანეზიელებიც ორ ენობრივ ჯგუფად იყოფიან: *ავსტრონეზიური* და *პაპუასური*. მელანეზიის ხალხები მცირერიცხოვანია. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია *ტოლაი,* რომელიც ცხოვრობს ახალი ბრიტანეთის კუნძულებზე და 95 ათასზე მეტნი არიან. დანარჩენი ეთნოსების რაოდენობა რამდენიმე ასეულით ან ათასეულით განისაზღვრება. მელანეზიელთა ძირითად საქმიანობას ხელით მიწათმოქმედება წარმოადგენდა. გავრცელებული იყო საახოე მიწათმოქმედება. ეკონომიკის მეორე მნიშვნელოვანი დარგია მეთევზეობა. ნადირის სიმცირის გამო მონადირეობას არსებითი ხასიათი არ ჰქონდა. ევროპელთა მოსვლამდე მელანეზიელებს მოშინაურებული ჰყავდათ მხოლოდ ღორი, ქათამი და ძაღლი. მელანეზიაში ხელოსნობის დარგებიდან განვითარებულია მცენარეული ბოჭკოებისაგან ჭილოფის, კალათების, ჩანთების წვნა. ფეიქრობა მათთვის უცნობი იყო. მელანეზიელები ქსოვილის ნაცვლად ხის ქერქის გამოკვერვის გზით ამზადებდნენ განსაკუთრებულ მასალას – *ტაპის.* მელანეზიელებისათვის უცნობი იყო ლითონიც. სამეურნეო და საბრძოლო იარაღს აკეთებდნენ ქვის, ძვლების, კუს ბაკნის, ნიჟარების, ცხოველთა კბილების, ხისა და ბამბუკისაგან.

სახლებს ბამბუკისაგან აშენებდნენ, გადასახურავად კი პალმისა და ბანანის ფოთლებს იყენებდნენ. ხშირად სახლებს კედლები საერთოდ არ ჰქონდა და იგი მხოლოდ ბოძებისა და სახურავისაგან შედგებოდა. მელანეზიაში აშენებდნენ აგრეთვე დიდი მოცულობის მამაკაცთა სახლებს. გადასაადგილებლად პურის ხის მორისაგან ამოღარულ ნავებს გამოიყენებდნენ. მელანეზიელთა გარკვეული ნაწილი ტანსაცმელს საერთოდ არ ხმარობდა. ატარებდნენ თეძოსაკრავს, წინსაფარს, ქვედატანსა და სარტყელს, რომლებიც წინა მხრიდან ბალახით იყო დაფარული.

საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მელანეზიელები პაპუასებს უსწრებდნენ, მაგრამ ჩამორჩებოდნენ აღმოსავლელ მეზობლებს – პოლინეზიელებს. ტომობრივი ორგანიზაცია აქა-იქ არსებობდა. ტომები მხოლოდ ეთნიკური ერთობების სახით არსებობდნენ. მელანეზიელებში საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე დამახასიათებელი ფორმა იყო სასოფლო თემი. ქრისტიანობა, ისევე როგორც ახალ გვინეაში, ზედაპირულადაა გავრცელებული.

პოლინეზია (ძველი ბერძნული – „ბევრი კუნძული“) – ესაა ათასი კუნძული, რომლებიც განლაგებულია ე. წ. „პოლინეზიის სამკუთხედში“, რომლის წვეროებს ჩრდილოეთით წარმოადგენს *ჰავაის* კუნძული და *ახალი ზელანდიის* ორი დიდი კუნძული

სამხრეთ-დასავლეთში და *კუნძული პასხი* სამხრეთ-აღმოსავლეთში. გარდა ნახსენები კუნძულებისა პოლინეზიის შემადგენლობაში შედის არქიპელაგი *ტონგა, სამოა, ტაიტი, კუკა* და სხვ. არქიპელაგებს შორის მანძილი ათასობით კილომეტრია. პოლინეზიელებში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ზღვაოსნობის ხელოვნება. პოლინეზიელების ზღვაოსნობას განპირობებდა არა მხოლოდ მათი ხომალდების მაღალი ხარისხი, რომლის დასამზადებლად ლითონის ერთ ნატეხსაც კი არ იყენებდნენ, არამედ ნაოსნობის ხელოვნება, რაც ეფუძნებოდა მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ასტრონომიის ცოდნას.

ხალხები ტრადიციული კულტურით ერთმანეთთან ახლოს დგანან. რასობრივი თვალსაზრისით მათ ავსტრალოიდებსა და მონღოლოიდებს შორის გარდამავალი საფეხური უჭირავთ. პოლინეზიელებში კარგად იყო განვითარებული მეთევზეობა და ხელოსნობა. უცნობი იყო ლითონი. ცხოვრობდნენ სოფლებში. საცხოვრებელი სახლები ბოძებზე ჰქონდათ შემოდგმული, კედლები კი ბალახებისა და ფოთლებისაგან ჰქონდათ მოწნული. ტანსაცმელი თეძოზე ჰქონდათ შემორტყმული. **პოლინეზიელებში არავითარი სოციალური დიფერენციაცია არ არსებობდა.** პოლინეზიელების რელიგის განსაზღვრავენ, როგორც პოლითეიზმს. ისინი თაყვანს სცემენ რამდენიმე ასეულ ღმერთს, მაგრამ თითქმის ყველა კუნძულზე მთავარი ღმერთი ოთხი ჰყავდათ: 1) *ტანე* – მზის ღვთაება, რომელიც მამაკაცურ საწყისს განასახიერებდა; ის იყო ღმერთი-შემოქმედი; 2) *ტუ* – ომების ღმერთი; 3) *რონგო* – მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება, რომელიც განასახიერებდა ნაყოფიერებას და 4) *ტანგოროა* – დედამიწისა და ადამიანების შემქმნელი ღმერთი. პოლინეზიაში თითქმის ყველა კუნძულზე არსებობდა სატაძრო ცენტრები, ზოგან ქურუმთა სკოლებიც კი არსებობდა. *ოპოაში* პოლინეზიის ყველა წერტილიდან სადღესასწაულოდ რეგულარულად იკრიბებოდნენ ქურუმები და ბელადები. სხვათა შორის, ევროპელმა პროტესტანტმა მისიონერებმა, რომლებიც პოლინეზიას პირველად 1797 წელს ესტუმრნენ, სისხლის გუბეები დააყენეს მათთვის, ვინც ახალ რელიგიის მიღებაზე უარს ამბობდა. ძალადობრივმა ქრისტიანობამ თითქმის ყველგან გაანადგურა ადგილობრივთა რწმენა-წარმოდგენები და მათთან დაკავშირებული სულიერი კულტურა (მითოლოგია, საწესჩვეულებო ცეკვები, საქორწინო წესები). **ევროპელთა მიერ შემოტანილმა სპირტიანმა სასმელებმა და ინფექციურმა დაავადებებმა სიკვდილიანობის დონე მკვეთრად აამაღლა**. ამის შედეგად ერთი კუნძული თითქმის სულ გაუკაცრიელდა, სხვებზე კი *კონაკის* (პოლინეზიელების შემკრები სახელწოდება) რაოდენობა რამდენჯერმე შემცირდა. შუა პოლინეზიაში XX საუკუნის დასაწყისში ეს ნეგატიური პროცესები

რამდენადმე შეჩერდა და ტრადიციული კულტურა შენარჩუნდა. დღეისათვის ისინი პროტესტანტი ქრისტიანები არიან. პოლინეზიელები მღეროდნენ სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტების თანხლებით. ახალი ზელანდია *მაორებით* იყო დასახლებული, რომლებიც ხის სახლებში ცხოვრობდნენ. ტანსაცმელს იკერავდნენ ახალზელანდიური სელისაგან. მოჰყავდათ *ბატატი.* ახლა მოსახლეობა ძირითადად ევროპელთა შთამომავალია. თანამედროვე ახალ ზელანდიაში *მაორების* რაოდენობა დაახლოებით 325 ათასი კაცია (ინგლისელი კოლონიზატორების მოქმედების შედეგად XIX საუკუნის ბოლოს მაორების რაოდენობა 200 ათასიდან 40 ათასამდე შემცირდა). კუნძულებზე ცხოვრობს *ლაუს* ხალხი, რომელთათვისაც ძვირფასეულობა ნიჟარები იყო. ნიჟარებით ისინი საცოლეს ყიდულობდნენ.

III.2-3.**დასავლეთ აზიის ხალხები**

დასავლეთი, ანუ წინა აზია ევრაზიის კონტინენტზეა განლაგებული და მოიცავს არაბეთის ნახევარკუნძულს, სომხეთისა და ირანის ზეგანს / მთიანეთს, მესოპოტამიას, მცირე აზიას, პალესტინას. აღმოსავლეთით ის გადაჭიმულია ჰინდიყუშის ქედამდე. რეგიონის ფართობი 7,5 მლნ. კვ. კმ. დასავლეთ აზიის რელიეფი და კლიმატი რეგიონების მიხედვით აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დასავლეთ აზიაში დიდი მდინარეები ბევრი არაა. ესენია მესოპოტამიაში *ტიგრი* და *ევფრატი.* რეგიონში მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული: ოაზისები დასახლებულია მჭიდროდ, ხოლო მთები და უდაბნოები პრაქტიკულად დაუსახლებელია. დასავლეთ აზიის ტერიტორიაზე მდებარეობს: *ავღანეთი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ომანი, თურქეთი, საუდის არაბეთი, სირია, იემენი, ისრაელი, ლიბანი, იორდანია, კვიპროსი, კატარი, ბახრეინი* და *გაერთიანებული არაბეთის საამიროები.*

დასავლეთ აზია ანთროპოგენეზის ერთ-ერთ კერადაა მიჩნეული. აქვეა ცხოველთა დომესტიკაციისა (მოშინაურების) და მცენარეთა კულტივაციის პირვანდელი ცენტრები. შუამდინარეთში ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა დიდი შუმერული ცივილიზაცია. *შუმერების* ენა შესწავლილია, მაგრამ საიდან მოვიდნენ აქ ისინი, დადგენილი არაა. არაა დადგენილი შუმერული ენის ადგილი ლინგვისტურ კლასიფიკაციაში. ძვ. წ.-ის III ათასწლეულში წინა აზიის დასავლეთ ნაწილში ფართოდ განსახლდნენ სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. *შუმერების* მემკვიდრეები გახდნენ *აქადელები* და სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებმაც გვიან დიდი ბაბილონის სამეფო შექმნეს.

ძვ. წ.-ის III-II საუკუნეებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სემიტურენოვანი ხალხების მიერ შექმნილი რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა. მათ შექმნეს დიდი კულტურული ფასეულობები, რაც დროთა განმავლობაში ევროპული ცივილიზაციის საფუძვლად იქცა. მაგალითად, უძველესი ანბანური დამწერლობა, რომელიც ყველა ძველი და თანამედროვე ანბანის საფუძვლად იქცა, ფინიკიელთა შემოქმედებაა. *ფინიკიელები* აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ბინადრობდნენ და მამაცი მოგზაურები და ვაჭრები იყვნენ. ძველი ებრაელების ენაზეა შექმნილი ბიბლია. ძვ. წ.-ის II ათასწლეულში სემიტურენოვანი ხალხების განსახლება მიმდინარეობდა: *ქანაანელები* და *არამელები* დასახლდნენ მესოპოტამიის სამხრეთ-დასავლეთით. მიმდინარეობდა არაბეთის ნახევარკუნძულის დასახლება. **ძვ. წ.-ის I ათასწლეულის ბოლოს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა არამეულ ენას, რომელმაც რეგიონის ბევრი სალაპარაკო ენა შეავიწროვა. მაგალითად ძველებრაულის დასახელებაც საკმარისია.** ძვ. წ.-ის II ათასწლეულის შუა ხანებიდან მცირე აზიაში ჩნდებიან ინდოევროპელი *ნესიტები* და *ლიკიელები.* ძვ. წ.-ის IX საუკუნეში წინა აზიის ჩრდილოეთსა და სამხრეთ კავკასიაში, თანამედროვე სომხეთის ზეგანზე, წარმოიქმნა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო. ამ ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის შუა ხანებში *ურარტელები* სომხებმა შეცვალეს. იმავე ათასწლეულში დასავლეთ აზიაში ინდოევროპელი ხალხების მიგრაციის შედეგად დიდი ეთნიკური და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. წარმოიქმნა მსხვილი დესპოტური სახელმწიფოები: *პართია, მიდია, სპარსეთი, ბაქტრია.* ხდებოდა *სკვითების* შემოჭრაც. რთული და მრავალმხრივი ეთნიკური პროცესების შედეგად წარმოიქმნებოდა და ქრებოდა სხვადასხვა ეთნოსოციალური ერთობები, რომელთა ნაწილმაც შუა საუკუნეებში ფორმირებული თანამედროვე ხალხები წარმოქმნა. ირანისა და თურქეთის ქურთისტანიდან მოყოლებული სამხრეთ აზიის ჩრდილოდასავლეთამდე თანდათან ჩამოყალიბდა ინდოევროპულ ენათა ოჯახის დასავლურ-ირანულ ენებზე მოლაპარაკე მთელი რიგი ეთნოსები: *სპარსელები, ტაჯიკები, პუშტუნები, ქურთები, ბელუჯები, ლურები, ბახტიარები* და მრავალი სხვა.

ძალიან დიდი პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური შედეგი ჰქონდა არაბთა დაპყრობებს VII-VIII საუკუნეებში. არაბებმა დაიპყრეს წინა აზიის ძალიან დიდი სივრცეები. ამ დროს არაბებს შეერია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის დამორჩილებული მოსახლეობა და მოხდა თანამედროვე არაბული ეთნოსების ფორმირება. არაბული ერთობის შიგნით ანთროპოლოგები სხვადასხვა ანთროპოლოგიურ ტიპებს გამოყოფენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არაბთა განსახლების პროცესში ბევრი

მცირე ჯგუფის ჩაყლაპვა და არაბიზირება მოხდა. დაპყრობების დროს არაბები ავრცელებდნენ ისლამს, რამაც გამოიწვია რადიკალური კულტურული ცვლილებები. მართალია, მეცნიერთა ნაწილი ისლამიზაციისა და არაბიზაციის სინქრონულად მიმდინარეობის შესახებ მიუთითებს, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისლამიზაცია წინ უსწრებდა არაბიზაციას და ყველგან არც განხორციელებულა ასიმილაციური პროცესი. მაგალითად, ირანში ადგილობრივი კულტურის მაღალი დონის გამო, არაბიზაციამ ვერ გაიმარჯვა. ამასთან ერთად მოხდა ფართო ეკონომიკური და კულტურული გაცვლა-გამოცვლა, რამაც განაპირობა მეცნიერების, მედიცინის, ტექნიკური ცოდნის გავრცელება. არაბული ენა იქცა მეცნიერებისა და ლიტერატურის უნივერსალურ ენად. ამ ენაზე წერდნენ არა მხოლოდ არაბი, არამედ წინა და შუა აზიის მეცნიერები. წინა აზიის ეთნიკურ ისტორიის შემდეგი ეტაპი იყო X და მომდევნო საუკუნეებში მის ჩრდილო-დასავლეთ ოლქების *თურქთა* მიერ დაპყრობა. ისინი აქ ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ. XI საუკუნეში *თურქმა სელჯუკებმა* დაიქვემდებარეს მცირე აზია და სამხრეთ კავკასიის ნაწილი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალი თურქული და აზერბაიჯანული ეთნოსების წარმოქმნას. ეს პროცესი გრძელდებოდა მონღოლთა ლაშქრობების დროსაც, რომელთა არმიის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით იყვნენ სრულიად განსხვავებული თურქულენოვანი ხალხები. ამის შედეგი იყო ახალი ეთნიკური ერთობების წარმოქმნა.

მძაფრი ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა მოგვიანებითაც. XVII საუკუნეში ირანში ძალადობრივად გადაასახლეს ქართველთა და სომეხთა რამდენიმე ჯგუფი. XVII-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის ხელისუფლებმა *ქურთების* რამდენიმე ჯგუფი თურქეთის სამხრეთში, ცენტრალურ ანატოლიაში, ხორასანში გადაასახლა. დაახლოებით იმავე პერიოდში მიმდინარეობდა *პუშტუნების* გადაადგილება სამხრეთიდან თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიის ჩრდილოეთში. ასე გადავიდნენ ნომადი *პუშტუნები* ბინადარ ცხოვრებაზე. მათ კი, თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა ჩრდილოეთით გადასწიეს. კავკასიის ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში ადგილობრივ კავკასიელთა მთელი რიგი ეთნიკური ერთობები გადასახლდნენ. 1915 წელს ოსმალეთიდან *სომეხთა* და *ბერძენთა* დიდი ჯგუფები გაიქცა. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მნიშვნელოვანი ეთნოპოლიტიკური პროცესები განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. წარმოიქმნა ისრაელის სახელმწიფო (1947 წელი), სადაც ებრაელთა დიდი ჯგუფები გადასახლდა ჩრდილოეთ აფრიკიდან, დასავლეთ აზიის სხვა რაიონებიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან.

დასავლეთ აზიის ხალხებმა მრავალათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში უამრავი ფუნდამენტური კულტურული ფასეულობა შექმნა, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციების მიღწევათა საფუძვლად იქცა.

რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა დიდი ევროპეიდული რასის სხვადასხვა რასობრივ ტიპს მიეკუთვნება. მხოლოდ ავღანეთში მობინადრე *ხაზარიელები* არიან მონღოლოიდები. დასავლეთ აზიის ხალხები ლაპარაკობენ ინდოევროპული, სემიტური და თურქული ოჯხების ენებზე. ინდოევროპულ ენათა ოჯახი წარმოდგენილია დასავლეთ-ირანული შტოს ენების სახით: *ფარსი (სპარსული), ტაჯიკური, ქურთული, პუშტუ, ბელუჯური, ლურიული, ბახტიარული* და სხვ. აღმოსავლეთ-ირანული შტოს ენებზე საუბრობენ ავღანეთის მთიანეთში მცხოვრები *იაღნობელები, იაზღულემები, რუშანელები* და სხვ. ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ *სომხები, ბერძნები.* არაბეთის ნახევარკუნძულზე, სირიასა და ერაყში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაბატონებულია სემიტური ენები: სალიტერატურო *არაბული* და მისი დიალექტები, *ივრითი* – ისრაელში და მცირერიცხოვანი ხალხების რამდენიმე ენა: *ასირიული,* ლიბანისა და სირიის სემიტური დიალექტები. ზოგიერთი ეთნოკონფესიური ჯგუფი ლაპარაკობს ახალარამეულ ენაზე. *ალთაურ* ენათა ოჯახის *თურქული* შტოს ენებზე ლაპარაკობენ *თურქები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, იურიუკები, შახსევანები, კაშკაელები.* გარდა ამისა, ავღანეთში თურქული ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ 1930-იან წლებში გადასახლებული *უზბეკები, ყაზახები, ყარაყალფაკები.*

დღეისათვის წინა აზიის ქვეყნები ეთნიკური შემადგენლობით ერთგვაროვანი არაა. უფრო მეტად ერთგვაროვანია არაბული ქვეყნები, ისრაელი. სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, საუდის არაბეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, ბახრეინში არაბები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ (მოსახლეობის 85-90%). მხოლოდ ერაყში მცხოვრებთა 1/3-ს შეადგენენ *ქურთები.* ამასთანავე *ქურთების* მნიშვნელოვანი რაოდენობა ბინადრობს სირიაში, თურქეთსა და ირანში. რთულია ირანისა და ავღანეთის ეთნიკური შემადგენლობაც, სადაც ათობით სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს. ირანში წამყვანი ეთნოსი *სპარსელები* არიან, ავღანეთში – *პუშტუნები.* ირანში, სირიასა და ლიბანში მრავალრიცხოვანია სომხური თემი. თურქეთში, როგორც ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, ისე ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ქართველები.

დასავლეთ აზიაში ყველა ერი (ნაცია), თურქების გარდა, არაბული დამწერლობით სარგებლობს.

არაბები მეტაეთნიკურ ერთობას წარმოადგენენ და ამ ერთობის შემედგენლობაში შედიან ადგილობრივი ხალხები: *საუდელები, იემენელები, ერაყელები* და სხვ. აზიაში არაბების საერთო რაოდენობა 70 მილიონზე მეტი კაცია. სხვადასხვაგვარმა ბუნებრივმა პირობებმა, ისტორიული განვითარების თავისებურებებმა არაბულ ქვეყნებში სხვადასხვა სამეურნეო-კულტურული ტიპების წარმოქმნა გამოიწვია. უძველეს დროსვე *ტიგრისა* და *ევფრატის* შუამდინარეთსა და სხვა რეგიონებში შეიქმნა ინტენსიური საირიგაციო მიწათმოქმედება. აქ მიწათმოქმედების საფუძველს წარმოადგენდა მარცვლოვანი მეურნეობა (ხორბალი, ქერი, ბრინჯი). უდაბნო ადგილებში მიწათმოქმედება მხოლოდ წყალთან და ოაზისებთან არსებობდა; აქ ძირითად კულტურას ფინიკის პალმა წარმოადგენდა. მთის მიწათმოქმედებაც მიწის მორწყვით ხდებოდა. დასავლეთ აზიის არაბული ქვეყნების ბევრ სასოფლო-სამეურნეო დარგს ექსპორტის დანიშნულება აქვს. ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნებში შეაქვთ ყავა, ფინიკის ჩირი, ვაშლი, ყურძენი და ბევრი სხვ.

ჯერ კიდევ ასი წლის წინ ცენტრალური არაბეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ მომთაბარე-მესაქონლეები (*ბედუინები*), რომლებიც არაბეთის ვრცელ უდაბნოში ცხოვრობენ. *ბედუინებს* მოშენებული ჰყავდათ ერთკუზიანი აქლემი და არცთუ ისე დიდი რაოდენობით ცხენი. აღარას ვიტყვით დასავლეთ აზიაში მცხოვრები არაბების მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობების შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრიად მდიდარია მათი სულიერი კულტურა. **VII საუკუნის დასაწყისში არაბეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ისლამი. ისლამის საფუძველჩამყრელია ქ. მექის მცხოვრები *მუჰამედი* (570-632 წწ.). იმავე ეპოქაში შეიქმნა მუსლიმების წმინდა წიგნი – *ყურანი.* ისლამში ბევრი რამაა ნასესხები იუდაიზმიდან და ქრისტიანობიდან.** არაბები ისლამის მიმართულების – *სუნიზმის* მომდევრები არიან, მაგრამ მცირე რაოდენობით გვხვდებიან *შიიტები* და *ხარიჯიტები.* ლიბანში მუსლიმებთან ერთად ბევრნი არიან ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები. ძალიან მდიდარია არაბული ფოლკლორი, რომელიც კლასიკური პოეზიის ერთგვარ წყაროდაც იქცა. იგივე შეიძლება ითქვას საზღაპრო და საარაკო შემოქმედებაზე, მუსიკაზე, ცეკვებზე. პრაქტიკულად ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ არაბებს ახასიათებთ სამეწარმეო საქმიანობისთვის დამახასიათებელი თვისებები. ჯვაროსნული ლაშქრობების დროსაც კი არ შეუწყვეტიათ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობა. ლიბანში სამოქალაქო ომის დროს დასავლეთ ბეირუთში მობინადრე მაჰმადიანები ჩვეულებრივ ვაჭრობდნენ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ ქრისტიანებთან. არცთუ იშვიათია

შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორი ერთდროულად მაღაზიის მფლობელიცაა. არაბული და, საერთოდ, მუსლიმური სამყაროსათვის არ არის დამახასიათებელი ქურდობა, რადგან შარიათის სასამართლო ქურდისათვის მარჯვენა ხელის მოჭრას ითვალისწინებს.

თანამედროვე ისრაელის მოსახლეობის საფუძველს *ებრაელები* შეადგენენ. მთელ მსოფლიოში დაახლოებით 14 მლნ. *ებრაელი* ცხოვრობს. ისრაელში კი მათი რაოდენობა 5 მილიონს აღწევს. ანთროპოლოგიურად *ებრაელები* ევროპეიდები არიან. სახელმწიფო ენაა *ივრითი.* ის ძველებრაული ენის მოდიფიცირებულ ფორმას წარმოადგენს. ივრითი მოსახლეობაში განათლების სისტემის დახმარებით დაინერგა. მოსახლეობის ნაწილს შეადგენენ *სეფარიდები*; ისინი ნაწილობრივ ადგილობრივი, წინააზიელი ებრაელების შთამომავლები არიან, მაგრამ ძირითად ნაწილს მაინც პირინეის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლებულები შეადგენენ. ისრაელის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი *აშქენაზები* არიან.

თურქეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს თურქები შეადგენენ. ქვეყანაში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან *ქურთები.* ცალკე გამოიყოფიან ნახევრადმომთაბარე თურქული ტომები: *იურუქები, თურქმენები, თახტამაჯები, აბდალები* და სხვ. მათგან განსხვავებით, ადგილობრივი ყველაზე ადრე მოსული თურქების სახელწოდებაა *მანავი.* მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან *ქართველები* **(1951 წლის აღწერით თურქეთში მეორე ენად ქართული ენა დაასახელა 1 მილიონ 800 ათასმა კაცმა. გარდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისა – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი – ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ შემდეგ პროვინციებში: *ორდუ, საქარია, ბურსა-ინეგოლი* (ბურსის ვილიაეთში 50 ქართული სოფელია), *ქოჩაელი, სამსუნი, გირესუნი, ამასია, ბულუ, ბალიკესირი, სინოპი, ისტანბული.* თურქეთში ცალკე გამოყოფენ *ლაზებს.* 1983 წლის მონაცემებით, თურქეთის ხელისუფლება ლაზების რაოდენობას 250 ათასით განსაზღვრავდა).** თურქეთში ცხოვრობენ აგრეთვე *ჩერქეზები* (ჩერქეზებში აერთიანებენ აბაზაფხაზებს და უბიხებს), *აბაზები / აფხაზები, ბოშნაკები / ბოსნიელები, არნაუტები / ალბანელები, ყირიმელი თათრები, ნოღაელი თათრები...* 1915 წლის მოვლენების შემდეგ თურქეთში სომხების გარკვეული რაოდენობა დარჩა (მათი რაოდენობა დღეს დაახლოებით 160 ათასია). თამამედროვე თურქული ეთნოსი მოსული თურქებისა და ადგილობრივი სხვადასხვა ეთნოსების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა. ზოგიერთ ჯგუფს აქვს მონღოლოიდური მინარევი. თურქები სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან.

ირანი, სადაც 65 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, ფრიად მრავალეთნიკური ქვეყანაა. გაბატონებული ნაცია კი *სპარსელები (ირანელები)* არიან და ისინი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ *აზერბაიჯანელები* და *ქურთები.* ირანის მოსახლეობა ევროპეიდულ რასას განეკუთვნება. ლაპარაკობენ ირანულ და თურქულ ენებზე. სპარსელები (თვითსახელწოდება *ფარსი*) ცენტრალურ და აღმოსავლეთ პროვინციებში ცხოვრობენ. დამწერლობა დაფუძნებულია არაბულ ანბანზე. *ფარსების* ტრადიციულ საქმიანობას შეადგენს სარწყავი მიწათმოქმედება. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბრინჯი და სხვა კულტურები, მათ შორის ტექნიკური კულტურები. ფართოდაა გავრცელებული მებაღეობა და მევენახეობა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს წვრილფეხა საქონლის მოშენებას. როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში ბევრი ხელოსანია. განსაკუთრებით სახელგანთქმულია სპარსული ხალიჩები. აქ ხალიჩებს მამაკაცები ქსოვენ. სახელგანთქმულია სპარსული ჭედურობა. მაღალი დონის იყო მეთუნეობა. საყოველთაოდ ცნობილია სპარსული მოჭიქული ჭურჭელი. **რელიგიით ირანელები, აგრეთვე ირანის სხვა ხალხები, მუსლიმი-შიიტები არიან.** *სპარსელები* მაღალი სულიერი კულტურის მატარებელნი არიან. ეს შეიძლება ითქვას როგორც ხალხურ, ისე პროფესიულ კულტურაზე. საყოველთაოდ ცნობილია შუა საუკუნეების სპარსული პოეზია. მდიდარი აქვთ ფოლკლორი. მშვენიერია სპარსული ინსტრუმენტული მუსიკა, რასაც ხშირად თან სიმღერაც ახლავს. ირანის ჩრდილოეთში – ხორასნის პროვინციაში *თურქმენები* ცხოვრობენ, სამხრეთში – *ბელუჯები,* დასავლეთით – *ქურთები,* ცენტრალურ ირანში – *ლურები, ბახტიარები...* ეს უკანასკნელნი წარსულში ძირითადად მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. ახლა ძირითადად ინტენსიური სახვნელი მიწათმოქმედებით არიან დაკავებული.

ასევე რთულია ავღანეთის ეთნიკური შემადგენლობაც. ქვეყანაში დაახლოებით 26 მლნ. კაცი ცხოვრობს. ავღანეთი მთიანი ქვეყანაა. სამხრეთი პროვინციების დიდი ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს. უდაბნო მხარეებში მომთაბარე და ნახევრადმომთაბარენი ცხოვრობენ. სხვაგან განვითარებულია სარწყავი მიწათმოქმედება. ავღანეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს *პუშტუნები* წარმოადგენენ. ავღანეთში ცხოვრობენ აგრეთვე ბარისა და მთის *ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები* და სხვა. ავღანეთის სახელმწიფო ენებია *პუშტუ* და *დარი* (სპარსულ-ტაჯიკური ენის ვარიანტი). XVI-XVII საუკუნეებამდე *პუშტუნები* ბინადრობდნენ ქვეყნის სამხრეთში, სადაც მისდევდნენ მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას. შემდეგ მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთში მიგრირდა, რის შედეგადაც XVIII საუკუნეში წარ-

მოიქმნა ავღანეთის სახელმწიფო. ამ სახელმწიფოში პუშტუნებს წამყვანი როლი ეკუთვნოდათ. დარი განათლებისა და კულტურის ენად მიიჩნეოდა. ავღანეთის ეკონომიკური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, რომელშიც ერთმანეთთანაა შერწყმული სარწყავი სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. უფრო განვითარებულია წვრილფეხა რქოსანი მესაქონლეობა. მომთაბარეობა ხდება მერიდიანალური მიმართულებით: გაზაფხულზე – ჩრდილოეთით, შემოდგომაზე – სამხრეთით. დიდი ხნის განმავლობაში ავღანეთის ხალხები სახელგანთქმული იყვნენ როგორც დახელოვნებული ხელოსნები, იუველირები, მჭედლები, მქსოველები. მნიშვნელოვანი საექსპორტო დანიშნულება გააჩნდა მეხალიჩეობას. ყველაზე პოპულარული საჭმელია ფლავი. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ფლავს ძალიან განსხვავებულად აკეთებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი სუნიტია. მხოლოდ ტაჯიკები და ზოგიერთი მცირერიცხოვანი ხალხია შიიზმის მიმდევარი.

ამრიგად, დასავლეთ აზიის სამეურნეო-კულტურული ტიპები განსხვავებულია. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში არიან დასაქმებული. განსაკუთრებით განთქმულია ხალიჩების წარმოება. ორნამენტში ერთმანეთში შერწყმულია ეგვიპტური, ანტიკური და სპარსულ-ბიზანტიური ელემენტები. ხალიჩები, გარდა საცხოვრებელი სახლებისა, ფართოდაა გამოყენებული მეჩეთებში. სახლები შენდებოდა თიხის, ქვისა და აგურისაგან. მუსლიმური სახლები ორი ნაწილისაგან შედგება – საქალებო და სამამაკაცო. მომთაბარეთა საცხოვრებელი იყო *კარავი, ალაჩიყი* და *კიბიტი* – დახურული, ჩარდახიანი ურემი. ხალხების უმეტესობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სახეს ჩადრით იფარავენ ან მოსახვევით ნიკაპსა და პირს იკრავდნენ.

ამ რეგიონში მცხოვრები ხალხების სოჯახო ურთიერთობები ემყარება როგორც ჩვეულებით სამართალს, ისე შარიათს. პოლიგამია მხოლოდ საზოგადოების შეძლებულ ფენებშია გავრცელებული. შუა საუკუნეებში შეიქმნა მდიდარი მხატვრული ლიტერატურა. მთელ მსოფლიოშია ცნობილი აღმოსავლეთის ხალხების ზღაპრები და ლეგენდები. არაბული არქიტექტურა კი სახელგანთქმულია თავისი მინარეთებითა და სასახლეებით. ძირითადი რელიგია ისლამია; მცირე რაოდენობით არიან ქრისტიანები, ისრაელში – იუდეველები.

წინა აზიის ხალხებმა დიდი წვლილი შეტანეს მსოფლიოს კულტურის განვითარებაში. აქ მაღალ დონეზე იყო განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ლითონის დამუშავება; მათ ყველაზე ადრე დაიწყეს ბორბლის გამოყენება, შექმნეს ლითონის მონეტები, ისწავლეს წერა. აქვე წარმოიქმნა

უძველესი რელიგიური სისტემები (*ზოროასტრიზმი* – ირანში, *იუდაიზმი* და *ქრისტიანობა* – პალესტინაში, *ისლამი* – არაბეთში). აქვე შეიქმნა მსოფლიო კულტურის ისეთი ძეგლები, როგორებიცაა ბიბლია, ავესტა, ყურანი. კერამიკულ წარმოებაში სამეთუნეო მორგვი ამ რეგიონში შეიქმნა. ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში სამეთუნეო მორგვი ცნობილი იყო შუმერებისათვის, III ათასწლეულის დასაწყისში კი – ეგვიპტელებისათვის. გარდა ჭურჭლისა, კერამიკისაგან აკეთებდნენ აგრეთვე სამშენებლო მასალას, ბეჭდებს, ნამგლებსა და სარკოფაგებსაც კი. კერამიკული წარმოების ფართოდ განვითარებამ განსაკუთრებული წინაპირობა შექმნა აღმოსავლეთში დამწერლობის განვითარების საქმეში. შუამდინარეთის პირველი დამწერლობის ძეგლები სწორედ კერამიკულ ფილებზეა შემორჩენილი. ძვ. წ.-ის XIII საუკუნითაა დათარიღებული კერამიკულ ფილებზე შესრულებული უძველესი ფინიკიური დამწერლობა.

მახლობელ აღმოსავლეში ჩაეყარა საფუძველი მინის წარმოებას. რომაელი ისტორიკოსის *პლინიუს* უფროსის ცნობით, ზღვაში მცურავი *ფინიკიელი* ვაჭრების ხომალდი ცეცხლის გასაჩაღებლად ნაპირს მისდგომია, მაგრამ შეშა ვერსად მოუძებნიათ და რამდენიმე ნატეხი სოდა აუღიათ და მასზე თავიანთი ქოთანი შემოუდგამთ. სადილობის შემდეგ ვაჭრებმა ნაცარში აღმოაჩინეს რაღაც მაგარი და გამჭვირვალე ზოდი, რომელსაც შემდეგ მინა უწოდეს. თანამედროვე მეცნიერები მიუთითებენ, რომ კოცონის ტემპერატურაზე შუძლებელი იყო მინის მიღება, მაგრამ ფაქტია, რომ *ფინიკიელები* მას ნამდვილად იცნობდნენ, რადგან მათ სავაჭრო საქონელში მინაც შედიოდა. სხვები კი მინის გამოდნობის აღმოჩენის ტექნოლოგიას ეგვიპტელებს მიაწერენ. მესოპოტამიაში აკეთებდნენ კვერცხისმაგვარ ჭურჭელს. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ლიბანის ქალაქი *სიდონი* (ახლანდელი საიდი) მინის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ახალი წელთაღრიცხვის პირველ ორ საუკუნეში სირიელი მინის მწარმოებლები აკეთებდნენ ფლაკონებს, ფინჯნებს, კოლბებს. რომაულ დროს კი მინა პირველად საფანჯრე მასალად იქნა გამოყენებული. მახლობელ აღმოსავლეთში მინის წარმოების მაღალი კულტურის დამადასტურებელი ისიც გახლავთ, რომ არაბულ მუზეუმებში მინის საგნების შესანიშნავი ნიმუშები აქვთ გამოფენილი. შემდეგ ბიზანტიელებმა მინის წარმოების ახალ ფორმებსა და ტექნიკას მიაგნეს და აქვე ჩაეყარა საფუძველი მოზაიკაში მის გამოყენებას. XII-XIV საუკუნეებში მომინანქრებული სირიული მინა ევროპაში ფუფუნების საგანი იყო. ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ XV-XVI საუკუნეებში მინის წარმოება ვენეციელებმაც აით-

ვისეს, სადაც საფუძველი ჩაეყარა ვიტრაჟებისა და სარკის წარმოებას.

III.2-4.სამხრეთ აზიის ხალხები და კულტურები

სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფოები: *ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, შრი-ლანკა, ბუტანი, მალდივის რესპუბლიკა* (საერთო ფართობი 4,5 მლნ. კვ. კმ.). აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით 200 ენაზე მოლაპარაკე ეთნოსია განსახლებული. მათი რაოდენობა 1 მილიარდზე მეტია. ბევრი მათგანი ერად (ნაციად) არის კონსოლიდირებული. გვხვდება ტომთა ბევრი ჯგუფიც. ინდოეთში შტატები ლინგვისტური პრინციპით არის დაკომპლექტებული.

ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულებში სამხრეთ აზიის მოსახლეობამ მდინარე *ინდის აუზში* შექმნა *ხარაპას* და *მოხენჯო-დაროს* ცივილიზაციები. მიიჩნევენ, რომ ეს კულტურები შექმნილი იყო დრავიდულენოვანი მოსახლეობის მიერ. **ძვ. წ.-ის II საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთიდან აქ დაიწყო ინდოევროპელი *არიელების* მიგრაცია**. მიგრირებულები შეერივნენ დრავიდულ მოსახლეობას, რაც აისახა სამხრეთ აზიის ხალხების თანამედროვე ანთროპოლოგიურ ტიპზე. არიელებმა დაარსეს რამდენიმე ადრეული სახელმწიფო. მათი ადრეული ისტორია ნაწილობრივ აისახა წმინდა წიგნებში – *ვედებში.* შედარებით მოგვიანებით, სკვითების ეპოქაში, სუბკონტინენტის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში ირანულენოვანი ტომები შემოიჭრნენ. ინდოსტანის ჩრდილო-აღმოსავლეთში წარმოიქმნა მონღოლოიდური ეთნიკური ერთობები (ენობრივად ტიბეტურ-ბირმული). ძვ. წ.-ის I ათასწლეულის შუა ხანებში შრი-ლანკაზე *ვედები*, ინდოევროპული მოდგმის *სინგალები* და დრავიდულენოვანი *თამილები* ერთმანეთს შეერივნენ. X საუკუნის დასაწყისში დაიწყო არაბთა, სპარსთა და თურქთა დაპყრობები, რამაც ზოგიერთ ადგილას ისლამისა და ისლამური კულტურის გავრცელება გამოიწვია.

სამხრეთ აზიაში გამოყოფენ ორ – ჩრდილოეთისა და სამხრეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქს. ჩრდილოეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში წამყვანია სახვნელი მიწათმოქმედება (ჩრდილოეთ ინდოეთის ხალხები, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალის დაბლობში დასახლებული ხალხები). ისინი ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენებზე და ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით ახლოს არაინ ერთმანეთთან. ესენი არიან: *ჰინდუსტანელები, ქაშმირელები, ფანჯაბელები, ბენგალიელები, გუჯარეთელები, მარათხები, ორია, ბიხარები, ასამები* და ბევრი სხვ. სამხრეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქშიც წამყვანი მიწათ-

მოქმედებაა, მაგრამ აქ ტროპიკული კულტურებია გაბატონებული. აქ ცხოვრობენ ხალხები, რომელთა ძირითადი სალაპარაკო ენები დრავიდული ენებია: თამილი, **ტელეგუ, კანარა, მალაიალი...** ამავე ტროპიკულ ოლქს მიაკუთვნებენ შრი-ლანკის ძირითად ხალხებს.

მალდივის რესპუბლიკაში მკვიდრობენ *დრავიდები, არაბები, სინგალები.* ამ ხალხების ეთნიკური ისტორია ძალიან ძველია. ირანულენოვანი ხალხები *პუშტუნებისა* და *ბელუჯების* სახით არიან წარმოდგენილნი. შრი-ლანკის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ *ვედები, სინგალები* და დრავიდულენოვანი *თამილები.*

სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ეს რეგიონი ჭრელია. მიწათმოქმედ-მესაქონლეთა მეურნეობა ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ხელოსნობა დამოუკიდებელი დარგი იყო, რომლის ცენტრები ქალაქები იყო. ჯუნგლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ მეურნეობის მიმთვისებლური ფორმები შემოინახა. სატრანსპორტო საშუალებები სახედარი და აქლემი იყო. ტვირთების გადასატანად ტროპიკებში გაწვრთნილ სპილოებსაც იყენებდნენ. გვალვიან რაიონებში მოწყობილი აქვთ სარწყავი სისტემები. გამწევ ძალას კი *კამეჩი* წარმოადგენდა. ძირითადი საექსპორტო საქონელია ქსოვილები, ხალიჩები და ქაშმირის შალი. *ბელუჯები* და *პუშტუნები* ექსტენსიურ სასაძოვრე მესაქონლეობას მისდევდნენ. ჰყავთ აქლემები, ცხენები, წვრილფეხა საქონელი.

სოფლის მცხოვრებნი ხშირად დადიან ფეხშიშველა, ქალაქის მცხოვრებნი კი – ქსოვილის ფეხსაცმელს იცვამენ. ეთნიკურობას არკვევენ ტანსაცმლის ფერით, მისი ტარების წესითა და ნახჭით (სახე, მოხატულობა). ინდოელ ქალებს სახეზე გამოსახული აქვთ კასტის ნიშანი. სამხრეთ აზიის მოსახლეობა ძირითადად რძის პროდუქტებისა და მცენარეული საკვებით იკვებება. საოჯახო ყოფა რელიგიითა და ტრადიციებითაა განპირობებული.

მუსლიმებსა და ინდუისტებში ბევრი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახი. ძალიან გავრცელებული იყო ადრეული ქორწინებები. დღეს ის აკრძალულია. ზოგიერთ ხალხში (*ნაირი*) ქონების მემკვიდრეობითი გადაცემა და ბავშვის სახელდება დედის ხაზით ხდება. სამხრეთ აზიის ჩამორჩენილ ხალხებში ოჯახი საზოგადოების უჯრედს არ წარმოადგენს, ის არამდგრადია. შემორჩენილია *ინიციაციის* წესიც. გაყრის შემთხვევაშიც კი ქალს ხელახლა გათხოვება არ შეუძლია. ზოგიერთ ეთნოსში დაშვებულია *პოლიგამია,* განსაკუთრებით ცოლის უშვილობისა და ვაჟის არყოლის შემთხვევაში. მამაკაცის სიკვდილის შემთხვევაში მოქმედებს *ლევირატის* წეს-ჩვეულება.

ძველი ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული ყველა ნიმუში რელიგიური ხასიათისაა. განვითარებული იყო მეტალის ქანდაკებების შექმნა, გრავიურება, საიუველირო საქმე. მუსიკა და ცეკვა, სიტყვა და ჟესტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ცეკვაში ყველა მოძრაობას თავისი შინაარსი აქვს. რეგიონში გავრცელებულია სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები – *ბუდიზმი, ინდუიზმი, ჯანაიზმი, ქრისტიანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა.* ტომობრიობის საფეხურზე მყოფი მოსახლეობა პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენების მიმდევარია.

III.2-5.სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები

ეს რეგიონი მოიცავს *ინდოჩინეთის* ნახევარკუნძულს, *ინდონეზიის* არქიპელაგს კუნძულებით *იავა, სუმატრა, კალიმანტანა, ფილიპინების არქიპელაგს.* რეგიონის ფართობი 4 მლნ. კვ. კმ.-ს აღწევს, მოსახლეობა კი 350 მილიონს აჭარბებს. ჰავა უპირატესად ტროპიკულია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ათასწლეულების განმავლობაში რთული ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა. რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა წარსულში და ახლა სრულიად სხადასხვაგვარი იყო. განსხვავებული იყო ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც. ისტორიულად გაბატონებული ყოფილა *ვედოავსტრალოიდური* რასა. ამ რასის წარმომადგენლები დღეს მხოლოდ აქა-იქ გვხვდებიან. ძვ. წ.-ის II ათასწლეულის პირველ ნახევარში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კონტინენტიდან სამხრეთ მონღოლოიდები გადმოსახლდნენ, რომლებიც ენობრივად *ავსტრონეზიელები* იყვნენ (*მალაურ-პოლინეზიური* ოჯახი). სამხრეთ მონღოლოიდების მიგრაცია ერთჯერადი აქტი არ იყო, ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში შეწყდა. მიგრაციული პროცესების შედეგად სხვადასხვა რასები და ეთნიკური ერთობები ერთმანეთს შეერივნენ, რამაც ახალი ეთნოსების ფორმირებამდე მიგვიყვანა. I ათასწლეულის შუა ხანებში დასრულდა მალაელების ეთნოგენეზი. ისინი ფართოდ არიან განსახლებული ინდონეზიასა და მალაკაზე; უპირატესად ზღვის სანაპიროებზე მკვიდრობენ.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში იავასა და სუმატრაზე გადასახლდა სამხრეთ აზიის მკვიდრთა გარკვეული რაოდენობა, რის შედეგადაც ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში გავრცელდა ევროპეიდული ნიშნები. ამას მოჰყვა ახალი რელიგიების (*ბრაჰმაიზმის, ინდუიზმის, ბუდიზმის*) გავრცელებაც. აღმოცენდა პირველი სახელმწიფოები. XI-XII საუკუნეებიდან ინდონეზიასა და მალაკაზე ისლამი გავრცელდა, რომელმაც აქედან სხვა

რელიგიები, ფაქტობრივად, განდევნა. ფილიპინელებზეც, ინდონეზიის მსგავსად, ავსტრონეზიელები დასახლდნენ, რომლებიც ნაწილობრივ შეერივნენ ადგილზე დამხვდურ ეთნოსებს. ფილიპინებზე ხანგრძლივი ეთნოკულტურული პროცესების შედეგად მოსახლეობის სამი ჯგუფი ჩამოყალიბდა: ა) *დაბლობში მცხოვრები ქრისტიანები* – ისინი, სხვებთან შედარებით, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით განვითარებული იყვნენ; 2) *სამხრეთ კუნძულების ბინადარი მუსლიმები;* 3) *სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი,* რომლებიც სოციალურად გაუდიფერენცირებული იყვნენ.

ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე რთული და მრავალმხრივი ეთნიკურ პროცესები მიმდინარეობდა. მონღოლოიდებმა ბირმაში გადმოსახლება ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის III ათასწლეულში დაიწყეს. მათი გადმოსახლება ტალღისებურად ხდებოდა. თანამედროვე *ბირმელთა* წინაპრები მდინარე *ირავადის* ხეობაში ძვ. წ.-ის I ათასწლეულში დასახლდნენ, *მიანმის* ტერიტორიაზე კი – *ტაიელი* ხალხები დასახლდნენ. XIII საუკუნეში ბირმაში ფეხი მოიკიდეს *კაჩინებმა*. ლაოსში პირველი სახელმწიფო XII საუკუნეში წარმოიქმნა, ხოლო *ლაოს* ეთნიკური ჯგუფის კონსოლიდაციას XIII საუკუნის ბოლოთი ათარიღებენ. ძვ. წ.-ის I ათასწლეულში ჩამოყალიბდა *მალაელების* ეთნიკური ჯგუფიც. ტაილანდის უძველესი მოსახლეობა *მონ-ქმერულ* ენებზე ლაპარაკობდა. ახ. წ.-ის დასაწყისში ტაილანდში დასახლება დაიწყეს *ტაისა* (*სიამელები, ლაო*) და სხვადასხვა ენობრივ-ეთნიკური ერთობების წარმომადგენლებმა. მათ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. ეთნიკურად უფრო კონსოლიდირებული არიან ცენტრალურ ტაილანდში მცხოვრები *ტაიები* (*სიამელები*). ტაილანდში სხვა მრავალი ეთნიკური ერთობაც მკვიდრობს. ლაოსის ყველაზე დიდი ეთნიკური ერთობა *ლაოს* ხალხია, რომლებიც, სხვებთან შედარებით, უფრო კონსოლიდირებული არიან. ვიეტნამის ხალხების ეთნიკური ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ცნობილია, რომ *ვიეტების* წინაპრები ამ ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის I ათასწლეულში გამოჩნდნენ. ვიეტნამელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩინელების წინაღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა.

ინდონეზიის ბევრმა მკვიდრმა პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენები შეინარჩუნა.

რეგიონში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ხალხთაგან შეიძლება დავასახელოთ: *მიანმა, კარენები, კაია, ნაგა, კაჩინები, სიანები, მონები, პალანგი, კხონტაი, ლოა, ფუან, ქხმერები, ქხმუ, ჩინელები, ლისუ, მიაო-იაო, ტაი, ცუტენგი, ვიეტები, მიონგი, თხო, ბახნარი, სედანგი, კოხო, ხრე, ნუნგი, ხანი, ჩამი, ზირაი, ედე* და სხვ. კამბოჯაში ცხოვრეობენ *მონ-ქხმერის* ჯგუფის ეთ-

ნოსები, მალაიზიაში – *მალაელები, იავანელები, ბანჯარები, ჯაკუნები, ჩინელები* და სხვა, ბრუნეის სასულთნოში – *მალაელები,* სინგაპურში მოსახლეობის უმეტესობა *ჩინელია.* ძალიან რთულია კუნძულების მოსახლეობის ენობრივი და ეთნიკური შემადგენლობა. ფილიპინების მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ოთხ ჯგუფად იყოფა. საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოსახლეობა ეთნიკურად ძალიან რთულია. მეცნიერები ბირმაში 50-მდე ეთნოსს გამოყოფენ, ლაოსში – 30-ს. ეთნიკური თვალსაზრისით რთულია ვიეტნამის მოსახლეობა. შედარებით უფრო ერთგვაროვანია კამპუჩიის მოსახლეობა. მის დიდ ნაწილს *ქმერები* შეადგენენ.

სხვადასხვაგვარია სამეურნეო-კულტურული ტიპი. ფართოდაა გავრცელებული მიწათმოქმედება, გადარეკვითი მესაქონლეობა, გაყვანილი აქვთ საირიგაციო სისტემებიც. **ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მრავალ კუნძულსა და მალაკის ნახევარკუნძულის ჭაობიან და მთიან ადგილებში დიდი რაოდენობით იყვნენ მოხეტიალე მონადირეები და შემგროვებლები.** მათი დიდი ნაწილი XX საუკუნეში თანდათან მიწათმოქმედებაზე გადავიდა. რეგიონის ხალხებისათვი უცნობი იყო ლითონი და მეთუნეობა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი თოხნით მიწათმოქმედთა სამეურნეო-კულტურულ ტიპს მიეკუთვნება. თოხნითი მიწათმოქმედება, ჩვეულებრივ, საახოე ფორმით წარმოებს. **ეთნოსთა უმეტესობისათვის მთავარი კულტურა ბრინჯია.** ზოგიერთ ადგილას აგროვებენ გველის ტყავს. ის დიდ შემოსავალს იძლევა. მეორე მხრივ, გველის უმოწყალოდ გაწყვეტა მიწათმოქმედებას აზიანებს, რადგან ეს მავნე მღრღნელების გამრავლებას იწვევს. ახოს გატეხვიდან ორი-სამი წლის შემდეგ სათეს ფართობებს ვეღარ იყენებენ, რადგან მას სარეველა ბალახი ედება. ამის გამო, ახალ ნაკვეთებს ამუშავებენ. ეს კი მინდვრების სამოსახლოებისაგან დაშორებას იწვევს. შედეგად კი დასახლების ადგილს იცვლიდნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეთნოსების დიდი ნაწილისათვის ძირითადი საქმიანობა მაინც სახვნელი მიწათმოქმედებაა. ზოგიერთ ადგილას წელიწადში ორ მოსავალსაც იღებენ. აქ ბრინჯთან ერთად მოჰყავთ პარკოსნებიც, სიმინდი, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები. დიდი ფართობი უკავია ტექნიკურ კულტურებსაც, მაგალითად, კაუჩუკს.

საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა ტიპისა აქვთ (ხიმინჯებსა და მიწის პირას აშენებული). კუნძულებზე სახლების სახურავები ხშირად პალმის ფოთლებით აქვთ გადახურული. სამშენებლო მასალად ფართოდ იყენებენ ბამბუკსა და ხეს. სახლები უბრალოდ აქვთ მოწყობილი. ვიეტნამში ხშირია მიწაზე დად-

გმული სახლები, რომელთა კედლების ჩონჩხი ამოვსებულია თიხატკეპნილი მიწით. ტყიანი, მთიანი და ჭაობიანი მხარეების მოხეტიალე მონადირეები და შემგროვებლები ბამბუკისა და ბალახისაგან გაკეთებული ქოხებითა და ქარსაფრებით კმაყოფილდებოდნენ. მცირე ხნით ღამის სათევად აგებდნენ ბაქნებსა და ხის ტოტებზე გამართულ თავშესაფრებს. XIX საუკუნის ბოლომდე *ტოალების* ჯგუფები გამოქვაბულებში ცხოვრობდა. ჭილოფებზე სხედან, სძინავთ და ჭამენ. ტრადიციული ნაციონალური ტანსაცმელი მრავალფეროვანია. კონუსისებური შლიაპა ბრინჯის ნამჯისაგან ჰქონდათ გაკეთებული. ფართოდ არის გავრცელებული ტატუირების წესი, რომელსაც რელიგიური ან ესთეტიკური თვალსაზრისით იკეთებენ. ზოგიერთ ხალხში არსებობს კბილების ოდნავ ჩამოხეხვისა და გაშავების ტრადიცია.

ამ რეგიონის ხალხთა ძირითადი საკვებია ხილი და ბოსტნეული.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონისათვის დამახასიათებელი იყო გვაროვნული თემისა და დიდი ოჯახის ტრადიციები. ოჯახები მონოგამიური აქვთ. ისლამის მიმდევარ ხალხებში არსებობს პოლიგამიური ქორწინება. ფილიპინებში ქრისტიანები ცხოვრობენ, ინდოჩინეთში – ბუდისტები, ინდონეზიასა და მალაიზიაში – მუსლიმები.

III.2-6.აღმოსავლეთ აზიის ხალხები

აღმოსავლეთ აზიის ხალხებს მიეკუთვნებიან *ჩინეთის, იაპონიის, კორეისა* და *მონღოლეთის* ხალხები. ჩინელები მსოფლიოს ყველაზე დიდ ეთნოსს წარმოადგენენ. მათი რაოდენობა 1 მილიარდ 300 მილიონს აჭარბებს. ჩინეთის ტერიტორია 9,6 მლნ. კვ. კმ.-ია.

ჩინეთის ისტორია 4 ათასზე მეტ წელს ითვლის. თუმცა უფრო დიდი ასაკისაა ჩინური ეთნოსი. მიიჩნევენ, რომ 6 ათასი წლის წინ დაიწყო ჩინური ეთნოსის ფორმირება. სწორედ აქედან იწყება ჩინელთა (*ხან*-ი) თავდაპირველი ეთნიკური ერთობის ფორმირება. ძვ. წ.-ის I ათასწლეულის დასაწყისში შუა ჩინეთის დაბლობზე დამთავრდა ძველი ჩინური ეთნოსის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომლის თვითსახელწოდება გახლდათ „ხუასია“. თითქმის ამავე პერიოდში მონღოლეთის სტეპებში ყალიბდება *ალთაურ* ენაზე მოლაპარაკე მომთაბარე *ციუნუს* ეთნიკური ერთობა, რომელიც ხანის იმპერიასთან ხანგრძლივი ომების შედეგად ორად გაყოფილი აღმოჩნდა. ერთმა მათგანმა, რომელიც ცხოვრობდა ძველი ჩინური სახელმწიფოს ჩრდილო საზღვარზე, აღიარა ხანის ხელისუფლება და რამდენიმე საუკუნის შემდეგ თითქმის მთლანად ასიმილირებულ იქნა, მეორე

ნაწილი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით გადასახლდა და მოგვიანებით სხვა ეთნიკური ერთობები შეიერთა, *ჰუნების* სახელწოდებითაა ცნობილი. VII-XII საუკუნეებში აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბდა ყველა ძირითადი ხალხი, რომლებიც აქ განსახლებული თანამედროვე ხალხების წინაპრები იყვნენ. ამ პერიოდში მოხდა *კორეული* და *იაპონური* ეთნოსების კონსოლიდაცია, თანამედროვე *მანჯურიელთა* წინაპრების ჩამოყალიბებით, *თურქული* ეთნოლინგვისტური ერთობის წარმოშობით, *ტაის* ჯგუფის ხალხთა გამოყოფით, თანამედროვე *ტიბეტელთა* წინაპრებში სახელმწიფოებრიობის შექმნით, *მონღოლთა* ეთნოგენეზის პროცესის დასრულებით.

აღმოსავლეთ აზიის ხალხები ლაპარაკობენ იმ ენებზე, რომელთა ურთიერთსიახლოვის გენეტიკური დონე ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს, აღმოსავლეთი აზია ხუთი უმთავარესი ენობრივი ოჯახით წარმოგვიდგება: *ალთაურით, ჩინურ-ტიბეტურით, ავსტრონეზიურით, ტაითა* და *ავსტროაზიურით.* გამონაკლისს ამ შემთხვევაში *კორეელები, იაპონელები* და *აინები* წარმოადგენენ, რომელნიც ამ კლასიფიკაციაში იზოლირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ალთაური ენების ოჯახი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. ცენტრალურ აზიაში პირველ მათგანს – *თურქულს* მიეკუთვნებიან: *უიღურები, სალარები, ყაზახები* და *ყირგიზები* (თურქული მოდგმის ხალხთა მასების განსახლების ძირითადი არეალი დასავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარე სინძიანზე მოდის). *მონღოლურ* ჯგუფს მიეკუთვნებიან *მონღოლები, დუნსიანები* (ცხოვრობენ ჩინეთში). *ტუნგუსურ-მანჯურული* ჯგუფი უმთავარესად წარმოდგენილია ჩინეთში. ესენი არიან *მანჯურიელები, სუნგარიელი ხალხები, ევენკები* და *ოროჩები. ჩინურ-ტიბეტურ* ოჯახს ორ ჯგუფად ყოფენ: *ჩინური* ენა მრავალრიცხოვანი დიალექტებით, და *ტიბეტურ-ბირმულ* ჯგუფი, რომელშიც შედიან *ტიბეტელები,* აგრეთვე *იძუ, ბაი, ტუძია, ხანი, ლისუ, ნასი.*

აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა მრავალმხრივი იყო. ბუნებრივია, სამეურნეო-კულტურული ტიპებიც განსხვავდებოდა. მონადირეთა, მეთევზეთა და შემგროვებელთა სამეურნეო-კულტურული ტიპები ისტორიულად აღმოსავლეთ აზიის ყველაზე უძველეს ტიპებს წარმოადგენდა. ეს ტიპი ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი ჩინეთში მცხოვრებ *მონქმერული* მოდგმის ხალხებში (*კავა, ბუნლუნი, ბულანი*). რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შედარებით ახლო წარსულში არსებობდა ზომიერ სარტყელში მცხოვრებ შემგროვებელთა და მეთევზეთა სამეურნეო-კულტურული ტიპი (*აინები, ხებჯები*). მეორე სამეურნეო-კულტურული ტიპია ხელითი (თოხნითი) მიწათმოქმედება. ეს ტიპი ჩრდილო ჩინეთის ტერიტორიაზე

ძვ. წ.-ის V ათასწლეულის ბოლოს ჩამოყალიბდა. მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული ღორისა და ძაღლის მოშენება (როგორც ერთის, ასევე მეორის ხორცი საკვებად გამოიყენებოდა). აღმოსავლეთ აზიის სამხრეთ რაიონებში თბილი სარტყლის ხელით მიწათმოქმედთა ტიპი თითქმის დღევანდლამდე შემორჩა. სხვა კულტურებთან ერთად, აქ გავრცელებული იყო საახოე მიწათმოქმედება და ბრინჯის მოყვანა. ზოგიერთ ხალხში თესვის დაწყებამდე მიღებული იყო მიწის გაფხვიერება კამეჩების გატარებით. იძუსა და ნაწილობრივ ტიბეტის მოსახლეობაში ხელით მიწათმოქმედთა სპეციფიკური მაღალმთიანი სამეურნეო-კულტურული ტიპი ჩამოყალიბდა. იგი ემყარებოდა სიცივეგამძლე კულტურების – *ქერის, შვრიისა* და *წიწიბურას* – მოყვანას. სამეურნეო-კულტურული ტიპის მესამე ჯგუფი დაკავშირებულია სახნავ მიწათმოქმედებასთან. რკინის სამუშაო იარაღის გამოყენებამ იმის პირობები შექმნა, რომ ახ. წ.-ის I ათასწლეულში ჩინეთის ჩრდილოეთით აღმოცენებულიყო ზომიერი სარტყლის სახვნელ მიწათმოქმედთა სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელიც შემდგომ გაბატონდა ჩინელებში, კორეელებში, მანჯურიელებში. გამწევ ძალად ძირითადად ხარი გამოიყენებოდა. აქ განვითარებული იყო პარკოსნების მოყვანაც (*სოიო*). ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო *ბამბა* და *თუთა*. აღმოსავლეთ აზიის სამხრეთის მთიან რაიონებში შეიქმნა მაღალმთიან სახვნელ მიწათმოქმედთა ტიპი. ამ ტიპის მიმდევრები არიან *ტიბეტელები, ნუ, დულუნი, იძუ.* მოჰყავდათ *წიწიბურა, შვრია* და *ქერი.* უმთავარესი სახვნელი იარაღი იყო მძიმე, ფართო სახნისის მქონე ფრჩხილებიანი გუთანი. სამეურნეო-კულტურული ტიპის მეოთხე ჯგუფი, რომლის ეკონომიკურ ბაზას მესაქონლეობა წარმოადგენს, უმეტესად მონღოლურ, თურქულ და ნაწილობრივ ტუნგუსურ-მანჯურიულ ხალხებში ჩამოყალიბდა. აქვე ფორმირდა მათი სამიწათმოქმედო კულტურა, ხოლო ჩინეთის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში მომთაბარე მესაქონლეეთა კულტურა განვითარდა.

აღმოსავლეთ აზიის მომთაბარეთა შემოქმედებაა გადასატანი საცხოვრებელი. მაგალითად, ჩინური წყაროების მიხედვით, *სიუნუს* ხალხი კარვებში ცხოვრობდა, რომელთა ჩონჩხი ტირიფის ტოტებისაგან იგებოდა და ქეჩით იყო გადახურული. ძვ. წ.-ის I ათასწლეულის შუა ხანებში აღმოსავლეთ აზიის მომთაბარეთა შორის გაჩნდა *იურტა* ხის დასაშლელი კარკასით, რომელიც თანამედროვე მონღოლური და თურქული მოდგმის ხალხების ყოფას შემორჩა. მომთაბარე მეჯოგეების ტანსაცმლის დამახასიათებელი ნიშნები ძველთაგანვე მათი სამეურნეო-კულტურული წყობის სპეციფიკას ასახავდა. კერძოდ, **მომთაბარეთა „გამოგონება“ იყო შარვალი,** რომელიც ცხენზე ჯდომის დროს აუ-

ცილებელია. ის მოგვიანებით მიწათმოქმედმა ხალხებმაც შეითვისეს. (სხვათა შორის, ზოგიერთი ხალხისათვის, განსაკუთრებით სამხრეთელთათვის, შარვლის დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაუგებარი რჩებოდა. ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის შარვალი ბარბაროსული კულტურის საკუთრებად მიიჩნეოდა. წესიერი და ზრდილი ბერძენისა და რომაელისათვის ტუალეტის ამ ნაწილის ჩაცმა ურცხვ საქციელად მიიჩნეოდა. თავისი ერთ-ერთი გმირის შესახებ *ტაციტი* მოგვითხრობდა, რომ მას „შარვლის ტარების არ რცხვენოდა“). მათთვისვე იყო დამახასიათებელი **ხალათის ტიპის მოსასხამი და ტყავის ან ქეჩის მაღალი ჩექმები. კვების რაციონში დიდი ადგილი უკავია ბრინჯს**. იაპონელებისათვის დამახასიათებელია საჭმელში ცოცხალი თევზის ხმარება. მოხარშული ბრინჯი აუცილებლად ცხელი მოაქვთ. ბრინჯს შეექცევიან ხის ჯოხებით. რძესა და რძის კვეთის შედეგად მიღებულ პროდუქტებს აღმოსავლეთელი მიწათმოქმედი მოსახლეობის უმრავლესობა საკვებში არ იყენებს. აღმოსავლეთ აზიის ხალხებში ამჟამად პოპულარობით სარგებლობს ბრინჯისაგან დამზადებული არაყი.

აღმოსავლეთ აზიის ხალხებზე დიდი გავლენა მოახდინა *ბუდიზმმა*. ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში ბუდიზმი გავრცელდა ჩინეთში, შემდეგ კორეასა და იაპონიაში. სხვადასხვა ქვეყანაში ბუდიზმი შეერწყა ადგილობრივ რელიგიებს - *კონფუციანობას, დაოსიზმს.* მანჯურიელებში გავრცელებული იყო *შამანიზმი.* აქ მაჰმადიანობაც გავრცელდა. მან თავდაპირველად ფეხი მოიკიდა ჩინეთის თურქულ მოსახლეობაში. ამავე რელიგიამ განაპირობა ჩინელებისგან განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფის გამოყოფა. ესენი არიან *ჰუეიელები. ჰუეიელების* ნაწილი, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს შუა აზიაში გადმოსახლდა, დღეს *დუნგანების* სახელს ატარებს.

აღმოსავლეთ აზიის ხალხებს მდიდარი მითოლოგია გააჩნიათ. საინტერესოა მათი ეთნოგონიური წარმოდგენები, რომლებშიც ვლინდება უძველესი ტოტემური წარმოდგენები: უძველესი *თურქები* მგლის შთამომავლებად მიიჩნევდნენ თავს, *მიაო-იაოს* ჯგუფის ხალხები – ხუთფეროვანი ძაღლისა და სხვ. *ჩინელები* ეთაყვანებოდნენ კულტურული მიღწევების პერსონიფიცირებულ „შემოქმედებს“: *სუიჯენს* – ხახუნით ცეცხლით მომპოვებელ პირველ ადამიანს, *ფუსის* – მშვილდის პირველ გამკეთებელს, *შენუნს* – სამიწათმოქმედო იარაღების პირველ გამომგონებელს, *ჰუნადის* – ორთქლში მარცვლის მოხარშვის წესის აღმომჩენსა და ა. შ. აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ხალხთა სულიერი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს დამწერლობის დიდი ტრადიციების არსებობა. ამ რეგიონში დამწერლობის უძველესი სისტემა ძველჩინური იეროგლიფიკა (ძვ.

წ.-ის II ათასწლეულის დასაწყისი) იყო. VI-IX საუკუნეებში ძველი თურქები გამოიყენებდნენ რუნულ დამწერლობას. ცნობილია აგრეთვე უიღურული და მონღოლური ანბანები. ჩინელთა შემოქმედებაა აგრეთვე *ფაიფური, აბრეშუმი, ქაღალდი.*

ანთროპოლოგიურად ჩინეთის მთელი მოსახლეობა დიდი მონღოლოიდური რასის წყნაროკეანურ შტოს მიეკუთვნება.

ჩინეთის ჩინური ენა თავისი დიალექტებით *სინო-ტიბეტურ* ენათა ოჯახს მიეკუთვნება. სალაპარაკო ჩინურ ენაში ძალიან ბევრი ლოკალური დიალექტია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ფონეტიკურად, ლექსიკით და სამხრეთ პროვინციების ჩინელებს ცუდად ესმით, ან საერთოდ არ ესმით ჩრდილოელების მეტყველება. ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ხალხები *ტიბეტურ-ბირმულ* ენებზე მეტყველებენ.

ტრადიციულად ჩინეთის მოსახლეობა ოთხ ძირითად სოციალურ ჯგუფად იყოფოდა. ესენი იყვნენ: ა) *ჩინოვნიკები* (მმართველები, ზედაფენა). ბ) *გლეხობა* – გლეხების სოციალური ფენა მთელი მოსახლეობის 90%-ს შეადგენდა, გ) *ხელოსნები* – ჩინეთის ხელოსნური კულტურა – ეს რთული და მაღალორგანიზებული კომპლექსია, დ) *ვაჭრები.*

ავსტროაზიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება *მონ-ქმერის* ჯგუფის ენები. მოსახლეობის უმეტესობა მონღოლოიდურ რასას მიეკუთვნება. ტერიტორიაზე მცხოვრები შიდა მონღოლეთის ხალხები (*დუნსიანი, ტუ*) ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან.

სამეურნეო-კულტურული ტიპები მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. მომთაბარე მესაქონლეები დასაშლელ-გადასატან საცხოვრებლებს იყენებდნენ. მიწათმოქმედი ხალხები ძირითადად ხიმინჯებიან საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ. სამშენებლო მასალად ბამბუკსაც გამოიყენებდნენ. **აზიის მომთაბარე ხალხებმა გამოიგონეს შარვალი და ტყავის ჩექმები. მომთაბარე ხალხების საკვები რაციონი ძირითადად ხორცეულისა და რძის პროდუქტებისაგან შედგებოდა. მიწათმოქმედები იკვებებოდნენ ბრინჯით, ბოსტნეულით, თევზითა და ხორცით. იაპონელები საკვებად უმ თევზსაც იყენებენ. აღმოსავლეთ აზიის ხალხები ჭამდნენ ორიგინალური ხელსაწყოთი – ჩხირებით**.

ორიგინალურია რეგიონის სულიერი და მატერიალური კულტურა, რომელიც ევროპულისაგან მსოფლგაგებით განსხვავდება. აქვთ მდიდარი მითოლოგია, რომელიც სამყაროს შექმნასა და ადამიანის გაჩენაზე მოგვითხრობს. თავისებურია აღმოსავლეთ აზიის ხალხების დამწერლობითი ტრადიცია. *ჩინური იეროგლიფები ძვ. წ.-ის II ათასწლეულის დასაწყისში შეიქმნა.* ის მეზობელმა ხალხებმაც ისესხეს, რომელთაგან შემდეგ ზოგიერთი მათგანი წერის საკუთარ სისტემაზე გადავიდა.

ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში *ბუდიზმი* ახ. წ.-ის I საუკუნეში გავრცელდა, ტიბეტში ის *ლამაიზმის* ფორმით შევიდა. ჩინელთა სულიერ ცხოვრებაში ერთმანეთშია გადაჯაჭვული ბუდიზმის, კონფუციანობისა და დაოსიზმის ელემენტები.

III.2-7. შუა აზიის ხალხები

შუა აზიის ტერიტორიაზე ხუთი სახელმწიფო მდებარეობს – *ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი* (მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქით), *თურქმენეთი* და *უზბეკეთი* (ყარაყალპაკეთის ავტონომიით). არაიშვიათად შუა აზიას უფრო ფართო რეგიონის – ცენტრალური აზიის შემადგენლობაში მოისაზრებენ. შუა აზიის დიდი ნაწილის ზედაპირი უკავია მშრალ სტეპებსა და მშრალი კლიმატის უდაბნოს, რომელიც სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში გადადის ტიან-შანის, პამირის, კოპეტდაღის მთის მასივებში. მთის ხეობების კლიმატი შედარებით რბილია. ზოგიერთ მათგანში სუბტროპიკული კულტურებიც კი მოყავთ. შუა აზიას ოკეანისაკენ გასასვლელი არა აქვს. კასპიისა და არალის ზღვები არსებითად მხოლოდ დიდი ტბებია. მდინარეები ცოტაა. შედარებით გაწყლოვანებულია ყაზახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქები. მდინარეების გასწვრივ და მთისწინა რაიონებში განლაგებულია ადამიანისაგან უფრო ათვისებული მიწები – *ოაზისები.* ოაზისების საზღვრები მუდმივი არ იყო, ისინი ისტორიულად იცვლებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ შუა აზიის სამხრეთ რაიონებში ძვ. წ.-ის V ათასწლეულში მსოფლიოში ერთ-ერთ უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა წარმოიქმნა. ამ სამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელთა ეთნიკური ვინაობა უცნობია. ხოლო ჩრდილოეთის სტეპების ზოლში ფართოდ იყო განვითარებული მოძრავი მესაქონლეობა (ნომადიზმი). ძვ. წ.-ის I ათასწლეულში შუა აზიის ტერიტორია აქემენიდების ძველსპარსული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. სპარსული და ბერძნული წყაროები შუა აზიის ოაზისებში მცხოვრებთ *ხორეზმელებს, სოგდიელებს* და *ბაქტრიელებს* უწოდებენ, ხოლო სტეპების მკვიდრებს – *სკვითებს* და ცოტა მოგვიანებით კი – *საკებსა* და *მასაგეტებს.* ანტიკურ ეპოქაში შუა აზიის მოსახლეობა ინდოევროპულ (ირანულ) ენებზე ლაპარაკობდა. ამ დროისათვის შუა აზიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ერთ-ერთი პირველი მონოთეისტური რელიგია – *ზოროასტრიზმი (ცეცხლთაყვანისმცემლობა),* რომელმაც განსაკუთრებით მრავალი მიდევარი ირანის ტერიტორიაზე ჰპოვა. აქ კი ის სახელმწიფო რელიგიად იქცა. დღეისათვის ზოროასტრელთა (*ფარსები*) ჯგუფები ირანსა და ინდოეთშია შემორჩენილი.

ძვ. წ.-ის I ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთ რაიონები დაიპყრეს ბერძენ-მაკედონიელებმა და ეს ტერიტორია შეიყვანეს *ალექსანდრე მაკედონელის* სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ჩამოყალიბდა რამდენიმე სახელმწიფო, რომლის მცხოვრებთ წყაროები *პართიელებს, ბაქტრიელებს* უწოდებენ. ორივე ამ ეთნოსმა შესამჩნევი კვალი დაჩნია ადგილობრივი კულტურების განვითარებას. ძველი და ახალი ერების მიჯნაზე შუა აზიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთიდან მოსულმა *იუეჩჯი*-ს ხალხმა დაიპყრო. *იუეჩჯიმ* შექმნა ძლიერი *ყუშანის* სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს მოსახლეობა უპირატესად ინდოევროპული ოჯახის ირანულ ენებზე ლაპარაკობდა. ანთროპოლოგიურად ისინი ევროპეიდულ რასას მიეკუთვნებოდნენ. ყუშანების სახელმწიფო რელიგია *ბუდიზმი* იყო, რომელსაც არაბთა დაპყრობამდე შუა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოსახლეობა აღიარებდა.

ცოტა მოგვიანებით შუა აზიის აღმოსავლეთ საზღვრებზე გამოჩნდა ხალხი, რომლებსაც წყაროები *უსუნი*-ს უწოდებენ. მათ შესახებ ბევრი რამ უცნობია. არანაკლებ იდუმალებით არიან მოცული *ეფტალიტები,* რომლებმაც სამხრეთის ვრცელ რეგიონებში დიდი სახელმწიფო შექმნეს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ პერიოდში შუა აზიის ეფტალიტების სახელმწიფოში გავრცელდა ერთ-ერთი დასავლეთ-ირანული ენა, რომელიც შემდგომში *ტაჯიკურ* ენას დაედო საფუძვლად.

დაახლოებით **V საუკუნეში შუა აზიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში თურქულენოვანმა ტომებმა დაიწყეს შემოსვლა. ჩინური წყაროებით, თურქულენოვანი ტომების ფორმირების კერა ბაიკალისპირეთი იყო**. თურქთა წარმოშობის ლეგენდა საოცრად მსგავსია რომის დამაარსებლების წარმოშობის ლეგენდისა. გადმოცემით, თურქების წინაპრებს – ტყუპ ძმებს *შინას* და *აშინას* – ბაიკალის ნაპირებზე მდვიმეში ძუ მგელი ძუძუს აწოვებდა. თურქულენოვანი მოსახლეობის ნაკადი განსაკუთრებით თურქთა ყაღანატის ეპოქაში (VI-VII სს.) გაძლიერდა. ეს სახელმწიფო შუა აზიის სტეპებისა და ნახევრადსტეპების მთელ სივრცეებს მოიცავდა. თურქულენოვანი მოსახლეობის ირანულენოვან გარემოში შემოღწევა თურქული ყაღანატის დაცემის შემდეგაც გრძელდებოდა. თურქიზაცია პირველ რიგში სტეპების მომთაბარე ირანულენოვან მოსახლეობას შეეხო. ოაზისებში დასახლებულ თუ თურქიზებულ მოსახლეობას თან თურქული ენაც მოჰქონდა. სამხრეთიდან დასავლეთ-ირანული ენებისა და ეთნიკური ჯგუფების შემოდიოდნენ, რამაც ადგილობრივი ძველი მოსახლეობის აღმოსალეთ-ირანული ენების თანდათანობითი გაქრობა გამოიწვია. ახალ დროში ეს ენები

მხოლოდ მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა შემოინახა, რომლებიც *პამირისა* და *ზერავშანის* ზემო წელში მკვიდრობენ.

შუა აზიის ეთნიკური ისტორიის შემდგომი პერიოდი არაბთა დაპყრობებთანაა (VIII ს.) დაკავშირებული. არაბმა დამპყრობლებმა თან მოიტანეს ახალი რელიგია – *ისლამი*, რომელიც შუა აზიის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მიიღო. არაბებმა პირველ რიგში დიდი დარტყმა მიაყენეს ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს. *ზოროასტრიზმთან* ბრძოლაში განადგურდა მრავალრიცხოვანი წერილობითი დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადგილას ზოროასტრიზმი კარგა ხნის განმავლობაში თავის პოზიციებს ინარჩუნებდა, მაგალითად, ტაჯიკეთის ჩრდილოეთში მონღოლთა დაპყრობამდე (XIII ს.) ზოროასტრიზმის დიდი თემები არსებობდა. ადგილობრივი ხალხების თანამედროვე რელიგიურ წარმოდგენებში იგრძნობა ზოროასტრიზმის გავლენა. ეს განსაკუთრებით მთიან რაიონებზე ითქმის.

I და II ათასწლეულების მიჯნაზე უფრო მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს ორგანულად ურთიერთდაკავშირებული ორი მსხვილი სამეურნეო-კულტურული ტიპი – სტეპების მომთაბარეები და ოაზისების ბინადარი მიწათმოქმედები. ენობრივი ბარიერი მათ შორის თითქმის არ იყო: ოაზისებისა და სტეპური ზონების მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ როგორც თურქულ, ისე ირანულ ენებზე (თუმცა *დარის* ენაზე უპირატესად ქალაქის მოსახლეობა ლაპარაკობდა).

XIII საუკუნეში მონღოლებმა გაანადგურეს შუა აზიის კულტურული ცენტრები და რადიკალური ცვლილებები შეიტანეს რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობაში. დამპყრობლების ხელოლით მოხდა სტეპების ტერიტორიის მოსახლეობის დიდი მასების გადაჯგუფება, ხოლო ოაზისების მოსახლეობის დიდი ნაწილი მთებში მიიმალა. ბინადარ მიწათმოქმედთა დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა. შუა აზია ორი დიდი რასის – ევროპეიდებისა და მონღოლოიდების – საკონტაქტო მხარედ იქცა. უფრო ძველი, ევროპეიდული კომპონენტი დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით სუსტდება და ის უფრო დამახასიათებელია თურქმენების, ტაჯიკებისა და უზბეკების უმეტესობისათვის. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ოაზისებში თურქული ენების შემოღწევა გრძელდებოდა და უკვე XVII საუკუნეში ისინი ყველა რაიონში იყვნენ გაბატონებული, ტაჯიკეთისა და დიდი ქალაქების გამოკლებით (*ბუხარა, სამარყანდი,* ანდიჟანი და სხვ.), სადაც მოსახლეობა უპირატესად ტაჯიკურ (ირანულ) ენაზე ლაპარაკობდა. ამავე დროს თანდათან ჩამოყალიბდა დღევანდელი ეთნოსები – *ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ყარაყალფაკები, ყაზახები, ყირგიზები* და *უიღურები.*

ტაჯიკების ფორმირება მიმდინარეობდა შუა აზიის შუამდინარეთის ოაზისების ძველი მიწათმოქმედი ხალხის საფუძველზე. მონღოლების შემდგომ პერიოდში ტაჯიკური მოსახლეობა დაჯგუფდა დიდი ეკონომიკური ცენტრების – *ბუხარის, სამარყანდის, ხოჯენტის, ქულიაბისა* და სხვ. ირგვლივ, აგრეთვე ძნელად გასავლელ მთებში, უწყლო სტეპებსა და უდაბნოებში. ეს აისახა ტაჯიკებში რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფის არსებობით. განსხვავება ტრადიციულ კულტურაში დღემდე შესამჩნევია. ტაჯიკების განსახლების ძირითად რაიონებს მოწყვეტილმა ჯგუფებმა კი თურქიზაცია განიცადეს. თავის მხრივ, მთიან ადგილებში განსახლებულმა ტაჯიკებმა თავიანთი ენა და კულტურის ელემენტები გადასცეს ენობრივად მცირერიცხოვან აღმოსავლეთ-ირანულ ჯგუფებს – *იაღნობელებსა* და სხვა ხალხებს, რომლებიც დღეისათვის *პამირისპირეთის ტაჯიკებად* იწოდებიან.

უზბეკი ხალხის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ორმა ძირითადმა ერთეულმა – ჯერ კიდევ ძველად ოაზისებში ჩამოყალიბებულმა ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ბინადრებმა და სტეპების მესაქონლე თურქულენოვანმა მოსახლეობამ. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ოაზისებში მესაქონლეების დასახლება არათანაბარი ინტენსივობით მიმდინარეობდა. ისინი ოზისებში დასახლებისთანავე გადადიოდნენ მიწათმოქმედებაზე და ერეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ამასთანავე იღებდნენ მათ კულტურას. უკანასკნელი დიდი მომთაბარე მესაქონლეთა ჯგუფი, რომელიც უზბეკეთის ოაზისებში დასახლდა და თან მოიტანა ეთნონიმი *უზბეკი*, მომთაბარეობდა კასპიის ზღვასა და არალის ზღვას შორის სტეპებში. ამ ტომებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს ოქროს ურდოს ხანის *უზბეკის* (XIV) სახელიდან. XVI საუკუნის დასაწყისში მომთაბარე უზბეკურმა ტომებმა *შიბანი-ხანის* მეთაურობით წინ წაიწიეს ხორეზმში, მდინარე *ზერავშანის* ოაზისებში, *ფერგანის* ველზე, ტაშკენტისა და რეგიონის ბევრ ოაზისში. მესაქონლე მოსახლეობის მასების ოაზისებში დასახლებამ არსებითად შეცვალა ენობრივი სიტუაცია, რადგანაც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ოაზისების მთელი მოსახლეობა არ იყო თურქიზებული (ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა ტაჯიკურენოვანი იყო). უზბეკეთის ოაზისების ტერიტორიებზე სამი სახანო ჩამოყალიბდა – *ხივის, ბუხარისა* და მოგვიანებით *კოკანდის* – სადაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო ძალას მომთაბარე ტომები წარმოადგენდნენ. მომთაბარეებმა ნელ-ნელა დაიწყეს მიწათმოქმედებაზე გადასვლა. ეს პროცესი რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა და ძირითადად XIX საუკუნეში დამთავრდა. ამასთანავე მომთაბარეების ბინადრობაზე გადასვლასთან ერთად გრძელდებოდა ადგი-

ლობრივი ტაჯიკურენოვანი მოსახლეობის თურქიზაცია; მაგრამ ყველა უზბეკი-მესაქონლე როდი გადავიდა მიწათმოქმედებაზე. მათი ნაწილი დღესაც ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. ტაჯიკურენოვანი და თურქულენოვანი ფერგანელები ფერგანის ველზე დღესაც მეზობელ სოფლებში ცხოვრობენ.

თურქმენები ირანულენოვანი და თურქულენოვანი მომთაბარე მესაქონლეების შერევის შედეგად არიან ჩამოყალიბებული. ჯერ კიდევ XIV საუკუნის წყაროებში კასპიისპირა სტეპებში ირანულენოვანი მესაქონლეთა ჯგუფები მოიხსენიებიან. თურქმენებს შენარჩუნებელი აქვთ თურქობამდელი პერიოდის სულიერი და მატერიალური კულტურის ნიშნები. თურქმენეთის ოაზისებში მომთაბარეთა დასახლება მათი უზბეკეთში დასახლების თანადროულად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით XVI საუკუნიდან გაძლიერდა. პარალელურად მიმდინარეობდა მომთაბარე და ბინადარი მიწათმოქმედი მოსახლეობის შერევა.

ყაზახების ფორმირება მიმდინარეობდა კასპიის ზღვასა და ჩინეთის თურქესტანს შორის მდებარე ვეებერთელა სტეპურ სივრცეებზე. ამ ზონის მოსახლეობა გეოგრაფიული მდებარეობის გამო პირველი ხვდებოდა აღმოსავლეთიდან მოსულებს, რომელთაც თან მოჰქონდათ როგორც თურქული მეტყველება, ისე მონღოლოიდური ანთროპოლოგიური ტიპი, რამაც განაპირობა ყაზახებში უფრო მეტად გამოხატული მონღოლოიდური ანთროპოლოგიური ნიშნები, ვიდრე თურქმენებში. შუა აზიის სხვა ოლქებთან შედარებით, ყაზახეთის ტერიტორიაზე მომთაბარეთა ბინადრობაზე გადასვლა ინტენსიურად არ მიმდინარეობდა. რაც შეეხება *ყირგიზებს*, მათ უფრო მეტად განიცადეს მონღოლურენოვანი მოსახლეობის გავლენა, ვიდრე სხვა ხალხებმა, რომლებიც ყაზახეთის სამხრეთ რაიონებში მომთაბარეობდნენ. ყირგიზეთის ტერიტორიაზე დიდი ოაზისები არ იყო, რომლებიც ეკონომიკური გამაერთიანებლების როლს შეასრულებდა. ამ გარემოებამ ბევრად დაამუხრუჭა ყირგიზების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ამიტომაც მათ შორის ტომობრივი ორგანიზაცია უფრო მტკიცედ შემორჩა და დიდი ტერიტორიულ-სამეურნეო ჯგუფების ჩამოყალიბება ნელა მიმდინარეობდა.

ყარაყალპაკების ეთნიკური ფორმირება თითქმის ისევე მიმდინარეობდა, როგორც უზბეკი და თურქმენი ეთნოსებისა. შუამდინარეთისა და აღმოსავლეთით მიმდებარე რაიონებში მიმდინარეობდა *უიღური* ხალხის ეთნოგენეზი. ეთნონიმი *უიღური* აქ მოსაზღვრე და ჩინეთის რაიონებში მცხოვრები ბინადარი და მიწათმოქმედი მოსახლეობის მიმართ პირველად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოიყენეს. ადრე

ადგილობრივ მოსახლეობას ადგილსაცხოვრისის მიხედვით უწოდებდნენ *ყაშღარელებს, ჯარყენდელებს, ტარანჩებს.*

ხანგრძლივი და რთული ეთნიკური პროცესების შედეგად შუა აზიაში მსხვილი ეთნოსები ჩამოყალიბდნენ: *უზბეკები* (1989 წლის მონაცემებით – 16,5 მლნ.), *თურქმენები* (2,7 მლნ.), *ყაზახები* (7,5 მლნ.), *ყირგიზები* (2,5 მლნ.), *ყარაყალპაკები* (416 ათასი), *უიღურები* (260 ათასი). ყველანი თურქულ ენებზე ლაპარაკობენ, რომლებიც ალთაურ ენათა ოჯახში შედის. *ტაჯიკები* (4,2 მლნ.) შუა აზიის ხალხთაგან ერთადერთნი არიან, რომლებიც ინდოევრიპული ენათა ოჯახის ირანული ჯგუფის ენაზე ლაპარაკობენ. შუა აზიაში XIX საუკუნის დასაწყიში ცხოვრობდნენ აგრეთვე *ქურთები, ბელუჯები, შუააზიელი (ბუხარელი) ებრაელები, სპარსელები, არაბები* და *ბოშები.* რუსეთის იპერიაში შესვლის შემდეგ, ზემოთ აღნიშნული ხალხების გარდა, შუა აზიაში დასახლდნენ *რუსები* (1990 წლისათვის – 9,5 მლნ), *უკრაინელები* (1,2 მლნ), *გერმანელები* (1,1 მლნ*), თათრები* (977 ათასი), *კორეელები* (321 ათასი), *ბელორუსები* (238 ათასი), *დუნგანები* (68 ათასი). დღეისათვის ამ ხალხების რაოდენობა თანდათან მცირდება. XX საუკუნეში შუა აზიაში ენობრივი ვითარებაც შეიცვალა. ადგილობრივი ნაციონალური ენების განვითარებასთან ერთად ფართოდ განვითარდა რუსული ენა, რომელიც ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ენად იქცა.

შუა აზიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამი სამეურნეო-კულტურული ტიპი გამოიყო, რომლის საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. ესენია: *ბინადარი მიწათმოქმედნი* – ტაჯიკები, უზბეკებისა და თურქმენების დიდი ნაწილი, უიღურები, ყარაყალპაკებისა და ყირგიზების ჯგუფები; *სტეპებისა და ნახევრადსტეპების მოძრავი (მომთაბარე) მესაქონლეები* – ყაზახები, ყირგიზები, უზბეკებისა და თურქმენების ნაწილი; და ბოლოს, *ოაზისების განაპირა ადგილებში მცხოვრები ნახევრადმბინადრე მიწათმოქმედი-მესაქონლეები* – ყარაყალპაკები, უზბეკებისა და თურქმენების ნაწილი, ყაზახებისა და ყირგიზების ჯგუფები. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ **შუა აზიაში სამეურნეო-კულტურული ტიპები ერთი მთლიანის ნაწილნი იყვნენ, რომელთაგან თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო.** მესაქონლე მოსახლეობას არსებობა არ შეეძლო მხოლოდ ხორცისა და რძის პროდუქტებით. მიწათმოქმედება შუა აზიაში ძალიან დიდი ხნის წინ განვითარებულა, თურქმენეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის V ათასწლეულიდან. ძვ. წ.-ის II ათასწლეულის დასაწყისისათვის სამიწათმოქმედო კულტურების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძვ. წ.-ის I ათასწლეულის დასაწყისისათვის მიწათმოქმედება, როგორც მეურნეობის საფუძველი, თითქმის ყვე-

ლგან გავრცელდა ევრაზიის ამ ნაწილის სამხრეთის ყველა რაიონში. სარწყავმა ნაგებობებმა მიწის დიდი ნაკვეთების ათვისების შესაძლებლობა განაპირობა. შუა აზიის სამიწათმოქმედო კულტურას დიდი დარტყმა მიაყენეს მონღოლებმა. დამპყრობთა მიერ საირიგაციო სისტემის მოშლამ, მოსახლეობის წასხმამ და დამონებამ მთელი ოლქების გაუკაცრიელება გამიწვია. ამ მიწების მხოლოდ ნაწილის ხელახლა ათვისება გვიან შუა საუკუნეებში მოხერდა. მთავარი სამიწათმოქმედო კულტურები იყო მარცვლეული კულტურები (*ხორბალი, ქერი* და *ჯუგარი*) და *ფეტვი.* ტექნიკური კულტურებიდან პირველი ადგილი *ბამბას* ეჭირა. მემინდვრეობის გარდა, ყველა ოაზისში ფართოდ იყო განვითარებული *მებაღეობა, მებაღჩეობა* და *მევენახეობა.*

მესაქონლეობა უპირატესად მომთაბარე ხასიათისა იყო. შუა აზიაში გამოყოფენ მომთაბარეობის სამ წესს: *მერიდიონალურს, ვერტიკალურსა და სტაციონარულს.* თითოეული სახე განპირობებული იყო გეოგრაფიული პირობებით. პირველ შემთხვევაში საზამთრო სადგომები განლაგებული იყო ყველაზე სამხრეთით მდებარე რაიონებში. გაზაფხულის დაგომისთანავე მესაქონლეები თანდათან ჩრდილოეთისკენ გადადიოდნენ. ზაფხულში ჯოგებს ჩრდილოეთით ამყოფებდნენ. ამ სახის მომთაბარეებს დიდი რაოდენობით ჰყავდათ ცხენები, ცხვარი და აქლემები. ვერტიკალური მომთაბარეობა მთისა და ბარის მონაცვლეობაში გამოიხატებოდა. სტაციონარული მესაქონლეობა კი საქონლის შედარებით ნაკლებ მოძრაობას გულისხმობდა. შუა აზიის მთისწინა რაიონებში გავრცელებული იყო გადარეკვითი მესაქონლეობა, რომელიც ყოველთვის მიწათმოქმედებასთან იყო შერწყმული. მეურნეობის ამ ტიპის არსებობისას ჯოგებს მიერეკებოდნენ მთის საძოვრებზე, სადაც მას მოსახლეობის ერთი ნაწილი მისდევდა, მეორე ნაწილი კი დაბლობში რჩებოდა, სადაც სარწყავი მიწებს ამუშავებდნენ.

შუა აზიის მოსახლეობის საქმიანობაში – მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად – არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხელოსნობასა და შინამრეწველობას. განსაკუთებით უნდა აღინიშნოს *მეთუნეობისა* და *მეხალიჩეობის* მაღალი დონე.

ოაზისების მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობებს მკვლევართა ნაწილი განსაზღვრავს როგორც პატრიარქალურ-ფეოდალურს. მაგრამ სრულიად სამართლიანად სხვა მეცნიერები ამგვარ განსაზღვრას არ ეთანხმებიან, რადგან **შუა აზიაში მიწის საკუთრების ფორმები რადიკალურად განსხვავდება დასავლეთ ევროპის საკუთრების ფორმებისაგან. აქ მთავარი იყო არა მიწის, არამედ წყლის საკუთრება. შუა აზიის ყველა ხალხში ანდაზაცაა: „შობს წყალი და არა დედამიწა“. წყალი აქ – კერძო, სათემო და სახელმწიფო მიწათმფლობელობის პირო-**

ბებში – ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. ეს გარემოება ართულებს და ხშირად შეუძლებელს ხდის ერთგვაროვნად განისაზღვროს საზოგადოებრივი ურთიერთობები სამიწათმოქმედო ოაზისებში. *ხივის, ბუხარისა* და *კოკანდის* სახანოების მეთაურთა ძალაუფლება არაფრით განსხვავდებოდა უფრო ადრეული ეპოქის აღმოსავლური დესპოტიების ხელისუფალთა ძალაუფლებისაგან. ადგილობრივ სახანოებში არ ჩამოყალიბებულა ჩაკეტილი ფენა, რომელსაც ექნებოდა ესა თუ ის სოციალური უპირატესობა, მათ შორის, მიწაზე მონოპოლიური ფლობის უფლება. არ მომხდარა გლეხების მიწაზე მიმაგრებაც, ხოლო მწარმოებელთა დამოკიდებულება გამოიხატებოდა ხანგრძლივი კაბალის ფორმით. მესაქონლეების ძირითადი საზოგადოებრივი უჯრედი იყო მომთაბარეთა თემი. მთელი საძოვარი, ისე როგორც წყლის რესურსები, ტომის საკუთრებად მიიჩნეოდა. მესაქონლეთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვეულებით სამართალს.

სტეპებში, ოაზისებსა და მთებში მცხოვრები ხალხების მატერიალური კულტურა უპირატესად განპირობებული იყო ბუნებრივი პირობებითა და სამეურნეო საქმიანობით და არა ეთნიკური სპეციფიკით. აქ საქალაქო ცენტრები ჯერ კიდევ კოპეტდაღის მთისწინეთში წარმოიქმნა. დღეს არსებულ ქალაქებს (*სამარყანდი, ხოჯენტი, ოში* და სხვ.) ორი-სამი ათასი და მეტი წლის ისტორია გააჩნია. ევროპაში თუ ხელოსნობა მხოლოდ ქალაქის მკვიდრთა საქმიანობას წარმოადგენდა, შუა აზიაში ხელოსნური პროდუქციის დიდი წილი ოაზისების დიდ სასოფლო დასახლებებზე მოდიოდა. შუა საუკუნეებში ბევრ ქალაქში *მედრესები* – რელიგიური სასწავლო ცენტრები – არსებობდა. ყველა ქალაქის მაჰალეში (უბანში) ერთი პროფესიის ხელოსნები ცხოვრობდნენ. მომთაბარე მესაქონლეების ძირითადი საცხოვრებელი იყო *იურტა*. იურტის ჩონჩხს წარმოადგენდა ხის ცხაურა და ხარიხა, რომელიც ქეჩით გადაიხურებოდა. იურტის ორი ტიპი არსებობდა – მონღოლური და თურქული. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სახურავშია. პირველს აქვს კონუსისებური სახურავი, მეორეს – გუმბათისებრი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იურტის პროტოტიპი იყო ევრაზიის სტეპების ძველი ირანულენოვანი მესაქონლეების გადასატანი საცხოვრებელი.

შუა აზიის ხალხებმა არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო კულტურის ფასეულობებიც შექმნეს, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თურქმენული ხალიჩები, ბუხარული და სამარყანდული საიუველირო სამკაულები და ნაქარგები, ყაზახური და ყირგიზული მოხატული ქეჩები, ტაჯიკური კერამიკა, ხეზე ნახატი და ჩუქურთმა, წიგნის მინიატურა. მხარის საზ-

ღვრებს გარეთ ცნობილია ბუხარის, სამარყანდის, ხივის, კუნია-ურგენჩის, მერვის არქიტექტორული შედევრები.

III.2-8.საჰარის სამხრეთით მცხოვრები აფრიკის ხალხები

აფრიკა უნიკალური კონტინენტია. აქ მკვიდრობს სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობის მოსახლეობა. საჰარის სამხრეთით აფრიკის მოსახლეობის რაოდენობა 500 მილიონამდეა. აფრიკა მოსახლეობის მატების ტემპებითაც გამოირჩევა. თუმცა მაღალია სიკვდილიანობაც. ამიტომაა, რომ ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. დღესაც აფრიკის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს. კონტინენტის ეს ნაწილი ეთნიკური, ენობრივი, ანთროპოლოგიური, რელიგიური და სამეურნეო თვალსაზრისით ფრიად მრავალფეროვანია. გარდა ნეგროიდებისა, აფრიკის ჩრდილოეთში – მალისა და ნიგერის ჩრდილოეთ ოლქებში ცხოვრობენ *ტუარეგები,* რომლებიც მიეკუთვნებიან ევროპეიდების სამხრეთ შტოს ინდოხმელთაშუაზღვის მცირე რასას.

შავი აფრიკის ეთნოლინგვისტური რუკა ძალიან ჭრელია. რეგიონის ხალხები ენათა რამდენიმე ოჯახზე ლაპარაკობენ: *აფრაზიური* (*ბერბერების* ჯგუფი – *ტუარეგები* და *ჩადის* ჯგუფი – *ხაუსა* და მათი მეზობლები), *ნილო-საქარული, კოისანური.* ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი *ნიგერო-კორდოფენული* ოჯახია. პოლიტიკური საზღვრების გავლების შემდეგ ერთი ეთნოსის წარმომადგენლები სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. **აფრიკის ეთნიკურ რუკაზე მეცნიერი ეთნოლოგები 500-ზე მეტ ხალხს გამოყოფენ.** საერთოდ, აფრიკის ეთნიკური კლასიფიკაციის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არც არის.

მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ აფრიკაში დაიწყო ანთროპოგენეზის პროცესი. ეთნიკური ისტორიის დეტალური სურათის აღდგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ძვ. წ.-ის IV-III ათასწლეულებში დაიწყო საჰარის თანდათანობითი გამოშრობის პროცესი, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი მეზობლების გადაადგილება. საჰარის ძველი მოსახლეობის განსახლება ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებით. მისი ნაწილი მოძრაობდა აღმოსავლეთის მიმართულებით, ნილოსის ხეობისაკენ, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეივსო *ეგვიპტისა* და *ნუბიის* მოსახლეობა. მიგრაციის სხვა ნაკადები სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდა.

რკინის ხანას მიაკუთვნებენ *ბანტუს* ენებზე მოლაპარაკე ხალხების მიგრაციას. V-VI საუკუნეებში დაიწყო მათი მიგრაცია თანამედროვე *კამერუნისა* და *ნიგერიის* ტერიტორიიდან

სამხრეთისა და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ. თანდათან მთელი ტროპიკული აფრიკა დასახლდა *ბანტუს* მიერ. *ბანტუს* გადასახლების პერიოდში თავიანთი საცხოვრისში შეავიწროვეს კონტინენტის ყველაზე ძველი ბინადარნი – *პიგმეები* და *საანები.* პირველნი ეკატორიულ ტყეებში გადავიდნენ, მეორენი – სამხრეთის უდაბნოს ოლქებში.

როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეების ეპოქის ეთნიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისლამის გავრცელებამ. დასავლეთ აფრიკის უმეტეს ქვეყნებში *არაბები* მიდიოდნენ როგორც *ვაჭრები* ან *ფაკიხები* (მუსლიმი სწავლულები და მქადაგებლები). დასავლეთ სუდანის სახელმწიფოს ზედაფენამ ისლამი სახელმწიფო რელიგიად მიიღო. არაბული ენა აქ იქცა „ელიტარული“ კულტურის, მეცნიერებისა და განათლების ენად. მან ისეთივე როლი ითამაშა, როგორიც ლათინურმა შუა საუკუნეების ევროპაში და ჩინურმა ენამ შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. არაბები ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. არაბულმა გავლენამ პრაქტიკულად დასავლეთ აფრიკის ეთნიკური შემადგენლობა ვერ შეცვალა.

არაბული გავლენის მეორე ზონა (VII საუკუნიდან) იყო აღმოსავლეთ აფრიკა. არაბი მიგრანტები (ვაჭრები და მქადაგებლები), როგორც წესი, ოჯახისა და ნათესავების გარეშე მოდიოდნენ აქ. ამიტომ ცოლად ადგილობრივ ქალებს ირთავდნენ და ზოგჯერ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსაც ითვისებდნენ. ამდენად, ხელისუფლების მემკვიდრეობის სისტემა აფრიკული და არაბული ხასიათისა იყო. **მუსლიმი აფრიკელები ხშირად თავიანთ თავს არაბებს უწოდებდნენ.**

შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ აფრიკაში სამხრეთისაკენ მოძრაობა დაიწყეს *ნილოტის* ხალხებმა. შორს სამხრეთისაკენ გადაადგილდნენ ნილოსის ზემო წელიდან მეცხოველე ხალხები, რომლებიც *ნილო-საქარის* ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობდნენ. ისინი დასახლდნენ კენიის, უგანდის, ჩრდილოეთ ტანზანიის ველებში. უმეტესი მათგანი (*მასაი, ნანდი, კიპსიგისი, ლუო* და სხვები) დღესაც მესაქონლეობას მისდევს, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენები, თვითსახელწოდება და თავს განასხვავებენ მიწათმოქმედი *ბანტუსაგან.* ნაწილმა შეინარჩუნა ადრინდელი საქმიანობა – მესაქონლეობა, მაგრამ ენა დაკარგა და ბანტუს ენაზე გადავიდა. მესაქონლე ტომების აღმოსავლეთ აფრიკაში მოსვლის პერიოდში, XVI საუკუნის შუა ხანებში აქ უკვე არსებობდა სახელმწიფოებრიობის ტრადიცია. ამის შემდეგ რეგიონში ჩამოყალიბდა თავისებური ეთნოკასტური სისტემა, რომელშიაც მესაქონლეები – *ტუტსი* (რუანდაში) და *ირუ* (თანამედროვე უგანდის ტერიტორიის სახელმწიფოებში) – შეადგენდნენ მმართველ ზედაფენას და დაქვემდებარებული ჰყავდათ მი-

წათმოქმედი *ხუტუ*. ახლა ეს ჯგუფები ხშირად დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფებად მიიჩნევა. ისინი ქვეყანაში გაბატონებისათვის იბრძვიან და არც სისხლისღვრაა იშვიათი.

აფრიკის ეთნიკურად ჭრელ, დიდ სახელმწიფოებში იშვიათად წარმოიქმნებოდა დიდი ეთნოსები. მაგრამ პოლიტიკურად განვითარებულ და უფრო კომპაქტურ ოლქებში მონათესავე ჯგუფებისაგან ყალიბდებოდა მსხვილი ეთნიკური ერთობები. ასეთი პროცესები მიმდინარეობდა *აშანტის* (განა) კონფედერაციაში, *იორუბას* (ნიგერია) სახელმწიფოში, *კანებუს* ხალხის ირგვლივ (ნიგერიის, კამერუნისა და ჩადის მოსაზღვრე ოლქებში)...

შუა საუკუნეებში განსახლდა *ფუბლეს* ხალხი დასავლეთ აფრიკის სივრცეებში. მესაქონლე-მომთაბარე *პრაფუბლე* დასავლეთ სუდანში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საჰარის გავლით მივიდა. VIII საუკუნეში ისინი ცხოვრობდნენ რეგიონის უკიდურეს დასავლეთში, სენეგალისა და ნიგერის სათავეებში. XVI საუკუნიდან ხდებოდა *ფუბლეს* განსახლება უფრო შორს, დღევანდელ კამერუნამდე. დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობასთან კონტაქტის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე *ფუბლე*, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება *პრაფუბლესაგან* როგორც საქმიანობით, ისე ფიზიკური ტიპით.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკაში, სახელმწიფოთა ფარგლებში ფორმირდებოდა ეთნოსები, მაგალითად, *კონგო* და *კუბა* (კონგოში), *შონა* (ზიმბაბვეში), *მალგაშეი* (მალაგის რესპუბლიკა). აღმოსალეთ-აფრიკული სანაპიროს ხალხებს არც შუა საუკუნეებსა და არც ახალ დროში დიდი, ერთიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები არ შეუქმნიათ. აღმოსავლეთ აფრიკის ვრცელ სანაპირო ზოლში ადგილობრივი ქალაქ-სახელმწიფოების არაბებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებმა გამოიწვია შერეული მოსახლეობის ჩამოყალიბება, რომელსაც ერთიანი ენა, კულტურა და თვითშეგნება გააჩნია. ეს ერთობა ცნობილია *სუაჰილის* სახელწოდებით (არაბ. *სახელ* – ნაპირი).

განსაკუთრებული როლი ითამაშა ევროპულმა და არაბულმა მონათვაჭრობამ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა აფრიკის ეთნიკური რუკა. ოკეანისგაღმელთა მონობის საშინელებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ბევრმა ტომმა და ხალხმა მშობლიური ადგილები დატოვა. სხვები საერთოდ გაქრნენ: ისინი ან ფიზიკურად განადგურდნენ, ან სხვა ეთნოსებს შეერწყნენ. ზოგიერთი ოლქი საერთოდ გავერანდა.

ევროპელთა კოლონიზაციის დაწყებამ ბევრი აფრიკელი ხალხის გადასახლება გამოიწვია, განსაკუთრებით სამხრეთში. მთელი რიგი სოფლები ახალ ადგილებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. ასეთი დიდი გადასახლება მოხდა, მაგალითად, XX საუკუნის 20-იან წლებში ანგოლიდან თანამედროვე ზამბიის ტე-

რიტორიაზე. ახალი ხალხების ფორმირება მოხდა აგრეთვე სამრეწველო და ფერმერულ ცენტრებში სხვადასხვა წარმომავლობის ეთნოსების შერევის შედეგად.

და ბოლოს, აფრიკის რიგ რაიონებში შეიქმნა ზონები, სადაც ევროპელებმა ადგილობრივი მოსახლეობის მიწები დაიპყრეს და გააძევეს მკვიდრი მოსახლეობა. ასეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, მაგალითად, კენიაში, სადაც ევროპელთა მიერ ფერმების შექმნამ *მასაების*ა და *კიკუიუს* გადაადგილება გამოიწვია. კონტინენტის სამხრეთში აფრიკელი ხალხების განსახლებაზე დიდი გავლენა გამოიწვია ე. წ. *ბურების* გადასახლებამ, რომელიც 1836 წლიდან კაპსის კოლონიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ხდებოდა. ამან გამოიწვია ჩრდილოეთში *ზულუსების, ბეჩუანების, ბასუტოს* შევიწროვება. *ნემბლე* კი თანამედროვე ზიმბაბვეს მიწაზე დასახლდა. *ბუშმენები (საანი)* ბანტუს მრავალრიცხოვანი გადასახლების შედეგად შორს, სამხრეთ აფრიკის უდაბნოს სიღრმეში აღმოჩნდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფრიკის კონტინენტის სამხრეთში *ჩინელებისა* და *ინდოელების* ჯგუფები დასახლდნენ. სამხრეთ აფრიკაში ინდური თემი 1911 წელს ჩამოყალიბდა. 1913 წლიდან ინდოელებმა დასახლება დაიწყეს ტანგანიკის ტერიტორიაზე. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი არ შეერივნენ და შეინარჩუნეს როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური თავისთავადობა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცენტრალური აფრიკის ხალხები კულტურულსა და ეკონომიკურ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. სანაპირო რაიონები საერთოდ დიდ გავლენას ახდენდა დანარჩენ მხარეებზე. აფრიკის კოლონიური დაპყრობა ძირითადად XIX საუკუნეში მიმდინარეობდა.

აფრიკის ტრადიციული კულტურები ოდითგანვე ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული. **ცენტრალური აფრიკის ხალხებმა არ იცოდნენ სამეთუნეო ჩარხი (მორგვი), ბორბალი და გუთანი. მათ საქმიანობა მონადირეობითა და შემგროვებლობით შემოიფარგლებოდა.** მაგალითად შეიძლება *საანის* ხალხი დავასახელოთ, რომლებიც დღეს თანამედროვე ნამიბიის, ბოსტვანას, სამხრეთ აფრიკისა და ანგოლის ტერიტორიებზე ცხოვრობენ. მათთან შემორჩენილია შრომის სქესობრივი განაწილება. ნადირობა – კაცების საქმეა, შემგროვებლობა – ქალებისა. ნადირობის ერთადერთი სახეა ფეხდაფეხ დევნა. ნადირობის ძირითადი ობიექტია ანტილოპა. ოდესღაც საანები ნადირობდნენ სტრაუსზეც. ერთადერთი სანადირო იარაღი იყო უბრალო მშვილდი. საანებს შორის უცნობი იყო კერძო საკუთრება.

აფრიკის ქვეყნებში ტრადიციული აფრიკული მიწათმოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტექნოლოგიების

მიხედვით შემდეგ ზონებად იყოფა: 1. *მშრალი სავანეების ზონა,* სადაც მოჰყავდათ მარცვლეული და 2. *ეკატორიული სარტყლის ტენიანი რაიონების ზონა,* სადაც ძირითადი ადგილი უკავია ძირნაყოფებს. მშრალი სამიწათმოქმედო სავანის ტიპური წარმომადგენელია *ხაუსას* ხალხი. ეს მრავალრიცხოვანი ხალხი (20 მილიონზე მეტი) ცხოვრობს ჩრდილოეთ ნიგერიაში, ნიგერში, კამერუნში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ჩადში. თავისი ძირითადი ტერიტორიიდან განსახლებულნი კი საქმიანობენ ვაჭრობის სფეროში, ოფიცრებად, „თავისუფალ პროფესიებში", სამთავრობო ჩინოვნიკებად. *ხაუსას ენა* ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ენაა, რომლითაც 50 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

ხაუსას მიწის ნაკვეთებზე მოჰყავთ *ხახვი, პომიდორი, გოგრა, პარკოსნები,* აგრეთვე *სორგოსა* და *ფეტვის* ნაირსახეობანი, იშვიათად – *ხორბალი.* განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *არახისს.* მას ჭამენ მოხარშულს, შემწვარს და, რაც მთავარია, მისგან ხდიან ზეთს. უკვე კარგა ხანია მოჰყავთ ტექნიკური კულტურები – *ბამბა* და *ინდიგო,* რომლისაგანაც იღებენ ლურჯ საღებავს. ხაუსას ხალხში მეცხოველეობა ნაკლებადაა განვითარებული და მხოლოდ რამდენადმე ავსებს მიწათმოქმედებას. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავთ ძირითადად *ფუბლეს, ხაუსას* კი – ცხვარი, თხა და სახედარი. მეთევზეობასა და მონადირეობას დამხმარე დანიშნულება აქვს.

აფრიკის აღნიშნული რეგიონის ნიადაგები – რბილი წითელმიწა ნიადაგებია, რაც არ საჭიროებს სახვნელის გამოყენებას. ამიტომ ხაუსას (და განსახილველი სარტყლის სხვა ხალხების) ძირითადი იარაღი იყო თოხი. მოსავლის აღების შემდეგ მიწას რამდენიმე ხნით დააგდებდნენ (ასვენებდნენ). მიწამოქმედ ხალხებს, ვისაც მეზობლად ჰყავდათ მესაქონლეები, ამ უკანასკნელებს უთანხმდებოდნენ, რათა საქონელი საძოვარზე ასეთ ნაკვეთებში შეეშვათ, რათა ის ორგანული სასუქით გამდიდრებულიყო. მძიმე სამიწათმოქმედო სამუშაოებს ძირითადად მამაკაცები ასრულებდნენ. ეკვატორულ ზონაში წელიწადში ზოგჯერ ორ მოსავალსაც იღებდნენ.

ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, კენიის, ტანზანიის ტერიტორიებსა და მოზამბიკის ჩრდილოეთში ცხოვრობს *სუაჰილი.* ამ ხალხის ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ეთნოსებმა, მოსულმა არაბებმა და ინდოელებმა. *სუაჰილით,* როგორც ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ენით, 90 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს. *სუაჰილი* – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ენაა. *სუაჰილის* ხალხი ოდითგანვე მისდევდა მეთევზეობას, მეზღვაურობას, ხომალდმშენებლობას, ვაჭრობას. *სუაჰილის* ხალხმა შექმნა მთელი რიგი სანაპირო ქალა-

ქები. სოფელ ადგილებში *სუაჰილის* მოჰყავს *სიმინდი, ფეტვი, ქოქოსის პალმა,* კუნძულებზე – *მიხაკი* და სხვა სანელებლები. მისდევენ ხესა და ქვაზე კვეთას, მეთუნეობას, საფეიქრო საქმეს. მატერიალურ და სულიერ კულტურაზე, ენაზე შესამჩნევია არაბულის გავლენა.

ორიოდე სიტყვით *ბურებსაც* უნდა შევეხოთ. *აფრიკანერები* (*ბურები*) სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. მათი გარკვეული რაოდენობა მეზობელ ქვეყნებშიცაა განსახლებული. *ბურები* დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ აფრიკაში გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. პირველნი იყვნენ *ჰოლანდიელები* (1652 წლიდან), შემდეგ კი – *ფრანგი-ჰუგენოტები. ბურები* განსაკუთრებულ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც თავს ჰოლანდიელებისაგან განასხვავებენ. *ბურების* ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ფერმებში, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია. მათი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. დიდი ხნის განმავლობაში *ბურები* აწარმოებდნენ ნახევრადნატურალურ მეურნეობას, მისდევდნენ სამჭედლო საქმიანობას, ფეიქრობას, ტყავის დამუშავებას, ამზადებდნენ ფურგონებს, ბაობაის ფესვებისაგან იღებდნენ შაქრის სიროფს.

აფრიკის ბევრი ხალხი უპირატესად მესაქონლეობას მისდევს. ესენი არიან *ფულბე, ტუარეგი, მასაი, ზულუ* და სხვა. საქონლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადარეკვა სეზონურია. გადასარეკი გზები საუკუნეების განმავლობაშია ჩამოყალიბებული და დღესაც მოქმედებს მიუხედავად იმისა, რომ ისინი დღეს სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე გადის. აღმოსავლეთ აფრიკაში ყველაზე ცნობილი მესაქონლე ხალხია *მასაი.* ისინი ტიპური მომთაბარეები არიან.

აფრიკელებისათვის საკულტო საგანი იყო დოლი, რომელიც საბრძოლო, რიტუალურსა და შორ მანძილზე ინფორმაციის გადაცემის საშუალებასაც წარმოადგენდა. ამ რეგიონის სახელმწიფო საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. სანაპირო ზოლის მოსახლეობა მისდევს *მეთევზეობას, მიწათმოქმედებას,* მოჰყავთ ადრეული *ბოსტნეული, ყურძენი, თამბაქო, ციტრუსები,* თესავენ *ხორბალსა* და *სიმინდს.* მთის მცხოვრებნი მისდევენ როგორც მიწათმოქმედებას, ისე მესაქონლეობასაც. *მავრები* და *ტუარეგები* მომთაბარე ხალხებია (ამ უკანასკნელთ აქვთ ძველი ორიგინალური დამწერლობა). მათ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს აქლემის ჯოგები. მომთაბარე ხალხებში დაწინაურებულია საქარავნო ვაჭრობა. ხელოსნობა განვითარებული იყო არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც (ფეიქრობა, მეხალიჩეობა, მჭედლობა, მეთუნეობა, გრავიურა, საიუველირო ნაწარმი). სასმელ წყალს ძირითადად ჭებიდან მოიპოვებ-

დნენ. ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებთა სასმელი იყო პალმის ღვინოც. აღმოსავლეთ აფრიკის ხალხები ცხოვრობენ: ზიმბაბვეში, მავრიკიაში, კენიაში, მადაგასკარში, ჯიბუტიში, ზამბიაში, მოზამბიკში, რუანდაში, სეიშელის კუნძულებზე, სომალიში, ტანზანიაში, უგანდაში, ეთიოპიაში, კომორის კუნძულებზე. აქ მცხოვრები ეთნოსები ლაპარაკობენ *სემიტურ-ქამიტურ, ნილოსაქარულ, ნიგერიულ-კორდაფენული* ოჯახების ენებზე. აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები ეთნოსების ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობასაც. განვითარებულია აგრეთვე ხელოსნობა (*ფეიქრობა, მეთუნეობა, მჭედლობა,* წვნა).

აფრიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოფლო (ტერიტორიულ) თემებში ცხოვრობდა. ძროხებთან, ცხვართან და თხასთან ერთად ჰყავთ ერთკუზიანი აქლემიც. მას საქარავნო ვაჭრობაში ტვირთების გადასატანად იყენებენ. რეგიონში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა ისლამი, თუმცა ქრისტიანობის მიმდევრებიც დიდი რაოდენობით არიან. ქალები ატარებენ არა მხოლოდ საყურეებს, არამედ ცხვირში გარჭობილ სამკაულსაც. დასავლეთ აფრიკას მიეკუთვნება შემდეგი ქვეყნები: ბურკინა ფასო, გამბია, ბენინი, განა, ნიგერია, გვინეა, გვინეა-ბისაუ, კოტდივუარი, ლიბერია, სენეგალი, სიერა-ლეონე, ტოგო. დასავლეთ აფრიკა ეთნოლინგვისტურად ძალიან ჭრელია. ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. განვითარებულია როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა. ძირითადი საკვებია: მარცვლეული, *ფინიკი, რძე.* მომთაბარეებს ჰქონდათ გადასატანი საცხოვრებელი. ხალხების უმეტესობა დიდ, გაუყოფელ ოჯახებად ცხოვრობდა. საყოველთაოა წინაპრების კულტი, პოლითეიზმი.

III.2-9.ჩრდილოეთ აფრიკისა და აფრიკის რქის ხალხები

ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკა (სხვაგვარად *აფრიკის რქის* ქვეყნები) წარმოადგენს განსაკუთრებულ კულტურულ ოლქს, რომელსაც იზიდავდა ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურა, ხოლო ახ. წ.-ის VII საუკუნიდან – მახლობელი აღმოსავლეთის (წინა აზიის) მუსლიმური სამყარო. აქ 200 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ჩრდილოეთ აფრიკის ბევრ ხალხს საერთო რელიგია აერთიანებს, ხოლო ერთგვაროვან ბუნებრივ პირობებში ცხოვრებამ მათ ჩამოუყალიბათ მსგავსი სამეურნეო ფორმები, ცხოვრების იერ-სახე, კულტურები. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სუბტროპიკული და რბილი კლიმატია, მიწაც ნაყოფიერია. რეგიონი წყლის რესურსებით ღარიბია. მთე-

ლი წლის განმავლობაში მხოლოდ ნილოსია წყალუხვი. ეს რეგიონი ანთროპოგენეზის ზონად არის მიჩნეული. დღეს არსებული სახელმწიფო საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. მაგალითად, *ტუარეგები* ცხოვრობენ არა მხოლოდ ალჟირში, არამედ მავრიტანიაში, მალიში და ნიგერში, *სომალი* – სომალიში, ეთიოპიაში, ჯიბუტსა და კენიაში და ა. შ.

ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობა მიეკუთვნება ევროპეიდული დიდი რასის ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული მცირე რასის სამხრეთულ შტოს. ესენი არიან ღია ფერის, მოგრძო სახისა და მაღალი ცხვირის, თაფლისფერი თვალების, მუქი ფერის თმის ადამიანები. ზოგიერთ მიყრუებულ მხარეში შემორჩენილია ღია ფერის თმის მქონე და ცისფერთვალება ჯგუფები. რეგიონის ყველაზე სამხრეთ ნაწილში, საჰარის ოაზისებში, სუდანისა და ეთიოპიის სამხრეთში ცხოვრობენ ნეგროიდი ხალხები – *შლუკი, ნუერი, ამერი* და სხვ. აფრიკის რქის ძირითადი მოსახლეობა მიეკუთვნება ე. წ. ეთიოპიურ მცირე რასას.

ამ რეგიონის ხალხები რამდენიმე ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ. *აფრაზიური* ოჯახი აერთიანებს *სემიტურ, ყუშიტურ* და *ბერბერულ* ჯგუფებს (შტოებს). სემიტური შტოს ენებზე ლაპარაკობს რეგიონის ყველა ქვეყნის *არაბი,* კოპტი (ეგვიპტეში), *მავრი* (მავრიტანიაში), *ამხარა, გურაგე* და სხვ. (ეთიოპიაში). ყუშიტურს მიეკუთვნება *ბეჯაა* და *აფარის* ხალხთა ენები ჯიბუტში, *სომალი* – სომალსა და მეზობელ ქვეყნებში, *ორომო, კაფა* და სხვები – ეთიოპიაში. *ბერბერული* აერთიანებს რეგიონის დასავლეთის ბევრი ეთნიკური ჯგუფის ენებს; ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია *კაბილი* ჩრდილოეთსა და *ტუარეგი* – სამხრეთში. რეგიონის სამხრეთ ნაწილში წარმოდგენილია *ნიგერო-კორდაფანის* ენათა ოჯახი: *აზანდე* – სამხრეთ სუდანში. თავიანთი ენები შეინარჩუნეს სოფლის მაცხოვრებლებმა – *ბერბერებმა, ტუარეგებმა, სამხრეთ სუდანელებმა.* დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი ენა ეგვიპტის ძველ ქრისტიანთა მემკვიდრეებმა – *კოპტებმა.*

რელიგიური თვალსაზრისით ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობა ძირითადად ერთგვაროვანია. მუსლიმები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (მაგალითად, ალჟირში – 90%, ტუნისსა და მავრიტანიაში – თითქმის მთელი მოსახლეობა). პირველი მუსლიმები ეგვიპტეში VII საუკუნეში გამოჩნდნენ, როგორც არაბული ხალიფატის მეომრები; XI საუკუნისათვის ჩრდილოეთ აფრიკის თითქმის მთელ მოსახლეობას ჰქონდა მიღებული ისლამი. ისლამის შეღწევა უფრო სამხრეთით, მიყრუებულ რაიონებში XIV-XV საუკუნეებამდე გაგრძელდა.

ქრისტიანები დღეისათვის ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ. ძველად ჩრდილოეთ

აფრიკაში ბევრი ქრისტიანული თემი იყო (ყველაზე მნიშვნელოვანი – ეგვიპტეში). **ადრეული ქრისტიანების შთამომავლები – *კოპტები* დღესაც ცხოვრობენ ეგვიპტეში. ისინი მონოფიზიტები არიან (აღიარებენ ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას); ინარჩუნებენ ძველ წესებს (წინდაცვეთა, ტაძარში შესვლისას ფეხსაცმლის გახდა და ა. შ.). ტაძრები კოპტებს მორთული აქვთ ხალიჩებით, აჟურული ტიხარებით. მონოფიზიტები არიან ეთიოპიელებიც. ეთიოპელებსაც შენარჩუნებული აქვთ ბევრი ძველი წესი, მაგალითად, ძველი ტრადიციული ინსტრუმენტების გამოყენება საეკლესიო წესების შესრულების დროს. ეთიოპიელთა ყველაზე პოპულარული დღეასასწაულია ჯვართამაღლება.** ის აშკარად ატარებს ნაყოფიერების ნიშნებს. რომის იმპერიის დროიდან ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში ცხოვრობდნენ *იუდეველები.* ისინი ძირითადად საქალაქო თემებად ცხოვრობდნენ (ხელოსნები, ვაჭრები, ფინანსისტები). შუა საუკუნეებში მათ დაემატნენ ესპანეთიდან გამოძევებული ებრაელები. ეთიოპიაში ცხოვრობს ხალხი – *ფალაშა*, რომელიც აღიარებს იუდაიზმის თავისებურ (თალმუდამდელ) მოძღვრებას, რომელშიც შერწყმულია ძველი ხალხური რწმენა-წარმოდგენები და ეთიოპიური მონოფიზიტობა. დღეისათვის ჩრდილოეთ აფრიკის ებრაული მოსახლეობის უმრავლესობა (მათ შორის, *ფალაშა* – პრაქტიკულად მთლიანად) ისრაელში გადასახლდა.

ეგვიპტის დასავლეთით ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას *მაღრიბს* (არაბ. – „დასავლეთი“) უწოდებენ. ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობა არაბები არიან. ისინი როგორც არაბეთის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლებულთა, ისე ადგილობრივ გაარაბებულთა შთამომავლები არიან. ატლასის მთებსა და სამხრეთში ცხოვრობენ მრავალრიცხოვანი *ბერბერული* ეთნოსები (*შილაჰი, კაბილი, რიფი, ტუარეგი* და სხვ.) და უკიდურეს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში – პატარ-პატარა ნეგროიდული ხალხები. მაღრიბის ჩრდილოეთისა და დასავლეთის სანაპიროზე მისდევენ მეთევზეობას. მიწათმოქმედებს მოჰყავთ მარცვლეული, ყურძენი, ადრეული ბოსტნეული, ხილი, თამბაქო და ციტრუსები. მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. მთის მცხოვრებნი არიან როგორც ბინადარი მიწათმოქმედნი, ისე გადარეკვით-მომთაბარე მესაქონლეები. ბარსა და მთისწინა ადგილებში მიწათმოქმედება სარწყავია. სოფლებში განვითარებულია აგრეთვე ფეიქრობა, მეთუნეობა, ტყავისა და ლითონის დამუშავება. მაღრიბელი მთიელები მისდევენ გადარეკვით მესაქონლეობას. **ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობის ტანსაცმელი საერთო-არაბული ტიპისაა. მამაკაცებში ესაა გრძელი კაბა ფართო სახელოებით, ქალები**

კი ატარებენ მსუბუქ შაროვარს და თეთრ, ვარდისფერ და ღია მწვანე ფერის გრძელ კაბას.

მაღრიბში ბერბერულ ენებზე მოლაპარაკე ეთნოსებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი *კაბილები* (4,5 მილიონი კაცი) არიან, რომლებიც ალჟირის მთებში ცხოვრობენ. ისინი მისდევენ მიწათმოქმედებას, მოჰყავთ ზეთისხილი, ლეღვი, ხორბალი, ქერი. შემორჩენილია დიდი ოჯახები და უფრო ფართო სანათესაო გაერთიანებები. *კაბილებში* მაღალ დონეზეა სტუმართმოყვარეობა და ამ ტრადიციის დამრღვევს სახალხოდ არცხვენენ. შემორჩენილია მესისხლეობაც. სამხრეთ მაღრიბის ეთნოსების უმეტესობა (*ტუარეგები, ბერბერული* და *არაბული* ტომები) ნომადები (მომთაბარეები) არიან. ისინი მისდევენ მეაქლემეობას, მეცხვარეობასა და მეთხეობას. ***ტუარეგები* ერთადერთი მუსლიმი ხალხია, რომლის მამაკაცები სახეს ჩადრით იფარავენ და მას არასდოს არ იხსნიან.** ტუარეგებში დღემდე შემორჩენილია თავისებური სოციალური ორგანიზაცია. მათს საზოგადოებაში ქალები დიდი პატივისცემით სარგებლობენ და დამოუკიდებლებიც არიან.

ეგვიპტის მოსახლეობა შედარებით ერთგვაროვანია. ეგვიპტელი არაბები საერთო ენაზე ლაპარაკობენ და საერთო კულტურული ტრადიციების მემკვიდრენი არიან. *სოფლის* მცხოვრებთა შორის განასხვავებენ მიწათმოქმედებსა (***ფელახები***) და მომთაბარეებს (***ბედუინები***). შემორჩენილია სასოფლო თემი და მტკიცე სანათესაო და თემური ურთიერთობები. დაუქორწინებლობა უზნეობად და დანაშაულად მიიჩნევა რელიგიისა და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით. ქორწინების საკითხებს ისევ მშობლები და ნათესავები წყვეტენ. ეგვიპტელები უპირატესობას ანიჭებენ კროს-კუზენურ ქორწინებას (ბიძაშვილებსა და დეიდაშილებს შორის). ისევ არსებობს *ლევირატისა* და *სორორატის* ტრადიცია. *ფელახთა* სოფლები თავმოყრილია ნილოსის ხეობაში. უდაბნოებში ცხოვრობენ *ბედუინები.* ისინი ძირითადად აქლემს აშენებენ. წარსულში *ბედუინები ფელახებზე* ხშირ თარეშებს აწყობდნენ. **ეგვიპტეში 5 მილიონზე მეტი *კოპტი* ცხოვრობს (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6%). XX საუკუნის დასაწყისში ეგვიპტელი ჩინოვნიკების 45% *კოპტი* იყო.** *კოპტი ბუტროს გალი* იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. დღეს *კოპტური ენა* მკვდარია და მას მხოლოდ ღვთისმსახურებაში გამოიყენებენ. ეგვიპტეში შემორჩენილია ადრინდელი მუსლიმური რწმენა-წარმოდგენებიც. მაგალითად, უშვილო წყვილი შვიდჯერ უვლის გარშემო პირამიდებს. ნილოსის დონის აწევისას ასრულებენ სადღესასწაულო წესს „ხალიგ“, რომლის დროსაც მდინარეში თოჯინას – „ნილოსის პატარძალს“ (ოდესღაც ლამაზ გოგონას) – ისვრიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეგვიპტელებმა პირველებმა გამოიგონეს ლუდი, რომელსაც ქერისაგან ამზადებდნენ. ძველი მწერლების ცნობებით, ეგვიპტელები ლუდის დიდი მოყვარულები იყვნენ.

ჩრდილოეთ სუდანის მოსახლეობის უმეტესობა არაბად მიიჩნევს თავს. მათ შორის არიან როგორც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გადმოსახლებული არაბების შთამომავალნი, ასევე გაარაბებული ადგილობრივი ხალხები (*ფორ*-ი, *ფუნგ*-ი და სხვ.). ყველანი სუნიტები არიან. ნილოსის ხეობაში მიწათმოქმედები არიან. სამხრეთ სუდანში ცხოვრობენ *ნუერები, შილუკები, დინკას* ხალხი და სხვა ნეგროიდული ეთნოსები.

ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში (აფრიკის რქა) ოთხი ქვეყანაა: *ეთიოპია, ერიტრია, ჯიბუტი* და *სომალი.* ეთიოპია პილიეთნიკური ქვეყანაა. ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია *ამხარა* (20 მილიონზე მეტი კაცი). ისინი, ისევე როგორც სხვა ხალხები, მიწათმოქმედნი არიან. მარცვლეულ კულტურებთან ერთად მოჰყავთ ტექნიკური კულტურებიც (ბამბა). ეთიოპია მარცვლეულის დომესტიკაციის ერთ-ერთ კერად მიიჩნევა. გავრცელებულია ენდემური *ცრუ ბანანი.* მისი ფოთლებისაგან ამზადებენ ფქვილსა და ბურღულს. მისგან ამზადებენ პურს და ხარშავენ ფაფას. *ამხარასთან* შერეულად ცხოვრობს *ორომო* (19 მილიონი). მათი მთავარი სამეურნეო საქმიანობა მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობაა. ბინადარი *ორომოს* ხალხი ქრისტიანიცაა და მუსლიმიც. ეთიოპიის ყველა ხალხისთვის დამახასიათებელი იყო ქსოვა, ქარგვა, მეთუნეობა, მოწვნა, მჭედლობა, საიუველირო ხელოვნება. ხელოსნებს შექმნილი ჰქონდათ ჩაკეტილი ენდოგამიური ჯგუფები. ასეთივე ჩაკეტილ ჯგუფს შეადგენდნენ მოხეტიალე მომღერლები და მუსიკოსები (*აზმარი*). ფეიქრობა, კერვა, ქსოვა მამაკაცების საქმეა.

ჩრდილოეთ აფრიკის ტეიტორიაზე აღმოჩენილია ძველი ხელოვნების ძეგლები, მათ შორის, საქარის კლდის მხატვრობა. ნახატებზე გამოსახულია საყოფაცხოვრებო და სამონადირეო სცენები, ცხოველები – ნიანგები, ჟირაფები, ბეჰემოტები და სხვა. ჩრდილოეთ აფრიკაში – ეგვიპტეში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უძველესი მსოფლიო ცივილიზაცია. ეგვიპტეში ამბობენ: ***„ეგვიპტე – ესაა პერგამენტი. ყურანი დაწერილია მასზე ბიბლიის ზემოდან (ბიბლიაზე), ბიბლია – ჰეროდოტეს ზემოდან (ჰეროდოტეს ისტორიაზე), ხოლო ყველა ფენის ქვეშ ჩანს ძველეგვიპტური იეროგლიფები“.*** რეგიონის ხალხებმა მრავალი კულტურის გავლენა განიცადეს: ძველი ბერძნულის, ძველი რომის, ბიზანტიის, არაბთა ხალიფატისა და ოსმალეთის იმპერიის. ეთიოპიაში განვითარებული იყო საეკლესიო ფრესკები და წიგნის მინიატურა. ეს ძეგლები შემორჩენილია მონუმენტურ ქრისტი-

ანულ ტაძრებსა და მონასტრებზე. ეკლესიები გამოკვეთილია მთის კლდეებში. შუა საუკუნეების ეთიოპიის სიამაყედ მიიჩნევა მონუმენტური სასახლის კომპლექსი გონდერეში.

VII საუკუნიდან ეგვიპტესა და მაღრიბში დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაცია და არაბიზაცია. მუსლიმური ღირებულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა საერთო სულიერი და ყოფითი კულტურა. ბევრმა ადგილობრივმა ბერბერულმა ტომმა ენა დაკარგა, მაგრამ ამას ძველი ტრადიციების დაკარგვა არ მოჰყოლია. ბევრ რაიონში, განსაკუთრებით კი მომთაბარე მოსახლეობას შორის, შემორჩენილია ტომობრივი დაყოფა, გაბატონებულია სოციალური ურთიერთობების ძველი ნორმები. ალჟირსა და მაროკოში მოსახლეობის უმეტესობა, მართალია, არაბიზებულია, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა ორენოვანია და ლაპარაკობს როგორც არაბულ, ისე ბერბერულ ენებზე. ასეთივე მდგომარეობაა მავრიტანიასა და სუდანში. ამ ქვეყნებში სახელმწიფო ენა არაბულია, მაგრამ შემორჩენილია ადგილობრივი ენებიც. ეთიოპიაში მიმდინარეობს *ამხარას* გარშემო სხვადასხვა დიდი და მცირე ეთნოსების კონსოლიდაცია. ამხარასთან ერთად ასიმილაციის მეორე კერაა *ორომო.* ასეთივე პროცესები მიმდინარეობს ჩრდილოეთ ეთიოპიაში *ტიგრეს*ა და ცენტრში *გურაგე*ს გარშემო.

ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების თანამედროვე ეთნიკურ პროცესებში ორი ტენდენცია შეინიშნება: ჩრდილო-აფრიკული არაბული კულტურული ერთობის ზენაციონალური ერთობის ჩამოყალიბება და ყოველ ქვეყანაში ცალკეული ნაციების ფორმირება. ჩრდილოეთ აფრიკაში არაბულ ენას ორი ფორმა აქვს: საერთო-არაბული ლიტერატურული და ადგილობრივი სალაპარაკო, რომელსაც ყველა ქვეყანაში არსებითი თავისებურებები ახასიათებს. ამა თუ იმ ტენდეციის უპირატესობის შესახებ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში მუდმივი დისკუსია მიმდინარეობს. უფრო გავრცელებულია მოსაზრება, რომ არსებობს არა ერთი / ერთიანი არაბული ნაცია, არამედ რამდენიმე – ალჟირული, ლიბიური, ტუნისური და ა. შ. მაგალითად, მწერალი *ლიუის ავადი* აღნიშნავდა: „მე ეგვიპტელი ვარ... ეგვიპტეში კოპტები და მუსლიმები ერთი ხალხია. მათ აქვთ საერთო ენა, საერთო ისტორია, საერთო ეთნიკური ტიპი. არსებობს ეგვიპტური ნაცია, რომელიც განსხვავდება სხვა არაბული ნაციებისაგან“.

III.2-10.ამერიკის ხალხები

ეთნიკური და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით ამერიკა ორ მკვეთრად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: ***ჩრდილოეთ ამერიკად*** და ***ლათინურ ამერიკად.*** **საზღვარი**

ლათინურ ამერკასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის გადის არა პანამის ყელზე, არამედ მექსიკის ჩრდილოეთ საზღვარზე გამავალ მდინარე რიო-გრანდზე. ჩრდილოეთ ამერიკაში XIX საუკუნის შუა ხანებამდე ჭარბობდნენ და გაბატონებული იყვნენ ჩრდილო-დასავლეთ ევროპიდან, უპირველ ყოვლისა, ბრიტანეთის კუნძულებიდან, ხოლო ლათინურ ამერიკაში – ესპანეთიდან და პორტუგალიიდან მოსული ხალხები. ლათინური ამერიკისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ამერიკაში მნიშვნელოვანი რასობრივი შერევები არ ყოფილა. ჩრდილოეთ ამერიკაში გაბატონებული ენაა ინგლისური (კანადაში ასევე ოფიციალური ენაა ფრანგულიც), ლათინურ ამერიკაში – ესპანური (უმეტეს ქვეყნებში) და პორტუგალიური (ბრაზილიაში). ამასთანავე აქ ბევრმა ინდიელმა თავის ენაც შემოინახა. სხვადასხვა ადგილობრივ ენებზე დაახლოებით 40 მილიონი კაცი ლაპარაკობს.

ევროპელთა მიერ ამერიკის კოლონიზაციამ ეთნიკური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია. კონტინენტის დაპყრობაში მონაწილეობა მიიღეს ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, ინგლისელებმა, ჰოლანდიელებმა, ფრანგებმა. აბორიგენები იძულებით გაყარეს თავიანთი მიწებიდან ან კიდევ უბრალოდ სამხედრო შეტაკებების დროს გაანადგურეს. მასობრივი სიკვდილიანობა გამოიწვია ეპიდემიებმაც. „სახელოვანმა“ დამპყრობლებმა მექსიკისა და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ყვავილისა და წითელას ბაცილების დახმარებით 120 მილიონი ინდიელი მოსპეს. ევროპული ცივილიზაციის ამერიკულ ცივილიზაციასთან შეტაკებამ ამ უკანასკნელის განადგურება გამოიწვია. მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები გამოიწვია აფრიკიდან ტყვე მონების შემოყვანამ. **ყველა ადგილობრივს, მკვიდრს ევროპელებმა *ინდიელი* უწოდეს.** შერეული ქორწინების შედეგად გაჩნდნენ *მეტისებისა* და *მულატების* დიდი ჯგუფები. მოსახლეობის დიდი მასების მიგრაციამ ახალი ეთნორასობრივი ჯგუფების წარმოქმნა განაპირობა. ამერიკაში მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების შერევა დღესაც გრძელდება. ამერიკის კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი ენობრივი ცვლილებებიც გამოიწვია.

ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა ანთროპოლოგიურად დიდი მონღოლოიდური რასის შემადგენლობაში შეჰყავთ. ამერიკელი ინდიელების მონღოლოიდებისაგან ძირითადი განმასხვავებელია სახის მკვეთრი პროფილირება (ძლიერ წინწამოწეული ცხვირი).

ჯერ კიდევ გადაუჭრელია ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის ენების კლასიფიკაციის საკითხი. მხოლოდ ისაა დადგენილი, რომ *ესკიმოსურ-ალეუტურ* ოჯახს კავშირი აქვს ჩუკოტკისა და კამჩატკის პალეოაზიური მოსახლეობის ჯგუფებთან

(*ჩუქჩები, კორიაკები, იტელმენები*). მეცნიერები ამერიკის კონტინენტზე ენათა 200-მდე ოჯახს ითვლიან. შეიძლება რამდენიმე მათგანი დავასახელოთ: *აპათეკური, ალგონკინურ-ვაშაკური, ხოკა-სიუ, იუტო-აცტეკური, მაია-სოკე, ჩიბჩა, არავაკული, კარიბული, აიმარა, არაკანული...* ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის მრავალი ენის შესახებ არავითარი ენობრივი მასალები არ არსებობს, რადგან მათზე მოლაპარაკე ტომები განადგურდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მთლად დახვეწილი არაა ამერიკის ადგილობრივი ხალხების ეთნოლოგიური კლასიფიკაციაც. აქ გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

ა)*არქტიკის მონადირეები და მეთევზეები.* ამ ჯგუფში შედიან ალიასკიდან გრენლანდიის სანაპირომდე მცხოვრები *ესკიმოსები.* XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანების მონაცემებით ესკიმოსთა რაოდენობა 67 ათასზე მეტი კაცია (ალიასკის ესკიმოსები – 34 თასი, კანადის ესკიმოსები – 33,5 ათასი). ალიასკაზე ესკიმოსები ორ ენაზე ლაპარაკობენ, კანადაში – ერთ ენაზე. ფიქრობენ, რომ ესკიმოსთა და ალეუტთა წინაპრები ჩრდილოეთიდან სამხრეთით არიან გადმოსახლებულნი. ესკიმოსებმა შექმნეს ადგილობრივ პირობებთან შეგუებული მეურნეობის ტიპი, რომლის საფუძველს წარმოადგენს მონადირეობა და მეთევზეობა. მონადირეობის ცალკეული სახეები ზუსტად მონაცვლეობდნენ ეკოლოგიური პირობების მიხედვით. ზღვის ცხოველების ხორცსა და ქონს საკვებად იყენებდნენ, ტყავს – ფეხსაცმლისათვის, ნავების დასამზადებლად და საცხოვრებლის სათბურად. ძვლისაგან ამზადებდნენ სანადირო იარაღს. ნადირობდნენ შემდეგ ცხოველებზე: ირემზე, დათვზე, მუშკის ხარზე, ბეწვიან ნადირზე. ზღვაში მონადირის ძირითადი იარაღი იყო ბარჯი-შუბი. ნავი ორგვარი ჰქონდათ: მამაკაცის ერთადგილიანი *ბაიდარი* (ბაიდარით ძირითადად ნადირობდნენ) და ქალების დიდი ნავი, რომელსაც გადაადგილებისა და ნადავლის ტრანსპორტირებისათვის იყენებდნენ. ესკიმოსებმა ცურვა არ იცოდნენ და ბაიდარში ჩაჯდომისას წელზე დახშულად *ტყავკაბას* შემოიჭერდნენ. თუკი ნავი გადაბრუნდებოდა, ესკიმოსს შეეძლო წყალზე ხელის დარტყმით ნორმალურ მდგომარეობას დაბრუნებოდა. ხმელეთზე ნადირობისას, ჩვეულებრივ, იყენებდნენ შუბს, მშვილდსა და ისრებს. იცოდნენ კაკანათებისა და ხაფანგების დაგებაც. ზამთარში სანაპიროზე მიწურებში ცხოვრობდნენ. მიწურში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მიწურში შედიოდნენ გრძელი და დაბალი შესასვლელით. საცხოვრებელი თბებოდა ქვაში ამოკვეთილი სანათებით. სანათში ასხამდნენ სელაპის ქონს. ეგზოტიკური იყო თოვლის სახლიც, ე. წ. „იგლუ“. სფეროსებური საცხოვრებლის შიგნით კიდებდნენ ირმის ტყავის ფარდებს. ცხოვრობდნენ ამ ფარდებს შორის. ტანსაცმელს ირმის ტყავისა-

გან იკერავდნენ. ზამთარში ტანსაცმელი ორი ფენისაგან შედგებოდა. შიდას იცვამდნენ ისე, რომ ბეწვი შიგნით ყოფილიყო და გარეთასაც ისე, რომ ბეწვი გარეთ მოქცეულიყო. ესკიმოსების საკვები შედგებოდა ხორცის, ქონისა და თევზისაგან. ესკიმოსები, ჩვეულებრივ, მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ. გადაადგილების ერთადერთი საშუალება იყო ჩოგანი-თხილამურები და ძაღლების პატარა მარხილები.

ბ) *ტყის მონადირეთა ტომები.* ალიასკის შიდა რაიონებში, თანამედროვე კანადისა და აშშ-ის ტყიან მხარეებში ცხოვრობდნენ მონადირეთა, მეთევზეთა და შემგროვებელთა ტომები. სხვაგვარად მათ ირემ-კარიბუზე მონადირეებსაც უწოდებენ. ამ ტომებს, ენობრივი სხვაობის მიუხედავად, ცხოვრების წესი, ფაქტობრივად, საერთო ჰქონდათ. მათი ცხოვრების წესს კი ძირითადად ირემზე ნადირობა განსაზღვრავდა. წელიწადში ორჯერ (შემოდგომასა და გაზაფხულზე), ირმების ჯოგების გადაადგილებისას, ირემს დიდი რაოდენობით ხოცავდნენ. სანადირო იარაღს აკეთებდნენ ხისაგან, ძვლისაგან და ქვისგან. ნადირობდნენ აგრეთვე დომბებზე, გარეულ და გადამფრენ ფრინველებზე. მნიშვნელოვან სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა მეთევზეობაც. შემგროვებლობით ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ დაკავებული. მასობრივი ნადირობისას ხშირად მთელი ტომი ერთიანდებოდა. საცხოვრებელიც მოხერხებული ჰქონდათ; მაგალითად, დასავლეთის *ათაპასკი* ტომებისათვის ეს იყო *ტიპი* – წვეტიანი კარავი, გადახურული არყის ხის ქერქით (ზაფხულში), ირმის ტყავით (ზამთარში). ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისას მთელი ქონება თან მიჰქონდათ. ინდიელთა ამ ჯგუფის ტანსაცმელი ინდიელთა ჩაცმულობის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. ის ცხოველების ტყავისა და ბეწვისაგან მზადდებოდა. მამაკაცებს პერანგი მუხლებამდე სწვდებოდათ, ქალებისა კი უფრო გრძელი იყო. ეს საზაფხულო ტანსაცმელი ნატისაგან იკერებოდა, საზამთრო კი – ბეწვისაგან. ფეხებზე „პაიჭები“ ეცვათ. იცოდნენ ტყავის შარვალიც. ჰქონდათ ფრინველის ფრთების თავსამკაული. არყის ხის ქერქისაგან იცოდნენ სწრაფი და პატარა ნავების გაკეთება. ტყის ინდიელების საზოგადოებრივ ურთიერთობებს გვაროვნული თემი განაპირობებდა. ნათესაობა და გაერთიანების პრინციპი დედის ხაზით ხდებოდა. მთელი რიგი საერთო საკითხები ტომის საერთო შეკრებებზე რეგულირდებოდა; ხან წელიწადში ერთხელ, ხანაც რამდენჯერმე იკრიბებოდნენ.

გ)*კალიფორნიის შემგროვებლები და მონადირეები.* ჩრდილოეთ ამერიკის ეს მონაკვეთი რბილი და მშრალი ჰავით ხასიათდებოდა. აქ სხვადასხვა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ. ისინი ძირითადად ინტენსიური შემგროვებლები

იყვნენ. აგროვებდნენ ნაყოფებს, ფესვებს, ბალახეულის თესლს, რკოს. ქალები და ბავშვები იჭერდნენ პატარა მღრღნელებსა და გველებს. ნადირობდნენ ხაფანგითა და მშვილდ-ისრით. ნათესაობას ძირითადად მამის ხაზით ითვლიდნენ. ბავშვები და მოხუცები წელიწადის უმეტეს დროს ტანსაცმლის გარეშე ატარებდნენ. საცხოვრებელი ხის ქერქით გადახურული კონუსისებური და ნახევარსფეროს ფორმის ნაგებობები იყო.

დ)*ამერიკის ველის ოლქების მონადირე ტომები.* ამერიკის ორივე მატერიკის ზომიერ სარტყელში ჩამოყალიბდა ველის ლანდშაფტის მნიშვნელოვანი სივრცეები. ჩრდილოეთ ამერიკაში მას უწოდებენ *პრერიებს*, სამხრეთში – *პამპას.* აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ენობრივი ოჯახის ტომები. მისდევდნენ ნადირობასა და შემგროვებლობას. ტომები ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, გადაადგილდებოდნენ ცხოველთა ჯოგების მოძრაობის კვალდაკვალ. ამერიკაში ცხენის შეყვანის შემდეგ ინდიელებმა კარგად შეითვისეს ცხენით ნადირობის ხერხები. ძირითადად ნადირობდნენ ბიზონზე. ტრადიციული ნაწარმიდან დიდხანს შეინარჩუნეს ტყავისა და ხის ჭურჭელი. კარვები ბიზონის ტყავით ჰქონდათ გადახურული. ტანსაცმელი ბეწვისა და ნატისაგან ჰქონდათ შეკერილი. ბავშვებს ზრდიდნენ სპარტანულად. ტომებს ჰყავდათ ბელადები. ნადირობასაც ხშირად ტომის ბელადები ხელმძღვანელობდნენ. ბოლომდე შემორჩათ გვაროვნული კულტები, გვარების ტოტემთა კულტი. სამხრეთ ამერიკის ველებზე – პამპაშიც სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკენი ცხოვრობდნენ. ისინი გუანაკზე, სირაქლემებზე და ველის სხვა ცხოველებზე ნადირობდნენ. ევროპელების გამოჩენამდე მათი მთავარი საქმიანობა შემგროვებლობა იყო. პამპაში მცხოვრებთ (მათ ხშირად *პატაგონიელებსაც* უწოდებენ) განსაკუთრებული სანადირო იარაღი ჰქონდათ შექმნილი – *ბოლა.* რამდენიმე ღვედს ბოლოებზე აბამდნენ ქვებს. ხელით ნასროლი *ბოლა* გუანაკოს ან სირაქლემას ფეხებს უბამდა. პამპაში ნათესაობისა და ქონების მემკვიდრეობითი გადაცემა ხდებოდა როგორც მამის, ისე დედის ხაზით. მემკვიდრეობითი იყო ბელადის ხელისუფლება. ტანსაცმელი შედგებოდა მამაკაცების თეძოსაკრავისა და ქალების – წინსაფრისაგან. სიგრილეში ბეჭებზე ბეწვის ლაბადას წამოისხამდნენ.

ე)*ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ინდიელები.* მათი მეურნეობა ემყარებოდა ზღვის ნადირთა სარეწებსა და მეთევზეობას. ამ ზონაში ზღვებსა და მდინარეებში უხვად იყო თევზი და ზღვის ნადირი. მდინარის სათავეებთან ქვირითის დასაყრელად თევზების პერიოდული სვლის დროს თევზის დაჭერა ადვილი იყო. თითოეული ოჯახი ათასზე მეტ ორაგულს იჭერდა. ერთ-ერთი ჯიშის თევზი ქონით იყო გაჟღენთილი; ამ ქონს კი განა-

თებისათვის იყენებდნენ. ბევრი თევზი იზიდავდა სელაპებს, ზღვის კატებს, ლომვეშაპებს. მათი დაჭერით ბევრ ტყავს, ხორცსა და ქონს მოიპოვებდნენ. სახმელეთო ცხოველებზე (გარეული თხა და ცხვარი) ნაკლებად ნადირობდნენ. ინდიელებს მოწყობილი ჰქონდათ ცხოველთა შესარეკი ბაკები. შერეკვის შემდეგ აქ ცხოველებს კი არ კლავდნენ, არამედ მხოლოდ კრეჭდნენ. მატყლს კი ლამაზად ორნამენტირებული საბურველ-წამოსასხამების დასამზადებლად იყენებდნენ. ამ ჯგუფის ინდიელთა ტომები *ფრატრიებად* იყოფოდნენ, *ფრატრიები* კი, თავის *მხრივ, გვარებისაგან* შედგებოდა. გვარს ჰყავდა თავისი მფარველი ტოტემი. ჰყავდათ მონები, რომლებიც მხოლოდ სხვა ტომის წარმომადგენლები იყვნენ.

ვ)*ცეცხლისმიწელები.* ამერიკის ყველაზე სამხრეთ ნაწილში, ანტარქტიდის მეზობლად მდებარეობს ცეცხლოვანი მიწა და რამდენიმე პატარა კუნძული. აქ ოდესღაც ბინადრობდა სამი ტომი: *ონა, ალაკალაფუები* და *იაგანები.* ფრიად არახელსაყრელ პირობებში მათ შემუშავებული ჰქონდათ სპეციალური სანადირო-შემგროვებლური კულტურა. ცეცხლოვანი მიწის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მცხოვრებნი მუდმივად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს, ნადირობდნენ გუანაკუზე. საცხოვრებელს აშენებდნენ ხის ტოტებისაგან, ზემოდან კი ტყავს აფარებდნენ. ტყავისაგან იკერავდნენ ლაბადებსაც. სამონადირეო ადგილები გვარებს ჰქონდათ განაწილებული; არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი; ტანსაცმლით ღარიბი იყვნენ. ცეცხლისმიწელები გაკაჟებულნი იყვნენ და ადვილად იტანდნენ სიცივეს. ტომები იყოფოდნენ ეგზოგამიურ ჯგუფებად, ნათესაობას ითვლიდნენ როგორც დედის, ისე მამის ხაზით და ორივე მხრივ ქორწინება მკაცრად იყო აკრძალული. XIX საუკუნის 70-იან წლებში ევროპელებმა აღმოაჩინეს, რომ ცეცხლოვანი მიწისა და კუნძულების რბილი ნოტიო ჰავა შესაფერისი იყო მეცხვარეობისათვის. ევროპელი მეცხვარეები ცეცხლისმიწელებზე ნადირობდნენ. ამ ბრძოლაში მათი დიდი ნაწილი დაიღუპა. გადარჩენილები რეზერვაციებში შეჰყარეს. **ქრისტიანმა მქადაგებლებმა ისინი აიძულეს „სიშიშვლის დასაფარავად“ ტანსაცმელი ჩაეცვათ. სველი კლიმატის პირობებში ახალი ტანსაცმელი კომპრესივით ეკვროდა კანს. გაციებამ და ტუპერკულიოზმა აბსოლუტურ უმრავლესობას ბოლო მოუღო. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გადარჩა ცოცხალი.**

ამერიკის კონტინენტზე მხოლოდ შემგროვებლები, მონადირეები და მეთევზეები არ ცხოვრობდნენ. ბევრნი იყვნენ მიწათმოქმედნიც. ამერიკული მიწათმოქმედება კი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ევრაზიული და აფრიკული მიწათმოქმედებისაგან. მაგრამ ამერიკული ცივილიზაციებიც, ისევე როგორც ძველ

სამყაროში, სამიწათმოქმედო კულტურებისაგან წარმოიშვა. მეცნიერთა ვარაუდით, მიწათმოქმედება ამერიკის კონტინენტზე ცენტრალური ამერიკის მთისწინა ადგილებში წარმოიშვა *მაისის* (*სიმინდის*) ათვისებასთან ერთად. შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ინდიელებს სიმინდის ათობით ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. ამერიკელ მიწათმოქმედებს კულტივირებული ჰქონდათ აგრეთვე *წიწაკა, გოგრისებრი, ბოლქვიანი მცენარეები (კარტოფილი, მანიოკა), პომიდორი.* აქაური კულტურებია აგრეთვე *კაკაო, ნესვის ხე, კაკლის* სხვადასხვა ჯიშები. იცოდნენ მორწყვაც. შრომობდნენ ხელით და შრომის დროს იყენებდნენ უმარტივეს იარაღებს. ძველი სამყაროს ძირითადი სასურსათო კულტურებისაგან განსხვავებით, ამერიკაში გაბატონებული იყო სათოხნი კულტურები. მეცხოველეობა ძალიან სუსტად იყო განვითარებული. ცენტრალურ ამერიკაში მოშინაურებული ჰყავდათ ინდაური, ანდების ზეგანზე – ლამა. ამერიკულ მიწათმოქმედებას ეთნოლოგები რამდენიმე ტიპად ყოფენ:

ა)*ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწათმოქმედნი.* აქ მცხოვრები ტომები ენობრივად ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამ მიწათმოქმედი ტომების კულტურათა და სოციალური ორგანიზაციის თავისებურებების დასახასიათებლად მაგალითად შეიძლება *ირეკეზები* მოვიყვანოთ. მართალია, *ირეკეზების* მეურნეობა მიწათმოქმედებით იყო ნასაზრდოები, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო მონადირეობის, მეთევზეობისა და შემგროვებლობის როლიც. **ირეკეზების დასახლებები მუდმივი არ იყო**. ყოველ 10-15 წელიწადში ერთხელ სხვა ადგილზე გადასახლდებოდნენ. ახალი ადგილი ტყიანი უნდა ყოფილიყო. ხეებს ქერქს აცლიდნენ და ახმობდნენ, შემდეგ კი ნაკვეთს ცეცხლს უკიდებდნენ, გადამწვარ ადგილზე კი მინდვრებს ამუშავებდნენ. გადამწვარ ნაკვეთს მინდვრებად ყოფდნენ საოჯახო წყვილთა რაოდენობის მიხედვით. მიწას აფხვიერებდნენ წვეტიანი ჯოხებისა და პრიმიტიული თოხების საშუალებით. მთელ მოსავალს ერთად ინახავდნენ. ნადირობა მამაკაცების საქმიანობის სფეროს განეკუთვნრბოდა. გარეულ ფრინველსა და ნადირს უფრთხილდებოდნენ, იცავდნენ სეზონურ აკრძალვებს, არ კლავდნენ დედლებს. დაშორებულ ნაკვეთებზე ეს წესი არ მოქმედებდა. ირეკეზთა სოციალურ ორგანიზაციას საფუძვლად ედო დედისეული გვაროვნული თემი (*ოვაჩირი*). ქალებისათვის *ოვაჩირი* მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მამაკაცების შემადგენლობა აქ უფრო ცვალებადი იყო. დაქორწინებული ჭაბუკები თავიანთი ცოლების *ოვაჩირში* მიდიოდნენ; განქორწინების შემთხვევაში ქმრები იცვლებოდნენ. *ირეკეზებს* არ ჰქონდათ სათემო გამგებლობის არავითარი ორგანო.

იცოდნენ მესისხლეობა, მაგრამ თუ ეს ერთი ტომის ფარგლებში ხდებოდა, მაშინ დამნაშავე გვარი თავის ერთ-ერთ წევრს დაზარალებულ გვარს მიაშვილებდა. გვარის უხუცესის ხელისუფლება მხოლოდ ავტორიტეტს ემყარებოდა. ყველა ტომის სტრუქტურა გვაროვნულ დანაყოფებს ემყარებოდა. ტომი იყოფოდა ორ ეგზოგამიურ ფრატრიად. იროკეზთა ტომები „შვილად აყვანის“ სისტემის წყალობით იერთებდნენ მეზობელ, ხშირად ენის მიხედვით „არაიროკეზულ“ ინდიელებს. იყო ერთი გვარიდან მეორეში „გადაყვანის“ შემთხვევები. იროკეზთა მიწათმოქმედ ტომებში თაყვანს სცემდნენ საგვარეულო კულტებს, ტოტემურ ცხოველებს; ეთაყვანებოდნენ მზეს, წყალს.

ბ)*სამხრეთ-დასავლეთის მიწათმოქმედნი.* აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთსა და მექსიკის ჩრდილოეთ რაიონებში არსებობდა აღმოსავლეთის მიწათმოქმედთა კულტურისაგან რამდენადმე განსხვავებული მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა. აქ ორი ენობრივი ოჯახის ტომები ცხოვრობდნენ. გამორჩეული იყო *იუტო-აცტეკური* ეთნიკური ერთეულები. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში **„პუებლოს“** სახელითაც არიან ცნობილი. გვალვიან რაიონებში პუებლოს ტომებმა შექმნეს სარწყავი მიწათმოქმედება. მოჰყავდათ *სიმინდი, პარკოსნები, გოგრისებრნი, წიწაკა* და სხვა. მიწის გამოფიტვის შემდეგ მინდვრებს პერიოდულად ცვლიდნენ. ცენტრალური დასახლებები გადაქცეული იყო ქალაქ-სიმაგრეებად. საწარმოო ცხოვრება თემის გამგებლობაში იყო. მიწა მთლიანად თემის გამგებლობაში იყო. იროკეზებს ჰყავდათ *კასიკები* და *სამხედრო ბელადები.* პირველნი არჩეულნი იყვნენ და ყველა სამუშაოს ხელმძღვანელობდნენ. *კასიკები* ავტორიტეტით სარგებლობდნენ და რელიგიურ საქმეებსაც განაგებდნენ. თემში სამხედრო ბელადიც არჩეული იყო. პუებლოს ხალხთა ხელოვნების ნიმუშებმა დღემდე მოაღწია. მინერალური საღებავებით მოხატული შესანიშნავი თიხის ჭურჭელი, გეომეტრიული ორნამენტებით დამშვენებული შალისა და ბამბის ქსოვილის ნაწარმი, ნატიფად და კოხტად დაწნული კალათები უძველესი ტრადიციების მიხედვით მზადდებოდა.

გ)*სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში.* ესპანელი *კონკისტადორები* ცენტრალურ ამერიკაში შეეჯახნენ ხალხებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ ენით, არამედ სოციალური განვითარების დონითაც. სამხრეთ ამერიკაში არსებობდა მთელი რიგი სახელმწიფოები. **ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, რომელიც XVI საუკუნეში ევროპელებმა გაანადგურეს, *აცტეკთა* სახელმწიფო იყო.** ამ ტერიტორიაზე ისინი XIII საუკუნეში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, დაარსეს ქალაქი *ტენოჩტიტლანი* და შექმნეს სახელმწიფო. *აცტეკებს* ჰქონდათ სარწყავი სისტემები. მოჰ-

ყავდათ სიმინდი. განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: ქსოვა, მეჭურჭლეობა, ქვის იარაღებისა და საბრძოლო იარაღის დამზადება. იცოდნენ გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა. აცტეკებისთვის ცნობილი იყო ლითონი, ძირითადად სპილენძი, ვერცხლი, ოქრო. ამ ლითონებისაგან ამზადებდნენ სამკაულებსა და საკულტო საგნებს. აცტეკებს ჰყავდათ დაპყრობილი ხალხები, რომელთა ბელადები და დიდებულები თანდათან ერწყმოდნენ აცტეკთა დიდებულებს. დაპყრობილ ხალხებს მონებადაც აქცევდნენ. იყვნენ პროფესიონალი მეომრებიც. ცალკე იყვნენ გამოყოფილი ქურუმები, რომელთაც შემუშავებული ჰქონდათ რთული კულტი და ლოცვის რთული რიტუალი. **საზეიმო რელიგიური რიტუალების შესრულების დროს აწყობდნენ ადამიანთა მსხვერპლშეწირვას.**

მაღალი ცივილიზაცია ჰქონდა შექმნილი აგრეთვე ამერიკის მატერიკებს შორის მდებარე, ყელის სამხრეთით და თანამედროვე კოლუმბიის ტერიტორიაზე მცხოვრებ *ჩიბჩას* ენებზე მოლაპარაკე ხალხებს. გაოცებას იწვევს სპილენძის, ვერცხლის, ოქროს სამკაულები და ამ ლითონთა შენადნობებისაგან დამზადებული ნაწარმი. ლითონს მხოლოდ სამკაულების გასაკეთებლად იყენებდნენ. *მუსკა-ჩიბჩას* დასახლებათა ოლქში არსებობდა რამდენიმე მცირე ზომის სახელმწიფო, რომლებიც ხან მტრობდნენ ერთმანეთს, ხან კი მოკლე ვადით კავშირებად ერთიანდებოდნენ. თითოეული მათგანის სათავეში იდგა უმაღლესი გამგებელი, რომელსაც მის ქვეშევრდომთა თვალში ნახევრად ღმერთის თვისებები გააჩნდა – უბრალო მოკვდავს არ შეეძლო შეხებოდა ან დალაპარაკებოდა მას. თემის წევრები გამოსაღებს უხდიდნენ დიდებულებს, ქურუმებსა და მეომრებს. სოციალური დიფერენციაცია აისახა აგრეთვე რელიგიაში – ზოგიერთ ოლქში თემის უბრალო წევრებსა და დიდებულებს ღმერთების სხვადასხვა პანთეონი გააჩნდათ. ძვ. წ.-ის VI საუკუნეში ანდების მთიანი ქედის მთისწინეთში წარმოიქმნა განვითარებული კულტურები. კუსკოს ხეობაში წარმოიქმნა *კეჩუაენოვანი* ტომების გაერთიანება, რომელთა შორისაც იყვნენ *ინკები.* მხოლოდ XIII საუკუნეში წარმოიქმნა *ინკების* საბრძოლო ტომობრივი კავშირი. **XV საუკუნეში ინკების სახელმწიფო ყველაზე ძლევამოსილი იყო მთელ სამხრეთ ამერიკაში.** ინკებს სხვადასხვა წარმოშობის მოსახლეობა ჰყავდათ დაქვემდებარებული. ისინი ცდილობდნენ ამ ოლქებს შორის განსხვავება მოესპოთ. მათ სავალდებულო, საერთო ენად აქციეს *კეჩუა.* ამისდა მიუხედავად, *აიმარასა* და *არაუკანების* ტომებმა თავისთავადობა შეინარჩუნეს. ინკების მეურნეობის საფუძველს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მათ სახელმწიფოში დიდ როლს ასრულებდნენ ქურუმები. უმაღლესი

ინკა ითვლებოდა მზის ვაჟიშვილად. მზის კულტს რელიგიურ სისტემაში ცენტრალური ადგილი ეკავა.

რამდენი იყო ამერიკის კონტინენტის მოსახლეობა ევროპელთა გამოჩენამდე? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთობ რთულია. მეცნიერები 120-დან 140 მილიონამდე ასახელებენ. ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა ძალიან შემცირდა. დღეს ამერიკის მოსახლეობის მთელ რაოდენობაში ინდიელთა რაოდენობა მხოლოდ 1,5%-ია. ძნელია მოიძებნოს ისეთი მხარეები, რომლის ეთნიკური საზღვრები რაიმე ნიშნით ემთხვეოდეს ხალხთა განსახლების ადრინდელ საზღვრებს. ეთნიკური პროცესები ამერიკის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ამერიკის უმეტეს ქვეყნებში ეთნიკური განვითარებისა და ცვლილებების პროცესები ახლაც არ არის დასრულებული. ევროპელები ამერიკის კონტინენტზე ანადგურებდნენ დაპყრობილი მხარეების მოსახლეობას. XVII საუკუნის ბოლომდე კარიბის ზღვისა და ბრაზილიის მიწები ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე დარჩა. ახალი მიწების დაპყრობამ გამოიწვია აფრიკიდან მონების შემოყვანა, რომლებსაც მადაროებსა და პლანტაციებში ამუშავებდნენ. ევროპელი კოლონიზატორები ამერიკის კონტინენტზე ქალების გარეშე მიდიოდნენ და ადგილობრივ მამაკაცებს თუ ხოცავდნენ, ქალებს ხარჭებად ისვამდნენ ან ცოლად მოჰყავდათ. სხვადასხვა რასების შერევის შედეგად გაჩნდა ახალი, გარდამავალი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც *მეტისები* უწოდეს. *კრეოლების* მეშვეობით ხდებოდა თანამედროვე ლათინურ ამერიკაში ესპანური ენის გავრცელება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზანგი მონები აფრიკის სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები იყვნენ. ისინი არა მხოლოდ ენით იყვნენ სხვადასხვაგვარნი, არამედ კულტურითაც. ამიტომაც ისინი სწრაფად კარგავდნენ თვითმყოფადობას და გადადიოდნენ კოლონიის მფლობელის ენაზე.

III.2-11. ევროპის ხალხები

ევროპა ძველი ცივილიზაციების ერთ-ერთი აკვანია. ევროპის ხალხების კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ. თანამედროვე ევროპის ეთნიკური რუკა ადრე შუა საუკუნეების დასასრულს ჩამოყალიბდა. ევროპის ტერიტორიაზე დაახლოებით 70 ეთნოსი მკვიდრობს, რომლებიც ძირითადად ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ. დღეს ევროპის ბევრი მცხოვრები ორენოვანია. ამ მონაკვეთში მხოლოდ დასავლეთ ევროპის ხალხებს შევეხებით. მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის ხალხები და სახელმწიფოები მსოფ-

ლიოში წამყვან როლს ასრულებდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურასა და პოლიტიკაში ევროპელთა მიღწევებმა ევროპული რეგიონალური ცივილიზაციის წარმოქმნამდე მიგვიყვანა.

ძვ. წ.-ის III ათასწლეულამდე ევროპის მოსახლეობა ჩვენთვის უცნობ ენებზე ლაპარაკობდა. გვიან ამ ენებზე მოლაპარაკე ტომები ასიმილირებული იქნენ ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულებში აქ მოსული ინდოევროპული ენების მატარებელი ტომების მიერ. ევროპის არაინდოევროპული ენებიდან დღეს მხოლოდ *ბასკური* ენაა შემორჩენილი. ინდოევროპული ტომებიდან ევროპაში ყველაზე ადრე შეაღწიეს *პელასგებმა, ბერძნებმა (ელინებმა),* შემდეგ *იტალიურმა* და *კელტურმა* ტომებმა. ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულებში ძველაღმოსავლური კულტურული ცენტრების გავლენით ევროპის სამხრეთში ჩამოყალიბდა *კრეტა-მიკენის* ცივილიზაცია. მის მემკვიდრედ ძვ. წ.-ის I ათასწლეულში ძველბერძნული ცივილიზაცია მოგვევლინა, ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრედ კი – რომაული.

რომაელებმა დიდი კვალი დაამჩნიეს ევროპას. მათ ევროპის დიდი ნაწილის რომანიზაცია მოახდინეს. ლათინური ენის გერმანულ, იბერიულ, კელტურ ენებთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა ხალხური ლათინური ენა, რომელმაც დასაბამი მისცა რომანულ ენებს.

III-VII საუკუნეებში ევროპაში მიმდინარეობდა გერმანული, სლავური, თურქული, ირანული და სხვა ტომების მასობრივი მიგრაცია, რასაც მოგვიანებით ხალხთა დიდი გადასახლება უწოდეს. ამ მიგრაციებს კი იმპულსი თურქულენოვანმა *ჰუნებმა* მისცეს. ხალხთა დიდი გადასახლების ძირითად კომპონენტს წარმოადგენდნენ გერმანული ტომები *(გუთები, ვანდალები, სვევები, ბურგუნდები, ლანგობარდები, ანგლები, საქსები, ფრანკები...*), რომლებიც განსახლდნენ ამ რეგიონში და შექმნეს თავიანთ სახელმწიფოები. გერმანული ტომები ადგილობრივ ეთნოსებში გაიფანტნენ; სადაც რომანიზაცია სუსტი იყო, იქ გერმანელები გამარჯვებული გამოვიდნენ (მაგალითად, ბრიტანეთში). აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) ტერიტორიაზე მიგრაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას სლავები წარმოადგენდნენ. V-VII საუკუნეებში მრავალრიცხოვანი სლავური ჯგუფები განსახლდნენ შავი და ეგეოსის ზღვებიდან ადრიატიკამდე. VIII საუკუნეში ევროპაში არაბები შეიჭრნენ. მათ დაიპყრეს თითქმის მთელი პირინეის ნახევარკუნძული და აქ მცხოვრებ ხალხებზე მნიშვნელოვანი კულტურული გავლენა მოახდინეს. IX საუკუნეში ცენტრალურ ევროპაში, დუნაის აუზში *მადიარები* შეიჭრნენ. მათ მოახერხეს და ადგილობრივ მოსახლეობაში გაავრცელეს თავიანთი *უგორული* ენა. IX და X საუკუნეებში ჩრდილოეთიდან სამ-

ხრეთში *ნორმანები* გადაადგილდნენ. საფრანგეთის ჩრდილოეთში დასახლებული *ნორმანები* მალევე იქნენ რომანიზებული. XI საუკუნეში უკვე რომანიზებულმა ნორმანებმა ინგლისი დაიპყრეს. ამის შედეგად ინგლისურმა ენამ ფრანგულის დიდი გავლენა განიცადა. ნორმანები გარკვეული დროით აპენინის ნახევარკუნძულზე და კუნძულ სიცილიაზეც დამკვიდრდნენ; გადასახლდნენ ისლანდიაშიც. ისლანდიის გარდა, ყველა დაპყრობილ ტერიტორიაზე ნორმანები ასიმილირებულ იქნენ. XIV-XV საუკუნეებში ევროპაში თურქი-ოსმალები შეიჭრნენ. მათ შეძლეს 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღება, ბიზანტიის განადგურება და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბალკანეთის დაქვემდებარება. VIII-XVI საუკუნეებში ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ებრაული თემები ჩამოყალიბდა. ბოშები ევროპაში XV-XVI საუკუნეებში გამოჩნდნენ. ხალხთა დიდმა გადასახლებებმა და მომდევნო მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის თანამედროვე ეთნიკური რუკის შექმნაში.

ევროპის ხალხების უმრავლესობა ინდოევროპული ოჯახის ენებზე ლაპარაკობს. ამ ოჯახის ყველაზე დიდი ჯგუფებია *რომანული, გერმანული* და *სლავური.* რომანული ჯგუფში მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან *იტალიელები* (57 მლ.), *ფრანგები* (47 მლნ.), *ესპანელები* (29 მლნ.), *რუმინელები* (21 მლნ.), *პორტუგალიელები* (12 მლნ.). თითოეულ ამ ეთნოსს თავისი ნაციონალური სახელმწიფო გააჩნია. რომანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან აგრეთვე: *კატალონიელები* (8 მლნ.), *ვალონები* (4 მლნ.), *გალისიელები* (3 მლნ.), *სარდინიელები* (1,5 მლნ.) და *რეტორომანელები* (*რომანშელები, ლადინები, ფრიულები*). რომანულ ჯგუფში შედიან ეგრეთვე *კორსიკელები, არომუნები* და *კარაკაჩელები* (ცხოვრობენ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და საბერძნეთში), *მეგლენიტები* (ცხოვრობენ ჩრდილოეთ საბერძნეთში); *ისტრორუმინები* ცხოვრობენ ხორვატიის დასავლეთში. სამხრეთ საფრანგეთში თვითმყოფადობა და ენა აქვთ შენარჩუნებული *ოქსიტანელებს* (*პროვანსელებს*).

გერმანული ჯგუფის ხალხები ძირითადად ევროპის ჩრდილოეთში, ჩრდილო-დასავლეთსა და ცენტრში ცხოვრობენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან: *გერმანელები* (80 მლნ.), *ინგლისელები* (45 მლნ.), *ჰოლანდიელები* (12 მლნ.), *შვედები* (8 მლნ.), *ავსტრიელები* (7 მლნ.), *ფლამანდიელები* (7 მლნ.), *დანიელები* (5 მლნ.), *ნორვეგიელები* (4 მლნ.), *გერმანოშვეიცარიელები* (4 მლნ.), *ლუქსემბურგელები* (300 ათასი), *ისლანდიელები* (300 ათასი), *ლიხტენშტეინელები* (20 ათასი). გერმანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან აგრეთვე *ფრიზები, ფარერელები.* თავისებური ენობრივი სიტუაციაა გერმანიაში. **გერმანელებს სალიტერატურო და სახელმწიფო ენა ერთი აქვთ, სასაუბრო ენა კი – ორი. ეს ენები მო-**

ნათესავეა, მაგრამ ურთიერთგაგებინება არ ხერხდება. ესენია ზემოგერმანული, ანუ *ხოხდოიჩე* (რომლის საფუძველზედაც შექმნილია სალიტერატურო ენა), და ქვემოგერმანული, ანუ *პლატდოიჩე*. *პლატდოიჩე* გავრცელებულია გერმანიის ჩრდილოეთში. ის ახლოსაა ჰოლანდიურთან.

სლავური ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ *რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ლუჟიელები; ბულგარელები, სერბები, ხორვატები, სლოვენიელები, მაკედონიელები, ჩერნოგორიელები, ბოსნიელები.* ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან კელტურენოვანი ხალხები: *შოტლანდიელები* (მხოლოდ 100 ათასი ლაპარაკობს შოტლანდიურად), *უელსელები, ირლანდიელები* და *ბრეტონელები.* ბალტიურ ჯგუფში შედიან *ლიტველები* და *ლატვიელები.* ამავე ენათა ოჯახში შედიან *ბერძნები, ალბანელები.*

ევროპაში ცხოვრობენ *ურალურ* ენათა ოჯახის ხალხებიც. ესენი არიან *უნგრელები* (13 მლნ.), *ფინელები* (5 მლნ), *ესტონელები* და *საამები. აფრაზიურ* (*სემიტურ-ქამიტურ*) ენობრივ ოჯახს მიეკუთვნებიან *მალტელები.* ევროპაში ერთი იზოლირებული ენაა – ესაა *ბასკური* ენა.

ევროპის ხალხები ქრისტიანები არიან. ევროპული ცივილიზაცია სწორედ ამ რელიგიის საფუძველზე ფორმირდა. აქ ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებებია გავრცელებული. *კათოლიციზმი,* უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაშია გავრცელებული. ევროპაში *პროტესტანტიზმის* სამი ძირითადი მიმართულებაა გაბატონებული: *ლუთერანიზმი, ანგლიკანიზმი, კალვინიზმი.* ბრიტანეთში შოტლანდიელებს შორის გავრცელებულია *პრესვიტერიანიზმი,* რომელიც კალვინიზმის ნაირსახეობაა. *მართლმადიდებლები* არიან ბერძნები, ბულგარელები, რუსები, სერბები, რუმინელ-მოლდოველები... ევროპაში *მუსლიმები* არიან *ალბანელების* დიდი ნაწილი, *ბოსნიელები* და *თურქები.*

თანამედროვე ევროპა მაღალგანვითარებული რეგიონია, ამიტომ ტრადიციული მეურნეობა აქ ძალიან მოდიფიცირებულია. წარსულში ევროპელთა ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. მესაქონლეობა წამყვანი მხოლოდ ისლანდიაში, ფარერებსა და ალპების ოლქში იყო. ევროპაში ძალიან ადრე (ძვ. წ.-ის II-I ათასწლეულში) გავრცელდა სახვნელი მიწათმოქმედება. გამწევ ძალად სამხრეთ ევროპაში ხარს გამოიყენებდნენ, ჩრდილოეთში – ცხენს. ჩრდილოეთ რაიონებში ძირითადი მარცვლეული კულტურა იყო *ქერი, ჭვავი, შვრია,* ცენტრალურ რაიონებში – *ხორბალი, ჭვავი, შაქრის ჭარხალი.* სამხრეთ ევროპაში ძირითადი მარცვლეული კულტურა იყო ხორბალი. ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთი წამყვანია

მევენახეობა. მესაქონლეობა ევროპის ყველა მხარეში იყო გავრცელებული. მთელ რიგ რაიონებში უპირატესობას მეცხვარეობას ან მეღორეობას ანიჭებდნენ. შუა საუკუნეებში მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა ევროპული ხელოსნური ნაწარმი.

დღეს ევროპის ქვეყნების უმეტესობაში მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქებშია თავმოყრილი (დიდ ბრიტანეთში – 90%). ზოგიერთ ქვეყანაში კი (პორტუგალია, ალბანეთი) სოფლის მოსახლეობა დღესაც სჭარბობს ქალაქის მოსახლეობას.

ევროპელთა კვების რაციონი საკმაოდ განსხვავებულია. მაგალითად, სამხრეთ ევროპაში ხორბლის პურს ჭამენ, ჩრდილოეთში – ხორბლის პურთან ერთად ფართოდაა გავრცელებული ჭვავის პურიც. პურის გავრცელების რაიონებში ჭვავს ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. შვრიასა და ქერსაც იშვიათად გამოიყენებდნენ. რაც შეეხება მაკარონის სხვადასხვა ნაწარმს, მათი რაციონში გამოყენება ადრე შუა საუკუნეებიდანაა შენიშნული. პური აუცილებლად უნდა მიეღოთ ზიარების დროს; ამიტომ მის გარეშე იოლად ვერ გავიდოდნენ. სამხრეთ ევროპელთა ყოველდღიურ რაციონში პურის წილი ძალიან დიდი იყო: ერთი სული 1,6-დან 2 კილოგრამამდე პურს ჭამდა. ჩრდილოეთში ძირითადად ცხოველურ საკვებზე არიან ორიენტირებულნი, სამხრეთში – მცენარეულზე. ალკოჰოლური სასმელებიდან სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში ძირითადად მშრალ ღვინოს მიირთმევენ, ცენტრალურ ევროპაში – ლუდს. სამხრეთში ბევრ ხილს მოიხმარენ. ჭარხალს მხოლოდ საქონლის გამოსაკვებად გამოიყენებდნენ. შაქრის ლერწამის კულტივირება უკვე IX საუკუნეში არაბებმა დაიწყეს *სიცილიასა* და *ანდალუსიაში,* მაგრამ ის მაინც იშვიათ და ეგზოტიკურ პროდუქტად რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში. იტალიაში პოპულარულია *მაკარონის* ნაწარმი, აქ დიდად პოპულარულია აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის ყველი. იტალიელებისათვის ტრადიციულია *პოლენტუ* – სიმინდის ფაფა. გაციებულ და შესქელებულ ფაფას ჭამის წინ ჭრიან და ისე მიაქვთ სუფრაზე (ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთივე იყო ადიღეური ტომების ძირითადი საკვები). ფრანგები, ევროპის სხვა ხალხებთან შედარებით, რძესა და რძის ნაწარმს შედარებით მცირე რაოდენობით მოიხმარენ, თუ ყველს არ ვიგულისხმებთ. ყველს ადრე მხოლოდ დილით, საუზმის დროს მიირთმევდნენ. რძეს შუა საუკუნეების ევროპაში მაინცდამიანც არ ეტანებოდნენ. მას მძიმე საკვებად მიიჩნევდნენ. კარაქს დიდი გასავალი არ ჰქონდა. უფრო ღორის ქონს ან მცენარეულ ზეთს არჩევდნენ: ხმელთაშუაზღვისპირეთში – ზეითუნისას, ჩრდილოეთში – კაკლისას. **საფრანგეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ერთ სულზე მოხმარებული ღვინის რაოდენობით. ის სუფრაზე დღეში ორჯერ მიაქვთ – სადილობისას და ვახშმობისას.** შუა

საუკუნეებში საფრანგეთში ღვინო ყველა მაგიდასთან მიჰქონდათ. ძირითადად თეთრ ღვინოს სვამდნენ, მაგრამ თანდათან პოპულარული ხდებოდა შავი ღვინო. ეს უკანასკნელი პაპისა და ჰერცოგების ღვინოდ მიიჩნეოდა. შუა საუკუნეების ღვინო მაინცდამაინც დღევანდელი ღვინის ანალოგიური არ იყო. მაშინდელი პრიმიტიული ტექნოლოგიის პირობებში მისი სიმაგრე 7-10 გრადუსს არ აჭარბებდა. დაბალი ალკოჰოლის შემცველობის გამო, იმ პერიოდში უფრო მეტი ღვინო ისმებოდა, ვიდრე დღეს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქალები და ბერმონაზვნებიც კი ყოველდღიურად ერთიდან სამ ლიტრამდე ღვინოს სვამდნენ.

ინგლისელები საკმაოდ ბევრ ხორცს ჭამენ. საერთოდ, ევროპაში შუა საუკუნეებში ხორცს იშვიათად მიირთმევდნენ. არ შეიძლება არ ითქვას, რომ სენიორები მხოლოდ ნანადირევს ჭამდნენ, ბიურგერები – საქონლის ხორცს, გლეხები – ღორის ხორცს, სტუდენტები კი – ცხვრის ხორცს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა ფენის წარმომადგენელი ყველაფერს მიირთმევდა. აღნიშნავენ, რომ ცხენისა და ძაღლის ხორცზედაც კი არ ამბობდნენ უარს. ინგლისში ტრადიციულია აგრეთვე სხვადასხვაგვარი *პუდინგები.* დილით ისინი ჭამენ *პორიჯს* (შვრიის თხელი ფაფა). სასმელებიდან პოპულარულია ჩაი, განსაკუთრებით – რძიანი ჩაი. გერმანელები ბევრს ჭამენ მრავალფეროვან *ძეხვებს, სოსისებს.* ღორისა და ქათმის ხორცისგან სხვადასხვა კერძს ამზადებენ. ტრადიციული გერმანული სასმელია *ლუდი.* ეს სასმელი ცნობილი იყო ძველი გერმანელებისთვისაც. ის, მართალია, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ ძალიან პოპულარული მხოლოდ XIII საუკუნის შემდეგ გახდა. ლუდი მხოლოდ ჩრდილოეთ ევროპელ ხალხებში იყო პოპულარული. სკანდინავიის ხალხებისათვის ყოველდღიური საკვებია თევზი. აქ პოპულარულია *ბუტერბროდებიც.* ბუტერბროდის 700 ნაირსახეობა აქვთ. ევროპაში ჩანგალი მხოლოდ XV საუკუნეში გამოჩნდა. თავდაპირველად ის მხოლოდ ძვირფასი ლითონის იყო და მას ზედა ფენა იყენებდა.

ადამიანი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა თავის სხეულს. ამ მხრივ, ბუნებრივია, არც ევროპელები იყვნენ გამონაკლისი – იბანდნენ, მისდევდნენ სპორტის სხვასახვა სახეობას, ერთობოდნენ და ავხორცობდნენ კიდევაც. ამ მხრივ, ძირითადად განსხვავებული ყოფა გააჩნდათ სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთ. შუა საუკუნეებში აბანოები საქალაქო ცხოვრების ერთგვარი ატრიბუტი იყო, მაგრამ ნაგებობანი, რომლებშიც მოთავსებული იყო ორთქლის აბანოები სადა და უბრალო იყო, ვიდრე რომაული თერმები. აბანოებში, ჩვეულებრივ, ხის კოდები ედგათ. ორთქლის აბანოებში ორივე სქესის ათეულზე მეტი გა-

შიშვლებული მობანავე იყრიდა თავს. ეს კი აბანოებს ცუდ რეპუტაციას უქმნიდა. ვისაც ორთქლის აბანოში წასვლა არ შეეძლო სოფლებში, ისინი სახლებში სპეციალურად გამოყოფილ კუთხეებში ბანაობდნენ. იტალიაში ფეხებს, ჩვეულებრივ, ძილის წინ იბანდნენ, სახეს – ძილის შემდეგ, ხელებს ჭამის წინ, კბილებს იწმენდნენ მელანთევზის ფხვნილით. შუა საუკუნეების ევროპული ყოფისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წყაროებში არაფერია ნათქვამი თუ როგორ იშორებდნენ იმდროინდელი ადამიანები შარდსა და განავალს. ამ საკითხს რომ შევეხეთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ეთნოლოგია ხალხის ყოფასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას სწავლობს. მიუხედავად ამისა, იკონოგრაფია და არქეოლოგია ამის შესაებაც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. სოფლად აღნიშნული პრობლემის მოგვარება შედარებით იოლი იყო, მაგრამ ქალაქებში, ბუნებრივია, მისი მოგვარების გარეშე ადამიანებს პრობლემები შეექმნებოდათ. აქ ჰქონდათ საზოგადოებრივი საჭირო ოთახები, რომლებსაც აშენებდნენ ან მდინარეთა ნაპირებზე, ან ორმოების თავზე. კერძო სახლებში ტუალეტად ხშირად გამოიყენებდნენ ეზოში აგებულ ჯიხურებს.

ევროპელთა თანამედროვე ტანსაცმელში ნაციონალური თავისებურებები ძალიან მცირე დოზით შემოგვრჩა. **დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველგან გავრცელებულია ე. წ. ევროპული ქალაქური კოსტიუმი, რომლის სამშობლოც დიდი ბრიტანეთია. ასეთი კოსტიუმი XIX საუკუნის ბოლოს გავრცელდა ქალაქის მცხოვრებთა შორის, მოგვიანებით კი სოფლის მცხოვრებლებში.** ნაციონალურ კოსტიუმებს დღეს მხოლოდ ფოლკლორული დღესასწაულის, ხალხური მხატვრული კოლექტივების კონცერტის დროს იცვამენ. წარსულში ევროპელი მამაკაცის ტანსაცმლის ყველაზე გავრცელებული ელემენტი იყო მოკლე შარვალი, რომლის სიგრძე მუხლს ოდნავ ქვემოთ იყო. შარვალთან ერთად ატარებდნენ მოკლე წინდებს ან გეტრებს. **საერთოდ, შარვალი ევროპული კულტურის ელემენტი არაა; ის ცენტრალურ აზიის მომთაბარე ხალხებში წარმოიქმნა.** ახალი ეპოქის სიახლე მამაკაცებში ქვედაბოლოს ნაცვლად გრძელი და ვიწრო შარვლის ან ფუშფუშა მოკლე შარვლის დამკვიდრება იყო. პირველი ხანდახან გრძელ წინდას უფრო ჰგავდა, ვიდრე შარვალს. ყველაზე დიდხანს გრძელ კაბას საეკლესიო დასი და ხელისუფლების წარმომადგენლები ატარებდნენ. რომანული მოდგმის ხალხებში ქალები ატარებდენ გრძელ ბოლოკაბებს. ზოგიერთ ქვეყანაში კი ერთდროულად რამდენიმე ბოლოკაბას იცვამდნენ. ამავე დროს სამოსი გარკვეული „სოციალური მარკერის“ როლსაც ასრულებდა – ზედაფენა, გლეხობა, სამღვდელოება სხვადასხვაგვარად იმოსებოდა. შუა საუკუნეების ევროპაში ისეთი ლექსიკური ერ-

თეულები, როგორებიცაა საგარეო და საშინაო ტანსაცმელი, არ არსებობდა. ერთსა და იმავე კოსტიუმს ატარებდნენ დილითაც და საღამოსაც. საყურადღებოა, რომ ტანსაცმელზე ახალ დრომდე ჯიბეები საერთოდ არ არსებობდა. ბუნებრივია, დაისმება კითხვა: აბა, სად ინახავდნენ ცხვირსახოცს, ხელთათმანებს, ფულს, გასაღებს, დანას? – წელზე შემორტყმულ სარტყელზე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იყო *მაიორატის* პრინციპი – ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს მხოლოდ უფროსი ან უმცროსი შვილი წარმოადგენდა. საქორწინო ურთიერთობები ევროპაში საეკლესიო კანონმდებლობით წესრიგდებოდა. ამიტომაც აქ გაბატონებული იყო მონოგამიური ოჯახი. ეკლესია კრძალავდა სისხლით ნათესავებზე დაქორწინებას. ადრეულ შუა საუკუნეებში საქორწინო აკრძალვები ერთი წინაპრის შთამომავლების შემთხვევაში შვიდი თაობის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ ***ლატერანიის* 1215 წლის მეოთხე კრებაზე თამასა ნათესაობის მეოთხე თაობამდე ჩამოსწიეს.** სხვათა შორის, XI საუკუნემდე ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვებს, ჩვეულებრივ, კლავდნენ დაბადებისთანავე ან ადრეულ ასაკში, აგდებდნენ ან საუკეთესო შემთხვევაში განწირული იყვნენ მოსამსახურის დამამცირებელი სამუშაოს შესასრულებლად.

დასავლეთ ევროპელი ხალხების (კათოლიკების) ყველაზე საყვარელი დღესასწაულია შობა, მართლმადიდებლებისათვის – აღდგომა. შობის დროს ევროპის ბევრ ხალხში მიღებულია ნაძვის ხის მორთვა. ეს წესი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ელზასელ გერმანელებში წარმოიშვა, შემდეგ კი გავრცელდა სხვა რეგიონებში. დიდი ბრიტანეთის ხალხებში შობის ტრადიციულ მოსართავს წარმოადგენდა აგრეთვე სუროს, ბაძგის ან ფითრის ტოტები. შობის დროს მიღებული იყო ერთმანეთისათვის საჩუქრების მირთმევა. გაზაფხულობით აღნიშნავდნენ ყველიერსა და აღდგომას, ზაფხულში წმინდა იოანეს დღესასწაულს. ანთებდნენ ჭიაკოკონას, ასრულებდნენ გუნდურ სიმღერებს. ყველიერის დროს ეწყობოდა კარნავალები. ზოგიერთი ხალხი აღნიშნავს თავისი ნაციონალური წმინდანის დღეს, ირლანდიელებისათვის ესაა *წმიდა პატრიკის* დღე, ბელგიელთათვის – *წმინდა მარტინის* დღე, ჰოლანდიელებისათვის – *წმინდა ნიკოლოზის* დღე, შვედებისათვის – *წმიდა ლუსიას* დღე, ესპანელთათვის – *წმიდა იოსების* დღე. ისევე როგორც ყველგან, ევროპაშიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. კათოლიკური ეკლესია საფრანგეთში საუკუნეების განმავლობაში ითმენდა *წმიდა გინეფორის* კულტს, რომელიც სინამდვილეში მწევარი იყო და ბავშვი გველის კბენისაგან იხსნა.

ევროპის ხალხებში ტრადიციული კულტურისა და პროფესიული კულტურის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთობ ძნელია, რადგან პროფესიული შემოქმედება აქ ძალიან ძველ დროს გაჩნდა. მაგალითად, პროფესიული თეატრის ჩანასახები საბერძნეთში წარმოიქმნა ანტიკურ პერიოდში. ძველ საბერძნეთში ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის VI-V საუკუნეებში ტრაგედიისა და კომედიის დასადგმელად სპეციალურ ნაგებობებს აშენებდნენ. შუა საუკნეებში ბევრ ევროპულ ქალაქში პოპულარული იყო მოხეტიალე თეატრები. ევროპაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ევროპელი ხალხების პროფესიული კულტურის მაღალი დონის ფუნდამენტს წარმოადგენს აღორძინების ეპოქის მიღწევები ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სფეროში.

III.2-12. კავკასიის ხალხები

ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე კავკასიის გეოგრაფიული რეგიონი ყოველთვის იწვევდა სხვადასხვა დროის მწერალთა და მოგზაურთა დიდ ინტერესს. ქართველთა სამშობლოც – საქართველო – ამ გეოგრაფიული რეგიონის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ბუნებრივია, ქართველებსაც დიდი ინტერესი გააჩნდათ და გააჩნიათ კავკასიისა და კავკასიელების მიმართ. კავკასიის ხალხებს, *ქართველების, სომხებისა* და ჯერ კიდევ ადრე, შუა საუკუნეებში გამქრალი *ალბანელების* გამოკლებით, დამწერლობა არ გააჩნდათ, ამიტომაც მათი ისტორიის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. მართალია, სომხური, ქართული და სხვადასხვაენოვანი წყაროები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კავკასიური ეთნოსების შესახებ, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ ეთნოლოგიურ შესწავლას, რომელიც უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს. ყველა ხალხი ცდილობს თავისი მეზობლების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს. ქართველებსაც ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდათ კავკასიელების მიმართ. საქართველოში მნიშვნელოვანი გამოკვლევებია დაწერილი კავკასიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და ენების შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო სალექციო კურსებიც იკითხება. შექმნილია კავკასიის ეთნოლოგიის სახელმძღვანელოებიც. ამის გამო, „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალში“ კავკასიის ხალხებს მხოლოდ ზოგადად შევეხებით.

კავკასია ორ ნაწილად – *ჩრდილოეთ კავკასიად* და *სამხრეთ კავკასიად* – იყოფა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გამმიჯვნელი მთავარი წყალგამყოფი ქედია. ერთიანი გეოგრა-

ფიული რეგიონი ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური და კლიმატური თვალსაზრისით ფრიად მრავალფეროვანია, რამაც გარკვეული დაღი დაასვა კავკასიის ხალხთა ისტორიულ განვითარებას, მათი სხვადასხვა კულტურული მიმართულებით განვითარება განაპირობა. მოზაიკური იყო და არის კავკასია ეთნიკური თვალსაზრისითაც. აქ 50-მდე ეთნოსი მკვიდრობს, რომლებიც სხვადასხვა ენათა ოჯახებს მიეკუთვნებიან. ადგილობრივი კავკასიელების გარდა, კავკასიის მკვიდრნი არიან ინდოევროპული და ალთაური ოჯახების ენებზე მოლაპარაკე ხალხებიც. კავკასიის ეს ეთნოლინგვისტური სიჭრელეც მეტწილად რთული ლადშაფტით იყო განპირობებული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კავკასია ორ ნაწილად იყოფა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის ამ ორ ნაწილში გეოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით არაერთი განმასხვავებელი ფაქტორია. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნოგრაფიული ასპექტით დიდი განსხვავებაა მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს შესახებ.

კავკასიის ხალხებმა ორიგინალური კულტურები შექმნეს და ამ კულტურების შემქმნელთ თავიანთი ენები აქვთ. კავკასია ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან: *ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, აფხაზები, ინგუშები, ჩაჩნები,* დაღესტნის 30-მდე ხალხი (*ხუნძები, ანდიელები, ახვახელები, ბაგულალები, ბოთლიხელები, ღოდობერიელები, კარატაელები, ტინდიელები, ჭამალალები, დიდოელები, კაპუჭელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები, დარგუელები, ხაიდაყელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, აღულები, რუთულები, თაბასარანელები, წახურები*). აზერბაიჯანში, გარდა თურქულენოვანი აზერბაიჯანელებისა, ცხოვრობენ *ჰინალუღები, კრიწები, ბუდუხები, უდიები.* ამავე ქვეყანაში მკვიდრობენ აგრეთვე ირანულენოვანი *თათები* და *თალიშები.* ირანულენოვანნი არიან *ოსები.* კავკასიაში სხვა *თურქულენოვანი ხალხები არიან აგრეთვე ბალყარელები, ყარაჩაელები, ნოღაელები* და *ყუმუხები.* ინდოევროპელები არიან *სომხები. ქართველებს* კი, როგორც ირკვევა, ახლო მონათესავე ენობრივ-ეთნიკური ჯგუფი არ ჰყავს. თუმცა ქართველ მეცნიერთა ნაწილი ქართულ ენას კავკასიურ / იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნაწილად მიიჩნევს. კავკასიაში სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც მკვიდრობენ. ესენი არიან: *რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ბერძნები, თათრები...*

კავკასიაში საუკუნეების განმავლობაში რთული ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა. ფაქტია, რომ დიდი იმპერიები, დაპ-

ყრობლები ხშირად ცვლიდნენ კავკასიის ეთნიკურ სურათს. ჩრდილოეთ კავკასიაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდნენ ევრაზიის სივრცეში მომთაბარე ირანულენოვანი და თურქულენოვანი მომთაბარეები. სწორედ ამის შედეგია აქ ირანულენოვანი *ოსებისა* და თურქულენოვანი *ყარაჩაელების, ბალყრელების, ყუმუხებისა* და *ნოღაელების* დამკვიდრება და კავკასიელებად ქცევა. სამხრეთ კავკასია კი მუდმივად განიცდიდა მახლობელი აღმოსავლეთის გავლენას.

განსაკუთრებული დაღი კავკასიას და კავკასიელებს რუსეთის იმპერიამ დაასვა. რუსეთმა მნიშვნელოვნად შეცვალა აქ ეთნიკური სიტუაცია. დაპყრობის შემდეგ კავკასიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მამა-პაპათა სამკვიდროდან აიყარა და სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი. მაგალითად *მუჰაჯირობის* დასახელებაც საკმარისია, ან კიდევ შეიძლება მეორე მსოფლო ომის დროს *ჩაჩნების, ინგუშების, ყარაჩაელებისა* და *ბალყარელების* შუა აზიაში დეპორტაცია გავიხსენოთ. *მუჰაჯირობას* ვერც ქართველი მაჰმადიანები გადაურჩნენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში რუსების შესვლამ ქართველ მაჰმადიანთა მნიშვნელოვანი ნაწილის ოსმალეთში აყრა-გადასახლება გამოიწვია.

მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაშიც. ქართველებმა თავიანთი ეთნიკური ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაკარგეს. მთლიანად შეიცვალა ეთნიკური ვითარება საქართველოდან აღმოსავლეთით. სომხეთი დღეს მონოეთნიკური ქვეყანაა, მაგრამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აქ საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქულენოვანი ტომები.

სამხრეთ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა ძალიან ადრე – IV საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამავე დროს შექმნეს *ქართველებმა, სომხებმა* და *ალბანელებმა* დამწერლობა. სამწუხაროდ, ალბანელთა დეეთნიზაციამ, მათი დამწერლობის გაქრობაც გამოიწვია. შესაბამისად, ალბანეთის ტრიტორიაზე ქრისტიანობას ისლამი ჩაენაცვლა. ქართულ და სომხურ ენებზე კი საუკუნეების განმავლობაში მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა. მთელი ქართული და სომხური კულტურა სწორედ ქრისტიანობითაა ნასაზრდოები. საამისოდ ქართული და სომხური საეკლესიო არქიტექტურის დასახელებაც საკმარისია. განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში ბიზანტიელები და ქართველები ავრცელებდნენ, მაგრამ აქ ის მხოლოდ ზედაპირულად გავრცელდა. ბოლოს კი თანდათან ისლამმა იმარჯვა. ისლამი ქართველთა ნაწილშიც გავრცელდა. ქართველებსა და სომხებს შორის კათოლიკეებიც არიან. თუმცა ბოლო დრომდე კავკასიის ხალხე-

ბში ფართოდ იყო შემორჩენილი ისლამამდელი და ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები.

სამხრეთ კავკასიაში სამიწათმოქმედო კულტურას ძალიან დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია. აქ ძირითადად მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ერწყმოდა ერთმანეთს. მიწათმოქმედების ფართო მასშტაბები წარმოუდგენელი იყო მესაქონლეობის მაღალი დონის გარეშე, რადგან გამწევ ძალად ხარებს გამოიყენებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში წამყვანი უფრო მეცხოველეობა იყო. ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობის ნიადაგების დიდი ნაწილი ნაყოფიერია, განსაკუთრებით ყუბანისპირეთი, მაგრამ ამ მიწების მოხვნა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყეს. ამის ძირითადი მიზეზი კი არასტაბილური პოლიტიკური და სამხედრო გარემო იყო. ფართო სივრცეებს მხოლოდ საძოვრებად იყენებდნენ *ნოღაელები, ყალმუხები* (XVII საუკუნიდან), აგრეთვე *ყაბარდოელები,* რომლებიც ძირითადად *მეცხენეობას* მისდევდნენ. ადიღეური მოდგმის ხალხებს მუდმივი საცხოვრებელი არც ჰქონიათ; ისინი დროდადრო საცხოვრებელ ადგილებს იცვლიდნენ. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მათთვის უცნობი იყო ექსტენსიური მიწათმოქმედება – არ იცოდნენ მიწის განოყიერება და მისი გამოფიტვის შემდეგ დასახლების ადგილს იცვლიდნენ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ფეტვი იყო, მთაში კი – ქერი. სამხრეთ კავკასიაში ძირითად სამიწათმოქმედო კულტურას ხორბალი წარმოადგენდა. ჩრდილოეთ კავკასიაში მესაქონლეობას გადარეკვითი ხასიათი ჰქონდა. საყოველთაოდ იყო ცნობილი *ყარაჩაული ჯიშის ცხვარი* და *ყაბარდოული ჯიშის ცხენი.* აქ ცხენის ხორცსაც ჭამდნენ. საერთოდ, კავკასიაში ცხენს გამოიყენებდნენ როგორც საჭაპანო და საჯდომ საშუალებას. გამწევ ძალად ცხენს არცერთი ხალხი არ იყენებდა. სამხრეთ კავკასიაში უძველესი დროიდანავე ტრადიციული იყო მევენახეობა-მეღვინეობა. სომხეთში, არარატის ველზე, მკაცრი კლიმატის მიუხედავად, მევენახეობის ტრადიციები არსებობდა. აქ ზამთარში ვაზს თხრილში აწვენდნენ და მიწას აყრიდნენ. აზერბაიჯანში, სადაც მეღვინეობას არ მისდევდნენ, სუფრის ჯიშის ყურძენი მოჰყავდათ. საქართველოში ვაზი მთისა და ბარის გამმიჯვნელიც კი იყო. ყველაზე მაღალხარისხოვანი ყურძენი კახეთში მოიწეოდა, რასაც ლანდშაფტი და კლიმატური პირობები განაპირობებდა. აღმოსალეთიდან დასავლეთის მიმართულებით ყურძენში შაქრიანობის რაოდენობა და ღვინოში ალკოჰოლის შემცველობა იკლებს: კახეთში თუ ის 13%-ს შეადგენს, შავი ზღვის სანაპიროზე მხოლოდ 6-7%-მდე აღწევს.

კავკასიაში შემგროვებლობასა და მონადირეობას დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია. წარსულში ის მეურნეობის მნიშვნელოვან დამხმარე სფეროს შეადგენდა. საქართველოში ოდითგანვე მისდევდნენ ისეთი მცენარეების შეგროვებას, როგორებიცაა ეკალა და ჯონჯოლი. ჩრდილოეთ კავკასიელთაგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიაში დიდად აფასებდნენ სოკოს საკვებ ღირებულებას. ჩრდილოეთ კავკასიაში მონადირეობა, თარეშებთან ერთად, სიმამაცისა და ვაჟკაცობის გამოვლინებად მიაჩნდათ. მათ მითოსსა და ეპოსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თქმულებებს მონადირეებსა და სამონადირეო ღვთაებებზე. სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის განსხვავება იყო თევზისადმი დამოკიდებულებაში. მთავარი კავკასიონის ქედს იქით თევზჭერა საერთოდ არ იყო განვითარებული, ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებ ეთნოსებშიც კი. ქედს აქეთ კი, მდინარეებსა და ტბებზე თევზჭერის არერთი ტრადიციული საშუალება არსებობდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ხელოსნობის მაღალი დონე არსებობდა დაღესტნის ხალხებში. აქ მთელი სოფელი ძირითადად ხელოსნობის ერთ დარგზე იყო ორიენტირებული. თითქმის ყველგან მეტ-ნაკლებად განვითარებული იყო ტყავის დამუშავება და თექის მოთელვა. სამხრეთ კავკასიაში ხელოსნობისა და შინამრეწველობის მაღალი დონე არსებობდა. ქალაქებში ყველანაირი ხელოსნური ნაწარმი მზადდებოდა. სხვადასხვა დარგების ხელოსნები სოფლებშიც მუშაობდნენ. მაგალითად, *მაჭახლის* ხეობაში მზადდებოდა და კავკასიასა და მის საზღვრებს გარეთაც ცნობილი იყო ცეცხლსასროლი იარაღი.

სამხრეთ კავკასიაში არაერთი ქალაქი არსებობდა. ბუნებრივია, ეს ქართველების, ალბანელებისა და სომხების სახელმწიფოებრივი ტრადიციებითაც იყო განპირობებული. ჩრდილოეთ კავკასიაში ძველი ქალაქები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ერთადერთი გამონაკლისი *დარუბანდი* იყო (VI საუკუნეში დაარსეს ირანელებმა, რათა ჩრდილოეთიდან სამხრეთით ამ ციხე-სიმაგრის საშუალებით მომთაბარეთა თარეში აღეკვეთათ). ისტორიულად კავკასიისწინეთში კიდევ რამდენიმე ქალაქი არსებობდა (მაგალითად, *მაჟარი*), მაგრამ ისინი მონღოლთა შემოსევების დროს განადგურდა. ქალაქები აქ რუსეთის კოლონიური მმართველობის პერიოდში, ძირითადად XIX საუკუნეში წარმოიქმნა. სამხრეთ კავკასიის ქალაქები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, პატარა ქალაქები იყო და ისინი უპირატესად სხვადასხვა ხალხებით იყო დასახლებული. დღესაც კი გაოცებას იწვევს სომხეთის *ბაგრატუნების სამეფოს* დედაქალაქის *ანისის* ნანგრევები (სხვათა შორის, *ანისის ნაქალაქარში ორი ქართულ-*

მართლმადიდებლური ტაძარიცაა შემორჩენილი). გვიან შუა საუკუნეებსა და ახალ დროში სომხები საქართველოსა და აზერბაიჯანის ქალაქებში უფრო ეტანებოდნენ ცხოვრებას, ვიდრე სომხეთის ქალაქებში. XX საუკუნის დასაწყისში *ერევანი* მხოლოდ დიდ სასოფლო დასახლებას ჰგავდა.

ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის საცხოვრებელი ნაგებობანი. სომხეთში ძირითადად მიწურბანიანი საცხოვრებლები არსებობდა, თუმცა საქართველოს მოსაზღვრე მხარეებში ქართული ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი სახლის – *დარბაზის* ანალოგიური ნაგებობანიც იყო გავრცელებული, რომელსაც *გლახატუნს* უწოდებდნენ. ასეთივე საცხოვრებელი სახლები აზერბაიჯანში საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზეც გვხვდებოდა – *ყარდამი*. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან მხარეებში ვერტიკალური ჭრილის საცხოვრებლები არსებობდა. ეს განსაკუთრებით ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაზე ითქმის. რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, სადაც ადიღეური ტომები ბინადრობდნენ, აქ ქვის საცხოვრებლები საერთოდ არ იცოდნენ და ადამიანები პრიმიტიულ, ხელით ადვილად გადასატან მოწნულ ნაგებობებში (რომელიც თიხით იყო შელესილი) ცხოვრობდნენ. ბალყარეთსა და ყარაჩაიში კი ტრადიციული იყო ხის სახლები. ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებში მაღალ დონეზე იყო განვითარებული კოშკური კულტურა, განსაკუთრებით ეს ჩაჩნეთსა და ინგუშეთზე ითქმის. ინგუში კოშკების მშენებლები მეზობელ ოსებშიც კი აშენებდნენ კოშკებს. კოშკები საქართველოს მთიანეთშიც ტრადიციული ნაგებობები იყო. სვანეთში აგებული ორიგინალური და გარემოსთან შერწყმული ასეთი ძეგლები დღესაც განცვიფრებას იწვევს. იცოდნენ როგორც თავდაცვითი, ისე სათვალთვალო / სადარაჯო კოშკების აგება. კავკასიაში კოშკები დიდ ოჯახებს, გვარებს ეკუთვნოდათ. კოშკის აშენებას პრესტიჟული ხასიათი ჰქონდა. კოშკებს ძალიან წააგავდა მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი – აკლდამები. ინგუშეთში, ჩაჩნეთში, ოსეთში, ყარაჩაისა და ბალყარეთში აკლდამებში დაკრძალვა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ქალის ხელის მთხოვნელს მიწისზედა აკლდამა თუ არ ჰქონდა, მას ქალს არავინ მიათხოვებდა. ამ ფაქტით ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არა მხოლოდ მატერიალურ კულტურაში, არამედ სულიერი კულტურის სფეროშიც მნიშვნელოვანი იყო.

კავკასიის ყველა ხალხს თავისი ეროვნული სამოსი გააჩნდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კავკასიის ხალხებმა ერთიმეორის მსგავსი სამოსის გამოყენება დაიწყეს. მხედველობაში გვაქვს *ჩოხა*, რომელიც, რატომღაც, საერთაშორისო ლიტერატუ-

რაში „ჩერკესკის“ სახელითაა ცნობილი (ტერმინი რუსებისაგან გავრცელდა). მოსაზრებაა გამოთქმული, რომ ასეთი სამოსი ჩერქეზთაგან შეითვისეს ქართველებმა. მანამ, სანამ ე. წ. *ჩერკესკის* სადაურობას შევეხებით, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეს ტანსაცმელი ყოველდღიური სამოსი არ იყო და მას უპირატესად ზედა ფენა იცვამდა და საზეიმო ტანსაცმელი გახლდათ. XIX საუკუნის საქართველოში ჩოხა-ახალუხში ქორწილის დროს ნეფე გამოეწყობოდა ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას ადიღეელების / ჩერქეზების შესახებაც – აქაც ჩოხა ე. წ. ზედა ფენის სამოსი იყო. რას წარმოადგენს სინამდვილეში ჩოხა? ესაა, ჩვეულებრივ, მამაკაცის ჩაღილულ კაბაზე გულ-მკერდის არეში მიკერებული სამასრეები. ჩოხის პროტოტიპი მამაკაცის კაბა ეცვათ თუ არა ადიღეელებს? ევროპელი მოგზაურების ცნობით, შუა საუკუნეებში ადიღეელი / ჩერქეზი მამაკცები და ქალებიც ასეთ კაბას არ იცვამდნენ. მათთვის ტრადიციული იყო პერანგი, რომელიც ჭიპამდე იყო ჩახსნილი. ხოლო თუ კარგად დავაკვირდებით ქართული ეკლესიების ფრესკებს დავინახავთ, რომ მათზე XVIII-XIX საუკუნეების ჩოხის პროტოტიპი – მამაკაცის კაბებია გამოხატული. სწორედ ასეთ კაბებზე გულ-მკერდის არეში სამასრეების მიკერებამ მიგვიყვანა ჩოხამდე. ამდენად, ქართულ კაბაზე სამასრეების მიკერების შემდეგ მივიღეთ მამაკაცის ტანსაცმელი, რომელიც ზედაფენის სამოსი იყო და რომელიც მთელ კავკასიურ სამყაროში გავრცელდა. სხვათა შორის, დღეს ჩოხა აცვიათ აზერბაიჯანის ფოლკლორულ ანსამბლების წევრებსაც. აზერბაიჯანელებისათვის კი ჩოხა XIX საუკუნეშიც მთლად უცნობი იყო.

სამხრეთ კავკასიელები ძირითადად პურით იკვებებოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კავკასიელებზე. სომხეთშიც და საქართველოშიც პურს ძირითადად ვერტიკალურ საცხობში – თორნეში აცხობდნენ. სომხები უფრო ლავაშს აცხობდნენ, ქართველები კი – მრგვალ და მოგრძო პურებს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და კოლხეთის დაბლობზე პურს საერთოდ არ ჭამდნენ. მათი საჭმელი იყო სქლად მოხარშული ფეტვის (გვიან – სიმინდის) ფაფა.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც განსხვავება უფრო მეტი იყო, ვიდრე მსგავსება. ქორწინება ძირითადად ეგზოგამიური იყო ქართველთა, ინგუშთა, ჩაჩანთა, ადიღეელთა შორის. სომხებში საქორწინო შეზღუდვები ოთხი თაობით შემოიფარგლებოდა. მუსლიმ აზერბაიჯანელებში ენდოგამიური ქორწინება იყო გაბატონებული. თუ აზერბაიჯანელთა შორის, ახლო ნათესავის გარდა, ქორწინება გარეშეებზედაც დაშვებული იყო, დაღესტნის ხალხებში მხოლოდ ნათესავზე ქორწინდებოდნენ და სოფლის გარეთ სა-

ქორწინო პარტნიორს, ფაქტობრივად, არ ეძებდნენ. სამხრეთ კავკასიაში თუ საქორწინო რიტუალის – ქორწილის აქტიური პერსონაჟები ნეფე და დედოფალი იყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიაში ქორწილი ნეფე-დედოფლის გარეშე ტარდებოდა. აქ *ლევირატისა* და *სოროორატის* წესებიც მოქმედებდა. ქართველ და სომეხ ხალხებში საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფო სამართალი მოქმედებდა, ხოლო აზერბაიჯანელებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებში – *შარიათი* და ჩვეულებითი სამართალი.

საყოველთაოდაა ცნობილი კავკასიური სტუმართმოყვარეობა. მთიელ კავკასიელებში სტუმართმოყვარეობის ტრადიცია სისხლის აღების ტრადიციაზე მაღლა იდგა. კავკასიური სტუმართმოყვარეობის მაღალი დონის საჩვენებლად ერთი ასეთი ფაქტის მოყვანაც საკმარისია, რომელიც ეთნოლოგ *ლეილა მარგოშვილის* მამას პანკისელ ქისტს *უსუფ მარგოშვილს* აქვს ჩაწერილი: ***„1916 წელს მე, ჩემი ძმა კოსტა და ბიძა ბიბოლათა გავემგზავრეთ (მთის ბილიკით) საქმეზე ჩაჩნეთში. მეხუთე დღეს საღამოს მივედით ითუმხალეში ნაცნობის ოჯახში. მათ ძალიან გაუხარდათ ჩვენი მისვლა და მიგვიპატიჟა სახლში. მაშინვე დაკლეს ცხვარი, გაგვიშალეს სუფრა და გვიან ღამემდე ცეკვა-სიმღერით გაგვართეს და შემდეგ დაგვაძინეს. დილას გამოვედით გარეთ და ეზო სავსეა ხალხით. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ, გაიგეს მეზობლებმა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი და სანახავად არიან მოსულები. ცოტა ხანი დავიცადე, მივედი ერთ მოხუცთან და შევეკითხე: „ახალი ხომ არაფერია“? მან მიპასუხა: „ამ ოჯახში მიცვალებულიაო“. შევწუხდით ძალიან და მასპინძელს ვუსაყვედურეთ, რატომ დაგვიმალა ეს მწუხარება! მან გვიპასუხა: „მთაში სტუმრის მიღება და მისი დახვედრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის სიკვდილი, რომლის წინაშეც ჩვენ უძლურები ვართ“.***

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში თავი იჩინა ეთნიკურმა დაპირისპირებებმა. უმეტესწილად ეს კონფლიქტები იმპერიის მიერ იყო ინსპირირებული, ზოგჯერ კი კავკასიის ხალხების დაპირისპირებას ისტორიული მიზეზები განაპირობებდა. მაგალითად, ინგუშურ-ოსური დაპირისპირების მიზეზი საბჭოთა პერიოდში წარმოიქმნა. მეორე მსოფლიო ომის დროს შუა აზიაში დეპორტირებული ინგუშების მიწა-წყალი ოსებს გადაეცათ. უკან დაბრუნებულ ინგუშებს კი კუთვნილი ტერიტორია აღარავინ დაუბრუნა. ამასთან ერთად ინგუშებს კუთვნილი ქალაქი – ვლადიკავკაზიც წაერთვათ.

III.3.ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ადგილი მსოფლიოს ხალხთა და მსოფლიოს კულტურულ სივრცეში

ეთნოლოგია, როგორც არაერთგზის აღინიშნა, ხალხებსა და მათ მიერ შექმნილ ეთნიკურ კულტურებს სწავლობს. მსოფლიოს რამდენიმე ათასი ეთნოსიდან ქართველი ხალხი ერთ-ერთია, რომელმაც, ისევე როგორც ყველა სხვა ეთნოსმა, ორიგინალური კულტურა შექმნა. ამასთანავე ყველა ეთნოსს გარკვეული ადგილი უკავია საკაცობრიო კულტურულ სისტემაში. აგრეთვე აღიარებული ფაქტია, რომ ზოგიერთმა ხალხმა საკმაოდ მაღალი დონის კულტურა შექმნა, ზოგიერთმა კი – არა. ხალხები ერთმანეთისაგან კიდევ ბევრი კომპონენტით განსხვავდებიან: წარმომავლობით, საზოგადოებრივი განვითარების დონით, რაოდენობით. ბუნებრივია, ამ უკანასკნელ კომპონენტსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ამ თუ იმ ხალხის როლზე ვსაუბრობთ საკაცობრიო კულტურის ისტორიაში შეტანილი წვლილის მიხედვით. საკაცობრიო კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩინური ეთნოსის წარმომადგენლებმა. საამისოდ საკმარისია ქაღალდის, აბრეშუმისა და ფაიფურის გამოგონება დავასახელოთ. კულტურის ფორმირება და, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივი განვითარების დონეც ბევრად იყო დამოკიდებული ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კლიმატურ გარემოსა და პირობებზე. ხალხთა ეთნოგენეზში გარკვეულ როლს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოც თამაშობდა. *ლ. გუმილიოვს* აურაცხელი მაგალითი აქვს მოყვანილი ამის დასადასტურებლად თავის მრავალრიცხოვან მონოგრაფიებში. თუმცა, გეოგრაფიული გარემოს გარდა, ეთნოსების ფორმირებაზე სხვა ფაქტორებიც რომ ახდენდა გავლენას, ეს აშკარაა. სამართლიანია ბევრი ეთნოლოგის მოსაზრება, რომ ეთნოსი ბიოსოციალური მოვლენაა.

ერთი თვალის გადავლებით საუბარი ქართულ ეთნოსსა და მის ეთნიკურ კულტურაზე ძნელია, მაგრამ რეალური ვითარების დახატვა მაინც შესაძლებელია. უპირველეს ყოვლისა, როდესაც საუბრობენ ამა თუ იმ ხალხის შესახებ, განსაზღვრავენ მის ადგილს მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ სისტემაში და აღნიშნავენ, რომელი სხვა ეთნოსების მონათესავეა ის, როდის და სად მოხდა ეთნოგენეზი, რა კომპონენტებისაგან წარმოიქმნა ის. ქართველთა ეთნოგენეზზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება თანამედროვე საქართველოსა და ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. ისევე როგორც ყველა სხვა ეთნოსიც, ქართველი ხალხიც სხვადასხვა კომპონენტებისაგან ჩამოყალიბდა, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ პრო-

ტოქართველებს რომელიღაც დიდი ინდოევროპული ეთნიკური ერთობა შეერია. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე კი ქართველთა შემადგენლობაში სხვადასხვა მეზობელი და არამეზობელი ხალხების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ძალიან ძველ დროს წარმოქმნილმა ქართველმა ერმა კი დღევანდლამდე მოიტანა თავი – ის ბევრ ხიფათს გადაურჩა. ქართველთა სიცოცხლისუნარიანობის საკითხს მოკლედ ქვემოთ შევეხებით, ახლა კი ქართველთა მთავარი მახასიათებლის – ქართული ენის შესახებ უნდა ითქვას მოკლედ. როდესაც მსოფლიოს ხალხების კლასიფიკაციას ახდენენ, პირველ ყოვლისა, ენობრივ კლასიფიკაციაზე საუბრობენ. ვინ ენათესავება ქართველებს ენობრივად? ამ კითხვაზე ჯერჯერობით ზუსტი პასუხი არ არსებობს. ქართველ ლინგვისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ენა თავისი განშტოებებით – ზანურითა (მეგრულ-ლაზური) და სვანურით – ჩრდილოეთ-კავკასიურ ენებს ენათესავება, მაგრამ მთელი რიგი ქართველი ენათმეცნიერები ამ კონცეფციას არ იზიარებენ და ქართულ ენას მისი განშტოებებით დამოუკიდებელ ენათა ოჯახად განიხილავენ. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ მსოფლიოში აღიარებული ენათმეცნიერები და ყველა ცნობარსა თუ ენციკლოპედიაში ქართველური ცალკე ოჯახადაა წარმოდგენილი. ჩრდილოეთკავკასიური ენების ორ ჯგუფს – ნახურ-დაღესტნურსა და აფხაზურ-ადიღეურსაც კი – ბევრი მეცნიერი უკვე ენათა სხვადასხვა ოჯახებად განიხილავს.

ორიოდე სიტყვა ქართული ენისა და მისი შტოების შესახებაც უნდა ითქვას. ქართველურ ენათა ოჯახში, ჩვეულებრივ, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური შეჰყავთ. წმინდა ენობრივი თვალსაზრისით საერთოქართულის ეს განტოტებანი ენათა კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, მაგრამ სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით ისინი დიალექტებია – ამ მეტყველებებს მხოლოდ საოჯახო დანიშნულება ჰქონდა. მეგრელისა და სვანისათვის ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სალიტერატურო, სახელმწიფო და საეკლესიო ენა ყოველთვის სალიტერატურო ქართული იყო. ქართველურის სამივე შტოს წარმომადგენლებმა ერთობლივად შექმნეს სალიტერატურო ქართული ენა და, რაც მთავარია, ქართველი ერის შემქმნელი იყო ცნობიერება, რომელიც ყოველთვის საერთო იყო და ის არა მის შტოებსა და მეტყველებებს ეფუძნებოდა, არამედ საერთო კულტურას, საერთო წარმომავლობის შეგნებას, საერთო სახელმწიფოებრიობის, ერთი სარწმუნოების იდეას. ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების შესახებ ანალოგიური მაგალითები მსოფლიოს ისტორიიდან შეიძლება მოვიყვანოთ: იტალიაში ასზე მეტი დიალექტი და კილო-კავია. ბევრი დიალექტის წარმომადგენლებს ერთ-

მანეთის მეტყველება საერთოდ არ ესმით; მათ მხოლოდ სალიტერატურო ენა აერთიანებთ და არავის (მათ შორის, ლინგვისტებსაც) აზრად არ მოსდით, რომ ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებული მეტყველებანი ენებად გამოაცხადონ. ანალოგიური ვითარებაა გერმანიასა და ჩინეთში. ქვემო გერმანული დიალექტების ჯგუფი უფრო ახლოსაა ფლამანდიურ-ჰოლანდიურთან, ვიდრე სალიტერატურო გერმანულთან, რომელიც ზემო გერმანულ დიალექტებს ეყრდნობა. გერმანელი მეცნიერები მაინც მიიჩნევენ (საერთოგერმანული ინტერესებიდან გამომდინარე), რომ ქვემო გერმანული დიალექტია გერმანული ენისა. ჩინური ეთნოსის ეთნიკური ცნობიერების საფუძველია იეროგლიფები და არა ენა. ჩინეთში ათზე მეტ სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთის საერთოდ არ ესმის. ამის მიუხედავად, ეს მეტყველებები დიალექტებადაა მიჩნეული. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი ეთნოსის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა ენებზე მეტყველებენ. ერთმანეთის არ ესმით *სელკუპებს; სამხრეთელი / ნა-რიმელი სელკუპების* შვიდ ენდოგამიურ ჯგუფს რუსულ ენაზე აქვს ურთიერთობა ერთმანეთთან. ანალოგიური მდგომარეობაა *ხანტებს* შორის. ამ ეთნოსის სამ ენდოგამიურ ჯგუფს ერთმანეთის მეტყველება არ ესმის (ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სამ ხანტურ მეტყველებას ლინგვისტები დიალექტებად მი-იჩნევენ). სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ მათი „დიალექტები“ შეიძლება ცალკეულ ენებადაც ეცნოთ, მაგრამ ამის ხელის შემშლელ გარემოებად იმ ფაქტორს ასახელებენ, რომ *სელკუპებიც* და *ხანტებიც* ერთ ეთნოსად გაიცნობიერებენ თავს. მაგალითების მოყვანა, ვფიქრობთ, საკმარისია. ისინი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ხაზი გაგვესვა ქართული ეთნოსის / ქართველი ერის ერთობისათვის. ცხადია, რომ ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის ხანგრძლივი გზა ასეთი იყო – მეტყველების დაშორება ზოგიერთ ქართულ ტერიტორიულ ერთეულებს (მეგრელებსა და სვანებს) ხელს არ უშლიდათ ერთიანი ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებად გაეაზრებინათ თავი. პირიქით, საქართველოს ერთიანობის, ეთნიკური ერთობის იდეა ყოველთვის მათგან მოდიოდა და არა საქართველოს ცენტრალურ პროვინციაში – ქართლში მცხოვრები ქართველებისაგან.

ხშირად არა მარტო მეცნიერთა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების გაოცებასაც იწვევს ქართველი ერის გადარჩენის საკითხი. ზემოთ სათანადო ადგილას აღნიშნული იყო, რომ ძველი და შუა საუკუნეების განმავლობაში ცნობილი ეთნოსები, მათ შორის, დიდი კულტურის შემქმნელნი გაქრნენ და მხოლოდ რამდენიმე ხალხი გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. გადარჩენილ ეთნოსებს შორის ქართული ეთნოსიცაა. ქართველ ხალხის განსახლების არეალი კავკასიის ერთი მონაკვეთია. ის მტკვრისა

და რიონის და წარსულში ჭოროხის აუზებს მოიცავდა. მრავალფეროვანია ქართული ეთნიკური ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური გარემო – ის მოიცავს ბარს, მთისწინეთსა და მთას, ზღვის სანაპირო ზოლს, მოიცავს მთის ღრმა ხეობებსა და ნახევრადუდაბნოსაც. თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ბუნება განსხვავდება ერთმანეთისაგან, მთისწინეთისა და ბარის ნაყოფიერ მინდვრებთან ერთად ბევრია ტყით დაფარული გორაკ-ბორცვიანი რეგიონები, სადაც მიწა მცირეა, მაგრამ ზომიერი და კარგი კლიმატია და მცენარეული საფარის ზრდა-გავითარებისათვის სათანადო ხელშემწყობი ფაქტორებია. ყველგან მეურნეობის სათანადო ფორმები იყო განვითარებული. ეს გარემოება განაპირობებდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებზე მკვიდრი ქართველების მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს, ქართველი ერის შედუღაბებასა და შეკვრას, პერიფერიებში მცხოვრები ქართველების მუდმივ მისწრაფებასა და მიგრაციას ცენტრალური ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის – *ქართლის* – მიმართულებით. ბევრჯერ დაიცალა ქართლისა და კახეთის ბარი ადგილობრივი ქართული მოსახლეობისაგან. გამქრალი მოსახლეობის ადგილს მთიდან მიგრირებული მოსახლეობა იკავებდა. კახეთს ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჭარბი მოსახლეობა ავსებდა, ქართლს – როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ისე დასავლეთ საქართველოს (*რაჭისა* და *ზემო იმერეთის*) ჭარბი მოსახლეობა და ეს იყო პროცესი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად დაყოფა ძირითადად ხეობებს ეყრდნობოდა. ხეობები და მათში განთავსებული მხარეები ვერტიკალური თვალსაზრისით ბარსაც მოიცავდა, მთასაც და მთისწინეთსაც. მტერთა ხშირი შემოსევების დროს ბარელი ქართველები დროის მცირე მონაკვეთში ასწრებდნენ მთისწინეთსა და მთის ვიწრო ხეობებში თავის შეფარებას, მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ კი – ისევ თავიანთ საცხოვრისში დაბრუნებას, მეურნეობის ხელახლა აღდგენასა და ცხოვრების გაგრძელებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველთა გადარჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შიდა მიგრაციული პროცესები იყო. ეს შიდა მიგრაციული პროცესები სხვადასხვა მიმართულებისა იყო, მაგრამ არ შეიძლება ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, სადაც ასევე მიწის სიმცირე იყო, მოსახლეობის მიგრაციებიც არ აღვნიშნოთ. მაგალითად, *ჯავახეთი,* რომელიც მაღალმთიანი მხარეა, მართალია, მიწის სიმცირეს არ განიცდიდა, მაგრამ ქართლის მოსახლეობით შემავსებელი იყო. დასავლეთ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ფაქტობრივად, მიუწვდომელი იყო

მტრებისათვის (მხოლოდ ერთხელ *თემურ-ლენგმა* მოახერხა უკანასკნელი, მერვე ლაშქრობის დროს *რაჭასა* და *ზემო იმერეთში* შეჭრა და ამ მხარეების იავარყოფა). მონღოლებიც ვერ შევიდნენ დასავლეთ საქართველოში და არც ძალიან მოუწადინებიათ შესვლა, რადგან მათ აქაური ლანდშაფტი არც აინტერესებდათ. ამრიგად, ქართველი ხალხის გადარჩენის ძირითადი მიზეზი გეოგრაფიული გარემო (ლანდშაფტი, ხეობებად ცხოვრება და შიდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები), მათი განსახლების არეალი იყო.

შიდა სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობებიდან მხოლოდ ერთ ფაქტს შევეხებით, რამაც საქრთველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეში – *კახეთში* ქართული ეთნოსის აღწარმოებას შეუწყო ხელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს კახეთში ისტორიულად საძოვრები ეკუთვნოდათ. *შაჰ-აბასის* შემდეგ *კახეთში* მოსახლეობა, ფაქტობრივად, აღარ დარჩა. *კახეთის* ნაყოფიერ მიწებს თანდათან ელის მომთაბარე თათრები დაეპატრონენ. მთიელთა გადარეკვით მეცხვარეობას საფრთხე შეექმნა, ისინი კახეთის საძოვრებს კარგავდნენ და სათავეში ჩაუდგნენ კიდევაც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და უცხო ეთნოსს ქართული მიწა-წყალი ხელიდან გამოსტაცეს. *ბახტრიონის ეპოპეის* შემდეგ ხელახლა დაიწყო *კახეთში* ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების დასახლება.

ქართველთა გადარჩენის სხვა მიზეზთაგან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე შემწყნარებლობა, ენდოგამიური ქორწინება (ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველზე ქორწინდებოდა), მრავალშვილიანობა, კრიტიკულ მომენტში ლიდერის გამოჩენა.

ძალიან მოკლედ ქართველთა ეთნიკურ კულტურასაც უნდა შევეხოთ, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში შემოქმედებითი შრომით შექმნეს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ქართველი ბუნებასთან ჰარმონიაში იყო. მას გათვალისწინებული ჰქონდა ლანდშაფტის, კლიმატის ყველა ნიუანსი და მეურნეობის სათანადო ფორმები ჰქონდა შექმნილი. ამავე დროს ქართველები ყოველთვის ეუფლებოდნენ მსოფლიო საკაცობრიო კულტურულ მონაპოვარს და სათანადოდ, შემოქმედებითადაც ამუშავებდნენ მას. საუკუნეების განმავლობაში ქართველი თავისი შრომით ირჩენდა თავს და თუ რომელიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ პროდუქტის დეფიციტი იყო, მაშინ დანაკლისს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესთან არსებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდნენ. მაგალითად, მთაში არასდროს არ ჰყოფნიდათ მარცვლეული, სამაგიეროდ ჭარბად ჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქები.

ზემოთ აღინიშნა, რომ მსოფლიოს ხალხები კლასიფიცირდებიან სხვადასხვა სამეურნეო-კულტურული ტიპის მიხედვით. **საქართველო მიწათმოქმედების კლასიკური ქვეყანა იყო. აქ სახვნელი მიწათმოქმედება სიმბიოზში იყო მესაქონლეობასთან.** ქართველმა გლეხმა მრავალფეროვანი სახვნელი იარაღები შექმნა და ყველა მათგანი ადგილობრივ ლანდშაფტურ პირობებს იყო შეხამებული. ყველაზე რთული კონსტრუქციის გახლდათ ე. წ. *მუხრანული გუთანი,* რომელშიც 8-9 უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ. ქართული სამიწათმოქმედო კულტურის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მსოფლიოში არსებული ხორბლის 16 ჯიშიდან საქართველოში 11 ჯიში იყო გავრცელებული. ამავე დროს აქ პურეული კულტურების ენდემური ჯიშებიც გვხვდებოდა.

საქართველო მიჩნეულია მევენახეობის ერთ-ერთ კერად. ივანე ჯავახიშვილს დადგენილი აქვს, რომ საქართველოში ქართველ ხალხს 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი ჰქონდა გამოყვანილი. ამას თუ დავუმატებთ *ტაო-კლარჯეთში* გავრცელებულ ჯიშებს, ის ბევრად მეტი გამოდის. რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობდა ღვინო – ის საექსპორტო საგანი იყო. ქართველებისათვის ვაზი ბარისა და მთის გამიჯვნის საშუალებაც იყო. ქართველი მევენახე საუკუნოვანი დაკვირვებით მიხვდა, რომ „...სავენახე მზვარეშია, მზეს მიფიცხებულ სამხრეთის ფერდობზე. ვაზს, მზის შვილს აქ დილიდან საღამომდე არ მოაკლდება მისი სხივი... მას არც ავდარში მოვარდნილი ნიაღვარი ემუქრება, ზომიერად დაქანებულ ფერდობს ვერ ჩამორეცხავს“ (*ა. ლეკიაშვილი*). დახვეწილი იყო მეხილეობაც. ხეხილის უამრავი ჯიში იყო გამოყვანილი.

როდესაც ქართველთა მიწათმოქმედებასა თუ მევენახეობაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ტერასულ მეურნეობაზე არ შევჩერდეთ. საქართველოში ვაკე ადგილებს ფერდობი ადგილები ჭარბობდა და ვარგისი მიწის რაოდენობა შედარებით შეზღუდული იყო. ქართველმა მეურნემ საუკუნეების განმავლობაში მაქსიმალურად გამოიყენა მიწის ყოველი მონაკვეთი და ბუნებისაგან უფრო მეტი მიიღო – შექმნა ტერასები, რომელთა აშენებას თაობები უნდოდა. ტერასების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები გამოირჩევა. ჭოროხის ხეობაში საუკუნეების წინ შექმნილი ტერასები დღესაც ფუნქციონირებს. აქ ჩვეულებრივია 20-25 საფეხურიანი ტერასები; არც 40 საფეხურიანი ტერასებია იშვიათობა. ტერასები არა მხოლოდ მაღალი სამეურნეო კულტურის, არამედ ერის შრომისმოყვარეობის გამოხატულებაცაა.

ქართულ სამეურნეო კულტურაში დიდი როლი ეკუთვნოდა მეცხოველეობასაც. გამოყვანილი ჰყავდათ საქონლისა და ცხვრის სხვადასხვა ჯიში. ცხვრის ჯიშებიდან უნდა დავსახელოთ *თუშური ცხვარი*, რომელიც მთიდან ბარში და ბარიდან მთაში გადარეკვასთან იყო შეგუებული, იძლეოდა უაღრესად მაღალხარისხოვან მატყლს, რძე კი უაღრესად ცხიმიანი ჰქონდა. უნიკალური იყო *იმერული ცხვრის* ჯიშიც. ის ორ წელიწადში ხუთჯერ იძლეოდა ნამატს. აქვს წმინდა, რბილი და გრძელბეწვიანი მატყლი, გამოსავლიანი და საუკეთესო გემოს ხორცი, სპეციფიკური სუნის გარეშე. **მეცხვარეობის მაღალი კულტურის მაჩვენებელია ცხვრის ხელოვნურად დანერბვის პრაქტიკა, რამაც დოლის სამი-ოთხი თვით გადავადების საშუალება მისცა მათ.** ქართველ მეცხვარეს ცხვრის დანერბვაში ხელოვნური ჩარევით მეცხვარეობის გადარეკვით-საიალაღო მეურნეობის განვითარებისა და რძის პროდუქტების ფართო მასშტაბით წარმოების საშუალება მიეცა. საქართველოს თითქმის ყველა მხარეში განსაკუთრებული ჯიშის საქონელიც ჰყავდათ გამოყვანილი. ამ მხრივ კი, პირველ რიგში, *ხევსურული ჯიშის ძროხა* და *კვარაცხელიას ჯიშის* ძროხა უნდა დავასახელოთ, რომლებიც ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან დიდი შემგუებლობით ხასიათდებოდნენ.

მაღალ დონეზე იყო ქართველ ხალხში განვითარებული ხელოსნობა. საქართველოში ხელოსნობის ოდითგანვე დიდ ტრადიციებზე მიუთითებს არქეოლოგიური გათხრები. კოლხეთში სელის ქსოვილს ჰორიზონტალურ დაზგაზე ქსოვდნენ. კოლხური სელის ქსოვილი იმდენად მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, რომ უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ. ქართველები ასევე შესანიშნავი ხითხუროები და ქვითხუროები იყვნენ. ხეზე მუშაობის მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ *აჭარელი* და *ლაზი* ხელოსნები, *ვახუშტი* ლაზების შესახებ წერდა, რომ *„კაცნი არიან Ãელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა“*. ხელოსნობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მეთუნეობაც. მეღვინეობის განვითარების მაღალი დონე ქვევრების დამზადების ტრადიციასაც განაპირობებდა. ამ მხრივ იმერეთს გამორჩეული ადგილი ეჭირა. აქ გიგანტურ 450-500 ვედროიან ქვევრებსაც ამზადებდნენ. იმერული ქვევრები სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, მათ შორის, კახეთშიც გაჰქონდათ. სამეთუნეო ნაწარმის დასაფარად ხმარობდნენ ჭიქურს. საქართველოში მოჭიქული ჭურჭელი ცნობილია ადრე რკინის ეპოქიდან. XI-XVII საუკუნეების ქართული ჭიქური გამოირჩეოდა შემადგენელი მასალის სიმდიდრითა და მხატვრულ-დეკორატიული ფორმის მრავალფეროვნებით. წარმტაცი სანახავია მოჭიქული კრამიტით გადახურული ეკლესია-მონასტრები. ძველი ბერძენი ავტორების მოწმობით, ქა-

რთველი ტომები ლითონის დამუშავების საიდუმლო ხერხებს ფლობდნენ. მხატვრული და ტექნიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საიუველირო ხელოვნებამ. ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციები განსაკუთრებით ფეოდალურ ხანაში განვითარდა. ოქროს მოპოვების ორიგინალური ხერხი არსებობდა სვანეთში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან *ოპიზის* სკოლის წარმომადგენლები *ბეშქენ* და *ბექა* (XII ს.).

ქართული ხალხური არქიტექტურის მიღწევად ითვლება ქვის *დარბაზული სახლი* გვირგვინისებური გადახურვით. *დარბაზი* თავისი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული აგებულებით მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს. შესანიშნავია გეოგრაფიულ გარემოსთან შეხამებული თავდაცვითი კოშკები. ამ მხრივ *სვანური კოშკები* დღესაც იქცევს უცხოელ მკვლევართა და ტურისტთა დიდ ყურადღებას. სვანურ კოშკს გარდა თავდაცვითი ფუნქციისა სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნდა. როგორც *მ. გეგეშიძემ* გაარკვია და შემდეგ სტიქიურმა მოვლენებმაც დაადასტურა, **კოშკებს ზვავსაწინააღმდეგო ფუნქციაც ჰქონდა.** კოშკის მდებარეობა, ანუ სივრცითი ორიენტაცია განპირობებული იყო ზვავსაშიში ადგილით, რომლის მიმართ კოშკი უეჭველად უნდა იდგეს კუთხით და არა გვერდითი მხრით. სქელკედლიანი, ქვის ნაგებობა სწორედ კუთხით კვეთდა მასზე დატაკებულ ზვავს და ანელებდა დამანგრეველ ძალას. ჩვენი აზრით, ანალოგიური ფუნქციის იყო შიდა ქართლის მთაში გავრცელებული ე. წ. *ზურგიანი კოშკი,* რომელსაც უკანა მთისაკენ მოქცეული მხარე ნალისებური ჰქონდა. ოვალური ზურგიც ზვავის ჩამოწოლის შემთხვევაში, თოვლის დიდ მასას აისხლეტდა.

ქართველმა ხალხმა საეკლესიო არქიტექტურის შედევრებიც შექმნა. დასახელება შორს წაგვიყვანს, მაგრამ *გელათის, ბაგრატის, ოშკის, ბანას, სვეტიცხოვლის, ოთხთა ეკლესიის, პარხლის, ნიკორწმინდის, ალავერდის, ბოლნისის სიონის* მოუხსენიებლობა ნამდვილად არ შეიძლება. კულტურის დიდ მიღწევას წარმოადგენს კლდეში ნაკვეთი ქალაქები *ვარძია* და *უფლისციხე.* ფეოდალური პერიოდის მონუმენტურ საეკლესიო ნაგებობებს, რომლებიც *დეკორატიული ჩუქურთმებითაა* შემკული, მეტოქეობის გაწევა შეუძლია იმავე პერიოდის დასავლურ-რომაული არქიტექტურის შედევრებთან. ყველა ქართული საეკლესიო არქიტექტურული ნაგებობა გამოირჩევა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან, ლანდშაფტთან ჰარმონიული შეხამებით. ასევე ლანდშაფტთან იდეალურ შეხამებაში თითქმის აუღებელი ციხე-ქალაქები, რომლებიც საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდან შენდებოდა. სამაგალითოდ, *ტაო-კლარჯეთის* ციხე-სიმაგრების დასახელებაც საკმარისია: *არტანუჯი, ქაჯთა ციხე, თორთუმი...*

ქართული ეროვნული სამზარეულო მრავალფეროვანია. ქართული კერძების მრავალფეროვნების შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის V-IV საუკუნეებში *ქსენოფონტე* აღნიშნავდა. რძის პროდუქტებიდან მაღალი გემოვნებითი თვისებებით გამოირჩევა თუშური *გუდის ყველი* და მეგრული *სულუგუნი.* სულუგუნი, ჩეულებრივ, გადახარშულ-გადაზელილი ყველია. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული ყველის ნაირსახეობა – *სულუგუნი* კოლხეთის დაბლობში ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერაა შექმნილი და მისი შექმნის მიზეზი ხანგრძლივად შენახვა იყო. არ შეიძლება არ დავასახელოთ *საცივი, ხინკალი, გოზინაყი* და *ჩურჩხელა.*

ქართულმა ყოფამ ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში შემოინახა უძველესი სამოსი ხევსურული *ტალავარი.* დახვეწილია *ქართული ჩოხა*, რომელიც ქართველი მამაკაცის ჩაღილულ კაბაზე (ასეთი სამოსი კი მრავლად გვხვდება ქართული ტაძრების ფრესკებზე) მკერდის არეში მასრების ჩასაწყობის მიკერების შედეგად განვითარდა.

ქართულ კულტურაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ შეიძლება *სტუმართმოყვარეობის* ტრადიციები არ ვახსენოთ. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გამორჩეული იყო ამ თვალსაზრისით, მაგრამ განსაკუთრებული იყო მთა და იმერეთი. ქართველ ხალხს კავკასიის სხვა ხალხებთან თუ რაიმე ტრადიცია აახლოვებდა, ეს სტუმართმოყვარეობაა. ერთ-ერთ ლექციაზე სტუდენტმა ასეთი შეკითხვა დამისვა: ამბობთ, რომ ქართველები სტუმართმოყვარეობით გამოვირჩევით, სხვა ხალხებიც ხომ არიან სტუმართმყვარეები? მას წინა წელს ერთ-ერთი სტუდენტის ნაამბობით ვუპასუხე: ხევსურეთში გერმანელი ტურისტები იმყოფებოდნენ. საღამოხანს მათ კარვის გასაშლელი ადგილის ძებნა დაიწყეს და სტუდენტის ბიძის ეზოზე შეაჩერეს ყურადღება. მთიელის პასუხი ასეთი იყო: რატომ უნდა გაათენოთ ღამე ეზოში? სტუმარი ღვთისაა. სახლი დიდი მაქვს და ყველა თქვენგანი თავისუფლად მოთავსდება. ბუნებრივია, იმ ღამეს გერმანელები ქართველის ისეთი სტუმრები იყვნენ, როგორც ტრადიცია მოითხოვს. სტუდენტობის დროს დასავლეთ საქართველოში ექსკურსიაზე გახლდით. იმერეთში, სადღასაც გელათთან ახლოს, მეგობრებს წყალი მოსწყურდათ და ავტობუსი ერთ-ერთ ჭიშკართან გააჩერებინეს. ჭიშკრიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა. მასპინძელს ცოტა შეაგვიანდა და, წყლის ნაცვლად, სურსათ-სანოვაგე და ხელადა ღვინო მოგვართვა. ეთნოლოგებს ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის არ ესწავლებათ. „ველზე“ ეთნოგრაფიული მასალების შესაკრებად ოჯახებში შესულთ ქართველი მთხრობელები ყოველთვის „პურითა და ღვინით“ უმასპინძლდებიან. ავტორი ახალგაზრდობის დროს კოლეგა-ეთნოლოგებთან ერთად ლეჩხუმში იმყოფებოდა. თითქ-

მის ყველა სოფელში მისვლისთანავე ლეჩხუმელები გვიმასპინ-ძლდებოდნენ და, რაც მთავარია, ოჯახებში სტუმრად მისვ-ლისას მასპინძელს მეზობლები უდგებოდნენ მხარში – ყველას რაც ჰქონდა, ის მოჰქონდა. ასე რომ, ექსპედიცია არა მხოლოდ ერთი ოჯახის, არამედ მთელი უბნის / სოფლის სტუმარი იყო. კიდევ ერთი ფაქტი: ერთ-ერთი რუსეთელი ეთნოლოგი მატარე-ბლით ბუდაპეშტიდან პრაღამდე მგზავრობდა. ექვსადგილიან ღია კუპეში იყვნენ რუსი, ჩეხი, გერმანელი, უნგრელი და ორი არაბი. როდესაც მოშივდათ, ყველამ თავ-თავისი პორტფელიდან შეკვრა ამოიღო, მუხლებზე ხელსახოცი დაიფინეს და ჭამას შე-უდგნენ. ორი არაბი კი გარეთ გავიდა, უნგრელის ღორის ლო-რის ჭამისათვის რომ არ ეყურებინათ. რამდენიმე წლის შემდეგ იმავე ეთნოლოგს *ერევანი–თბილისის* მატარებლით მოუხდა მგზავრობა. ვაგონში ძირითადად სომხები და ქართველები იმ-ყოფებოდნენ. 50 კილომეტრის გავლის შემდეგ ყველას მოშივდა და კავკასიელებმა ჭამის ინსტიქტი ცალ-ცალკე კი არ დაიკმა-ყოფილეს, არამედ ერთად. ეთნოლოგი ხაზს უსვამს იმას, რომ თანამეინახე კავკასიელები თითქოს ერთმანეთის დიდი ხნის ნა-ცნობები იყვნენ და თითქოს ერთი ადგილიდან მოდიოდნენ. ბუ-ნებრივია, რუსეთელიც საერთო კავკასიური (სომხურ-ქართული) სუფრის წევრი გახდა.

გამორჩეულია ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებები, რაც, პირველ რიგში, ქართული გვარის ეგზოგამიურობას გულისხ-მობს. მართალია, მართლმადიდებლური საეკლესიო კანონი და-ქორწინების ნებას შვიდი თაობის შემდეგ იძლევა, მაგრამ ქარ-თული ტრადიცია საერთოდ კრძალავდა და გმობდა ერთი გვა-რის (ერთი წინაპრის შთამომავალთა) დაქორწინებას, გვარის წარმოქმნის დროიდან 25 თაობაც რომ ათვლილიყო.

საკაცობრიო კულტურის საგანძურში შედის ქართველთა სულიერი კულტურის ნიმუშები. ქართული ფოლკლორის ერ-თერთ უძველეს ძეგლს წარმოადგენს *ამირანის ეპოსი.* ის ქრის-ტიანობამდელ პერიოდშია შექმნილი. მეცნიერები სამართლია-ნად აღნიშნავენ ამირანის თქმულების სიახლოვის შესახებ ბერ-ძნულ *პრომეთეს* მითთან.

ქართველმა ხალხმა თუ რამით შეიძლება იამაყოს, ეს *ქარ-თული ხალხური მუსიკა* და *ქართული ხალხური ცეკვებია.* მკვ-ლევარები აღნიშნავენ, რომ ქართული ხალხური მუსიკის გაც-ნობისას, პირველ რიგში, ადამიანს თვალში ხვდება მის სახეთა სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ქართული ხალხური მუსიკა შეიცავს ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის უძველეს ნი-მუშებს. საქართველოს ხალხური მუსიკალური ხელოვნების ძი-რითად თავისებურებას ორიგინალური, ნატიფად დამუშავებული გუნდური მრავალხმიანობა წარმოადგენს, რომელიც ასევე გამო-

ყენებულია საეკლესიო მუსიკაში, რომლის წიაღშიც მეათე საუკუნეში წარმოიქმნა ეროვნული მუსიკალური დამწერლობა. **ქართული მუსიკალური ფოლკლორი მდიდარია ჟანრობრივადაც; ის მოიცავს შრომით, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საქორწილო, ისტორიულ, საგმირო, სასიყვარულო, სახუმარო, საფერხულო სიმღერებს, შაირებს, მოთქმა-ტირილს. რაც მთავარია, ქართული ხალხური სიმღერები მრავალხმიანი იყო.** მრავალხმიანი სიმღერები კი ბევრ დიდ და მაღალი კულტურის მქონე ხალხს არ ჰქონია. ორიგინალური იყო ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში შექმნილი სიმღერა. ხალხურ სიმღერებზე ხანგრძლივად შეიძლება ვისაუბროთ, უპრიანი კი იქნება მასზე საუბარი *ი. სტრავინსკის* სიტყვებით დავამთავროთ: „ერთ-ერთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა ხალხურმა პოლიფონიურმა სიმღერამ... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს რომ იღებს უძველესი დროიდან, შესანიშნავი აღმოჩენაა, რომელიც გვაძლევს უფრო მეტს, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მიღწევა. იოდლი, რომელსაც საქართველოში კრიმანჭულს ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც ოდესმე მომისმენია“.

ქართველი ხალხის მიერ შექმნილ ეთნიკურ კულტურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ ცეკვებს. ცეკვებში გამოკვეთილად ჩანს ქართველთა ჰეროიკა, ლირიზმი, ქალისადმი კდემამოსილება და სინაზე, ვაჟის მამაცობა, კეთილშობილება, რაინდობა, გამბედაობა, მამულისათვის გმირული ბრძოლა. ზოგიერთი ცეკვა კი სამონადირეო და სპორტული ხასიათისაა. ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა. საწესო-საფერხულო ცეკვებს მეცნიერები ასტრალურ კულტებსა და რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებენ. თავისი შინაარსით ფერხულები ნაყოფიერებასა და გამრავლებას, აგრეთვე მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ცეკვა „ხორუმი“, რომელიც გურიაში, *აჭარასა* და *შავშეთ-იმერხევში* იყო გავრცელებული, მეცნიერთა მიერ, სრულიად სამართლიანად, მეომართა ცეკვადაა მიჩნეული. ის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შედევრად და კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მწვერვალია სატრფიალო ცეკვა „ქართული“. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთი ფრანგი მოგზაური „ქართულის“ შესახებ წერდა: „ქალი წინ მიჰქროდა ჩქარა, თითქმის უნაბიჯოდ, როგორც ფრინველი და დარბაზში შემოსწერდა დიდ ორბიტს, რომელშიც მოცეკვავე ახალგაზრდა კაცი ექცეოდა, ამ ქალის მუდმივი თანამგზავრი. ისე ჩანდა, რომ არცერთი მათგანი პროფესიონალი მოცეკვავე არ უნდა ყოფილიყო, თუმცა კი ახალგაზრდა კაცი ისე დგებოდა ფეხის წვერებზე, რომ ალბათ *როსიტო მირისაც* შეშურდებოდა, რადგან

ოპერაში არავის ამრიგად არ უცეკვია. მე მინდოდა ეს ჰარმონიული ცეკვა-დევნება დიდხანს გაგრძელებულიყო. იგი მთლიანობაში ერთ დრამას წარმოადგენდა. ცეკვა ბოლოს შეწყდა და ამ ბუნებრივმა დასასრულმა ყველას დასწყვიტა გული". ქართული ცეკვების ნაწილი საგუნდო სიმღერების აკომპანიმენტითა და ტაშის თანხლებით სრულდებოდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული ხალხური ქორეოგრაფიისათვის დამახასიათებელი ხაზგასმული შტრიხი – არცერთ ქართულ ცეკვაში, საქართველოს რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც უნდა იყოს ის ჩასახული და განვითარებული, ქალი და კაცი ერთმანეთს არ ეხება. ამით ხაზგასმულია ქალისადმი მოწიწებითი დამოკიდებულება და ცეკვის შემქმნელი ქართველი ხალხის მიერ ქალის კულტის დიდი ტრადიციულობა. აგრეთვე ცეკვის დროს ქალისა და კაცის სხეულების შეუხებლობა პირდაპირ მიუთითებს მის არქაულობასა და მართლმადიდებლური ქცევის სტანდარტების ხალხის შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრებაზე.

ქართულ ცეკვებს აპოლოგია უძღვნა *გრიგოლ რობაქიძემ* მას შემდეგ, რაც 1962 წელს ის *სუხიშვილების* ანსამბლის ოთხ კონცერტს დაესწრო ჟენევაში. წერილის სათაურია **„ქართული ცეკვა როკვით განფენილი".** აი ამონარიდები *გრიგოლ რობაქიძის* წერილიდან: „ქალთა კადრი დასში. თვითეული: კენარი, ჯავარი. სინაზით ტვიფრული, მწყაზარი. მორცხვი, კდემული, ნელი, წყნარი, ქალწულური სრიალიც – მიმოხვრაშიაც: როკვა – გოგმანი, გოგმანი – სრიალი, სრიალი – ცურვა, ცურვა – ცურვილი: გედის ცურვილი. ყველანი ერთად: გედები, გედები, თეთრი გედები. ხან ფრონტალურ გამწკრივებულნი ჰაეროვნებით. ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარტყელად ეფინება (რა გოგონებია: დაილოცოს ჩვენი დედული!).

ახლა ვაჟები. თვითეული: ყოფის შუაგულიდან გადმოსხმული. კვრივი. ნაკვთიერი, ყოველ ნაკვეთში – მზის ჭავლი ხალისი. ასხეპილი ვით ასკილი, დახვეწილი, დაწმენდილი, ხალისით ალესილი. შმაგი, ხანდახან შლეგი. ძალაყრილი, აცეცხლებული, რადგან თვითონ სიცოცხლე: „ცეცხლი", „ცოცხალი". ხლტომა – „ელან ვიტალ". ავარდნა, გავარდნა, მოვარდნა, შევარდნა. ხედვაში თვალციალი. შევარდნის როკვა: რიტმული დენის ელვარი. ცქაფი წამახულ ფერხთა: წარმოუსახავი: ითქმის: ზებუნებური. ამავე დროს მთელი ტანი: თითქო უძრავი, ურხევი, „თითქმი": რადგან ლხენით ავსილი: ისე, რომ ამის ერთი ცვარიც არ დაიქცეს. (მთავარი ხტილი როკვებში). მოშვილდული. ყოველი სხლეტა – ხვედრა თვითონ (რა ბიჭებია! დაილოცოს ჩვენი მამული!)".

„ადამიანის ქმედით თვითცხადებაში **სიტყვა** ყველაზე უდიდეა. („პირველითგან იყო სიტყვა": იოანე) ხოლო ერთი განზომვით სიტყვას როკვა უსწრებს წინ – ვინათგან როკვით მთე-

ლი ადამიანია აყვანილი, ითქმის: თმის ძირებითგან ფრჩხილების ნუნებამდე. გასაგებია: თუ ძველთაძველ დროში უზენაესის მიმართ აღტყინებულთ სიტყვა აღარ ყოფნიდათ და როკვაში გადადიოდნენ. ვუყურებდი როკვას ჩვენი ქალებისა, ჩვენის ვაჟების, ვერთვოდი მათ როკვით შინაგან. ვერთვოდი ისე, რომ ხანდახან გ. რ–ც აღარ ვიყავ. ვიყავ მხოლოდ-და-მხოლოდ ქართველი, ზოგად ქართველი – ოღონდ არა განყენებით, არამედ ნამდვილი: ცოცხალი (ეს პლატონის გზით გაიგების.) რას განვიცდიდი? ფესვეულ თაურს ქართველობისა: ხალისს ყოფის მიმართ“.

„მხედრული“. დიონისური ზღვარგადალახვა. ისეთი, რომლის მსგავსი იქაც არ მოელანდებოდათ, საცა დიონისი წარმოიშვა: თრაკიაში. ყივილი. ყიჟინი. ჩახაჩუხი ხრმალთა და ტკრციალი ნაბერწკალთა. ნამდვილი გრიგალი, თავმოშვებული. ხოლო გრიგალი, გახელებული რიტმებით დაურვებული. ირგვლივ ზათქი, ზანზარი. ეს შეხლა, შეხეთქება არაა ბრძოლა. იგი შეჯიბრია (შეჯიბრი: ვარჯიში:) მორკინალთა. მოჯიბრენი თითქო დამხვდურებია, რომლებიც, თუ მტრები თავს დაეხსნენ, შეტევაზე გადავლენ: მომხდურებს მიწასთან გაასწორებენ“.

ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა ორიგინალური ანბანია, რომლის სამი სახეობა შექმნა ქართველმა ხალხმა. დოკუმენტურად ქართული ანბანის ნიმუშები V საუკუნის დასაწყისიდანაა ცნობილი. ამავე საუკუნეს ეკუთვნის ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი „შუშანიკის წამება“. ქართული მწერლობისა და კულტურის მწვერვალად სრულიად სამართლიანად XII საუკუნის პოემას „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევენ. *შოთა რუსთაველის* ეს პოემა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ეს ნაწარმოები იმიტომაცაა აღმატებული, რომ მასში საკაცობრიო და ეროვნული იდეები ერთმანეთშია შერწყმული. ქართულ მწერლობას თავიდანვე ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი დასდევდა – ეს ეროვნულობაა. ისევ *გრიგოლ რობაქიძეს* უნდა დავესესხოთ: „რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: *გიორგი მერჩულეს* აღწერა-გადმოშლაში *გრიგოლ ხანძთელის* ცხოვრებისა. „უფრო“ – ვინათგან აქ ჰაეროვნულ იფინება ზემიწიერი ქართულ მიწაზე. ხოლო, თუ შემეკითხენ, თვითონ მიწას, ქართულ მიწას, რომელ ნაქმში უფრო განვიცდი, ვიტყვი: ვაჟას შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და, არ გაგიკვირდეთ, *უიარადოს* (*თათარიშვილის*) „მამლუკის“ ბოლო სცენაში“.

ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველა ხალხი ერთმანეთისაგან განსხვავდება. გამორჩეულია ქართული ხასიათიც. ქართული ტემპერამენტით იყო გამოწვეული ჯერ კიდევ *ჟამთაღმწერელის* მიერ შემჩნეული ერთი მნიშვნელოვანი თვისება:

„არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილეთ მტერი, ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი.“ ქართველები იყვნენ „კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი,“ „სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი.“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „...ვინაიდგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, გასუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყება განზრახვა ბოროტისა...“; არჩილი: „ასე სჭირს საქართველოსა // დიდებულთ განა მცირეთა. // აზვავდებიან, იტყვიან: // უჩემოთ ვინ იმღერეთა?!“; ნიკოლოზ გულაბერიძე: ქართველები „არიან ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავის თვისისა მოსავნი...; გიორგი ხუცეს-მონაზონი: „ნათესავი ქართველთა წრფელ და უმანკო არს;“ ვახუშტი: „უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან;“ „მხნენი მუშაკნი“, „მომჭირნე მუშაკნი;“ „ლაღნი, ამაყნი და მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი ... ერთგულნი;“ „...ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, მომღერალ-მგალობელნი...“ „ბრძოლასა შინა შემმართებელნი,“ „უქურდალნი;“ „სტუმრის მოყუარულნი...“

ამრიგად, ასე შეიძლება წარმოვადგინოთ ზოგადად ქართული ეთნიკური კულტურის ზოგიერთი მახასიათებელი. შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ნაწილში ის ნასაზრდოებია მართლმადიდებელი ქრისტიანობით. როდესაც უფრო ღრმად და დაწვრილებით ჩავიხედავთ ქართულ ტრადიციებში და მას შევადარებთ სხვა ხალხების ტრადიციებს, ამაში უფრო ნათლად დავრწმუნდებით. XIX-XX საუკუნეებში განვითარდა პროფესიული ქართული კულტურა, რომლის საფუძველიც თითქმის ყოველთვის ქართული ეთნიკური კულტურაა. რა პერსპექტივები აქვს ქართულ კულტურას მიმავალში? ამ კითხვას, ალბათ, დადებითი და ოპტიმისტური პასუხი უნდა გაეცეს. ამის საფუძველს ისევ და ისევ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და დღემდე მოღწეული ქართული ხალხური / ეთნიკური კულტურა იძლევა.

წიგნის ეს ბოლო მონაკვეთი თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების საფუძველჩამყრელის – აკადემიკოს ***გიორგი ჩიტაიას*** სიტყვებით უნდა დავასრულოთ: **„მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის. მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს, რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური.“**

ბოლოთქმა

წინამდებარე სახელმძღვანელოში – *„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“* – შევეცადეთ სტუდენტი-ახალგაზრდებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის) გვეჩვენებინა, თუ რა მეცნიერებაა ეთნოლოგია. ეთნოლოგიური ცოდნის მინიმუმს, გარდა ჰუმანიტარებისა, ყველა ინტელექტუალი უნდა ფლობდეს. ეს საჭიროა არა მხოლოდ საკუთარი თავის შესაცნობად, არამედ ჩვენ შორის, ჩვენ მეზობლად და შორს მცხოვრები ხალხებისა და მათი ეთნიკური კულტურების გასაცნობად და დასაფასებლად, საჭიროა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და, რაც მთავარია, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად. სამშობლოს სიყვარული და სამოქალაქო საზოგადოების წევრად გააზრება ერთმანეთის გამომრიცხველი არაა, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებს. ამრიგად, ეთნოლოგია პერსპექტიული მეცნიერებაა, ის მომავლის მეცნიერებაა და მოიცავს კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის ყველა ეტაპს – წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც. მან დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სხვადასხვა ხალხების კულტურულ დაახლოებაში, დაძაბულობის კერების შესუსტებასა და გაქრობაში.

ბოლოთქმაში კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: პლანეტაზე არასდროს ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ უკულტურო ხალხები და საზოგადოებები. პირველი *Homo Sapiensi* უკვე კულტურის მატარებელი იყო, მაგრამ ყველა ეთნოსმა, კულტურის განვითარების თვალსაზრისით, ერთნაირი გზა არ გაიარა, ზოგმა მაღალი კულტურა შექმნა, ზოგი კი კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე დარჩა. ეს არავის ანიჭებს უპირატესობას. ნახტომი იმ ეთნოსებმა და საზოგადოებებმა გააკეთეს, ვინც ზომიერ სარტყელში ბინადრობდა. ეთნოლოგისათვის ყველანაირი კულტურა ერთნაირად საგულისხმო და გასაფრთხილებელია, რადგან, რაც კი ადამიანთა საზოგადოება არსებობს, ათასობით ეთნოსი და ამ ეთნოსთა მიერ შექმნილი ეთნიკური კულტურა გაქრა. ასეთი საფრთხის წინაშე არაერთხელ იდგა ქართველი ხალხი და ქართული ეთნიკური კულტურა. მაგრამ მიზეზთა გამო ის გადარჩა. ეს საფრთხე დღესაც რეალურად არსებობს. ქართული საზოგადოების და ამ საზოგადოების მოწინავე ნაწილის ვალია ქართველი ხალხისა და ორიგინალური ქართული კულტურის გადარჩენისათვის იღვაწოს. ამაში კი ბევრად დაგვეხმარება საქართველოს და სხვა ხალხების ეთნოლოგიის ცოდნა, საკუთართან ერთად სხვათა დაფასება.

„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“ ეძღვნება თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერებ<u>ს</u> ფუძემდებელის – აკადემიკოსს *გიორგი ჩიტაიას* ხსოვნას. ავტორი მას მოწიფუ-

ლობის ასაკში მოესწრო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის დამაარსებლისაგან ყველა ეთნოლოგი, და ქართული საზოგადოებაც, დიდად დავალებულია. აქ მისთვის მოსმენა და მისგან ცოდნის შეძენა შეიძლებოდა, თუმცა არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ შემდეგ – ისტორიის ინსტიტუტშიც, სადაც ის ეთნოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი იყო, სახელმწიფო მუზეუმში, ღია ცისქვეშ მუზეუმში და კიდევ სახლში, *ძერჟინსკის* ქუჩაზე (ახლანდელი *თაბუკაშვილის* ქუჩა). აკადემიკოსი *გიორგი ჩიტაია* ყოველ ოთხშაბათს საღამოს სახლში, მრგვალ მაგიდასთან იკრებდა თავის მოწაფეებს და ცოდნას გადასცემდა. ასე ამზადებდა მათ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. ის არა მხოლოდ ეთნოლოგიის ცოდნას გადასცემდა მოწაფეებს, არამედ პატრიოტიზმის გრძნობასაც უღვივებდა და მოქალაქეებადაც ზრდიდა. *გიორგი ჩიტაიამ* თაობები აღზარდა. *გიორგი ჩიტაიასადმი* მოწიწებას მისი მოწაფეებიც გვივითარებდნენ. ეს არ იყო „ღვთაებისადმი“ მოწიწება (დარგის მესვეურთა „გაღვთაებრივება“ კი იშვიათი არ იყო საბჭოთა მეცნიერებაში. მაშინ მეცნიერების ავტორიტეტთა გამოთქმული მოსაზრებებისა და ბრწყინვალე იდეების განსჯა მიღებული არ იყო), რადგან ყველას თავისუფალი აზროვნების საშუალება ეძლეოდა. ბატონი *გიორგი ჩიტაიას* ასეთი მოწაფე გახლდათ ჩემი უშუალო მასწავლებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი *მიხეილ გეგეშიძე. გიორგი ჩიტაიას* გვერდში ედგა მეუღლე, ასევე შესანიშნავი ქართველი ეთნოლოგი ქალბატონი *ვერა ბარდაველიძე,* რომელიც ჩვენი სტუდენტობისას გარდაიცვალა. როდესაც ეს სახელმძღვანელო იქმნებოდა, აკადემიკოს *გიორგი ჩიტაიასთან* ერთად, ყველანი თვალწინ მედგნენ. ისინი კი საკმაოდ ბევრნი არიან, უფრო სწორად, ბევრნი იყვნენ, ვისაც ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა.

როლანდ თოფჩიშვილი

ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი